

ქართული ენა და ლიტერატურა

XI

XIX საუკუნის მწერლობა

მოსწავლის ნიგნი

გრიფინიჭაბულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

ავტორ-შემდგენლები: ვასტანგ როდონია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი
ლალი დათაშვილი



2023

ქართული ენა და ლიტერატურა
XIX საუკუნის მწერლობა
XI კლასის სახელმძღვანელო



ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაგული
მარინა ხუციშვილი
ლალი დათაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა ქეთევან გოგავა

ყდის გარეკანზე გამოყენებულია ელენე ახვლედიანის ფერწერული ნამუშევარი
„ნიკოლოზ ბარათაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში“.

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2023. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 41
ტელეფონი: 236-91-85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9813-2-6

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili, L. Datashvili
GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE XI
First Edition, 2023
Published by STSAVLANI Publishing

შინაარსი

შესავალი

ლიტერატურას შეფარებული ერი	8
ილია ჭავჭავაძე – წერილები ქართულ ლიტერატურაზე	10
კიტა აბაშიძე – ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ	11

I ტავი. რომანტიზმი – საუკუნის სავიზიტო ბარათი

ალექსანდრე ჭავჭავაძე	15
მომავალთ ტექსტების წასაკითხად	
რომანტიზმი	17
კითხვის სტრატეგია	
ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება	21
ვისაც გსურთ.....	22
დატყვევებული ქალი (სატრფო) ფერწერასა და პოეზიაში	23
ვაჰ, დრონი, დრონი.....	24
სამშობლოს სატკივარი ალემორიების გარეშე	25
გოგჩა	28
წანგრევების ესთეტიკა და „გობჩა“	31
ბრიგოლ ორბელიანი	32
იარაღის	34
ვინ იყო იარაღი?	37
დაკითხვის ოქმში შეტანილი ლექსი.....	38
სულ სხვა დროის გამოქანთილი	38
თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში	39
მუხამბაზი.....	43
პოპულარულ სიმღერად ქცეული ლექსი	44
ნიკოლოზ ბარათაშვილი	45
შემოღობვა მთაწმიდაზედ.....	47
სახელწოდება „მთაწმიდა“	49
ლექსის ფინალის ორგვარი გააზრება	49
მერანი	51
თვალგადითი შავი ყორანი	53

ვინ შეუჩინა გარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური?	53
იდათა ვარაღელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში	54
ხმა იდუმალი	57
სულო ბოროტო	58
ჩემი ლოცვა	59
ვპოვე ტაძარი	60
რად ჰყვებდრი კაცსა... ..	62
რომანტიკოსთა ქართული	64
არქაული სიტყვების თავისებური გააზრების ერთი მაგალითი	65
დამატებითი საკითხავი	
მიხეილ ჯავახიშვილი —ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი (ნაწყვეტი რომანიდან „არსენა მარაბდელი“)	66

II თავი. ქართული თეატრის დაარსება

ქართული თეატრის ისტორიიდან	77
გიორგი ერისთავი	79
მოვემზადოთ ტექსტის ნასაკითხად	
კომედია	80
კითხვის სტრატეგია	
დრამატული ნაწარმოების კითხვა	80
გაყრა	81
ბაყრის თემა და პოეზია	101
ჟან-ბატისტ მოლიერი და „ქართველი მოლიერი“	101
პირველი ნარმოდგენის აზიზა და შემდგომი ხანის	
ტრაგიკული მოვლენები	103
ტექსტის ენა	
ენის ეკოლოგია	104
აკვიატებული გამონათქვამები	105

III თავი. ახალი თაობა

ილია ჭავჭავაძე	109
მოვემზადოთ ტექსტების ნასაკითხად	
რეალიზმი	111
კითხვის სტრატეგია	
ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება	114

მგზავრის წერილები	115
„მგზავრის წერილები“ როგორც ლიტერატურული ჟანრი	130
კველი და ახალი თაობის დაპირისპირება	134
ორიოდე სიტყვა	135
პასუხის პასუხი	137
რა რეაქცია მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხს“	141
ბედნიერი ერი	142
კაცია-ადამიანი?!	144
ოთარაანთ ქვრივი	193
გიორგიდან ოთარაანთ ქვრივამდე (მთხრობის შექმენის მოკლე ისტორია)	249
გიორგის სახე	251
ოთარაანთ ქვრივი საერთო ტიპთა გაღწევაში	251
განდევილი	253
აკაკი წერეთელი	271
ჩანგური	273
აღმართ-აღმართ	274
ჭაღარა	276
აკაკის გარეგნული სატი	278
ყური თუ თვალი?	279
გამზრდელი	280
ახალი თაობის ენა	
„თერგდალეულთა“ ღვანელი ახალი ქართულის დამკვიდრებაში.....	289
ოგიანთური და სუბიანთური რეალისტი მწერლების სალიტერატურო ენაში	290

IV თავი. ფსევდონიმების დაბრუნება

ვაჟა-ფშაველა	295
მოვეფხადოთ ტექსტების წასაკითხად	
სიმბოლო	297
კითხვის სტრატეგია	
სიმბოლო-ალეგორიული სახეების ამოცნობა	297
ღამე მთაში	398
არაგვს	301
კიდევაც ვნახავ გაზაფხულს	303
რატომ ჰქვია ვაჟას გვერდის „სიმღერა“?	304
მთანი მაღალნი	306

სიმღერა	309
ფშაური ადამ-წახეზი და ვაჟა-ფშაველას პოეზია	311
ალუდა ქეთელაური	314
„ალუდა ქეთელაური“ და ფშავ-ხევსურული მითოსი	328
სტუმარ-მასპინძელი	330
ბახტრიონი	351
ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხური წყაროები —	
კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი	379
კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი	382
მწერლის ენა	
ვაჟა-ფშაველას ენის საკითხი.....	385
პირის ნიშნების გამოყენება და მართლწერა XIX საუკუნის	
მწერლობაში.....	386
ვაჟა-ფშაველას ლექსიკა	387
ვაჟა-ფშაველას ფრაზეოლოგია.....	387
ბოლო სიტყვა, ანუ ვაჟა-ფშაველას ანდერძი	389

სახელმძვანელოში გამოყენებული პრობოტი ნიშნები



იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად



იმუშავეთ ჯგუფურად



წერიტი სამუშაო



ზეპირი მეტყველება



მოისმინეთ



მოიძიეთ ინტერნეტში



წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევარი



შესავალი

ლიტერატურას შეთავაზებულია

„რიტორიკაში სწერია: ეველანფერი შესავლით უნდა
დაიწუოს კანცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ისე დავიწუოთ“.

ილია ჭავჭავაძე („კაცია-ადამიანი?!“)



ნიკოლოზ ბარათაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში.
მხატვარი – ელენე ახვლედიანი

ნებისმიერი დროის ლიტერატურა თავისი თანამედროვე ეპოქის სარკეა. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურაც ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელ ვითარებას ასახავს. გაიხსენეთ, რით დამთავრდა საქართველოსათვის XVIII საუკუნე და რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ქართველი ერის ცხოვრებაში 1801 წელს?

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები პუბლიცისტური წერილებიდან და მათზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა როლს ასრულებდა ლიტერატურა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ცხოვრებაში და რომელი ორი ძირითადი ინტონაცია (ორგვარი კილო) განმსჭვალავდა მას?

ილია ჭავჭავაძე

წერილები ქართულ ლიტერატურაზე

(ფრაგმენტი)

...მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წენვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუნყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყურდა და თითქმის ხმამაღოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას... ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება მოითხოვს...

ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისეც საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ, რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვენდნენ, მაგრამ გულში კი ერთმანეთს ვერა ჰრიგდებოდნენ.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაედრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ – ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე.

პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგახნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდან – მცირე კუნჭულიდა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულშიღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა, ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენასა, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ამით დაინყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება – გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ – რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინა დღე.

1892 წ.

ეტიუდები
მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ

(ფრაგმენტი)

... საქართველო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელს. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია... მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება მარტო ერთ რამეში გამოიხატებოდა – ლიტერატურაში და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში – სიტყვაკაზმულ მწერლობაში. პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენის მონაწილეობისა და გავლენისა; თითქმის არც ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ ახლოსაც არ გაგვკარებია (საეროთ თვითმმართველობის და ნაფიცთა მსაჯულის ინსტიტუტი, შეღავათიანი ცენზურა და სხვა).

მეცნიერული და ფილოსოფიური მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაყურებლად დავრჩით: სასულიერო და საერო აკადემიები და უნივერსიტეტები – ეს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნავთსადგურნი, სხვადასხვაგვარი უმაღლესი სკოლები ჩვენ თვალითაც არ დაგვანახეს. სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს ხელში არ არის და ჩვენს გავლენას სავსებით აცილებულია.

სიტყვაკაზმული მწერლობა შეიქმნა ერთადერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების ვითარების უტყუარი, ხელოვნური გამომხატველი იყო.

უმთავრესი კილო ჩვენი მწერლობისა (განსაკუთრებით, პოეზიისა) ორგვარია – ორნაირ პირობის, ორნაირ გარემოების, ორნაირი ზედგავლენის ქვეშ აღზრდილი და გაჭედილი. პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ღრმა სევდითა და ოხვრით ავსებდა ყოველი შეგნებული ქართველის გულს და უსასოო პესიმიზმისაკენ მიაქანებდა ჩვენ მწერლობას. ხოლო საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ჩვენის კულტურის, მწერლობის მაგალითები სულ იმას ჩაგვძახოდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ: „ჰხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირთა შიგან არ დაღონდესო“ და „ჰხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელა სტირსა, ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვიტკირსაო“. ამ დიდებული ნუგეშისმცემელისა და გამამხნეველების წყალობით ჩვენი ლიტერატურაც ასცდა უნიადაგო და უშინაარსო წუნუნსა და გოდებას.

1911 წ.



თავი I

ტომანციში – საუკუნის სავიზიტო მართი

„ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს...“

ალექსანდრე ჭავჭავაძე („ვისაც გსურთ“)

„ცუდად ხომ მანც არ ჩავლის ეს განწირულის
სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მანც დარჩება.“

ნიკოლოზ ბარათაშვილი („მერანი“)



1832, სერიიდან „ქართული არისტოკრატია“.
მხატვარი – ლევან ჭოლოშვილი

შინაარსი

ალექსანდრე ჭავჭავაძე	15
მოვამზადოთ ტექსტების ნასაკითხად	
რომანტიზმი	17
კითხვის სტრატეგია	
ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება	21
ვისაც გსურთ.....	22
დატყვევებული ქალი (სატრფო) ფერნანსა და კოეზიაში	23
ვაჰ, დრონი, დრონი.....	24
სამგობლოს სატკივარი ალგორიების გარეშე	25
გოგრა	28
ნანგრევების ესთეტიკა და „გოგრა“	31
გრიგოლ ორბელიანი	32
იარაღის	34
ვინ იყო იარაღი?	37
დაკითხვის ოქმში შეტანილი ლექსი	38
სულ სხვა დროის გამომახილი	38
თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში	39
მუხამბაზი.....	43
აკოპულარულ სიმღერად ქცეული ლექსი	44
ნიკოლოზ ბარათაშვილი	45
შემოღამება მთაწმიდაზედ.....	47
სახელწოდება „მთაწმიდა“	49
ლექსის ფინალის ორგვარი გააზრება	49
მერანი	61
თვალგადიტი შავი ყორანი	53
ვინ შეურჩია ბარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური?.....	53
იდათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში	54
ხმა იდუმალი.....	57
სულო ბოროტო.....	58
ჩემი ლოცვა	59
ვპოვე ტაძარი.....	60
რად ჰყვებდრი კაცსა... ..	62
რომანტიკოსთა ქართული.....	64
დამატებითი საკითხავი	
მიხეილ ჯავახიშვილი —ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი (ნაწყვეტი რომანიდან „არსენა მარაბდელი“)	66



ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846)

ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომანტიკოსი პოეტი, სამხედრო პირი, დაიბადა 1786 წელს პეტერბურგში; მამამისი, გარსევან ჭავჭავაძე, საქართველოს ელჩი იყო რუსეთში; მან მოაწერა ხელი 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატს.

ალექსანდრეს დედა, მარიამ ავალიშვილი, თავისი დროის კვალობაზე განათლებული, „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილი ქალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატრიცას, ეკატერინე მეორისა, და იმპერატორ ალექსანდრე პირველის ნათლული გახლდათ.

დიდებული ნათესაობა და არისტოკრატიული წრე ალექსანდრეს საუკეთესო აღზრდის პირობებს უქმნიდა.

ოთხი წლის იყო მომავალი პოეტი, როდესაც მისი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა. მას თან გამოჰყვა ფრანგი აღმზრდელი, რომელმაც მას ფრანგული, გერმანული, რუსული და სპარსული ენები შეასწავლა.

მამის ელჩობამ ჭავჭავაძეთა ოჯახი კვლავ რუსეთს გაამგზავრა. აქ ალექსანდრე პაჟთა კორპუსში¹ შეიყვანეს, რომლის დასრულების შემდეგ გამწესდა პაჟად მეფის სასახლეში.

ამასობაში საქართველოში ყველაფერი აირდაირია. თბილისი დაიწვა, ერეკლე გარდაიცვალა, მეფის სახლობა რუსეთში გადაასახლეს. ალექსანდრე საქართველოს შესახებ ამბებს იქ ჩასული ქართული ოჯახებისგან იგებდა.

1804 წელს მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა; 18 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე აჯანყებულებს შეუერთდა. რუსეთის ჯარებმა აჯანყება ჩაახშეს და სხვებთან ერთად ალექსანდრეც გადაასახლეს ქ. ტამბოვში.

საქართველოში დაბრუნებულმა 26 წლის ალექსანდრემ ცოლად შეირთო ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ასული სალომე. 1812 წელს კახეთი აჯანყდა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ. მთავრობამ საქმის მოგვარება ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიანდო. ტკბილმა სიტყვამ არ გაჭრა და მთავრობის ჯარებმა ძალა გამოიყენეს. ალექსანდრე წუხდა საკუთარ ძმებთან ბრძოლის გამო; იგი კინალამ მსხვერპლად შეეწირა ამ აჯანყებას, ერთმა გლეხკაცმა ფეხში დაჭრა.

ამის შემდეგ იგი კვლავ რუსეთშია და ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძვის, 1814 წელს პარიზში შედის კოალიციის ჯართან² ერთად.

საქართველოში დაბრუნებული ალექსანდრე სამხედრო სამსახურშია. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთ-ოსმალეთის ომში და აიღო ბაიაზეთი.³

1. **პაჟთა კორპუსი** — თავად-აზნაურთა საშუალო სამხედრო სასწავლებელი მეფის რუსეთში. **პაჟი** — აქ: ახალგაზრდა ნარჩინებული, რომელიც ემსახურება მეფეს.
2. **კოალიციის ჯარი** — იგულისხმება ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებული რუსეთის, ინგლისისა და პრუსიის ჯარი. **პრუსია** — გერმანული სახელმწიფო, რომელიც არსებობდა 1701 წლიდან 1918 წლამდე.
3. **ბაიაზეთი** — ქალაქი იმჟამინდელ ოსმალეთში (ახლა თურქეთი).

1832 წელს საქართველოში მზადდებოდა რუსეთის წინააღმდეგ თავად-აზნაურთა შეთქმულება, რომელიც დაწყებამდე გათქვა ერთ-ერთმა მონაწილემ, იასე ფალავანდიშვილმა. ყველა შეთქმული დააპატიმრეს, მათ შორის – ალექსანდრე ჭავჭავაძეც და 4 წლით ისევ ქ. ტამბოვში გადაასახლეს. 1837 წელს საქართველოში დაბრუნებული კვლავ სამხედრო სამსახურში ჩადგა.

ყველამ იცოდა, რომ, სამხედრო საქმესთან ერთად, ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსებს წერდა. საზოგადოების ყველა ფენაში იცნობდნენ და უყვარდათ მისი ნაწარმოებები.

მის ხასიათზე კარგად მეტყველებს ერთი ფაქტი: „ერთხელ თავად კონსტანტინე მუხრანსკიმ¹ იყარა კენჭი. ალექსანდრეც მოიწვიეს კენჭის ჩასაგდებად. ალექსანდრე მიუბრუნდა ამ დროს თავად მუხრანსკის ამგვარი სიტყვებით: – კნიაზო კონსტანტინე, ჩემზე ამბობენ, რომ ვითომ მე შენი მტერი ვიყო, რომ დაგიმტკიცო ეს მართალი აზრი, საქვეყნოდ მომირთმევიან თქვენთვის ეს ჩემი შავი ხმაო. – გამოსწია უჯრა და შავი კენჭი ჩაუგდო“ (იონა მეუნარგია).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ცნობილი იყო სტუმართმოყვარეობით, აქ ხშირად იკრიბებოდა მაღალი საზოგადოება. ალექსანდრეს ოთხი შვილი ჰყავდა: ერთი ვაჟი, დავითი, და სამი ქალიშვილი. ნინო მისთხოვდა რუს პოეტ ალექსანდრე გრიბოედოვს,² ეკატერინე – სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, დავით დადიანს,³ სოფიო – ბარონ ნიკოლაის.⁴

ნინოს გარდა, ყველას დარჩა შთამომავლობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალება მოულოდნელი იყო. 1846 წლის 6 ნოემბერს, დილას, პოეტი მეფისნაცვალ ვორონცოვთან⁵ გაემართა დღეობაზე. როცა მისი ეტლი გოლოვინის პროსპექტს მიუახლოვდა, უეცრად ერთმა ქალმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა; ცხენი დაფრთხა, შეშინებულმა მეეტლემ ვეღარ დაიჭირა. ალექსანდრემ მისი მიშველება სცადა, წამოიწია და პოეტის გრძელი შინელის კალთა ბორბალმა ჩაითრია. ალექსანდრე ძირს გადმოვარდა და გრძნობამიხდელი იმავე საღამოს გარდაიცვალა.

იგი კახეთში, შუამთის მონასტერში, დაკრძალეს.

1. **კონსტანტინე მუხრანსკი** (1779-1842) — კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი, იოანე მუხრანბატონისა და ქეთევანის, ერეკლე II-ის ასულის, ვაჟი, რომელმაც კენჭი იყარა 1830 წელს გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე.
2. **ალექსანდრე გრიბოედოვი** (1795-1829) — რუსი დრამატურგი, პოეტი, მუსიკოსი, დიპლომატი. ავტორი იმხანად პოპულარული პიესისა „ვაი ჭკუისაგან“.
3. **დავით დადიანი** (1812-1853) — სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წლებში.
4. **ალექსანდრე ნიკოლაი** (1821-1899) — მაღალი რანგის რუსი სახელმწიფო მოხელე.
5. **მიხეილ ვორონცოვი** (1782-1856) — მეფისნაცვალი კავკასიაში 1844-დან 1854 წლამდე.

მთვანე ღამის ციფრების წასაკითხად

დავაკავშიროთ

არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში ნახსენები მოვლენები (1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება და სხვ.) თქვენთვის საქართველოს ისტორიის კურსიდან არის ცნობილი. გაიხსენეთ, რა იცით 1832 წლის შეთქმულების შესახებ?

სანამ რომანტიკოსთა შემოქმედების შესწავლას დაიწყებთ, გირჩევთ წაიკითხოთ დამატებითი მასალა, რომელიც ამ თავის ბოლოს არის წარმოდგენილი და ნახოთ, როგორ აცოცხლებს მწერალი (მიხეილ ჯავახიშვილი) აღნიშნულ ეპოქას.

გავანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

რომანტიზმი. რომანტიზმი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა ხელოვნებისა და კულტურის ისტორიაში, რომ მისი არსის წვდომის გარეშე შეუძლებელია XIX საუკუნის მხატვრული აზროვნების გაგება. ეს მიმდინარეობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თითქმის ერთდროულად აღმოცენდა ევროპის წამყვან ქვეყნებში და ხელოვნების ყველა დარგი (ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა...) მოიცვა.

რომანტიკოსი მწერლები არიან: ჰ.ჰაინე, ნოვალისი, ე.თ.ა. ჰოფმანი, ფ. ჰოლდერლინი (გერმანიაში); უ. უორდსვორთი, ს.ტ. კოლრიჯი, ჯ.გ. ბაირონი, პ.ბ. შელი, მ. შელი (ინგლისში); ა. ლამარტინი, ვ. ჰიუგო, ფ. სანდი, რ. შატობრიანი, ა. დიუმა (საფრანგეთში); ჯ. ლეოპარდი (იტალიაში); ა. მიცკევიჩი (პოლონეთში); ჰ. მელვილი, უ. უილმინი, ე.ა. პო (ამერიკაში); ა.ს. პუშკინი, მ.ი. ლერმონტოვი (რუსეთში); ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი (საქართველოში).

მართალია, რომანტიზმს ყველა ქვეყანაში თავისებური სახე ჰქონდა, მაგრამ საერთო ნიშნებიც აშკარა იყო. XIX საუკუნემ ყველგან ერთნაირი ცნობიერება და განწყობა წარმოშვა. „მთელი თაობა შავ მერანზე იჯდა და ბედის საზღვრის გადალახვას ლამობდა,“ – ასე დაახასიათა ეს განწყობა ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა გერონტი ქიქოძემ. ამ დაახასიათებაში ჩანს რომანტიზმის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი – სინამდვილიდან გაქცევა და ოცნების სამყაროსკენ სწრაფვა.

რომანტიკული მსოფლალქმისა და მხატვრული მეთოდის საფუძველია ორი სამყაროს – რეალურისა და იდეალურის – არსებობის დაშვება. ამასთანავე, რომანტიკოსთა აზრით, რეალურ და იდეალურ სამყაროს, ანუ სინამდვილესა და იდეალს შორის უზარმაზარი უფსკრულია.

რომანტიკოსებისათვის იდეალი განუსაზღვრელია, უსასრულო, სრულყოფილი, მშვენიერი, იდუმალებით მოცული და შეუცნობელი, სინამდვილე კი – მდაბალი, არამდგრადი, დენადი და წარმავალი.

რომანტიკოსთა აზრით, სინამდვილეში იდეალის განხორციელება შეუძლებელია, რადგან იდეალი, რომელიც მხოლოდ სულიერ სფეროში, ანუ ადამიანის წარ-



მოგზაური, მხატვარი – კ. დ. ფრიდრიხი

მოსახვაში არსებობს, მატერიაში ხორცშესხმისას აუცილებლად მახინჯდება. რომანტიკული იდეალის მოუხელთებლობის გამოხატულება იყო გერმანელ რომანტიკოსთა მიერ დამკვიდრებული უსაზღვროების კულტი. გახსნილი თვალსაწიერი, მარადიული მოძრაობა, მუდამ შორეთისაკენ მსწრაფი ჰორიზონტი რომანტიკოსთა შემოქმედებაში ორგანულად არის დაკავშირებული ავტორთა ოცნებასთან, მიუახლოვდნენ და შეერწყნან იდუმალებით მოცულ უსაზღვროებას. უსაზღვროების კულტის გამოხატულება იყო ის, რომ გერმანელი რომანტიკოსი მხატვარი კასპარ დავიდ ფრიდრიხი პეიზაჟებს ჰორიზონტების გარეშე ხატავდა, რის გამოც მნახველს ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს მისი მზერა უსასრულობაში ინთქმებოდა. უსაზღვროებისკენ ლტოლვა ერთ-

ერთი მთავარი მოტივია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაშიც.

ორი სამყაროს არსებობა რომანტიკოსისათვის შემოქმედებითი სიხარულის სათავეც არის და ტრაგიკული განცდისაც; სიხარულისა იმიტომ, რომ არსებობს იდეალური სამყარო, სადაც არის ის, რაც არ არის აქ, რეალურ სამყაროში – მშვენიერება, ზნეობა, მარადიული, ნარუვალა ღირებულებები, ტრაგიკულისა კი იმიტომ, რომ იდეალური სამყარო მიუწვდომელია და ადამიანი განწირულია მატერიალურ და მდაბალ რეალობაში არსებობისათვის. აქედან იღებს სათავეს რომანტიკოსთა „მსოფლიო სევდა“.

რომანტიკულმა ლიტერატურამ შექმნა გმირის სრულიად ახალი ტიპი – მარტოსული ადამიანი, რომელიც უპირისპირდება გარემომცველ სამყაროს. რომანტიკული გმირის ძირითადი თვისებაა დაუძლეველი მისწრაფება შეუზღუდავი პიროვნული თავისუფლებისაკენ, რასაც მოსდევს საზოგადოებისგან გარიყვა.

ბუნება, ისევე როგორც რელიგია, ხელოვნება, ეგზოტიკური ქვეყნები და ეროვნული წარსული (ისტორია, ფოლკლორი), საზოგადოებისგან გაქცეული თუ განდევნილი რომანტიკული გმირის თავშესაფარია. აქ დაეძებს იგი იმ იდეალს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ვერ იპოვა. ბუნებაში განმარტოება აძლევს რომანტიკოსს თვითჩაღრმავების, ჭვრეტისა და ფილოსოფიური მედიტაციის საშუალებას. ბუნება ერთიანი და დაუნაწევრებელი სამყაროს თვისებებით არის აღჭურვილი და მის წიაღში ყოფნა ეხმარება რომანტიკულ გმირს, თავი ამ ერთიანი სამყაროს განუყოფელ ნაწილად წარმოიდგინოს. ამასთან, იგი ბუნებას სწვდება არა შემეცნე-

ბისა და აღქმის საშუალებით, არამედ გრძნობისა და წარმოსახვის წყალობით. გერმანელი პოეტი ნოვალისი მოუთმენლად ელოდა ღამეს, რადგან მის სიჩუმეში უკეთ შეიგრძნობდა თავს უზარმაზარი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ასევე ბუნების საშუალებით ცდილობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი სამყაროს უნივერსალური კანონების წვდომას („მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის“).

ბუნება რომანტიკოსთა შემოქმედებაში ორგანულად არის დაკავშირებული იდეალთან, მაგრამ რადგან რომანტიკული იდეალი არსებითად მიუწვდომელია, რომანტიკოსი ვერც ბუნებაში პოულობს საბოლოო ნავსაყუდელს: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ვერც სიყვარულს მოაქვს სიმშვიდე რომანტიკული გმირისათვის. რომანტიკული სიყვარული ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება, რადგან მთელი სამყარო შეყვარებულთა ბედნიერების წინააღმდეგია. სიყვარულის დაღუპვა ტრაგედიის ბოლო აქტია რომანტიკულ დრამაში. გმირი მარტოობისთვის არის განწირული, რადგან რომანტიკული სიყვარულის ტრაგიზმი და მომხიბლაობა ის გახლავთ, რომ იგი ერთადერთია და განუმეორებელი („საბრალთა მხოლოდ სული ობოლი, ძნელდა ჰპოოს, რა დაკარგოს მან ტოლი“).

ვინაიდან რომანტიკოსები უპირატესად ადამიანის შინაგანი განცდების გადმოცემას ესწრაფოდნენ, რომანტიკული ხელოვნების პრინციპებს ლიტერატურაში ყველაზე უკეთ ლირიკა ავლენს, რომელშიც წამყვან როლს სწორედ ავტორის სუბიექტური განცდა თამაშობს. ამიტომაც გაბატონდა რომანტიკულ ლიტერატურაში ლირიზმის სტიქია. ლირიკა შეიჭრა ეპიკურ ჟანრებშიც და ამან განაპირობა სრულიად ახალი ჟანრის – ლირიკულ-ეპიკური პოემის – გაჩენა, რომლის ერთ-ერთ პირველ ნიმუშსაც ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდი“ წარმოადგენს. ლირიკულ-ეპიკური პოემაა ნ.ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომელიც თქვენ IX კლასში შეისწავლეთ. ამ ჟანრის თავისებურება ის არის, რომ მასში ობიექტური თხრობის პარალელურად არსებობს ავტორის პლანი, რომელიც სწრაფი შეფასებების, ლირიკული გადახვევების შემთხვევითი რიგი კი არ არის, არამედ მასალის მხატვრული გამთლიანების საშუალება. ლირიკულ-ეპიკურ პოემაში ავტორი, რომელიც ფორმალურად პოემის გმირი არ გახლავთ, სინამდვილეში ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედი პი-



ტყეში განმარტოებული ჟენევიევა, მხატვარი – ა. ლ. რისტერი

რია, რადგან მასში უმთავრესი სწორედ მოვლენების სუბიექტური, ავტორისეული აღქმაა.

რომანტიკული ესთეტიკის უდიდესი მონაპოვარი ადამიანის სულის სირთულის, წინააღმდეგობრიობის, ამოუწურაობის აღმოჩენა იყო. ადამიანი რომანტიკოსისათვის მცირე სამყაროა, მიკროკოსმოსია, რომლის სულშიც, ისევე როგორც გარესამყაროში, ერთმანეთს ებრძვის რეალური და იდეალური, მატერიალური და სულიერი, ბოროტი და კეთილი. ადამიანის სულის სიღრმეების მოხილვა, ძლიერი და მკვეთრი ვნებებისადმი ინტერესი, სულის „საიდუმლო რხევებზე“, მის „ბნელ“ მხარეზე გადატანილი ყურადღება, არაცნობიერისა და ინტუიციურისკენ სწრაფვა რომანტიკული ხელოვნების არსებითი ნიშანია (ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტ“).

რომანტიზმი საქართველოში. ხშირად ამბობენ, რომ რომანტიზმი ლიტერატურაში ლექსისა და ლექსის მწერალთა ეპოქა იყო. რომანტიზმის არცერთ ეროვნულ გამოვლინებას არ მიესადაგება ეს აზრი ისე ზუსტად, როგორც ქართულს. რომანტიზმმა საქართველოში სწორედ ლექსის მწერალთა შემოქმედებაში იჩინა თავი. სამი დიდი წარმომადგენლის – ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის – გარდა, რომანტიზმს ჩვენში სხვა მიმდევრებიც ჰყავდა (დავით მაჩაბელი, მიხეილ თუმანიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, მამია გურიელი), მაგრამ რადგან რომანტიკული ლიტერატურის ტენდენციები ყველაზე სრულად ამ სამეულის შემოქმედებაში გამოვლინდა, ქართული რომანტიზმის დახასიათებისას ძირითადად მათ თხზულებებს ეყრდნობიან.

ლიტერატურისმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ რომანტიკოსებმა დაინყეს ქართული ლექსის ევროპეიზაცია, ანუ იმ ძირითადი მოტივებისა და ტენდენციების დანერგვა ქართულ პოეზიაში, რომლებიც მაშინდელ ევროპულ ლიტერატურას ახასიათებდა. ამას კი სრულიად ახალი, აღმოსავლურისაგან განსხვავებული, პოეტური კულტურის შექმნა მოჰყვა.

მაშინდელი ქართული განათლებული საზოგადოება ევროპულ ლიტერატურას ეცნობოდა როგორც ორიგინალში, ისე რუსული თარგმანების წყალობით. საქართველოში თარგმნიდნენ როგორც რუსი, ისე ევროპელი ავტორების თხზულებებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც საერთო ჰქონდა ქართულ რომანტიზმს როგორც ევროპულ, ისე რუსულ რომანტიზმთან, იდეათა პარალელიზმით უფრო აიხსნება, ვიდრე უშუალო მიბაძვით (გაიხსენეთ გერონტი ქიქოძის გამონათქვამი).

ერთხელ ალექსანდრე ორბელიანს ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის უკითხავს: „კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და სხვა სუბუქი ანუ ლბილი წყობილება რომ მიეცით, საიდან შემოიღეთ ამგვარი მელექსეობა?“

ალექსანდრე ჭავჭავაძეს უპასუხია: „სწორედ გეტყვით, ჩვენი ბლიაძეებისაგან (მესტვირეებისაგან) შემოვიღე. კარგად იცით, მე ბევრს ფრანციცულს ნიგნებს ვკითხულობ, ჩვენი მესტვირეების მარტივს ყბედობას ევროპული სიამოვნება მივეცი და აქედან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი, ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი“ (იოსებ გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“).

ეს, ერთი შეხედვით, სალონური და თითქმის სასხვათაშორისო კითხვა-მიგება მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ, აქედან ჩანს, რომ რომანტიკული პოეზია თვალმისაცემი სიახლე იყო ქართულ მწერლობაში, თუმცა იგი არ უპირისპირდებოდა ძველს, რადგან მისი მიღება-არმიღების პრობლემა ქართულ სინამდვილეში არ დამდგარა.

ქართულ რომანტიზმს, რომელიც ნაწილობრივ ევროპული რომანტიზმის ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მთელ წინამორბედ ქართულ ლიტერატურაში, საიდანაც მან ბევრი რამ აიღო, კერძოდ, ლექსის ფორმა (ცნობილია, რომ ქართველ რომანტიკოსებს არც ერთი ახალი სალექსო საზომი არ შეუქმნიათ) და მხატვრულ სახეთა სისტემა. ქართველ რომანტიკოსთა, განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძის, ხოლო ნაწილობრივ გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლექსებში თვალს ხვდება ისეთი ტრადიციული სახეები, როგორებიცაა გიშრის დაღალები, შავი თვალები, კოკობი ვარდი და ა.შ., რაც აღმოსავლური პოეზიის აქსესუარებადაა მიჩნეული და ასე დამახასიათებელი იყო ბესიკისა და მისი სკოლის პოეტებისათვის (აგრეთვე – უფრო ადრინდელი ქართული პოეზიისთვისაც). მაგრამ ეს ტრადიციული ელემენტები რომანტიკოსთა შემოქმედებაში სრულიად ახალი, რომანტიკული მსოფლგანცდის კონტექსტშია მოქცეული. სიყვარულის მოტივიც ასევე მემკვიდრეობით მიიღო რომანტიზმმა წინამორბედი ქართული ლიტერატურიდან, მაგრამ სრულიად ახლებურად გაიაზრა იგი. საქართველოში რომანტიზმის განვითარების პირველ ეტაპზე (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი) ეროვნულმა პრობლემამ უკანა პლანზე გადასწია პიროვნების პრობლემა (ევროპული რომანტიზმის მთავარი თემა) და დაიყვანა მის როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში („მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს, ვინაც საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს“). კონკრეტული ეროვნული პრობლემა გადაიზარდა „კაცთა უბედობისა“ და „სოფლის სიმუხთლის“ ზოგად რომანტიკულ მოტივებში და ამ მარადიული, გადაუჭრელი კონფლიქტის გამო აღძრულ „მსოფლიო სევდაში“. რეალობის მიუღებლობამ განაპირობა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, ერთი მხრივ, წარსულის იდეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, იდეალის მიღწევის ტიპური რომანტიკული გზის დასახვა – სატრფო-სამშობლოს განმათავისუფლებელი გმირის ძიება („ვინ აღწნდეს გმირი... რომელ მარჯვენით ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მინად დასცემდეს?“).

რომანტიზმის განვითარების მეორე ეტაპზე, ანუ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, ცენტრალურ ადგილს იკავებს პიროვნების პრობლემა, მისი განცდები და შინაგანი სამყარო.

გამოყენებით

კითხვის სტრატეგია

ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება. თქვენ უკვე იცით, რომ ლიტერატურული კონტექსტი არის ლიტერატურული გარემო, რომელიც გავლენას ახდენს მწერლის შემოქმედებაზე. ეს ლიტერატურული გარემო ხშირად ლიტერატურული მიმდინარეობის სახით არის წარმოდგენილი. ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელმაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურის ძირითადი გეზი განსაზღვრა, იყო რომანტიზმი, რომლის არსებითი ნიშნები წინა პარაგრაფში გაგაცანით.

ლიტერატურული კონტექსტის ცოდნა და მისი გამოყენება მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს ამ ნაწარმოების უკეთ გაგების ერთ-ერთი საშუალებაა.

ვისაც გსურთ

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა¹,
მისმინეთ ჭირში ფლობილს²,
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა³ და თმობა⁴
ურვისგან⁵ გულშეპყრობილს.

მას ვსჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის, გლახ⁶, განწირული,
მაქვს მწუხარება ზედაზედ რთული⁷,
მარად მებახლვის⁸ წყლული.

ვისაც გსურთ და სხვა...

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვეყვან ნების წარმტაცველად⁹,
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცველად,
გველივე¹⁰ შთება¹¹ გველად.

ვისაც გსურთ და სხვა...

ლმობითა¹² ვხედავ ყოვლთ წარმავალთა —
მოხუცთა, ვაჟთა, ქალთა,
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა
და მადენს ცრემლთა ცხართა.

ვისაც გსურთ და სხვა...

კაცთ უბედობა თუმც არს სატირე¹³,
გარნა არ განსაკვირე¹⁴,
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე¹⁵.

ვისაც გსურთ და სხვა...

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ვის მიმართავს „ჭირში ფლობილი“ პოეტი ლექსის დასაწყისში?
2. მოძებნეთ ტექსტში სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ავტორის მიძიმე სულიერ განცდებზე მიგვანიშნებს.
3. დააკვირდით ლექსის II და III სტროფებს. როგორ ფიქრობთ, ვინ იგულისხმება „პატიმარში“? ვინ არიან „გუშაგები“?

1. ცნობა — გაგება. 2. ჭირში ფლობილი — გასაჭირში ჩავარდნილი. 3. ჭმუნვა — მწუხარება. 4. თმობა — თმენა. 5. ურვა — დარდი. 6. გლახ — ვაგლახ! 7. ზედაზედ რთული — ერთმანეთს დართული. 8. მებახლვის — მიახლდება. 9. ნების წარმტაცველი — უფლებათა წაერთმევი. 10. გველი — გველეშაპი. 11. შთება — რჩება. 12. ლმობა — სიბრაღული, ტკივილი. 13. სატირე — სატირალი. 14. გარნა არ განსაკვირე — მაგრამ არა საკვირველი. 15. მზირე — მზირალი.

5. რას ინვეეს წარმავალობაზე ფიქრი?
6. რომელ სიტყვებში იჩინა თავი რომანტიზმისთვის დამახასიათებელმა „მსოფლიო სევდამ“?
7. რა კანონზომიერებამ განაპირობა ლექსის ბოლოს გამომკრთალი ერთგვარი იმედი?

ეს საინტერესოა!

დატყვევებული ქალი (სატრფო) ფერწერასა და პოეზიაში

ბოროტ ძალთაგან დატყვევებული მზეთუნახავის გამოხსნა გავრცელებული სიუჟეტია ფერწერასა და პოეზიაში. ქვემოთ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან პირველი სურათის ავტორია **პაოლო უჩელო (XV ს.)**, მეორისა – **ირაკლი თოიძე (XX ს.)**. იტალიელი ფერმწერის ტილო ასახავს წმინდა გიორგის პირველ სასწაულს – ლასიის მეფის ასულის გამოხსნას გველეშაპის ტყვეობიდან. ქართველი მხატვრის სურათზე კი „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალური ეპიზოდია გამოსახული: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (მზე აქ ტარიელია, მთვარე – ნესტანი, ხოლო გველეშაპი – ქაჯეთის ციხე).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში დასაბამი მისცა ტყვეპყრობილი სატრფოს ალეგორიას.

ცნობილი კრიტიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს გარკვეულად არ ახსენებს... მაგრამ დიდი ჩაკვირება არ არის საჭირო, რომ ხშირად „სატრფოს“ სახით საქართველო დაინახოთ. ასეთი განპიროვნება ხომ შემდეგში დაკანონდა კიდევ და ყველაზე მეტად – აკაკი წერეთლის პოეზიაში. და თუ აკაკის სატრფო საქართველოა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფო რაღად უნდა იქნას ნაგულისხმევი ყოველთვის სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?“



ვაჰ, დრონი, დრონი

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად¹,
წარივლტნენ², განჰქრენ სიზმარებრ³ ჩქარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

განვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ, მხედავთ კვლავცა სულმდგარად⁴?!
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

გლახ⁵, ბედისაგან ესრეთ დასჯილი
იმედოვნებას ვუნოდებ⁶ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

იგიცა მელტვის⁷, მიბრალეთ⁸ ამად,
უსასოდ ყოფას⁹ სჯობს ყოფა მკვდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენი თავი,
მასვე ვემონვი მტკიცედ და მყარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

თუ მასცა ჩემებრ უცავს¹⁰ სიმტკიცე,
ვიბრალე რაყიფს¹¹, შვრების მომცდარად,¹²
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

საჯეთ¹³ – ჰყრობილმან უწყისა¹⁴ ტრფობა?!
საცა გინდ იყოს, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

1. ნაგემნი მტკბარად – ტკბილად ნაგემნები. 2. წარივლტნენ – მსწრაფლ წავიდნენ. 3. სიზმარებრ – სიზმარივით. 4. სულმდგარი – ცოცხალი. 5. გლახ – ვაგლახ. 6. იმედოვნებას ვუნოდებ – იმედს ვუხმობ. 7. მელტვის – გამირბის. 8. მიბრალეთ – შემიბრალეთ. 9. უსასოდ ყოფა – უიმედო არსებობა. 10. უცავს – დაუცავს, შეუნარჩუნებია. 11. რაყიფი (სპარს.) – ტრფობაში მეტოქე, მოქიშპე. 12. შვრების მომცდარად – ტყუილად ირჯება. 13. საჯეთ – განსაჯეთ. 14. უწყისა? – იცის?

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორი აზრობრივი კონტრასტი გამოიკვეთა დასაწყისიდანვე? როგორია დრო? ვინ არ ემორჩილება „ჟამთა სვლას“?
2. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების რომელი ეტაპის გამოდახილი შეიძლება იყოს სიტყვები – „განვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას“? რა იგულისხმება „მტკბარად ნაგემ“ დროში?
3. იმსჯელეთ და განაზოგადეთ შემდეგი ფრაზა: „უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკვდარად“.
4. შეადარეთ ერთმანეთს ორი ლექსის („ვისაც გსურთ“ და „ვაჰ, დრონი, დრონი“) რეფრენები. ერთნაირია თუ არა მათი მხატვრული ფუნქცია?
5. მოძებნეთ ტექსტში ტაეპი, რომელიც გამეორებებით „ვეფხისტყაოსანს“ გაგახსენებთ (მაგ.: „სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი, ჩემგან არ მოგწერების“; „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“).
6. ვინაა ის, ვისაც პოეტმა თავი „უძღვნა“? სად შეგხვდათ მსგავსი ალეგორია?
7. რა გამსჭვალავს ლექსს: იმედი თუ სასონარკვეთა?

სამშობლოს სატკივარი – ალეგორიების გარეშე

ნაიკითხეთ ფრაგმენტები ალ.ჭავჭავაძის თხზულებებიდან, რომლებშიც იგი შეუფარავად გამოთქვამს თავის სათქმელს და იმსჯელეთ, რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის წინა ორი ლექსის ალეგორიული გააზრება?

... გაჰქრა დავითის ხრმლის ელვა, ჩაჰქრა თამარის ლამპარი,
ოქროს დრო ჟამმა¹ შესცვალა, აგარენთა სრბოლამა²,
შეიქმნა ვაი-ვიშიში, საქრისტიანოს რბევა და
ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა³.
ქართლისთვის მეფე ირაკლის სისხლი მრავალჯერ ნთხეულა,
ვერ შეჰკრა მისი კარიბჭე, მზრუნველი დარჩა ეულად,
როსსნი⁴ მოიხმო საშველად მან იმედგადალეულმა.
მათ, ნაცვლად ძმობის, ერთობის, დაგვტოვა დანასხეულად⁵,
მახვილდებულად⁶ მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა,
ყელსა შეგვაბა სარაზი⁷ მიმოძგონარედ⁸ მთვლემარსა...
მზაკვარს ხრმლით გავუსწორდებით, ქართლს მივცემთ შვება-ლხენასა!

(„ჰე, საქართველო“)

1. ჟამი – აქ: ავი დრო. 2. აგარენთა სრბოლა – მუსლიმთა თარეში. 3. სრევა – სროლა. 4. როსსნი – რუსები. 5. დანასხეული – დანაზე დაგებული. 6. მახვილდებულად – ამოღებული მახვილით. 7. სარაზი – ალვირი. 8. მიმოძგონარედ – გაოგნებით.

* * *

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მიპყარით ყურნი¹,
რაგვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალმურნი
ვნახენით როსა² ამა დროსა ზედაზედ რთულნი³...
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო⁴ დავკარგეთ, კრულნი!
გვძლივა სოფელმან⁵ ხელმყოფელმან⁶, ან გვაგო⁷ შურნი!

(„მუსტაზადი“⁸)

* * *

ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ერთ დროს ჰყვაოდა. მისი გარდასული დიდების მონმედ უტყვი ნანგრევებილა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ნანერები მონმოვენ ქართველი ხალხის ყოფილ სიძლიერეს. სხვადასხვა მონასტრებსა და ნიგნთსაცავებში ქართულ მატინანებს ჯერაც არ მიუპყრიათ ყურადღება გულმოდგინე მკვლევარისა, ვინაიდან ქართული ენა მისთვის უცნობია, ხოლო დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა – ერთობ უმნიშვნელო. მაგრამ სხვა სახელმნიფოთა მსგავსად, საქართველოსაც ჰქონდა დიდება, ჰყავდა გმირები, მგოსნები და მწერლები...

ქართველებმა... შეინარჩუნეს სარწმუნოება, მებრძოლი სული და სიყვარული სამშობლოსადმი. თუ ხალხი გაუხეშდა და ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეითვისა, ამის მიზეზი ძნელბედობა იყო. მთლიანად აღიგავნენ პირისაგან მინისა მთელი სოფლები, თავადთა ციხე-კოშკები და მრენველობით აყვავებული ქალაქები. მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც კვებავენ ქართველთა სიამაყის გრძნობას.

(„საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე“)

1. მიპყარით ყურნი – ყური მომაპყარით. 2. ვნახენით როსა – როცა ვნახეთ, ვიხილეთ. 3. რთულნი – დართულნი. 4. სამკვიდრო – სამშობლო (საქართველო). 5. სოფელი – წუთისოფელი. 6. ხელმყოფელი – დამთრგუნველი. 7. გვაგო – მოგვაგო. 8. მუსტაზადი – აღმოსავლური ლექსის სახეობა.

კომპლექსური დავალება 1. ზეპირი პრეზენტაცია მოცემულ თემაზე

მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია — ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით — თემაზე: „სამშობლოს სატკივარი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირდაპირ და შეფარვით“.

პრეზენტაციაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალური მასალა (მაგ., ფოტო, სქემა, ცხრილი).

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 4-5 წუთი.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომში წარმოაჩინეთ:

- ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
- რა პოლიტიკური ვითარება იყო იმჟამინდელ საქართველოში და როგორ აისახა ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე: რომელ ლექსებში გამოიხატა მისი დამოკიდებულება არსებული რეალობისადმი პირდაპირ და შეფარვით — ტექსტებიდან სათანადო ადგილების დამონმე-ბით;
- მსჯელობა ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუ-ალეებისა და მათი ფუნქციის შესახებ კონკრეტულ მაგალითებზე დაყ-რდნობით (მაგ., ეპითეტი, ალეგორია, გამეორება და სხვ.);
- როგორ გადაიზრდება სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული სევდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში რომანტიზმისათვის დამახასიათებელ „მსოფლიო სევდაში“ — ტექსტიდან შესაბამისი ადგილის დამონმეებით;
- რა ფუნქცია აქვს რეფრენს ლექსებში: „ვისაც გსურთ“ და „ვაჰ, დრონი, დრო-ნი“;
- თქვენი დამოკიდებულება ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი, რამ-დენად გასაგები და მისაღებია მის ლექსებში გამოხატული ემოცია თქვენ-თვის.

გოგჩა

გოგჩა,¹ ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე² ზვირთთა აღქაფებით³ ლელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულუბრყვილო,⁴ წმინდა, უძრავი,
თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და მათათა მწვანეთ.

მაგრამ ნაქცევნი⁵, მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი,
საგლოვო ნიშნი⁶ შენობათა კვლავ ეროვანთა,⁷
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა.⁸

ჭმუნვათა⁹ თვისთა მნახველთაცა აზიარებენ...
უდაბურება, მჩუმარება, არარაობა.
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:

აჰა,¹⁰ პალატთა¹¹ დიდებულთა ნგრეული ნაშთი.
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,¹²
აჰა, ჩვენისა მომავლისაც წამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ¹³ ბრმობილო!¹⁴

ესე კამარა ძლივ საცნობო¹⁵ ყოფილ ტაძარად,
სად კვლავ მეფენი მოწინებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა.

დღეს ეს ნაქცევი, სახიერად¹⁶ მაჩრდილობელი,
ხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელი¹⁷
მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!¹⁸

ეს გროვა ქვათა სახეშლილის¹⁹ ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,²⁰
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.

1. გოგჩა – ტბა სომხეთში, სევანის ტბა. 2. ოდესმე – ხან, ზოგჯერ 3. აღქაფება – აღელვება.
4. გულუბრყვილო – აქ: სუფთა, კამკამა. 5. ნაქცევი – ნანგრევი. 6. ნიშნი – ნიშნები.
7. კვლავ ეროვანი – ჯერაც ჰაეროვანი. 8. ნატამალი – ნარჩენი, ნაშთი. 9. ჭმუნვა – მწუხარება.
10. აჰა – აი. 11. პალატი – სასახლე. 12. უცილო – უცილობელი, გარდაუვალი. 13. ხედვავ – ხედავ.
14. ბრმობილო – დაბრმავებულო. 15. ძლივ საცნობო – ძნელად შესაცნობი. 16. სახიერად – აქ:
მშვენიერად. 17. წარმვლელი – გამვლელი. 18. შორით ზიდული – შორიდან მოტანილი. 19. სახე-
შლილი – სახეშეცვლილი. 20. ხელოვანნი მომგებლობისა – სარფიანი საქმის ოსტატები.

მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე¹
არა თუ ვეცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.²
ან მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!

მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს, ქვაყრილსა ბნელად,³
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნით ტაცება ჭაბუკ მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა⁴ და ისართ სროლა.

ერთგზის⁵ ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით აღმალღებულან;
მკუთვნელნი⁶ მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.⁷

აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი⁸ აქაც შემსჭვალვიან⁹ კვლავ ერთმანერთთა.

რავდენ ბანოვანთ შვენებანი, ახლად მშლილობნი¹⁰
ჭავლის სინმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი და გიშრის მწყობრნი¹¹
რავდენგზის¹² ტურფად გარდულია სარკესა წყლისას.

რავდენგზის მთვარეს, თავმომწონეს, მათთან შთახედვით¹³
უგრძვნია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა?! დროსა მსვრელის ცელით,¹⁴ ყოვლთა წარმწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც¹⁵ სხვათებრ მოსთვლილა!¹⁶

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ არის ლექსის დასაწყისში აღწერილი წყლის სტიქია, მისი ცვალებადობა? ვრცელია თუ არა ეს აღწერა?
2. რაზეა გადატანილი ყურადღება პირველი სტროფის შემდეგ?
რა დარჩენილა გოგჩის ტბის პირას გაშენებული ქალაქების ადგილას?

1. ქურურთა მქონე – დიდძალი სიმდიდრის მფლობელი. 2. ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი – გავლენითაც უმდიდრესნი. 3. ბნელი – შავი, მუქი. 4. ჯირითთ ტყორცნა – შუბების სროლა. 5. ერთგზის – აქ: ერთ დროს. 6. მკუთვნელი – მფლობელი. 7. განშვებულან – მოუღბენიათ. 8. ტრფიალნი – მიჯნურნი. 9. შემსჭვალვიან... ერთმანერთთა – ერთიმეორით გამსჭვალულან. 10. ახლად მშლილობნი – აქ: ახლად დაქალღებულნი, გაფურჩქნილი. 11. გიშრის მწყობრნი – მეტაფორაა. იგულისხმება შავი თვალები, წამწამები. 12. რავდენგზის – რამდენჯერ. 13. შთახედვით – ჩახედვის გამო. 14. მსვრელი ცელი – მმუსვრელი ცელი (სიკვდილის იარაღი). 15. მშვენებლობა – მშვენებულობა. 16. მოსთვლილა – მოსპობილა, განადგურებულა.

3. საერთოდ, როგორ ზემოქმედებს ადამიანზე ნანგრევთა ხილვა? გვერდიგვერდ მოხმობილი რომელი სამი სიტყვა ამძაფრებს ნანგრევების ხილვით გამოწვეულ განცდას?
4. რა განზოგადებული ფილოსოფიური დასკვნა მოჰყვა წარსულის ნაშთზე საუბარს? რისი განმეორებით არის აქცენტირებული ეს დასკვნა?
5. პოეტის აზრით, როგორია მხოლოდ ანმყოზე ორიენტირებული „ხედვა“?
6. რატომ აღწერს პოეტი დაქცეულ ტაძარს, „მტვრად აღგვილ“ სავაჭრო ადგილებს, ქვების გროვად ქცეულ ასპარეზს? რას ადასტურებს ამ სურათების ჩვენება?
7. პოეტის აზრით, რა მოელის ძალაუფლებას, ქედმაღლობას, შურს, მტრობას, სიხარბეს? ფერუცვლელი, წარუვალი იქნება თუ არა სიყვარული?
8. რა მიზანს ისახავს გოგჩის ტბის პირას ნალკოტში მოსეირნე მშვენიერ ქალთა ჩვენება? რა მოჰყვა სკეპტიკური განწყობის, დაეჭვების გამომხატველ მოკლე ფრაზას – „მაგრამ რა?!“
9. სიტყვა „სიკვდილი“ ლექსში ერთხელაც არ არის ნახსენები, მაგრამ აღსასრულის განცდა გამუდმებით იგრძნობა. როდის იჩინა თავი სიკვდილის განუყრელმა ატრიბუტმა – „მსვრელმა ცელმა“? მეოთხე სტროფში წარმოდგენილ რომელ დასკვნას ეხმიანება ლექსის ბოლო ორი სტრიქონი?

თვალსაზრისი

„გოგჩის“ შესახებ

„XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში „გოგჩა“ წარმოადგენს ობიექტურ სინამდვილესა და ადამიანის სუბიექტურ განცდათა შორის უშუალო კავშირის დამყარების ერთ-ერთ პირველ პოეტურ ცდას... პოეტური ასოციაცია აქ ჩვეულებრივ-ბუნებრივია, კონკრეტულია, უშუალოდ დანახულისა და განცდილის მიერ არის ნაკარნახევი...

„გოგჩა“ ახალი ტიპის ლირიკული ლექსია, რადგან აქ მკაფიოდ არის მინიშნებული რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი ახალი დამოკიდებულება მხატვრული მასალისადმი და თვით გამოხატვის ორიგინალური ფორმები. ამ თვალსაზრისით, ეს ლექსი, როგორც გრიგოლ ორბელიანის „საღამო გამოსალმებისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმიდაზე“, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია გასული საუკუნის რომანტიკული პოეზიის ისტორიაში.

როგორც „გოგჩის“ ავტორი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, მართლაც, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ უაღრესად კოლორიტულ წარმომადგენლად შეიძლება იქნას აღიარებული“.

გურამ ასათიანი

„ნანგრევების ესთეტიკა“ და „გოგჩა“

გამოითქვა ასეთი მოსაზრება:

„რენესანსის ეპოქის ადამიანები ძველბერძნული ნანგრევების წყალობით ცდილობდნენ წარმოედგინათ, თუ როგორი იყო იმჟამინდელ ქმნილებათა თავდაპირველი სახე. შემდეგ ამ სახის აღდგენა სცადეს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ნანგრევი ულმობელი დროის მიერ დაჩნეული კვალით, ფრაგმენტულობით, მასზე ამოსული ველური მცენარეებით, ბზარებითა და ხავსით „დაფასდა“ (უმბერტო ეკო).

გამოდგება თუ არა ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ ამ თვალსაზრისის საილუსტრაციო მასალად?

დააკვირდით წარმოდგენილ ფერწერულ ნამუშევარს. მას ძალზე საინტერესო სახელწოდება აქვს: „ნანგრევებად ქცეული ლუვრის გალერეის წარმოსახული ხედი“. ცხადია, ასეთი ფაქტი სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ მხატვარმა ი.რობერმა (1733-1808), რომელიც სიძველეთა დიდი მოყვარული იყო, გადაწყვიტა ამგვარად გამოეხატა რომანტიკული განწყობილება. სურათს კარგად თუ დააკვირდებით, იავარქმნილი ინტერიერის ცენტრში შენიშნავთ მოლბერტთან მჯდარ მხატვარს, რომლისთვისაც შთაგონების წყარო ნანგრევები გამხდარა. სხვათა შორის, მხატვარი ი.რობერი ერთხანს ლუვრის გალერეის მთავარი მცველი იყო.



■ როგორ ფიქრობთ, რას გამოხატავდნენ რომანტიკოსი პოეტები და მხატვრები ნანგრევების ჩვენებით?



იმსჯელეთ: რატომ არის „გოგჩა“ რომანტიკული ლექსი?



გრიგოლ ორბელიანი

(1804-1883)

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წლის 2 ოქტომბერს თბილისში. პოეტის საგვარეულო ხაზი აღწევს ორბელ ბარათაშვილის სახელამდე (XV ს.), ამ შტოს ეკუთვნოდა ყაფლან ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანის პაპა, XVII საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალი. გრიგოლ ორბელიანი ამიტომ უწოდებდა თავს „ყაფლანიშვილს“. მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მისი წინაპრები დიდ როლს თამაშობდნენ ქართველი მეფეების კარზე.

გრიგოლ ორბელიანის ბავშვობამ და ყრმობამ განვლო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, როცა „ქედმოუხრელი ივერია“ მხოლოდ პოეტის ახლო ნათესავების წარმოდგენებში ცოცხლობდა.

გრიგოლის მამას, დიმიტრის (იმავე ზურაბს), საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურია. პოეტის დედა ხორეშანი ერეკლეს ქალის, ელენეს, ასული იყო. ამრიგად, დედის მხრივ პოეტი ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა. როგორც პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს: „ამ კეთილმა დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა“ (იონა მეუნარგია).

გრიგოლ ორბელიანისთვის წერა-კითხვა უსწავლება ანჩისხატის დეკანოზს, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს, რომელიც თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი იყო. შემდეგ გრიგოლი შეუყვანიათ კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მომავალ პოეტს ქართულს ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი. სასწავლებლის დამთავრებამდე გრიგოლი გადასულა ახლად გახსნილ საარტილერიო სკოლაში. 1816 წელს მომავალი ოფიცერი შედის იუნკრად¹ 211-ე საარტილერიო ბრიგადაში. 1821 წელს გრიგოლ ორბელიანი პროპორშიკია². 1822 წელს ქარელი ლეკების დამარცხების მონაწილეა ალაზნთან. 1826 წელს მამაცურად ებრძვის სპარსელებს შამქორთან და განჯაში, რისთვისაც ღირსეულად იქნა დაჯილდოებული. იგი იბრძოდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. 1831 წელს გრიგოლ ორბელიანმა რუსეთს წაასხა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებული საგანგებო ქვეითი პოლკისთვის. თავის დღიურში პოეტი იგონებს შეხვედრებს რუსეთს გადასახლებულ მარიამ დედოფალსა³ და ქართველ უფლისწულებთან.

1. **იუნკერი** — სამხედრო სასწავლებლის კურსანტი. აქ: თავადაზნაურული წარმოშობის უმცროსი მეთაური.
2. **პროპორშიკი** — უმცროსი ოფიცრის წოდება რუსეთის იმპერიაში.
3. **მარიამ დედოფალი** — საქართველოს უკანასკნელი დედოფალი (გიორგი XII-ის მეუღლე), რომელიც 1803 წელს კავკასიის მმართველმა ციციანოვმა უფლისწულებთან ერთად რუსეთში გადაასახლა და იქვე აღესრულა. 1851 წელს მისი ნეშტი დიდი პატივით გადმოასვენეს საქართველოში და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

1833 წლის მარტში გრიგოლ ორბელიანს აპატიმრებენ ნოვგოროდში და სასწრაფოდ გზავნიან თბილისში. პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავად-აზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829 წლიდან მზადდებოდა საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ (ეს შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში გასცეს). ხელისუფალთა თვალში ორბელიანი სრულიად მოულოდნელად მტერი აღმოჩნდა, რადგან „გაირკვა“, რომ პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან მას არა მარტო მოცარტსა¹ და როსინიზე², არამედ ძველი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებზე უსაუბრია, ჯიბით უტარებია არა მარტო ჯარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგმანიც ცნობილი დეკაბრისტი პოეტის, რილეევის³, ნაწარმოებისა „ნალივაიკოს აღსარება“ (რომლის დედანი ორბელიანს ნოვგოროდში გაჩხრეკისას უპოვეს). ჩვეულებრივი დღიურის გარდა, უწერია პატრიოტული ლექსები (ნოვგოროდშია დაწერილი, მაგალითად, „იარალის“) და დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, რომელშიც ავტორი აშკარად იცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჯარის შექმნის იდეას.

გრიგოლ ორბელიანს მძიმე დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს. ავლაბრის ყაზარმაში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის დამნაშავე, „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გაამწესეს.

გრიგოლმა ხუთი წელი გაატარა პოლონეთში. 1843 წელს დაინიშნა ავარიის მმართველად⁴ (ან, როგორც თავის თავს უწოდებდა – „ავარიის ხანად“). იბრძოდა შამილის⁵ (რუსების წინააღმდეგ კავკასიელ ხალხთა აჯანყების მეთაურის) წინააღმდეგ.

გრიგოლ ორბელიანს ჰყავდა ორი ძმა – ზაქარია და ილია და ერთი და – ეფემია – ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა.

პოეტი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს, დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში.

1. **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** (1756-1791) — ავსტრიელი კომპოზიტორი.
2. **ჯოაკინო ანტონიო როსინი** (1792-1868) — იტალიელი კომპოზიტორი.
3. **კონდრატი რილეევი** (1795-1826) — რუსი მწერალი. რუსეთში 1825 წლის დეკემბერში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი. აჯანყების დამარცხების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. „ნალივაიკოს აღსარება“ რილეევის დაუსრულებელი ნაწარმოებია წარუმატებელი აჯანყების ლიდერზე, უკრაინელ სევერიან ნალივაიკოზე.
4. **ავარია** — ხუნძების ისტორიული სამეფო (სახანო), როგორც პოლიტიკური ერთეული გააუქმა რუსეთმა და მის მმართველად გრიგოლ ორბელიანი დანიშნა.
5. **შამილი** (1797-1871) — კავკასიის მთიელ ხალხთა მეთაური, რომელმაც დალესტანი, ჩეჩნეთი და ჩერქეზეთი გააერთიანა მის მიერ შექმნილ სამეფოში — „იმამატში“.

იარალის

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა, დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.

კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა¹ ხელს გვებყრას,
მოთალი², თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას.

ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური,



ქეიფი გვიმრაძესთან, მხატვარი – ნიკო ფიროსმანი

1. აზარფეშა – ვერცხლის სასმისი, რომელსაც ტარი აქვს. 2. მოთალი – ერთგვარი ფხვიერი ყველი.

მარად ბრწყინვალე ზედ დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა ღვინითა შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ¹, ჰსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.

გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით² აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.

ვაი მას მტერსა, ვის ანუ³ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი,
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...

გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით⁴, ლხინით მოწოდებულნი⁵,
ჭაბუკ მხედარნი ყაზახსა⁶ ვრცელსა
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,
ესრეთ მოჰქრიან ვითა ნიავი;
ჰკრეს ნალარასა – განიყვნენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.

ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი,

1. **ჰბრძოდნენ** – იბრძოდნენ. 2. **მხნობა** – მხნეობა, შემართება. 3. **ანუ** – ან. 4. **შექცევა** – დროსტარება, გართობა. 5. **ლხინით მოწოდებულნი** – სალხენად თავშეყრილნი. 6. „ეხლა არის სასეირნო ბაღი ალექსანდროვსკისა, იყო დიდი საჯირითო მეიდანო, სახელად ყაზახი“ (ავტორი).

ჯირით¹ სრიალი,
ყურთმაჯთ² ბრიალი³,
ცხენით ქვე ხტომა,
კვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!...
ზოგი არწივსა
ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქერის
და მოხვდა ქვაზედ თასს ნიშნად დგმულსა⁴.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი⁵ სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ენერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისაც ვჰსტირით,
წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიღეს,
ან უცხოს ცის ქვეშ⁶ ზოგსა ვჰჭვრეტთ ოხრვით და ცრემლით – ზოგის
წმიდა სამარეს!...

ვინ აღჩნდეს⁷ გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?
მაგრამ ამაო, ჩემო იარაღი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა⁸!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი?
ღვინის წილ⁹ – კვასი¹⁰, მზისა წილ – ყინვა!
გარდმოხვენილმან ჩრდილოს წყვდიადსა¹¹
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე – ნოვლოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“¹²!

გულს ენუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა,
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა.

1832 წ. ნოვგოროდი

1. **ჯირითი** – შუბი. 2. **ყურთმაჯები** – ილიიდან მაჯებამდე გახსნილი სახელოები ძველებური ჩოხისა. 3. **ბრიალი** – ფრიალი. 4. „ყაბახის თავსა და ბოლოს იდგენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისა“ (ავტორი). 5. მეფე ირაკლი (ავტორი). 6. **უცხო ცა** – უცხოეთის (რუსეთის) ცა. 7. **ვინ აღჩნდეს** – ვინ გამოჩნდეს. 8. **როტვა** – უჭკუოდ, უთავბოლოდ ლაპარაკი. 9. **წილ** – ნაცვლად. 10. **კვასი** (რუს.) – ბურაბი. 11. **ჩრდილოს წყვდიადი** – ჩრდილოეთის (რუსეთის) წყვდიადი. 12. **„უგარი“** (რუს.) – მხუთავი გაზი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი გახსენებით იწყება ლექსი?
2. როგორ ფიქრობთ, პოეტმა წარმოსახვით შექმნა ქართული სუფრის სურათი, თუ ის აღადგინა, რაც ნანახი, განცდილი ჰქონდა?
3. რას უამბობდა ლხინის დროს მრავლისმნახველი ქართველი გამოუცდელ ახალგაზრდას?
4. როდის შეენაცვლა აღწერას საქებარი სიტყვები? რატომ განადიდებს პოეტი წინაპრებს?
5. მეფე-პოეტი ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებებში აღნიშნავდა: ძველად რაინდები ომის დროს თავგანწირვით იბრძოდნენ, მშვიდობის ჟამს კი ნადირობდნენ და ასპარეზობდნენ, რაც ისევ და ისევ ომისთვის მზადება იყო. როგორ არის აღწერილი ჭაბუკ მხედართა ასპარეზობა?
6. ვის მიაგო პოეტმა განსაკუთრებული პატივი?
7. რით შეიცვალა დიდებული წარსული?
8. რას ჭვრეტენ უსასოდ მყოფი ქართველები?
9. რა შეენაცვლა მშობლიურ ცას?
10. რომელმა ახალმა მოტივმა იჩინა თავი ლექსში? რომელი ტაეპები წარმოადგენს მთელი ლექსის იდეურ მწვერვალს?
11. რომელი საეკლესიო წმინდანით არის შთაგონებული მხსნელი გმირის სახე?
12. როგორი დასასრული აქვს ლექსს? რა განწყობილება დაუფლებია ქართველს უცხოობაში?

ეს საინტერესოა!

ვინ იყო იარალი?

პოეტმა-აკადემიკოსმა **გიორგი ლეონიძემ** გამოაქვეყნა დავით ბატონიშვილისგან მომდინარე ასეთი ცნობა: „იარალი იყო შემაქცივეარი მომღერალი, მეჭიანურე და მეთარე ბატონიშვილებისა და მთელი ქართველობისა მოსკოვსა და პეტერბურგსა“. ერთ დროს იარალი შანშიაშვილი უკანასკნელი ქართველი მეფეების კარის მგოსანი და მომღერალი იყო. შემდეგ იგი რუსეთში გაჰყვა ფარნაოზ ბატონიშვილს და პეტერბურგში მის კარზე ცხოვრობდა. სწორედ იქ, პეტერბურგში, შეხვდა ამ კოლორიტულ პიროვნებას გრიგოლ ორბელიანი და დიდად მოიხიბლა მისით.

ახალგაზრდა პოეტმა თავისი ეროვნული თვალთახედვის გამომხატველი ლექსი იარალი შანშიაშვილს დაუკავშირა, რითაც დიდად გაუთქვა მას სახელი.

ქართველი თავადაზნაურობის შეთქმულების გაცემის შემდეგ, 1833 წელს, იარალი შანშიაშვილი, როგორც ქართველ არისტოკრატთა უმაღლეს წრესთან დაახლოებული პიროვნება, პეტერბურგის ჟანდარმერიაში დაუკითხავთ.

1848 წელს იგი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. გარდაცვლილა ღრმად მოხუცებული. დაუკრძალავთ პეტერბურგში. ეს არის და ეს – სხვა ცნობები მის შესახებ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: დიდ ქართველ განმანათლებელ მწერალს იოანე ბატონიშვილს (1768-1830) იარალი შანშიაშვილი თავისი პროზაული ნაწარმოების, „კალმასობის“, ერთ-ერთ პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი.

დაკითხვის ოქმში შეტანილი ლექსი

(ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის მონათხრობიდან)

იმ დროებით¹ მე ლაგერში ვიყავი, ნოვგოროდის ახლოს, და აფიცრები მყავდა დაპატიჟებული სადილად. სადილის წინა ქალაქში წავედი ღვინოების საყიდლად და, დაბრუნებულზე, სანამ სუფრა გაიშლებოდა, ამხანაგებმა ქალაქის თამაშობა გავმართეთ. ამ დროს უეცრად ჟანდარმების პოლკოვნიკი შემოვიდა ჩემთან.

– დიდად მოხარული ვარ, ბატონო, თქვენის გაცნობით. რა გნებავთ ჩემგან?

– მე ბრძანება მივიღე მთავრობისა, სახლი გაგიჩხრიკოთ და შევიტყო, რა წიგნები გაქვთ... და სხვ...

– რილევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენა სთარგმნეთ ქართულად?

– დიახ, მე.

– „იარალი“ თქვენ დაწერეთ?

– მე.

– რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსით?

– ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი.

– გვითხარით, თუ იცით, რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ?

– არ ვიცი და ვერც მიმხვდარვარ, ვისთან რა უნდა მოეწერა ეგვიპტის ფაშას...

(ამის შემდეგ დაპატიმრებული გრიგოლ ორბელიანი თბილისში გამოგზავნეს, სადაც შეთქმულების რამდენიმე მონაწილესთან ერთად ერთხანს ყაზარმებში ჰყავდათ დამწყვდეული).

სულ სხვა დროის გამოძახილი

ფიქრობენ, რომ ძალზე მნიშვნელოვანი სათქმელი ლიტერატურაში კვალს ინტონაციურადაც ტოვებს. ცნობილი პოეტური ქმნილების მცირე ფრაგმენტიც კი მთელ ტაეპს, მთელ სტროფს ამოატივტივებს ხოლმე მეხსიერებაში.

გაიხსენეთ, როგორი მიმართვით დაიწყო შეთქმულთა მთელი თაობისთვის სახიფათო ლექსი.

1832 წლის შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე მიილია, როცა გალაკტიონ ტაბიძემ ეს ლექსი დაწერა:

„ჩემო იარალი!“

„ჩემო იარალი!“ – ასე ქადაგებდა
ყაბახის გმირი, მსგავსება ლომის,
ორბელიანი, რომელიც აქებდა
ღვინოს და სალომეს.
ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი
მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს,

და ნარიყალა, ცრემლებით სველი,
მატარებლების კივილს გაჰყურებს;
მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,
დამთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გაგართო, როგორ გაგართო?
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!

საკლასო დავალება



განიხილეთ ლექსი, დასვით კითხვები, რომლებიც მსჯელობას გაგიადვილებთ (ან, პირიქით, გაგირთულებთ). გახსოვდეთ, ლიტერატურა არც ერთს გაურბის და არც – მეორეს.

1. იგულისხმება 1832 წელი.

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით¹ განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის – გიმზერ,
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი წალკოტი შენი,



ბეთანია (XII — XIII სს.), თამარის ფრესკა

1. სახიერება – სიკეთე.

შენის დიდების სხივმოკლებული,
 აღარა ჰშვენის,
 აღარ გვიბრწყინვის
 შავ დროთა¹ ძალით ფერ ნახდენილი!...
 და ვით განვლილსა
 სიზმარსა ტკბილსა,
 მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
 ვიგონებთ შენს დროს,
 გული გვიმაგროს,
 სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავანი!
 ხნით დამაშვრალი²,
 დაღონებული,
 შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
 მოხედო ბედკრულს,
 შენს სატრფოს – მამულს,
 და ჯვარით³ შენით აკურთხო კვალად.
 შენი ივერი
 აღსდგეს ძლიერი,
 და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის,
 ნმიდით საყდარით,
 ენით მდიდარით,
 სწავლისა შუქით განათებული!
 ზნე ამაღლებით,
 ძლევის დიდებით,
 სამშობლო მიწის სიყვარულითა! –
 და გაგვიცოცხლდეს,
 რომ კვლავც მოგვესმეს
 სიტყვა ქართული რუსთაველისა.
 რომ განვიღვიძნეთ,
 სულით განვახლდეთ,
 და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
 ... მარამ ცად თვალნი
 გაქვს მიქცეულნი,
 და მე ველარ მცნობ გულშემუსვრილსა,
 დამცირებულსა,
 ხმამიღებულსა,
 ბედდაკარგულის ივერიის ძეს!
 ეჭვით აღვსილსა,
 უსასოდ ქმნილსა,
 გულ უიმედოს, გაუხარებელს!..
 ვაჰ, თუ რაც ნახდეს,

1. „შემოსვლა ლანგ-თემურისა და შაჰ-აბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა“ (ავტორი). 2. **ხნით დამაშვრალი** – აქ: მოხუცებული. 3. „როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარითა“ (ავტორი).

ველარა აღჰდგეს,
 ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
 და რაც დაეცა,
 ის წარიტაცა
 შავმან ყორანმა, ვით უმნე¹ მსხვერპლი!
 ჰე, ცრუ სოფელო,
 დაუნდობელო,
 შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?
 დიდება ჩვენი,
 ცად სხივმიმფენი,
 ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
 დაყრუებულსა²,
 გზა შეუვალსა³,
 უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
 სად სახე მეფის,
 დიდის თამარის,
 სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

1877 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა ეპითეტებით ამკობს გრიგოლ ორბელიანი თამარ მეფეს?
2. რა ფიქრები აღედგინოს პოეტს თამარის ფრესკის ხილვისას?
3. რომანტიზმისთვის დამახასიათებელი რომელი მკვეთრი დაპირისპირება აისახა ლექსში?
4. ერთგვაროვანია თუ არა პოეტისთვის წარსული?
რომელ დროს აიდევალებს იგი? რომელი დროის გახსენება გახდომია დამთრგუნველად? (გაითვალისწინეთ ავტორისეული კომენტარები).
5. რომელი შედარებებით არის გადმოცემული თამარის ეპოქის განუმეორებელი ბრწყინვალეობა?
6. რას შესთხოვს პოეტი თამარს?
7. როგორ ესახება პოეტს სამშობლოს აღორძინება? რამ უნდა განაპირობოს მისი ზნეობრივი ამადლება, ძალმოსილება?
8. რა მნიშვნელობას ანიჭებს გრიგოლ ორბელიანი რუსთაველის სიტყვას?
9. როდის გახდა განცდა განსაკუთრებით მძაფრი? რას ნიშნავს „ცად მიქცეულნი“ თვალნი მეფისა? რომელი ეპითეტებით დახასიათდა „ბედდაკარგული ივერიის ძე“ (იგივე ავტორი)?
10. რას გამოხატავს „შავი ყორანი“?
11. რა მოჰყვა ცნობილ მიმართვას „ჰე, ცრუ სოფელო...“? რა გადარჩენილა ფერუცვლელი დიდებიდან?
12. რომანტიზმის რომელი ნიშნები გამოვლინდა ლექსში? (იმსჯელეთ კლასში).

1. უმნე – უმნეო, სუსტი. 2. დაყრუებული – მიყრუებული, მიგდებული. 3. გზა შეუვალი – უგზო, მიუვალი.



კომპლექსური დავალება 2. ანალიტიკური ესეს დაწერა მოცემულ თემაზე

გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“.

თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტებიდან და გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- რამ განაპირობა წარსულის იდეალიზაცია რომანტიკულ ლიტერატურაში ზოგადად და რამ გაამძფრა ეს მოტივი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში;
- როგორ აისახა წარსულის იდეალიზაცია ლექსში „იარალის“ — ტექსტის დამონშებით;
- თქვენი აზრით, რატომ ჩაუთვალა ამ ლექსის დაწერა დანაშაულად გრიგოლ ორბელიანს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ;
- რომანტიზმისათვის დამახასიათებელი რომელი ნიშნები ჩანს ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — ტექსტიდან სათანადო ადგილების დამონშებით;
- ჩვენი ქვეყნის წარსულის რომელ მონაკვეთს აიდეალებს პოეტი და რატომ; რა არ მოსწონს თავის თანამედროვეობაში და ხედავს თუ არა გამოსავალს;
- რა არის პოეტის მთავარი სათქმელი ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და რომელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებითაა იგი გადმოცემული (მაგ., ეპითეტი, შედარება, ალუზია, სიმბოლო...).
- რამდენად გასაგებია თქვენთვის გრიგოლ ორბელიანის ლექსებში გამოხატული ემოცია და რამდენად აქტუალურია ის დღეს.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი¹

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო.
ჩ ა მ ჩ ი-მ ე ლ ქ ო²

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

რტო აღვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალეზი – ცაში ელვა მგონია.
ვარდის სუნთქვა – შენი სუნთქვა მგონია.
როს³ მეღირსოს, ვჰსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!”

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქვა – შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?”

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინალვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა⁴ ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი, სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ორთაჭალის ბალში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის⁵ ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში⁶ მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! –
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!”

1. **მუხამბაზი** – აღმოსავლური წარმომავლობის სალექსო ფორმა. მუხამბაზის სტროფი შედგება 14 ან 11-მარცვლიანი 5 ტაეპისაგან. ქართულ პოეზიაში იგი ბესიკ გაბაშვილმა დაამკვიდრა. მუხამბაზს წერდნენ ქართველი რომანტიკოსები: ალ. ჭავჭავაძე, გრ.ორბელიანი და სხვ. 2. **ჩამჩი-მელქო** – თბილისელი მოლექსის, მელქო გულქანოვის ფსევდონიმი. ცხოვრობდა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის 20-იან წლებში. ხელობით მესანთლე ყოფილა. 3. **როს** – აქ: როდის. 4. **ლოპიანა** – ცნობილი ყარაჩოხელი, მოკრივე და მეთევზე. ლოპიანას ზოგჯერ „ორბელიანის ადიუტანტსაც“ ეძახდნენ. 5. **დარდიმანდი** – უდარდელი, ხელგაშლილი. 6. **ტოლუმბაში** (თურქ.) – თამადა.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამნამზედ მიზიხარ!

კოჯორი, 18616.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რომელი ორი ტაეპი იქცა ლექსის რეფრენად? ეს რეფრენი მხოლოდ ლექსის სამკაულია, თუ მისი მთავარი სათქმელის გამომხატველიც?
2. საიდან ვიგებთ, რომ ლოპიანა თავის „მონოლოგში“ გაუზიარებელ სიყვარულზე ლაპარაკობს?
3. რომელ სტროფშია გადმოცემული სატროფოს გარეგნული სილამაზე?
4. როგორ წარმოაჩინა ლოპიანამ თავისი ღირსებები?
5. როდის უბრუნდება ლოპიანა გაუზიარებელი სიყვარულის თემას?
7. მოძებნეთ „მუხამბაზში“ ქალაქური (აშუღური) პოეზიისთვის დამახასიათებელი გამეორებები.

თვალსაზრისი

პოპულარულ სიმღერად ქცეული ლექსი

ბესიკის „ტანო ტატანოს“ შემდეგ ქართულ მუხამბაზურ პოეზიაში უკეთესი არაფერი შექმნილა... მარტივი, სადა, უბრალო, ლალი, ამავე დროს, მწვავე და მიმზიდველი ლოპიანას დარდები (ასე ერქვა ლექსს ერთ ადრინდელ ვარიანტში)...

ლოპიანასთვის სატროფო საოცნებო ხატია, ღვთაება, რომელსაც სიამოვნებით შეეწირება ზვარაკად: „გინდა მკლავდე, არას გეტყვი, შენი ვარ“.

... ვერ გეტყვით, რომ გრ. ორბელიანი არისტოკრატიული ირონიით დაჰყურებდა ზემოდან თავის პერსონაჟებს, როგორც აღნიშნავენ მისი პოეზიის მკვლევარნი. ლოპიანას გულწრფელი მონოლოგი ამის თქმის უფლებას არ გვაძლევს. ავტორი გარდასახვას ახდენს. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ლექსს თბილისის დარდიმანდებს შორის ჩამდგარი გრ. ორბელიანი ამბობს.

„გინდ მეძინოს“ ქართული მუხამბაზური პოეზიის მშვენიერებაა და მას ჩინებული მუსიკალური ფორმა მოუძებნა კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ.

აკაკი ხინთიბიძე



მოიძიეთ და მოისმინეთ არჩილ კერესელიძის სიმღერა „გინდ მეძინოს“, რომელიც კომპოზიტორმა გრიგოლ ორბელიანის ლექსზე („მუხამბაზი“) შექმნა.

- რომელ ცნობილ ქართულ კინოფილმშია გამოყენებული ეს სიმღერა?



ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1817-1845)

„ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და ჩვენდა თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი – ხედვისათვის, ყურნი – სმენისათვის. გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად და უბრძანა: ნადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება შენი და სიტყვით გული გაუთბეო“ (ილია ჭავჭავაძე).

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1817 წლის 27 დეკემბერს თბილისში, ანჩისხატის უბანში. მისი მამა, მელიტონი, იყო ხელმოკლე თავადი, გულუხვი და სტუმართმოყვარე, უყვარდა მწერ-

ლობა, თანამედროვეთა შორის ნასწავლ კაცად მიიჩნეოდა. პოეტის დედა, ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და, გამოირჩეოდა სათნოებით.

პოეტს წერა-კითხვა ოჯახში შეასწავლეს, 7 წლისა მიაბარეს კალოუზნის სამრევლო სკოლაში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ნიკოლოზი ბეჯითი, ნიჭიერი მოსწავლე იყო, განსაკუთრებით უყვარდა საღვთო ისტორია, სიტყვიერება და რიტორიკა-ლოგიკა. 1835 წელს დაასრულა გიმნაზიის კურსი „ქების ატესტატით“ და 18 წლის ჭაბუკი ცხოვრების გზას დაადგა.

პოეტის აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველმა ფილოსოფოსმა სოლომონ დოდაშვილმა, რომელიც მას ქართულ ენას ასწავლიდა. გიმნაზიაში მოსწავლეთა ლიტერატურული წრე შეიქმნა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ნიკოლოზი. ამ წრემ გამოუშვა ხელნაწერი ჟურნალის, „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“, რამდენიმე ნომერი, მის ფურცლებზე გამოქვეყნდა ბარათაშვილის ერთი პროზაული თარგმანიც.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დოდაშვილის დაპატიმრებამ ბარათაშვილზე დიდი გავლენა მოახდინა. როგორც ცნობილია, მაშინ შეიპყრეს გრიგოლ ორბელიანი, პოეტის ბევრი ნათესავი და უფროსი მეგობარი. ამ ამბით გამოწვეული განცდები პოეტმა ასახა ადრინდელ ლექსებში.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1835 წლის 6 ნოემბერს, ბარათაშვილი დაინიშნა საქართველოს უზენაესი კანცელარიის თანამშრომლად. „განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა“, – სწერდა იგი გრიგოლ ორბელიანს.

მოხელედ ქცეული პოეტი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. მის მიერ გადანერილი მრავალი დოკუმენტი მეტყველებს, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონია მოყვანილი.

ბარათაშვილი ეძებდა ჩინოვნიკური სამსახურიდან თავდაღწევის გზას, ბიძას ევედრებოდა დახმარებას. 1845 წელს გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისთვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ

კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

ლევან მელიქიშვილმა, რომელიც იმხანად ნახჭევანის¹ მაზრის² მმართველად იყო გამწესებული, თავისი თანაშემწეობა შესთავაზა. ბარათაშვილი მეგობარს სიხარულით დასთანხმდა. 1844 წლის ნოემბერს ის ნახჭევანში გაემგზავრა და შეუდგა ახალ საქმიანობას. იქ მსახურობდა 1845 წლის მარტის ბოლომდე. მაისში, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, პოეტი თბილისში, ძველ ადგილზე დააბრუნეს. ამის გამო მან გუბერნატორთან იჩივლა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ 24 მაისს იგი თელავის მაზრის მმართველის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს. პოეტი ემზადებოდა იქ წასასვლელად, მაგრამ მოულოდნელად განჯის³ მაზრის მმართველი მამუკა ორბელიანი ჩამოვიდა თბილისში და სთხოვა, თანაშემწედ წაჰყოლოდა. ბარათაშვილს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა მამუკასთან და დასთანხმდა. ივნისის ბოლო რიცხვებში განჯაში გაემგზავრა. მთელი ზაფხული და შემოდგომა თავგამოდებით მუშაობდა. მამუკა ხშირად თბილისში იმყოფებოდა, რის გამოც მართვა-გამგეობის მთელი სიმძიმე ბარათაშვილს აწვა კისერზე. აქ მას მალარია⁴ შეეყარა. ამას ზედ დაერთო გაციება და 1845 წლის 9 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში, დაკრძალეს იქვე, ისე, რომ არც გულის სატრფოს დაუტირია და არც დედის მწუხარე ცრემლი დასცემია.

1893 წლის 25 აპრილს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. ხოლო 1938 წლის 15 ოქტომბერს მუდმივი განსასვენებელი მიუჩინეს მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ივანე ლოლაშვილის მიხედვით

1. **ნახჭევანი** – ნახჩევანის (აზერ.) მაზრის ცენტრი. დღეს ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი. მდებარეობს ბაქოდან 450 კმ-ში დასავლეთით.
2. **მაზრა** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ რუსეთში.
3. **განჯა** – ამჟამად აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი.
4. **მალარია** – მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც ხასიათდება ანემიით, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით და ძლიერი ცხელებით.

შემოღობა მთანმიდავად

ჰოი მთანმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქრველნი, ვერანანი¹ და უდაბურნი
ვითარ² ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს სალამოს დაჰშეთენ³ ამოს⁴ ციაგნი ნელნი!⁵

ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა⁶ მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,⁷
და, ვით გუნდრუკსა⁸ სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნალვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვდიოდი
და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
ანცა⁹ რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავინყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს¹⁰, რომ დაშთოს¹¹ აქ ამაოება...
მაგრამ ვერ ჰსცნობენ, გლახ,¹² მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიაგნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო,¹³ ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაჰხსნას¹⁴ გულსა ვაება;
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჰსდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოჰსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცეებული?
მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე¹⁵, დისკოგადახრით შუქმიბინდული!

1. ვერანა – გავერანებული, ტიალი. 2. ვითარ – როგორ. 3. დაჰშეთენ – დარჩენენ. 4. ამოს – სასიამოვნოდ. 5. ციაგნი ნელნი – მკრთალი ციმციმი. 6. წარუტყვევს – დაატყვევებს. 7. ტაბლა წმიდა – უსისხლო მსხვერპლმენიერვის ადგილი საკურთხეველში. 8. გუნდრუკი – საკმეველი. 9. ანცა – ახლა. 10. ზენაართ სამყოფი – ცათა სასუფეველი. 11. დაშთოს – დატოვოს. 12. გლახ – სამწუხაროდ. 13. ცხოველი – აქ: ცოცხალი, მაცოცხლებელი. 14. დაჰხსნას – მოაშოროს. 15. მოარე – მოსიარულე.

ამგვარი იყო მთანმიდაზედ შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შვება!

ჰოი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება¹ შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

1836 (1843) წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ განწყობას ქმნის ლექსის დასაწყისი? რას უნდა მოელოდეს მკითხველი – ხალისიანი თუ სევდიანი ფიქრების განდობას?
2. რას ეხმიანება პოეტი ლექსის დასაწყისში?
3. როგორ არის აღწერილი მთანმინდა და მისი შემოგარენი? რით გვამახსოვრდება ისინი – კონკრეტული შტრიხებით თუ ბუნდოვანებით?
4. რას წარმოადგენს გარესინამდვილე? თავისთავადი მნიშვნელობის მქონე რეალობაა იგი, თუ მხოლოდ და მხოლოდ პოეტის სუბიექტური განცდებისთვის აუცილებელი ფონი? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. რა სანახაობა გადაეშალა „ტურფას სერზედ მდგომარეს“? რომელ შედარებებში იჩინა თავი რელიგიურმა სიმბოლიკამ? (დააკვირდით, რისთვის ახსენებს პოეტი სულიწმინდის მოფენის საეკლესიო დღესასწაულზე საკურთხევლის წმინდა ტაბლახზე მიმოხეულ ნაირფერ ყვავილებს).
6. საითკენ ისწრაფვის ლექსის ლირიკული გმირის ფიქრი, ოცნება?
7. რა როლს თამაშობს ლექსში „ცის პეიზაჟი“?
8. როგორ აისახა ლექსში რომანტიზმისთვის ნიშანდობლივი უსაზღვროებისაკენ სწრაფვა? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილები და იმსჯელეთ კლასში).
9. რას ენიჭება ლექსში მეტი მნიშვნელობა – განცდილის გახსენებას თუ თვით განცდას, რომლის შემსწრედ თავად მკითხველი იქცა? (პასუხი დაასაბუთეთ).
10. დაძებნეთ ლექსში ის ადგილები, რომლებიც პოეტის სულიერ განცდებსა და გარესინამდვილეს შორის არსებულ თანხმობაზე მეტყველებენ. რად იქცა ლექსის ბოლოს სადამო?
11. როგორ ფიქრობთ, რატომ ენაცვლება ლექსში ერთმანეთს 14 და 20-მარცვლიანი ტაეპების შემცველი სტროფები? მათგან რომელია უფრო ამალღებული ინტონაციის შემცველი და რომელი – აღწერილობითი ხასიათისა?

1. მჭმუნვარება – ჭმუნვა, ნალველი.

ეს სანიტარეოა!

სახელწოდება „მთანმინდა“

„ამ მთას მუდამ მთანმინდისას ეძახდნენ, თან წმ. დავითის¹ სახელის გამო კი არა, არამედ მეტოქის გამო წმ. ათონის მთისა, ანუ ნამდვილად წმინდა მთისა... ქართველებს შესანიშნავი ჩვეულება ჰქონდათ, გადმოეტანათ კლასიკური თანამორწმუნე საბერძნეთიდან და პალესტინიდან თავის ქვეყანაში ქრისტიანული ტაძრების ნიმუშები და მათი აღშენებისას მათთვის თავდაპირველი სახელწოდებები მიეცათ...“

ამგვარად, ათონის წმ. მთიდან მიიღო სახელი მთამ, თფილისის დასავლეთი მხრიდან რომ მბრძანებლობს, ხოლო აქ შექმნილ ეკლესიასაც ქართულად მთანმინდისა ეწოდა. აქედან ამ მიდამოს სახელწოდება IX საუკუნეს მიეკუთვნება, ე. ი. ათონზე მთანმინდის მონასტერთა განვითარებისა და გავრცელების დროს, სადაც მაშინვე მოეწყო ქართველთა მონასტერი „ივირონიც“, რომელსაც სამართლმადიდებლოში ეგზომ ცნობილი კარის ღმრთისმშობლის, პორტაიტისას,² სახელი ეწოდა“.

პლატონ იოსელიანი³ („აღწერა თფილისის სიძველეთა“)

თვალსაზრისი

ლექსის ფინალის ორგვარი გააზრება

„ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე არასდროს შეუპყრია სევდას, რომ იმედის გამოვლენის გზა დახშობოდა. იგი საიმედოსა და სასიხარულოს ეძებდა ყველგან, როგორც ბუნების ნიაღში, ისე ადამიანთა საზოგადოებაში. მართალია, ეს ძიება ყოველთვის ნაყოფიერი არ იყო, რადგან იგი არც ბრძოლის ნათელ პროგრამას შეიცავდა და არც სავსებით ჩამოყალიბებულ იდეალს, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი ძიებაზე უარს მაინც არასოდეს ამბობდა. მას სჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

გრიგოლ კვიციანი

„თვით ფინალიც ამ ლექსისა, რომელსაც ხშირად ოპტიმისტურად მიიჩნევენ, მოკლებულია ქმედით, აქტიურ პათოსს. იგი უფრო სინამდვილესთან შერიგებაზე მეტყველებს და არა მასთან შებრძოლებაზე. იმედი, ნუგეში აქ გამოთქმულია თითქოს იმავე სევდიანი კილოთი, რომელიც მთელ ლექსს გასდევს, რადგან ეს არის არა ბედისწერის დაძლევის გამომხატველი განწყობილება, არამედ თვით სამყაროს კანონზომიერებაში რაღაც მასთან შემრიგებლის, შემგუებლის აღმოჩენის ცდა...“

გურამ ასათიანი

■ **განიხილეთ კლასში ეს ორი თვალსაზრისი და გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია.**

1. **წმ. დავითი** – VI საუკუნეში თავის 12 თანამოაზრესთან ერთად სირიიდან ჩამოსული ბერი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ჯერ თბილისში, მთანმინდაზე დამკვიდრდა, ხოლო შემდგომ გარეჯის უდაბნოში გადავიდა. მთანმინდის კიდეც ერთი სახელწოდება, „მამა დავითი“, სწორედ მისგან მომდინარეობს. 2. **კარის ღმრთისმშობელი, პორტაიტისა** – ათონის ივერიის მონასტრის ღვთისმშობლის ხატი. 3. **პლატონ იოსელიანი (1809-1875)** – ცნობილი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და ჟურნალისტი.

ეს საინტერესოა!

გერონტი ქიქოძე წერდა: „თავის ელეგიაში „შემოღამება მთანმიდაზედ“, ქართული შემოქმედი სულის ამ უდიდეს ძეგლში, ბარათაშვილმა განსაცვიფრებელი პოეტური სიძლიერით „ადგილნი ვერანანი და უდაბურნი“ გარდააქცია მისტიკური და წინააღმდეგობის შინაგანი ბრძოლების, ტანჯული სულის გამომხატველ სარკედ“.

გერონტი ქიქოძეს ამ შედეგზე მსჯელობისას ახსენდება გერმანელი მისტიკოსი მხატვრის, **არნოლდ ბიოკლინის** (1827-1901), ფერწერული ტილო „მიცვალებულთა კუნძული“, რომელშიც, მისივე თქმით, ბუნება ასევე მწუხარება და სევდიანი, აღსავსეა რაღაც გამოუთქმელი მისტიკური იდუმალებით...

(სხვათა შორის, ამ სურათის მიხედვით რუსმა კომპოზიტორმა, **სერგეი რახმანინოვმა**, შექმნა სიმფონიური ფანტაზია).



მიცვალებულთა კუნძული. მხატვარი არნოლდ ბიოკლინი

■ დააკვირდით ბიოკლინის სურათის რეპროდუქციას. რით შეიძლება მოგვავგონოს მისმა ხილვამ „შემოღამება მთანმიდაზედ“?



კარგი იქნება, თუ კლასში რახმანინოვის მუსიკის ჩანაწერსაც მოისმენთ.

მერანი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედი¹ შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი²
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!³
ნუ შეეფარვი,⁴ ჩემო მფრინავო, ნუცა⁵ სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა;
საც⁶ დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!⁷
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი!
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის⁸ მინდვრის
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა⁹ ზარით¹⁰, ღრიალით მიწას მომაცრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ¹¹ სვავნი მყივარნი!¹²
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის¹³ სამძღვარი;
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!¹⁴
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა¹⁵ მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად¹⁶ ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი¹⁷, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე¹⁸ თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

1. თვალბედი – თვალბოროტი, საბედისწერო. 2. სამძღვარი – საზღვარი. 3. სავალნი დღენი – (ცხოვრების) დარჩენილი დღეები. 4. ნუ შეეფარვი – ნუ მოერიდები. 5. ნუცა – ნურც. 6. საც – სადაც. 7. ლტოლვა – ქროლა. 8. ტიალი – ვრცელი, ტრიალი. 9. შთენილი – დარჩენილი (ძვალნი შთენილნი – ჩონჩხი). 10. ზარი – აქ: გლოვა. 11. მივალალებენ – მიგლოვენ, დამიტირებენ. 12. მყივარნი – მომყივარნი. 13. ბედი – ბედისწერა. 14. მისგან ოხერი – მისგან განწირული. 15. მისი ბასრი – მისი (ყორნის) ბასრი (კლანჭები). 16. ცუდად – უშედეგოდ, უაზროდ. 17. თელილი – გაკვალული. 18. ჰუნე – ცხენი, რაში.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა სიტყვებით იწყება ლექსები „შემოლამება მთანმიდაზედ“ და „მერანი“? რომელი ლექსის დასაწყისში იგრძნობა მოქმედების მძლავრი იმპულსი?
2. რისკენ ისწრაფვის „თავგანწირული მხედარი“?
3. რა აბრკოლებს მერნის ქროლას?
თქვენი აზრით, რისი სიმბოლოა შავი ყორანი?
4. რომელი სალექსო საზომების მონაცვლეობით გამოიხატა „ბედის სამძღვრის“ დაძლევის მძაფრი სურვილი? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილები).
5. როგორი გზა აურჩევია მხედარს?
6. რა უნდა მოჰყვეს „განწირულის სულისკვეთებას“?
ვის უნდა მოხმარდეს მსხვერპლის გაღებით შეძენილი სულიერი გამოცდილება?
7. დავით გურამიშვილი წერდა:
„ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
კაცს სად არ უნდა, წაიყვანს, ყელზედ საბელი უბია“.
ვინ სცადა ამ საბლის გადაჭრა?
8. პავლე ინგოროყვამ „მერანში“ მიაგნო „ვეფხისტყაოსნის“ გავლენის კვალს.
თქვენი აზრით, „ავთანდილის ანდერძის“ რომელ ადგილებზე შეაჩერებდა ცნობილი მკვლევარი ყურადღებას?
9. 1842 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერილით აცნობებს, რომ მან შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების გამო ლექსი დაწერა. ბარათაშვილი „მერანის“ ტექსტს წერილში სრულად რთავს და იქვე დასძენს: ამას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრადო.
როგორ გგონიათ, მართლა ასე უცებ დაიწერა „მერანი“, თუ მის იდეას პოეტი ადრინდნვე ატარებდა და ძვირფასი ადამიანის დატყვევების ფაქტმა დააჩქარა მისი საბოლოო ხორცშესხმა? (პასუხი დაასაბუთეთ).

თვალსაზრისი

„მერანი“ ნამდვილი ჰიმნია გმირობისა. აქ გადმოცემულია ტიტანური, ქართველიანი ამბოხება ადამიანის სულისა. თავგანწირული მხედარი ეკვეთება თვით ბედისწერას, მის ნებისყოფას ვერ ბორკავს ვერავითარი ეჭვი, მას არ აშინებს თვალბედითი ყორნის ჩხავილი, მისი მერანი მისცემია დაუსრულებელ ქროლვას იმ რწმენით, რომ გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება და მის შემდგომად მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდება. “

პავლე ინგოროყვა

„მერანი“ გენიალური ლირიკული ქმნილებაა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც. იგი უაღრესად ნოვატორული მოვლენაა და, იმავე დროს, კლასიკურიც თავისი სრულყოფილი ფორმით.“

აკაკი განერელია

ეს საინტერესოა!

„თვალბედითი შავი ყორანი“

ნაიკითხეთ ხალხური ლექსი:

ზენ¹ ბაცალიგოს² თოვლი თოვს,
ქვენ³ ბაცალიგოს შრებაო,
თინიბექაურთ ციხესა
კუთხი მარჯვენა სქდებაო,
ზედა ზის შავი ყორანი,
ლიბოში⁴ გველი ძვრებაო,
შიგა წევს თინიბექაი,
გულსუნადინოდ⁵ კვდებაო,
გვერდს უზის ქალი ლამაზი,
სანთელივითა დნებაო.

რისი სიმბოლოა ყორანი ამ ლექსში?

ვინ შეურჩია ბარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური?

„... დღეს ყველას გვჯერა და გვწამს, თითქოს თვითონ პოეტმა შეარჩია სათაურად „მერანი“.

ახლა კი ღირს ერთგვარი რიდიტა და მოკრძალებით ვახსენოთ სახელი იმ ადამიანისა, ვინც პირველმა დაანათლა ამ უკვდავ ლექსს სათაურად „მერანი“... ეს კაცი გახლდათ ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **დავით ჩუბინაშვილი**.

დავით ჩუბინაშვილმა სამშობლოდან შორს, პეტერბურგში, ორ ნაწილად დაბეჭდა ჩვენი კაზმულსიტყვაობის პირველხარისხოვანი ნიმუშები. მის მიერ შედგენილ და 1863 წელს გამოცემულ „ქართული ქრესტომათიის“ მეორე ნიგნის 129-ე გვერდზე ბარათაშვილის შედევრი დასტამბულია სათაურით „მერანი“... რა თქმა უნდა, დავით ჩუბინაშვილს შორს არ მოუხდებოდა „ნასვლა“, სახელი „მერანი“ თვითონ უკვდავი ლექსის სტრიქონებში ბორგავდა, მაგრამ საჭირო იყო გემოვნება და პოეზიის მაღალი გრძნობა ერთადერთი, საუკეთესო ვარიანტის მისაგნებად...

ამ გრანიტისებურ, მაგრამ თანაც მღელვარე და ემოციურ სათაურს საყოველთაო სახალხო დიდება დაუმკვიდრა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ბარათაშვილის საკაცობრიო ღირებულებებზე ყველგან „მერანის“ სახელწოდებით ლაპარაკობდა: „ჩემი ფიქრით „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“.

1. ზენ – ზემო. 2. ბაცალიგო – სოფელი პირაქეთ ხევსურეთში. 3. ქვენ – ქვემო. 4. ლიბო – საძირკველი. 5. გულსუნადინოდ – უნდომლად.

ამ სახელწოდებით ხშიანობს ეს ლექსი პოეტების, კრიტიკოსების, ფილოსოფოსების, ესეისტებისა და ესთეტიკოსთა ნათქვამებსა და ნააზრევში. ასე გადაიზარდა პოეტისეული სტრიქონი „მირზის, მიმაფრენს“ ჩუბინაშვილისეულ სათაურში „მერანი“.

სიმონ სხირტლაძე

იღაათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში

ქვემოთ წარმოდგენილ ნამუშევარზე, რომელიც ინგლისელ მხატვარს ჯეიმს უორდს ეკუთვნის, ნაპოლეონის¹ მხედრის გარეშე დარჩენილი ცხენი — მარენგოა — გამოსახული. აქვეა (სურათის მარჯვენა ქვედა კუთხეში) „თვალბედითი შავი ყორანიც“. მარენგო ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ დაატყვევეს ინგლისელებმა და, როგორც ძვირფასი სამხედრო ნადავლი, ინგლისში გააგზავნეს. ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხებული ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს.



■ დააკვირდით მხატვრის ნამუშევარს, როგორ და რა საშუალებებით მოგვითხრობს იგი მარენგოს მხედრის ტრაგიკულ ბედზე?

1. ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821) — ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა კორსიკაში. კარიერა დაიწყო როგორც უმცროსმა ლეიტენანტმა (1785) და დაასრულა როგორც საფრანგეთის იმპერატორმა (1804-1815). 1813 წელს ნაპოლეონის არმია დაამარცხეს კოალიციის (რუსეთი, ინგლისი, ავსტრია) ჯარებმა და ნაპოლეონი ხმელთაშუა ზღვის კუნძულ ელბაზე გადაასახლეს, საიდანაც ის გამოიქცა და კვლავ დაიბრუნა ძალაუფლება, თუმცა მხოლოდ

■ წაიკითხეთ რომანტიკოსი პოეტების ჰაინრიხ ჰაინესა და ჯორჯ გორდონ ბაირონის ნაწარმოებები და იმსჯელეთ, რა საერთო აქვთ მათ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანთან“?

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი,
განსასვენებელს სად ჰპოვებს ბინას,
სამხრეთში, სადაც სიცხე დგას მძლავრი,
თუ ჩრდილოეთში რაინის პირას?

* * *

ვინ იცის, იქნებ სადმე უდაბნოს
უცხო მოზარემ დამმარხოს ვიშით,
ან მოვისვენო ადგილს უდაბურს,
გადაფარულმა ზღვის ლურჯი ქვიშით.

* * *

რა უშავს! იქაც ზეცის ნათელი
შემომეხვევა გაშლილ მკლავებით,
ჩემს თავზე, როგორც ცხედრის სანთლები,
იციმციმებენ ცის ვარსკვლავები.

მთარგმნელი ვახტანგ ბენუკელი



ჰაინრიხ ჰაინე (1797-1856) — გერმანელი რომანტიკოსი პოეტი. მისი ლირიკული ლექსები გერმანულ კომპოზიტორთა არაერთ მუსიკალურ კომპოზიციას დაედო საფუძვლად.



ჯორჯ გორდონ ბაირონი (1788-1824) — ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი. მას უდიდესი პოპულარობა მოუტანა ლირიკული პოემის „ჩაილდ-ჰაროლდის მოგზაურობის“ გამოქვეყნებამ. პოემის მთავარი პერსონაჟის სახელი სინამდვილის წინააღმდეგ ამბოხებული რომანტიკული გმირის სინონიმად იქცა. პოემა დაწერილია დღიურის ფორმით, ტექსტში ხშირად გვხვდება ავტორის ჩანართები ლირიკული გადახვევების სახით.

ჩაილდ-ჰაროლდის დამშვიდობება

(ნაწყვეტები პოემიდან)

1.

მშვიდობა შენდა! მშობელი მხარე
ლურჯ წყლების მიღმა ინთქმება სადღაც,

100 დღით. 1815 წლის 18 ივნისს ბელგიის სოფელ ვატერლოოსთან იგი საბოლოოდ დამარცხდა და ამჯერად უფრო შორს, ატლანტის ოკეანის წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს. ნაპოლეონის პიროვნება, მისი თავბრუსხვევი კარიერა, შეუპოვრობა და ბედთან შეურიგებლობა არაერთი რომანტიკოსი ხელოვანის შთაგონების წყაროდ იქცა. მას უძღვნიდნენ ლექსებს (ნ.ბარათაშვილსაც აქვს დაწერილი ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ლექსი) რომანტიკოსი პოეტები და ხატავდნენ რომანტიკოსი მხატვრები.

ქარი და ტალღა ქვითინებს მწარედ და თოლიები წივიან მალღა. კვალდაკვალ მივდევთ ჩამავალ მზეს და მივეგებებით სიღრმეს ზღვებისა, მშვიდობა მზეს და მშვიდობა შენდა, მშობელო მინავ, ღამე ნებისა.

2.

მალე გაჩნდება ნათელი მზისი, აელვარდება დიადი დილა, სხვის ზღვებს და ველებს ვნახავ ხალისით, საკუთარისას გავურბი ხილვას. ჩავაქრე კერა და ბედს მივენდე, დავუთმე სახლი თქემს და ცივ ქართა, ბალახბულახი ეხვევა კედლებს და ჩემი ძალი ყმუის ჭიშკართან.

3.

მომიახლოვდი, ჩემო ფარეშო, მითხარი, რატომ ოხრავ და ტირი,

იქნებ გაშინებს ზვირთთა თარეში ან დაბჩენილი გრიგალის პირი. შეიშრე ცრემლი, გაექეც დარდებს, თუნდ მიეხეთქოს ტალღაზე ტალღა, თვით შავარდენიც ვერ ინავარდებს ამ ჩვენს უმტკიცეს ხომალდზე ღალად.

10.

ჭირს და ლხინს შენთან რომ ვიზიარებ, ხომალდო ჩემო, წინ გასწი ჩქარა, რა ქვეყნადაც გსურს, იქ ჩამიყვანე, ოღონდ ჩემსაში — არა და არა! სალამი ტალღას ცისფერთვალეებს, და როს დაგტოვებთ, ზვირთნო ზღვებისა, თქვენ, უდაბნონო, მოგესალმებით, სამშობლოვ ჩემო, ღამე ნებისა!

მთარგმნელი მოსე ქარჩავა



კომპლექსური დავალება 3. ზეპირი პრეზენტაცია მოცემულ თემაზე

სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე: „იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში“. პრეზენტაციაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალური მასალა (მაგ., ფოტო, სქემა, ცხრილი). ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5-6 წუთი.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
- ყორნის სახე-სიმბოლოს უძველესი წარმოშობა; რას აღნიშნავს ის და რამ განაპირობა ამ სახე-სიმბოლოს ფართოდ გავრცელება რომანტიკულ ხელოვნებაში – შესაბამისი მასალის დამონშებით;
- რა აერთიანებს ნ. ბარათაშვილის „მერანს“, ჰ. ჰაინესა და ჯ.გ. ბაირონის წარმოდგენილ ნაწარმოებებს; რამ განაპირობა იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში – კონკრეტული ადგილების დამონშებით;
- თქვენი თვალსაზრისი და დამოკიდებულება სამსჯელო საკითხის შესახებ.

ხმა იღუმალი

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?

რა ვჰსცან¹ პირველად წუთისოფელი,
დავჰშთე² ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმანვილობის
სწორთა, თანზრდილთა,³ მეგობართ შორის, –
მას აქეთ ხმა რამ თან ჰსდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და სანადელთა!

ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად
სულ ერთსა მიწვრთნის⁴ გულისა ჭირად:
„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი⁵ შენი,
ვინძლო⁶ იპოვნო შენი საშვენი!“⁷
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ
და მით კაეშანს⁸ ვერლა ვიშორებ!

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინიდისისა?
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა.⁹

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,¹⁰
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს¹¹ ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

1836 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა როლს თამაშობს ლექსის დასაწყისში დასმული ორი კითხვა? როგორი საერთო ჟღერადობა განაპირობა ამ კითხვებმა?
2. რა კითხვა ჩაესმის პოეტს გამუდმებით?
3. რატომ იჩინა თავი შინაგანმა გაორებამ?
4. შესაძლებელია თუ არა ადამიანის მიერ თავისი ხვედრის წინასწარ განსაზღვრა?

1. ვჰსცან – შევიცანი. 2. დავჰშთე – აქ: დავტოვე. 3. თანზრდილნი – თანატოლები. 4. მიწვრთნის – მარწმუნებს, მიმეორებს. 5. მხვედრი – ხვედრი, წილი. 6. ვინძლო – იქნებ. 7. საშვენი – შესაფერისი. 8. კაეშანი – სევდა, მწუხარება. 9. საქენჯნავი – მოსანანიებელი. 10. რას მომისწავებ? – რას მპირდები? 11. როს – როდის.

5. „...მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ – სწერდა პოეტი გრიგოლ ორბელიანს 1843 წელს.
- ეხმიანება ეს წერილი ლექსს „ხმა იდუმალი“?
- თქვენი აზრით, რა იგულისხმა პოეტმა „ასპარეზში“?
- რა სხვა ახალი ასპარეზისკენ ლტოლვა იგრძნობა ლექსში?
6. გაიხსენეთ „შემოღამება მთაწმიდაზედ“. რის შეუცნობლობაზეა მასში საუბარი?
- რომელ შეუცნობელ სამყაროს გულისხმობს „ხმა იდუმალი“?
7. ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ხმა იდუმალი“ 19 წლისამ დაწერა. რით არის მნიშვნელოვანი ეს ფაქტი?

სულო ბოროტო

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი¹, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სანმუნოება?

ამას უქადდი² ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას?
თითქოს მაძღვედი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა³ ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა,
ბრმად ვუმსხვერპლიდი⁴, მივანდობდი ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი⁵ უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო⁶, სულით მახვრალი⁷?
ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს⁸ ხელი შენი მსახვრალი⁹!

1843 წ.

1. მარქვი – მითხარი. 2. უქადდი – ჰპირდებოდი. 3. გაცუდდა – განქარდა. 4. ვუმსხვერპლიდი – მსხვერპლად ვწირავდი. 5. დაშთენილი – დარჩენილი. 6. გულით უნდო – გულით მიუნდობელი. 7. მახვრალი – ვინც ოხრავს, მკვნესარე. 8. მოჰხვდეს – შეეხოს. 9. მსახვრალი – მსახვრელი, გრძნეული, ჯადოს მქონე.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. გაიხსენეთ „ხმა იდუმალი“. გაავლეთ პარალელი იდუმალ ხმასა და ბოროტ სულს შორის.
2. რა დაპირებებით უცდუნებია ბოროტ სულს პოეტი?
3. რას ნიშნავს „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“?
4. როგორ მოვიხსენიოთ ლექსის ლირიკული გმირი? – გამარჯვებულად, დამარცხებულად, თავგანწირულად, თუ...
5. განსაზღვრეთ ლექსის ძირითად მოტივი.
6. მოიძიეთ ტექსტში ცალკეული ფრაზები, კითხვები, შორისდებულები, ეპითეტები, ჩივილისა და მუქარის გამომხატველი რიტორიკული მიმართვები, რომლებიც სასწარმკვეთილების განწყობილებას გადმოსცემენ.
7. რომელი ფრაზით გადმოიცა ბოროტ სულთან აქტიური დაპირისპირება?
8. შუასაუკუნეების ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, **ბოროტება** უარსოა, ე. ი. იგი ღვთისგან არ არის დაბადებული (გაიხსენეთ რუსთაველი: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს“). რომანტიკოსები ამ საკითხს სხვაგვარად იაზრებენ. იზიარებს თუ არა შუასაუკუნეების თვალსაზრისს „სულო ბოროტოს“ ავტორი? მისი აზრით, ბოროტება უარსოა თუ არსის მქონე (ე. ი. ობიექტური რეალობა)?



ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ლექსი გამოყენებულია ზაქარია ფალიაშვილის ოპერის – „დაისის“ – ლიბრეტოში, როგორც ერთ-ერთი არიის ტექსტი. მოიძიეთ ინფორმაცია, ვინ არის ამ ლიბრეტოს ავტორი. მოუსმინეთ საოპერო სპექტაკლს (ხელმისაწვდომია ინტერნეტშიც) და გაარკვიეთ, რომელი მოქმედი გმირი მღერის ამ არიას და რამდენად შეეფერება ეს ლექსი ოპერის ლიბრეტოს.

ჩემი ლოცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!
ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტკივილი,
ოღეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰოი, სახიერო¹, რად წარვიკვეთ² მე სასოებას³?
პირველ უმანკომ თვით ადამამაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა⁴ წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა⁵ იხილა სასუფეველის მან ნეტარება.

1. სახიერო – უფლისადმი მიმართვის ფორმა. 2. წარვიკვეთ – მოვისპობ, მოვიშორებ.
3. სასოება – იმედი, ნუგეში. 4. უმსხვერპლა – მსხვერპლად შესწირა. 5. გარნა – მაგრამ.

ცხოვრების წყაროვ¹, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმოზანი² გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთამხილაგო³, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე.
და ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ⁴ შენდა სათქმელად?
მაშა, დუმილიც მიითვალენ⁵ შენდამი ლოცვად!

1840 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. წაიკითხეთ ძე შეცდომილის იგავი (ლუკას სახარება, 15, 11-32). როგორ აისახა ეს იგავი ბარათაშვილის ლექსის I სტროფში?
2. რატომ ახსენებს პოეტი ადამის ცოდვას? სახარების მიხედვით, ცოდვით დაცემის მიუხედავად, რა ებოძა ადამს ღვთის წყალობით?
3. რა შეამზადა ძველი და ახალი აღთქმის ტექსტთან შეხმიანებამ? რას შესთხოვს პოეტი უფალს?
4. რისი იმედი ენაცვლება ცოდვით გამოწვეულ მტანჯველ განცდას?
5. რამ განაპირობა ლექსში მიმართვების სიმრავლე?
6. ლოცვის მსგავს ამ ლექსში გამოყავით მიმართვა, თხოვნა-ვედრება და ღვთის დიდება.

ვპოვე ტაძარი

ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ⁶ ერთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი
და განისმოდა ციურთ დასთა⁷ გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს

1. ცხოვრების წყარო – მაცხოვარი. 2. სალმოზა – ტკივილი. 3. გულთამხილაგო – უფლისადმი მიმართვის ფორმა. 4. რალა დაუშთ – რალა დარჩათ. 5. მიითვალენ – ჩამითვალე. 6. მუნ – იქ. 7. ციურნი დასნი – ანგელოზთა გუნდი.

ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ¹ აღვსებულს
მეგონა, ვჰხედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!

მაგრამ სანუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს²,
მის ნაცვლად სევდა და წყვილია დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი! –
არა, მოსდაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგემის კარი
და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი!

1841 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა სულიერი დატვირთვა შეიძინა უდაბნოში მდგარმა ტაძარმა ლექსის დასაწყისში?
2. რას ეძიებდა პოეტი ტაძარში?
რა მსხვერპლი გაიღო მან?
3. როგორ აისახა ლექსში რომანტიზმისთვის დამახასიათებელი შინაგანი პიროვნული გაორება?
4. რა ერთადერთი რიტორიკული კითხვაა ლექსში დასმული?
მოძებნეთ იგი და შეეცადეთ გაარკვიოთ, რა მოჰყვა ამ კითხვას?
5. როგორ არის ნაჩვენები თავდაპირველი ილუზიების სრული გაქრობის ტრაგიზმი?
რა ბედი ეწია ღვთის ტაძარს, ციურ გალობას, „უქრობელ“ წმინდა ლამპარს?
6. ყოველივე იცვალა, განქარდა. რას არ უცვლია სახე?
7. ნიკოლოზ ბარათაშვილს რომელ ლექსს ეხმიანება „ვპოვე ტაძარის“ ფინალი?
8. არსებობს ასეთი მოსაზრება: „ვპოვე ტაძარი“ მომენტალური განწყობილების ასახვაა და არა ისეთი სულიერი მდგომარეობის, რომელიც პოეტის საერთო თვალსაზრისს, მის მსოფლმხედველობრივ პოზიციას შეესატყვისება“ (გრიგოლ კიკნაძე).
განიხილეთ კლასში ეს თვალსაზრისი. გაითვალისწინეთ ბარათაშვილის სხვა ლექსები. გამოხატეთ თქვენი პოზიცია.

1. ესრეთ – ამგვარად. 2. არ ასადარებს – არ ეკარება.

გავიხსენოთ განვლილი მასალა

უდაბნო, ტაძარი

ბიბლიის თანახმად, უდაბნო მიიჩნეოდა ეშმაკეულ ძალთა სამყოფლად, ღვთის მადლს მოკლებულ გარემოდ, ქაოტურ ძალთა სამკვიდროდ. ამიტომ უდაბნო იყო ცდუნების ადგილიც და, ამასთანავე – განმარტოების, სულიერი ჭვრეტის, თვითჩალღვების, ბოროტების დათრგუნვის, ღვთაებრივი გამოცხადების ადგილიც... უდაბნოში დაყო 40 დღე თვით ქრისტემაც. უდაბნოში მოღვაწეობდა იოანე ნათლისმცემელი. ბერ-მონაზვნებიც უდაბნოში განმარტოვდებოდნენ ხოლმე. „უქმი უდაბნო“ მათი სამოღვაწეო ასპარეზი იყო. ამასთანავე, ნეტართა ღვაწლით უნდა აღორძინებულიყო უნაყოფო უდაბნო... ბერების მიერ მისი აღორძინება, „ქალაქ-ყოფა“, სამონასტრო კერების დაფუძნება სულიერ აღორძინებასაც მოასწავებს. „უქმი უდაბნო“ სულიერი სამოთხის საპირისპიროა. ადამიანის ამაღლებით უდაბნოს „ქალაქყოფაც“ ხდება. ბერნი მინა წმინდა მინად იქცევა და კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ბერები ღვთიური ქალაქის, ანუ „ზეციური იერუსალიმის“, ზეციური სასუფეველის წესს ამკვიდრებდნენ ნუთისოფელში.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ნაწყვეტი კომენტარიდან.
(„ქართული ენა და ლიტერატურა. ძველი მწერლობა“.
X კლასის სახელმძღვანელო).

* * *

რად ჰყვედრი¹ კაცსა, ბანოვანო², პირუმტკიცობას³?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
რომ არ გემსჭვალვის⁴ საუკუნო ტრფიალებითა?
ჰგავს⁵, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების,
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალეზი,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!

მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა⁶,
რად გრწამს, არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს⁷,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო⁸ მადლით დაუხსნელად⁹ დამტკიცებულსა!

1. ჰყვედრი – აყვედრი, საყვედურობ. 2. ბანოვანი – ქალბატონი, მანდილოსანი. 3. პირუმტკიცობა – უპირობა, მერყეობა. 4. გემსჭვალვის – გეთვისება, გიერთდება. 5. ჰგავს – ჩანს, ეტყობა. 6. ვით კერძოსა ღვთაებობისა – როგორც ღვთის ნაწილს. 7. მდგომარებს – არის, არსებობს. 8. ზეგარდმო – ზეციური, ღვთაებრივი. 9. დაუხსნელად – მარადიულად.

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ესთ სანუკველი¹,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

1842 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რას უპირისპირებს პოეტი „ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას“ ლექსის დასაწყისში?
2. რას ანიჭებს უპირატესობას პოეტი – სილამაზეს თუ მშვენიერებას? (პასუხი დაასაბუთეთ სათანადო ციტატებით).
3. რა ყოფილა აუცილებელი მარადიული სიყვარულისთვის?
4. როგორ არის დასაბუთებული ტრფობის საუკუნო მადლის უცილობელი არსებობა?
5. რაში პოულობს პოეტი „მშვენიერი სულის“ საოცნებო იდეალს?
6. რას ემსგავსება „მშვენიერ სულთა“ სიყვარული?
7. შეეცადეთ თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ ლექსის IV სტროფის შინაარსი.
8. ყოველდღიურობით განპირობებული თუ მასზე ამაღლებული სიყვარულის მეხოტბეა ნიკოლოზ ბარათაშვილი?



წვითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 4. ანალიტიკური ესეს დაწერა მოცემულ თემაზე

ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი“.

თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიხმეთ სათანადო მაგალითები ტექსტებიდან და გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- როდის და სად აღმოცენდა რომანტიზმი, როგორც მხატვრული მიმდინარეობა;
- სამყაროს როგორი აღქმა დაედო საფუძვლად რომანტიკოსთა მსოფლხედვასა და მხატვრულ მეთოდს;

1. ესთ სანუკველი – ესოდენ სანუკვარი, სასურველი.

- რა ძირითადი მახასიათებლები გამოარჩევს რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას;
- რომანტიკული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ რომელ წამყვან თემას უჭირავს ცენტრალური ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში;
- როგორ შეისხა ხორცი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებებში რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელმა სხვა თემებმა.

ცოდსცობის ანა

რომანტიკოსთა ქართული

ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთათვის არა მხოლოდ შინაარსობრივად იყო მახლობელი წარსული, არამედ ისინი ენობრივადაც მეტ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ ძველ ქართულთან. მხატვრული ენის მხრივ რომანტიკოსებს არქაისტებს უწოდებენ, რადგან ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ, რომ ძველი, არქაული სიტყვები და ფორმები დაამკვიდრონ თავიანთ შემოქმედებაში. გრიგოლ ორბელიანი, მაგალითად, მწერლის სტილისადმი დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავდა:

„გამოჩენილნი მწერალნი გვიხატვენ ჰაზრსა არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ ლამაზის ფორმითაც. სიტყუაცა მათი მომდინარებს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ დიდებულის სიამაყითა, ხან დამშვიდებული, ვითარცა დაწყნარებით რონინება ქალისა, და ხან მქუხარედ, ვითარცა შემადრწუნებელი რისხვა! მაშინ, მსმენელიცა უნებლიეთ მიჰსდევს სიტყვისა მის მიმდინარეობის ძალსა გულით გახარებული, გონებით მიზიდული, ღონე-მიტაცებული, დამონებული“.

ენის არქაიზაცია, პირველ ყოვლისა, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ რომანტიკოსი მწერლები შეძლებისდაგვარად იყენებენ მათთვის ნაცნობ გრამატიკულ ფორმებს ძველი ქართულისას.

გრიგოლ ორბელიანი:

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება“...

„დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით მათნიცა საფლავნი“...

ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც ოდეს გველევის“...

„ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო, ასრე მძლია და წარმტაცა, გლახ, გული“...

მაგრამ „არქაიზაციისკენ“ ეს მისწრაფება მხოლოდ ამგვარი, ძველი ქართულისთვის ბუნებრივი ფორმების გამოყენებით არ შემოიფარგლება. რომანტიკოსი მწერლები ლექსის საჭიროებისათვის ქმნიან არაერთ ხელოვნურ (ძველს მიმსგავსებულ) ფორმას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს და ბუნებრიობას უკარგავს მათ სტილს. მაგალითად, არქაიზების სურვილით აიხსნება პირის ნიშნების ზედმეტად, დანიშნულების გარეშე გამოყენება, სხვა ხელოვნური ფორმების შექმნა:

„ვითარცა ცეცხლი მარტოდა **ჰსჩანს** ველსა ზედა **ჰშთომილი**“...

„განჰვლე უდაბნო ოხერი, – სავსედ დაბებით შეჰქმენი“...

„ტახტი მზა გაქვს, **ჰგიებ** საცა“...

„რავდენტ ბანოვანთ შვენებანი, ახლად **მშლილობნი**“...

„ციურთა მჯობი **მშვენებლობაც** სხვათებრ მოსთვლილა“...

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ენა, თუმცა მასაც აღუბეჭდავს არქაულობის ტენდენცია, მაინც გამოირჩევა იმით, რომ მასში შედარებით ნაკლებად გვხვდება არაბუნებრივი, ხელოვნურად არქაიზებული ფორმები.

დავალბა. სცადეთ „მერანის“ ტექსტის ენობრივი ანალიზი (კერძოდ, არქაული და ხელოვნური ფორმების გამოვლენა მასში).

არქაული სიტყვების თავისებური გააზრების ერთი მაგალითი

გაიხსენეთ ავთანდილისა და თინათინის ურთიერთობის ყველაზე ამაღლებული მომენტი, როდესაც მეფე-ქალი სამწლიანი ყარიბობიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მიჯნურს ქებას ეტყვის მეგობრისთვის ერთგულების ფიცის მიცემის გამო:

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს **ზენაარისა**, ფიცისა!“

„ზენაარი“ სპარსული სიტყვაა და ზუსტად იმავეს ნიშნავს, რასაც ფიცი, ანუ აქ გამოყენებულია სინონიმური გამეორების ხერხი.

ზენაარი რომანტიკოსებს გაუაზრებიათ, როგორც ქართული სიტყვა, შედგენილი **ზენა** და **არის (არს)** სიტყვებისგან, და ის აზრობრივად დაუკავშირებიათ ღმერთთან, განგებასთან. ამიტომაც ის მოგვიანებით „გასწორებული“ ფორმითაც მოგვევლინა: **ზენაარსი**. დავით ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში მიგვანიშნებს ამ ცვლილებას: „**ზენაარი** – ზეცათა შინა არსი. მელექსეთ უხმარიათ ნაცვლად ღვთისა“...

ასე დამკვიდრდა და გავრცელდა არასწორად გაგებული სიტყვა XIX საუკუნის შემდგომ:

ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„(ვაჟის მამა) აძლევს მადლსა **ზენაარსა**, მზევ, შინ შემოდიო“.

„**ზენაარისა** მალღის განგებულებით ქვეყანა ესე ხრწნილებას ქვეშევრდომობს!“

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,

ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“...

დამატებითი საკითხავი

მიხეილ ჯავახიშვილი

ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი

(ნაწყვეტი რომანიდან „არსენა მარაბდელი“)

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი გარეუბანში მარმარილოს წყაროს პირდაპირ საკომენდანტო ქუჩის კუთხეში იდგა. ორსართულიანი შენობა კრამიტით იყო დახურული. მას თალიანი ფანჯრები ჰქონდა და ირგვლივ თეთრად და ცისფრად შეღებილი განიერი აივანი ერტყა, რომელსაც ზემოთ ქართული ხარატის არშია ჰქონდა მოვლებული. სახლი ორი მხრივ ბაღში იდგა. მზე გადაწურული იყო და აივნის ერთ მხარეს უკვე ჩრდილი დასწოლოდა.

ჭავჭავაძის სტუმრები ჰყავს. ყველანი ცხენებით და ფაიტონებით მოსულან. ეტლებიც და ცხენებიც მარმარილოს წყაროსთან შეუგროვებიათ და აბანავებენ, წყალს ასმევენ, რეცხავენ. მხლებელნი და მეეტლენი რიგის გამო მეთულუხჩეებს¹ და პატარა ბიჭებს ედავებიან. აივანი სტუმრებით არის შეკუნწლული. ხალიჩებით და ფარჩა-ხავერდის ბალიშ-მუთაქებით დაფენილ ტახტებზე ხნიერი და ახალგაზრდა კნეინები სხედან, ხოლო მათ წინაშე და მოშორებითაც ახალგაზრდა ვაჟები და რამდენიმე ხნიერი თავადი ზის, სდგას, სეირნობს.

ორ მრგვალ მაგიდაზე, თოვლივით თეთრ სუფრაზე ფაიფურის ჭურჭელი კრიალებს. იმგვარსავე მოზრდილ ლარნაკებში მასპინძლის ბალებიდან მოტანილი ხილი ქათქათებს. ჯერ მარიამობა არ ყოფილა და ხილი ნაკურთხი არ არის, მაგრამ რა ბედენაა: ჭავჭავაძის ოჯახი რუსულ-ევროპულ წესს მისდევს და აქაური ადათისგან მცირე რამელა შერჩენია. ზოგი სტუმარი ჩაის არა სვამს. მას ცივი თეთრი წინანდალი ურჩევნიან. ქალებმა კი ტკბილი მალაგა და პორტვინი დაიჩემეს, რომელსაც მასპინძლის ფრანგი მეღვინე ამზადებს წინანდალში. კნეინები ამ ღვინოს ბროლის ჭიქებით სრუტავენ და დაბალი ხმით საუბრობენ.

სამხედრო ფორმით გამოწყობილი მასპინძელი ეკატერინე-დიდის ნათლულია, ნაპაჟევი, ოდესღაც ვოლტერიანელი² და აჯანყებული, მერმე ყველაზე არისტოკრატიულ ნიჟეგოროდის პოლკის ბრწყინვალე პოლკოვნიკი და ახლა კი ქართველ მოხალისე რაზმის მეთაური, პოეტი, დიდი მემამულე, შვილი 1783 წლის უკვე დაფხრენილ ტრაქტატის³ ავტორისა და ერეკლე მეფის ელჩის გარსევანისა. ის შუა ტახტზე ჩამომჯდარა, ცივ წინანდალს სვამს, სტუმრებსაც ასმევს, შავსა და თხელ ულვაშებს იგრეხავს და ხნიერ ორბელიანებსა და თავის მომავალ სიძეს გრიბოდოვს დინჯ კილოზე ესაუბრება.

წვერ-ულვაშგაპარსულ გრიბოდოვს ლურჯი ფრაკი აცვია, მკერდზე ერთი ორდენი ჰკიდია, კისერი მაღალ საყელოში აქვს ჩამძვრალი და მოსაუბრეს დიდრონი სათვალეებით უგდებს ყურს. ხოლო ცივი თვალეები ოთხი ქალისკენ მიუბრუნდა და ვე-

1. **მეთულუხჩე** — თულუხით წყლის მზიდავი. **თულუხი** — წყლის საზიდი ტყავის ჭურჭელი.
2. **ვოლტერიანელი** — ვოლტერის იდეების მიმდევარი, თავისუფლად მოაზროვნე. **ვოლტერი** (1694-1778) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი. ის იყო თავისი დროის თავისუფლად მოაზროვნე (სტერეოტიპებით შეუზღუდავი) ადამიანის სიმბოლო.
3. **უკვე დაფხრენილ ტრაქტატის** — იგულისხმება, რომ 1801 წელს საქართველოს სამეფოს გაუქმებით რუსეთმა 1783 წელს დადებული ტრაქტატის პირობები დაარღვია.



ნინო ჭავჭავაძე, მხატვარი — მ. ვაძბოლსკი

ღარ გადაუჭრია, ოთხში ვინ უფრო ლამაზია: მარიამ ორბელიანი, მანანა ორბელიანი, მასპინძელი სალომე ორბელიანი თუ მისი უფროსი ქალიშვილი ცამეტი წლის ნინო, რომელსაც გრიბოედოვმა მურილიოს¹ მადონა შეარქვა და თვალიც დაადგა.

ქალებს ქართულად და ევროპულად აცვიათ. აივანი ორბელიანთა გვარეულობით არის სავსე და დიასახლისი კნეინა სალომეც დიდი სარდლის დავით ორბელიანის ჩამომავალია. აქ არიან გრიგოლი და მისი ძმა ზაქარია, ალექსანდრე, ვახტანგი, დიმიტრი, ყაფლანი, ლუარსაბიც და თეიმურაზიც და მელიტონის ეფემიაც.² უკლებლივ ყველა ახალგაზრდას სამხედრო მუნდირი ან ჩოხა აცვია. ხნიერებს კი ყურთმაჯიანი კაბა და ლამაზი ქულაჯა³ შეუნარჩუნებიათ.

ვაჟების ერთი ჯგუფი და სამი ლამაზი ქალი გრიგოლ ორბელიანს დაუტყვევებია, თვითონაც შუაში ჩამდგარა და ომის ამბებს უამბობს. თანაც ყველას და ყველაფერს ოდნავ ამასხარავენ. გრი-

გოლი ომში ქეიფს იყო მონყურებული და დანაკლისი ერთბაშად აინაზღაურა: ერთი დღე და ღამე ლოპიანას⁴ ბაღში გაატარა და ორმოცი მეგობარი დაათრო. ალექსანდრე ჭავჭავაძემაც იკადრა და ეწვია. ალექსანდრე ადრე გამოიპარა, სხვებმა კი ჯერ საარი⁵ მოისმინეს და მერმე დილის მწვადი გრიგოლის საკუთარ ბაღში განიწკნეს. ახლა კი თითქმის ყველანი ნაბახუსევი არიან და აქედან ყაფლან ორბელიანს გაჰყვებიან, რომელიც გრიგოლს მარმარილოს დუქანში გადაუხდის სამაგიეროს.

ჭავჭავაძე კახელია და სტუმართა შორის იქაური თავადებიც მრავლად მოსჩანან. ჩოლოყაშვილები, ქვაბულაშვილები, ვაჩნაძეები, მაყაშვილები და ჯორჯაძეები ორბელიანებს ეჯიბრებიან, და თუ მასპინძლის ასულს ნინოს სხვა ვინმე მოსტაცებს, ისინი ხელს ხმალზე გაიკრავენ და არასგზით არ დაანებებენ.

მელიტონ ბარათაშვილის ვაჟი, პატარა ტატე,⁶ თავის ტოლ-ამხანაგებთან, დავით

1. **მურილიო** — XVII საუკუნის ცნობილი ესპანელი მხატვარი.
2. **ეფემია ორბელიანი** — ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა.
3. **ქულაჯა** — ძვირფასი ქსოვილისაგან, ძირითადად ხავერდისაგან, შეკერილი ზედა ტანსაცმელი.
4. **ლოპიანა** — გრიგოლ ორბელიანის ლექსის პერსონაჟი. მიხეილ ჯავახიშვილი მას აქ რეალურად არსებულ პიროვნებად წარმოგვისახავს.
5. **სარი** — დუდუკის ტკბილი ჰანგი, რომელსაც დილაობით უკრავდნენ ხოლმე.
6. **ტატე** — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ჭავჭავაძესთან, ილია და ვახტანგ ორბელიანებთან, ლევან მელიქიშვილთან, დიმიტრი ყიფიანთან ქვემოთ, ბალში ერთობოდა. ახლა ეზოდან ამოტყორცნილი ბურთისთვის ამოსულიყო. კნენინა სალომემ თითის ქნევით მოიხმო იგი და ხმამაღლა მიმართა სტუმრებს:

– ბატონებო, გთხოვთ მშვენიერი ლექსი მოისმინოთ. ფრიად ნიჭიერი მომავალი მგოსანი თავისი ბიძის გრიგოლის „სადღეგრძელოს“ ნაიკითხავს.

ტატე გაინია, მაგრამ არ გაუშვეს. ყველანი სმენად გადაიქცნენ. დიასახლისმა გრიგოლი, მელიტონი და ეფემია მოიშველა, ანთლებულ ტატეს ყურში რაღაც დაპირება ჩასჩურჩულა და დაითანხმა. ბალმა ყოყმანით აჰხედა თავის ბიძას გრიგოლს, რომელიც ამქვეყნიურ ღმერთად მიაჩნდა, და როცა მის სახეზე სადასტურო ღიმილი დაინახა, ოდნავ გაფითრდა, დიდრონი აღმოდებული თვალები ჭერ-კედელს მოავლო და შემკრთალი ხმით დაიწყო.

ავტორის დისწულს ეს პოემა თავისებურად ჰქონდა შემოკლებული. მას რჩეული ნაწყვეტები ამოერჩია, ოსტატურად გადაება და დიდრონი პოემიდან ხუთიოდე წუთის საკითხავი ლექსი გამოეჭრა:

გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა სჩანან მამულის მფარველნი!
ზოგნი აზატის დამმხოზნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!

მკითხველს ხმა გაუმაგრდა, გაუკაჟდა, აღფრთოვანდა და სახეც შეეცვალა: გაფითრდა, ათრთოლდა და გულნასულს დაემგვანა. მხოლოდ თვალებმა მოუმატეს კრიალს და ხელებმაც მოუხშირეს კანკალს. შემდეგ ერევის დილა ჩაიკითხა და შთაგონებით დაასრულა:

ჩვენც აღვდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ!
და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ!
დასრულდა, გაჰქრა სიზმარებრ ესე ლხინიცა ღამისა...
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხვედრისა!

დაასრულა, მოსხლტა და გაიქცა, თანაც ტაში და „ვაშა“ გაიყოლა. სტუმრების ტაში და აღფრთოვანებული თვალები ახლა ამ ლექსის ავტორს მიუბრუნდა. გრიგოლი თვითონაც ოდნავ ფერნასული იყო და ყველას თავდაჭერილ სალამს აძლევდა, თვალებით კი უკვე შემწიფებულ ნინოს ელამუნებოდა, რომელიც თითქო სხვებზე მეტად იყო მოხიბლული და მის თვალებსა და ღიმილში მადლობა და აღტაცება თრთოდა. ერთ ლექსს მეორე და მეხუთე მოჰყვა. გენერლის ახვერდოვის ქვრივმა თავის მოწაფეს ნინოს გრიბოედოვზე უყო თვალი და სათქმელს მიახვედრა. ამას წინათ რუსმა პოეტმა მას თავის კომედიის რამდენიმე მონოლოგი გადაუწერა და აჩუქა.

ნინო ოდნავ განითლდა. მაგრამ თავი ვერ დააღწია. ყველანი მას მიაჩერდნენ და სიჩუმე ჩამოაგდეს. მან თავი ჩალუნა და თითქო ჩაფიქრდა, შემდეგ ისევ ასწია, ხელი ხშირ დალაღებზე გადაისვა, მუქად ალანძული სახე კედელს მიაპყრო და მორცხვი ხმით ჩაცკის¹ უკანასკნელი მონოლოგი ნაიკითხა.

ახალგაზრდა ქალი სწრაფად გავარდა აივნიდან. ავტორს მქუხარე ტაში და მილოცვა მიაყარეს. გრიბოედოვი მორცხვად იღიმებოდა და დიდ სათვალეებს თალათინის² ნაჭრით ისუფთავებდა.

1. ჩაცკი – ალექსანდრე გრიბოედოვის კომედიის („ვაი ჭკუისაგან“) პერსონაჟი.
2. თალათინი — საუკეთესო ხარისხის მოქნილი დარბილებული ტყავი.

– ამ ლექსს პუშკინი¹ არ დაინუნებდა, – ხმამაღლა სთქვა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

– ხოლო ბარატინსკი² ორივე ხელს მოაწერდა, – დაუმატა გრიგოლმა.

ავტორიც მხოლოდ მათს აზრს ელოდებოდა. მის ლოყებზე სიამის სინითლემ იმატა. მადლობის ნიშნად ორთავ პოეტს ოდნავ დაუკრა თავი და გაახსენდა, რომ ამას წინათ კიუხელბეკერმაც³ იგივე აზრი გამოსთქვა.

ახლა მესამე პოეტის ჯერი იყო. კნეინა ეფემიამ თავის ძმას გრიგოლს აჰხედა და ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ანიშნა. გრიგოლმა აღარ დააყოვნა და მასპინძლის მუხამბაზი ნაიკითხა, რომელიც ყველამ ზეპირად იცოდა.

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარიალალი,

დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი.

პოეტი პოეტის ლექსს ხელგაშლით და კინტოური იერით კითხულობდა და წელანდელის ლექსების მაღალ კილოს დაგორებულ ლოდსავით აქვეითებდა.

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ ცნებასა,

ბრძენი სიკვდილსა ჰფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა.

ისევ ტაში ავარდა, მაგრამ ყველამ კილოს დამდაბლება იგრძნო და ეს გრძნობა ტაშსა და ღიმილშიც გამოჩნდა. მოდიმარე ავტორი თხელ უღვაშებს იგრეხავდა და ამ ლექსის არჩევისათვის გულში ემდუროდა გრიგოლს. შემდეგ ნახევარ პოეტს ალექსანდრე ორბელიანს მიუბრუნდა და ჩუმი ხმით უთხრა:

– სჯობდა ჩემი „გოგჩის ტბა“ ნაეკითხა.

– იმიტომ არ ნაიკითხა, რომ იმ ტბიდან თვითონ მაგასაც ბლომად აქვს დალეული, – ანუგეშა ალექსანდრემ.

ჭავჭავაძემ ღიმილით ჰკითხა:

– ან მაგის „სადღეგრძელო“ განა ჩემი „მუხამბაზის“ გვერდით არ ნოლილა?

– ნოლილა, უეჭველად ნოლილა, – ხმამაღლა გაიცინა ალექსანდრემ.

– მაგის „სადღეგრძელო“ ნამდვილად შენი „მუხამბაზის“ შექმნილია, ნამდვილად!

შემდეგ ერთმა გუვერნანტმა ქალმა თერთმეტი წლის კატო გამოიყვანა და ინგლისურ ენაზე ბაირონის ლექსი წააკითხა, ხოლო მეორე გუვერნანტმა პატარა სალომეს ანდრე შენიეს⁴ „ნეერა“ წააკითხა ფრანგულად.

სანამ ჭავჭავაძის ქალიშვილები უცხო ლექსებს ტიტინებდნენ, გრიბოედოვმა პოეზიას თავი მიაჩნა და წელან შეწყვეტილი საქმიანი საუბარი აღადგინა. ის დიპლომატობას და პოეტობას აღარ სჯერდებოდა. საზოგადო მოღვაწედაც ითვლებოდა და ახლა ეკონომისტობაც დაიწყო. გრიბოედოვი „რუსეთ-ამიერკავკასიის კომპანიას“ აარსებდა, რომელსაც აქაური სახაზინო მიწებით და ბაღებით უნდა ესარგებლა (განდგომილ და ორგულ ბატონიშვილებს და თავად-აზნაურებს რომ ჩამოართვეს) და ამგვარად ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა გაეცხოველებინა. ამავე ამხანაგობას უნდა ეკისრა რუსების გადმოსახლება, მტკვარზე მენავეობის აღდგენა, ბათომში ნავთსადგურის მოწყობა და, საერთოდ, ქვეყნის აყვავება და გაბედნიერება.

– ფული? – ჰკითხა ჭავჭავაძემ, – რამდენიმე მილიონი დაგჭირდებათ.

– რამდენიმე ასეული ათასიც გვეყოფა, – უპასუხა გრიბოედოვმა, – ზოგს სომხები შემოიტანენ და ზოგსაც ხაზინიდან გამოვიტანთ. უმთავრესი კი სხვა რამ არის.

1. ალექსანდრე პუშკინი (1799-1837) — რუსი პოეტი.

2. ვვგენი ბარატინსკი (1800-1844) — რუსი პოეტი.

3. ვილჰელმ კიუხელბეკერი (1797-1846) — რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

4. ანდრე შენიე (1762-1794) — ფრანგი პოეტი.

– არ მოგვცემენ,– მტკიცედ მოუჭრა ჭავჭავაძემ, – მაინც ცდა ბედის მონახვე-
რეა და უკან ნუ დაიხევთ, მეც მოგეშველებით.
გრიბოედოვსაც ჯერჯერობით მხოლოდ ეს უნდოდა.

* * *

...ზამთარმა და ზაფხულმა თორმეტჯერ შეინაცვლეს ალაგი. გადასახლებუ-
ლი შეთქმულნი თანდათან ბრუნდებოდნენ ჩრდილოეთიდან, თან ჩინ-ორდენები
მოჰქონდათ, აქაც სწრაფად მიინევდნენ წინ, ღიმილით იგონებდნენ ყაზარმობას
და ომში და ლექსებში ახშობდნენ ბოლმის ნალექს.

ყველაზე ადრე ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩამოსულიყო. მისი მუდამ გაშლილი სუფ-
რა და ღია გული მრავალ ზემოურს დაჰხსომებოდა. გაიხსენეს იმის ხელით დაპყრო-
ბილი ბაიაზეთი, მისი ნათლია ეკატერინე დედოფალი, მისი საქმენი სამადლიერონი,
გაიხსენეს და მალე მიეშველნენ, ჩამოიყვანეს, მიანვნენ და სხვებსაც გზა გაუხსნეს.

ისევე გაიღო დიდი ხნით მიკეტილი კარი საკომენდატო ქუჩაზე, ისევე ხშირ-ხში-
რად იშლებოდა სუფრა წინანდალში, კვლავ იხოცებოდა ნადირი, ეხდებოდათ სარ-
ქველი ქვევრებს და უხვად იხარჯებოდა ფული, ოფლი, სიმღერა და ლალი ცხოვრება
„წყეული“.

ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე შემოდდიოდნენ და ორ ოთახში ლაგდებოდნენ –
დიდ სასტუმრო ოთახში ახალგაზრდები და ქალები გროვდებოდნენ, მასპინძლის კა-
ბინეტში კი – ხნიერი მამაკაცები.

ბინა მდიდრულად და შერეულად იყო მოწყობილი: ფარჩის შპალერი, სპარსული
ხალიჩები, ფრანგული რბილი ავეჯი, ქართული ბალიშ-მუთაქა, ჭერამდე აზიდული
სარკეები, ფერადი სურათები, ბროლის ქაღები, ბრინჯაო, ხავერდი და აბრეშუმი –
ყველაფერი ადასტურებდა, რომ ის ბინა დედოფლის ნათლულს, სამეფო გენერალს
და წინანდლის პატრონს ეკუთვნოდა.

იანვრის თოთხმეტს ნინოს დღეობა იყო. გრიბოედოვის ქვრივს სულაც აღარ
ჰსურდა თავის თავი გაეხსენებინა ამ სოფლისთვის, მაგრამ მამამ მისი დღეობა გაახ-
სენა და განდევილ შვილს დიდი ნადიმი გაუმართა. შავი ხავერდის კაბით გამონყო-
ბილი ქვრივი აპრიალეზულ ბუხართან იჯდა და მორცხვად აძლევდა სალამს ყველა
ახალმოსულს, რომელნიც მას დღეობას ულოცავდნენ და ათასნაირ სიკეთეს სთავა-
ზობდნენ. შემდეგ შორდებოდნენ და ქალ-ვაჟთა უფრო დიდ ჯგუფს უერთდებოდნენ.

ამ ჯგუფში მედიდურად ბრწყინავდა ნინოს მომდევნო დაი ეკატერინე, რომელიც
ამ დღისთვის და თავისი სამთავროს საქმეების გამო ჩამოსულიყო ქალაქში. მას
ისეთივე კაბა-სამკაული აესხა სრულ ტანზე და იგივე მოურიდებელი სილამაზე
გამოეფინა, რომელთაც ყოვლის მნახველი პეტერბურგიც კი მოჰხიბლეს.

მას, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მეუღლეს, დიდი საქმეები ჰქონდა
ვარანცოვთან და ახლაც მას ელოდებოდა. მან იცოდა, რომ ვახშამზე მის გვერ-
დით უნდა მჯდარიყო, რათა უკეთ მოეგვარებინა თავისი საკუთარი და სამთავროს
საქმენი, რომელსაც ვერც თვითონ და ვერც სხვა ვინმე არჩევდა ერთმანეთში.

ეკატერინეს ამ ჯგუფში შუაგული დაეპყრო და ყველა ახალგაზრდა მიეზიდა:
ლევან მელიქიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი „გლუხა-
რიჩი“, მიხეილ ჭილაშვილი, ისაკა თუმანიშვილი, ივანე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ და
ვახტანგ ორბელიანები, საგინაშვილი, თავის ძმა დავითიც და კიდევ სხვა ერისთავები,

ამილახორები, ორბელიანები, ჩოლოყაანი, ორდენ-მუნდირიანები და უმუნდრონიც.

შამილი დიდ ძალაში შესულიყო და სანადირო მხეცად გადაქცეულიყო. მისი დაჭერა ისეთივე გმირობად იყო მიჩნეული, როგორც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა იყო მოსკოვიდან, ამიტომ ყველა მას დასდევდა, გაზაფხულზე დალისტანში გარბოდა, ზამთრის პირას ხელცარიელი მორბოდა. წარჩინება და ფული მაინც მოჰქონდათ და გაუთავებლივ მოელოდნენ ახალ გაზაფხულს, რათა ხელახლა ენადირათ, ახალ-ახალი სოფლები დაენვათ, ისევ უამრავი სისხლი დაენტხიათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბები დაეყენებინათ და თან ისევ წყევლა-კრულვა, ისევ ორდენები და ისევ ფული წამოელოთ.

ამ თავმოყრილი თავადების უმეტესობაც ნადირობიდან იყო დაბრუნებული. ზამთარში ისვენებდნენ, სუქდებოდნენ, ახალი ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ და ახლა ეკატერინე დადიანზე უფრო მწვავე მოუთმენლობით ელოდებოდნენ ვარანცოვის მოსვლას, თვალის მოკვრას, მის ღიმილსა და ორიოდე სიტყვას, ჯერჯერობით კი ხალვათად ოხუნჯობდნენ და მაღალი სიცილით აყრუებდნენ ბუხრის წინ თავმოყრილ მეორე ჯგუფს, სადაც ნინოს ირგვლივ მისი უმცროსი დაი სალომე ბარონ ნიკოლაისა, მისი დედა სალომე, მანანა და მარიამ ორბელიანები და კიდევ რამდენიმე ხანში შესული და მოხუცებული კნენა თბებოდა.

მეორე ოთახში უფრო ხნიერები და მოხუცებულნი შეკრებილიყვნენ და დაბალი ხმით საუბრობდნენ. აქ იყვნენ თვითონ მასპინძელი, ზაალი და შალვა ბარათაშვილები, ალექსანდრე, ლუარსაბ, ყაფლანი და კიდევ რამდენიმე ორბელიანი, სარდალი მოსე არღუთაშვილი, გარეგნობით მახინჯი ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი, მასპინძლის სიძე ბარონ ნიკოლაი, სარდალი ვასილ ბებუთოვი, მასპინძლის მეორე სიძე სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი, კიდევ ათიოდე დიდგვაროვანი და ახლად დაბრუნებული ელიზბარ ერისთავი, რომელიც მათ ფინეთის ამბებს უამბობდა, სადაც მან, როგორც გადასახლებულმა, თორმეტი წელიწადი გაატარა.

მცირე ხნის შემდეგ ამავე ოთახში გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ლევან მელიქიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ივანე ანდრონიკაშვილი, კიდევ რამდენიმე ერისთავი და ორბელიანი შემოვიდნენ. უწინდელ საზოგადოებას ბევრი ვინმე აკლდა. აკლდა მელიტონ ბარათაშვილიც, რომელმაც სამი თვის წინათ თავისი ერთადერთი ვაჟი ნიკო დამარხა განჯაში და მას აქეთ დარდისგან დნებოდა შინ.

მრავალი ნაწევრალი აკლდა ამ კრებულს და ყველას თავდაპირველად სამი მეთაურთაგანი გაახსენდა: იესე ფალავანდიშვილი არხანგელსკში მომკვდარიყო (არავის დაენანა). სოლომონ დოდაშვილი ჭლექისგან დამდნარიყო ვიატკაში და რვა წლის წინათ გარდაცვლილიყო (ყველას შერცხვა, რადგან ქიზიყელი რიტორი ბრწყინვალე



ეკატერინე ჭავჭავაძე,
მხატვარი – ფ. ქ. ვინთერჰალთერი

წოდებას არ ეკუთვნოდა და ამიტომ არც არავინ გამოესარჩლა), ხოლო სოლომონ რაზმაძე სადღაც ყინულეთში იყინებოდა და ვერც იმისთვის ეშველნათ.

სტუმრებს ბევრი რამ ჰქონდათ მოსაგონარი. ჩვენში დამკვიდრებულმა უცხო ადათმა და კანონებმა ცხარე კამათი გამოიწვია. ალექსანდრე ორბელიანი მარტო იგერიებდა შემოტევებს.

ბოლოს მასპინძელმა ჰკითხა:

– კნიაზო ალექსანდრე, თავი მოუყარეთ საბოლოოდ ჩვენს ნაუბარს, ავიც და კარგიც სათვალავში ჩააგდეთ და გვიბრძანეთ, რუსის მოსვლამ გვარგო თუ გვავნო? ორბელიანი დაიბნა და ჭირის ოფლი მოიხოცა. ჩიხში შეგდებული ბატონი მასპინძლის შინაყმამ იხსნა, რომელმაც წინდანივე დაზეპირებული სათქმელი დაიძახა:

– მათი ბრწყინვალეობა მეფისნაცვალის თვადი ვარანცოვი მობრძანდა!

ყველანი წამოიშალნენ, წამოცვივდნენ და უფროს-უმცროსობის მიხედვით დალაგდნენ.

ხოლო მასპინძელი და დიასახლისი კიბისკენ გაეშურნენ, სადაც ბრწყინვალე ჩექმების ბაკუნი მოისმოდა.

■ მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მოცემულ ფრაგმენტში აღწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი დროის სხვადასხვა მონაკვეთში — 1832 წლის შეთქმულებამდე და შეთქმულების შემდეგ, როცა გასამართლებულ შეთქმულთა დიდი ნაწილი გადასახლებიდან დაბრუნდა. დააკვირდით, რა შეიცვალა ამ დროის განმავლობაში, შეიცვალნენ თუ არა თავად სტუმრები, მათი ქცევა? რა დარჩა უცვლელი?

შემაჯამებელი დავალება

ლიტერატურული სალონი

წაიკითხეთ დამატებითი მასალა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და მოამზადეთ საათ-ნახევრიანი სცენარი ლიტერატურული სალამოსთვის: „ქართველი რომანტიკოსები“.

არ დაგავიწყდეთ საინტერესო სტუმრების მიპატიჟება თქვენს ლიტერატურულ სალამოზე.

ეს საინტერესოა!

წაიკითხეთ ამონარიდი ვახტანგ კოტეტიშვილის სტატიიდან: „პატრიოტული რომანტიზმის დასაწყისი. პოეტი დები — ბატონიშვილები: მარიამ, თეკლე და ქეთევან“:

„მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი თითქოს ულიტერატურო ხანა იყო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ლიტერატურული გემოვნება და მიმართულება ინდივიდუალურ კარჩაკეტილობას ეწევა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება დაიბნა, დაიქსაქსა და პირველი ამ უკანასკნელზე ზემოქმედებას თუ გავლენას ვეღარ ახდენდა. მწერლები რაღაც იზოლაციურ მდგომარეობაში მოექცნენ და მათი შემოქმედება მხოლოდ ვიწრო წრეებში იღობდა ან სუფრაზე დეკლამაციის სახით, ანდა დუდუკზე დამღერებით. რასაკვირველია, თვით მწერლები კი ცხოვრების გავლენის ქვეშ მოქცნენ, რაც მტკიცდება იმ მოტივებით, რომელნიც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ახალ მოვლენებს წარმოადგენენ (როგორც მაგალითად პატრიოტული რომანტიკა და „სულით ობლობა“, სიმარტოვე), მაგრამ საზოგადოება ვეღარ წვდებოდა პოეტთა გულისთქმას და, ერთმანეთს დაშორებულნი, ვეღარ იქმნიდნენ იმ ფსიქოლოგიურ ურთიერთობას, რომლის გარეშე ლიტერატურული ცხოვრება წარმოუდგენელია. საზოგადოების მაღალი ნაწილი, ნებსით და უნებლიედ, დაეშვა რუსიფიკატორული პოლიტიკის დაღმართზე, მწერლები კი ქანაობდნენ ძველსა და ახალს შორის, იმედის და სასწონარკვეთილების საზღვარზე, დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებენი და მისთვის განწირულები. და თითქოს სიმბოლურია ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა ქალებმა დაიწყეს — ერეკლე მეფის სამმა ასულმა: მარიამ, თეკლე და ქეთევან. ვაჟკაცებს არ ეცალათ, ქალები კი ნაზი ცრემლებით დასტიროდნენ „ედემის ბაღს“ — საქართველოს“.


■ მოიძიეთ ინტერნეტში თამაზ ჯოლოგუას სტატია: „ბატონიშვილთა პოეზია“. ასევე მოიძიეთ და წაიკითხეთ მარიამ, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილების ლექსები და იმსჯელეთ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართული რომანტიზმის ისტორია მათგან უნდა დავიწყოთ. რომანტიზმის რა ნიშნები შეიმჩნევა ბატონიშვილების ლექსებში?

თავი II

ქართული თეატრის დაარსება

„სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანავე იმიტოვანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევიწიებს, ფრთას აშლევიწიებს. უკეთესი შესაქცევარია, უკეთესი დროსგასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილებთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწეპდეს, ვიდრე სუფეპდეს.“

ილია ჭავჭავაძე, („შინაური მიმოხილვა“)



სახაზინო (ე.წ. ქარვასლის) თეატრის ინტერიერი. მხატვარი — გ. გაგარინი

ამ შენობაში დაიდო ბინა ქართული თეატრის დასმა, აქვე იყო განთავსებული იმ დროისათვის თბილისში მოქმედი რუსული დრამატული და იტალიური ოპერის თეატრებიც. ეს უნიკალური ნაგებობა, რომელიც ქალაქის ნამდვილი მშვენიება იყო, იტალიელი არქიტექტორის სკუდიერის პროექტით აიგო. მისი მშენებლობა 1847 წელს დაიწყო და 1851 წელს დასრულდა, 1874 წელს კი შენობა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა.

შინაარსი

ქართული თეატრის ისტორიიდან	77
ბიორგი ერისთავი	79
მოვეზაღოთ ტექსტის წასაკითხად	
კომედია	80
კითხვის სტრატეგია	
დრამატული ნაწარმოების კითხვა	80
გაყრა	81
ბაყრის თემა და ვოეზია	101
ჟან-ბატისტ მოლიერი და „ქართველი მოლიერი“	101
პირველი წარმოდგენის აფიშა და შემდგომი ხანის	
ტრაგიკული მოვლენები	103
ტექსტის ენა	
ენის ეკოლოგია	104
აკვიატაჟული გამონათქვამები	105

ქართული თეატრის ისტორიიდან

ერეკლე II-ის კარზე დაფუძნებულმა ქართულმა თეატრმა არსებობა 1795 წელს შეწყვიტა. კრწანისის ველზე მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც ქართული სახელმწიფოს მომავალი განსაზღვრა, პირველი ქართული თეატრის ისტორიაც დაასრულა. თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „მცხოვრებთაგან თბილისისათა აღმოაჩინეს წინამოდგრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი... წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთა მეფისათა... უფროსი... გვარეულობით და სარწმუნოებით ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მაჩაბელად. ის მიუძღვა გუნდსა მას თბილისელთა მტერთა მიმართ და ეპყრა ხელთა ბარბითა, ე. ი. დაირა, და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე.ი. ხმასა, რომელსაც ლხინსა შინა უკრავენ... მაჩაბლისა გუნდი შეენირა მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისას.“



კრწანისის ბრძოლა

ნიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნის მიწურულს, ევროპული თეატრის აყვავების ეპოქაში, როცა ევროპელ მაცურებელს საშუალება აქვს სცენაზე იხილოს შექსპირის, ლოპე დე ვეგას, კორნელის, რასინის, მოლიერის პიესები, ქართული თეატრის დასი მტერთან ბრძოლაში იღუპება.

ნახევარი საუკუნე დასჭირდა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენას. მანამდე კი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თეატრალური წარმოდგენები არისტოკრატთა ოჯახებში იმართებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ინტენსიურად თარგმნიდა კორნელის, რასინის, ვოლტერის ნაწარმოებებს. პიესებს წერდნენ, თარგმნიდნენ და თეატრალურ საღამოებს აწყობდნენ ქართველი მწერლები და მოღვაწეები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, თეიმურაზ, იოანე და ოქროპირ ბაგრატიონები. თეატრის იდეა ცოცხლობდა და მის აღდგენას საფუძველი ჩაეყარა 1850 წლის 2 იანვარს, როცა თბილისის გიმნაზიის შენობაში გიორგი ერისთავის კომედიის – „გაყრის“ წარმოდგენა გაიმართა. სპექტაკლში თბილისის არისტოკრატია მონაწილეობდა. თავად ავტორი სომეხი სოვდაგრის, მიკირტუმ გასპარიჩის, როლს ასრულებდა.

საგულისხმოა, რომ თეატრის აღდგენის სათავეებთან 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები დგანან (გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ.), პირველი პიესა კი, რომლითაც ახალი თეატრის ისტო-

რია ინყება, კომედიური ჟანრისაა და ქართველი თავადაზნაურობის ფუქსავატობის მხილებას ეძღვნება. როგორც ჩანს, ქართულმა ინტელიგენციამ ბრძოლის ახალი ფორმა აირჩია. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ახლად აღორძინებული თეატრი მეფის რუსეთის მთავრობამ სულ მალე, 1856 წელს, დახურა.

მუდმივი თეატრი საბოლოოდ 1879 წელს აღდგა, დასს ხელმძღვანელობდა გიორგი თუმანიშვილი. ამ თეატრში 1882 წელს დაიდგა გიორგი ერისთავის ვაჟის, დავით ერისთავის, პიესა „სამშობლო“, რომელმაც თეატრი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირა. არც ერთ პიესას არ შეუსრულებია ასეთი დიდი ეროვნული მისია XIX საუკუნის ქართულ თეატრში. ეს იყო ფრანგულიდან გადმოკეთებული პიესა, რომელშიც დავით ერისთავმა მთელი რიგი ადგილები შეცვალა და ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა, დაუმატა ლოცვის სცენა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“. როცა პიესაში სამშობლოს გამოსახსნელად შეიარაღებული შეთქმულნი ბრძოლისათვის ემზადებიან, ქუდებს იხდიან, იჩოქებენ და ინყებენ ლოცვას: „ღმერთო მალალო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“. როგორც თვითმხილველნი მოგვითხრობენ, სპექტაკლის მიმდინარეობისას მაყურებელი ფეხზე დგებოდა და ისე ისმენდა ამ ლოცვას.

„სამშობლომ“ ბევრს გამოუღვიძა ეროვნული ღირსების გრძნობა. ამ სპექტაკლის ყოველი წარმოდგენა ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. ზოგჯერ მთელი ღამე არ ეძინა ქალაქს, ანთებული ჩირაღდნებით დადიოდნენ ქუჩებში.

რა გასაკვირია, რომ მეფის მთავრობამ ეს სპექტაკლი აკრძალა და ის წლობით აღარ იდგმებოდა თეატრში.

ოცდაათ წელზე მეტი აშორებს გიორგი და დავით ერისთავების პიესებს ერთმანეთისაგან, ოცდაათ წელზე მეტი დასჭირდა ქართულ თეატრს იმისათვის, რომ პატრიოტული სპექტაკლის დადგმა გაეხედა, საზოგადოებას კი – ზუსტად ნახევარი საუკუნე, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით გამოწვეული იმედგაცრუება დაეძლია და ღირსების გრძნობა დაებრუნებინა. ეს ყველაფერი რომანტიკული ილუზიების მსხვერველთა და კომედიის მამხილებელი პათოსით დაიწყო. ამ თვალსაზრისითაც გიორგი ერისთავის „გაყრა“ ისტორიული მნიშვნელობის მქონე პიესაა.

ვასილ კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ მიხედვით



გიორგი ერისთავი

(1813-1864)

ფსევდონიმი: „გლუხარიჩი“ – დრამატურგი, პოეტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ – მოსკოვის კერძო პანსიონში. 1827 წ. დაიწყო სამხედრო სამსახური. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და გადაასახლეს ქ. ვილნოში (ვილნიუსში), სადაც ქვეითთა დივიზიაში გაამწესეს. აქ შეისწავლა პოლონური ენა და დაუახლოვდა მონინავე პოლონელთა ოჯახებს. გადასახლებაშივე გაიცნო და დაუმეგობრდა გრიგოლ ორბელიანს. საქართვე-

ლოში დაბრუნების შემდეგ (1842 წ.) მსახურობდა სხვადასხვა ქალაქში მაზრის უფროსის თანაშემწედ და უბნის მოსამართლედ. იყო ნამდვილი წევრი „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ და „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებისა“. 1848 წ. გიორგი ერისთავი თავს ანებებს სამსახურს და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას ეძლევა. მისი პირველი თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია პოემა „ოსურმა მოთხრობამ“. მასში ავტორი ისტორიული წარსულის ფონზე აწმყოს მტკივნეულ საკითხებს აშუქებს, რითაც სამოციანელთა წინამორბედად გვევლინება. ამ თხზულებაში თავს იჩენს 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეთა შეხედულებები.

გიორგი ერისთავის პოეზიას ახასიათებს ეროვნულ-პატრიოტული და სატრფიალო მოტივები, რომანტიკული განწყობილებები.

უფრო მნიშვნელოვანია გიორგი ერისთავის დრამატული ნაწარმოებები, რომლებმაც სათავე დაუდეს ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, საფუძველი ჩაუყარეს ქართულ თეატრს. კომედია „გაყრის“ დადგმით (1850 წლის 2 იანვარი) აღდგა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც წლების განმავლობაში (1850-1854) გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობდა. მისი კომედიები საყოფაცხოვრებო და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა. „დავაში“ (1840), „ძუნწში“ (1850), „გაყრაში“, „წარსული დროების სურათებში“ კოლორიტულად არის ნაჩვენები სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებით ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევის სურათი.

გიორგი ერისთავს, როგორც კომედიოგრაფს, ქართულ მწერლობაში წინამორბედი არ ჰყოლია. მისი გზის გამკვალავნი იყვნენ პუშკინი, გრიბოედოვი, გოგოლი; იგი კარგად იცნობდა ევროპულ დრამატურგებსაც.

გიორგი ერისთავს თარგმნილი აქვს გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. მან თარგმნა აგრეთვე მიცკევიჩის სონეტები, პეტრარკას, შილერის, ჰიუგოს, ბერანჟეს, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც იბეჭდებოდა მისი ინიციატივით დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ (1852-53). მანვე, კ. ლაფჩინსკისთან ერთად, 1850-54 წლებში პროზაულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურ ენაზე (გამოქვეყნდა ჟურნალ „ბიბლიოტეკა ვარშავსკაში“ 1863 წ.)

1862 წ. გიორგი ერისთავმა ევროპაში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები აღწერა დღიურებში „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან“.

გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წ. დაკრძალულია ქსნის ერისთავთა განსასვენებელში, იკორთის ტაძარში.

ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, ტ. I

მთავრად ცოდნის წასაკითხად

ბაყრა

ბიოგრაფიული

დავალებები

არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახლთან დაკავშირება

წაიკითხეთ ამ თავის ეპიგრაფად გამოტანილი ციტატა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან. თეატრის (სცენის) რომელ ორ არსებით თვისებაზე ამხვილებს ყურადღებას ავტორი? იქნება თუ არა, მისი აზრით, თეატრი სრულყოფილი, თუ ამ ორი ფუნქციიდან მას ერთ-ერთი ჩამოსცილდება?

მიესადაგება თუ არა ილიას სიტყვები კომედიური ჟანრის პიესას? როგორ ასრულებს კომედია იმ ფუნქციას, რომელსაც ილია „ხალხის წვრთნას და ზრდას“ უწოდებს?

როგორც იცით, კომედია მისი თანამედროვე საზოგადოების ნაკლოვანებების მხილებას ემსახურება. როგორ ახსნით იმას, რომ კარგი კომედიები მათი დაწერიდან ათწლეულებისა და ზოგჯერ საუკუნეების გასვლის შემდეგაც არ კარგავენ პოპულარობას?

განხილვის

ტექსტის ანალიზის ელემენტები

კომედია. კომედია დრამატული ჟანრის ნაწარმოებია. მასში პერსონაჟები, სიტუაციები და მოვლენები სასაცილო კუთხით არის წარმოჩენილი. კონფლიქტი კომედიაში ცრუ ფასეულობებისა და ადამიანური ნაკლოვანებების მხილებით მთავრდება. განასხვავებენ **ხასიათებისა და სიტუაციების კომედიას**. პირველ მათგანში პერსონაჟი (კომედიური ხასიათი) თავისი თვისებებით არის სასაცილო და სწორედ ამ თვისებების გამო ხვდება სასაცილო სიტუაციებში; მეორეში კი – თავად ხასიათი სასაცილო არ არის, მაგრამ სიტუაციებია სასაცილო, რომელშიც პერსონაჟი შემთხვევით, რაღაც გაუგებრობის წყალობით აღმოჩნდება.

გამოვიყენოთ

კითხვის სტრატეგია

დრამატული ნაწარმოების კითხვა. დრამატული ნაწარმოები ამბავს ავტორისეული რემარკების, პერსონაჟთა დიალოგებისა და მონოლოგების საშუალებით გადმოგვცემს. ვინაიდან ასეთი ნაწარმოები სცენაზე დასადგმელად არის გამიზნული, სასურველია, კითხვის დროს წარმოვიდგინოთ მასში გადმოცემული მოქმედებები. ამისათვის შემდეგი სტრატეგიების გამოყენებაა საჭირო:

- ყურადღებით უნდა წაიკითხოთ ავტორისეული რემარკები და დააკავშიროთ ისინი სასცენო წარმოდგენასთან;
- ყურადღებით უნდა დააკვირდეთ მინიშნებებს პერსონაჟთა მოქმედებისა და ემოციების, სიხარულისა თუ ნუხილის, მათი შიშისა თუ იმედის, ან მოლოდინის შესახებ.

გ ა ყ რ ა

კ ო მ ე დ ი ა

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე – ქვრივი.

პავლე – ძმა მისი.

ივანე – ძმა ანდუყაფარისა, რუსეთში გაზრდილი და ვარშავიდან ახლად მოსული.

მაკრინე – ცოლი პავლესი.

ნინო – ქალი პავლესი.

მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი – ვაჭარი, მეგობარი ანდუყაფარისა.

თათელა – ამისი ცოლი.

შუშანა – ქალი მიკირტუმასი.

რამაზ – სეკრეტარი სუდისა.

ბარძიმ – ნათესავი დიდებულიძეთა.

ბარამ – მოურავი ანდუყაფარისა.

კამისიონერი – ძმა თათელასი.

გაბრიელ – მსახური ივანესი.

ყარდაშვერდი – გოგო ნინოსი.

მედიატორები, სტუმრები და მსახურები.

მოქმედება – სოფელში.

მოქმედება პირველი

ოთახი გაუღესავი. ფანჯარა, რომელიმე ქალაღდაკრული. ცალ გვერდზედ დგას დიდი ტახტი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

(ანდუყაფარ)

ანდუყაფარ ზის ტახტზე. მუთაქა უძევს კალთაში, ორის ხელით არის დაბჯენილი მუთაქაზედ. ფიქრობს.

ანდუყაფარ – აი, ოჯახის დაღუპვა, გვარის დამცირება! გაზარდეთ ყმანვილები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედ-მამისა! ნეტავი დამეშავებინოს რამე მაინცა... ოჯახი წავახდინე, ვალი ავიღე? აი, ჩემი ოფლის სამაგიერო: სახლები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროვო! ოჰ! რა ცუდი დრო არის ოჯახებისათვის! ტყუილია არის, უნდა გავეყარო!... გავეყარო? რაღა ვიქნები! აი თუ მტერი ნიშანს მომიგებს (ოხრავს და ინმენდს ოფლსა).

ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო,
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!
აჰ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამითადში!¹
სად ვნახავ სამასს ნამგლის ტრიალსა,
ჰოპმის² გუგუნსა, ყანის შრიალსა!

აი, ესენი სულ უნდა მომეშალონ; სახლიც იმას უნდა დარჩეს.

ეს ჩემი ზვარიც უნდა გამიყონ?
მაშ სასაფლაოს ეხლავ ნამილონ.
თერგდალეული ჩემი ძამია
ილაჯს მინყვეტამს, შემომდგომია,
აღარ ისვენებს, არ იშლის გაყრას,
სახლს ის წაიღებს, მიპირებს აყრას.
(სიცილით)
ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას,
ვაზების წილად თუთების ჩაყრას!

გ ა მ ო ს ვ ლ ა II

(ანდუყაფარ და ბარამ)

ბარამ შემოვა ქუდით, დადგება და ხანჯალზედ დაინყობს ორსავ ხელებსა.

ანდუყაფარ – (ფიქრობს) რას იტყვი, ბარამ!

ბარამ – თქვენს დღეგრძელობას, თქვენს კარგად ყოფნას, თქვენს სიცოცხლესა!

ანდუყაფარ – მაშ, შენ არ იცი, ბარამ?

ბარამ – რა მოგახსენო, შეი ჭიიმე, მე არაფერი...

ანდუყაფარ – მაშ მე შენ გეტყვი. (ობვრით) ივანე გაყრას მიპირობს!

ბარამ – (შეშინებულის სახით) ნუ მიბრძანებ, შეი ჭიიმე, ნუ მიბრძანებ, განსვენ-
ებულის მამის თქვენის საფლავის მზესა!..

ანდუყაფარ – რა ექნა, ძმაო, არა შვრება. რა გაეწყობა... ვერა მომიხერხებია
რა, რუსული კარგად იცის, რუსის დიდ კაცებთან დადის, მერე ჩემი რძალიც
იმისკენ არის.

ბარამ – ვაი შენს ბარამს, როგორ ვერა მოგიხერხებიათ რა!.. (დაფიქრდება და
იმღერის) მოდი, ასე ექნათ: ყმა მივაბაროთ; ჩვენ ვხნათ და ვთესოთ, ვენახი
ვბაროთ.

ანდუყაფარ – რა სულელი ხარ... ხალხს გადამირევს, ზვარს დამიკაფავს, სახლ-
საც დამინგრევს!

ბარამ – მაშინ უშოვნოთ ზასედატლობა.³

ანდუყაფარ – როდი კადრულობს, უნდა მარშლობა!⁴

ბარამ – (ცოტა ფიქრს უკან) მაშ იცით, შეი ჭიიმე, რა მოგახსენოთ! შევანეროთ

1. მამითადი – მკაში მეზობლის, თანასოფელელის დასახმარებლად შეკრებილი მუშები.

2. ჰოპმის გუგუნი – შეძახილი მომკელთა სიმღერაში (იგივე „ჰოპუნა“).

3. ზასედატლობა (რუს.) – თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა.

4. მარშლობა – წინამძღოლობა.

კაცებში ფული, ერთ ოთხასიოდ თუმანს ავკრებთ ხელათ. ოთხასის თუმნით (მხიარულობით), აბა, რას ბრძანებ, შეიჭიმე, თავი დღეში გაგვყრიან?! ხა, ხა, ხა! (იმღერის)

ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ,
სუდსა, პალატას¹ ხელით ვაქანებ.
ჩვენ სუდიასა – აიმ კუქნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა,
და სეკრეტარსა² მე ოც თუმნადა
გნებავთ გაგიხდით მაიმუნათა!

ან დ უ ყ ა ფ ა რ – (წამოჯდება მხიარულის სახით, ქუდს შეიკეცავს მაღლა) ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვყარეს, მერე ხომ უნდა გაგვყარონ. (ამ დროს ისმის ხმა ივანესი: „ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლაი-და, და ლა, ლა!“)

გ ა მ ო ს ვ ლ ა III

(იგივენი და ივანე)

ივანეს წკებლა ხელში უჭირავს; შემოვა, გააკეთებს ანტრამას³, პირუეტს⁴, ცალი ფეხით შემოტრიალდება, მერე მივა ანდუყაფართან. ისინი განცვიფრებით უყურებენ.

ი ვ ა ნ ე – ბონჟურ,⁵ ყაფარ, კაპარ! კაკ იმია, ტაკ ი ო ნ დიკარ!⁶

ან დ უ ყ ა ფ ა რ – მოდი, ძმაო, დაჯექ, გვითხარი რამე, გვასწავლე რუსული იკომონია.⁷

ი ვ ა ნ ე – ტო იესტ აგრონომია? რასტალკუიკა იემუ, რა კაცია!⁸
(იმღერის)

როგორ გასწავლო ირრიგაცია,⁹
ვით გავაკეთო კარგი გუანო¹⁰
ჯერ გამეყარე, ადამიანო,
მაშინ გიჩვენო და დაგასწავლო
ეს დიდი ზვარი როგორ დაჰკვალო!

ან დ უ ყ ა ფ ა რ – (ოხვრით) ბევრი ღვინო კი მოგივა, თუ რუსული გზები გააკეთე სასეირნოთა!..

ი ვ ა ნ ე – ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ კლუკვენი კვასია!¹¹ კლუკვას რა ჰქვიან? ძა... ძახველი. ან რა შემოგდით? დასალევათაც არ გეყოფათ!

-
1. სუდი, პალატა – რუსული სასამართლო დაწესებულებები.
 2. სეკრეტარი (რუს.) – მდივანი.
 3. ანტრამა (ფრანგ.) – ნახტომი კლასიკურ ბალეტში, რომლის დროსაც მოცეკვავე ჰაერში ფეხებს რამდენჯერმე გადააჯვარედინებს.
 4. პირუეტი (ფრანგ.) – ბალეტში ფეხის თითის წვერზე სრული შემოტრიალება.
 5. ბონჟურ (ფრანგ.) – გამარჯობა.
 6. კაკ იმია, ტაკ ი ო ნ დიკარ (რუს.) – რა სახელიც აქვს, ისეთი ვეღურია.
 7. იკომონია – ეკონომია (დამახინჯებული ფორმა).
 8. რასტალკუიკა იემუ (რუს.) – მოდი გააგებინე ამას.
 9. ირრიგაცია (ლათ.) – მინდვრების ხელოვნური მორწყვა.
 10. გუანო (ესპ.) – ხელოვნური სასუქი.
 11. კლუკვენი კვასი (რუს.) – ძახველის ბურახი.

ანდუყაფარ – ჩვენ ხომ ვსვამთ, არ ვყიდულობთ... თავადის შვილს პური და ღვინო თუ აქვს – მდიდარია...

ივანე – ფული რომ დაგჭირდებათ, უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტიჩ გასპარიჩ! (ამ დროს ისმის მეორის ოთახიდან პავლეს ხმა).

პავლე – ბიჭო, ბიჭო, შენ ეი, ბერუავ! სწრაფიას აჭამე, ყორანასთან ჩხუბი არ მოუვიდეს; ჰაა, შე რჯულძალლო! ნნა, არ შეჭამო ე კურდღელი.

ივანე – პავლე მოსულა ნადირობიდან, ნავიდე, ვნახო რა დაუჭერია. ხლოპეც დობრ და გლუპ¹ (გავა).

ბარამ – (სიცილით) შენი რისხვა მქონდეს, თუ მაგას მთელი ჭკუა ჰქონდეს.

ანდუყაფარ – არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, ინამლებიან, თუ რა არის. ბიჭო, საკვირველია, მოზდოკს² მეც ვიყავ, მაგრამ არ გავგიჟებულვარ.

ბარამ – უთუოდ რუსეთის ყინვით ტვინი ეყინებათ (იციინის).

ანდუყაფარ – (ადგება და მიდის) კარგია, მამა გიცხონდა, არ გავგიგონოს!..

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

მარტო დარჩენილ მოურავს საფიქრალი გაუჩნდა. გაყრის შემდეგ ანდუყა-ფარმა შეიძლება მისი მოურავობა არც ისურვოს. პავლესთან ყოფნა აბა რა ხეირია. მის ცოლს კაცი გროშს ვერ მოჰპარავს. „რუსეთის გიჟს“, ივანეს, კი ვინ რას გაუგებს?!

(გარედან ხმა მოისმის. ბარამი კულისებში დაიმალება).

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

(მიკირტუმ გასპარიჩი)

მიკირტუმ შემოვა, ხელში უჭირავს დავთარი. იყურება აქეთ-იქით.

მიკირტუმ გასპარიჩი – ვა, სად აყრილან, ბევრი დაიმალოთ, მაინც, ემე, უნდა პერემენაით ქნათ ვექსილმა³. (იმღერის ღიმლით)

ამ დიდ ბატონს მართებს ფული,
მე ხელში მყავს მისი სული,
ორი წელი მომატყუა,
რა კაცია გიჟ ვრაცუა!⁴
მეორე ძმა ჰყავს ტუტუცი,
ასი იმანაც მივეცი!..
კურტყელს იჭერს, ყვირის: უა, უა!
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.
ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე
ტანცი-მანცი ლავ ხალუმე,⁵
ამე თავში არ აქვს ჭკუა,
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!

(დაფიქრებული დადის)

1. ხლოპეც დობრ და გლუპ (რუს.) – კეთილი და ბრიყვი ყმანვილია.
2. მოზდოკი – ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში.
3. პერემენაით ქნათ ვექსილმა – თამასუქი მაინც უნდა შეცვალოთ.
4. ვრაცუა (სომხ.) – ქართველი.
5. ლავ ხალუმე (სომხ.) – კარგად თამაშობს (ცეკვავს).



გიორგი ერისთავი მიკირტუმ გასპარიჩის როლში (ნახატი გ. კორადინისა).

ეს რა კარგი ფიქრი ვქენ; ამათ გაყრას შვრებიან. ეგება ეს ფრანტს¹ ჩემი შუშანი მივცე. ბალქამ² ეს არის: (შუბლზედ და ჯიბეზედ დაიკრამს ხელს) ესტი ჩკა! ენდი ჩკა!³ მაგრამ ჩემი შუშანი კნეინა დაუდახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარში-აც დიდი რამე იქნება დიდებულისიანთ ხნამე!⁴ ბულდან ბულდანიჩინ აჭკით-კუჰანიმ!⁵

(ამ დროს შემოვა ბარამ)

ბარამი მიკირტუმ გასპარიჩს თამასუქების განაღდებაში დახმარებას ჰპირდება, ოღონდ ამისთვის გასამრჯელოდ ოც თუმანს ითხოვს. მევახშეს ეძვირება. შევაჭრდებიან. ბოლოს რვა თუმანზე შეთანხმდებიან. მათი ხმა ანდუყაფარს ჩაესმება. იგი მიკირტუმ გასპარიჩს თავისთან უხმობს. მიკირტუმ და ბარამი ანდუყაფარის ოთახში შედიან.

გ ა მ ო ს ვ ლ ა VI

ივანე დიდებულის მსახური გაბრიელი მოახლე გოგოს, ყარდაშვერდის, „ევროპულ წესზე“ უხსნის სიყვარულს და დიდის ამბით უჩოქებს. მოულოდნელად გამოჩენილი ივანეს დანახვაზე ყარდაშვერდი ელდანაკრავივით გარბის.

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII

გაბრიელი თავის ბატონს გამოუტყდება, ყარდაშვერდის სიყვარული ავუხსენიო. ვარშავაში ნამყოფ გაბრიელს სამშობლოში არაფერი მოსწონს. „ბარინ, ქართული სიყვარული სულ გინება გახლავთ“, – ეუბნება იგი თავის ბატონს. ივანეც ასე ფიქრობს: „საქართველოში სიყვარულის მაგალითი არა ყოფილა! რამანიც არ დაიწერება!.. რამან ბეზ ლუბვი – ეტო უჟასნო...“⁶ ამას ივანე დიდებულისე ქართული ყოფის კილვას მოაყოლებს:

ჩვენთა ქალთა უგრძნობართა,
სიყვარულის უმეცართა,

1. ფრანტი (პოლ.) – კობტად ჩაცმის მოყვარული, კობტაპრუნა.
2. ბალქამ (სომხ.) – შეიძლება.
3. ესტი ჩკა! ენდი ჩკა! (სომხ.) – არც აქ არის, არც იქ!
4. ხნამე (სომხ.) – მძახალი.
5. აჭკით-კუჰანიმ (სომხ.) – თვალს დავეყენებ.
6. რამან ბეზ ლუბვი – ეტო უჟასნო... (რუს.) – რომანი სიყვარულის გარეშე საშინელებაა.

ტრფობისათვის არ აქვსთ სული,
 სხვა რისთვისმე უცემთ გული!
 ჩვენი ყრმანიც გულგრილები,
 თითქო იყვნენ ანგლიჩნები,
 გამხდრები, ძალათ ყვითლები,
 პირ-ბრინჯ-ფევილ შეგლესილები.
 ცოლს არ ირთვენ, ჭლექდებიან,
 უდროთ სნეულდებიან,
 ლანცკნეტის¹ თამაშობითა

ვგონებ, სულ გაკოტრდებიან!
 ჩვენი ვაჭრების შვილები
 შეიქნენ ჩინოვნიკები,
 მამის მოგებულ ფულებსა
 ჰფანტავენ, ვით ჩალა-ბზესა,
 ვაჭრობას არ კადრულობენ,
 ბალში ფრანცუზ-კადრილობენ²
 ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენ³,
 თავის ოჯახს კი ამხობენ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა VIII

(იგივენი და მიკირტუმა)

მ ი კ ი რ ტ უ მ – ზდრავი ჟელაიმ, კნიაზ!

ი ვ ა ნ ე – აა, მიკირტუმ გასპარიჩ, კაკ ვაშე ზდოროვიე⁴?

მ ი კ ი რ ტ უ მ – ბლლდარიმ პუკურნო⁵!

ი ვ ა ნ ე – რისთვის გარჯილხარ, ჩემო მიკირტუმ გასპარიჩ?

მ ი კ ი რ ტ უ მ – მე, კნიაზჯან, ცოტა ვექსილი პერემენაით უნდა ჰქნან შენი ძმები.

ი ვ ა ნ ე – (მონყენილის სახით) რა მართებთ სულა?..

მ ი კ ი რ ტ უ მ – ანდუყაფარ – ხუთას ორმოცდაორი თუმანი და ორი მანეთი, პავლემ –
 ასი და რვა აბაზი...

ი ვ ა ნ ე – სარგებელს რას ართმევ, ჩემო მიკირტიჩ?

მ ი კ ი რ ტ უ მ – (აქეთ-იქით იყურება) ცოტა – სამი შაური!

ი ვ ა ნ ე – ეტო უჟასნო, მიკირტიჩ! ეტო ნე ჩესტნო⁶!

მ ი კ ი რ ტ უ მ – (იცინის) კნიაზ, ერთი ჩესტის ლათაია⁷ გითხრამ! (იმღერის)

კტუ ნა სვიტე ჩესნა ბუდიტ,

ბუდიტ ნასიტ ხლება გუდიტ⁸! (იცინის)

რა ვქნათ, კნიაზჯან? ჩვენი ყმა, გუთანმა, პური – ფულის სარგებელია. აი, ნაღდი მომცეს თქვენი ძმა... რამდენი წელიწადია მართებს, დასიხპორ კაპეიკ ნეზნაით⁹.

ცხენის ქირამ გამაკოტრა, კნიაზის მზემ; ზა ოდნა კუნეც პლტარა რუბლი პლარჩ¹⁰. ისე ვენდე შენი ძმა, არც აბესპეჩითი რამე¹¹ მაქვს. კნიაზჯან, რატომ შენ არა იქ ყმის პრავიტსა¹²... მაგრამ ჭორი გავიგონე, ძმები გაყრასა შვრებით?..

1. ლანცკნეტი – ბანქოს ქალაქით ერთგვარი თამაში.

2. ფრანცუზ-კადრილობენ – ფრანგობენ, კადრილს ცეკვავენ (კადრილი ევროპული ცეკვაა).

3. ფერჩატკით ფრანტობენ – ხელთათმანით კობტაობენ.

4. კაკ ვაშე ზდოროვიე? (რუს.) – როგორ გიკითხოთ?

5. ბლლდარიმ პუკურნო (რუს.) – დიდად გმადლობთ.

6. ეტო უჟასნო, მიკირტიჩ! ეტო ნე ჩესტნო (რუს.) – ეს საშინელებაა, მიკირტიჩ! ეს უღირსი საქციელია!

7. ჩესტის ლათაია – ღირსების, პატიოსნების იგავი.

8. კტუ ნა სვიტე ჩესნა ბუდიტ, ბუდიტ ნასიტ ხლება გუდიტ! (რუს.) – ვინც პატიოსნად მოიქცევა, გუდით პურის ტარება მოუწევს (ე. ი. გლახაკად იქცევა)

9. დასიხპორ კაპეიკ ნეზნაით (რუს.) – აქამდე კაპიკი არ ვიცი (არ მიმიღია).

10. ზა ოდნა კუნეც პლტარა რუბლი პლარჩ (რუს.) – ერთხელ მისვლაში მანეთ-ნახევარს ვიხდი.

11. აბესპეჩითი რამე – რამე საგარანტიო (ხელწერილი, თამასუქი).

12. პრავიტსა (რუს.) – მართვა.

ივანე – დიახ, უნდა გავეყარო!

მიკირტუმ – შენ ჭკვიანე, არ მოტყუვდე; ანდუყაფარ ყალბე, გებნები ჰა!

ივანე – (თავისთვის) ვინ მეუბნება! უნდა ავიტანო, ამისთვის, რომ მართლა ამ-
ბობს, ბოჟე მოი!

მიკირტუმ – ერთიც გითხრამ, რომ დავიდარაბე ძმები მორჩეთ, მერე სამსა-
ხურში არა იქ? ზასედატელ², გრდნიჩ³. ჯამაგირი კარგი რამეა, და.

ივანე – ნეტ, ბრატ⁴, მე მინდა ვიხაზიანო; მე სამსახურის თავი არა მაქვს.

მიკირტუმ – (იქით) გიჟ ვრაცუა. (მონყენით) კნიაზჯან, პური კარგი მურავიც
მოიყვანს, სამსახურ ლავე⁵ პატივე; ზასედატელი ასი თუმანი აქვს, ასიც ისე
მოვლენ!

ივანე – ქრთამი უნდა ავილო?

მიკირტუმ – ვა, ინჩის ასუმ⁶! ჩემთვის რომ საქმე ჰქნა, შენი ოფლისათვის ოცი
ოქრო მოგცე – ეს ქრთამე?!

ივანე – მე მაგის მქმნელი არა ვარ!

მიკირტუმ – კნიაზჯან, თუ ხაზაინ-მაზაინობა იქ, ცოლიც შეირთამ!

ივანე – იქნება... მაგრამ ნადა პრეჟდე ვლიუბიტსა⁷.

მიკირტუმ – კიდევ ლათაია გითხრამ. (იმლერის)

ლუბით ნადა კრასავიცა⁸,
ფული მოგცეს მეტი ვინცა;
თუ არა აქვს ფული ცოლი,
უნდა ჭამო ხომ კონჩოლი⁹!

ივანე – (იცინის) ბრავო, მიკირტიჩ, ბრავო!

მიკირტუმ – დიახ, კნიაზჯან, ფული. ეს
სოფელმა სულ ფული, ფული. სხვა ყველამ
ტყუილია; შენი ხაზაინ-მაზაინობას ფული
უნდა...

ივანე – ტაკ ჩტოჟ, ბანკიდან ავიღებ, ესლა
ხომ ბანკი გვაქვს!

მიკირტუმ – ოჰ, კნიაზჯან, ბანკი! ჩემა მზემ,
მანამ აიღებ, ჭლექი მოგივა¹⁰. ჩვენი ფული
ჰსჯობიან, კნიაზის მზემ; ჩვენ უსტუპიტს¹¹
გიზამთ... მაგრამ პრასჩაი, კნიაზ, ღმერთ-
მან ქნას, თქვენი დავიდარაბა კარგა მორ-
ჩე. (გავა)



დომიტრი ყიფიანი
ივანე დიდებულის როლში

1. ბოჟე მოი (რუს.) – ღმერთო ჩემო.
2. ზასედატელი (რუს.) – არჩევითი თანამდებობის პირი მეფის რუსეთის სასამართლოში.
3. გრდნიჩ – გოროდნიჩი, ქალაქის უფროსი, ქალაქის თავი (დამახინჯებული ფორმა).
4. ნეტ, ბრატ (რუს.) – არა, ძმაო.
5. ლავე (სომხ.) – კარგია.
6. ინჩის ასუმ (სომხ.) – რას ამბობ.
7. ნადა პრეჟდე ვლიუბიტსა (რუს.) – ჯერ უნდა შეგიყვარდეს.
8. ლუბით ნადა კრასავიცა (რუს.) – უნდა შეიყვარო, ლამაზო.
9. კონჩოლი – პურის წვნიანი, შეჭამანდი.
10. მოგივა – აქ: დაგემართება.
11. უსტუპიტ – შელავათი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. დაკვირვებით წაიკითხეთ კომედიის პირველი რემარკა. როგორ გამოიყურება დიდებულიძეების საცხოვრებელი? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ აღწერიდან?
2. რას მისტირის ფიქრებში გართული ანდუყაფარ დიდებულიძე?
3. ვინ უქმნის საფრთხეს ძველისძველი ოჯახის სიმტკიცეს?
4. რატომ ახსენებს ანდუყაფარ დიდებულიძე ასე ხშირად რუსეთს?
5. სიტყვა „თერგდალეული“ რუსეთში ნამყოფი პირის მნიშვნელობით ჩვენში პირველად XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დამკვიდრდა, ცოტა მოგვიანებით კი იგი ეწოდა ევროპულ განათლებას, მის მოწინავე იდეებს ნაზიარებ მთელ თაობას. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს „თერგდალეულების“ მიმართ ანდუყაფარ დიდებულიძე?
6. რა რჩევებს აძლევს მოურავი ბარამი თავის ბატონს? როგორ ახასიათებს იგი იმჟამინდელ სასამართლო სისტემას?
7. რა სადარდელი გასჩენია ბარამს მოსალოდნელი გაყრის გამო?
8. დიდებულიძეების წინაპრებს ძველად ხელთ ხმალი ეპყრათ; რა ახალი „იარაღი“ უპყრია ხელთ დიდებულიძეების ნაშიერების კარზე მიმდგარ მევახშეს?
9. როგორ ახასიათებს მიკირტუმ გასპარიჩი ძმებ დიდებულიძეებს?
10. რა შანსი გაუჩინა ძმების გაყრამ მიკირტუმას?
11. რა დაუპირისპირა მიკირტუმ გასპარიჩმა ბანკის ფულს ივანე დიდებულიძესთან საუბარში?
12. „გაევროპელებულ“ ივანე დიდებულიძეს სამშობლოში არაფერი მოსწონს. შეიცავს თუ არა მის მიერ ლექსად ნათქვამი მამხილებელი მონოლოგი სიმართლის მარცვალს?
13. მოეპოვება თუ არა ივანე დიდებულიძეს რაიმე კონკრეტული გეგმა ჩამორჩენილობის დასაძლევად?

მოქმედება II

გ ა მ ო ს ვ ლ ა I, II, III

პავლე დიდებულიძის მეუღლე, მაკრინე, კარს მომდგარი გაყრისთვის თადარიგს წინასწარ იჭერს; იგი ცდილობს, სასამართლოს „სეკრეტარი“ რამაზი მიიმხროს, რათა მან, როგორც მედიატორმა, გაყრისას პავლეს ოჯახის მხარე დაიჭიროს. მაკრინე სატყუარად თავის გასათხოვარ ქალიშვილს, ნინოს, იყენებს და რამაზს არწმუნებს, ისეთ სასიძოს ვეძებ, რომელსაც კანონები თქვენსავით ეცოდინებაო. თავდაჯერებული რამაზი იოლად წამოეგება მაკრინეს ანკესზე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

(იგივენი და პავლე)

პ ა ვ ლ ე — ბატონს რამაზს ვახლავარ. მშვიდობით ბრძანდებით, კარგათ ბრძანდებით? მამა ნუ წაგინყდება, ბიძაშენს მწევარი თურმე ჰყავს კარგი, აგება გამომირთო...

მ ა კ რ ი ნ ე — აი, უბედურება ოჯახისა! ოჯახი მეღუპება, შიმშილით ვიხოცებით ტიტვლები, გასათხოვარი ქალი შინ გვიზის, აგერ ოცისა წლის შესრულდება და მიბერდება, — ერთხელ ამათთვის იფიქრე; მე ხომ სასამართლოში ვერ ვივლი! რა უბედურებაა: ძაღლები და ძაღლები! (რამაზს) თქვენ მაინც უბრძანეთ რამე...

პ ა ვ ლ ე — ოჰ, ოჰ, დატრიალდა ჯარა! (ფანჯრიდან უძახის). ბიჭო, ბიჭო! შენ, ეი, ფილიპე! სწრაფიას ფეხები დაუზილე; ვეჟო, ჯერანამ საყელო რა უყო! ეგ რჯულძაღლი, აკი არ დაიყენებს!

მ ა კ რ ი ნ ე — (ქოქოლას აყრის) გამიკითხე, აბა რა ვქნა მე დედაკაცმა! ბატონო, ამისთანა უბედურება იქნება, ოჯახში პური არა ჰქონდეს გლახას მისცეს. (ქმარს) შე კურთხეულის შვილო, ერთხელ შენ ამოილე ხმა, სულ მე სად ვიჩხუბო!

პ ა ვ ლ ე — მითომ რატომ არ ამოვიღებ? აბა გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო; ისე ვილაპარაკებ პოპოშნიკთან¹, დიამბეგთან², ნაჩაღნიკთანა, სუდიასთან, როგორც შენთან, ჩემო მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!



ბაბაღე თუმანიშვილი მაკრინეს როლში

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

(იგივენი და ანდუყაფარ)

ყველანი წამოუდგებიან ანდუყაფარს. ის მივა რძალთან და დაჯდება; ჩუმად ლაპარაკობენ; რამაზ და პავლე წინ სცენაზე ლაპარაკობენ.

რ ა მ ა ზ — (დაბალი ხმით) რატომ არ მიბრძანდებით, უთუოდ კნეინა და ანდუყაფარ გაყრაზე ლაპარაკობენ.

პ ა ვ ლ ე — (სიცილით) გაიგონე შენ, ეი, რამაზ! ბიჭო! თითქო შენ ჭკვიან კაცს გეძახიან! დედაკაცი სულ ევას ჩამომავლობა არის; ვითომ ანდუყაფარ სჯობს ადამსა თუ? ჩემ მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ვითომ ენაზედ ჭალი³ მოედება თუ! აი, ღმერთი არ გაგინყრეს, ესე დაუკრავს, როგორც ჩონგური, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!.. მამა ნუ წაგინყდება, რა მაგის პასუხია, ბიძის შენის მწევარი ლამაზია? კურდღელს კარგად იჭერს?

1. პოპოშნიკი — თანაშემწე (დამახინჯებული ფორმა).

2. დიამბეგი — მოსამართლე, მსაჯული.

3. ჭალი — ურმის ხელნების დასამაგრებელი ჯოხი, სოლი. ენაზე ჭალი არ მოედება — არ დაბრკოლდება (ლაპარაკში).

რ ა მ ა ზ – (გაჯავრებით) ძალიან აქებენ და მე, ჰსწორე მოგახსენო, არ ვარ ახოტნიკი¹ მხეცების ტანჯვისა.

პ ა ვ ლ ე – შენ ეი, გაიგონე! სულ ზაკონები სად განერინო; შენ, ძმაო, სულ კაცებს აჭერინებ ნაობახტში²-და...

რ ა მ ა ზ – უნდა ავხოცო ბოროტება!

პ ა ვ ლ ე – (იქით) თქვენმა მზემ, თავის მამას დაჰკარგავს ციმბირს ერთ თუმნათ ეს კეთილი კაცი, ვაი არა აქვს შენს პავლესა!

ან დ უ ყ ა ფ ა რ – რამაზ, ერთი ინებე, აქ მობრძანდი. (დაუნყებს ჩურჩულს).

პ ა ვ ლ ე – (ფანჯარას გააღებს) ანდუყაფარ! ოო! ოო! ერთი შეხედეთ და ჯერანას ნავარდსა! ეი, შენი გულისა! ტა, ტა, ტა! ბიჭო, შენ ეი, ბონჯურავ, თქვენი ტრუ, ტრუ მეძებარი ჰსჯობს ჩემს ხალიასა თუ?! ასან-ალამ მაჩუქა, შვილო! რო დაუვლის, თითქო ცეკოს³ თამაშობსო.

მ ა კ რ ი ნ ე – (ქოქოლას აყრის ქმარს) ეგ არის, ძაღლები და ძაღლები!

პ ა ვ ლ ე – რა დაგემართა, ხვალ მოვიდნენ ეგ შენი დიატორები⁴, ისე დავტრიალდები, როგორც ჩალხი, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

(რამაზ და ანდუყაფარ გავლენ)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VI

(პავლე და მაკრინე)

მ ა კ რ ი ნ ე – (ნელი ხმით) ხვალ მედიატორები მოვლენ. ყველა მომიხერხებია, ჯერ ავეჯი უნდა გავიყოთ, ივანეს წილი არა აქვს; ორთა უნდა გავიყოთ, არაში მოსტყუვდე; თუ რამაზმა ქალისა გითხრას რამე, შენ შენებურად უთხარ, ჩემმა მაკრინემ იცის-თქო!

პ ა ვ ლ ე – როგორ თუ ქალისა, იქნება ჰფიქრობ, იმ მაიმუნს მისცე?

მ ა კ რ ი ნ ე – (მღიმარებით) რა უჭირს, კარგი მცოდნე არის.

პ ა ვ ლ ე – (გაჯავრებული) რაო? მაშ მე მამა არა ვყოფილვარ? ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო. ჩემი ნინუცა! დედაკაცი გაგიჟდი თუ?

მ ა კ რ ი ნ ე – შენი საქმე არ არის.

პ ა ვ ლ ე – ფე, როგორ თუ ჩემი საქმე არ არის! მაშ მე სახლში გზირი ვყოფილვარ! ნუ გამაჯავრებ, გამიგონე, მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

მ ა კ რ ი ნ ე – მედიატორათ ვირჩევ, ვატყუებ, აგება ჩემკენ იყოს, თორემ ყარდაშ-ვერდი გოგოს არ მივცემ.

პ ა ვ ლ ე – აი დედაკაცი! აი ჭკვიანი! შენ კი გეთაყვანე მაგ თვალეში!.. ჯან, დედაკაცი, აკი ვთქვი, ევაზედ ჭკვიანი არის ჩემი მაკრინე-მეთქი, ვაი არა აქვს შენს პავლესა... ბა! ბა! ბა! როგორ იფიქრე?!

მ ა კ რ ი ნ ე – რა დიდი ფიქრი უნდა... (გავა)

პ ა ვ ლ ე – ჩემი ცოლი თამარ მეფის დროს რომ ყოფილიყო, ვეზირობას მისცემდნენ; არ გაგონილა, რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახდის. არ გაგონილა, ეგ რო კაცი ყოფილიყო, დიდებულიძეებს სულ აჰყრიდა... ნავიდე, მიმინო სახადელზედ მოვიყვანო.⁵

1. ახოტნიკი (რუს.) – აქ: მომხრე.

2. ნაობახტი – აქ: სატუსალო (დამახინჯებული ფორმა).

3. ცეკო – ცეკვა.

4. დიატორები (დამახინჯ.) — მედიატორები, მომრიგებლები.

5. სახადელი – გასაწვრთნელი ადგილი.

1. დიდებულიძეთაგან ვინ მონაწილეობს II მოქმედებაში?
2. რა ერთადერთი საზრუნავი აქვს პავლე დიდებულიძეს? რაზე წუხს მისი მეუღლე მაკრინე? რას ფიქრობენ ისინი ერთმანეთზე?
3. გაიხსენეთ, რა თქვა I მოქმედებაში მოურავმა ბარამმა „სუდის სეკრეტარის“ შესახებ; ამჯერად ვისი სახით მოგვევლინა ეს „სეკრეტარი“?
4. რა თვისებებით წარმოჩნდა რამაზი?
5. რამ აღაფრთოვანა პავლე დიდებულიძე?

მოქმედება მესამე

ანდუყაფარის ოთახი. ტახტის წინ დგას სტოლი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

რამაზ ზის ტახტზე. ორნი სხვანი მედიატორენი, ანდუყაფარ და პავლე ჩამომჯდარნი არიან გვერდით. ივანე ზის სკამზედ.

ანდუყაფარ, პავლე, რამაზ, ორი მედიატორები და შემდეგ იმერელი.

რ ა მ ა ზ – (კითხულობს განაჩენსა) ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერელთა, სინდისით მედიატორეთ დამტკიცებულის სუდსა შინა 975-ითა... (ამ დროს იმერელი შემოვა ტირილით)

ი მ ე რ ე ლ ი – დევიმსე, დევიმსე ვაი, ვაი, ვაი!

ყ ვ ე ლ ა ნ ი – (ერთობით) რა არის? რა ამბავია?

ი მ ე რ ე ლ ი – ქორი გამიფრინდა, ბატონო!

პ ა ვ ლ ე – როგორ თუ ქორი?! გამიშვით (იჭერენ სეკრეტარი და ანდუყაფარი), გიჟი ხართ, მაჭუტაძის გამოგზავნილია. რა დროს გაყრა არის! (პავლე გავა, პატარა ხანს უკან შემოვა, ქორს შემოიყვანს, დაჯდება და უაღერსებს. ერთი მედიატორი ჩუმად ეუბნება, რომ ქორი გაიყვანოს; ადგება და იმერელს მისცემს, მერე შემოვა და თავის ალაგას დაჯდება)

რ ა მ ა ზ – (დაინყებს კითხვას) ჩვენდა მოცემულისა თავადთა: ანდუყაფარ, პავლე და ივანე დიდებულიძეთაგან განვჩხრიკეთ ყოველნი მათნი დავანი გარეშენი, აგრეთვე ვალნი მათნი, სადაცა აღმოჩნდა, რომელ ვალი აქვს აღებული თავად ანდუყაფარ დიდებულიძეს ორმოცდახუთი თუმანი 1825 წელსა მიკირტუმ გასპარიჩი ტრდატოვისაგან, ჟამსა თავადის ივანე დიდებულიძის პეტერბურგში გაგზავნისათვის, რომელიც ეს ვალი შემდგარა თა-



გრიგოლ ერისთავი იმერლის როლში



შანშიევი რამაზის როლში

მასუქის გამოცვლით ოთხას ოცი თუმანი 1842 წლამდე. აგრეთვე დიდებულიძეს აუ-
ღია სამოცი თუმანი ჟამსა თავადი ივანეს
ვარშავაში ნასვლისა, ესე იგი 1849 წელსა
და შემდგარა 120 თუმანი. ზემოთხსენე-
ბულნი ვალნი დაშთენ ჩვენის კეთილის
სინდისით, თავადს ივანე დიდებულიძეს.
ი ვ ა ნ ე – (ნამოხტება) ეტა ტვოი კავერ-
ზი, მარტიშკა!¹

რ ა მ ა ზ – (მიუბრუნდება სხვა მედია-
ტორებსა) ბატონებო, იყავით მოწმეთ,
(ივანეს) თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგ
აბიდისათვის² სტატიით 125 უგალოვნა-
ლო ულოჟენია ო ნაკაზანიახ, ვი ბუდეტე
ლიშენი: ჩინა, ზვანია ი სოსლანი ვ სილკუ³.
ი ვ ა ნ ე – მე შენ დუელში გამოგითხოვ!
რ ა მ ა ზ – დუელნი აღკრძალულ არიან
სტატიით 532-ითა.

ი ვ ა ნ ე – სეტიმ სოზდანიემ ნიჩევო ნე

ზდელაემ⁴. (მედიატორებს) უფალნო, თქვენ ძალიან სინდისიანი ბრძანებულ-
ხართ. დაგიკარგავთ მცირედი ნაპერწკალი კეთილშობილებისა. რა სამართა-
ლი არის, ამ რაზბონიკის. – (უჩვენებს ანდუყაფარს) ეტო ჩისტი რაზბოი⁵ –
900 კომლი კაცი ოც წელინადს ეჭირა, მე ამ ოც წელინადში ასი თუმანი მხო-
ლოდ მისარგებლია ჩემის მამულიდგან. ღმერთი არა გნამსთ? ფუ, კაკაია ნე-
სპრავედლივოსტ⁶! არა, მე ნავალ ღუბერნატორთან, მთავარმართველთან,
ხელმწიფესთან, თქვენს მაშენიკობას⁷ გამოვაცხადებ. (გამოვარდება კარზე)

პ ა ვ ლ ე – ეი! ღმერთს გეფიცები, ერთ აბიდას გვაჭმევს მთავარმართველთან...
(ჩუმათ) ეს ჩემი მაკრინეს მოხერხებაა, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! ეი, ჯან,
დედაკაცო.

(ამ დროს მოაქვთ ბიჭებს: თოფები, ხმლები, ბუთილკები⁸, ყანწები, საფენი, მუ-
თაქები და ვერცხლულები. რამაზ ჰყოფს.)

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ – (რამაზს) ეგ მინები სულ ჩემი ნაშოვნი არის.

მ ა კ რ ი ნ ე – (პავლეს კულისიდან ეუბნება) ყველაფერში წილი გაქვს, არ დაანებო!

პ ა ვ ლ ე – (გაცხარებული) მე კი არა მიშოვნია რა თუ? ვეჟო! ჩემი ნანადირევით
გამოდიხართ, ვაი არა აქვს შენს პავლესა. მაიტა, ნახევარი ჩემია... (შუბლზე
მოისვამს ხელსა.) ესე ვინურამ ოფლსა და ისე გამომყავს ჩემი ცოლ-შვილი.

1. ეტა ტვოი კავერზი, მარტიშკა (რუს.) – ეს სულ შენი ოინებია, მაიმუნო!
2. აბიდა (რუს.) – შეურაცხყოფა.
3. ვი ბუდეტე ლიშენი: ჩინა, ზვანია ი სოსლანი ვ სილკუ (რუს.) – თქვენ ჩამოგერთმევათ ჩინი, ნოდება და გაიგზავნებით გადასახლებაში.
4. სეტიმ სოზდანიემ ნიჩევო ნე ზდელაემ! (რუს.) – ამ არსებას ვერაფერს მოუხერხებ.
5. ეტო ჩისტი რაზბოი (რუს.) – ეს ნამდვილი ყაჩაღობაა.
6. კაკაია ნესპრავედლივოსტ! (რუს.) – რა უსამართლობაა!
7. მაშენიკობა – თაღლითობა.
8. ბუთილკები (რუს.) – ბოთლები.

ანდუყაფარ – (მივარდება მინებს და ამტვრევს) აი, ეხლა გაიყავ. ეს ოხერი ახალ-
ციხეს ვიშოვნე. ეს ჩემმა ცოლის ძმამ მომცა... ესენი ქალაქს ვიყიდე...

პავლე – რო იყიდე, შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკელ, იმითი არ
ნახველ ქალაქსა, შე გაუმადლარო? ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! (მივარდება
რამაზს) ეგ მუთაქა ჩემია, სად მიგაქვს? გამიგონე, შენ, ეი, მამა არ წამინყდე-
ბა, არ მოგცემ. ბიჭო! ეგ ჩემი ახალუხის დანარჩენი არის! (აიღებს მუთაქას. ან-
დუყაფარ მივარდება, ართმევს; პავლე წაართმევს, გადილაჯებს მუთაქაზედ
და ხანჯალს ამოიღებს) აბა, მობრძანდი და წაიღე!

ანდუყაფარ – (გაჯავრებული შევარდება, გამოიტანს ხმალს, ქალები კვიან,
ანდუყაფარ ყვირის) დაგჩეხამ მაგ სულელსა.

ბარამ – (და ბიჭები იჭერენ ანდუყაფარს) – მამაშენი ნუ წაგინყდება, ღმერთი გა-
დღეგრძელებთ, აბა რა საკადრისია.

მაკრინე – (კულისიდან პავლეს ეუბნება) არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ!
კაცი არა ხარ?!

პავლე – (გაბრაზებული) მომიტანეთ ერთი დიდი თოფი! აი, ქალაჩუნა დედაკაცო,
ნახე ჩახმახი შევანკაპუნე. მამა არ წამინყდება, გამიგონე! გამიშვით, რა თოფი
მინდა? ცალი ხელით დავახრჩობ მელიასავით, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!
(შემოვარდება ივანე)

ივანე – (ბარამს) რა ამბავია? ჩტო
ზარაზბოი?!

ბარამ – აი, შენი ჭირიმე, ემ მუ-
თაქაზედ ჩხუბობენ.

ივანე – (იციინის) ფუ, კაკაია
ნიზოსტ!² (მივა პავლესთან, წა-
ართმევს ხანჯალს, მერე მუთა-
ქას გასჭრის შუაზედ, ერთს
გადაუგდებს ანდუყაფარს) ნა
ტებე, ბალშოი რაზბოინიკ!³ (მე-
ორეს გადაუგდებს პავლეს) ნა
ტებე, დურალეი!⁴ (ბიჭებს უყ-
ვირის) გაიტანეთ, გადაყარეთ
ეს ჩიხა-მახოები⁵ – თქვენთ-
ვის მიჩუქებია; ჩემს სახლს ნუ
აჩირქიანებთ, სახლი ჩემია. (ბი-
ჭები ჰკრეფენ საჩქაროდ. ივანე
რამაზს) ა ტი ვონ, ისჩადიე ადა!⁶
(გავა)

რამაზ – მოიცა, თვალი მაშინ
დაგიდგება, როცა შენს ძმისწულს შევირთამ! (ყველანი გავლენ)



ოქრო ერისთავი პავლეს როლში

1. ჩტო ზარაზბოი? (რუს.) – რა ძარცვა-გლეჯაა?
2. კაკაია ნიზოსტ! (რუს.) – რა სიმდაბლეა!
3. ნა ტებე, ბალშოი რაზბოინიკ! (რუს.) – აჰა, შენ, დიდო ყაჩალო!
4. ნა ტებე, დურალეი! (რუს.) – აჰა, შენ, სულელი!
5. ჩიხა-მახოები – ხარახურა.
6. ა ტი ვონ, ისჩადიე ადა! (რუს.) – შენ კი აქედან გაეთრიე, ჯოჯოხეთის მოციქულო!

გ ა მ ო ს ვ ლ ა II, III

ძმების გაყრის შემდეგ ყარდაშვერდი გაბრიელისგან მოითხოვს, ივანე დიდებულებს მოურავობა გამოსტყუოს; რასაც შენი ბატონი ყმების აკლებით იშოვის, იმის ნახევარი შენი იქნება; თუ ასე არ მოიქცევი, არ მინდისხარ, შენისთანა მშიერს მე ბევრს ვიშოვიო.

გაბრიელი თავის აღშფოთებას ივანეს გაუზიარებს და შეჰპირდება, გაიძვერა ყარდაშვერდიზე ხელს ავიღებო.

ივანე დიდებულები თავს იმით იმშვიდებს, რომ კეთილ მემამულეს სიღარიბე ამშვენებს კიდევ.

ივანე გაალებს ფანჯარას. ფიქრში იმღერის. ამ დროს შემოვა მიკირტუმა და გვერდით დაუდგება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

(ივანე და მიკირტუმა)

ი ვ ა ნ ე – ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.¹

მ ი კ ი რ ტ უ მ – მაგითი ფული ვერ გასცემ.

ი ვ ა ნ ე – აქ მომივა მე კაპუსტა.²

მ ი კ ი რ ტ უ მ – ა ვ კარმანე ბუდიტ პუსტა.³

ი ვ ა ნ ე – ტუტ მალაია სადი ნავა.⁴

მ ი კ ი რ ტ უ მ – ჯიბითგან ფულები გავა.

ი ვ ა ნ ე – აქ ბესეტკა გაკეთდება.

მ ი კ ი რ ტ უ მ – უფულოთ კი არ იქნება.

ი ვ ა ნ ე – ეს ლაბირინტათ უცხოა⁵.

მ ი კ ი რ ტ უ მ – კიდევ გითხრამ გიჟ ვრაცუა! (მიკირტუმ მივა, დააღებს ნელა ხელს მხარზედ) სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ! მარამ ფული, სულ ფული... ფული...

ი ვ ა ნ ე – მოვიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია! (მალლა მიკირტუმას) აი, ეხლა ავიღებ ბანკიდგან და თავში მოგარტყავ შენს ვალს, მე მარგუნეს...

მ ი კ ი რ ტ უ მ – აკი გითხრამდი, კნიაზ, ანდუყაფარ ყალბია.

ი ვ ა ნ ე – და ახლა მჯერა, რომ შენზედ ყალბი.

მ ი კ ი რ ტ უ მ – კნიაზ, ჩემმა მზემა, შენთან არა ვიქ ყალბი. ერთი რასჩიტაით ვქნათ.⁶ უგოდნო პერემენაით ვექსილმა, უსტუპიტს გიზამ⁷.

ი ვ ა ნ ე – მადლობელი ვარ.

მ ი კ ი რ ტ უ მ – (დაფიქრებული) კნიაზ! ერთი რამ გითხრამ: მუქთათ შენი ვექსილი გიშოვნო?

ი ვ ა ნ ე – კაკეტო⁸?

მ ი კ ი რ ტ უ მ – ფულიანი ცოლი გიშოვნებ.

ი ვ ა ნ ე – ლამაზსაც?

1. ია რაზდელიუ პოლე ნა სემ (რუს.) – მე მინდორს შვიდ ნაწილად გავყოფ.

2. კაპუსტა (რუს.) – კომბოსტო.

3. ა ვ კარმანე ბუდიტ პუსტა (რუს.) – ჯიბე კი ცარიელი გექნება.

4. ტუტ მალაია სადი (რუს.) ნავა – აქ პატარა ბალი ნავა.

5. უცხოა – საუცხოოა.

6. რასჩიტაით (რუს.) ვქნათ – ანგარიშები გავასწოროთ.

7. უსტუპიტს (რუს.) გიზამ – შელავათს გაგინევ.

8. კაკეტო? (რუს.) – ეს როგორ?.

მ ი კ ი რ ტ უ მ – ესეთი ლამაზი, თეთრი, როგორც ლიბასტრი¹.

ი ვ ა ნ ე – თვალები შავი აქვს?

მ ი კ ი რ ტ უ მ – (მხიარულათ) კნიაზ, ლათაიას გითხრამ:

თვალები აქვს იშტარხნის² ხიზილალა,
ტუჩი ტკბილი, როგორც რომ ყანდის³ ჩალა,
ტანი წვრილი, იშპაანის⁴ ყალამი,
ვინცა ნახამს, ყველა უთხრამს სალამი.
ყელი თლილი, რუსეთული შუშანი...
უნდა ნახო, კნიაზ, ჩემი შუშანი!

ი ვ ა ნ ე – კაკ შენი?

მ ი კ ი რ ტ უ მ – ეჰ, კნიაზ, ზირთი-ფირთი გაუშოთ. ჰსწორეთ გითხრამ, ჩემი ქალია.

კნიაზ! პუტრუ⁵ ჩემთან წამობრძანდი, ჩაიზედ, პუკურნო პროშუ. (დოინჯს შემოიყრის) კნიაზ, კამისიაში ოქმი შემიტანია, მეც კნიაზი გავხდე, ჰა...

ი ვ ა ნ ე – (იციინის) ხა! ხა! ხა! მართლა?

მ ი კ ი რ ტ უ მ – ვა, ჩვენი ჩამჩიანი⁶ წაიკითხე, ჩვენი გვარი ჰსწერამს ტრდატ⁷, დიდი ტრდატ!..

ი ვ ა ნ ე – ლორის ყურები რომ გამოესხა?

მ ი კ ი რ ტ უ მ – (იქით) ვა, რა ნაკითხია, და! (მალლა) ჰო, სწორედ იქიდგან წამოვ-
დივართ ჩვენი გვარი.

ი ვ ა ნ ე – (სიცილით უყურებს) მამ ნიშანი უნდა გქონდეს; აბა ვნახო, ლორის ყურები
გასხია თუ არა?

მ ი კ ი რ ტ უ მ – ეე, კნიაზ! მასხარა, ჰა! კნიაზჯან, ერთი ნსტეცეჟ⁸. (დასხდებიან).

ევესასი თუმანი შენი ვალი, ეს დავხიოთ; ხუთასი თუმანიც რამეები მზითევი
მოგცე; ასი თუმანიც ჯიბის ფული. კნიაზის მზემ, ასე აზიზი შეგინახამ, სულ,
ყაბლუ ფლავს გაჭმევ, ჩემი ცოლი ასეთი რამეები იცის: მურაბე, ნუყლი...⁹

ი ვ ა ნ ე – პოსმოტრიმ, ესლი ანა ხარაშა¹⁰.

მ ი კ ი რ ტ უ მ – ლამაზია, გითხრამ განა,
არვინ არის იმისთანა;
ტანცი იცის ვალციანი¹¹,
ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი¹²!
კიდევ გითხრამ ლათაია:

1. ლიბასტრი – ალბასტრი, თაბაშირის ნაირსახეობა.

2. იშტარხანი – ასტრახანი (ქალაქი რუსეთში).

3. ყანდი (სპარს.) – შაქარყინული.

4. იშპაანი – ისპაჰანი (ქალაქი ირანში).

5. პუტრუ (რუს.) – დილას (დამახინჯებული ფორმა).

6. ჩამჩიანი – სომეხი ისტორიკოსი.

7. ტრდატი (თრდატი) – სომეხთა მეფე, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, სომხეთის განმანათ-
ლებლები, რიფსიმე და გაიანე, ანაშა, რისთვისაც ღმერთმა სასტიკად დასაჯა და ღორად აქცია.

8. ნსტეცეჟ (სომხ.) – დაჯექით.

9. ნუყლი – დაშაქრული ნუშის გული.

10. პოსმოტრიმ, ესლი ანა ხარაშა (რუს.) – ვნახოთ თუ ლამაზია.

11. ტანცი იცის ვალციანი – ვალსის ცეკვა იცის.

12. ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი (რუს.) – გეყვარება ჩემი შუშანი

შენ ვარდი ხარ, შუშან – ია,
 ლამაზია, ფულიანი...
 ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი!
 მოდი, კნიაზ, ხელი დაჰკარ,
 ანდუყაფარს თავში ჩაჰკარ,
 გახდება ეკპაჟიანი¹,
 ბუდიშ ლიუბით მოი შუშანი!

ი ვ ა ნ ე – პოსმოტრიმ².

მ ი კ ი რ ტ უ მ – კნიაზ, კარგი, ფიქრი ჰქენ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რამ დაძაბა ურთიერთობა ივანე დიდებულებსა და „კანონის ენით“ მოლაპარაკე რამაზს შორის? საბოლოოდ რა არგუნეს გაყრის ინიციატორს?
2. იმსახურებს თუ არა „შეთქმულთა“ გარემოცვაში მოქცეული ივანე დიდებულები თანაგრძნობას?
3. როგორ იქცევინა გაყრის დროს ერთ დროს ღირსეული გვარის წარმომადგენლები?
4. რა აზრობრივი დატვირთვა შეიძინა იმ მუთაქამ, რომელიც მაყურებელმა პირველსავე მოქმედებაში იხილა?
5. ვინ ისარგებლა დიდებულებითა გაყრით?
6. გაიხსენეთ ივანესა და მიკირტუმას საუბარი გაყრის შემდეგ. როგორ გგონიათ, აბადია თუ არა მიკირტუმას პიროვნული ღირსების რაიმე ნასახი? შეურაცხყოფის მიყენება შეუშლის თუ არა მას ხელს საბოლოო მიზნის მიღწევაში?

მოქმედება მეოთხე

ოთახი მიკირტუმას სახლში

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

თათელა და მისი ქალი სხედან და ბრინჯს არჩევენ.
 მიკირტუმ, თათელა, შემდეგ ბარამ, ანდუყაფარ, პავლე, ბარძიმ და გოგო.

მ ი კ ი რ ტ უ მ – (შემოვა) თათელი!.. თათელი!..

თ ა თ ე ლ ა – ჰა-მე!³

მ ი კ ი რ ტ უ მ – ვახშმათ რა გიქნია?

თ ა თ ე ლ ა – ალაჯან, შენ ძალიან გახარებული ხარ!

მ ი კ ი რ ტ უ მ – კარგი რამეს გახარებ: შუშანი გაგითხოვე!

თ ა თ ე ლ ა – უჩემოთ იმან ვის მიე? ქალს კაი ფიქრი უნდა, ახარ⁴, სოვდა⁵ ხომ არ არის?.. ვიცი, ვის მისცემდი.

მ ი კ ი რ ტ უ მ – აბა გამოიცან.

1. ეკპაჟიანი – ეკიპაჟიანი, კარეტიანი.

2. პასმოტრიმ (რუს.) – ვნახოთ.

3. ჰა-მე! – დიახ!

4. ახარ – სიტყვის მასალა, უდრის დღევანდელ გამოთქმას ბოლოს და ბოლოს.

5. სოვდა – ვაჭარი, სოვდაგარი.



ქეთვან ორბელიანი თათელას როლში. ანასტასია ორბელიანი შუშანას როლში

თათელა – თუ გამოვიცნობ? ტოტლოვიანთ დალო?

მიკირტუმ – არა, მაღლა.

თათელა – ციციკოვიანთ ნიკო?

მიკირტუმ – არა, კიდეც მაღლა.

თათელა – (ღიმილით) ციმბურცკი, შენმა მზემ.

მიკირტუმ – არა, ქართველი კნიაზი, დიდი კაცი.

თათელა – ვუი, ქუ აჩკინ¹, კუტრი² ქართველი?

მიკირტუმ – ვა, ჩემისთანა მურავები³, თათელას მზემ, თავზე ადგას.

თათელა – ეგეც მჭამლები, აღამ⁴ ჭკვა ნააგო!..

მიკირტუმ – ვა! რა კაცია! აი, დედაკაცის ჭკუა; დღეს-ხვალ მეც კნიაზი გავხდები, მაშ მუჟიკი⁵ მივცე ჩემი ქალი?

თათელა – აღაჯან, მართლა?! შენმა მზემ, ბულდანოვიანთ ხამფერას შურობით ორივ თვალეზი დავარდება, მე რომ კნეინა ვიქნები.

მიკირტუმ – აჰა, აბა, მაშ მე გიჟი საქმე ვიქმ?!.. თათელჯან! შენი ყაირათის, შნოს იმედი მაქვს.

თათელა – (უძახის ბიჭებს) ივანიკა! ყარამანა! კვირიკე! (ბიჭები შემოიტანენ საფენსა და დაუწყებენ შლასა. შემოდინ სტუმრები და ულოცავენ თათელას; ამ დროს შემოყავთ ქალებს პატარძალი და დასმენ ტახტზედ).

მიკირტუმ – (შემოვა მორთული) აბა, ესე უნდა, როგორც მე ერთი საქმე დამრჩა, კნიაზმა გავხდე, ბულდან ბულდანიჩ აჭკი კუ ჰანიმ⁶. (ამ დროს გავარდება დამბაჩა, ისმის ხმა: მახარობელი, მახარობელი!)

ბარამ – (შემოვა და მიკირტუმას) სიძე მოგდისთ.

(მიკირტუმ სამახარობლო ფულებს ჩაუდებს პირში, აზარფეშით ღვინოს მიართმევს და მხარს უხვევს შალით; ისმის ხმა მაყრულისა. შემოვლენ ნეფე და მაყრები.)

1. ქუ აჩკინ (სომხ.) – თვალი დაგიდგეს.
2. კუტრი ქართველი – კოტრი, ლატაკი ქართველი.
2. მურავები – მოურავები.
3. აღა – ბატონი.
4. მუჟიკი (რუს.) – გლეხი.
5. აჭკი კუ ჰანიმ (სომხ.) – თვალს ამოვთხრი, თვალს დავუყენებ.

თათელა – (რომ დაინახამს, სცენისკენ იტყვის) თქვენი ჭირიმეთ, ძროხას შესჭამენ.

მიკირტუმ – (მიეგებება ნეფეს და აკოცებს, რეკომენდაციას მისცემს ცოლსა) კნიაზ, სიძეჯან, ეს გახლავთ თქვენი სიდედრი. (ნეფე მიესალმება სიდედრსა, ხელსა სთხოვს, თათელა ხელს არ აძლევს)

თათელა – არა ვლირსვარ, შვილო, ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირსი ვარ.

მიკირტუმ – (მიიყვანს ანდუყაფართან თათელას) ეს გახლავთ თქვენი მძახალი. ანდუყაფარ – (თავს დაუკრავს).

თათელა – კნიაზჯან, შენი მაღლობისთვინ, შენი დიდკაცობისთვინ მამიცია შენმა მზემ, ჩემი ჭარუმადათი¹ შუშანი, შენ შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ.

მიკირტუმ – ბულბულა, ჩე ატი მერნემ!²

ანდუყაფარ – ჩემო მძახალო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როგორც ჩვენს სახლს ეკადრება, ისე შევინახამთ თქვენს ქალსა. (მიკირტუმს მიიყვანს ანდუყაფართან კამისიონერსა. ანდუყაფარს და პავლეს გააცნობს)

მიკირტუმ – კნიაზჯან მძახალო, ეს ჩემი სიმამრის ვაჟია, კაი ვინმეა, ჩინოვნიკია. (ანდუყაფარ თავს დაუკრავს).

პავლე – (მივა, დაეღრიჯება) მამა ნუ წაგინყდება, თუ ჩემი მოყვრობა გინდა, აგება თქვენ უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნო...

კამისიონერი – ვა! რა დროსია, კნიაზო! ძაღლები განა იქნება? რა დროსია? ახარ, ჯერ ქორწილია.

პავლე – შენ რომ კურდღლის ხორცი არ გეჭმება, ამისთვის გეჯავრება ძაღლები განა?

კამისიონერი – (სცენისაკენ) ვა, რა ფინთი ვინმეა! (მიკირტუმს მიიყვანს ნეფეს და დასვამს შუშანასთან. ამ დროს წამოდგება ბარძიმ. ყველანი წამოდგებიან.)

ბარძიმ – უფალო მიკირტუმ გასპარიჩი, მისი ბრწყინვალეობა უფალი კაპიტანი თავადი ივანე ამირინდოს ძე დიდებულისძე გთხოვთ თქვენს საყვარელს ასულს. თანახმა ხართ? თანახმა ხართ? თანახმა ხართ?..

მიკირტუმ – კნიაზ ბარძიმ, მოახსენე, უთხარ, მისი ბრწყინვალეობა უთხარ, დიდათ მაღლობელი ვარ, უთხარ, რომ ჩემი სახლი მაღლიანობა, უთხარ კეთდება, უთხარ ხარისხოვნება, უთხარ ხარისხოვნება შვილობით, უთხარ...

თათელა – მეტი შნო მოგცეს, აღაჯან.

ბარძიმ – (მიკირტუმს გასპარიჩს) მოდი, დალოცე.

მიკირტუმ – სიძეჯან, გაძლევ ჩემი ქალი ლამაზმა, ჭკვიანი, ტანადი. შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ... ამინი იყოს თქვენ თავზე...

ბარძიმ – რადგანც ღმერთმა მხიარულება მოაყენა სახლსა შენსა, გმართებს შენც მხიარულება.

მიკირტუმ – (საზანდრებს) ლეკური!... მე და თათელა ვითამაშოთ...

(დაინყებენ თამაშობას, აგრეთვე სხვანი თამაშობენ ლეკურს. მერე მიკირტუმ იტყვის კუპლეტსა).

1. ჭარუმადათი – მარჩენალი, შემნახველი.

2. ბულბულა, ჩე ატი მერნემ! (სომხ.) – ბულბულია, არ მოვკვდე.

ჩესნი პუბლიკი პრაშჩაი,
პუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი,
ბუდეტ უგოშჩათ კნეინა...¹
ახლა კი ნაბრძანდით შინა.

მიკირტუმ – (ავტორის მაგივრათ)

ბატონებო, შემინდევით, თუ ჰპოვეთ რამ ნაკლულება,
ამად ვმხნეობ, აქ ბრძანებულთ² ყველასა გაქვსთ განათლება,
და ამისთვის მაპატივებთ სუსტსა ამას პირველ შრომას,
არ შეისმენთ რომელთამე უსწავლელთა წყენა, წყრომას,
მე დავწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი...
ჩვენც ვეცადნეთ და გავწვდევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი.

(ფარდა)

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. კომედიის პირველი სამი ნაწილი დიდებულებების სახლში გათამაშდა. ამ-
ჯერად სად გადაინაცვლა მოქმედებამ?
2. გაიხსენეთ I მოქმედების ბოლო დიალოგის ფრაგმენტი:
„ივანე: ნადა პრეჟდე ვლუბიტსა (ჯერ უნდა შეგიყვარდეს),
მიკირტუმ: ლუბით ნადა კრასავიცა, ფული მოგცეს მეტი ვინცა...“
ვინ აღმოჩნდა საბოლოოდ „მართალი“?
3. რატომ არ მოიწონა „კუტრი ქართველი“ სასიძოდ სოვდაგრის ცოლმა?
4. რომელი მთავარი პერსონაჟის სახელი არ გვხვდება ბოლო მოქმედებისთვის
წამძღვარებულ რემარკაში? რატომ დუმს ივანე დიდებულები ბოლო მოქმე-
დებაში?
5. რომელმა პერსონაჟმა გაამჟღავნა ავტორის მიზანი? როდის ითქვა ეს სიტ-
ყვები?

-
1. პატოსანი საზოგადოება, მშვიდობით,
დილით ჩაიზე გეპატიუებით,
კნეინა გაგიმასპინძლებათ...
 2. აქ ბრძანებულნი – აქ მყოფნი.

ცოდნის წაკითხვის შემდეგ

დავფიქრობთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა უნარის ნაწარმოებია გიორგი ერისთავის „გაყრა“? სად და როდის ხდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება? ვინ არიან მისი მთავარი პერსონაჟები?
2. როდის დაიდგა „გაყრა“ და რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ პიესის დადგმას?
3. რა არის „გაყრის“ თემა?
4. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ერთ დროს ძლიერი ოჯახის დაშლა – ერთი პერსონაჟის ახირებამ თუ ისტორიულმა კანონზომიერებამ?
5. გიორგი ერისთავის კომედია მამხილებელი პათოსის მქონე ნაწარმოებია, ვის ან რას ამხელს ამ პიესით ავტორი?
6. ქვემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟთაგან რომელთ არ ეთქმით „ზნეობით მრუდნი“? – ანდუყაფარს, პავლეს, ივანეს, მიკირტუმას, რამაზს, ბარამს, გაბრიელს, ყარდაშვერდის? (დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი).
7. რა დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს „გაყრის“ ტექსტი XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიის მკვლევარს? (მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი და წარმოადგინეთ რამდენიმე პუნქტად).
8. როგორ ფიქრობთ, შემთხვევითი იყო ის ფაქტი, რომ ავტორი საკუთარ პიესაში მიკირტუმ გასპარიჩს განასახიერებდა?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

კომედია

9. შესავალ ნაწილში ითქვა, რომ კონფლიქტი კომედიაში ცრუ ფასეულობებისა და ადამიანური ნაკლოვანებების მხილებით მთავრდება. რომელი პერსონაჟის ცრუ ფასეულობების მხილებაა კომედიის დასასრული?
10. როგორ ფიქრობთ, ხასიათების კომედიაა „გაყრა“ თუ სიტუაციების? (პასუხი დაასაბუთეთ).

კითხვის სტრატეგია

დრამატული ნაწარმოების წაკითხვა

11. გაიხსენეთ, როგორ შემოჰყავს ავტორს ივანე დიდებულის პიესაში. რას მიგვანიშნებს ავტორისეული რემარკა ამ პერსონაჟის ხასიათის შესახებ I მოქმედების III გამოსვლის დასაწყისში?
12. რაზე მიუთითებს პიესის ტექსტში ჩართული ავტორისეული რემარკა „იქით“?

ეს საინტერესოა!

გაყრის თემა და პოეზია

გიორგი ერისთავის „გაყრაში“ სიტყვა პოეზია მხოლოდ ერთხელ, I მოქმედებაში, არის ნახსენები. პიესის ტექსტში მრავლადაა ჩართული მამხილებელი შინაარსის გალექსილი სტროფები, რომელთაც ნამდვილ პოეზიასთან, ცხადია, არაფერი აქვთ საერთო. ივანე დიდებულიძის „პოეტურ აღმაფრენასაც“ ფრთები აქვს შეკვეცილი (შემთხვევითი როდია ბოლო მოქმედებაში მისი სრული დუმილი).

საინტერესოა, ყოველთვის ემიჯნება თუ არა პოეზია ძმათა გაყრის თემას. ვნახოთ, როგორ მიმართავს ერთი ალალ-მართალი კაცი თავის უგულვო ძმას:

ძმაო, უწილოდ მისტუმრებ,
ნუ მიხსნი, ვერას გავიგებ,
წავალ, ქვეყანა დიდია,
გზას ფიანდაზად გავიგებ,
მაგრამ ცხენს როგორ შეკაზმავ,
ცელს ხელში როგორ აიღებ,
ცეცხლის პირს როგორ დაჯდები,
მე თუ სიმღერას წავიღებ?

ამ მშვენიერი ლექსის ავტორია ცნობილი ესპანელი პოეტი **ლეონ ფელიპე** (1884-1969). თარგმანი **დავით წერეთლის** ეკუთვნის.

- **მაინც რას უნდა ნიშნავდეს „სიმღერის წაღება“?**
- **თქვენი აზრით, რამ განსაზღვრა ამ ლექსის განუმეორებელი პოეტური ხიზლი?**

ჟან-პატისტ მოლიერი და „ქართველი მოლიერი“

მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში **მოლიერს** (1621-1673) პოპულარობით ბევრი ვერ შეედრება. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი ტომი დაინერა. მხოლოდ ორ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება: სიცოცხლეში მოლიერი, როგორც „კომედიანტი“, საფრანგეთის აკადემიამ არად მიიჩნია, გარდაცვალების შემდეგ კი აღიარების ნიშნად თავის შენობაში ბიუსტი დაუდგა და ზედ ეს სიტყვები წაანერა: „მისი დიდება უნაკლოა. ჩვენს დიდებას იგი აკლდა“. საგულისხმოა ასეთი ფაქტიც: მოლიერის მიერ დაარსებული თეატრის, „კომედი ფრანსეზის“, სცენაზე დიდი ფრანგი კომედიოგრაფის პიესები 30 ათასზე მეტჯერ დაიდგა.

1850 წელს საქართველოს რუსეთის მომავალი იმპერატორი ალექსანდრე II სტუმრობდა. კავკასიის მთავარმართებელმა, გრაფმა ვორონცოვმა, სამხედრო აღლუმის შემდეგ დიდ სტუმარს კომედია „გაყრის“ ავტორი გიორგი ერისთავი ასე წარუდგინა: „თქვენო უდიდებულესობავ, იცნობდეთ, ეს ქართველების მოლიერი გახლავთ“.

გიორგი ერისთავის ნიჭის ამგვარი შეფასება ქართულმა საზოგადოებამ მაშინვე აიტაცა.

კვლავ მოლიერს დავუბრუნდეთ. ცნობილია, რომ მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. დიდ კომედიოგრაფს განსაკუთრებით მისი გამირების რეალურ ცხოვრებასთან სიახლოვეს უწუნებდნენ. მოლიერი თავდასხმებისგან სამეცნიერო ტრაქტატებით როდი იცავდა თავს, ერჩია კრიტიკოსებისთვის სცენიდან გაეცა პასუხი. მან სპეციალურად ამისთვის დაწერა რამდენიმე პიესა-ტრაქტატი. ერთ-ერთ ასეთ ტექსტში სახელგანთქმული რაინდი, შევალთ დორანტი, თანამოსაუბრეებს განუმარტავს: „მე ასე მგონია: გაცილებით იოლია ამალღებულ გრძნობებზე ილაპარაკო, შენი ლექსებით ფორტუნას შეება, ბედისწერას აუმხედრდე, ღმერთებს უსაყვედურო, ვიდრე ახლოდან დაინახო ადამიანის სასაცილო სახე და საზოგადოების მანკიერებები სცენაზე ისე აჩვენო, რომ ეს საინტერესო გამოდგეს. გამირების ხატვისას თქვენ სრულიად თავისუფალნი ხართ. ესენი იქნება თვითნებურად დახატული პორტრეტები, რომელთა მსგავსებასაც არავინ ჩაეძიება. ამ დროს თვალყური უნდა ადევნოთ მხოლოდ თქვენი წარმოსახვის ნავარდს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება იმდენად მაღალი აღმოჩნდეს, რომ სინამდვილის საზიანოდ მშვენიერება ამჯობინოს. ჩვეულებრივი ადამიანების აღწერისას კი ისინი ნატურიდან უნდა გადმოხატონ. ეს პორტრეტები (რეალურის) მსგავსნი უნდა იყვნენ, და თუ მათში თქვენი დროის ადამიანებს ვერ შეიცნობენ, ჩათვალეთ, რომ მიზნისთვის ვერ მიგიღწევიათ.“

■ გამოდგება თუ არა დორანტის ეს სიტყვები „გაყრის“ პერსონაჟების დასახასიათებლად? გიორგი ერისთავის ეს პიესა ჩვენი თანამედროვე თეატრის სცენაზეც იდგმება. როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება დააინტერესოს „გაყრამ“ დღევანდელი მაყურებელი?



თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობა, სადაც 1850 წლის 2 იანვარს დაიდგა „გაყრა“.

დონდუკოვ-კორსაკოვმა ვერც დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის შემდეგ მო- ისვენა. ყველაფერი იღონა, რათა დიდი მამულიშვილის დაკრძალვის ცერემონიალი ეროვნულ მანიფესტაციად არ გადაქცეულიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. მადლი- ერმა ქართველობამ მოწამებრივად აღსრულებული მოღვაწე გრძელი გზით აასვენა მთანმინდაზე და იქ მიუჩინა სამარადუამო განსასვენებელი. მთავარმართებელს ისლა დარჩენოდა, მხოლოდ ბოლმა ენთხია; პეტერბურგს გაგზავნილ ოფიციალურ წერილში მან აღნიშნა, რომ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე „სასაფლაოების ნა- ფიცმა ორატორმა“ აკაკი წერეთელმა სიტყვა წარმოთქვა და განსვენებულის სა- ზოგადოებრივი დამსახურება „უსაშველო გაზვიადებით“ წარმოადგინაო.

სამიოდ წლის შემდეგ მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი საქარ- თველოდან გაინვიეს, მთანმინდაზე, დიმიტრი ყიფიანის საფლავის ხარხებზე კი სულ ახალი და ახალი ხელმოუწერელი წარწერები ჩნდებოდა: „მოდმისთვის თავდადებუ- ლო, დიდება სახელსა წმიდასა შენსა!“ „აი ემსხვერპლა გმირი თავდადებული ჩუმათ თავის სამშობლოს“; „ჩემო დიმიტრი, შენს სისხლს შვილები ამოიგებენ!“ „ეს საფლა- ვი სალოცავია ყველა ქართველისათვის“; „შენი სიკვდილით გვიჩვენე მაგალითი, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს“; „დიმიტრი, გთხოვთ უფალს შეატყობინო ჩვენი დღევანდელი ტანჯვა-წვალება“; „საქართველოსთვის თავდადებული არ არის მკვდარი – ჩვენ შუა მეფობს!“

ცოდის ენა

ენის ეპოლოგია

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ბუნების კატაკლიზმების შესახებ, იმის შესახებ, რომ ბუნებაში არსებული წონასწორობა დაირღვა და ეს გაუთვალისწინებელ სტიქიურ მოვლენებს იწვევს.

წონასწორობა მხოლოდ ბუნებაში არ ირღვევა. ცნობილია, რომ საზოგადოება- საც აქვს თავისი წესრიგი, თავისი წონასწორობა; ხოლო მისი დარღვევა ხანგრძლივ უწესრიგობასა და განსაცდელში აგდებს საზოგადოების წევრებს.

ადამიანის გარემოსა და კულტურის შეცვლა ენის ცვლილებებსაც იწვევს. ენა- ში იჭრება უცხო ელემენტები და ასე ირღვევა საუკუნეების განმავლობაში ჩამო- ყალიბებული წონასწორობა ეროვნული ენისა. პიესის მიხედვით ჩანს, რომ ზოგი პერსონაჟის მეტყველება საფუძვლიანად არის შელახული უცხო ელემენტებით – ქართულში რუსული და სომხური იჭრება, სომხურში – ქართული და რუსული. ერ- თი სიტყვით, ქართული ქართულს არა ჰგავს, რუსული – რუსულს, სომხური – სომხურს.

დავალება: კლასიკური მწერლობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მის მიერ წარმოჩენილი პრობლემები არასდროს ბერდება, თავისებური ფორმით მუდმივად მეორდება. ასეთია თუნდაც თაობათა კულტურული გაუცხოება, რომელიც, პირ- ველ რიგში, ენობრივად ვლინდება. ივანეს ამჩატებული ქართულ-რუსული ლაპა- რაკით შეცბუნებული ანდუყაფარი ამბობს: „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, ინამლებიან, თუ რა არის...“

ასეთი ვითარება დღესაც შეინიშნება. დანერეთ მშობლებსა და შვილებს, ან პაპა-ბებიებსა და შვილიშვილებს შორის ამ გაუცხოების ამსახველი დიალოგი, ოღონდ, ცხადია, არა რუსულის, არამედ ინგლისურის გამოყენებით.

აკვიატებული გამონათქვამები

თქვენ უკვე იცით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დეტალს პერსონაჟის პორტრეტის შესაქმნელად, ან გარემოს აღსაწერად; ზოგჯერ ის უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე დანვრილებითი დახასიათება.

ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი დეტალი პერსონაჟის პორტრეტისა თუ ხასიათის შესაქმნელად. ამიტომაც აქცევენ მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას ნაწარმოების გმირთა ენობრივი თავისებურებების წარმოჩენას, მათი მეტყველების სპეციფიკის ასახვას.

ცნობილია, რომ მწირი, ღარიბი მეტყველებისათვის დამახასიათებელია ახირებული, აკვიატებული გამონათქვამები (ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები), რომელთაც ისინი სხვებთან დიალოგისას რაღაც მნიშვნელოვან როლს აკისრებენ, თავიანთ სიბრძნედ თუ პოზიციად წარმოსახავენ. მაგალითად, მიკირტუმ გასპარიჩის ასეთი აკვიატებული შეფასებაა „გიჟ ვრაცუა“ („გიჟი, სულელი ქართველი“).

დავლება: მოძებნეთ და ამოიწერეთ ტექსტში თითოეული პერსონაჟისათვის დამახასიათებელი ასეთი აკვიატებული გამონათქვამი.



წიკითი სამუშაო

კომპლექსური დავლება 5. პიესის ტექსტის გადაკეთება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით

წარმოიდგინეთ, რომ სკოლის სცენაზე გიორგი ერისთავის „გაყრა“ უნდა დადგათ. კარგად დაფიქრდით, როგორ შეიძლება წარუდგინოთ ეს პიესა თანამედროვე მაყურებელს ისე, რომ მისი აქტუალობა თვალში საცემი იყო. მოუძებნეთ „გაყრის“ პერსონაჟებს შესატყვისი ტიპაჟები დღევანდელ სინამდვილეში და გადააკეთეთ პიესის ერთი მოქმედება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- პიესის, როგორც მხატვრული ჟანრის ნაწარმოების, სტრუქტურული ელემენტები: მოქმედ პირთა ჩამონათვალი, მოქმედების ადგილის მოკლე აღწერა, ავტორის რემარკები, მოქმედი პირების დიალოგი;
- „გაყრის“ პერსონაჟების შესატყვისი თანამედროვე ტიპაჟები და მათი ხასიათი შესაბამისი დიალოგების, ლექსიკის, ლაპარაკის მანერისა და ქცევის საშუალებით;
- კონფლიქტი ამ პერსონაჟთა შორის, რომელიც შესაძლოა დღევანდელ ვითარებაში წარმოქმნილიყო;
- პიესის მთავარი სათქმელი ავტორისეული რემარკის ან რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის სახით.

ანაანთ ქვივი

I

ქვივიან ყვილითი ზიფვი

რთი, ღმრისე თუბა...

ხაანთ ქვივი: სვირ...

ქვი-თირაშ-ში მბილა

გნ/ბუსა.

ი, ღარ კარ რირი სვი

წახაშბრენ ჰ აუ...

ღმ ხერსა უ ავი. რაან

ქლი აშავი ჰ მხე ბ...

ქლი ქაანთ წაქ...

ათშბ ვაქს-ვიქ ა...

ქწხინ-ქრახაშე ა...

არ რაქვი მუხი...

ღან თილ. რ მბილი...

ამენ აშბბრა...

... ხე მ ქვიყია. ქ...

თავი III

ახალი თაღმა

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.“

ილია ჭავჭავაძე („ქართველის დედას“)

შინაარსი

ილია ჭავჭავაძე	109
მოვამზადოთ ტექსტების წასაკითხად	
რეალიზმი	111
კითხვის სტრატეგია	
ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება	114
მეზავრის წერილები	115
„მგზავრის წერილები“ როგორც ლიტერატურული ჟანრი	130
კველი და ახალი თაობის დავირისპირება	134
ორიოდე სიტყვა	135
პასუხის პასუხი	137
რა რეაქცია მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხს“	141
ბედნიერი ერი	142
კაცია-ადამიანი?!	144
ოთარანთ ქვრივი	193
გიორგიდან ოთარანთ ქვრივამდე (მომხრობის შექმენის მოკლე ისტორია)	249
გიორგის სახე	251
ოთარანთ ქვრივი საერთო ტიპთა გალერეაში	251
განდევილი	252
აკაკი წერეთელი	271
ჩანგური	273
აღმართ-აღმართ	274
ჭალარა	276
აკაკის გარეგნული ხატი	278
ყური თუ თვალი?	279
გამზრდელი	280
ახალი თაობის ენა	
„თერგდალულთა“ დვანლი ახალი ქართულის დამკვიდრებაში.....	289
ოპიქტური და სუბიექტური რეალისტი მწერლების სალიტერატურო ენაში	290



ილია ჭავჭავაძე

(1837-1907)

ილია ჭავჭავაძის წინაპრები, გადმოცემათა მიხედვით, ერწო-თიანეთიდან გადმოსახლებულან ყვარელ-შილდაში 1529 წელს.

ილიას პაპა — პაატა — გამოჩენილი პირი იყო ერეკლე II-ის კარზე. ილიას მამა, გრიგოლი, მისი მეოთხე ვაჟი გახლდათ. 1832 წელს გრიგოლმა ცოლად შეირთო თბილისელი მარიამ (მაგდანა) ბებურიშვილი. მათ ექვსი შვილი შეეძინათ: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თეიმურაზი და სვიმონი.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი იონა მეუნარგია შენიშნავს, რომ „იგი (ილია) მთელი სიცოცხლე დედის მალმერთებელი იყო, მუდამ დედის სულს ფიცავდა“. მარიამს შეუყვარებია შვილებისათვის სამშობლო და ქართული ლიტერატურა. იგი 1848 წელს ოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, შვილებზე კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა მაინც შეძლო.

ობლების აღზრდა, ძმის თხოვნით, ითავა მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავმა. 1852 წელს გრიგოლიც გარდაიცვალა და მაკრინე ერისთავი მარტო უძღვებოდა ძმის ოჯახს.

ილია იმთავითვე გამორჩეული ყოფილა და-ძმებს შორის: „ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრერიგად არ უყვარდა. ძრიელ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა... პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე... ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა,“ — იგონებს ილიას გამდელი სალომე ლოლაძე.

ბავშვობის წლებს მონაფეოზისა და სტუდენტობის ხანა მოჰყვა (ილია თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1857-1861 წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა), შემდეგ კი — ცხოვრების ფერხული.

1863 წელს ილია დაქორწინდა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე, რომელიც, თანამედროვეთა გადმოცემით, იყო „ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველის მოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანის ქმრისა და მალმერთებელი მისის ნიჭისა“ (გრიგოლ ყიფშიძე).

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, ანუ მთელი მოღვაწეობის განმავლობაში, ილიას არ გამორჩენია არცერთი საქვეყნოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო და გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვა.

ილიამ შექმნა მთელი ეპოქა და ზიდა წინამურამდე...

1863 წელს ილიამ დააფუძნა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

1872 წელს ილიამ სასტიკად გააკრიტიკა გიორგი მუხრან-ბატონის წიგნი, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციის აუცილებლობას.

1875 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებაში.

1877 წელს დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

1881 წელს სტატიით: „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“ ამხილა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, კ.იანოვსკის საგანმანათლებლო პოლიტიკა, ქართულ სკოლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლების მცდელობა.

1882 წელს წერილით „კატკოვის პასუხად“ ილიამ დაიცვა საქართველოს წარსული, კატკოვის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ გამოქვეყნებული ქართული კულტურისა და ქართული დროშის შეურაცხმყოფელი წერილით აღშფოთებულმა. ეს წერილი რუსულადაც ითარგმნა და ფართო მხარდაჭერა პოვა რუსულ ინტელიგენციაშიც.

1886 წლიდან ილია იყო მისი ინიციატივით დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე.

ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის აღმოჩენა, მისი ლექსების გამოცემა და პოეტის ნეშტის განჯიდან გადმოსვენება; ვაჟა-ფშაველასათვის ხელის შეწყობა, მისი ნაწარმოებების შეუფერხებლად დაბეჭდვა, მისთვის მატერიალური დახმარების განწევა...

1903 წლიდან ილია ჩაერთო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს კულტურული ავტონომიის საკითხის მომზადების საქმეში; 1905 წლიდან კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მომზადებაში იღებდა მონაწილეობას.

1906 წელს ილია ჭავჭავაძე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს. მას ჩაფიქრებული ჰქონდა სათათბიროში საქართველოს კულტურული ავტონომიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები დაეყენებინა.

ამ დროს დიდი მოღვაწის თავზე უკვე საავდრო ღრუბლები გროვდებოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ილიას აკრიტიკებდნენ როგორც მწერალს, როგორც მოღვაწესა და პიროვნებას, ცილს სწამებდნენ და ათას სისაძაგლეს უგონებდნენ. მთელ თბილისში ცნობილი და პატივცემული ადამიანი — ზაქარია ჭიჭინაძე — 1907 წლის აგვისტოს მინურულს უმონყალოდ სცემეს ერთ-ერთ დუქანში ილიას სადღეგრძელოს შესმის გამო.

ილია გააფრთხილეს, რომ მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ მაინც არ გადაიფიქრა საგურამოში გამგზავრება იმ საბედისწერო დღეს — 1907 წლის 30 აგვისტოს.

წინამურთან იქუხა თოფმა. სასიკვდილო ტყვიამ გული დაუფლტია მწერალს. მისი ბოლო სიტყვები — „რას სჩადიხართ, ილია ვარ!“ — დიდი გაფრთხილებაა მომავალი თაობებისათვის.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენო,“ — თქვა მაშინ შეძრწუნებულმა ვაჟა-ფშაველამ.

ილია და XIX საუკუნის საქართველო განუყოფელ ერთიანობად მოიაზრება მთელი შემდგომი ხანის მწერლობაშიც: „XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ილია რომ გამოაკლდეს XIX საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული,“ (ტიციან ტაბიძე) — ასე შეაფასა XX საუკუნემ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი.

მოქმედადოთ ცოდნის წასაკითხად

დავაკავშიროთ

არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „პოეტი“, რომელიც ავტორის შემოქმედებითი მრწამსის ერთგვარ მანიფესტადაც შეიძლება ჩაითვალოს და იმსჯელეთ, რა არის პოეტის, შემოქმედის დანიშნულება ამ ლექსის მიხედვით.

პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მინიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარფუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,

რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მისი ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის
ცრემლსა!

გავანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

რეალიზმი. რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, XIX საუკუნის 30-იან წლებში ყალიბდება, მთელი ამ საუკუნის განმავლობაში ვითარდება და მომდევნო საუკუნეშიც გადადის. ტერმინი „რეალიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „რეალის“, რაც საგნობრივს, ნამდვილს ნიშნავს. რეალობის, სინამდვილის ასახვა ამ ლიტერატურული მიმდინარეობის საპროგრამო მოთხოვნაა.

სინამდვილე, ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო, გარკვეული კუთხით რომანტიზმშიც ირეკლებოდა, მაგრამ რომანტიზმი ასახავდა იმას, როგორ უნდა იყოს ან როგორ არ უნდა იყოს, რეალიზმმა კი მიზნად დაისახა ეჩვენებინა, როგორ არის და რატომ.

რეალიზმის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი არა მარტო სინამდვილის ასახვა, არამედ მისი გაანალიზება, მიზეზშედეგობრივი კავშირის ძიებაა. სწორედ ამ ანალიტიკური ბუნების გამო უწოდებენ XIX საუკუნის რეალიზმს „კრიტიკულს“.

რომანტიზმსა და რეალიზმს ბევრი საერთო ჰქონდათ; უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ეპოქა, XIX საუკუნე, რომელიც ისტორიაში დიდი საზოგადოებრივი ძვრების, ომების, რევოლუციებისა და ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშნით შევიდა. ორივე მიმდინარეობამ კარგად გაითავისა ფილოსოფოსთა მოძ-

ღვრება განვითარებაზე (ისტორიზმის პრინციპი); ორივესთვის მიუღებელი იყო ფულის კულტა და პრაგმატულ ურთიერთობებზე დაფუძნებული ბურჟუაზიული საზოგადოება; რომანტიკოსებზე არანაკლებ უკმაყოფილონი იყვნენ არსებული სინამდვილით რეალისტი მწერლები. განსხვავება კი ის იყო, რომ ისინი სხვადასხვაგვარად მოიაზრებდნენ არსებული ვითარების მიზეზს. რომანტიზმს რეალური კონფლიქტები ორი სამყაროსეული სანყისის, სიკეთისა და ბოროტების, მარადიული დაპირისპირების გამოვლენად მიაჩნდა, რეალიზმი კი ამ მიზეზებს საზოგადოებრივი ცხოვრების წესში ხედავდა და მათ გამოკვლევას ცდილობდა. სინამდვილის წვდომის, ამა თუ იმ მოვლენისა და ადამიანის ქცევის მიზეზთა გააზრებისას რეალიზმი მეცნიერებას ეყრდნობოდა. რომანტიკოსის სუბიექტურ მსოფლალქმას რეალისტებმა მეცნიერული ანალიზი დაუპირიპირეს. „მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება“, – წერდა ილია ჭავჭავაძე („საქართველოს მოამბეზე“).

მეცნიერებამ კი იმ დროს ცოცხალი სამყაროს ერთიანობის იდეა წამოაყენა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ცოცხალ ორგანიზმთა სახეობები გარემო პირობების მიხედვით იცვლებიან. რადგან ყველა ორგანიზმი დამოკიდებულია იმ გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს, ადამიანის სასიცოცხლო გარემო კი არის საზოგადოება, რეალისტებმა დაასკვნეს, რომ „საზოგადოება ქმნის ადამიანისაგან გარემოს შესაბამისად იმდენ სხვადასხვა სახეობას, რამდენიც არსებობს ცხოველთა სამყაროში“ (ო. დ. ბალზაკი).

ფრანგი რეალისტი მწერალი **ონორე დე ბალზაკი**, რომელიც თავის თავს „საზოგადოებრივი ყოფის არქეოლოგს“ უწოდებს, სოციალური გარემოს მიერ შექმნილი სხვადასხვა ტიპის წარმომავლობას იკვლევდა. თავისი რომანების ციკლის – „ადამიანური კომედიის“ – შესავალში იგი საკუთარ ამოცანას ასე განსაზღვრავდა: „უნდა აღმენერა მანკიერი თვისებები და ქცევები, მომეგროვებინა ვნებათა გამოვლენის ყველაზე აშკარა შემთხვევები, გამომესახა ხასიათები, ამომერჩია უმთავრესი მოვლენები საზოგადოების ცხოვრებიდან, შემექმნა ტიპები უამრავ ერთნაირ ხასიათთა ცალკეული თვისების შეერთებით“.

მაშასადამე, რეალიზმი, ერთი მხრივ, ითხოვდა ცხოვრების მართალ, შეუღამაზებელ ასახვას, ხოლო, მეორე მხრივ, არა სინამდვილის ფოტოგრაფიული ასლის შექმნას, არამედ მის განზოგადებულ (ტიპურ) სახეებში წარმოდგენას.

სინამდვილის მართალი ასახვა რეალიზმის ერთ-ერთი უპირველესი საპროგრამო მოთხოვნა იყო. ბალზაკი თავის „ადამიანურ კომედიას“ უწოდებდა წიგნს XIX საუკუნის საფრანგეთზე. ინგლისელი მწერალი **ჩარლზ დიკენსი** ამტკიცებდა, რომ მის რომანში („ოლივერ ტვისტი“) აღწერილია „მხოლოდ მკაცრი და მწარე“ სინამდვილე.

სინამდვილის ასახვის მოთხოვნამ ერთობ პოპულარული გახადა რეალისტური ხელოვნების შედარება სარკესთან. **სტენდალი** რომანს ადარებდა სარკეს, რომელიც მგზავრს ზურგზე აქვს მოკიდებული და ისიც ყველაფერს ირეკლავს, რაც გზაზე შეხვდება, კარგსაც და ცუდსაც.

ჩვენს სინამდვილეში პირველად **ილია ჭავჭავაძემ** შეადარა ხელოვნება სარკეს: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმოდგარი ჩვენი წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“ („საქართველოს მოამბეზე“). **აკაკი წერეთელიც** ხშირად ადარებდა ერთმანეთს მწერლობასა და სარკეს:

„მწერლობა ზნეობით და გონებით მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისის სისწორ-სიმრუდით“ („მესარკე“). მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ... ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს“. ეს უკვე მხატვრული განზოგადების მოთხოვნაა, რომელიც კიდევ უფრო ნათლად აქვს გამოთქმული ილია ჭავჭავაძეს. ილიას აზრით, თუ ნამდვილი ხელოვნების შექმნა გვსურს, აუცილებელია, „საზოგადო ნიშნების ერთად, ნყობილად შეკრება“.

მხატვრული განზოგადების შედეგია სწორედ **ტიპი**, რომელიც სინამდვილის უამრავი ერთნაირი გამოვლინების (ერთნაირ ხასიათთა და გარემოებათა) ცალკეული ნიშნების შეერთების გზით იქმნება.

ილია აღნიშნავდა, რომ მსახიობ ვასო აბაშიძეს განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა მის მიერ განსახიერებულ სახეების ტიპებად გადაქცევისა: უყურებთ ვასო აბაშიძის მიერ გაცოცხლებულ სახეს და ფიქრობთ, რომ ეს კაცი სადღაც გინახავთ. „...როცა სცენაზე წარმოდგენილ სახეს კაცისას იცნობ კიდევ და არც იცნობ, ეს უტყუარი ნიშანია, რომ იგი სახე „ტიპია“, ზოგადი სახეა ერთი გვარის კაცებისა, რომელთაგანაც თვითეულად ცალკე თვალსაჩინო ნიშნებია მოგროვილი და ერთად შექსოვილი, ერთ ადამიანად ქცეული. ამიტომაც „ტიპი“ ყველასაც ჰგავს ზოგადად და არც ერთსაცა ცალკე. ამიტომ „ტიპად“ გარდაქმნილი სახე გეცნობათ კიდევ და არც გეცნობათ ერთსა და იმავე დროს“.

ტიპური ხასიათი უნდა ასახულიყო ტიპურ გარემოში. ახალი წარმოდგენა გარემოზე და ადამიანთან მის კავშირზე რეალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იყო. რეალისტი მწერლები გარემოში გულისხმობენ როგორც გმირის ირგვლივ არსებულ საგნობრივ სამყაროს, ისე ამ გარემოში გაბატონებულ იდეებს, შეხედულებებსა და მისწრაფებებს.

იმ პერიოდის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული ჟანრი იყო ე. წ. „ფიზიოლოგიები“, ანუ სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა პორტრეტები, რომლებშიც დაწვრილებით იყო აღწერილი მათ ირგვლივ არსებული საგნობრივი გარემო. დეტალურად არის აღწერილი საგნობრივი სამყარო პერსონაჟთა ირგვლივ ილია ჭავჭავაძის მოთხრობებშიც. გარემოს აღწერა რეალისტებს მასში მცხოვრები ადამიანის წარმოსაჩენად სჭირდებოდათ. ამასთანავე, მათ კარგად იცოდნენ, რომ გარემოსა და ადამიანს შორის ორმხრივი კავშირია – გარემო გავლენას ახდენს პიროვნებაზე, მაგრამ, თავის მხრივ, ის სწორედ პიროვნების (ან პიროვნებების) აზროვნებისა და მოქმედების შედეგს წარმოადგენს. რეალისტები აღნიშნავდნენ, რომ ადამიანს, რომელიც გარემოს პროდუქტია, თავადაც შეუძლია აქტიური ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. ადამიანზე დაკვირვება, გარემო პიროვნების შესწავლა და გამოსავლის ძებნა XIX საუკუნის რეალისტური მწერლობის არსებითი ნიშან-თვისებაა.

კრიტიკული რეალიზმი გვიჩვენებს, თუ როგორ იმსგავსებს ადამიანს გარემო, ბოროტების სათავედ კი საზოგადოების სოციალურ წყობას მიიჩნევს და გამოსავალს ადამიანის პირად თვისებებში – თავადის კეთილშობილებაში, გლეხის პატიოსნებაში, ინტელიგენტის უანგარობაში – ხედავს. საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარება, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით, მისი თითოეული წევრის ნება-სურვილსა და მისწრაფებაზე დამოკიდებული. თუმცა

სამყაროს მხოლოდ ერთი ან ორი განსაკუთრებული პიროვნება ვერ გარდაქმნის, საჭიროა, საზოგადოების ყველა წევრმა მოისურვოს ეს, ე.ი. საზოგადოების თითოეული წევრი უნდა გახდეს იდეალური თავის სოციალურ გარემოში.

მაშასადამე, საზოგადოებრივი კავშირურთიერთობების მოწადიებული წრე, სადაც გარემო პიროვნებაზეა დამოკიდებული, ხოლო პიროვნება – გარემოზე, უნდა გაარღვიოს პიროვნებამ, რომელიც ამალღდება გარემოზე და გარდაქმნის მას.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უნდა წარმოიშვას გარემოზე ამალღებული პიროვნება? კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა უმთავრესი როლი ადამიანის ზნეობრივ აღზრდას დააკისრეს. ზნეობრივ აღზრდელად კი XIX საუკუნის ბევრ გამოჩენილ რეალისტ მწერალს ქრისტიანული რელიგია ესახებოდა.

საქართველოში რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყალიბდება. კრიტიკული რეალიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან **ილია ჭავჭავაძე** და **აკაკი წერეთელი**.

გამოვიყნოთ

კითხვის სტრატეგია

ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება. თქვენ უკვე იცით, რომ ლიტერატურული კონტექსტი არის ლიტერატურული გარემო, რომელიც გავლენას ახდენს მწერლის შემოქმედებაზე. ეს გარემო ხშირად ლიტერატურული მიმდინარეობის სახით არის მოცემული. ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის ძირითადი გეზი განსაზღვრა, იყო **რეალიზმი** (მისი არსებითი ნიშნები წინა პარაგრაფშია წარმოდგენილი).

ლიტერატურული კონტექსტის ცოდნა და მისი გამოყენება მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს მისი უკეთ გაგების ერთ-ერთი საშუალებაა.

მგზავრის წერილები

ვლადიკავკასიამ¹ ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირდაუბანელმა და თავდაუფარცხნელმა „იამშჩიკმა“² ფოშტის პოვოსკა³ მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასიში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზღაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен⁴. კვამლის სიტკობეზზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალისადაც ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

— ეგ ეტლი ვისი მოგონილია? — მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

— რუსისა, — ვუპასუხე მე.

— მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცდილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

— არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამინყრება, რომ დამიშავდეს რამე.

— მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომანოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპიელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. „იამშჩიკმა“ თვალები აახილა და მე ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო“, დაუნრუნუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ. Ну, чо-о-орт; трогай што-ли!⁵ დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბღერტეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

— მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! — ხითხი-

1. ვლადიკავკასი — ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი.

2. იამშჩიკი (რუს.) — მეეტლე.

3. პოვოსკა (რუს.) — ოთხთვალა.

4. სამშობლოს კვამლიც კი ტკბილი და სასიამოვნოა (რუსი პოეტის, გ. დერჟავინის, ფრაზა, რომელიც ალ. გრიბოედოვს გამოყენებული აქვს კომედიამი „ვაი ჭკუისაგან“).

5. დაიძარი, რაღა!

თებდა იგი, — ვილა დაენევა!

თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრა-ლად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგანს თითო შოლტი გადაუჭი-

რა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჯღრეულმა ზარმა დაინყო თავისი უგემური ჟღარაჟღერი, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.

დავვიჩრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ გვაცნობს ავტორი ნაწარმოებში გადმოცემული მოგზაურობის მარშრუტს?
2. როგორ გესმით გამოთქმა: „მამულის კვამლი“? რამ განაპირობა ავტორის მსჯელობა „მამულის კვამლზე“ და როგორია მისი საუბრის ინტონაცია?
3. შეიძლება თუ არა ამ მსჯელობაში რეალისტი მწერლის ხედვა ამოვიცნოთ? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. რატომ თანაუგრძნო ფრანგმა მგზავრს? რა ჩანს მის სიტყვებში – როგორ აფასებს ის რუსეთის მდგომარეობას?
5. როგორ ფიქრობთ, რატომ ათქმევინებს ამ სიტყვებს ავტორი ევროპელს („ფრანსიელს“)?

II

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამცთუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია, მეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგდალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლადა თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგდალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი

ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან...“ *

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი შავადა ზედ დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინცდამაინც ვაი შენ, ჩემო

* აქაც და შემდგომაც ილია მოიხმობს სტრიქონებს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „საღამო გამოსალმებისა“.

თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭეჭა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი ნადილი შენს ვინრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყურაა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“

შუადღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებით სიამოვნება ვერა მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს – შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დაღევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს

სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბენვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდეც ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბენვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა საბუთი აქვს, მგზავრის სიტყვით, ქართველ კაცს, რომ „როგორღაც არ ეჭამნიკება და არ მოსწონს“ „თერგდალეულები“?
2. რისკენ არის ამჟამად მიმართული ავტორის ირონია? რა ეპითეტით მოიხსენიებს ილია ქართველობას?
3. როგორ გესმით თერგის მისამართით ნათქვამი: „ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო“? რაზე მიგვანიშნა ილიამ „დადუმების“ ამ ორი გზით?
4. თქვენი აზრით, რა არის თერგის სახეში „საგულისყურო“? რით იტაცებს ავტორს მისი „ძლევამოსილი და შეუპოვარი“ დენა?
5. რატომ ახსენდება ავტორს რუსთველის სტრიქონი: „ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“? გაიხსენეთ ეს სტროფი ბოლომდე. რისი თქმა უნდა, თქვენი აზრით, ილიას?
6. როგორ ახასიათებს რუსეთში გატარებულ წლებს მგზავრი. რატომ ადარებს იგი ამ წლებს „სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებულ“ „ბენვის ხიდს“?

რაკი ვლადიკავკასიიდან გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სხვა-რიგად დამინყო ფეთქვა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამაპაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იმავე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ, მალლა დალაგებულნი – ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაინმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თვითვეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამოიხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს – მესამე, ასე ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, – ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიდაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში

მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიაშბოს თავის გულისტკივილი, თავის გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმილოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? – ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

– მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე მე ჩემს თავს ხმამაღლივ.

– ჩაი უნდა მიირთოვო, – მიპასუხა სტანციის გუმაგმა, რომელმაც ამ დროს

შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა.

– ჩაიო!..

– სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? – მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარედ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

– ნება მომეცით, – მითხრა მან რუსულად, – გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პოდპორუჩიკი N. აქ ლარსში ვდგავარ, როტა¹ მაბარია.

– ძალიან მოხარული ვარ, – ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამონვდილი ხელი.

– საიღამ მობრძანდებით?

– პეტერბურგიდამ.

– ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნება-და მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკვის საზდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

– თქვენ ვინა ბრძანდებით? – მკითხა მან.

– მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლიდარი.

– დახლიდარო!.. – სთქვა და ტუჩები აიპრუნა.

– დიალ, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად

მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

– საიღამ მოდიხა-ა-ართ?! – მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

– პეტერბურგიდამ.

– ჰმ, – ჩაიცინა აფიცერმა, – პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია, – სთქვა ესა და არხეინად ჩამოჯდა სკამზედ: – პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქია პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე გავუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზღერის ბალი ხომ გინახავთ?

დავუგდე კი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულამეთქი, მაგრამ, გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა, არა შევატყვე-რა.

– არა, იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა?

– მკითხა კიდევ იმან.

– პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? – ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკნასკნელ კითხვაზედ.

– არა, ჯერ მე მითხარით: იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით.

1. როტა — ასეული, ქვეითი ჯარის ქვედანაყოფი.

მგონი, თქვენ არც კი იცით, – რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არლუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოლია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია. თქვენც გაინურთნებით. მაღლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

– მინახავს.

– გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ. იზღერის ბალი? როგორი ბალია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბალი სავსეა ყუყუნათვალეებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახვენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზღერის ბალი განათლების გვირგვინია, ასეთი ბალია, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

– მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

– თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

– მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდან მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა.

– არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

– რომიც, რასაკვირველია, გვექნება.

– მაგაზედ კი უკაცრავოდ.

– ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

– ქართველი.

– ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ.

თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ *бежали робкие грузины*¹, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა. პაპიროსები კი, რასაკვირველია, გექმნებათ.

– გახლავთ.

– იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

– დიდის სიამოვნებით, ინებეთ.

– აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგადაშიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად ვითარგმნით და ამრიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგიადვილებთ.

მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

– თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

– აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა. ახლა დავინყოთ იქიდან, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

– არა, სტავროპოლში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა დავინყოთ, როგორც წელანა ვთქვით, იქიდან, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

– დიაღ, კარგად.

– ახლა რაკი იქიდან დავინყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით ავიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

– წარმოვიდგინე.

1. *бежали робкие грузины* - რუს. გარბოდნენ მხდალი ქართველები.

– არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

– დაკვეტე, – ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.

– ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

– ჩამოვაფარე.

– რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ველარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროსია ურიგო. პეტერბურგიდამ იქნება?

– არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

– ძალიან კარგად.

– ახლა, რადგანაც აგისხენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

– მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

– ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

– იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო!.. ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტვიტელნი სტატკის სოვეტნიკებსაც¹ მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტატკის² გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერ-

ლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

– არა, თქვენმა მზემ, – დავუფიცე მეც, – არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

– ოციოდე მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

– იქნება სამოცდაათი.

– შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი. ან საიღამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვანლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

– რა იმოქმედეთ?

– რა ვიმოქმედე? ადვილი სათქმელია! აი, ბატონო, რუსეთში მეზატონებს ყმები ჩამოართვეს. მეზატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარა დარჩა. შენუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუნყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მნუხარებას, – ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მაღლობა ღმერთს, ვუშველე კიდევ. ასეთი რამ მოვიგონე,

1. დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი — სახელმწიფო მოხელის ჩინი ძველ რუსეთში.

2. შტატკი — აქ: სამოქალაქო (ანუ არასამხედრო).

რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა ნამალი. ჩემი დენშჩიკი¹ ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავინწყე ყუთის დაკეტვა, მაგრამ ხან დაკეტვა დამავინწყებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავახურე და არ დავეკეტე კი. ახლა მკითხავ – რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას, ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ. ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი ნამალია. ეგ ნამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისათვის არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ – თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეგ არის, რომ არყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველერა. არყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან – губа не дура². მაგრამ მაგის ნამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანსიელებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია, ეს

ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი ალებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერ დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მალაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არიან? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვანლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმც კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდამეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით, რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ახლა სხვა ჩემისთანა სხვას მოვიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზღერის ბალი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზღერის ბალში, იმ ბალში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

1. **დენშჩიკი** — ოფიცრის მსახური ძველ რუსეთში.
2. **губа не дура** – (რუს. ირონ.) იცის, რა არის კარგი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რაზე ფიქრობს ლარსის „სტანციის“ ოთახში განმარტოებული მგზავრი? სად იჩენს თავს ფარული კამათისა და დარწმუნების კილო?
2. რა კითხვებს უსვამს მგზავრი საკუთარ თავს? რატომ ეჭვობს იგი, რომ შეიძლება მისმა ქვეყანამ არ მიიღოს, ზურგი შეაქციოს?
3. რისი თქმა სურს მგზავრს თავისი ქვეყნისათვის? მისი აზრით, რა შედეგი უნდა გამოიღოს ამ სიტყვამ?
4. რისი გაკეთება სურს მას თავისი ქვეყნის „გაციებულის გულის გასათბობლად“ – როგორ გესმით ეს გამოთქმა? რატომ არის ქვეყნის გული „გაციებული“?
5. რა იყო თვალშისაცემი რუსი „აფიცრის“ გარეგნობაში? რას მიანიშნებს ამით ილია?
6. რა თქვა პოდპორუჩიკმა, როდესაც შეიტყო, რომ მგზავრი პეტერბურგიდან მოდიოდა? როგორ მოიხსენია მან ის ქვეყანა, სადაც მსახურობდა? რას მიანიშნებს ამით ავტორი?
7. როგორ მოიქცა პოდპორუჩიკი, როცა შეიტყო მგზავრის „ვინაობა“? როგორ გამოხატავს ავტორი მისი გარეგნული იერისა და მეტყველების კილოს ცვლილებას?
8. როგორ უხატავს პოდპორუჩიკი მგზავრს „განათლების სიკეთეს“? როგორ გამოარკვია მან, რა მდგომარეობაში იყო მგზავრის სამშობლო ცივილიზაციის მხრივ? რით ზომავდა იგი ცივილიზაციის დონეს?
9. რისი სახეა ეს ხეპრე და უტიფარი „აფიცერი“? ვინ და რა დახატა ამ პერსონაჟის მეშვეობით ავტორმა?

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავეების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდან გარედ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულ მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამინა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭისოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვა-

ლე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს, – ერთის სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამინაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმალლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ

ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმი — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულია,

მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს¹ მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი თქმა სურს ავტორს მყინვარისა და თერგის შედარება-შეპირისპირებით? რისი გამოსატყულებაა მისთვის მყინვარი და თერგი?
2. რას ამბობს ილია მოძრაობის შესახებ?
3. ჩანს თუ არა რეალისტი მწერლის ხედვა ამ მხატვრულ სახეთა დაპირისპირებაში? (პასუხი დაასაბუთეთ).

V

ჩამოლამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე, მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დალამდა, თვალწინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დალამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ლა

ელირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დალამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარედა ვარ და, დაჟინებით ყურაცქვეტილი, გონებას ვადევნებ თერგის თავზედ-ხელაღებული დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა ნუთნი

1. **გეტე** — იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე, გერმანელი პოეტი (1749-1832), ავტორი ნაწარმოებებისა: „ფაუსტი“, „არჩევითი ნათესაობა“, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ და სხვ.

მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოვს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბე-

დურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვია, — და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმაღავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ უნდა გავიგოთ მგზავრის სიტყვების ალეგორიული აზრი: „მიყვარს, ბუნებავ, შენი დანყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე“?
2. რატომ ურჩევნია მგზავრს „მოუსვენარი“ დღე „მშვიდობიან“ ღამეს?
3. რა „ბრალს სდებს“ ღამეს მგზავრი? რა ყოფილა ქვეყნის უბედურების მიზეზი?
4. თქვენი აზრით, რისი სახეა ღამე და რისი — დღე?

VI

სტანციაში შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით¹ მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენდაცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჭკვა-

ში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გადვივლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე

1. ფოშტა — აქ: საფოსტო ეტლი, რომელსაც მგზავრებიც გადაჰყავდა.

მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყურებულებოდეს, მაგრამ თერგი მაინც ჰბლავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყურავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდგარი ფაციფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულალტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარეთ და ერთს მოხვევს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხვევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭალარამორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზე და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხვევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თვითონ ზორბად მოსული, იჯდა

ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხვევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალზედ და ისე გარინდებული იდგა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხინად და გულაუმდვრეველად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამინის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო? — კკითხე მე.

— ...ლელთ ღუნიას მიხმობენ, — მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადაველ? გაიბოტნიდამ, აქაივ მთაჩია, თერგ-კიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

— ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი¹: ჩვენს ბეჩაობას² შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

— ჰმ! — ჩაიცინა მოხვევემ.

— რას იცინი?

— საცინალს ვიცი. ცარიალ სტვამაქი³ მაგნით ვერ გაძლებს.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?! —

— რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქენ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა⁴ არ ექმნების. ვინროდ ვარნ.

— ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

— რაი ბედენაა გზაი?⁵ იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევ-

1. გონჯაი – ცუდი.

2. ბეჩაობა — აქ: სიღარიბე.

3. სტვამაქი — კუჭი.

4. ორ-ორ შაბადის ყანა — იგულისხმება მცირე სახნავ-სათესი მიწა.

5. რაი ბედენაა? — რის მაქნისია?



დარიალის ხეობა. მხატვარი — ილია ზანკოვსკი (XIX ს.)

ერ გასატან-გასასყიდ აქვნ.

— მაშ ქირაზედ არ დადისხართ?

— რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

— მაშ ქირით ფულს იშოვნით.

— ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩებოხ: მთის კაცი მახევე სვამეხის კერძია.¹ ჭამადი, სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.

— მაშ ისევე ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

— ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰხაშმოხს.² იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამ-

ჩენმა განაგო იქაით-მაძღრობა, აქაით — სიმრთელე.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

— ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევიონ?

— ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ლორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუნყდა, თავი ვერ დაიმაგრა

1. **სვამეხის კერძია** — იგულისხმება: ვაჭრის კერძია, ვაჭრის ხელშია (ვაჭრობით იმ დროს ძირითადად სომეხი ეროვნების ადამიანები იყვნენ დაკავებული).

2. **ჰხაშმოხს** — ცუდი ჰავაა.

და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდან და დაიწყო უზანგის გამართვა.

— საჭირობოროტოია შეკაზმულ ცხენ,
— წამოიძახა ღიმით მოხვევებ, — დაილოც

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, — ვუთხარი მოხვევს, როცა მე დამეწია, — აი, სტეფანწმინდას პირდაპირ რა მონასტერია?

— თერგ-გალმით?

— დიაღ.

— გინყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი¹ არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

— როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

— ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრინაობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ,

— საბჭო რალა არის?

— საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან² იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

— ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

— რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუნცი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდდევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენბერკაცნი, პეიტრობით³ სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მაღლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასტრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

— შენ მოსწრებხარ მაგისტანა ბჭობას?

შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაწვდიდი.

მე აღარ მოვუცადე მოხვევს და წინ წავედი.

VII

— რაიდ შავესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

— ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

— აწინა?..

ჩაფიქრდა ჩემი მოხვევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თვითონ მკითხა მე:

— შენ რაი მილეთის ხარნ?

— ქართველი ვარ, განა ვერ შემატყვე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ⁴ არა გაქვენ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

— თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

— ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველის ტალავრის იერი⁵ სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

— თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების.

1. სახტარი — საყდარი.

2. ბჭე — თემისაგან არჩეული მოსამართლე.

3. პეიტრობით — მეტის გონებით სახელგანთქმულნი.

4. ტალავარი — ტანისამოსი.

5. იერი — შეხედულება.

არ ვიცი, ჩემმა მოხვევებმა დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბასი გავაბით.

— წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, — დავინყე კვლავ მე, — მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამეზბის სენაკში.

— ანინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნთ. ანინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამეზბის ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა¹ მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც² მაჰსცის სამვილიშვილოდ. ყვაველ ღამ ანინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ ანინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი ანინა სხვა ვითა ბეგრობს.³ გაუქმდის ადრინდალ დანყობაი, ხთის მათხავნილ მადლით ბჭობაიკ სამეზბაჩი გადავარდის.

— მაშ უნინდელი დანყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს,⁴ მით იყვის

უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით,⁵ ერთურთს ვიხვეწებდით.⁶ ადრიდა?! ქვრივობოლთ ვიფარევედით... და ესრედ იყვის ბრალეზა კაცისა, ერთურთობა. ანინა ერობა დაიშალის... ანინა ქვრივობოლ ვინა განიკითხის, ატირდომილ ვინ გააციინის, დაცემულ ვინ აღადგინის? ანინა არა არნ კაცი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. ნარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. ნარხდა, მოისრნა⁷ ქვეყანაი, რაია ანინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ,⁸ ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩეზის⁹ ბეჩავი მახევე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევეარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო¹⁰ წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიკ გვეყოფის...

დავვიძრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა აფიქრებინებს მგზავრს, რომ „ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია“? როგორ ადამიანს ეთავყვანება იგი?
2. როგორი გრძნობით ემშვიდობება მგზავრი მყინვარს? თერგს?

1. **თარხნობა** — თავისუფლება.
2. **გუჯარი** — მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, სიგელი.
3. **ანინა სხვა ვითა ბეგრობს** — ახლა სხვებ ვით იბეგრება.
4. **გვეყუდნეს** — გვეკუთვნოდა.
5. **დავეყუდნით** — ვეკუთვნოდით, ვეყრდნობოდით.
6. **ვიხვეწებდით** — ვიბრალეხდით.
7. **მოისრნა** — აოხრდა, განადგურდა.
8. **სასყიდვალ** — საყიდელი.
9. **რაიდ დარჩების** — რით ირჩენს თავს.
10. **უსრბოლო** — უმძროაო, დამდგარი.

3. როგორ აღწერს ცხენზე ამხედრებულ მეგზურ მოხევს ავტორი? რა ჩანს მის გარეგნობაში?
4. რა თქვა მეგზავრმა ისეთი, რამაც მოხვეე მწარედ გააცინა?
5. რას უყვება მოხვეე მეგზავრს „ერთა საბჭოს“ შესახებ? ვის ირჩევდნენ, მისი სიტყვით, „ბჭეებად“? როგორ ეპყრობოდნენ „ბჭეთა“ გადანყვეტილებას?
6. რით სჯობს, მოხვეის დახასიათებით, წარსული („ადრიდა“) აწმყოს („ანინა“)? რა არის უმთავრესი მოხვეის საბუთებს შორის?
7. რას უპასუხებს მოხვეე მეგზავრს, რომელიც შეახსენებს, რომ „ახლა მშვიდობიანობა არის“? რას ადარებს იგი ასეთ მშვიდობას?

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხვეე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრიტ, როგორც მეგზავრი, ვისსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულება.

ჩემმა მოხვეემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი,

რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულსიტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხვეე, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეთი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

1861-1871 წ.წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რას მიახვედრა მეგზავრი მოხვეის ნათქვამმა? ამ ნათქვამიდან რომელ ფრაზას იმეორებს იგი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე მტკივნეულს?
2. რა კითხვას სვამს მწერალი ნაწარმოების ბოლოს? ვის მიმართავს იგი ამ კითხვით?

ეს საინტერესოა!

„მეგზავრის წერილები“, როგორც ლიტერატურული ჟანრი

მოგზაურის ჩანაწერები, ანუ იგივე „მეგზავრის წერილები“, რომელიც ერთგვარი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშია, როგორც ლიტერატურული ჟანრი, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება და განსაკუთრებულ პოპულარობას XIX საუკუნის I ნახევარში იძენს. მოგზაურის ჩანაწერების გმირი რეალურ გეოგრაფიულ გარემოში მოგზაურობს და თავისებურად გაიაზრებს

ნანახსა და განცდილს, გადმოგვცემს პირად დამოკიდებულებას აღწერილი მოვლენების მიმართ. უცხო ქვეყანაში მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერები მკითხველს ნაკლებად ნაცნობ ან სულაც უცნობ ადგილებსა და მოვლენებს აცნობს. შემეცნებითი მიზნის გარდა, ასეთ ჩანაწერებს შეიძლება ესთეტიკური, პუბლიცისტური ან ფილოსოფიური დატვირთვაც ჰქონდეს. საკუთარ ქვეყანაში, ანუ ნაცნობ, ჩვეულ სამყაროში, მოგზაურობა კი პუბლიცისტურ (ქვეყნისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან) თემებზე დაფიქრების საშუალებას იძლევა.

მსოფლიო ლიტერატურაში ამ ჟანრის ცნობილი ნიმუშებია: გოეთეს „იტალიური მოგზაურობა“, ჰაინეს „მგზავრის წერილები“, რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, პუშკინის „მოგზაურობა არზრუმში“ და სხვ.

ქართულ ლიტერატურაში მოგზაურის ჩანაწერების ჟანრს მიეკუთვნება სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“ და სხვ.

ტექსტის ნაკითხვის შედეგ

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ვინ არის „მგზავრის წერილების“ მთავარი პერსონაჟი, ავტორი და მთხრობელი?
2. მგზავრი, რომელიც პეტერბურგიდან მოდის, განვლილი გზის მხოლოდ უკანასკნელ მონაკვეთს აღწერს – „ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე“. როგორ ფიქრობთ, რატომ არის მისთვის მნიშვნელოვანი გზის სწორედ ეს მონაკვეთი?
3. რა ხერხს მიმართავს ავტორი ნაწარმოების დასაწყისში რუსეთთან საკუთარი დამოკიდებულების წარმოსაჩენად?
4. როგორ „პატრიოტიზმს“ აკრიტიკებს მგზავრი ნაწარმოების დასაწყისში?
5. ვისი პირით გამოთქვა მწერალმა თავისი მთავარი სატკივარი ნაწარმოების პირველ თავში?
6. ვის ათქმევინა მან ნაწარმოების მთავარი ფრაზა? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ სიტყვებიდან? რა ყოფილა ანმყოს უბედურებათა (ტრადიციების მოშლის, გულგრილობის, ზნეობრივი დაცემის, სიღატაკის) საფუძველი?
7. ჩამოთვალეთ მოგზაურის ჩანაწერების, როგორც ლიტერატურული ჟანრის, მახასიათებლები და დაასაბუთეთ, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ ამ ლიტერატურული ჟანრის კლასიკური ნიმუშია.
8. რომელი ალეგორიული მხატვრული სახეების მეშვეობით გადმოგვცემს ავტორი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად პრინციპებს? რისი სახეა მისთვის თითოეული მათგანი?
9. როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართა ავტორმა ამ ნაწარმოებში სათქმელის ალეგორიული გამოხატვის ხერხს? (გაიხსენეთ, რა ტიპის თხზულებებისთვის არის დამახასიათებელი სათქმელის ალეგორიული გამოხატვა).

დამატებითი ამოცანები



1. ქვემოთ წარმოდგენილ კარიკატურას „საქართველოს გარდამქმნელი“ ეწოდება, მისი ავტორია რუსი ოფიცერი **პლატონ ივანეს ძე ჩელიშჩევი**, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მსახურობდა და ურთიერთობა ჰქონდა განათლებულ ქართულ საზოგადოებასთან (ალ.ჭავჭავაძესთან, გრ.ორბელიანთან, მ. თარხნიშვილთან და სხვებთან).

დააკვირდით კარიკატურას, გაითვალისწინეთ მისი სახელწოდება და იმსჯელეთ, რა არის მასზე გამოსახული და რა კავშირს ხედავთ ამ ნამუშევარსა და ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ერთ-ერთ პერსონაჟს შორის?



2. „მგზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძის საპროგრამო თხზულებად მიიჩნევა. საპროგრამოს ისეთ ნაწარმოებს უწოდებენ, რომელშიც მწერალი საკუთარ იდეურ მრწამსს, საკუთარი შემოქმედების მიზანს აცხადებს.

დაასაბუთეთ, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ საპროგრამო ნაწარმოებია.

3. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძე „მგზავრის წერილების“ შესახებ წერდა: „აქ ჩვენ გვაქვს საქმე ევროპიელ ქართველთან, რომელსაც უარუყვია, უკუუგდია აღმოსავლეთის უსაქმობა და უმოძრაობა“.

■ **დაასაბუთეთ ან უარყავით არჩილ ჯორჯაძის მიერ წამოყენებული თეზისი.**

4. როგორც გახსოვთ, ტერმინი „თერგდალეული“ პირველად 1849 წელს გიორგი ერისთავის „გაყრაში“ გამოჩნდა. „თერგდალეულებს“ რუსეთში სწავლამიღებულ ახალგაზრდებს უწოდებდნენ. ილია მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება „თერგდალეულთა“ მიმართ სრულიად უსაფუძვლო იყო.

■ **თქვენ როგორ მიგაჩნიათ, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას უცხოეთში სწავლამიღებული ახალგაზრდების მიმართ?**



წიგნითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 6. მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების დანერა

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით დანერეთ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“ (ანუ გამოიყენეთ მოგზაურობის აღწერის ფორმა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემების მიმართ თქვენი დამოკიდებულების გადმოსაცემად).

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- მოგზაურის ჩანაწერების, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ძირითადი მახასიათებლები (მოგზაურობა რეალურ გეოგრაფიულ გარემოში, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემები ან პრობლემები, რომლებიც ამ მოგზაურობის დროს ნანახმა და განცდილმა გაგახსენათ, თქვენი დამოკიდებულება აღწერილი მოვლენებისადმი) – ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ცოდნის გათვალისწინებით;
- რეალური ან გამოგონილი პერსონაჟი/პერსონაჟები, მათი დამოკიდებულებები თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი – გამოხატული როგორც ლოგიკურ მსჯელობაში, ასევე დიალოგებში ან მხატვრულ-ალეგორიული სახეების მეშვეობით.

ძველი და ახალი თაობების დაპირისპირება

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ამ პუბლიკაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების ერთი ნაწილი მას აღტაცებით შეხვდა, მეორე კი აღშფოთებას ვერ მალავდა.

რა იყო ისეთი ამ წერილში, რამაც მთელი საქართველო ააფორიაქა?

ერთი რიგითი უვარგისი თარგმანის კრიტიკის კვალდაკვალ ილიამ პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრა.

პირველ რიგში, მან არჩევანი დაუწუნა მთარგმნელს, რომელმაც, მისი აზრით, ყალბი, არაფრისმთქმელი, არარეალისტური ნაწარმოები თარგმნა. კოზლოვის პოემის გმირს, ილიას სიტყვებით: „რუსის სარაფანიც არ აცვია“, „რაღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი და არა რუსის ცხოვრებისა“.

ასე ამცნო ილიამ საზოგადოებას, რომ სხვა ტიპის ლიტერატურის ჟამი დადგაო. ის ლიტერატურული სკოლა (სენტიმენტალიზმი), რომელსაც კოზლოვი ეკუთვნის, თავად რუსეთში მიიჩნევა უკვე მოძველებულად და ჩვენ, ქართველებს, რაღად გვინდა, სხვების შეცდომები რატომ უნდა გავიმეოროთო.

ამ მსჯელობას მოჰყვა მეორე პრინციპული დებულება, რომელიც ილიამ ამგვარად ჩამოაყალიბა: „...მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო... თუ მაგას მივყევით... შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წავსდგამთ“.

ამ წინსვლისა და განახლებისაკენ მოწოდებას კი მესამე მნიშვნელოვანი დებულებაც მიემატა, წინსვლა და განვითარება ნაკლისა და ხარვეზის მხილების, უვარგისის დაგმობის გარეშე არ მოხდებაო: „როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარე და არა ის, ვინც მეტისმეტად დამყავებულ სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“.

ილიას წერილის ეს მამხილებელი პათოსი ძველი თაობის ლიტერატურის წარმომადგენლებმა (გიორგი ბარათაშვილი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, ბარბარე ჯორჯაძე და სხვ.) პირად შეურაცხყოფად მიიღეს და მძაფრი საპასუხო წერილები გამოაქვეყნეს. ილიას კრიტიკოსები, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არსებით და პრინციპულ საკითხებს არ შეხებოდნენ, მათ კამათი ძირითადად წვრილმანების ირგვლივ წამოიწიეს. კერძოდ, ილიას ზრდილობა და „მდაბიური ენით“ საუბარი დაუწუნეს და მისი ლექსების ცალკეული პასაჟები გააკრიტიკეს.

კამათში ილიას თანამოაზრეებიც ჩაებნენ (კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი) და ცხადი გახდა, რომ მოვიდა ახალი თაობა, ახალი შეხედულებებითა და მიზნებით.

ახალი თაობის თანამშრომლობა ჟურნალ „ცისკართან“ შეუძლებელი გახდა და ილიამ თავისი ჟურნალი დააარსა – „საქართველოს მოამბე“, რომლის პირველი ნომერი 1863 წელს გამოვიდა.

საგულისხმოა, რომ „საქართველოს მოამბის“ თავფურცელზე მარკოზის სახარების სიტყვები იყო ეპიგრაფად გამოტანილი:

„ხოლო ლელუისაგან ისწავეთ იგავი ესე: რა ჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩუიან¹ და გამოვალნ ფურცელი², უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“.

ამ რწმენით აღჭურვილი შეუდგა ახალი თაობა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ძველი და ახალი თაობის დაპირისპირების მეორე ეტაპი დაიწყო 1871 წელს, როცა ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი „გამოცანები“ დაწერა, რომელიც საზოგადოებაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. „გამოცანებში“ (ვინაობის დაუსახელებლად) გაკრიტიკებულნი იყვნენ ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლები — რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრან-ბატონები, იასე ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ. — რომლებმაც არ შეასრულეს ახალი თაობის გავლენით მიღებული დადგენილება თავადაზნაურთა ყრილობისა, რომ საქართველოში ჩამოსული იმპერატორის აღექსანდრე მეორისათვის უნივერსიტეტის გახსნის თხოვნით მიემართათ. მათ შეცვალეს მიმართვის ტექსტი და იმპერატორს უნივერსიტეტის მაგივრად კადეტთა კორპუსის (სამხედრო სასწავლებლის) გახსნა სთხოვეს.

ილიას „გამოცანების“ საპასუხოდ გრიგოლ ორბელიანმა დაწერა „პასუხი შვილთა“, რომელშიც ახალ თაობას დამამცირებელი ეპითეტებით მოიხსენიებდა. გრიგოლ ორბელიანის ამ ლექსის გამომხაურება იყო ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“, აკაკი წერეთლის „ხარაბუზა ლენერალს“, „კოლო-ბუზების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“, სერგეი მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ და სხვ.

1875 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ დახურვისთანავე, სადაც „მამების“ თაობა მოღვაწეობდა, ეს დაპირისპირება შეწყდა.

გთავაზობთ ნაწყვეტს ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილიდან.

ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა

(ნაწყვეტი)

... ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვენება ურთიერთის ცოდვებისა არ იქნება მომატებული³. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დამჟავებულ სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება⁴ ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ.შ. ერისთავმა ჩვენი პირმოუფერებელი

1. დაჩჩუიან – განედლდებიან (გაზაფხულზე).

2. ფურცელი – ფოთოლი.

3. მომატებული – ზედმეტი.

4. ღვიარება – აღიარება.

სტატია, რა ვუყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამლთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვინწყრება და უხერხოდ¹ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა ვუყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიო, ანბობს² ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, განმხილავიც შეჰხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვანერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?

1860 წლის, ნოემბრის 5-სა დღესა

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რას ასახელებს ილია აღნიშნული სტატიის დაწერის არსებით მიზეზად?
2. რა დებულებით იწყება სტატიის მოცემული ნაწყვეტი?
3. როგორ უნდა გამოსწორდეს, ილიას აზრით, არსებული ვითარება?
4. XIX საუკუნეში ჩასახული ეროვნული მოძრაობის რომელი ცნობილი ფორმულა გვხვდება სტატიის ამ ნაწყვეტში?
5. იგრძნობა თუ არა, რომ წერილის მოცემული ნაწყვეტი რეალისტი მწერლის კალამს ეკუთვნის? (პასუხი დაასაბუთეთ).

1. უხერხოდ – უხერხულად.

2. ანბობს – ამბობს.

პასუხის პასუხი

I

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ...
იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ ქვეშე დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძლავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული,
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდა.
ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება
და სათნოება
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შეაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მიტამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა.

მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.
ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბლინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზლით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი –
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის

მოდღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძღურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმოზილ-დევენული;

ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა¹
გამაკიცხველი და გამდევენელი.
მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორნმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გნამთ და საქმით არა.

IV

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის“ –
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმოზა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ – ჩვენა თუ თქვენა?

ეხლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უნინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმოზდით
ენას და ხალხსაც გარეთ თუ შინა.

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბძანებით დაჰსთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

1. ფარისეველნი და სადუკეველნი – იუდეველთა სექტები, რომელთა მიმდევრებიც სდევნიდნენ იესო ქრისტეს.

„ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი“,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა.

V

ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

თქვენგან გმობილი,
თქვენგანით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

VI

„უგზოდ მვლელნოო,
უსწავლელნოო“, –
ასეთმა ფურმა უნდა დაგვნიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა,
– ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, –
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ ჰსთქვა, –
რაც კოკაში ჰსდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

28 იანვარი, 1872 წ.

დავვიჩრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. დააკვირდით ლექსის მხატვრულ ფორმას. რამდენმარცვლიანი ტაქტებისაგან შედგება ლექსის თითოეული სტროფი? რომელი ტაქტები ერთმეზა ერთმანეთს?
2. განმარტეთ ლექსის პირველი ორტაქტედის ომონიმური რითმა (როგორ გესმით ომონიმური წყვილი: „უჩინონი – უჩინონი“?).
3. ვინ იგულისხმება „ჩინიანებში“? რა ბრალდებას უყენებს მათ პოეტი?
4. რას გულისხმობს პოეტი „მილიონებზედ ყვირილში“ (დააკვირდით მომდევნო ორ ტაქტს)?
5. რატომ ვერ თავსდება ერთმანეთში ძველი და ახალი თაობა ანუ „მამები“ და „შვილები“?
6. რატომ აბრალებენ „მამები“ „შვილებს“ ურჯულოებას, ღვთის უარყოფას? როგორ უპასუხებს პოეტი ამ ბრალდებას? რას უწოდებს იგი „მამათა“ რწმენას?
7. რა დაუშავებიათ, ლექსის მიხედვით, მშობლიური ენისთვის „მამებს“?
8. საიდან ჩანს, რომ ილია არც „შვილებს“ (ახალ თაობას) მიიჩნევს შეუმცდარად?
9. რომელ ანდაზასა და აფორიზმს მიმართავს პოეტი საკუთარი აზრის ნათელსაყოფად?
10. როგორ ფიქრობთ, ზედმეტად მკვახეა თუ არა ავტორის ტონი ამ ლექსში? რამ განაპირობა, თქვენი აზრით, სათქმელის გამოხატვის ასეთი მძაფრი ფორმა?

ეს საინტერესოა!

რა რეაქცია მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხს“?

ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის ლექსის („პასუხი შვილთა“) საპასუხოდ დაინერა, რომელიც, თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ პასუხი იყო. იაკობ მანსვეტაშვილი იხსენებს:

„გამოცანები დაწერილი იყო წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, არ იბეჭდებოდა, ან კი ვინ გაჰბედავდა დაბეჭდვას, როდესაც მიზანში ამოღებულნი იყვნენ ისეთი ბოზობები, როგორც, მაგალითად, ლევ. მელიქიშვილი, გრ. ორბელიანი, გ. მუხრანსკი და სხვები, რომელთაც მთავრობის მმართველობაში დიდი ადგილები ეჭირათ. ხელთნანერად კი ბლომად იყო საზოგადოებაში გავრცელებული. ახალგაზრდობა, რასაკვირველია, ტაშს უკრავდა ილიას, ხოლო მაღალ საზოგადოებაში კი, რა თქმა უნდა, დიდი განგაში ასტყდა, დიდი აურზაური და რისხვა გამოიწვია. ილიაზე დიდი იერიში მიიტანეს. მერე ეს როგორ დაუხვდა?..

ამაზე იტყვიან: მოვიდა სეტყვა და დაუხვდა ქვაო. მტრებმა ნახეს, ვისთანა აქვთ საქმე, იგრძნეს, რომ ამ ქვას ვერაფრით გაჰხეთქ; მიხვდნენ, რომ მათ მუქარას და წყრომას არა აქვს გასავალი და მიჩუმდნენ: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. მაგრამ ეს მიჩუმება მხოლოდ ერთგვარი ფანდი იყო მებრძოლისა. აშკარად გამოსვლას ილიას წინააღმდეგ ველარა ჰბედავდნენ და ჩუმ-ჩუმად კი ენას ასისინებდნენ, ცილს სწამებდნენ: ილია ქვეყანაში გვთხრის, გვამცირებს, ჩვენ ნაკლულოვანებას არ ჰმა-

ლავს, მასხარად გვიგდებს, ამით მტერს ახარებს და ჩვენ კი თვალს გვიყენებსო.

სიმაართლე გვაიძულებს ვთქვათ, რომ გრ. ორბელიანი არ ჩარეულა ამ მოსისინეთა ფერხულში. დიდმა გულმა იცნო სხვა დიდი გული და ნიჭი. „არა, არ მწყინს, — სთქვა თურმე გრიგოლმა ილიას პასუხის გამო: — მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა“! დანარჩენები კი ილიას შემდეგ ლექსში ჰპოვებდნენ თავიანთ შერცხვენას და სულის სიმრუდეს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს;
ჩვენ ცუდს არ ჰმალავს, — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ. კარგი გული კი მაშინვე სცნობს
— ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალბით¹,
ლამაზ ფალბით²
მორთული და მშვენიერი;
უნყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულ-ჩვილი და ღმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი,

1. ყალბანი – ბეგარა.

2. ფალბანი – იგივე პალბანი – სატვირთო უნაგირი.

მცირე, დიდი –
ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერნაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი,
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

29 აგვისტო, 1871 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რომელი ორტაეპედი მეორდება ლექსში? რა მხატვრული ფუნქცია აქვს ამ გამეორებას?
2. ამოიწერეთ ლექსის პირველი სტროფიდან დადებითი ეპითეტები. რატომ არის უარყოფითი შინაარსის შემცველი ეს, ერთი შეხედვით, „დადებითი“ აზრის გამომხატველი სიტყვები?
3. როგორ გესმით სიტყვა „თვალაბმული“?
4. როგორ შეიძლება გამოვლინდეს „პირს ლაგამი ზომიერი“?
5. ვის მიმართ ყოფილა ქართველი „თავდახრილი“, „ძლიერი“, „უზრუნველი“?
6. ამოიწერეთ და განმარტეთ ყველა ის მანკიერება, რომელსაც გმობს ილია ლექსში, ანუ სად და რა დროს ვლინდება თითოეული ეს თვისება?
7. შეიძლება თუ არა ვუნოდოთ ამ ლექსის ინტონაციას ირონიული? (პასუხი დაასაბუთეთ).
8. მიჯნავს თუ არა პოეტი საკუთარ თავს კრიტიკის ობიექტისაგან? ვინ არის იგი, განზე მდგომი ბრალმძებელი თუ მისგან გაკიცხული ერის განუყოფელი ნაწილი? (პასუხი დაასაბუთეთ).

კაცია-ადამიანი?!

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს — პირს უკანაო“.
გონიერი ანდაზა

რიტორიკაში¹ სწერია: ყველაფერი შე-
სავალით უნდა დაინყოს კაცმაო. ჭეშმა-
რიტია. ჩვენც ისე დავინყოთ.

ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს
იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დანერილს თავ-
ვისთავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია,
ლაფის სროლას დაინყებს და „გიჟიას“ და-
უძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერ-
სა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან
საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზე-
და ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყ-
ყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავ-
სა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს —
პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონი-
ერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა

ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა
ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის
გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა
ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართა-
ლი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს
იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა.
მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვა-
ნივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად
უთვლიან გულისტკივილსა. რა ვუყოთ?
ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ
მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი
იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ
ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარი-
ტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს —
ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს.

I

კარგი რამ იყო თავად თათქარიძის
სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის
პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცე-
მული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა
— ორსართულიანი სახლი ქვითკირისა.
აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ
იყო მარანი, წალმით² დახურული, და იმ
მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი
გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირი-
თურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის
ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული,
რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა.
კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სა-

თორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა³, რო-
მელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალ-
თვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ
და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავ-
ლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის⁴
სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური⁵,
დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წა-
მოღებული და წამოხრილი, თითქო გრი-
ლოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბე-
ბერსავით ნეკრესის⁶ ქარის ტკივილებს
უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი
შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა,
სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფარ-

1. რიტორიკა — მჭევრმეტყველების თეორია.
2. წალამი — ვაზის ნასხლავი.
3. ხულა — ფიცრული ნაგებობა მარცვლეულის შესანახად.
4. ფურცლის ხე — თუთის ხე.
5. ჩალური — ჩალით დახურული შენობა, ქოხი.
6. ნეკრესის ქარი — სახსრების ქრონიკული დაავადება.

თოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული¹ ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარები² რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია — ბოდს დაუჭერია საცემლად და ის კი ინეესო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის-კარიდამ ინყება კალო³, დიალ მოზრდილი. მისი ბუჩო⁴ ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით განოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან⁵ დააწყებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდ-ანეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს.

ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბუჩოზედა! აქ ხშირად უქეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით ნებიერს ღორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით, ისეთის სინაზით, ასე გგონია — მართლა და ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოჰ, ეს კი აუნერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი. რა ყვირილი და ჭყვივლი ასტყდებოდა ხოლმე! ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა⁶ ახალ მოყვანილ პატარძალსა. ვილაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვააო“, მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია.

ადმინისტრაციაში მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემამცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის.

შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგელნიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის⁷ სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი, — ეხლა, ბატონებო, შიგ სახლში ვენვიოთ თავადს თათქარიძესა.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვენვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი! ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგადაშიგ ამოცვივნილან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის! თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ, რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქალაღი გაუკრავს. აი, ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია.

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის

1. ტყრუშული — მსხვილი წნელის ორმხრივი წნული.
2. ჭიის-კარები — ჭიშკარი.
3. კალო — მოსუფთავებული და დატკეპნილი ადგილი, სადაც პურეულის ძნას ლენავდნენ.
4. ბუჩო — მონახვეტი ჩალაბულის, ბზის.
5. საბძელი — ბზისა და საქონლის სხვა საკვების შესანახი ნაგებობა.
6. ქისტი — აქ: მუჯლუგუნი, მუშტი.
7. ამბრი — სურნელოვანი ნივთიერება (აქ საპირისპირო მნიშვნელობითაა გამოყენებული).

ქალაქი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იანანინაო!..“ ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლაც ესე იყოს, რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია, — და გონების გასართავად და უგემურ დღის დასაღვევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონება-გასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ.

II

არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და მის გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული, — არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალეთ: ორი მოზრდილი ვენახი და ასორმოცდაათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, — ვინც გამოყენება იცის, — კაი ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.

დიალ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ სცხოვრობდა ტკბილად და

ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნენა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეობის ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა. ამ ორ ტახტშია აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა, კბილებჩაცვივრულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი¹, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის² ნაჭერი და სხვანი და სხვანი.

აუმღვრევლად ორმოცის წლის კაცი თავადი ლუარსაბ თათქარიძე, თავის განუშორებელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა კნენა დარეჯანი.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი — უკაცრაოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი³. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეობასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგევით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; ნითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებულნი, თითქო ყელში თოკი ნაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიალ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი

1. **თუნგი** — სპილენძის ვინროყელიანი ჭურჭელი.

2. **ზურგიელი** — თევზის ზურგის ანაჭერი, დამარილებული და მზეზე გამომშრალი.

3. **კურატი** — დასაკლავად გასუქებული მოზვერი.

სხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუ- არსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსე- ული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არ- სად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გამლილიყო მის ბრწყინვალეების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქა- ნიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება — ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის — ხორცი დნება. ამიტომაც ჭლექები ჭკვიანები არი- ანო, ამბობენ ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, — რატომ სწავლა არა მაქვსო, — სწორედ ამის გამო.

— ეგ ეხლანდელი ჭირიაო, — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყა- ნა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინ- ვალება: მისის აზრით, კაცი ძირგავარდნი- ლი ქვევრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმე- ლი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარ- გად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

— დრო გამოიცვალა, — იტყოდა ხოლ- მე აღმოოხვრით ლუარსაბი, — დრო გამო- იცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლე- ბი შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერ- ჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხუ-

რავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქა- ლის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვე- ნაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფე- ლი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქარ- თველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატ- რელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხ- ლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახ- მარებდა. უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის¹ სიტყვე- ბია ურიგო: „ერთი „მაქვს“ სჯობს ათასს „მქონდას“. — ესა ვთქვათ და ენა მოვიკ- ვნიტოთ, თორემ...“

თუმცა ლუარსაბი ეგრე სწუხდა ეხ- ლანდელ დროების ჭირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულე- ლობით უცინოდა ხოლმე. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“, ნათ- ქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლე- ბული არ მინახავს, როგორც თავად ლუ- არსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რა-რიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცი- ნარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულოვანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ

1. ბესარიონ გაბაშვილი (1750-1791), ბესიკი, ქართველი პოეტი.

არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭყეტილი ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდგანვე ის გულგადაღელი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რალაცვებით... მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებვირობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვეები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რადა ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვეები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშინაობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა. მარტო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენტო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა. აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის-კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც ნყალში

გადავარდნა, ერთის სიტყვით — რაც ამვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა — ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდეთ შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემოთ ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს; იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი დაძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა, რა ვუყო? ამით ვინუგეშებ, რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“. ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. მეც იმათში...

როცა ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბრძანდებოდა, სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზე ამბობდა უგუნური ხალხი, მაგრამ განა სიძუნით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ მიკვირს! სიძუნე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთიერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი, ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდევ პერანგზედ

ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვსთქვათ თუნდა დიამბეგი¹. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიამბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლაა, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიამბეგს დიდკაცად არ აგდებენ, თორემ უწინ — უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინალამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიამბეგზედ არ გადაკეთდა: კინალამ „დიამბეგის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობად“ არ შეიცვალა. რომ დიამბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის — ეს ყოველ გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევე კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი, — ამაში კი, ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ; გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი — არა. რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა², გადიცვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სირქარისაგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და — ჰერი, ბიჭო! — დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი ვაინაჩრობით³ და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილუბრალოდ ფაცაფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს ნაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა სალამოსათვის ჯერ

კიდევ ნუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას გაუწყებოდა — რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოგილანძლავდა — რისთვის? — არცესიცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დატუქსავდა — ერთის სიტყვით — მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, — და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მოითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა“ — საც ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, და ეგრე ქანცვანყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა.

ერთხელ ფრიად ღირსსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა ზაფხულის პაპანაქებაში, სადილწინ, როცა დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოსხენებულ-გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში განუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა და, დაინახა თუ არა, რომ ოფლი ნურწურით ჩამოსდის წითელ ლოყებზედ, თავის გულში სთქვა სრულიად კმაყოფილმა: — კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა სთქვა და, კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა, გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

— სად იყავ, შენი ჭირიმე, — ჰკითხა მერე კნეინასა, — რომ ეგრე დაიღალე?

— როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — მიუგო კნეინამ.

1. დიამბეგი — მოსამართლე.

2. ჩითმერდინი — დაჩითული, ჭრელი თავსაფარი.

3. ვაინაჩრობით — დიდი გაჭირვებით, ძლივძლივობით, რის ვაი-ვაგლახით.

— ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და!

— მაშ? — მიუგო ქებით თავგაზვიადებულმა ცოლმა, — ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოვლა უნდა.

— მაშ, მაშ!

— ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

— მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!

— ხანდისხან ტყუილუბრალოდაც უნდა დატუქსო. რომ გამოლანძლო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძლავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, — სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!..

— ოღონდაც, შენი მტერი!.. ოღონდაც!..

— ეს გლახები არიან: გაქირ¹ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

— ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, — მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაცეცხულმა ლუარსაბმა, — ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება.

— არა, გეთაყვა, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?

— ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება, — წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი“ რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.

ორივე დაჩუმდნენ. ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

— დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცანი, აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

— აბა სადა?

— აი, ჭერის ფიცარზედ.

თურმე, ნუ იტყვი, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა.

— რამდენია? — სთქვა დარეჯანმა, — მაიცა, ჯერ დავთვალო.

— ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

— ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, ოცდაათი იქნება.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცან.

— მაშ რამდენია?

— რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

— სთქვი, თუ იცი, რაღა.

— თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან.

— დიად, გამოიცან... დაგივლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

— შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

— მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია.

— საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

— განა მე კი არა მაქვს გონება?

— შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

— რომ არ იყოს ორმოცი?

— ჯარიმა გადამახდევინე.

— მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოცდაათზედაც მეტი იყო.

— გამოიცნო! — სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, — დიად, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

— გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, — სთქვა სულელმა თავის გასამართლებ-

1. გაქირი — ჯიუტი.

ლად, — სწორედ გაფრენილან.

— უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდაათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულშია.

რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმღის ეძახდა, სთქვა:

— დალახვრა ღმერთმა — ეგ ველარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

— აკი არ დამითვლიაო?

— შენგან არ მიკვირს? რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო? როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა! შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლესა.

— აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! — მიატანა ღიმღისთვე კნეინამა.

— ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

— დარეჯან!.. — უთხრა გულნატკენად და მორცხობით ლუარსაბმა, — დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

— რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

— მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, — მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიაობაზედ რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გულიც ატკინა და ტყუილ-უბრალოდაც ატკინა, — და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

— ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?

— პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილისშვილი, — სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, — მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალეში სულ ზურგიელი, თართის დოში¹, არტალა² ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა ამ საგნებით რა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა:

— შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წინმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? — თუნდა მარილი იყო. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგინყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულობის ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით აღტაცებულმა ლუარსაბმა. არც დარეჯანი დარჩა უსიამოვნოდ. ხშირად გაუტარებიათ ამრიგად დრო ჩვენს ცოლ-ქმარსა. ნეტავი იმათ, მკითხველო!..

III

ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დანიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლ-

მე. მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნ-

1. თართის დოში — ბოლში გამოყვანილი ზუთხის გვერდი.

2. არტალა — საქონლის წვივის ანაჭერი ან მისგან დამზადებული წვნიანი.

დოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის¹ ქუდით თავზედ, ნითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღელილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

— დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

— დიად, შენი ჭირიმე.

— რა ნაჭერია?

— ჩალაღაჯი².

— სამწვადედ?

— სუკი³ ვიშოვე, შენი ჭირიმე.

— ძვირფასი კაცია, — გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე, მერე დათოს ეტყოდა: — ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივინცა, ღმერთი არ დაივინცებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.

— მეზვრემ მწვანილი მოიტანა? — ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

— მოიტანა.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლავს.

— კიტრი?

— კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი-ორჯერ მაინც გადატრიალგადმოტრიალდებოდა.

— მაშ სახლი სავსე ყოფილა, — სთქვა ბატონმა სიამოვნებით.

— როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?..

— ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, — ეს ყველაფერი იცი.

— ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე!

— ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, — სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მებატონემ, — ურმები გაისტუმრე?

— გავისტუმრე, შენი ჭირიმე! ეხლა თუნდ ორლობებს იქნებიან გაცილებულნი.

— სად გაისტუმრე?

— ყანაში, შენი ჭირიმე!

— რამდენია?

— ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

— რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?

— ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჭირიმე, და დღეს საიღამ იქნებოდა!

— ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.

მართლა-და ლუარსაბსა თავის დღეში ათის ურმის მეტი არ შეჰბმია და რაზედ განყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა — ეს წყრომა რის ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუნყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიად, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს!.. და თუ ტყუილ-უბრალოდ განყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კნენა, ისე თითონაც ძალიანა ჰჩემობდა მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა.

— გლექკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბა-

1. კალმუხის ქუდი — ცხვრის ტყავის ქუდი.

2. ჩალაღაჯი — საქონლის ბეჭის ნაჭერი.

3. სუკი — საკლავის ზურგიდან ხერხემლის ორივე მხარეს გრძლად ამოჭრილი ხორცი.

ტონიო, — იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, — ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ემინოდეს, თორემ, ღორის მკბენარსავით, რომ გლექკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო.

ოლონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოლონდაც! ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმიზეზო და ამგვარ ტყუილ-უბრალო აპილპილებაზედ გლექებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძლარი აქვთ, ამგვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ.

ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების „დანიოკებასა“. დარწმუნებული იყო, რომ ეს „დანიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა — კაცი-სათვისა. ამიტომაც, რომ შემოვიდოდა ოთახში, თავისთავის კმაყოფილებით ეტყოდა ხოლმე ცოლსა:

— ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლექკაცი! ვეყო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყვივლებ, ხელს კი არ გასძრავს და. გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

— ეგრე, შენი ჭირიმე, — გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებდა დარეჯანი, — ეგრე უნდა. მას აქვთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქვთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

— ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლექებზედ არის ნათქვამი, გლექებზედ, — მიუგო ლუარსაბმა.

— მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

— როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

— რას ამბობ? ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე-რაო. მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?

— მართლა, ეგ კი ველარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

— ხე ბოროტისა და კეთილისა.

— ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

— როგორ არა: ამბობენ, რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიანო, იმაში არის, სულ იაგუნდის¹ ფოთლები ასხიანო.

— ზურმუხტისა იქნება, — გაუსწორა ლუარსაბმა.

— ჰო, მართლა, ზურმუხტისაა², ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა: დი-აღ, ზურმუხტისაა, სულ აღმასები³ და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

— ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

— ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

— მაშ ხონთქარს⁴ როგორ მოუპარვინებია?

— აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი აღმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა.

— წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

— მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი აღმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

1. იაგუნდი — ძვირფასი ქვა, იგივეა, რაც ლალი, რაც საფირონი.

2. ზურმუხტი — ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა.

3. აღმასი — ძვირფასი ქვა, გამჭვირვალე და ძალიან მაგარი.

4. ხონთქარი — ოსმალეთის მეფე.

- მაშ შერჩა, შერჩა?
- ვინ იცის? ჯერ ომი არ გათავებულა.
- ნეტავი მე მამეპარა.
- ხომ დაგარჩობდნენ.
- რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ.
- გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.
- რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?
- შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვიდნენ, რომ ეკითხნათ.
- მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა, რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნა?
- კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.
- აბა, დახე ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა, უფრო მაღლი არ იქნებოდა?
- მერე ვინ შეგარჩინდა? ორასი წელიწადია თურმე მაშრიყ-მალრიბის⁵ ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.
- აქამდინ ვერ წაართო?
- ვერა.
- ჰაი, ჰაი, ჰაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!..
- მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა!.. ხელმწიფე და ულონო გაგონილა!
- ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ.
- ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?
- ცოდო არ არის, ის ეხლა მინაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!
- აბა, უყურე წუთისოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მინაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს?!
- აბა, წუთისოფლის ანგარიში ეგ არის და, — დაატანდა ლუარსაბი და ამო-

იოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოვო ოჯახის მოვალეობისაგან, რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი. პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა, როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძლებდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“, — და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმადლე მე“. ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელსა და იტყოდა რაღაც ტრახახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიად, მიდნება! ზედაცემჩნევა ჩემ სტომამქსა“. გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიად, — კიდევ იტყოდა, — ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერი“. სადილს შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი, — და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთისოფლისა.

1. მაშრიყ-მალრიბი — დასავლეთ-აღმოსავლეთი.

1. მწერლის აზრით, შესაძლებელია, ვინმემ ლუარსაბზე დაწერილი თავის თავზე მიიღოს, როგორც ჩანს, ლუარსაბის მსგავსნი ბევრნი ყოფილან. რა უნოდა მწერალმა ამ გავრცელებულ სამწუხარო სენს?
2. ავტორის აზრით, ვინ არის „შეუცდომელი და ყოველთვის მართალი“?
3. გაიხსენეთ ილიას „ჩემო კალამო“. მოთხრობის შესავალი ნაწილის რომელი ადგილი ეხმიანება ამ ლექსის ბოლო სტროფს?
4. ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერისას ბევრი რამ შეუღამაზებლად არის ნაჩვენები: სასიმიინდე უბადრუკია და მგლოვიარე, ჩალური – დაღრეჯილი, ღობე – გადაქცეული, ჭიისკარები – საცოდავად დაღრეჯილი, საბძელი – სასაცილოდ ჩაფიქრებული, ეზო – უწმინდური, ბუხარი – მწუხარე და დაღრეჯილი და ა. შ. მიუხედავად ამისა, დასაწყისში ვკითხულობთ: „კარგი რამ იყო თავად ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი“. როგორ მნიშვნელობას იძენს ამ წინადადებაში სიტყვა „კარგი“?
5. მოძებნეთ ადგილები, სადაც დაცინვის მიზნით სიტყვები მათი საპირისპირო მნიშვნელობითაა გამოყენებული.
6. შესადარებლად მოხმობილია მერცხლის ბუდე, ნეკრესის ქარის ტკივილებით წამოხრილი ბებერი, ფრთამოტეხილი ბატი, ძველი ჩინოვნიკის გული, უკბილო დედაბრის დაღებული პირი. როგორი აზრობრივი დატვირთვა ახლავს მათ? რომელი შედარება მიაწინებს ქართველთა ყოფაში დამკვიდრებულ უცხო მოვლენაზე?
7. მწერალი დაწვრილებით (დეტალურად) აღწერს თათქარიძეთა კარ-მიდამოს. რა დატვირთვა ეძლევა აქ დეტალებს?
8. ლუარსაბის კარ-მიდამოს აღწერის შემდეგ მწერალი ამბობს: „ეს გარეგანი, ეხლა, ბატონებო, შიგ ვენვიოთ თავადს თათქარიძესა“... იგი თითქოს მეგზურობას უწევს მკითხველს ჯერ კიდევ უცნობი პერსონაჟის სამყაროში. რამდენად შესაძლებელია ამ გზით პერსონაჟთა გაცნობა? თქვენი აზრით, როგორი პიროვნება უნდა ცხოვრობდეს აღწერილ გარემოში?
9. თათქარიძეთა ოთახის სამკაულებზე საუბარი ნათელს ხდის, რომ სინამდვილეში ირგვლივ სრული უწესრიგობაა, ქაოსია. ასეთსავე შთაბეჭდილებას ქმნის ლუარსაბის გარეგნობაც – „ცით მონაბერი სულის ღირსეული სამკაული“. ამ პორტრეტის მიხედვით, როგორ პიროვნებად წარმოგიდგებათ ლუარსაბ თათქარიძე?
10. ლუარსაბის აზრით, „კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღეყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო“. ქრისტიანული თვალსაზრისით, ღმერთმა ადამიანი სხეულის შემკობილობით შექმნა საღვთო ჭურჭლად, რომელშიც ცით მონაბერმა სულმა უნდა დაივანოს. შეადარეთ ეს ორი თვალსაზრისი, რა დასკვნას გამოიტანდით ამ შედარებიდან?
11. დააკვირდით იმ ეპიზოდებს, რომლებშიც მწერალი ლუარსაბისა და დარეჯანის საქმიანობას – „ყმების მოხმარების ცოდნას“ აგვიწერს. გაიხსენეთ, რომელ ანდაზას იყენებს მწერალი პირველ თავში ამგვარი საქმიანობის არსის გადმოსაცემად.
12. დააკვირდით თათქარიძეთა „ზღაპრობების“ მოჩვენებით სიდიადეს. რა მიმართებაშია მათთან სინამდვილე – „ქვეყნის ყაყანი“?
13. ავტორის თქმით, ნუთისოფელმა და თათქარიძეებმა ერთმანეთისა არაფერი იციან. რა ვუნოდოთ ასეთ ცხოვრებას?

14. დააკვირდით „ორთა უმანკო სულთა“ ცხოვრების წესს. რამდენად „უბოროტოა“ თათქარიძეთა ცხოვრება?
15. ალბათ შეამჩნევდით, ქართველის ხსენება დადებით შინაარსს იშვიათად იძენს ნაწარმოებში. ლუარსაბის „ქართველობაზე“ საუბარი კი აშკარა დაცინვაა. მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილები; რა მიმართებაშია ეს ადგილები ეპიგრაფთან?

IV

ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლქმარნი, როცა საღამოზედ ნიავე ფრთას გაშლიდა და ბაღის ღობის გრძლად გამონოლილი ჩრდილი ებოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალანგაცვივრულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბეჭაჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა — და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია.

საღამო ხანი — როგორც მოგეხსენებათ — ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, — მეტად თუნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზოგიერთი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ¹, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ — უკაცრავოდ კი არ ვიყო — საკურტუმესაც² კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინდელ ამბავსაც მე ვწერ, ჯერ კრინოლინი³ არ

იყო, — და თუნდ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა მაგ იუბკების მეუფესა. ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს, და აბა იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მიიტანდა სახელოვანს „ხაბარდასა“⁴. სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორლობებშიაც ვერ გაეტეოდა ეგ განათლებული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც.

— ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა, — უთხრა ერთხელ ერთმა ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა, გრძელ კავეზის ქნევით და ცოტა ტურჩების პრანჭვითა.

— აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალე!.. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? — მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნეინობისა სრულიად არ დაუმცირებია.

— რაღა რასა ვიქ, შენი კვნესამე! ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა, და მეველეებს დაუჭერიათ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები, გვაპატივებინოთ, აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!

— რა? მითამ გამოვაშვებინოთ?

— ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო.

— როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ახლა,

1. ვიზიტობენ — ვინმეს მოსანახულებლად მიდიან.

2. საკურტუმე — თეძო-გავის გასაგანიერებელი კაბის ქვეშ.

3. კრინოლინი — კაბა, რომელსაც განივად იჭერს შიგ დატანებული ფოლადის სარტყელი.

4. ხაბარდა — იგივეა, რაც კრინოლინი.

მართალია, შენ ჩემი ნათელმირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება, ყველა მაგას მოჰყვება.

— აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს, და მაშინ, როგორც გნებავთ, დამსაქმეთ. აი ეხლაც, შენი კვნესამე, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს, კიდევაც თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ.

ბაბალემ ჯიბიდან ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი და მთავრად კნენასა. კნენამ გამოართო და ამოიღო ქვეშ, ზედაც დაატანა:

— ეგ რომ არა ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემეძლიან, არ გაგირიგებდი! — ლუარსაბ! ლუარსაბ! — დაუძახა ქმარსა, რომელიც შორიახლო ბოლთასა სცემდა და ერთი-ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალთ გადმოჰხედა კიდევ მოხდენილ პატარძალსა.

ლუარსაბი მოვიდა.

— ქა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება — გამოაშვებინო.

ლუარსაბმა შეჰხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდევ თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა.

— კამეჩიო!..

— ჰო, კამეჩი, — დაატანა დარეჯანმა, — აი ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

— მაშ კარგი! დათო ბიჭო! დათო! — დაიყვირა ლუარსაბმა, — ჩადი და უზბაშს¹ უთხარი, ჩემი ნათელიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ.

სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამყადა წავიდა ისევ ბოლთის საცემლად.

— აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც

გაგაპატიოსნოს ღმერთმა, და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ მანოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!

— ჰხედავ, — უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა, — ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს.

— დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

— ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებს.

— აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუნვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადისშვილის ცოლია და თქვენცა?

— ახლა იმასა ჰკითხე ზოგი, იმისთანა დიდი კაცი აქ არავინ არის.

— უი, უნინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთას გახლდი, იმათი გოგოც² იქ მოვიდა. რაც იმან იმათზედ ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა.

— რა, გეთაყვანე, რა! — ჰკითხა აჩქარებით და მოუთმენლად დარეჯანმა.

— რალა რა? ისა, რომ საწყალ გოგოს თავისის თითებით მოგროვილის ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია, იმას უნახვს და წაურთმევია. ეხლა თურმე თავზედ იკრავს. გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა, ისე გულანატირად ჰლაპარაკობდა ბედშავი. მე ხომ თქვენის ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა!

— უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადისშვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო. აი, მეხი კი დაეცა! ისიც, ამას იქით, ჩვენში ერევა, თა-

1. უზბაში (სპარს.) — მამასახლისი.

2. გოგო — აქ: მოახლე.

ვადისშვილის ცოლი ვარო! სხვა არა უთქვამს-რა გოგოსა?

— სხვა არა მოუხსენებია-რა.

— ნუ დამიმალავ, ჩემო ბაბაღე! ხომ იცი მე შენი მწყალობელი ვარ, თუ უთქვამს კიდევ რამე — მითხარი.

— არაფერი არ უთქვამს, მამიჩემის ცხონებამ, თორემ, რომ ეთქვა, რად დაგიმალავთ?!

— რა ვიცი? იქნება გეშინოდეს-მეთქი.

— თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვილასი უნდა ეშინოდეს.

— მეც ეგ უნდა მეთქვა, ჩემო ბაბაღე!

— მართალია, გლებები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა ეშინოდეს, თქვენ აქა მყევხართ!

— მაშ სხვა არა უთქვამს-რა?

— არა უთქვამს-რა, აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ.

— იტყოდა.

— ის ერთი დედისერთა შვილი არ დამიმინდეს, არა უთქვამს-რა.

— მართლა, შენი შვილი რასა იქს? — ჰკითხა მერე დარეჯანმა, რომ ვერა გახდა-რა.

— რალა როგორ არის, შენი კვნესამე, ქალბატონო! ავად შენი მტერი გვეყვანდეს, ავად მე ისა მყავს. რა არ ვუყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შევალოცვინე, შანები¹ არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მტერსა! თქვენთანაც კი მომასწავლეს, ვითამც თქვენ უებარი ლოცვა იცოდეთ, — მიშველეთ რამე, აგრემც მაგიერს ღმერთი გადაგიხდით.

— მე მარტო შაკიკის¹ ლოცვა ვიცი და დასუნთქვილისა². განა შენი შვილის სენი — შაკიკია?

— ჰო, თქვენმა მზემ, შაკიკი გახლავთ. ლამის თავი გაუხეთქოს.

— გოგო, ლამაზისეული! — დაიყვირა კნეინამ, — ნადი, სანერ-კალამი და ქალაღდი, ქერის ქვეშ რომ ნაბარათეგია, ჩამომიტანე! მე დაგინერ ლოცვას, ჩემო ბაბაღე, დანერილი ქალაღდი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი-სამი დღე, თუ შაკიკია — გააქარწყლებს მამინვე.

ვერ უყურებთ, მკითხველო! კნეინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვისხენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის⁴ წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იჭაჭებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ: რძალი — როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი — რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია, დაიყეფა, მაგრამ, რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაჰყო. დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურობაზედ და დაინახა კნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული, გულდაჩაგრული გოგო.

დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

— მობძანდით, ჩემო რძალო! — მი-

1. **შანები** — (შანა) შელოცვილი ნივთი, რომელსაც ყელზე (ან მაჯაზე) აბამდნენ ავი თვალისგან (სულისგან) დასაცავად.

2. **შაკიკი** — თავის ხანგამოშვებითი ტკივილი.

3. **დასუნთქვილი** — შხამიანი ბალახისაგან ნაწყენი.

4. **სოლომონ ბრძენი** — ებრაელთა ბიბლიური მეფე, სიბრძნით განთქმული (965-928 წწ. ძვ.წ.აღ.).



„კაცია-ადამიანის?!“ ილუსტრაცია. მხატვარი — ჰენრიკ ჰრინესკი

აგება სიტყვა ელისაბედსა, — ძლივს არ მოგვიგონეთ!

— შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს. ეს ისაო, ეს ესაო, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ.

— აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნია-ვია, — მოიპატიჟა დარეჯანმა.

— სულ ერთია, — სთქვა ელისაბედმა და ნაიძრო ფეხიდან კროული¹ ჩუსტები, გადმოვიდა ხალიჩაზედ და ჩაჯდა დარეჯანის გვერდით.

— სხვა, როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს, — დაიწყო ისევ დარეჯანმა.

— კარგად გახლავთ, — მიუგო ელისაბედმა.

— შინა ბძანდება?

— აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულის და მოსავლის პატრონი? — ყანაშია, ეს ორი დღეც იქნება, — სთქვა

რალაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიცა.

დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნია.

— რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, — რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა, და ვინც ასე გაზრდილა პატარაობითვე — რომ არც მზე დასიცხავს და არც ავნებს, ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

— განა მაგაზედ მოგახსენე! — დაასწრო ელისაბედმა.

— მეც განა მაგაზედ მოგახსენე! — დაატანა დარეჯანმა, — მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

— გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ,

1. კროული — განმენდილი, გასუფთავებული.

ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისაგან, რომ გაჭირებულა, ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსავით¹ მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი ინუროს? თქვენც არ მამიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, — განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჭფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ღამაზი ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს. გუშინ სალამოზედაც, ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჭირიმე, მეფეები ნადირობენ და იმისთვის რა სათაკილოა!..

— არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთის სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი, რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ქერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება? განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, — და, სწორედაც მოგახსენო, არც საკადრისია: თავადს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს — გლეხობა.

— მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ!

— არა და, რომ არ იქნება: მთა და ბარის გაუსწორებია?

— არავის, თქვენმა მზემ, ღვთის ბძანებას ვინ წაუვა?

ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა, მოიხედა და დაინახა თავისი გოგო, ლამაზისეული, რომელსაც ხელში ეჭირა რაღაც ნაბარათევი და თავმოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწერელობას ჰტამაშობდა.

— რა დაგემართა აქამდინ? ის კიდევ წავიდა, — უბძანა დარეჯანმა.

— ჯერ კიდევ აქ გახლავთ, ჩალურშია თავფლუასთან, — მიუგო გოგომ.

— მამ კარგი, — სთქვა დარეჯანმა,

დაიდო მუხლებზედ ქალაღი და დაინყო შაკიკის ლოცვის წერა. ამ დროს ლუარსაბიც მოვიდა ახალუხ და შალვარ-ჩაცმული, მოიკითხა ზდილობიანად თავისი რძალი და გაგორდა იქვე ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ და, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულს მუცელზედა, — დაუნყო პირაღმა ყურება გუმბათიან ცასა.

მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ეს კრება. აღვწერ, თუ კი შევიძელ ჯერ გოგოდამ დავინყოთ.

სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრენილი ჰქონდა; დახეულებიდან გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომდა იუბკაა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგადაშიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი — უკაცრავოდ არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ქუსლებდახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული — აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულხელდაკრებილი დაჰყურებდა ბალანგაცივინულ ხალიჩასა. ხალიჩაზედ ორი პატიოსანი და დარბაისეული კნენა იჯდა, როგორც მოგახსენეთ წინათვე, — ორი კნენა, მაგრამ კი სხვადასხვანაირი: ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს, გამხდარი კი თვალდაფაციცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შევატყო, რასა სწერ-

1. მესვეური – წინამძღოლი, მეთაური.

სო; ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვრება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ „წელან რომ სთქვა — „წავიდაო“, ვიზება სთქვაო“. გოგოც იქიდან ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშინ გოგო პირზედ ხელს იფარებს, თავს იქით იბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც — რომ ელისაბედი ჰცდილობს და ვერ მიმხვდარა კი, და ჰმორცხობს კიდეც — რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს. აქეთ ბალახებზედ ხალისიანად ჰქმენს ჩვენი ლუარსაბი, პირალმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, — ვნახო, ღრუბლებამდინ ავა თუ არაო. იქით, ხალიჩის დასწვრივ, ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძალღი წევს, ისევე ისე მინაში ცხვირნაყოფილი და ქანცმინყვეტილსავით თვალეზდახუჭვილი; ყოველს ხმაურობაზედ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ-მოსულსავით ჰღრინავს, თითქო ჯავრობსო — რომ ძილს უფრთხობენ. პატარა შორიანლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძალი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატროსო მის ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: ნეტავი შენ, რომ ძალი ხარ! ნეტავი მეც ძალი ვყოფილიყავი!

ეს საძაგელი სურათი საძაგელის მინისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრინებოდა ერთ გაუნყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი.

დრო გავიდა. დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა და ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედდატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო.

მერე მოუბრუნდა ელისაბედს და შესაქცევრად ჩამოუგდო ლაპარაკი. ლუარ-

საბი ისევე ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა.

— პურის მოსავალი როგორი გაქვთ წელს? — ჰკითხა დარეჯანმა.

— თქვენმა მზემ, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოცდაათის ურმის იმედი აქვს, — დაიტრაბახა ელისაბედმა.

— ეგ, ბატონო, კაი მოსავალია. ოცდაათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთიორად მეტი ნახნავი გვექონდა თქვენზედა, — იტყუვა თავის რიგზედ დარეჯანმაც.

— რას ბძანებთ, ჩემო რძალო, ჩვენზედ მეტი თქვენ რად გექნებოდათ. ჩვენ დიდი ნახნავები გვექონდა წელსა.

— რად გექნებოდათო? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანი გატანილი გვექონდა, თქვენ კი ენკენისთვეშიაც არ გაგეტანათ.

— არა, თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზედ ადრე გავიტანეთ. ჩვენ დიდი ნახნავები გვექონდა.

— აი, ბატონო, თუნდ ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინება. ლუარსაბ! — დაუძახა ქმარს კნენიამა.

— რაო? — ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი.

— შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვექონდაო წელსა.

— ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა, — მიუგო ლუარსაბმა. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა. — რას ბძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი, ჰნახავ, რამოდენა ფრთა-მოქცეულს წამოვაყენებ კალოზედა. ასეთს წამოვაყენებ რომ... რომ... აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო. შარშან ვენახისა არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა. ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვათ. მაშ! თუ ეს მართალი არ იყოს, საიდან ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდან? ლევანსავით

ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ! თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი.

კიდეც რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

— მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს?

— მართლა, მაშ! ის შერცხვენილი, გვარის დამამცირებელი ისა!

— ნიკოლოზიც ატარებს თურმე, — დაუმატა დარეჯანმა.

— მაშ?! — უპასუხა ლუარსაბმა.

— უი, ლაფი დაესხათ თავზედ. კარგი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან, — სთქვა ელისაბედმა.

— ნეტავი თავადიშვილი მაინც არ იყოს! — დაუმატა გულმტკივნეულად დარეჯანმა.

— ეგ არის და, რომ თავადიშვილია! — სთქვა წყრომით ლუარსაბმა. — თავადიშვილი რომ არ იყოს, ჯანი გავარდეს. ეგა მკლავს, რომ თავადიშვილია. ძალიან არ წახდა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!

— მერე რა დედ-მამის შვილი! — წამოიძახა დარეჯანმა.

— ეგა სთქვი და, — მიუგო ლუარსაბმა.

— კაცმა ეგრე როგორ უნდა დაკარგოს პატივი, — სთქვა თავის რიგზედ ელისაბედმა.

— ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს. გლეხიცა გზავნის ურმებს ქირაზედ და თავადიშვილიცა, ისიც ქირითა სცხოვრობს და ესეცა. რით უნდა გაირჩიოს? — იკითხა ლუარსაბმა.

— არაფრით, თქვენმა მზემ, — დაარწმუნა რძალმა.

— ოღონდაც, რომ არაფრით, — კვერი დაჰკრა ცოლმაც.

— მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მომიკვდება. შენა, ჩემო რძალო?

— უი, უწინამც დღე გამქრობია. ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავედი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება. რა თავადიშვილის საქმეა.

— შენა, დარეჯან? — ჰკითხა ეხლა თავის ცოლს ცნობისმოყვარე თავადმა.

— არც მე, — სთქვა დარეჯანმა.

— მაშ არც მე, — სთქვა ლუარსაბმა იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამის ქვეყნის ბედი გადაწყდაო. — არა, დრო ძალიან გამოიცვალა, ჩემო რძალო! — გააგრძელა სიტყვა ლუარსაბმა, — ხალხი წახდა, სისხლი მოითხარა. აბა ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავადიშვილს თავი შეერცხვინა და ურემი ქირაზედ ეტარებინა. ქვით არ ჩავაქვავებდით? თავზედ ლაფს არ დავასხამდით? მაგრამ ეხლა? — დასწყევლოთ ღმერთმა — სირაჯობენ¹ კიდეცა!.. გაგონილა? თავადიშვილების სირაჯობა! ოჰ, ღმერთო, რატომ წარღვნა არ მოვა? ეხლა ისლა აკლიათ, ადლი² ამოიჩარონ ილიაში, სოფელ-სოფელ იარონ და „სავაჭრო, სავაჭრო“ იძახონ.

— მაგასაც იქმონენ³, თქვენმა მზემ, — სთქვა ელისაბედმა, — მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა და!

— იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ, — წარმოსთქვა მწუხარებით ლუარსაბმა, — ბატონო! სისხლი რომ აღარ არის? წახდა სისხლი, მოითხარა.

— მართლა რომ წახდა, — დაატანა დარეჯანმა.

— აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია? — წამოიძახა ენაჭარტალა ელისაბედმა, — იცით რა უქნია? — ბიჭს გაუჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?

1. **სირაჯობენ** — ღვინით ვაჭრობენ.

2. **ადლი** — სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახ. 101.15 სმ-ს. აქ: სიგრძის საზომი ჯოხი (ქსოვილის გადასაზომად).

3. **იქმონენ** — იზამენ, გააკეთებენ.

— მერე რარიგი! საშინელი! — დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

— ბიჭს გაუჯავრებია, — დაინყო ისევ ელისაბედმა, — გამოსდგომია, ნაუძვრია ფეხიდან — ჩუსტი ყოფილა თუ ქოში — ქოში იქნებოდა — ამდენი უცემია, რომ დაუოსებია თურმე.

— არა, თუ ღმერთი გნამს? — ჰკითხა გაკვირვებულმა ლუარსაბმა.

— თქვენმა სიცოცხლემ!

— ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! იქნება პატარა ბიჭსა სცემა?

— კიდევ ეგ არის, რომ არა. პატარა ბიჭს რომ სცემოს, ეგ არაფერი: აი, მეცა ვსცემ ხოლმე, — სთქვა ელისაბედმა.

— მეცა, თქვენმა მზემ, — უპასუხა დარეჯანმა, — პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა რომ გოგოსა სცემოს, არ დაიდრახება, ისე პატარა ბიჭს რომ სცემოს, არაფერია.

— რასაკვირველია, — ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა, — პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიდრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეეხას, — ვერაფერია, თქვენმა მზემ.

— დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, — სთქვა პირფერის-წერით ლუარსაბმა, — ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ: დედაკაცმა ისე თავზედ ხელი უნდა აილოს, რომ ვაჟკაცსა სცემოს? ცემა არაფერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, — იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა, — მაგრამ კაცმა კაცს უნდა სცემოს, დედაკაცისაგან რომ არა თქმულა! რომ არ გაგონილა! აი, გოგო ჰყავს, გოგოს რამდენიც უნდა სცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი... ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან.

— ეგ რა კიდევ... — უნდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანაობა, მაგრამ ამ დროს ჩაიც მოართვეს.

— სიტყვა კი არ დაივიწყოთ, ჩემო რძალო, — უთხრა დარეჯანმა, — ჩაი მიირთვით.

— მიირთვით, სულ ერთია, — უპასუხა ელისაბედმა და წამოავლო ჭიქას ხელი.

ჩაი ჩამორიგდა.

ელისაბედმა მოსვა ცოტა თუ არა, ისევ დაინყო განწყვეტილი სიტყვა:

— იმას მოგახსენებდით: იმ წუნკს ნიკოლოზს, იცით, რა უქნია? თავის მოახლისათვის არშიყოფა დაუნყია. ერთხელ ბინდი ყოფილა, — აქ რაღაც წასჩურჩულა დარეჯანს ყურში, — ბიჭებს დაუნახავთ, ქალბატონისთვის შეუტყობინებიათ, ის სანყალი ქალიც მისულა და გულს შემოჰყრია. აი, ბატონო!..

— მართლა?

— თქვენზედ მინა არ მენახოს! — მოაჭორა ელისაბედმა და, მითამ ნიკოლოზის ცოლზედ გულიც შესტკივა, დაუმატა: — მე ის სანყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიაც ქვა უხლია.

— საშინელ დროებას არ შევესწარი, თქვენი ჭირიმეთ! — მართლის გულით სთქვა ლუარსაბმა, — სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვაჟო, ქალს — ქალობა აღარ ეტყობა, კაცს — კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიათ ეს კუდიანი ვარსკვლავები, ერთი ღვთის რისხვა რამ უნდა მოვიდეს. რომ არ გაგონილა ყურით და ენით არა თქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისტანა ამბები! სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში. პირში წყალი გაგვეშრობია.

— არა, ისე ჩუმად მოეხდინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა, — სთქვა დარეჯანმა.

— ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? — გაანწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა, — განა უნინ კი არ იყო მაგისტანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უნინ სულ დაფარული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს — რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ, — ბევრი მაგისტანაები მომხდარა უნინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უნინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიათ.

ნამუსი აღარ არის, არა, ნახდა ქვეყანა.

— სწორედ მეორედ-მოსვლის ნიშნებია, — დაუმატა დარეჯანმა.

— სწორედ. აი, ერთი კიდევ რა შევიტყუე.

გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, — სთქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ჰნახა რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დააცქეცა და ახლო მოინიშნა. დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს.

ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო:

— ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?

— დიაღ, — მიუგეს ერთხმით ცოლქმარმა.

— იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომოდა მზესა, — ისიც ხომ გაიგეთ?

— დიაღ, დიაღ, გავიგეთ! — წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა.

— იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს¹ თავიანთი კარაბადინი² გაუშლიათ და უთქვამთ, რომ — აქ უფრო ხმა დაიდაბლა — თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

— ვაი შენს ლუარსაბსა! — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა. — ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამაჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ ნავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია³. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!

— რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! — მიატანა ლუარსაბსა ცოლმა, — სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ! შარ-

შანწინ კი არა სთქვეს, რომ დედამინა ხარის რქაზედა სდგას. იმ ხარს ერთი რქა მოსტეხია და ქვეყანა უნდა გადაბრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტეხია და არც არაფერიო.

— მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა! — სთქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, — ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რილას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?

— რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა, — ეგ ცუდია, თქვენმა მზემ, — სთქვა ელისაბედმა.

— ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო, — ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

— რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონყმობა ღმერთს დაუნესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! — სთქვა დარეჯანმაცა.

— უფლისა — უფალსა და კეისრისა — კეისარსაო, სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, — დაუმატა ელისაბედმა.

— მართალი ბძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას ვინ წაუვა? — მიატანა დარეჯანმა.

1. ტერტერა — სომეხი მღვდელი.

2. კარაბადინი — აქ: ასტროლოგიური საწინასწარმეტყველო წიგნი.

3. უნარი — აქ: ბრალი.

— არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! — დამტკიცა ელისაბედმა და წამოდგა შინ ნასასვლელად, — მშვიდობით ბძანდებოდეთ!

— მშვიდობით, ჩემო რძალო! ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო, — ურჩია ლუარსაბმა.

— თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, — გამოესალმა და წავიდა ელისაბედი. თან აედევნა დაჩაგრული გოგო.

— ღმერთო, რა მეჭორება!.. რა ენაჭარტალაა!.. — უთხრა ქმარს ელისაბედზე დარეჯანმა.

— ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვეერთოსო! — დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

— შენ ხომ მაშინვე დაიჯერე!

— კარაბადინმა სთქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ. ის კი, ღვთის წინაშე, არ მომაგონდა, რომ გარეჯელ მკითხავს ბევრჯერ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

— გონება სადა გქონდა?

— ეჰ, შე დალოცვილო! აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა. სულ რომ მაგონდებოდეს, რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ქვეყანაზედ რა ვიცი რამდენი ეშმაკის მანქანებაა, ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს. ვეჟო, ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან? ეგეც შეიძლება, რომ მოჰხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.

— რასაკვირველია, ცუდი არ იქნება, ჩვენ მაგითი რა დაგვაკლდება?

— არაფერი, შენმა მზემ, — ეხლავ დაუძახებ დათოსა და ვეტყვი. — დათო, დათო! — დაუყვირა ბატონმა.

— ბატონო! — სადღაც შორიდან მოისმა დათოს ხმა: — ეხლავ გაიხლებით.

ცოტას ხანს შემდეგ დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა:

— რას გვიბძანებთ?

— იმას, რომა, ყმები ჩამოგვეერთმევო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

— გავიგე, შენი ჭირიმე! — უპასუხა დათომ, — განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

— ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

— შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!

— რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

— დიად, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყობით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, — ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუნყრება?

— ოღონდაც, რომ გაუნყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

— მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია — ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

— ოღონდაც რეგვენია, — ჩაერივა დარეჯანი, — მამა ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს, ისევ თავისივე ბატონია.

— მართალი ბძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? — დაუმატა ეშმაკობით დათომ.

— დიდი და პატარაობა სად არ არის? — სთქვა ლუარსაბმა, — აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე

გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

— განა არ დამიხედენია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, — სთქვა ცბიერმა დათომ.

— მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? — გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

— ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა — ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

— როგორი მართალია? — დაატანა დარეჯანმა, — ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაააზატონ¹. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

— მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს.

— ტყუილია, მაშ რა არის? — დაიყვირა ლუარსაბმა, — აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძი?

— აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! — მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

— თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს იცი რა უთქვამს? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

— ისა, რომ ტყუილიაო.

— აბა, იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, — დაუმატა დარეჯანმა.

— მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია, აბა უბატონოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მოგვივა. ეხლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

— თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოღბელისა არ იყოს — „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“, — სთქვა ლუარსაბმა, — ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია. არა, დათო?

— დიალ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია, და როდი მიჯერებენ.

— შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძანა-თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? — უბრძანა ლუარსაბმა.

— მაშინ კი რალა ეთქმით, შენი ჭირიმე!

— ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

— ბატონი ხარ, მაშ გაიხლოთ?

— წადი.

დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა.

— არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, — უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

— ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, — უპასუხა ლუარსაბმა.

V

— ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? — ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ მოაღწია. — დარეჯან! არ გეყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

— რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვა-

ლოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს, — ანუგეშა დარეჯანმა.

— მაინც?

— სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი...

კიდევ უნდა რალაც ეთქვა, მაგრამ ლო-

1. აზატი — განთავისუფლებული ყმა. გაგააზატონ — გაგათავისუფლონ.

რის სუკების ხსენებაზედ აღტაცებულმა ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

— უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

— ზურგიელიცა გვაქვს, ღვინოები რომ იყიდა, იმისი ფეშქაშია. ასეთია, რომ ქონი გასდის.

— უჰ ეგეც კარგია. სხვა?

— ყველი, პური და კაი გული.

— არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ: ჩვე-ნისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება.

გაიკეთა ჩიბუხი მადანახალისებულმა მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: „ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგია!“

ვახშამსაც, როგორც ყველაფერსა ამ წუთისოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამაძლარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ეხლა ხვალისთვის დაიწყებდა ზრუნვასა. მაშ! ოჯახის კაცი იყო.

— ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?

— ხვალ?.. — ჩაფიქრდა დარეჯანი, ვითომც და ძნელი გამოსარკვევი საქმე მიანდვის: — ხვალ? დაიცა ერთი მოვიგონო... ხვალ? არტალაზედ როგორა ხარ?

— უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე. არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით, — უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა, — ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, — ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა? მარტო ეგ რას გვეყოფა?

— ერთი კარგი ჩიხირთმა?¹ — ჰკითხა მაცდურის ღმილით კნეინამა.

— ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა?.. არა, გეთაყვა, ბოზბაში² სჯობია, — მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

— ეხლა მაგას დაიჭინებ. რითა სჯობია?

— ვა!.. ტყემლის მყავით გაკეთებული ბოზბაში?.. — ისეთის ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო: ეს ამისთანა უბრალო ჭემმარიტება როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედაკაცსაო.

— შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს.

— ვა!.. — უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა, — ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს!.. რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩვენია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სჯობია? მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია.

— შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ველარ გადაგათქმევინებს? — არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაჟინებულს ლუარსაბსა.

— მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? — სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დონიჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო:

— მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

— ვამჯობინებ.

— მაშ შენ პირში გემო არა გქონია, — ეხლა კი გულზედ მოსულსავით სთქვა დარეჯანმა.

ლუარსაბი აიტკიცა, მაგრამ თავი შე-

1. ჩიხირთმა — ქათმის ხორცის წვნიანი. 2. ბოზბაში — ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი.

იკავა და არ იყო რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა:

— შენ არა გქონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩვენია.

— აბა რას მიედ-მოედები? — ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი, — ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება — პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ — მაშინ უფრო, ბოზბაში ვედ კი არა. მაშ ჩიხირთმა სჯობნებია. ეხლაც დაიჟინებ? — ისეთ გულდაჯერებით და ზაფრიანად წარმოსთქვა ეს კნენინამა, რომ, ასე გგონია, უნდა ეთქვაო: „შე სულელი, ამისთანა საბუთი მაქვს და შენ კი მაინც შენსას ამბობო?“

მაგრამ არც ამის მოპირდაპირე იყო სუსტის ჭკუისა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერის საბუთით არ დაერღვია. მართალია, პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერ მოახერხა, — რა ეთქვა, მერე კი — ღვთის წყალობა გქონდეთ — ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

— მაგ სიტყვებზედ სდგეხარ? — ჰკითხა ჯერ ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

— ვდგევარ.

— მაშ კარგი: შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგვერის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში — მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურჩაყრილი, ჩაყუყუნებული ბოზბაშით სავსე მათლაფა, თუ ზემოდამაც ერთი კარგი კანჭი აძევს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში — წვნიანების მეფეა, როგორც თართი — თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.

— აბა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორაგული თქმულა თევზების მეფედ და არა თართი... აბა, სულ ეგრე სტყუი ხოლმე, — უკიჟინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნენინამ, რომ ტყუილში დაიჭირა.

შერცხვა ცოტა ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმჩნივა და გაიზრახა, რომ პატივისათ-

ვის — რაც უნდა დაემართოს — უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის მეფე.

— ეხლა მაგას დაიჟინებ. თართია-მეთქი.

— ორაგულია.

— ეჰ, თართია, თავი არ მამიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ?

— ორაგულია, ორაგული! — დასძახა კნენინამა.

— აბა საიღამ იცი, რომ ორაგულია?

— შენ საიღამლა იცი, რომ თართია?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რარიგად! ხსნა არ იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდეც, რომ „კარაბადინში“ სწერიან, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია და ველარ გაბედა.

დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო — როგორც იცის თითონ მკითხველმა — ჰნახა რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფრო და უფრო დააყარა თავმონონებით:

— მითხარ, საიღამ იცი? მაშა! რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა ეხლა სთქვი: ჩიხირთმა არა სჯობია?

დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს. ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ველარა. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ.

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა. სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა, რაკი საქმე სახუმარი აღარ იყო, რაკი ჯიბრზედ შედგა, ეხლა დათმოდა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ჰნახა თავისი თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალწინ წამოუდგა მორთქლავი მათლაფა ლავაშჩაყრილის ბოზბაშისა, მოაგონდა ზემოდამაც გადახი-

რული ბატკნის კანჭი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავინყა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები:

— მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასა.

— ჩიხირთმა, ადამიანო!

— ბოზბაში, დედაკაცო!

— ეჰ, წელანდელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა სტყდები, — უთხრა ყვედრებით დარეჯანმა.

— შენა ხარ მტყუანი.

— დახე! შენ არა თქვი — თართიანო?

— მე ეგ არ მითქვამს — ეგ შენა თქვი, — იცრუა ლუარსაბმა და თავის სიტყვა თავის ცოლს გადააბრალა, — მე ორგული ვთქვი.

— დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ!.. ეს რა მოიგონა! — წამოიძახა ეხლა კი სწორედ გულზედმოსულმა დარეჯანმა.

— ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! — დაბალ ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარეთ გავიდეს. კარებში რომ მივიდა, ერთი კიდევსათქვა:

— მე ორგული ვთქვი. — თქმა ამისა და იმისი გარეთ გასვლა ერთი იყო.

— მტყუანს?.. — მისძახა გაკაპასებულმა, ამ უსირცხვილობისაგან მოთმინებულად გამოსულმა ცოლმა, — გაუნყრეს წმინდა-გიორგის მადლი და ნეკრესის ღვთისმშობლისა!

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა — არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა.

ხშირად შუალამემდინ ცოლ-ქმარნი

გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“, — იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ“, — იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათვის შთაუბერია.

— ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? — გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: — წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, — რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით — რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია — ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

— დიაღ, — მეტყვი შენ, — მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ — რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ — რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო — რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ამ ყოფაში და „ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა“, — მოგვითხრობს ავტორი. მოძებნეთ ამ ირონიული ნათქვამის დამადასტურებელი დეტალები და ეპიზოდები შესწავლილ მასალაში.
2. ლუარსაბი სკოლებს „ემმაკურს“ უწოდებს. ავტორისეულ მსჯელობაში კი „წყევლულ განათლებაზე“ საუბარი. ერთი შეხედვით, მწერლისა და პერსონაჟის აზრი თითქოს ერთმანეთს ემთხვევა. რა ანიჭებს მწერლის ნათქვამს განსხვავებულ

ელფერს? რით აძლიერებს ავტორი სათქმელისადმი თავის დამოკიდებულებას? მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილები.

3. დარეჯანს თითქოს „სოფლის აყაყანების“ რიდი აქვს, მაგრამ ნათლიდედისგან ქრთამს – „ერთ გაბმა აბრეშუმს“ მაინც აიღებს. მოძებნეთ ადგილები, სადაც სხვისი გამკილავი თავადები თავიანთ ნამდვილ სახეს ამჟღავნებენ.
4. დააკვირდით დარეჯანისა და ელისაბედის საუბარს. რამდენად გამოხატავენ მათი სიტყვები, გამოთქმები ერთმანეთისადმი რეალურ დამოკიდებულებას? შემდგომ მათი დიალოგი ფარული თუ აშკარა ქიშპის სახეს იძენს. მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილები.
5. ლუარსაბი, დარეჯანი და ელისაბედი თავადებსაც ამცირებენ და გლეხებსაც. რა უდევს საფუძვლად თავადის დამცირებას? გლეხისას? (მოძებნეთ სათანადო ადგილები).
6. სალამო ხანს მოსაუბრენი და მათი უტყვი დამსწრენი, ილიას თქმით, „მშვენიერ სურათს წარმოადგენდა“. ბოლოს კი ყოველივე ამას მწერალი „საძაგელი მიწის საძაგელ სურათს“ უწოდებს. რამ განაპირობა ერთი და იმავე ეპიზოდის ერთმანეთის საპირისპირო ეპითეტებით შეფასება? მათგან რომელი გამოხატავს სათქმელს პირდაპირ?
7. „გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც“, – ამბობს დარეჯანი. მოძებნეთ სხვა ადგილები, სადაც ადამიანური ურთიერთობა ასეთსავე „პრინციპებს“ ემყარება. რა განაპირობებს მეზატონის ამგვარი „ზნეობის“ ადამიანად (პიროვნებად) ჩამოყალიბებას?
8. დარეჯანი და ლუარსაბი ბევრს იკვებნიან, ტრაბახობენ. დაძებნეთ სათანადო ადგილები. თავის მხრივ, რითი უწყობენ ხელს ბატონების „განდიდებას“ ყმები? მოძებნეთ სათანადო ადგილები.
9. როდის გამოავლინა ლუარსაბმა ნამდვილი ალეღვება? რა მიაჩნია მას წარღვნის მომასწავებლად?
10. მწერალმა ადრე უკვე გაგვაცნო ლუარსაბისა და დარეჯანის „შეხედულებები“ სამყაროს შესახებ. მოძებნეთ სხვა ეპიზოდები, რომლებშიც კვლავ გამოჩნდება თათქარიძეების შეზღუდული გონების „თვალსაწიერი“. რატომ უბრუნდება მწერალი ამ საკითხს არაერთხელ და ასე დეტალურად?
11. „გლეხები არიან, ტყუილსაც დაიჯერებენ და მართალსაც“, – ფიქრობენ თავადები. რამდენად მართლდება ეს აზრი დათოს მაგალითზე?
12. ლუარსაბი ამბობს: „მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა“. რა ვუნდოთ ასეთ ადამიანს?
13. ავტორი დასაწყისში თათქარიძის ეზოს აღგვიწერს, შემდგომ სახლს. ამის შემდეგ ლუარსაბი და დარეჯანიც „ამოქმედდებიან“. რა ამრავალფეროვნებს წინა თავებთან შედარებით მეოთხე თავს?
14. მეხუთე თავში მწერალი კიდევ ერთხელ გვიხატავს ალეღვებულ ლუარსაბს. მეუღლესთან გაცხარებულ მოპაექრედ ქცეულა დარეჯანიც. ამჯერად რამ მიანიჭა პერსონაჟებს მათთვის ესოდენ უჩვეულო დიდი შინაგანი მგზნებარება? დააკვირდით, როგორ საბუთებს იშველიებენ თათქარიძეები კამათის დროს?
15. არსებობს ასეთი ქრისტიანული შეგონება: „სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია“, ამგვარ „მორწმუნეთ“ „ამაო კაცად“ მოიხსენებენ ხოლმე. ამ შეგონების ფონზე როგორ წარმოგიდგებათ „მორწმუნე“, „ღვთისმოსავი“ ლუარსაბი?

VI

ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელში შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან. საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა. ჯერ ლუარსაბი თავის ძმასთან — დავითთან — გაუყრელი იყო, როცა ოცი წლისა შესრულდა და მოინდომა ცოლის შერთვა. ძალიან მოინდომა, მაგრამ არ იცოდა ვისი ქალი შეერთო; მდიდარიც უნდოდა, კაი გვარისშვილიც და მზეთუნახავიცა. ამაების მექონი ქალი ჩვენში ძვირია¹. ლუარსაბს ჯერ კი თვალი ეჭირა — იქნება შემხვდესო, და, რომ ვერსად ვერა ჰპოვა, გაიზრახა გულში — შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით² ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო³, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის: თავად მო-

სე გძელაძეს, დიად პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერი⁴. აუფორთხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-მუდამ საამურად უღიტინებდა, მაგრამ არ იცოდა — როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა.

მაჭანკალი, გძელაძისაგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც, მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტ-კნენინას“⁵ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას⁶ ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ეგრე დავუძახოთ.

დიდი ენამეტყველობის სახელი ჰქონდა გავარდნილი თავადიშვილებში ამ სუტ-კნენინასა. ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამინის ზურგზედა. ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხის-ქირასა...

VII...

VIII

... ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით. ეხლა კი მართალი ქალი გა-

ისტუმრეს საყდარში⁷. როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

1. ძვირია — იშვიათია.

2. ბუზმენტები — ოქრომკედის ან სირმის ფართო არშია ტანსაცმელზე მოვლებული.

3. დროშკა — ეტლის ტიპის ტრანსპორტი.

4. ზედ ზურგზედ... აკერია — იგულისხმება: მზითვეში მოჰყვება.

5. სუტ-კნენინა — ტყუილი კნენინა. კნენინა — თავადის ცოლი ან ქვრივი.

6. კნიაზი — თავადი.

7. VII თავში ნათქვამია, რომ სარძლოს სანახავად მისულ დავითს სხვა ქალი უჩვენეს.

— დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, სანყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

— მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

— კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, — მიუგო მღვდელმა.

— პატარძალი სად არის?

— აი, ესა ბძანდება.

— ლუარსაბ! — დაუძახა ძმას დავითმა, — მოგვატყუეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დალონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

— კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? — უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, — ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

— აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, — მიუგო თავგამოდებით დავითმა.

— ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევენებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ველარ ნახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

— ის კი გაგონილა, რომ პატარძალი

შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

— ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ველარა მოუგონიათ რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, — დაუძახა ხალხს მოსემ.

— მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! — გაიხმაურა მოსეს ხალხმა, ჩვენ ფიცს მოგცემთ.

— არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრები, — წამოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა.

ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ, ჰნახეს რომ ამათი ალაგი არ არის. პატარძალი კი და ორი ვილაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარისწერას.

— მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, — წამოიძახა მოსემ, — თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

— არ დაიწერს.

— უკანასკნელი სიტყვაა?

— უკანასკნელია.

— დავით! — უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, — აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

— ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

— ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? — უპასუხა.

— შვიდი იყოს.

— ან შვიდად.

— რვა იყოს

— ვერც რვა თუმნად.

— მაშ რამდენი გინდა?

— ათი მაინც იყოს.

— ცხრაზედ რას იტყვი?

— არა, ათი.

— ეჰ, ჯვანი გავარდეს: ათი იყოს.
 ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავით-
 მა ჯიბეში ჩაიდო.
 — მე კი დავჩუმდები და ჩემი ძმისა შენ
 იცი, — უთხრა ღიმილით დავითმა.
 — ოღონდ შენ დაჩუმდი და ერთი ორი-
 ოდე კაცი თქვენი მაყრიონიდანაც დაიყო-
 ლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.
 — ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძღვევ.
 — მამ ხელი დაჰკარ.
 დაჰკერეს ხელი ხელს და სანყალ ლუარ-
 საბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა.
 მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი
 მისცა. ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მი-

ნამ არ გამისწორებო, ბოლოს ესეც რომ
 ვერა გახდა-რა — გარემოებას დაემორ-
 ჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.
 ელისაბედი სიხარულით აღარ იყო,
 რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ
 გონჯი ცოლი მოიყვანა. „ჰი, ვენაცვალე
 ღმერთსა! — ეტყოდა ხოლმე ქმარს ელისა-
 ბედი, — ჰი, ვენაცვალე! — ჯერ ჩემზედ
 უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის
 ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“
 ბოლოს ხომ — როგორც მოგეხსენებათ —
 ცოლების მონყალეებით, ძმებს ჩხუბი მო-
 უვიდათ და გაიყარნენ.

IX

ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაინერა ჯვა-
 რი. თუმცა ძალადობით მოხდა ესა, თუმცა
 მზითვეშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის
 მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგ-
 რამ — შუბლზედ ეგ მენერაო — იფიქრა და
 დაემორჩილა ბედისწერასა. ბოლოს ხომ, —
 შენც იცი, მკითხველო, — რომ ამათ ერთ-
 მანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ
 რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ
 ვიცი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“.
 — ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთ-
 მანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში
 ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად?
 კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც
 და უბედობასაც თანასწორად ემორჩილე-
 ბა ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს
 და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა,
 — და არის ისე ყველგან ერთნაირად გულ-
 გრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას
 და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდე-
 ბენ; კმაყოფილება კიდევ — ვიღაცამა
 სთქვა — ბედნიერება არისო. ბევრჯერ
 უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემ-
 თვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯო-
 ბივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილე-
 ბიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გა-
 მიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკ-
 ვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაო-

ბა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს.
 იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმად-
 ლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტო-
 მაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მად-
 ლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკე-
 თესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო
 კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ
 დაეღვევაო“, — ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ
 იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ
 „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზე-
 და. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ
 არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა
 ჰქონდათ და დარაბა, მხოლოდ ერთი ჯავ-
 რი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ.
 აი, ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარე-
 ჯანი ორმოცდაერთისა შესრულდა, რომ
 ღმერთმა მემკვიდრე არ უბოძათ. ბევ-
 რჯერ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი,
 ბევრი რაღაც ბალახბულახი მიირთო და
 ლუარსაბსაც დააღვივნა. მაგრამ ვერა ეშ-
 ველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ,
 — ამბობდა ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი
 ელისაბედი, — ტყუილად რად იხეთქენ?
 სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბუ-
 ლებდა ხოლმე და კუდიანობდა — ეგ იმან
 ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული
 აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა“.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი იმედს არა ჰკარგავდნენ. შეიტყეს, რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსაო. თუმცა შვილოსნობის დრო გადასვლოდათ, მაგრამ მაინც კიდევ ქალაქისაკენ კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბალდადი, რომელზედაც — როგორც მოგეხსენებათ — უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა, და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე. სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომა „თქვენზედ ხატია გამწყრალიო. მერე რომელი ხატი? თელეთისაო, ასე სთქვა მკითხავმაო“. ეს რომ გაიგეს ცოლ-ქმართ, ერთ დროს და ერთხმად პირფერისწერით წამოიძახეს:

— საიღამ სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა, — სთქვეს და ისევ პირფერი გადინერეს.

— დალახვრა ღმერთმა! საიღამ სად მოგვიკითხა! — ისევ გაიმეორა ლუარსაბმა.

— ხატზედ „დალახვრას“ როგორ ამბობ?

— ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ! — რამდენჯერმე პირფერი გადინერა სხაპა-სხუპით, — აი, დალახვრა ღმერთმა, დაჩვეული რომ ვარ, ისე თავისთავად ითქმის ხოლმე, ღმერთო, ნუ მიწყენ!

— ახლა რას იტყვი, ლუარსაბ, ნავიდეთ?

— შორს რომ არის?

— რა ვუყოთ? ალბად ნება ღვთისა ეგ არის.

— მოდი, აქვე ნეკრესის ღვთისმშობელი ვილოცოთ.

— თელეთის ხატს ეწყინება: მე დავიბარეო, აქ კი არ მოვიდნენო და იქ კი ნავიდნენო, იტყვის.

— მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მამივიდო-

და და ის ხომ ხატი ბძანდება — ვენაცვალე იმის მადლს! — უფრო გული არ უნდა მოუვიდეს?

— ეგ არის და.

— მაშ რა ვქნათ?

— უნდა ნავიდეთ.

— შორს კი არის, თუ შენც იტყვი.

— ეხლა, თუ მივდივართ, ნულარ ამადლებ — გვინწყენს.

— მართლა, მართლა! ნუ მიწყენ, აგრემც დიდება შენსა სახელსა, ხატო თელეთისაო! გაახლები, გაახლები და თაყვანსა ვცემ სახელსა შენსა.

დაიჯერეს მკითხავის სიტყვა: თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარაგზასა. ურემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაც ცხენზედ მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა. მეომარის თვალადობა ჰქონდა ამჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. ნელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან ნელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, ნვივებზედ პტყელი ჩაღსაკრავი¹, გრძელფორებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი — კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი — რადგანაცა ცხელოდა, — ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედწამოცმულ ვაშლით, რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდან ფეხამდინ ორშაბათის ყეინი² იქნებოდა.

1. ჩაღსაკრავი — ნვივზე შემოსაკრავი ლენტი.

2. ორშაბათის ყეინი — სახალხო დღესასწაულის მთავარი გმირი. მას ყაენივით გამოაწყობდნენ, შესვამდნენ ვირზე უკულმა და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ.

ამ ყოფით ავიდნენ თელეთში მეხუთე დღეს, ილოცეს და მეორე დღესვე დაბრუნდნენ. ქალაქს რომ ჩამოუარეს და შეუდგნენ კახეთის გზასა, კნენინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი კოფასა¹, წამოიჩოქა და გამოჰხედა ქალაქსა. ლუარსაბს ურემში ეძინა. ისიც გააღვიძა.

— ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია! ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა, ღმერთო! სულ ქვეთკირის შენობა უნდა იყოს.

კნენინას ქალაქი ჯერ არ ენახა.

— მაშ არა და წნული იქნება.

— ერთი შეხედე და, რამდენი საყდრები...!

— ვიცი. განა არა ვყოფილვარ?

— პირველად რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ ჩაგაყლაპეს?²

— როგორ არა? სამი ასეთი კენჭი ჩაყლაპე, რომ ძლივს მოვიწიე.

— აღარ დაგცადა ქალაქმა?

— არა, რალას დამცდიდა. რომ კენჭებ-ჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა.

— ეგ ხომ აგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს!

— კარგი როგორ არ არის, მთელი მთელეთის ხალხი³ სულ მანდ დანანნალებს: თათარი, ყაზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რალა, ბუზსავით ირევიან.

— მართალია, რომ აქ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?

— მართალია, მაშ? ეგ კიდევ რა! რალაც მოუგონიათო, ფიცრებს თავისთავად ხერხავსო.

— ეხლა ეგა სთქვი.

— თავი არ მამიკვდება.

— როგორ? ისე თავისთავად?

— თავისთავად.

— არც კაცია, არც ადამიანი?

— არა.

— მაშ ხერხი ვის უჭირავს?

— ეშმაკს და ქაჯს, ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი!

— რუსების მოგონილია განა ეგა?

— მაშ არა და შენის მაზლის დავითისაა!

— დიდება შენდა, ღმერთო თვალთმაქცობას რომ ჰთამაშობენ, ისიც გინახავს?

— აბა რომელი?

— აი, გაჭენებულ ცხენზედ რომ კაცი დადგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, იმაზედ კიდევ კაცი და კიდევ და კიდევ.

— ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემ პატარა ბიჭობაში!.. — დაიკვეხა ლუარსაბმა.

— აი, შენმა მზემ! შენ კი იქნებოდი, რომ დამდგარიყავ.

— ღმერთმა იცის! ეხლა ჯანი აღარ მამდევს და სიმარდე, თორემ ეხლავ გიჩვენებდი.

— ნუ იკვეხ. ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რალა ხარ.

— განა კვეხნისთვის ვამბობ? მე იმისთვის ვთქვი, რომ ეგ რა თვალთმაქცობაა-მეთქი. მაგაზედ უფრო ბევრი ასეთია, რომ...

— მაინც?

— რა ვიცი, რამდენი რამ არის.

— სთქვი რალა, მეც ვიცოდე.

— ბევრია.

— მაინც?

— რა ვიცი, რამდენი რალაცაებია...

— მაინც?

— ეჰ, ვინ მოსთვლის? ბევრია, ნეტავი შენ! რარიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადაასხვაფერა. მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა, მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.

1. **კოფა** — ურმის წინა ნაწილზე განივად გადებული ფიცარი (ჩამოსაჯდომად).

2. ჩვენში ბევრსა სწამს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაჰყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთს დროს (ავტორი).

3. **მთელი მილეთის ხალხი** — მთელი ქვეყნის ხალხი.

მეხუთე დღეს შინ მშვიდობით მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ცოლ-ქმარნი, თან მოჰყვათ, რასაკვირველია, იმედი, რომ შვილი გაუჩნდებათ. მაგრამ გავიდა სამი თვე — ყმანვილმა მუცელში არ გაიჩუჩუნა, გავიდა ექვსი თვე — კაბა არ დაუფინროვდა დარეჯანსა. გავიდა ცხრა თვეც და დარეჯანს მუცელი არ ასტკივდა. დარეჯანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ამდენი სხვადასხვა ფერის და სხვადასხვანაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა, და ჰქონდა კიდეც. თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა და ნააყვედრა — „შორს არისო“. თორემ ეს დამუნათება და ნაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეჯდებოდა დარეჯანს კალთაში. ლუარსაბი ავ გუნებაზედ იყო. ეგ არაფერია, რომ შვილი არ უჩნდებოდა და ხატმა მოატყუა: დაიბარა და არ მისცა კი შვილი; ამის ჯავრი ის იყო, რომ დავითს, ამის ძმასა, უთქვამს: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძალდეს, რომ იმის მამულეზედ ვინავარდო“. ესა ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდეც დიდი უბედურება არ იყო.

ერთხელ ესე დალონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდეც კნენინა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო ხმაგაკმენდილი ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. — „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? — ამბობდა თავისთავად, — შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულეზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევიჩინო, თორემ ეს ჯავრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“

ეს რომა სთქვა თავისთავად, გადმო-

ბრუნდა დარეჯანისაკენ დალონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

— ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მამკალ. შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

— ვშობამ, შენ ნუ მოუკვდეები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! — უპასუხა კნენინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა. — ნუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა — ფეხებამდინ უმტვერო ქალღღვივით წვერი ჰქონდა — ერთი ნამალი დამალევიანა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვივე, შენ მაგიერადაც ვემთხვივე.

— მართლა? — წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა, — ისე თვალითა ნახე?

— აი, როგორც შენა გხედავ.

— შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

— მაშ, ქა!

— ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! — დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, — როგორ გითხრა?

— გამრავლდიო, ვითარცა იაკობ.

— იაკობი ვინ იყო?

დარეჯანმა არ იცოდა, ვინ იყო. ისე კი გაეგო, მგონი — წირვა-ლოცვაზედ, იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო — ამაების არა იცოდა-რა. მაგრამ არცოდნა ითაკილა, ისევ რაღაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

— ვინ იყო? — იკითხა დარეჯანმა, — წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია?.. აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.

— ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა

იაკობ, მითამ რაო?

— მითამ ისაო, რომ გამრავლდით, — აუხსნა დარეჯანმა.

— აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმე-
დია?

— კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ
უჯერო, ცოდვაა.

— აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ
შვილი ჰქობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ,
ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.

— ღმერთია მოწყალე გეუბნები, არ გა-
ვახარებ-მეთქი.

— ახ, ნეტავი კი მართალა ჰქობო და.

— კიდევ! ნუ ხარ უჯიათი, წმინდა კა-
ცის სიტყვაზედ როგორ ხარ უჯერო, რა
დაგემართა?!

— აი, დალახვრა ღმერთმა! ჩემთავად
გულში უნდა მეთქვა — ღმერთმან იცის —
და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ...

— კიდევ!

— ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინალამ
კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ მიწ-
და, იმიტომ, თორემ... ეჰ, გადავბრუნდები,
დავიძინებ, თორემ, მე რომ ვიცი ჩემის ენის
ამბავი, ერთს კიდევ წამომაროშვინებს
რასმეს და ღმერთი მიწყენს.

— თელეთისა არ იყო! იმდენი ამუნა-
თე, იმდენი იძახე — შორს არისო, რომ გაგ-
ვინყრა და აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

— მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გა-
ჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივია! რა
ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ
წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შეს-
ცდებო.

— კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა
მაინც არ აწყენინო.

— მაშ დავიძინებ.

— შენი ნებაა.

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა
ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური
ხვრინვა ამოუშვა.

ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი

სიზმარი ჰნახა. ჰნახა, რომ დავითი სი-
ხარულით აღარ არის, რომ ამას შვილი
არ უჩნდება; დადის ყველგან და სულ
იმას იძახის: ის ოხერი როდის იქნება ჩა-
ძაღლდეს, რომ იმის მამულეებზედ ვინა-
ვარდოო. სტკივა გული ლუარსაბსა, ჯავ-
რი მოსდის, გული ყელში მოებჯინა. რა
ჰქნას? — „ღმერთო! — ამბობს სიზმარში
გულნატკენად ლუარსაბი, — რა დაგიშა-
ვე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძ-
ლევ? მიბძანე და აკი გიახელ თელეთს
სალოცავადა, თორმეტაბაზიანი ცხვარი
დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი
აგინთე. სხვა რა ვქნა? ნირვა-ლოცვას
უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე
არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა
ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს.
აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდ-
ვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა
გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა
ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან ივანე
ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს
ხორცი უჭამია. პურის ნატეხს რომ მიწა-
ზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვე-
ვა, იქნება ფეხიც დაადგას და გასრისოს
კიდევ. უკურთხეველ ყურძენსა სჭამს,
ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე,
აღდგომა-დღეს მღვდელს არ მოუცდის —
რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება
ხორციულს — როგორც დათვი, ამისთანა
მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე,
მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება,
მარტო სამი დღე. აბა, ეს რა ზიარებაა! ეს
ყველა იცი — შე დალოცვილო ღმერთო —
და მაინც კიდევ იმისაკენა ხარ! დაილო-
ცა შენი სამართალი! ჰო, მართლა, ერთი
კიდევ დამავინყდა: ერთი მწევარი ჰყავს,
თავის თეფშში აჭმევს ხოლმე. ქრისტიანი
კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა
ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა,
იმას დასძლევს ხოლმე,¹ ოფოფი გინდა,
იმას დასძლევს, გუგული, კვიცი — რაც

1. არის ამისთანა ამოდმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინოდალეული არ შეხვდი პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს. კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეული იქნები, ოფოფს თავდავარცხნილი უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დავითს ღმერთთან აბეზღებს (ავტორი).

გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი — ღმერთო, ხომ შენ იცი — არაფერს არ დაგუძღვევარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ ჭოჭმანობა და-ვინყე? აკი მაშინვე მოვიწინაი!..“

ეგრე უჩიოდა ღმერთს სიზმარში ლუ-არსაბი. მერე ჰნახა, რომ მითამ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოი-ბრუნა ლუარსაბისაკენ, აი, მითამ რვა თვეც არის, რაც დარეჯანი ორსულია. ერთი თვეც, ერთადერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს თვალი დაუდგება. უხარიან სიზმარში ლუარსაბსა, რომ ამის ჩივილმა გასჭრა, სიხარულით ფეხზედ ველარა დგება. დავით და იმისი ცოლი ჯავრით აღარ არიან. ლუარსაბს ისე შვილი არ უხარიან, როგორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯავრით აღარ არიან. ორი კვი-რაც მითამ გავიდა, აი, ორი კვირა კიდევ და დარეჯანი დანვება. უხარიან, უხარიან ლუ-არსაბს, მაგრამ! — აი, უბედურება — ლუ-არსაბი უეცრად ავადა ჰხდება და ძალიანაც ჰხდება, ასე რომ მითამ მოკვდა კიდევცა. მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერსა ჰგრძნობს. ესმის, რომ დარეჯანი საშინე-ლის ხმითა სტირის და სოფლის მოტირალე დედაკაცები მწუხარე ბანს აძლევენ. ესმის, რომ იქით, სადღაც კუთხეში, დავითი და ელისაბედი იცინიან, ჰხტიან და ლუარსა-ბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის რომ მკვდარია და იმიტომ არა დგება. — „ხვალ მამულებს ჩავიბარებო“, — იძახის ხმამალა დავი-თი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედა, იტანჯება, უნდა სთქვას — რომ „ნუ მის-ცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო“, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელ მდგომარეობა-შია საწყალი, ცოცხალ-მკვდარი ლუარ-საბი. რა ჰქნას აბა მკვდარმა? — „ვაი, რა დროს მოვკვდი!.. როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! — ამბობს სიზმარში თავისთავად ლუარსაბი, — ახ, ნეტავი ეხ-ლა კი გავცოცხლდე და!..“

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, კუბოც მოიტანეს, აი, ჩაასვენეს კიდე-ცა და კუბოში ჩადებული და მორთუ-ლი დაასვენეს ტახტზედა. მესამე დღეს მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილითა. ამ გა-ლობაში და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარ-საბსა. ესმის ეს ყველაფერი, ჰგრძნობს რომ ანდერძიც აუგეს და სასაფლაოზედაც წაიღეს, უნდა სთქვას: „ნუ დამმარხავთო“, მაგრამ იცის მკვდარია და არას ამბობს. აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ლუარსაბი, ესმის, რომ საფლავის პირზედ დავითი სდგას და ეუბნება დიამბეგს: ხვალ მამულები უნდა ჩამაბაროვო. ელისაბედი კი უჯავრდება: რას ჰბოდავ? სახვალიოდ რად იხდი საქმე-სა, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებ? ლუარსაბს ეს ყველაფერი ესმის, ჰხვნეშის, ჰწვალობს, იტანჯება, ცივ ოფლს ასხამს, ჰკანკალებს, თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრის-აგან, რომ დავითსა რჩება ბურთი და მოე-დანი. — „ახ! ნეტავი კი ეხლა გავცოცხლდე და!“ — იძახის გულში ლუარსაბი.

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, მიწაც მოაყარეს, ჯერ მუჭა-მუჭად მიწა ცვივა და კუბოს ფიცრებზედ რახარუხი გააქვს, მერე შეატყო, რომ ნიჩბებითაც დაუწყეს მიწის ყრა. ლუარსაბს უღონდება გული, სული ეხუთება, ჰაერი დაეხშო და, აი, ერთი წუთიც და გათავდება კიდევცა. მა-გრამ ვინ არის მეშველი? ესმის, რომ ხალ-ხის ხმაურობა თანდათან მისწყდა, ყვე-ლანი წავიდნენ და მარტო ლუარსაბი საფ-ლავეში დააგდეს დაფლული. გულმა ტეხა დაუწყო, რომ დარეჯანმაც კი — ამის საყ-ვარელმა დარეჯანმაც კი — სხვებსავით თავი დაანება და ამასთან არ დაიმარხა. ლუარსაბს გული ამოუჯდა, დაიწყო ტირი-ლი: „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!“ ამბობს თავის გულში: „დამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ“. ამ ლაპარაკში რომ არის, საფლავზედ ფერხულის ხმა შემოესმა, ხმა გაიკმინდა, ყური დაუგდო. მოესმა, რომ დავითი და ელისაბედი ფერ-

ხულში ჩაბმულან და ჯერ კიდევ სველ საფლავზედა ფერხულსაც უვლიან. „ჩადალლდი, განა?“ — უყვირიან ზემოდამ. ეხლა კი გული აენტო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამონეულიყო, რომ კუბოს თავი და მინა აეგლიჯნა, საფლავიდან ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაენია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალში და ვაი-ვაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიდან ამოხტომა უნდა, და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრავგანი მოილო. მაშინ კი თვალეზი დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშის ზარი ისევ უბზუოდა თავში, ასე რომ სულელსავით გაშტერებული და ფილაქანზედ გამოტილი პირღია დარჩა. სასაცილო რამ იყო. ისე დაიკარგა, ისე გაფითრებული და ცივ ოფლში იყო, რომ დიდხანს გონზედ ველარ მოვიდა და არამც თუ წამოდგომა მოაგონდა, არც კი გაინძრა. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიკვდილის ფერი ედო ოფლიან სახეზედა. ამის დაცემაზედ ოთახი, რასაკვირველია, შეინძრა. დარეჯანს თურმე — იქით, მეორე ტახტზედ — ჩასძინებოდა და ოთახის ზანზარზედ ამასაც გამოელვიდა. ამან, — რადგანაც ჯერ არ იცოდა ლუარსაბი რა ყოფაშია, — ჯერ წამოიძახა, — ლუარსაბ! გაიგე? მინისძვრა იყო.

ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აგურებზედ უძრავად ჰგდია და სულელსავით დაუჭყეტია უგუნური თვალეზი. დარეჯანს ფერი ეცვალა.

— უი შენს დარეჯანსა! ეს რა დაგმართვია, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი!

ლუარსაბმა ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო. სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელეებული არა ჰქონდა და ეს ამბავი სიზმრის გაგრძელება ეგონა, იმიტომ ჯერ არცა რა ესმოდა რა და ვერცა რასა ჰხედავდა, თუმცა თვალეზი კი ეჭყიტა. დიად, ჯერ ისევ სიზმარი ეგონა, მხოლოდ ის აოცებდა, რომ „აკი დამმარხე-

სო და მგონი მე ჩემს ოთახში ვარ ეხლაო. ეს როგორ მოჰხდაო?“

ამის ფიქრში დაიფანტა ამისი გონება. ამიტომაც პასუხის მაგიერად თავისი შიშნაჭამი თვალეზი გიჟსავით შეაჭყიტა დარეჯანსა, თითქო ჰხედავს კიდევცაო და არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეჯანია. დარეჯანს ელდა ეცა, ხომ არ გაგიჟდაო. მაშინვე ტახტიდამ ჩამოფრინდა და მივარდა გამოტვილს ლუარსაბს.

— რა დაგემართა, შენი ჭირიმე, შენი! ხმა ამოიღე, გეთაყვანე, თორემ ლამის მე ჩემი დამემართოს!

— დამაცა!.. — გაუქნივა თანაც ხელი ლუარსაბმა, მითამ მამშორდიო, — მინდა მოვიგონო.

ესა სთქვა, ხმა გაიკმინდა, მაინც არ წამოდგა და თვალეზი დაჭყეტილმა და პირდაღებული დაინყო ფიქრი, რომ მოიგონოს ის, რაც დაემართა. ისე უეცრად და ამ ყოფით გამოღვიძებულს სიზმრის ამბავი ცოტალა დაახსოვდა და ის უნდა მოეგონა.

— შენ გენაცვალე! — მიემუდარა დარეჯანი, — ჩქარა მითხარ, თორემ შიშისაგან ლამის გავთავდე.

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა და სიზმრის ფიქრში წასულმა თავისთავად ხმამალლა ლაპარაკი დაინყო:

— მე მოგკვდი. დარეჯანი ჯერ კი ტიროდა და მერე, როცა დამმარხეს და ყველამ თავი დამანება, დარეჯანმაც მიღალატა. ეგ იმედი მქონდა იმისაგან? თავი დამანება და ჩემთან არ დაიმარხა!.. აკი ვუყვარდი! დამაცალოს!.. ის სულძალი დავითი!.. ის ქოფაკი ჩემი რძალი!.. ფერხული გააბეს განა, დამაცადონ!.. აი, მკვდარი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ!.. მაგრამ რა მექნა, რომ მკვდარი ვიყავი!..

ბევრს რაღაცეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. დარეჯანი კი გაფითრებული ყურს უგდებდა, არ ესმოდა რას ჰლაპარაკობს.

— შენი ჭირიმე, ლუარსაბ! — უთხრა კანკალით დარეჯანმა, — სიზმარში ხარ, თუ ცხადი? მითხარ, თორემ შენს მაყუ-

რებელს სული დამელია.

— ეხლა განა? მაშინ რატომ არ დაგე-
ლია, როცა მინა მომყარე და მარტოკა
ჩამფალი შავ მინაშია?

— რას ამბობ, შენი ჭირიმე, რასა? ერთი
შემატყობინე.

— რა უნდა შეგატყობინო? ცარიელი
ტირილით რა გამოვიდა, უნდა თან ჩამამ-
ყოლოდი. არა გრცხვენიან, პირში როგორ-
ღა მიყურებ?

— უი, თვალები ეხლა დამდგომია, თვა-
ლები! — შეჰჭყვივლა დარეჯანმა და მაშინ-
ვე გამოვიდა მოაჯირზედ, რომ ბიჭებს
დაუძახოს, რადგანაც გული დააჯერა, რომ
ლუარსაბისათვის ეშმაკს ძილში თავში
ჩაუკრამს და ჭკვიდამ შეუშლია. ის კი არა
თუ, ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავ-
შია.

— მიშველეთ, მიშველეთ!

ჰყვიროდა დარეჯანი მოაჯირიდან თავ-
ში ცემით თავმოხდილი და განენილი.

— მიშველეთ! უი ამ დღის მნახველსა,
შე ქოფაკო დარეჯანო!

ჰყვიროდა კნენა და იცემდა თავში,
რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ლუარსაბი
ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლდა.
ნამოხტა აგურებიდამ და ისე გაღელილი
გავარდა, რომ შეიტყოს, რა დამართვია და-
რეჯანსა. დარეჯანმა დაინახა თუ არა ლუ-
არსაბი, ეგონა — მე გამომიდგაო, იშვირა
ფეხი და ეცა კიბეს. კიბეზედ ფეხი გაუს-
ხლტა და ისე რახარუხით ჩაგორდა ძირამ-
დინა. ამ კიჟინაზედ და ვაი-ვაგლახზედ ბი-
ჭები მოგროვდნენ.

— დაიჭირეთ, დააბით! — ნივოდა გვერ-
დებდალენილი დარეჯანი, — დაიჭირეთ,
თორემ დაგვჭამს, ვაი, შე ქოფაკო თავო! ამ
დღესაც შეესწარ, რომ ქმარი გაგიგიჟდა!

ჰწიოდა სანყალი კნენა და იცემდა
ძალზედ თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს
ლუარსაბის გაგიჟება. ლუარსაბი გაოცდა,
ეს ამბავი რომ ჰნახა, სრულიად გაშრა.
ეხლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაუგიჟდა
და დაინყო სანყალმა ტირილი: გულჩვილი
იყო.

— რა გაყვირებს, ადამიანო, — გადას-
ძახა ხმამოჯდომით და ნალელიანად და-
რეჯანსა, სრულიად გონებაზედ მოსულმა
და დამშვიდებულმა, — ვინ გაგიჟდა, შენი
სულისა, შენი! მე ჩემ გონებაზედა ვარ.

დარეჯანმა შემოჰხედა, დაინახა, რომ
ლუარსაბი ისევ ის ლუარსაბია, არც გიჟი,
არც ჭკვიანი, არც ფლავი, არც ჩლავი; მაგ-
რამ მაინც კიდევ ჯერ ეჭვში იყო. გიჟმა
იცის ხანდისხან დაჭკვიანებაო, გაიფიქრა
გულში.

— აბა სწორედ შემომხედე, — დაუძახა
ქვევიდამ დარეჯანმა და თვალები შემოაჭ-
ყიტა.

— აჰა, შენი სულისა! — სთქვა და შეჰ-
ხედა ლუარსაბმა.

— წელან რას ჰლაპარაკობდი?

— აბა როდის, შენი ჭირიმე!

— აი, აგურებზედ რომ იწეკი.

— სიზმარი ვნახე და იმას ვიგონებდი.

— მაშ აგურებზედ რად იყავი გამოტი-
ლი?

— ცუდი სიზმარი ვნახე: მმარხავდნენ
მითამ და საფლავიდამ ამოხტომა მინდოდა
და ძირს კი დავეცი.

— მართლა, შენ გენაცვალე! — შემოჰ-
ხარა დარეჯანმა, — ვუი, შერცხვენილო
თავო! მე კი ქვეყანა შევყარე, ქმარი გამი-
გიჟდა-მეთქი.

დარეჯანი ამოვიდა მალლა ლუარსაბ-
თან და მაშინვე შემოსცინა. ლუარსაბმაც
კბილები დაუკრიჭა.

— მართლა გიჟი გეგონე, შენი სული-
სა? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— მართლა მეგონე, შენ გენაცვალოს
ჩემი თავი.

— აი, დალახვრა ღმერთმა, მე კიდევ
შენ მეგონე გიჟი. მადლობა ღმერთსა, ორივე
კარგადა ვართ. კიბეზედ რომ ჩაგორდი?

— რა მიშავს? მე, რაკი შენ შენს გო-
ნებაზედ გხედავ, ყველაფერი დამავინწყდა.

— მეც ისე ვარ.

— უი, შენი ჭირიმე, შენი! რომ მართლა
გაგიჟებულყავ, რა მამივიდოდა? — უთ-
ხრა ესა დარეჯანმა და სიხარულით ატა-

ცებულმა, რომ ლუარსაბი თავის ქკვაზედ არის, ლოყაზედ უჩქმიტა. ლუარსაბს იამა და, რომ უკან არ ჩა-

მორჩეს ალერსშია, თითონაც უჩქმიტა და ზედ ტკბილის ხმით და ღიმილით „ჰი!“ დაატანა. ესე მოხდა ეს ამბავი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. მეცხრე თავის დასაწყისში ბედს შეგუებული ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრების შესახებ ავტორს განზოგადებული დასკვნა გამოაქვს. რას მიიჩნევს იგი ბედნიერებად? ვინ არის, მწერლის აზრით, მადლიანი?
2. უშვილო ცოლ-ქმარი თელეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. მოთხრობაში ეს ერთადერთი ეპიზოდია, როცა თათქარიძეები თავიანთ „დიდებულ“ ეზო-კარს გასცდნენ. რამ მიიყვანა ისინი თელეთში: ნამდვილმა რწმენამ თუ ცრურწმენამ? ან იქნებ, ძმის „გამოჯავრებით“ შვილის ყოლის სურვილმა? (პასუხი დაასაბუთეთ).
3. ადრე დახატულ პორტრეტში დეტალურადაა (თვალები, ლოყები, ღაბაბი, ღიპი და ა.შ.) ნაჩვენები ლუარსაბის გარეგნობა. ამჯერად, პორტრეტის აღწერისას ყურადღება უკვე სხვა დეტალებზეა გადატანილი. რა შეუსაბამობა განაპირობებს აქ ირონიას?
4. ლუარსაბი და დარეჯანი ძველ დროს რომ ყურმოკვრით იცნობენ, ამის მაგალითი მოთხრობაში საკმაოდ ბევრია. მათ არც თანამედროვე ყოფასთან აქვთ რაიმე ხელშესახები კავშირი. რომელი ადგილი იძლევა ამგვარი დასკვნის საშუალებას?
5. მეათე თავში პირველად ვნახეთ დანაღვლიანებული ლუარსაბი. გარეგნულად ამ უგუნებობის მიზეზი თითქოს უშვილობაა. სინამდვილეში რა ადარდებდა მას?
6. თათქარიძეთა იმედი შვილის ყოლისა ხან თელეთის ხატს უკავშირდება, ხან სიზმარში ნანახ თეთრწვერა მოხუცს, მაგრამ იმედზე ძლიერი აღმოჩნდა ძმის (დავითის) გახარების შიში. ყველაზე მძლავრად რომელ ეპიზოდში მჟღავნდება ეს შიში?
7. ლუარსაბის სიზმრის აღწერის დროს მწერალი რამდენჯერმე იმეორებს: „იცის, რომ მკვდარია“. ეს სიტყვები „ცოცხალ-მკვდარი“ პერსონაჟის მდგომარეობას ამდაფრებს. ამ ფრაზას სხვა დატვირთვაც ხომ არა აქვს? ლუარსაბის რომელ უმთავრეს პიროვნულ ნაკლზე შეიძლება მიგვანიშნებდეს იგი?
8. სიზმრიდან რეალობაში გადასვლა სხვადასხვა სასაცილო ამბით ხდება (ლუარსაბის ტახტიდან გადმოვარდნა, დარეჯანის შიში – ქმარი გაგიჟებული ჰგონია, კნეინას გარეთ გავარდნა და კიბეზე დაგორება, უკან მიდევნებული ლუარსაბი). როგორია ამ ეპიზოდის „კეთილი ბოლო“?

ლუარსაბმა ეს სიზმარი თავიდან ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო. დარეჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შვილი უნდა ეყოლოს.

— აბა, როგორ? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— ხომ სტიროდი სიზმარშია? — ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

— ვტიროდი.

— მეც ხომ ვტიროდი?

— შენცა სტიროდი.

— ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არ შვილის ყოლა? მაშ შვილი გვეყოლება და ჩვენი სიხარულიც ისე აგვიხდება.

— მართლა, ტირილი ხომ სიხარულის ნიშანია. უთუოდ ეგრე აგვიხდება. აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა! თვალი არ დაუდგება დავითსა! აბა, ფერხულს მაშინ ჩამოუვლის, აი! ღმერთო, შენ იცი ეხლა.

ამ დროს ლამაზისეულმა კარი შემოაღო და გახარებული შემოვარდა ოთახში.

— ქალბატონო, ქალბატონო! — წამოიძახა გოგომა, — ჩამჩიაშვილს რომ ძალღ-

მა შვილი დაუცოფა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ, იმ დედაკაცმა თურმე მკითხაობაც იცისო. ხომ არა გნებავთ აკითხვინოთ? რაც კაცს გულში აქვს და შუბლზედ აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობს.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ლამაზისეულო, შენს პირს შაქარი, — წამოიძახა გახარებულმა დარეჯანმა, — ნადი და ეხლავე აქ მომიყვანე, ფულს გაჩუქებენ-თქო.

გოგო გამოტრიალდა და გაიქცა.

— დარეჯან, შენი ჭირიმი, დარეჯან! სიზმარი ცხადდება! — შეჰყვირა ღრეჯით გახარებულმა ლუარსაბმა, — ვა! მეტი რაღა გინდა! ღმერთმა თავისთავად მკითხავი კარზედ მოგაყენა. ეს რის ნიშანია?

— მაშ, ქა, რომ გეუბნებოდი და არ მიჯერებდი, მაშ რის იმედით გეუბნებოდი, რომ შვილი მეყოლება-მეთქი? მე რახანია გული მითხრობდა.

— მეც დიდი ხანია გული მითხრობდა, თურმე ეს ამბავი იყო. აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა, აი!

* * *

— რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანებებინეს და აგრე საჩქაროდ მიბარებენ? — ჰკითხავდა ლამაზისეულს გზადაგზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დაღმეჭილი ბებერი დედაკაცი.

— რა ვიცი? ხომ იცი, რომ უშვილონი არიან...

— ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ, — გაანწყვეტინა სიტყვა ოსტატურად გამოქნილმა და ცბიერმა მკითხავმა.

სულელს ლამაზისეულს გაუკვირდა: საიღამ იცისო!

— მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო, ისიც გეცოდინება? — უთხრა გოგომა და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

— მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? — მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია — მართლა იცოდაო.

— თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

— გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზადა-გზა გამოათქმევინა. გოგოს კი საშინლად უკვირდა ამისთანა გულთამხილაობა ამ დედაკაცისა, სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გააგებინა ყველაფერი, — უმაგისოდ არა ეცოდინებოდა-რა.

გოგომ თავლაზედ ამოატარა მკითხა-

ვი. მკითხავმა თავლის გარეშემო თვალი გადაავლო და ერთი ამოღრანტული რაღაცა შენიშნა. „ეს კარგია“, — სთქვა გულში.

ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდნენ მკითხავსა, ბოლოს მკითხავიც მოვიდა. რა ნამსაც ფეხი ოთახში შემოდგა და თავი დაუკრა, მაშინათვე ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა:

— ძერას ჰკითხეს: შვილები გირჩევენია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო? — წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: — შენ რაღაო? — უშვილობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ? ვინ დაგწყევლათ ეგრე?

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეჰხედეს: საიღამ გაიგო ეგრე მალეო! ლუარსაბმა პირი დაალო ჯერა, მინამ სიტყვების აზრს მიჰხვდებოდა; როცა მიჰხვდა — თითქო შეშინდაო, პირჯვარი გადინერა და სთქვა იმ სახით, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე:

— კურთხეულ არს სახელი უფლისა. ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ!.. დედაკაცო! ჩვენ გულში იჯექ?..

მკითხავმა ხმა არ გასცა, თითქო ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო. მიუბრუნდა რაღაც მზრუნველობით გოგოს და უთხრა:

— ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი.

მინამ გოგო ამას მოუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ. ეგონათ, რომ თუ არ ეშმაკის მანქანებით, ამისთანა გულთმისნობა არ იქნება. მოდი და ეშმაკის ხსენებაზედ შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებოდათ!

გოგომ მოიტანა ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი, აილო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტურების ცმაცუნი, მითამ-და ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო.

— ქალაქში მკითხავთან გიკითხვინებიათ, — დაიწყო კუდიანმა, — მკითხავიც კარგი შეგხვედრიათ. სწორედ უთქვამს, რომ თელეთი ილოცეთო.

ეხლა კი მართლა შეშინდნენ ცოლიცა და ქმარიცა. ერთმანეთს ყურება დაუწყეს. ამისთანა გულთამხილაობა რომ არ გაეგონათ თავის დღეში!

დედაბერი ვითომ არაფერს არ ამჩნევს, რაც ძალი და ღონე აქვს აცმაცუნებს ტურჩებსა და თითო ხორბლის მარცვალსა ჰყრის წყალში.

— კარგი გიქნიათ, — დაიწყო ისევ მკითხავმა, — კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისთვის დაგიჯერებიათ და თელეთის სალოცავად წასულხართ. შეგენით თელეთის მადლი; მაგრამ...

აქ სიტყვა გასწყვიტა ბებერმა: თითქო წყალში უნდა ამოიკითხოსო, თვალი უფრო დააკვირვა.

— მაგრამ რა? — წასძახეს ერთხმად ცოლმა და ქმარმა.

— მაგრამ ისა, რომ იმ მკითხავს გულთმისნობა სავსე არა ჰქონია, — ცოტა ჰკლებია, თორემ თელეთი როგორ არ გიშველიდათ, რომ გამოეცნო.

— აკი შენი ბრალიაო, დარეჯან! ადრევე რომ მითხარი. გამოდის ჩემი ბრალი არა ყოფილა, — უთხრა ლუარსაბმა თავის ცოლსა, მაგრამ ისე კი, რომ გაშტერებული თვალი მკითხავისათვის არ მოუშორებია.

— დამაცა, რა დროს ეგ არის. მე აქ შიშისაგან სული მძვრება. რა ყოფილა, შენ გენაცვალე, ეს დედაკაცი!.. — ამბობდა მართლა შეშინებული დარეჯანი.

— დიად, მკითხავის ბრალია, — მოჰყვა ისევ კუდიანი, — იმის ბრალია. იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა შვილი კალთაში გეჯდებოდათ. დიად გეჯდებოდათ, რომ...

აქ ისევ სიტყვა გასწყვიტა ხერხიანმა დედაკაცმა და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა. ლუარსაბი და დარეჯანი სმენად გადაიქცნენ.

— დიად, თელეთი გიშველიდათ — კიდევ შეგენით იმისი მადლი — თელეთი

გიშველიდათ, — გააგრძელა სიტყვა მკითხავმა ისევ თვალაუღებლად, — რომ თქვენ სახლში ჯადო არა ყოფილიყო.

ლუარსაბმა და დარეჯანმა, შიშისაგან სულწასულთა, ერთს დროს და ერთხმად კანკალით წამოიძახეს:

— ვაი, ადრე და მალე დალუპულო ოჯახო!..

— ნუ გეშინიანთ: ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში მყავს.

— აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, — უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ, რადგანაც თითონ ეშინოდა იმისი ნახვა, დარეჯანს უთხრა: — მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.

— უი, არა გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა, — მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა ცოლმა.

— ნუ გეშინიანთ, — დააშოშმანა მკითხავმა, — განა მართლა ხელში მყავს, ჯადო თქვენს ეზოშია.

— სადა, გეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ! — დაიყვირა ბატონმა.

— თავლას¹ უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს... — მშვიდად დაუმატა მკითხავმა.

— ბიჭებო, არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლის უკან ორმოაო! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!

ჰყვიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი. აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ მაინც კიდევ ქმარს უთხრა:

— აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგებს? გარეთ გადი და გაგზავნე ბიჭები.

— არა, გეთაყვანე, ეხლა კი შენ გადი და მერე თუნდა ორმოცჯერ მე გავალ.

— გადი, რისა გეშინიან, ჯადო ხომ არ დაგარჩობს, — ეუბნებოდა კნენა და თი-

თონაც კი ეშინოდა.

— არა, გეთაყვა, შენ გადი. რა არის? ეხლა, თუ ღმერთი გნამს, შენ გადი, თუ გიყვარვარ, შენ გადი.

— არა გრცხვენიან, მე დედაკაცსა მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუროს და კაცი გერქვას?

— რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო.

— მე დავუძახებ ბიჭებს, — უთხრა მკითხავმა, — მაგაზედ როგორ დალონდით!

— ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ — ხომ ხედავ — დავლონდით, — შეეხვეწა ლუარსაბი, — ეხლა, ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით, ხომ არაფერი?

— არაფერი.

მკითხავი გავიდა, ბიჭები გაისტუმრა ჯადოს ამოსაღებად. ბიჭებმა ბევრი უტრიალეს თავლასა და ორმო ვერა ჰნახეს. მოვიდნენ და ბატონს უთხრეს: იქ ორმოს რა უნდაო.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — დაიძახა ლუარსაბმა, — დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს, რა გვეშველება?

მკითხავმა ჩაიცინა.

— მე წავალ თითონ. მე ჯადო თვალებს ვერამიბამს, — სთქვა მკითხავმა, — თქვენც წამოდით, რომ თქვენის თვალითა ჰნახოთ.

— არა, გეთაყვანე, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, — უთხრა ლუარსაბმა, რომ ეშინოდა იქ წასვლა. — უჩვენოდ წადი, შენა ჰნახე, მითამ ჩვენ გვინახავს.

დედაბერი წავიდა, თან ბიჭები წაასხა და პატარა ხანს უკან რალაცა ძონძები ამოიტანა.

— აქ ნუ შემოიტან, — ჰყვიროდა ლუარსაბი და თან კუთხეში იმალებოდა, — აქ ნუ შემოიტან, მანდვე დაანვევინე, მანდვე! ჯადო დასწვეს.

1. თავლა — ცხენების სადგომი ნაგებობა, საჯინიბო.

მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები და-
იბარა ლუარსაბმა და ამისთანა საუბარი
დაუწყო:

— მართლა ორმო იყო?

— თქვენი რისხვა არა გვაქვს, მართლა
ვნახეთ, — მიუგეს ბიჭებმა. იმათ ხომ მალე
იციან ამისთანაების გატანა.

— არა, თქვენის ორი თვალითა ჰნა-
ხეთ?

— ორის თვალითა, აი ისე, როგორც
შენ გხედავთ, ბატონო!

— დიდება შენდა, ღმერთო! ამოდენა
კაცი აქ დავბერდი და მე იქ ორმო არსად არ
მინახავს!.. გაგონილა? როგორ შეიტყო?
დიდი მისნობა არ უნდა ჰქონდეს?..

— მაგის ხელობა ეგ არის, შენი ჭირიმე,
და იქიდან შეიტყო, — მიუგეს ბიჭებმა.

— ალბად ეგრეა, თორემ... აი, დალახ-
ვრა ღმერთმა! აბა, თქვენ გინახავთ ვისმე
იქ ორმო, ან გაგიგონიათ?

— რაც არ არის, რასა ჰნახავდნენ, —
ნაიბუტბუტა ერთმა თავმონონებულმა
ყმანვილმა ბიჭმა, რომელიც შორიახლო
იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა, —
ერთი რალაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და
იმ კუდიანმა ორმოდ გახადა. რა უკვირთ?

ეს ისე სთქვა, რასაკვირველია, რომ ლუ-
არსაბს არ გააგებინა.

— შენ რა გენაღვლევა, ძმაო, — წას-
ჩურჩულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა
გლექსკაცმა, — ხომ ჰხედავ — ბატონს უხა-
რიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ
ორმოა, შენ რა?

— შენი რისხვა არა მქონდეს, — მიუ-
ბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა, — მე
იქ ორმო არც მენახოს და არც გამეგონოს
დღევანდლამდინა. აი, ჭიპი აქ მომიჭრია და
ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს,
მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე,
კუდიანის საქმე ეგ არის.

— განა ის კუდიანი იყო?

— მაშ? კუდიანობის ღამეს, ჭიაკოკო-
ნობას, შენი ჭირიმე, გადააჯდებიან ხოლმე
— აი, დასწყევლოთ ღმერთმა — ცოცხზე-

და და თავის ბატონთან გაფრინდებიან
ხოლმე. მოგახსენებენ, ჩიტურაშვილის დე-
და თურმე ბუხარში აძვრება ხოლმე, ცოც-
ხზედ — როგორც ცხენზედ — შეჯდება და,
ჰერი ბიჭო, გაუტევს ხოლმე.

— ეგ მეც გამიგია. რამდენი სასნაულია
ქვეყანაზედ! დიდება შენდა ღმერთო!.. —
გადინერა პირჯვარი ლუარსაბმა, — მაშ
ჩიტურაშვილის დედასაც ეცოდინება მკით-
ხაობა?

— განა ყველამ იცის, შენი ჭირიმე! ის
უფროსი რომ ჰყავთ და კუდიანობის ღამეს
ძღვენიტ რომ მიდიან ხოლმე, ის უფროსი
თურმე ეტყვის: შენ, მავანო, მკითხაობა
მიჩუქებია შენთვის, მეორეს კიდევ ეტყვის:
შენთვის — აქიმობაო, ესე გახლავთ.

— ეგრე იქნება, თორემ აბა საიღამ გა-
მოიცნობდა, რომ იქ ორმო არის? ჭკვიანი
არ უნდა იყოს ის უფროსი?

— მოგახსენებენ, სოლომონ ბრძენზედ
უფრო ჭკვიანიაო.

— არ ეტყობა, თუ! დიდება შენდა,
ღმერთო ჩემო! — გადინერა ისე პირჯვა-
რი და შევიდა ოთახში დარეჯანთან.

— გაიგე, დედაკაცო, რა ამბები მოახ-
დინა იმ უხეირო, უკბილო ბებერმა? — უთ-
ხრა ცოლსა, — ის უფროსი რომ ჰყავთ, იმი-
სი პირველი კარისკაცი ეგ უნდა იყოს. აი,
დალახვროს ღმერთმა! ეს რა ვნახე, თქვენი
ჭირიმეთ!

— კარგი, ნულარ მომაგონე, თუ ღმერ-
თი გნამს! აქამდინ ტანში შიშისაგან ჟრუ-
ანტელი მივლის.

— აი, გულთმისნობა რა არის! ამდენს
ხალხს ჩემს სახლში ჭიპი მოუჭრიათ და
ერთმა არ იცოდა დღევანდლამდინ, რომ იქ
ორმოა. რა ქნა, თქვენი ჭირიმეთ!

— ღმერთო, შეგცოდე და, იმას თუ ეშ-
მაკი არ ეჯდა ტანში, რა ვიცი?

ცოლ-ქმარმა ეშმაკის ხსენებაზედ პირ-
ჯვარი გადაინერეს და სამჯერ შეაფურ-
თხეს ეშმაკსა.

— ეხლა კი... რა ვიცი? ეხლაც რომ შვი-
ლი არ გვეყოლოს, ერთი მეტისმეტი ღვთის

წყრომა იქნება, — სთქვა ლუარსაბმა.

— ეჰ, შენც ერთი!.. მაგას რაღა თქმა უნდა. ისე დაჯერებული ვარ, რომ მითამ შვილი კალთაში მჯდომია. რაები არ გამოიცილო!.. მოდი და ნუ დაიჯერებ.

— მაშ! მეც იმიტომ ვამბობ და!.. მკითხაობა რომ არ გაეჩინა ღმერთსა — ვენაცვალე იმის სიბრძნეს — რა გვეშველებოდა? ჯადოს ვილა იპოვიდა?

ორივენი ჩაჩუმდნენ და ორივენი მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ გონებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა. ბოლოს ლუარსაბმა ისევ დაიწყო:

— დარეჯან! წყალში ხომ არა ჰხედავდა? ჰა? შენ რას იტყვი?

— იქნება მართლა! შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, სწორედ წყალში ჰხედავდა.

— რა ვქნა, მე კი აგრე მგონია და!

— ღმერთმან იცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს.

— რა ვიცი! მე კი რაღაც ეჭვი მაქვს და!

— შენმა მზემ, ეგრე უნდა იყოს.

— რა ვიცი, ჩემმა გონებამ კი ეგრე გასჭრა და!

— ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ!

— იმ ხორბლის მარცვალს რომ ჩააგდებდა ხოლმე წყალში და რაღაცა რგოლები კეთდებოდა, ის ხომ არ იყო?

— იქნება მართლა! სწორედ ის იქნებოდა.

— რა „ის“?

— რომ სთქვი „ისა“.

— აკი გითხარ! — მიუგო ლუარსაბმა თავმონონებით, რომ მე გამოვიცანიო, —

სწორედ ეგრე უნდა იყოს, თორემ ის დედაკაცი ეშმაკი ხომ არ იყო, რომ იმისთანა სასწაული მოეხდინა.

— ეგრე უნდა იყოს, მე კი — ღმერთო, შეგცოდე, — ეშმაკობა შევწამე.

— შენგან არ მიკვირს! ეშმაკი როგორ იქნებოდა, რქები არა ჰქონდა. ეშმაკს რქები უნდა ჰქონდეს.

— ეჰ, განა ეგ მე კი არ ვიცი, ისე გავიფიქრე.

— ჰო, ეგ სხვა არის.

ორივენი დაჩუმდნენ, ორივენი დარწმუნდნენ, რომ რაც გუშინ არ ესმოდათ, მკითხავს რომ უყურებდნენ, ის დღეს გამოიცნეს და გაიგეს.

— მე კი გამოვიცან, აი, — დაიკვება ლუარსაბმა. დარეჯანს, თუმცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი, თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა.

— განა, რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, — მიუგო დარეჯანმა, — არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა.

— ეხლა მაგას დაიჟინებ.

— ღმერთმანი, რომ ასეა.

— ეჰ, შენ ხომ კაცი ვერას დაგანახვებს და თუნდ სოლომონ ბრძენი მოვიდეს, მაშინვე ეტყვი: მე შენზედ ჭკვიანი ვარო. ეხლა რა არის, ერთხელ მე დამითმო. უცხო ხომ არა ვარ, შენი ქმარი ვარ.

არ ვიცი, დარეჯანმა დაუთმო, თუ არა, ეს კი ვიცი, რომ ლუარსაბს ძალიან ეწყინა, დარეჯანი რომ შეეცილა.

XIII

მკითხავმა მეტად მტკიცედ დააჯერა ცოლ-ქმარი, რომ შვილი ეყოლებათ. ამ იმედს მცირედი ეჭვიც არ შეურყევდათ. ამ დაჯერებამ იქამდინ მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩვენა, ვითომც მუცელში ყმანვილმა გაუჩუჩუნა. რასაკვირველია, გახარებულმა კნეინამ მა-

შინვე ლუარსაბს ახარა.

— მართლა გაიჩუჩუნა? — წამოიძახა სიხარულისაგან გონებაშიხდილმა ლუარსაბმა.

— რას ამბობ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. დარბაისელი დედაკაცი სიხარულისაგან კინალამ არ შეეხტი, მაგრამ მო-

მაგონდა, რომ მუცელი წამიხდება-მეთქი, და შენ მაინც კიდევ არა გჯერა.

— უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულშია! ბარაქალა, რომ არ შეხტი, თორემ მუცელი წაგიხდებოდა. იმ სიხარულში ეგ როგორღა მოგაგონდა! მე კი — მე და ჩემ მა ღმერთმა — შევხტებოდი, მერე ისე შევხტებოდი, რომ დავცემულიყავი, კიტრსავით გავსკდებოდი. დაუდგეს თვალი დავითსა! ფერხული, აბა, ეხლა დაუაროს, აი! მაშ დღეს მე და შენ ერთი კაი ქეიფი გავწიოთ, ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ. ურაა! — დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგანაც გულდაღმა იწვა, თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიცი აიშვირა მაღლა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია.

ეს ამბავი სადილობის დროს მოხდა. აახდევინეს წითელი ღვინო. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზედ გამხიარულდნენ. ნამეტნავად ლუარსაბი შექეიფიანდა და კარგად გამოიბრუჟა. ელისაბედი ამბობდა, რომ ვითომც დარეჯანსაც უყვარსო ღვინის სმა. ეს კი ვიცი, რომ იმ სადილზედ ამანაც გადუსო¹ ორიოდ ჭიქა. ლუარსაბმა სამი ჭიქა ერთად ჯერ არდაბადებულის შვილის სადღეგრძელო გადაჰყლაპა და ალავერდი დარეჯანთანაც მივიდა. დარეჯანმა, თუმცა ესეც ჩაღლეული² იყო, მაგრამ დედაკაცობის პატივი შეინახა და ჭიქა თუმცა ჩამოართო, სულ არ დალია.

— დალიე, შენ გეთაყვანე! — ეუბნებოდა მთვრალი ლუარსაბი, — ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ. ჩვენის შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ? თუ მე და შენ არ დავლევთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს, იტყვის: მე შვილი მივეცი და

ისინი სადღეგრძელოსაც არა სმენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა, ძლივს კაი თვალთ არის ჩვენზედა. მეც ქეიფს ნუ წამიხდენ. დალიე, გეთაყვანე!

უთხრა და მიაწოდა ისევე ჭიქა. დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა, მაგრამ ისეთის მორცხობით, ისეთის თვალების ხამხამით და გემრიელ ღიმილით, რომ მე მაშინვე მივხვდი, რომ კნენა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა. სასაცილო რამ იყო კნენა: ღვინო თანდათან ეკიდებოდა, ლოყები აუხამხამდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა. ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბლმა დენა დაუნყო, თვალები აემღვრა და თავისთავად ეხუჭებოდა, — ერთის სიტყვით — დარეჯანი ქეიფზედ იყო. ლუარსაბიც დაითვრა. მიუშვა აღვირი ღვინოსაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზოუკვლო ტიტინს, დარეჯანის სულ თავს აცანცარებდა და შესცივინოდა.

— ვენაცვალე კახეთსა! — ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, — ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რალა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევეს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“³ ვარო? „პოვერნია“ კი არა, — შენც არ მამიკვდე — ის ძალად გამოგზა-

1. გადუსო — გადაჰკრა.

2. ჩაღლეული — ნასვამი.

3. პოვერნია (რუს.) — რწმუნებული.

ვნეს იმერლებმა: აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლეო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრდა გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა? ეხლა ოხრად აღარ დაგვრჩება: ვენაცვალე შენს სტომაქსა! ეხლა შიგ პატარა თათქარიძე ზის და, მგონია, ნითელ ღვინოში ჭყუპალობს. უჰ, შენი კი ჭირიმე! მოდი ერთი ეგ ნაზი ტუჩები ამოგნუნო! ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორნილზედ ვიფიქროთ. იცი, რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ — ღვთის მადლით — სულელი, თოთხმეტის წლისა შესრულდება თუ არა — აბა, იანგარიშე, როდის შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, — შესრულდება თუ არა, ჯვარიც დავწეროთ, რაღას უნდა მოუცადოთ? ეხლა მაგის ქორნილში ლეკურს

არ ჩამოუვლი? მე კი — ღვთის წყალობა შენა გაქვს — ასეთს ბუქნას დაუვული, რომ იქაურობას სულ მტვერი ავადინო... ეხლა იმ იმერელს რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვი-მეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას! წვენი გამოუვა, ერთ „ყლაპად“ არ მეყოფა-თქო, და „ყლუბი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ!.. თუ ღმერთი გწამს — კარგად არ მითქვამს?

— კარგად და პატიოსნად.

— მაშ, მოდი ერთი კიდევ ამოვწუნო ეგ შენი მარწყვი ლოყები. ეხლა, დარეჯან, შვილის ქორნილში ლეკურს არ ითამაშებ?

— რატომ.

— ჰო, გეთაყვანე! მოდი, იცი, რა ექნათ? მითამ ეხლა ქორნილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ. თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორნილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე „პანპანინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. ჰა და პანპანინა ნიგვზის ტოტი! პანპანინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა!.. ურას!.. აი, გიდი!.. ქუდი ჭერში!.. კახური კა... ცის... ჭი... რი... იი... მეე... ჩა... აა... რაკ... რაა... კებს... კუ... უუ... ლა... სა... იმ იმერელსაც... კაი... საქმე... დავმარ... დავითსაც... თვალ-იმც... გამოს... ძრო... მია... ურას!..

ყროყინებდა სიმღერის ხმაზედ გაბრუებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ამ ბოდვაში ჩაეძინა კიდევცა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. მოძებნეთ ის ეპიზოდები, რომლებშიც თათქარიძეებს გონებრივი და სულიერი „ავლადიდების“ გამოვლენის ახალ-ახალი შესაძლებლობები ეძლევათ.
2. მართალია, ლუარსაბს ეს არ გაუგონია, მაგრამ ერთმა ყმა გლეხმა მაინც თქვა სიმართლე მკითხავის თვალთმაქცობის შესახებ. როგორ გვინახტავს ავტორი ამ გლეხს? მის მიერ ნათქვამი სიმართლის ფონზე როგორ წარმოგვიდგებიან სხვა გლეხები?

1. კრიკინა — ველური ვაზი.

ალარ გაათავებ? — მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი. — როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? — დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“ — ეს ჩინეთი-დამ შემოგვეპარა¹ და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!..

გაიარა რაოდენმამე ჟამმა და ნუთის-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამინის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმიმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი — მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულე-ბზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ესღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებლერტა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალელები უგემურად მიეღივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი

გუდა ლელესავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, — ერთის სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიადლა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

ნაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამინის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ...² წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართველის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ესღა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგი-

1. ჩინეთში იგულისხმება საზოგადოება, რომელიც სიახლეს ძნელად იღებს.

2. ჩყ... — ძველად ციფრებს ასოებით გადმოსცემდნენ. ჩყ ნელი არის 1800 ნელი. ჩ=1000 და ყ=800.

ბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტიკოდეს, ამას ველარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდესმე თვალი აგინილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, — ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული, ღარიბი, შიშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რა-გვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედავდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას-კი — ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალარეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვლაღატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა

ვმაღავ ზოგიერთ გულმოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართლს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმაღავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამინყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინცდამაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი; რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულხელდაკრებილს ესლა დამრჩება სათქმელად: მე მიყვილია და გათენდება თუ არა — ეგ ღმერთმა

იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...

1858 — 1863 წწ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. მეთოთხმეტე თავში მწერალი კიდევ ერთხელ გვიხატავს ლუარსაბის გარეგნობას. შეადარეთ იგი დასაწყისში მოცემულ პორტრეტს. რა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა ეს შედარება?
2. ილია ჭავჭავაძე სიჭაბუკის დროინდელ ლექსებში ხშირად საუბრობს „ურგები კვალის“ შესახებ, რაც ფუჭად ჩავლილ ცხოვრებას გულისხმობს. მოძებნეთ მსგავსი აზრობრივი დატვირთვის მქონე ადგილები მოთხრობის ბოლო თავში.
3. საგულისხმოა, რომ ლუარსაბის სიკვდილი კუჭს დაუკავშირდა. მხოლოდ კუჭზე ზრუნვით შემოიფარგლა ცოლ-ქმრის არსებობა. ბიბლიაში პავლე მოციქული ამბობს: „საზრდელი მუცლისათვის და მუცელი საზრდელისათვის, ხოლო ღმერთმან ისიცა და ეგეცა განაქარვოს“. რა იხსნის ადამიანს ასე გაქრობისაგან?
4. ილია წერს: „სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, – ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ“. ის, რასაც ილია „აგებულებას“ უწოდებს, სხვაგვარად შეიძლება ადამიანის ცხოვრებისეულ პოზიციადაც მოვიანზროთ. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავი „მოტირალი და მოცინარი“. როგორი აზრობრივი თანხვედრა შეინიშნება ილიას ზემოთმოყვანილ მსჯელობასა და საბას იგავს შორის? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. ფიქრობენ, რომ მხილების ნამდვილი სიკეთე მაშინ იჩენს თავს, როცა იგი ნაკლის გამოსწორებას ისახავს მიზნად და სიკეთეს უხსნის გზას. გავიხსენოთ დავით გურამიშვილის სიტყვები: „ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?“ როგორ ეხმიანება ამ თვალსაზრისს „კაცია ადამიანის?!“ ბოლო თავი? (პასუხი დაასაბუთეთ)
6. მოთხრობის შესავლისა და მეთოთხმეტე თავის მიხედვით იმსჯელეთ, როგორ ადამიანს უწოდებს ილია „გულმოკლე პატრიოტს“ და ვის — „ჭემმარიტ მოყვარეს“?

ღეპიტი მცყველება

■ კიტა აბაშიძე წერდა: „ილია ჭავჭავაძე თათქარიძეთა სახით მთელი ჩვენი ერის ცუდთვისებათ და ნაკლოვანებას გვიხატავს“. იმსჯელეთ, რა უდევს საფუძვლად ამგვარ თვალსაზრისს. მოიძიეთ ტექსტში კრიტიკოსის აზრის დამადასტურებელი ციტატები, ანუ ადგილები, სადაც ილია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თათქარიძეობა ზოგადქართული მოვლენაა.

- აკაკი ბაქრაძე ჩამოთვლის, რა კონკრეტული კომპონენტებისაგან შედგება თათქარიძეობა, ანუ რა არის ის ცუდი თვისებები და ნაკლი, რაც თათქარიძეებს ახასიათებთ: პირველია სიზარმაცე, შემდეგ ცრუსაქმიანობა ანუ ტყუილუბრალოდ ფაციფუცი, თვითკმაყოფილება, ტრაბახი, თავის მოტყუება, შემგუბლობა, თვალთმაქცობა და პირფერობა, ღორმუცელობა, უნაყოფობა. ეთანხმებით თუ არა კრიტიკოსის მოსაზრებას? თქვენი თვალსაზრისის დასასაბუთებლად დაიმონმეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილები.
- გაიხსენეთ, **სატირისა** და **იუმორის** განმარტება (**სატირა** დაცინვის გზით კიცხავს და ამხელს რაიმე მანკიერ მოვლენას, **იუმორი** კი ცალკეული ადამიანებისა და სიტუაციების სასაცილო კუთხით წარმოჩენას); დაასაბუთეთ, სატირული ნაწარმოებია „კაცია-ადამიანი?!“ თუ იუმორისტული?
- გაიხსენეთ **ტიპის** განსაზღვრება რეალიზმისადმი მიძღვნილი სტატიიდან და განმარტეთ, არის თუ არა ლუარსაბი ტიპური სახე?

წყბილი სამუშაო

კომპლექსური დავალება 7. ანალიტიკური ესეს დაწერა მოცემულ თემაზე

დაწერთ ანალიტიკური ესე თემაზე: „კაცია-ადამიანი?!“ როგორც რეალისტური ნაწარმოები“.

თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოიყვანეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომში წარმოაჩინეთ:

- კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ნიშნები;
- როგორ აღწერს ილია გარემოს, რომელშიც მისი პერსონაჟები ცხოვრობენ, რამდენად ტიპურია იგი;
- როგორ გამოიყურებიან, რას საქმიანობენ, რა ურთიერთობები, რა შეხედულებები/ფასეულობები აქვთ მოთხრობის პერსონაჟებს; როგორ შეისხა ხორცი მწერლის სათქმელმა ამ პერსონაჟების მეშვეობით — ტექსტიდან კონკრეტული ადგილების დამონმებით;
- რამდენად წარმოჩნდა ტექსტში თათქარიძეობა, როგორც ზოგადქართული მოვლენა და რამდენად აქტუალურია ის დღეს;
- რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით.

რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „ნაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი¹. სოფლის გზირისათვის² რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად.

ნაცვალი³ თუ იასაული⁴, — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, — ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაინანანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ერთი ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, — დიამბეგი⁵ მოზრდნდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაი-ვაგლახი დაანია, რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე⁶ თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდეტელს გზირსაო. თუმცა თვითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

— ფული რა არის?! ხელის ქუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ჰღირს! ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე ცოტაა?! დეე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდეც. ჯგუფად რომ გლახკაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად

ვად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე, — ნაცვალი თუ მამასახლისი, — და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალაღმა⁷ დაჰქროლა წინილებსაო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვებულს და გაკაპასებულს ბაღლებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

— დაჩუმდი, შე არგასანყვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ ქვრივი მოდისო.


ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

— ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად. — ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩინე, ტყუილუბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა⁸ დედაკაციაო, — იტყოდა ხოლმე დათია ბა-

1. **ოთარაანთ ქვრივი** – ოთარაშვილის ქვრივი.
2. **გზირი** – სოფლის წვრილი მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი.
3. **ნაცვალი** – სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე.
4. **იასაული** – პოლიციის მოხელე სოფელში.
5. **დიამბეგი** – მოსამართლე.
6. **გუბერნატორი** – გუბერნიის მმართველი.
7. **ალაღი** – მტაცებელი ფრინველი, ქორის მსგავსი.
8. **ბარაქალა** – ყოჩაღი, მოსანონი, მართალი.



ოთარაანთ ქვრივი, მხატვარი — თეიმურაზ ყუბანეიშვილი*

* ნაწარმოების ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ თეიმურაზ ყუბანეიშვილს.

დიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, — არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჰნახე, — რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით¹ ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

— რაო, მუქთამჭამელოო? — ეტყოდა ხოლმე. — შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზე ეგ დასამინი ხელები, — აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამინდი, დამინდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

— ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყო-

და ხოლმე, — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი² ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დილოელი ლეკი ნაბადსა.

— ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, — ამბობდნენ სოფელში.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. მთავარი გმირის ხასიათის რა თვისება (ნიშანი) იკვეთება მოთხრობის პირველივე აბზაციდან? რატომ წამოსწევს მწერალი წინ ამ თვისებას?
2. ოთარაანთ ქვრივის „თქმა და ქმნა ერთი იყო,“ — ნათქვამია მოთხრობის დასაწყისში. მოძებნეთ ამ სიტყვების დამადასტურებელი მაგალითები ამავე თავში.
3. რა აძლევს ქვრივს უფლებას სხვები უსაქმურობის გამო გააკიცხოს? რა შეხედულებისა იყო სოფელი ოთარაანთ ქვრივზე? მისი რა თვისება ფასობდა ყველაზე მეტად?
4. როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქვრივს სოფლის მოხელეებთან? რა დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს მისი საქციელი? — გაუქმებული იყო თუ არა მაშინ ბატონყმობა?

1. ციბრუტივით ტრიალებს — სწრაფად და დაუზარებლად საქმიანობს.

2. სამურველი — საქონლის გასასუფთავებელი რკინის ჯაგრისი.

პილპილმოყრილი მადლი

მართლა ასე იყო თუ არა, — ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდელი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალს ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია¹ კორკოტს² თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

— აჰა, ხეთქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, — დაგილია ეგ შავის მინით ამოსავსები პირი. შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არდასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუნქსა, წუნქის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან, აბა, რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

— მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია — მუქთაა თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მათხოვარი ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ

გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

— ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, — დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდან აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგილია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენინან! არა, შე ოყრაყი³, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი. რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

— წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი, ქვევრში რალაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასალვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთ ორიოდ ჩარექას⁴ კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით.

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკით-

1. ბადია — დიდი ჯამი (რკინისა).

2. კორკოტი — კანგაცლილი ხორბალი, რძეში ან წყალში მოხარშული და ერბოთი შეზავებული.

3. ოყრაყი — დიდი, უშნო ტანის, ტლანქი.

4. ჩარექა — სითხის (ღვინის საზომი) ერთეული, დაახლოებით 1 ლიტრი.

ხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირ-
ველია, თავისებური პილპილიც მოაყარა
ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილან-
ძლათ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ
შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა
ფეხუცმელობით.

— დამაცა, შე არდასაცალებელო, —
დაუძახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი
შევარდა სახლში, ილღიას ქვეშ ამოიჩარა
ექესი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და და-
უყვირა:

— მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასა-
მარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა, ოთა-
რაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში,

ერთი შოლტი¹ საქალამნე ღორის ტყავი
გადმოაღებინა მედუქნეს, ექესი პური მის-
ცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავ-
ში მთხოვარას, რომ საწყალმა თვალეზედ
ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდე-
სო.

— აჰა, შე არდასარჩენო, ამოისხი და
ჩაიცვი. იქნება ამოსხმაც არ იცოდე, შე და-
სალუპავო.

— რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა
მაგისი, თუ რა არის? — ჰკითხა ქოსმანსა-
ვით² გათხვირულმა მედუქნემ.

— მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს
თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალა-
მანში მივცემდი, — იტყუა ოთარაანთ
ქვრივმა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა მიზანს ისახავს მწერალი II თავში?
2. გამართლდა თუ არა I თავის ბოლოს მოყვანილი ფრაზა — „ოთარაანთ ქვრივს გუ-
ლის მაგიერ ქვა უდევს“? გაიზიარებდნენ თუ არა ამ აზრს უხვირო წვრილშვილიანი
ქვრივი დედაკაცი და ფეხშიშველა მათხოვარი?
3. რა ადარდებდა ოთარაანთ ქვრივს წვრილშვილიანი ქვრივი დედაკაცის უსაქმუ-
რობაზე მეტად?

III

ხუთი ქისა

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას
ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი
ეზო, საკმაოდ ფართო გლუხკაცისათვის,
გარს შემორტყმულია ტყრუშულის³ ღო-
ბითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და
დერეფნიდამ მოყოლებული ჭიისკარამდე
სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული.
დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ,
უშველებელი კაკალი სდგას, შტოებძირ-
დაშვეებული, შემორგვალეებული, თითქო

განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო
ენახა. სახლი, როგორცა ვთქვით, ფიცრუ-
ლია.

მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლი-
ანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი
აქვს დატანებული. კედლები ყველგან და-
ჩითულია სათოფეებითა. სჩანს, შიშიანო-
ბის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვნივ წალმით⁴ დახურუ-

1. შოლტი — საქალამნედ დაჭრილი ტყავი.
2. ქოსმანი — ნასუქი ღორი ან ცხვარი.
3. ტყრუშული — მსხვილი წნელის ორმხრივი წნული.
4. წალამი — ვაზის ნასხლავი.

ლი მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარ-
ლალა. სახლის უკან კალო-საბძელია¹ და
საბძელქვეშ გომური². სახლის მარცხნივ
პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ
ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს
ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დას-
ჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ.
თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარ-
გლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა
სოფელში ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია
დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარ-
აანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

— თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონო-
ნო, — ამბობდა ხოლმე. — მითამ მე რითა
ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ
იმასა ჰშევენის ბარი და თოხი, მე რალა ღვთი-
საგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის
მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ
ნინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი
აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს,
მე რალა დარდუბალა³ გადამკიდებია!.. რა
საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..

ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ
სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პა-
ტარა რუი იყო გაჭრილი და მუდმივ და გა-
უწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დი-
დის სასოფლო რუი დამ ნამოყვანილი. იმ
სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ
შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდი-
ოდა. როცა ძალიან გოღვა იყო, მაშინ კი
წყალს სოფელში ერთმანეთსა ჰპარავ-
დნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტ-
ნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ

ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლე-
ბასა. თუ ვინმე გაბედავდა, ვაი იმას!.. ოთარ-
აანთ ქვრივი მენისქვილესავით გაიდებდა
ხოლმე მხარზე თოხსა და აჰყვებოდა რუს
თავამდინა. გლახები რომ ამ ყოფით დაინა-
ხავდნენ ოთარაანთ ქვრივსა, იტყოდნენ:

— ნამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც
დაეცემაო.

სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ
უნინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე
და დაგვილ-დანმენდილობა იქაურობისა.
თარო ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავი-
დამ ბოლომდე გახიდილია და ზედ ჩამომ-
წკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანური-
სა⁴. ორიოდ ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი,
ძალზედ დანმენდილ-დარეცხილი, მხიარუ-
ლად გადმოიციქრებიან მალლიდამ, თითქო
თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და
პატრონი ასჩენიათ.

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფე-
ნილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის
ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და
ნაპატრონები. ტახტების თავზედ თითო ბა-
ცანკალი⁵, ანუ როგორც ზოგან ეძახიან,
სართუმალი სდგას ხარატი⁶ ნაკეთები.
კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა
ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა-პირ-
ზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე
და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამა-
ზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მე-
ორე კუთხეში. ეტყობა ერთს დროს ლურ-
ჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღე-
ბავი გადასვლია. ამ სკივრზედ აკოკოლე-
ბულია ქვეშსაგები, ლურჯის სუზანით⁷ თა-

1. **კალო** — მოსუფთავებული და დატკეპნილი ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ღენავენ. **საბძელი** — ბზის, აგრეთვე საქონლის სხვა საკვების (თივის, ფუჩიჩის) შესანახი ნაგებობა, წნული ან ფიცრული.
2. **გომური** — მსხვილფეხა რქიანი საქონლის საზამთრო (მინური) სადგომი.
3. **დარდუბალა** — აქ: უბედურება.
4. **ქაშანური** — თიხის ჭურჭელი, მოხატულ-მოჭიქული (სპარსეთის ქალაქ ქაშანის მიხედვით, რომელიც განთქმული იყო ასეთი ჭურჭლით).
5. **ბაცანკალი** — ხის ტახტზე ბალიშის მისადები ადგილი, სასართუმალი.
6. **ხარატი ნაკეთები** — მოჩუქურთმებული.
7. **სუზანი** — ფერადი, ნაქარგი გადასაფარებელი.

ვიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

ამ სახლის, ანუ როგორც თითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეყვირებინათ, იტყოდით — ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტყუვდებოდით. გლექკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატრებდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარ-გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.

ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლეოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, — რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, — სამს საპალნეს² ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველ-წლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯელ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფზედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველწლივ ჰხნავდა. სყიდვით იქნებოდა, ალოთიშ, თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთრიგად ინახავდა. ამისათვის

ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალენად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგრო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსილას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუმცა მაგრერიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა — ანგარიში არეგოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ აღწერს მწერალი ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოს ასე დანვრილებით? შეადარეთ ეს სურათი ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერას. რა განსხვავება შენიშნეთ?
2. როგორ უძღვებოდა საკუთარი თავის მოიმედ ქვრივი საოჯახო მეურნეობას?

1. **საპალნე** — ღვინის საწყაო, უდრის 30 ჩაფს (ტიკს).

2. **ალო** — ხვნის დროს მონაწილეთა სარგოს ერთეული.

განძი და ანდერძი

ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისაგან. ქვრივს კი მართლა უძვირფასესად მიაჩნდა და სხვისა კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, განთქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდამ მარჯვენა ტახტის ზემოთ კედლისათვის შეგეხედნათ, ჰნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზრდილ თოფს, ხმალს თავისის ყანიმებითა¹, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს² და საპირისნამლეს³.

კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაენმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჰლოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუნწყებდა ხოლმე ნმენდასა. რაც ქმარი მოჰკვდომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთმოზრდავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაენმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმიით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუნმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრევოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულყოფს.

— ვაი, ვაიმე უბედურსა!.. — ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს. — სადედაბეროდა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!.. უიმე!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მინამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბო-

დი, დაგიმინდათ თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის⁴ თვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა და სიხარულით. ჭირიცა და ლხინიც სულ მღერითა და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, — თუნდა მარტოც ყოფილიყო — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!.. რო კვდებოდა, მაშინაც კი არ შეუკრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

— რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შერჩები ამ წუთისოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო. რა გატირებსო.

— რა ვქნა მე უშენომა? — შევჩივლე მე.

— როგორ თუ რა ვქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოლონდ ჭირს ნუ დაუტყდები, ნუ გაელახვინებო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინო! გაიზარდოს და მერმე თითონ იცის. თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი

1. **ყანიმი** — თასმა მხარილლივ ჩამოსაკიდებლად.

2. **სასწრაფო** — თოფის წამლის ჭურჭელი.

3. **საპირისნამლე** — პატარა ჭურჭელი თოფის წამლის შესანახად.

4. **ყვირილობა** — დრო, როდესაც ხარირემი ყვირილით მოუხმობს ფურირემს, ირმის გამრავლების დრო.

შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია¹ — გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნე ერთ რათმედა ჰღირს!.. ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბაღლია უსუსური, უმწეო. ეჰ, ნეტავი კი ეგ დავაჟუკაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო.

ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა. სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ, ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა, „მივდივარო“ მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული. ვაი შენს დამკარგავს, ჩემო კარგო თევდორე.

ყოველს ამას მოიგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, კალთით მოიწურავდა თვალეზიდან ცრემლს, და მინამ თოფ-იარაღს კრიალს არ დაანყებინებდა, არ მოეშვებოდა არც წმენდას და არც ტირილსა. რა თქმა უნდა, რომ ამ ცრემლს არავის დაანახვებდა, შვილსაც კი, შვილსაც არ შეამჩნევენებდა ხოლმე.

ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლო-რა, იარაღსაც კარგად

უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და ნანდილს² ჰხარშავდა იმის სულის საცხოვრებლად და ყოველწლივ აწირვინებდა.

შვილის მოვლას ხომ ზედ შეაღია თავისი ყმანვილქალობა. ოცდაოთხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი³, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყვანდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ — არ გათხოვდა და არა.

— მერე რა პირით-ლა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო, — ამბობდა ხოლმე. — აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მამაშენს ვულალატო!.. შენ გაგცე!.. აი, უწინამც დედამინა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევე, და გაახარე აქ დედაშენი და იქ — მამაშენი. აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!

იტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა ხოლმე თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ უფრთხილდება ოთარაანთ ქვრივი გარდაცვლილი ქმრის დანატოვარ იარაღს?
2. ოსტატურად დაწერილ პროზაულ ნაწარმოებში არცთუ იშვიათია ცალკეული შთამბეჭდავი ფრაზა, რომელიც მკითხველს იოლად ამახსოვრდება. მოძებნეთ მოთხრობის IV თავში ერთი წინადადება, რომლითაც ნაჩვენებია, თუ როგორ ჩაიარა ადრე დაქვრივებული ოთარაანთ ქვრივის გაუხარელი ცხოვრების ოცმა წელმა.

1. **ხაზინა** — აქ: თოფის ის ნაწილი, სადაც ვაზნა იდება.
2. **ნანდილი** — თავლით ან შაქრით შეზავებული მოხარშული ხორბალი.
3. **შილის პერანგი** — ბამბეულის ქსოვილის პერანგი.

დედაშვილობა

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვინცებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმანვილი კაცი დადგა. კუბრსავით შავი და კარგად დაკოკრებული ნვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებოდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდათ მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კობტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით¹ მორთული საცვეთები², ჭრელი წინდები და ლამაზად განყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ლა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ, ბევრს შე-

ვარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი. გიორგის კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა... ტოლამხანაგობას აგრერიგად არ ენყობოდა. და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

— ერთი გიორგის ხელეური³ მთელ ძნად შეიკვრისო, — ამბობდნენ გლეხკაცები: — ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამინა უნდა შუაგულამდე ჩაანგრისო. მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეეღვევა, მინამ თითონ საქმეს არ შეჰღვესო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისთანაებს ლაპარაკობდნენ გიორგიზედ სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

— ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო, — ამბობდა ხოლმე ამისი დედა, — დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულლია და გულმხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო ღრეობასა და ლხინშიაო. ესეც იმისავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო, — სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის. მის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზრდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედასა. გვგონია, პირ-

1. ყაითანი — წნული ზონარი.

2. საცვეთი — პაჭიჭი.

3. ხელეური — ერთი ბლუჯა მომკილი პური.



ველობას და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათს დედაშვილობას ბევრი შეჰხატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმონონებით შვილსა. დედამინის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოგკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, – იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმაღავდა თავის გულისნადებსა. მარტო ეს კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჯიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

— მართალია და იმიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა¹ ისე გაანინმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტენდა, თავს გამოიღებდა. ჯერ კიდევ ბაღლობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელო-

და, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა.

ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა — ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალდი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა, გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბაღლებთან ჰთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბაღლის გულამომჯდარ ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პანანა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებელს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასათვის და გადაექცია. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად წაექცია გიორგი და ცემა დაენყო. მოშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბაღლს დაუბრუნეს წართმეული ღილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულისპირი სულ ჩამოეფხრინნათ.

ცხვირპირდასისხლიანებული გიორგი, გულისპირჩამოგლეჯილი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

— ეგ, რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი რა გაქვს გატეხილი?

— კუპრანთ თედომა მცემა.

— რადა?

— თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე — პატარა.

— მერე წაართვით?

— წავართვით.

— რა უყავით?

— ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

— ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკანწავს

1. არმობა — უსამართლობა.

ცოტად, გაიზრდები, დაგავინყდება, — უთხრა შვილს.

— არ დამავინყდება. დაიცა ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, — ცემა როგორც უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა.

— სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, — გაიხარა დედამ, — უი, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა-რა. ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

— აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!.. ნადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფროც მოგიხდება. ჰტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ღილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ჰტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰკრინდა¹ თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ სათამაშოდ.

დედამ უყურა, უყურა გამალებულს შვილსა და როცა თვალთაგან მიეფარა, სთქვა:

— უი, შენ კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. „ოთარაანთ ქვრივი“ მწყობრი გეგმის მიხედვით დანერგული ნაწარმოებია. ვის ეთმობა V თავის მომეტებული ნაწილი?
2. ოთარაანთ ქვრივის აზრით, რა თვისებებით ჰგავს გიორგი გარდაცვლილ მამას? რით განსხვავდება იგი მისგან?
3. გიორგის რა თვისებებზე მიგვანიშნებს მისი პორტრეტი?
4. როგორია დედა-შვილის ურთიერთობა? (რაზეა დამყარებული ეს ურთიერთობა?)
რატომ უმაღლავს ქვრივი შვილს იმას, რომ „გაგიჟებით უყვარს“? როგორ ექცეოდა გიორგი დედას?
5. გაიხსენეთ დაჩაგრული პატარა ბიჭის გამოსარჩლების ამბავი.
რა ეამა დედას შვილის საქციელში? მან შვილს საქებარი სიტყვები ცხადლივ უთხრა თუ დამალა და გულში თქვა? როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა იგი ასე?

VI

გიჟია, თუ რა?

ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედასავით, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ

არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა. ამას წინად — სულ ორი კვირა არ იქნება — კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაედინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს² საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა

1. გამოჰკრინდა — გამოეშურა.

2. ჭიგო — ვაზის სარი.

ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შე-
შისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლი-
ლიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა. ეს კი-
დეე არაფერი. კამეჩები წნელით გამოება
ურემზე. საცოდავი პირუტყვეები იქავ ურ-
მის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხ-
ნებოდნენ უილაჯობით.

გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგი-
რეს, ტყიდამ მოდენილი. ფეხი ნაჰკრა გა-
სალვიძებლად.

— ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები,
ცოდონი არიან.

— შენ რა ჩემი ფეხები გინდა, — და-
უყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები ნა-
მოაჭყიტა.

— თითონ რომ არ ვარგინარ, შენი ფე-
ხები ვისთვის რის მაქნისია. კამეჩები ცო-
დონი არიან-მეთქი.

— მერე შენ რა გეპრიანება?

— ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის
ჯამაგირი. ვთქვათ პატრონს ატყუებ და
ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება,
ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც
არ გწვავს!.. მიგილძვია საცოდავები წნე-
ლით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩას-
ცვივნიათ.

— მაშ არა და თავზედ დავისვამდი.

— დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავ-
ზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა ჰხე-
დავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ
არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებინათ.

— გაგეშო-რა, მუქთი ფეხები მაქვს, მა-
გათ ძებნაში მერე სული ამომრთმევოდა.

— აი, შე უნამუსო! აქაოდა არავინამხე-
დავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში
გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნე-
ბი! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალე-
ბა არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის
მონაბარი არ იყოს?

— მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ.
შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

— აი გაქრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი
ახლოც არ მიიკაროს! ჩემი რომ იყო, ცარი-
ელ პურის ქამის ფასადაც არ შეგინახავდი.
ადე-მეთქი!..

— დამეხსენ... შენ შენს წერას ხომ არ
აუტანინხარ, რატომ ეგრე არახუნებ. თუ
ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-
მეთქი, თორემ...

— თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი
არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვეების
ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ
ჰხედავ?..

გიორგიმ ამის თქმაზედ ფეხი კიდე
ნაჰკრა. მოჯამაგირე გულზე მოვიდა. ნა-
მოუხტა ზეზე. გიორგის წინ აეტუზა, გულ-
მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო
ეუბნებაო: აბა, ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ
კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოწონა ამისთანა სითამამე
მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა, — რის
იმედითაო.

— რა ვქნაო, — სთქვა გულში გიორგიმ,
— თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ ულა-
ტებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ
ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად
მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონე-
ბით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

— თუ კაცი ხარ და თითს დამანებ,
მაშინ ნახავ შენს სეირს! — უთხრა გულ-
მკერდმოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია,
აღარც აცხელა, ეცა, წამოჰკრა სარმა და
თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი და ცალი
ხელი დააბჯენინა დედამინაზედ. წამოუხ-
ტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორ-
გის და ჰკრა გულისპირში ხელი. გიორგი
შეტოკდა და გადაიზნიქა უკან.

— ბიჭოს!.. შენ აღარა ხუმრობ, — და-
უძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და
შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგ-
ვერდი და გააკრა დედამინას, როგორც
შოთი თონესა. ნაქცეულს ხელიც არ დააკა-
რა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითა-
კილა, — ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო
— წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა
გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ
სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და
იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვენწა
დაუნყო.

— წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავინყდებო, — უთხრა გიორგიმ, — და ღმერთს კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვე-ბის ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისაგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

— რადა გცემო? — ჰკითხა ომარაშვილმა.

— მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო: ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალენა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოგართმევს ადამიანსაო.

— ბიჭო-და, მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

— ეგა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მოეჩვენა იმ ოჯახდაქცეულსა! მე კი ასე შემეაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ჭყლინტიმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა.

— მონმე გყავსო? — ჰკითხეს მოჯამაგირეს.

— ოთარანთ გიორგის რა მონმე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. — სთქვა ვილაცამა.

— მაგას კი მართალს ამბობს, — სთქვა ერთმა მოსამართლემ, — ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

— მართლა სცემე? — ჰკითხეს.

— მართლა ვცემე.

— რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

— ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

— ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდელ კაცისაგან ქვეყანა დაღუ-

პული. კაცი კაცს ველარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგ მოჯამაგირესაც ნამუსი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გაუბერნატორამდის ივლისო.

თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალწინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სამართალი.

— მე ჩემდა თავად მიპატიებია გიორგისათვის, — სთქვა ამან, — და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!

— უპატიებია!.. წამოიძახა გაჯავრებულმა მოჯამაგირემ, — აი, გამიჯდა გვერდებში!.. ზოგი ამ ჩემს დაღურჯებულს გვერდებსა ჰკითხე.

— რა ვკითხო, შე ოხერ-ტიალო! მე თუ მკითხავ, ეგ ცოტაც არის შენთვის-და!.. — უპასუხა ომარაშვილმა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, — სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

— ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, — ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა. — რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, — დაჰკრა კვერი მეორემ.

— იმდღევანდელი არ იყოს: ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავე მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში

ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედ, საცალოები წაუნევ-წამოუნევიან, გაუმართავს რიგზედ ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია თავში და უთქვამს:

— შე ადრე და მალე დასაბრმავებლო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ, რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

— ეხლა ჩვენში რომ ვიკითხოთ: რა დავა ჰქონდა?

— ეგა სთქვი და გაათავე. მეც ეგ არ მიკვირს! აკი ვამბობ ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი

რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

— დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც კი — ღვთის ნინაშე — ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

— აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია.

გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

— დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ომარაშვილისა და ბეჟანაშვილის მოჯამაგირეებს პირადად გიორგისთვის არაფერი დაუშავებიათ. მაშ, რატომ დაუპირისპირდა იგი მათ?
2. ენდობიან თუ არა გიორგის სოფლელები? (გაიხსენეთ, რა ითქვა საქმის გარჩევის წინ სასამართლოში). როგორ იქცევა გიორგი სასამართლოზე? მხოლოდ მომხდარი ამბით იფარგლება თუ მას განაზოგადებს, ქვეყნის უბედურებად მიიჩნევს? (პასუხი დაასაბუთეთ).
3. ბოლომდე უგებენ თუ არა გიორგის სოფელში? (გაიხსენეთ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულების მაგალითები). გიორგის საქციელის შეფასებისას ივინყებენ თუ არა მის მშობლებს?

VII

ჯავრი დედისა

გიორგი ოცდაერთის წლის ვაჟიკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჰნალვლობდა და სწუხდა.

— რა ვუყო?.. — ჰფიქრობდა ხოლმე,

— ცოლ-ქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებო. სჩანს ღმერთს ჯერ არ მოუნადინებია. დრო კი უწევს: მაგ ხნის ბიჭებს შვილებიცა ჰყავთ. ოი, ერთი მაგის შვილი კი გამიგორაკალთაში და თუნდა მაშინვე გულხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონ.

ეს ხომ ანუხებდა და ანუხებდა, ამ მწუ-

ხარებას ერთი სხვა ნალველიც ზედ დაემატა. ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლოს ხანებში ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანალვლიანდა. ხომ არც წინად იყო მხიარულის გუნებისა, მაგრამ ეხლა მეტის-მეტია, თითქო რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებო.

მოვიდოდა შინ მუშაობიდან კარგა ბინდისას და, თუ მთვარიანი ღამე იყო, წამონვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავქვეშ ორსავე ხელებს ამოიდებდა და გარინდებული იდო

ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჭყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო. რა მოერია, რამ სძლია, რამ დაულონა შვილი — დედას ვერ გაეგო.

— შვილო, შინ შემოდი, ნამუშავარი ხარ, დედამინამ არ დაგცადოს, — უთხრა ერთხელ დედამა.

— არა მიშავს რა, დედი! ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედაშვილობას.

— ძილის დროა, შვილო! ლამის ალიონი ამოვიდეს...

— ეჰ, დედი!.. ზოგჯერ ძილიც ძილი არ არის...

— რატომ, შვილო? — იკითხა დედამ და გასწია შვილისაკენ. თავს რომ წაადგა, უთხრა:

— გიორგი!.. შვილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? დედა ვარ შენი, დედა... ნალველი გაქვს რაღაცა და არ მეუბნები.

გიორგი წამოჯდა.

— არა, დედიჯან! ასე მიყვარს მთავრიან ღამეში გდება.

— ეს ორი წელიწადია, რაც ეგრე დაიჩემე. რატომ ადრე არ იცოდი?

— განა კაცი სულ ერთს გუნებაზეა! მაშინ ისე ვიყავ, ეხლა ასე ვარ. დრო იყო ძუძუსა ვნოვდი, დრო მოვიდა — გამომცხვარ პურსა ვჭამ. ამით მითამ რაო?

— ისაო, შვილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე.

— ჩამიხედნია, დედი, ჩამიხედნია და ვიცი, რომ შიგ მარტო მე გიზივარ...

— მაგას არ გეუბნები... იმდღევანდელი არ იყოს!..

— რა იმდღევანდელი?

— აი, საბარავად რომ იყავი ვენახში. მე ჯერი¹ ჩამოგიტანე. შენ ვაზებში გიპოვე: მხარი დაგებჯინა ბარის ტარზედ, ბარის ტარს დაჰყუდებოდი და გაშტერებული დასცქეროდი დედამინას ელდანაცემსავით.

რა ამბავი იყო? მაშინ არა გკითხე-რა, აქ კი დავიჭდიე, აქ. ოთარაანთ ქვრივმა გულისფიცარზედ დაიდო ხელი.

— ნაშალე ნაჭდევი, ტყუილად გარჯილხარ. რა ამბავი იქნებოდა?! დავიღალე და ხელ-ფეხს ქარი ამოვალებინე, — უთხრა შვილმა.

— შენი ფიქრი სადა ჰქროდა, რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოგივედი, ისე სმენადახშული და გონებაგაქცეული იდექი. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: სადილვანხამზე ლუკმა პირში ჩაგიდვია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ, თითქო სადილიდამ წაგილო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრას გიპირობსო.

— ეგეც დრომ იცის, დედი!

— სხვამ არაფერმა?

— იქნება სხვამაც...

— ჯადომაც იცის, შვილო ჯადომაც...

გიორგის გულში მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგადაც ვერ მიეგნო, — რად უხსენა დედამ ჯადო. გუმანმა კი წაილო, გუმანმა აიყოლია მისი გონება.

— ჯადო რა მოსატანი იყო? — ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, — ვაი, თუ...

ვერ დაასრულა სათქმელი. სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს.

გაიქნია უმადურად თავი, წამოდგა ფეხზედ, დედას ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ ხელი და უთხრა:

— წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, შენგან გამიგონია, დედი!

— „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგანაო“, მაშ, ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! — უთხრა დედამ.

— რა ვქნა, — ჰფიქრობდა გულში გი-

1. ჯერი — კერძი (სახლის გარეთ მომუშავისთვის).

ორგი, — რატომ ეგრე ახლო მიმივიდა? ცოდნით მოსდის, თუ ალაღბედობით? თითონ ჰტრიალებს ახლოზედ, თუ ჩემს გუმანს მოაქვს იმისი სიტყვა შორიდან ახლოს. გაცლაო!.. თქმა ადვილია!..

იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილაძე ძილი არ მიჰკარებია. იმ დღის ნალაპარაკემა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება.

— პაჭიჭს კი, მგონი, ნვერი შემოერღვა, — სთქვა თავისთავად ბოლოს, — მგონი, მივკვლიე: დროც ერჩის და ხანიც უწევს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?

ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

— არ უჭირს და იმიტომ, — ინუგემა თავი ოთარაანთ ქვრივმა, — როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა. არ დაეძინა. გადაბრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

— მართლა კი მივუხვდი?.. მართლა კი მივკვლიე?.. — ეჭვობდა გიორგის დედა, — იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალთუნვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა?.. — ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვენსოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა. ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა. დიდვახშობას გადასცილდა. ხმაურობა მისწყდა, მარტო კუთხეში, პურის კიდობანთან, თავი აფხაკუნებდა.

— სხვა რა უნდა იყოს, რა!.. — იძახდა ძილდამფრთხალი ოთარაანთ ქვრივი, — თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავს... არ გამენდო... არ მეუბნება ჩემი გიორგი და არა... თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!... და თუ სხვა რამ ასტეხია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ...

გადინერა სამჯერ პირჯვარი, თითქო ლანდი რამ მოელანდა და იმას იგერებსო.

გვიანი მთვარე კი მთის წვერზედ შედგა და პირიქით გადაქანებას აპირებს. აგერ გადაექანა კიდეც და ჩავიდა. ღამე მიიწურა. უფრო დაბნელდა, ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა, ხოლო თავი ისევ ცოდვილობდა კიდობანთან.

— ამ ორის წლის წინად თოფ-იარაღი აისხა ზედ, — ვენაცვალე იმის სიყმეს! უხდებოდა მამისეული, — ნავიდა და სამი დღე შინ აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიც არ გამიტარებია. ეხლა კი მალონებს და გულთა მკბენს... სანადიროდ ვიყავი, მითხრა. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა? მერე ყვირილობაც იყო... თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდან დაბრუნებული. იმ ცხონებულს არ ჩამოუვარდება. თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და!.. მას აქეთ დაანვა რალაც ლოდი გულზედ და ველარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო, ცა-მრგვლის გამჩენო! რა ვიცი?.. ამ ტიალ ნუთისოფელში ფათერაკი ბევრია... ღმერთო, მაშორე, ფუ, ეშმაკსა და იმის თავსა და ტანსა!..

შეაფურთხა ეშმაკს და გადინერა კიდეც სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეჭიდებოდა.

ამოვიდა ალიონიც. ღამემ დღეს კარი დაურაკუნა.

რაკი ამისთანა ფიქრმა ერთხელ გული ამოუფრთხო ბუდიდამ, უძილობისაგან გალახულმა, ფიქრის ჭიდილში მოქანცულმა ოთარაანთ ქვრივმა თავი ველარ დაუჭირა გულს, ველარ დაინყნარა, ველარ დაიმორჩილა.

— ღმერთო, მიხსენ! — იძახდა ღონემიხდილსავით და ერთს ავს ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წაანყდებოდა. ფიქრი ლანდად გადაექცა.

ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიჟრაჟდა. მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა.

ოთარაანთ ქვრივიც მოჰღალა ფიქრმა...

თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი — სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების

ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა:

— ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენ!

VIII

გასტეხს ქვასაცა მაგარსა...

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო. ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთჩაცმულიც იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთადერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალთა. მთების ნამს მოახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა, თითქო საკმელს უკმევს ამ უზარმაზარს ცეცხლის ბურთსაო.

— რა დამემართა ნუხელის? — ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი, — რამ წამილო? რამ დამძლია და ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო, მითხრა ცხონებულმა. მოდი და ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი... ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი. გული ამან შემეშინა... ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის!.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე... გულზედ ლოდსავით დაანვება და თავის დღეში აღარ აეხსნება. აღარ აეხსნება... აღარ, აღარ!.. კიდევ აჰყვა ნუხანდელს ფიქრსა. სულ ის სამის დღით წასვლა შვილისა აგონდებოდა და აფრთხოდა.

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანდა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზე მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივ-

საც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ მთიდამ, საცა მარტო ჭემმარიტი დედაშვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, — დედაშვილურია, თუ სხვა, — მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.

დედას შვილი ისევე ლოგინში მწოლარე ეგონა, როცა — აქაოდა შვილი არ გამოვადვიდოო — ბნელ სახლიდამ ფეხაკრეფით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასანმენდად. გაუკვირდა, რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს. გიორგის თავისებურად ამოედო თავქვეშ ორივე ხელები, პირაღმა იწვა ფეხებ-გაშოტვილი და კაკლის მაღალ შტოებს შესცქეროდა. ყუისავით¹ თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდოდა წყნარად და აუჩქარებლად გადანმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებნო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგმკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოვოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პანია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბაღლებს კალთაში გასაგორებლად. სხვა დროს ამისთანა ცა, ამისთანა დილა ოთარაანთ ქვრივსაც კი გაუხსნიდა მჭახე შუბლსა. ეხლა კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა.

1. ყუი — თეთრი ფრინველი ბატის მსგავსი.



— შვილო, ამდგარხარ კიდეც!.. მე კი ისევ ქვეშაგებში მეგულეობდი. ვერც კი დავხედე შენს ქვეშაგებს, არ გავაღვიძომეთქი.

— ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩემი ვქენ, ძილმა — თავისი, არ იქნა, არ დამეძინა. გამიხარდა, რომ გათენდა და გარეთ გამოვედი.

დედა მივიდა, თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა.

— გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი...

— რას მიჩივი, დედი?

— რალაც ნალველი გაქვს, შვილო, რალაც ნალველი... ნუხელის შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

— მართლა-და, ძილში ჰლაპარაკობდი, — შორს გადუგდო სიტყვა გიორგიმ. — სულ ამას იძახობდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!

— მე, შვილო?

— ჰო-და შენ.

— მე ძილში ლაპარაკი არ ვიცი.

— ეგრე კი იყო-და!

— მე ცხადლივაც მეჯავრება ტყუილუბრალო ღიჭინი.

— ღვთის ხვეწნა ტყუილუბრალოა?

— მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლს...

— დედი, რას ამბობ?

— იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: ნადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა ნუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალეო; მე ხელი დამიბანიაო; აქ, ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბენვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, — გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუნყდებაო.

— მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?..

გიორგის უხაროდა, რომ დედა ფიქრით შორს წაუვიდა და ჰცდილობდა უკან აღარ დაბრუნებულიყო, კიდეც მე არ ჩამაცივ-

დესო. ის კი არ იცოდა, რომ ცოდოს ხსენებაზედ დედას ელდა ეცა. ოთარანთ ქვრივმა ყურები აცქვიტა, ცოდო რად ახსენაო. ჩვეულმა და ჭირვეულმა ფიქრმა ხელახლად დაჰქროლა და მოუშუშა გული.

— მა რა არის, შვილო!.. — უპასუხა გულშეხუთულმა დედამ. — ეს ნუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. — უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა რას იტყვისო. დამნაშავე სამაკვიდნო განაჩენს ისე გულის ფანცქალით არ მოელოდინება, როგორც ამ ჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა.

— უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, — უპასუხა შვილმა.

დედას გულზედ მოეშვა.

— მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს და მჭამს. შემიბრალე და მაცოცხლე!..

გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთამძლეა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალეებში... ოთარანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გადნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.

შენუხდა გიორგი. ჩაუფიქრდა თავის-თავს — დროა თქმისა თუ არაო.

— დედი, — წამოიძახა ბოლოს შვილმა, — გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მნადიან. რიდი მქონდა და ვერ გეუბნებოდი, ნადილი კი ვერ მოვიკალ, აი,

რამდენი ხანია ვეჭიდები...

— რა არის, შვილო, მაგისთანა? — უპასუხა დედამა და მსწრაფლ უკუექცა თვალთაგან ცრემლი. ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა.

— მოჯამაგირედ მინდა დავდგე. გული შინ აღარ მიდგება.

— ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა? საიღამ საღაო? ხომ საფლაგში გადატრიალდა მამაშენი სირცხვილისაგან...

— ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ განყენდი... მეც შემობრალე, ადამიანი ვარ.

— მერე რა წაგეკიდა სამაგისო?

შვილმა თავი ჩაღუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვასავით გაურბინა რალაცა

ფიქრმა.

— მერე ვისთან აპირობ დგომას? — ჰკითხა ხელახლად დედამ.

— ერთადერთი სახლია. ან იქ, ან არსად არ.

— ვისი სახლია ისეთი? გლეხისა, თუ თავადისა?

— თავადისა.

— აქ, ჩვენში?

— ჩვენში. არჩილს უნდა დავუდგე.

ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქო რალაც ენიშნაო, რალასაც მიაგნოვო. შვილს გადანყვეტილი არა უთხრა-რა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისათვის აღარ მოაცალაო.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა სადარდელი გაუჩინა გიორგის უცნაურმა საქციელმა დედას? რა იაზრა მან გუმანით?
2. ოთარაანთ ქვრივის მიერ ნახსენებმა რომელმა სიტყვამ ააფორიაქა გიორგი?
3. VII თავის ბოლოს ძალზე გახშირდა ღამეზე მინიშნებები: „ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა...“; „ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა...“; „ღამე მიიწურა, უფრო დაბნელდა, ქვეყანა უფრო გაჩუმდა“; „ღამემ დღეს კარი დაურაკუნა“ და ა.შ. რისთვის არის გამოყენებული ეს ფონი?
4. „რა დამემართა წუხელის? რამ წამილო? რამ დამძლია და ამითრია?.. ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი. გული ამან შემიშინა.. ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი...“, — ამბობს ოთარაანთ ქვრივი ახალი თავის დასაწყისში. რით უკავშირდება ეს სიტყვები წინა თავს? (რისი გამოძახილია ეს სიტყვები?).
5. ოთარაანთ ქვრივი შვილს ასე შეაგონებს: „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი — მადლს და ბუმბულივით მსუბუქია“.
ახლა უფლისწულ ჯუმბერის სიტყვები გავიხსენოთ („სიბრძნე სიცრუისა“):
„ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს და ბოლო ინანდეს... მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფრო ძნელად შესამართავი არა არის რა... პირველ ზარობდეს და ბოლო უხაროდეს...“
დააკვირდით, როგორ მსჯელობს მრავალჭირგამოვლილი გლეხის ქალი? რაზე ამახვილებს ყურადღებას საგანგებოდ განსწავლული უფლისწული?
6. VIII თავში ოთარაანთ ქვრივმა პირველად შეაბრალა თავი გიორგის; შვილმა პირველად შენიშნა დედის თვალზე მომდგარი ცრემლი. რაზე მეტყველებს ყოველივე ეს?

7. რატომ „უკუექცა თვალთაგან ცრემლი“ ოთარაანთ ქვრივს?
8. მიხვდა თუ არა ოთარაანთ ქვრივი შვილის მიერ მიღებული გადანყვეტილების მიზეზს?

IX

უცნაური ნასკვი

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდან. სწავლა იქ შეესრულებინა. ველარც დედას მოუსწრო, ველარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ლა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლკარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავ სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიანო, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზე და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მონონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.

— პატივსაცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, — ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არა ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეკითხნათ, როცა კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს საამურად ჰქონდა ეს თავაზიანი მოკითხვა, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

— ჭკუა აქვთ და იმიტომაო.

გიორგის ამბებიც არაერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არაერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, — გლახკაცობაში საიდან და როგორ უნდა

დანუღიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

— „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაცო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“, — ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის¹ სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცვნიელს გამოცანას ამით მოულებდნენ ხოლმე ბოლოს.

— გიორგი გიახლათ, — მოახსენა ერთ საღამოს მოსამსახურემ არჩილსა. არჩილი მაშინ ტახტზედ წამონოლილი იყო და ყურს უგდებდა დას, რომელიც რაღაც წიგნს ხმამალლა უკითხავდა.

— ვინ გიორგი? — ჰკითხა არჩილმა.

— ოთარაანთ ქვრივის შვილი.

— მობრძანდეს.

შემოვიდა გიორგი და, ქუდმოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

— აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! — უთხრა მხიარულად არჩილმა. — რასა იქ? როგორა ხარ? როგორ არის შენი პატიოსანი დედა?

— რა გვიჭირს? ღვთის მაღლით კარგადა ვართ.

— ამბავი, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ?

— ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მნადიან.

— მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

— როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯა-

1. ჰამლეტი — ინგლისელი დრამატურგის, უილიამ შექსპირის, (1564-1616) ამავე სახელწოდების პიესის მთავარი გმირი.

მაგირედ გიახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა.

— რას ამბობ, კაცო! — ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილმა. — შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა, — ვის გაუგონია. ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.

— მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, თქვენ ოღონდ ეგ წყალობა მიყავით. გული აღარ მიდგება შინ, ლამის მარტოობამ დამლიოს.

— მერე დედაშენი? — იკითხა არჩილის დამა და თავისი მარილიანი თვალები მიამუქა გიორგისა.

— დედაჩემი... დედაჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ველარ გაუტეხივარ.

— აბა, ჩემო გიორგი, ჩვენ დედაშენს ვერ ვანყენინებთ. იმისი დიდი თავაზა და ხათრი გვაქვს, — უთხრა არჩილმა.

— თქვენ ეს მიბძანეთ, მამყოფებთ თქვენთან, თუ არა და დედიჩემისა მე ვიცი, არ ამიხირდება... დედისერთა ვარ...

— მამყოფებო!.. ორისავე ხელით, სიხარულით. შენისთანას სად ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დედაშენი მალონებს.

— მადლობელი ვარ. მამ მშვიდობით ბძანდებოდეთ. ამ დღეებში გიახლებით.

— ჯამაგირი?

— გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

— ეგ არ იქნება. მაგისი ყაბული¹ არა

ვარ. სთქვი, — რა მოგცე?

— რაც შენი ნებაა.

— ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

— რაცა ვლირდე, ის მომეცი.

— ჩემს ნამუსზედ აგდებ რაღა?

— რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

— ჩემი ნამუსი რომ შენს კაიკაცობას არ გასწვდეს?!

— არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ, გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი და მამინვე გავიდა.

დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰხედეს.

— ეს რა ამბავია? — ჰკითხა დას არჩილმა.

— არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

— უთუოდ ფული რამ დასჭირებიათ.

— რომ არა ჰთხოვოლობს!..

— ეგეც კი. ჩვენ კი ბედი გვენია, რომ მაგისთანა კაცი ვიშოვეთ, და ოთარაანთ ქვრივს როგორღა გადგურჩებით, არ ვიცი.

— იმის უნებურად ნუ ვიქთ მაგასა: პატივსაცემი დედაკაცია, ნუ ვანყენინებთ.

— შენც არ მომიკვდე, დედის უნებურად მე გიორგი სახლშიაც არ შემოვუშვა, თუმცა კი ძვირფასი კაცია ჩვენთვის.

დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

X

მხილებაა, თუ კადნიერება? ²

არ გასულა ამის მერმედ ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილიანთას მივიდა.

— ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობრძანდი, — დაუძახა შორიდამვე არჩილმა, როცა ოთარაანთ ქვრივს თვალი შეასწრო. დამანი ძირს ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელ-

ქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

— დილა კარგა-ყოფნისა, — მიესალმა ოთარაანთ ქვრივი, როცა ახლოს მივიდა.

არჩილი წამოხტა, ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავისი სკამი და მიიწვია დასაჯდომად.

— დაბძანდი, დაბძანდი. კესო, ნათლი-

1. ყაბული — აქ, თანახმა.

2. კადნიერება — მეტისმეტი სითამამე, თავხედობა.

დედას ჩაი მოართვი, — უთხრა არჩილმა თავის დასა.

— ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექცით, მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობით ბძანდებით? — მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზედ.

— ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

— მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევანუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი, — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.

— ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, — უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო მახლობელი მოყვარეაო, თავაზიანად ხელი დაჰკრა კალთაზედ, თავის სკამიდან ლამაზად გადანვდილმა.

ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუჭნა. როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან: მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

— ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერუმარილი¹ რა საჭიროა, — უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრაღად.

— ეგ რაზედა სთქვი?

— მაზედ, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და გაფრთხილება გინდა ჩემი. მიხვევ-მოხვეულს სწორე სჯობია.

— მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ.

— შენც რომ ჩემი დღენი გამოგველო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძალღს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.

— ე... ე... ე! თქვენ მე ვიცი, პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ, — ჩაერია არჩი-

ლი, — ნათლიდედა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება? არა, ნათლიდედა?

— რატომ? ზოგან თქმაც კარგია.

— შენ ხომ მაგისათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან; საქმე რამ გექნება, — უთხრა ხელახლად არჩილმა.

— მართალია, უსაქმოდ არ მოვსულვარ.

— ბრძანე: შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა.

— ვიცი და შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გავიტყვებთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

— ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამომავალია. ვთაკილობ და გვიანდაა ნუნუნი: ვერ გავტყებე, ვერ ავუხირდი. დეე, რაც საქნელია, იქმნას.

— თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, — უთხრა არჩილმა, — შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

— ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები.

— მითომ რა გაჭირებაა, თუ შენი საამური არ არის? — იკითხა კესომ.

— გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდულარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდულარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის.

— რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს, — უთხრა არჩილმა.

— მაგას არ წავეხარბინები. ის თითონაც კარგად შეინახავს თავისთავს, ისე-

1. ფერ-უმარილი — ძველებური კოსმეტიკური საშუალებები.



თის მამის შვილია, — უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა, — ეჰ, კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..

— ახლა შენ რომ მარტო დარჩები? — იკითხა კესომ.

— მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშია ჩაიხედე, რამდენი ბლარტები მიზის. ჭირადაც მიეყოფიან და ლხინადაც.

— აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, — სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებო.

— მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

— მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, — უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

— ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლავდა ჰხმარობს, — მითამ და გაიხუმრა არ-

ჩილმა, მაგრამ ვაი ხუმრობას!..

არჩილი წამოდგა ფეხზედ, ტანში გაიმართა, თითქო რალაცამ დაუჭიმა ძარღვებიო, — ჩაიწყო ჯიბეში ხელები და მოჰყვა წინა და უკან სიარულს, მერე მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

— როგორ გგონია? წინდახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

— შენ მართალი ხარ, — უპასუხა დამ რუსულადვე, — ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია.

არ ვიცით ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას კი ვიტყვით, რომ არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართლის გულით უთხრა:

— ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ გაიხსენა არჩილმა ჰამლეტის ცნობილი სიტყვები კესოსთან საუბრის დროს?
2. რა საფიქრალი გაუჩინა და-ძმას გიორგის თხოვნამ? ვისი რიდი აქვთ მათ?
3. გიორგის მოჯამაგირედ დადგომის ნამდვილ მიზეზში გასარკვევად ვერც არჩილის განათლება აღმოჩნდა საკმარისი და ვერც კესოს ბუნებრივი ქალური ალლო. რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი?
4. რატომ უწოდა ავტორმა IX თავს „უცნაური ნასკვი“?
5. როგორ იქცევა და-ძმასთან მისული გულდამძიმებული ქვრივი? მის ლაპარაკში, ქცევაში შეინიშნება თუ არა რაიმე ცვლილება?
6. რატომ არ აღუდგა ოთარაანთ ქვრივი წინ შვილის გადაწყვეტილებას? (იმსჯელეთ კლასში, სწორად მოიქცა თუ არა იგი?)
7. რა ქცეულა ქვრივისთვის მარტოობის დაძლევის გზად? რომელი მკვეთრი, მამხილებელი ფრაზით გაკილა მან მასპინძლები?
8. რატომ ალაპარაკდნენ არჩილი და კესო რუსულად? რისი გარკვევა სურდათ მათ? მიგაჩნიათ თუ არა ეს ფაქტი უტაქტობად?

9. თქვენი აზრით, ამ ენობრივი გაუცხოების ფაქტის მიღმა ხომ არ შეიძლება დავინახოთ ძირეული სხვაობა იმ კულტურათა შორის, რომელთა წიაღიდანაც გლეხკაცები და თავადები არიან აღმოცენებულნი?

XI

ორი თვალი

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

— ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე!

სიამოვნებით კი სთქვა?.. ამაზედ ჰოცითქმის და არაცა. ეს რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — რომ ენუხებოდა დედური ნუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაენნა.

დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის¹ ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად ნასყიდი ყაითნებით² მორთული საცვეთები³, ბაზარში განგებ შეკერილი და ყაითნებითვე დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში⁴, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით⁵ თოკებით.

— დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა, — ცხრა მთას იქით ხომ არ მის-

ტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან.

— არა, შვილო!.. უამისობა არ იქნება. დეე იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდან გასდიხარ და არა უოჯახობიდან.

— განა არ იციან?

— გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ნახონ.

— სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგაკიდებული რომ მნახონ.

— თავ-საცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?

— მეტისმეტია, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდან.

— ქალი ხომ უფრო საბოლოო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

— მართალია, მაგრამ ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბლარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

— როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

— მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...

1. ყანაოზი — აბრეშუმის ქსოვილი.

2. ყაითანი — ფერადი ზონარი.

3. საცვეთი — წვივის შესამოსელი (დამზადებული ტყავისაგან).

4. სუზანი — ტახტზე გადასაფარებელი ჭრელი ქსოვილი.

5. მაფრაშა — განიერი ტომარა.

გიორგი აიმრიზა, ხმა აღარ გასცა. მიტრიალდა და კუთხეში რალაც ფაცური დაინყო, ვითომ-და ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ განწყვეტა ლაპარაკისა შენიშნა და არ შეიმჩნია კი.

— უფრთხის ახლოს მისვლასაო, — იფიქრა დედამ.

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მოუტრიალდა დედას, ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარგსა და ეგრე, ხელჩაკიდებისაგან ერთ მხრივ გადახრილმა უთხრა:

— ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარგი-ბარხანით მიუვალ...

სთქვა ესა, მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვენიმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუნყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. — დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუნყდა, ვედარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩარა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. — დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კა-

ბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალეზედ.

თითონაც არ იცოდა, — რადა ჰქმნა ესე. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაილო...

— დედაშვილობაში შენჩემობა რად არის? — ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. — დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე — შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედაშვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედაშვილობაცა!..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რალაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამაღლა სთქვა:

— არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ...

1. რატომ იყო ოთარაანთ ქვრივის სიამოვნება „მზიან-ჩრდილიანი“?
2. რა არ ესამოვნა შინიდან მიმავალ გიორგის? რა აგრძნობინა მას დედამ?
3. რა ფიქრი დაეუფლა მარტოდ დარჩენილ ოთარაანთ ქვრივს?
რამ დააძლევინა მას სათავისო ფიქრი?
4. ამ თავის მიხედვით, როგორი დედაა ოთარაანთ ქვრივი?

XII

უცარი ნკიპურტი

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მინა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრა დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ასე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალშენი, თავმონონებით უთხრა:

— როგორ მოგწონს? ერთი შეჭხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

— ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიაფი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინად, — სამი-ოთხი წელიწადი იქნება, — გავიგე, რომ კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

— ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

— ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჭფიცხდა და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო?

— იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

— ვაი შენ, ჩემო თავო! — გაანყვეტინა სიტყვა არჩილმა, — შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და, საქმე ის არის, რომ ფერდობია და მზის-გული ფერდობიცა.

— განა მაგას ვინუნებ? მზისგულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის!..

— მაშ რას ამბობ?

— აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მინაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

— მერე რა გინდა სთქვა?

— მერე ისა, რომ ეგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა. წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

— მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავ-თავქვესაკენ, რომ ზემოდან ქვევით ედინა წყალს!

— წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა, თუ ნიაღვრისა, მალლიდამ დაქანებული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას, ჩაჰრეცხდა ვენახსა, ზემოპირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავდა.

— მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

— ეგრევე, მაგრამ ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგელო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავქვე ჰქონოდა და მინაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ ცოტა გეზ-გეზად თუ არ წავიდა თავ-

თავქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა კი წყალს ავალა¹ პირაღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედა-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდან, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდან და იმისთანა ვერა იპოვა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

— ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, — უთხრა გიორგიმ, რაკი შეამჩნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია.² — აი, თუნდა ეხლავ მოვუგდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

— საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, — ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლექკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

— ეგ რა მოგსვლია?! — ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო და-ძმურის სიყვარულის კილომა: — ეგ რა მოგსვლია?

— ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რალაცას და გვგონია, — ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებთ, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია. თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის, — დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

— და უვიცობის ცუდმედილობამ!.. — დაუმატა არჩილმა.

XIII

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!..

ამისი თქმა ძლივ გაათავა არჩილმა, რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ. არჩილი მაშინვე გარეთ გავარდა და მოაჯრიდამ გადასძახა ჩალურიდამ გამოცვივრულ მოსამსახურეებს:

— ეს რა ყვირილ-ღრიალია?

— რა მოგახსენოთ? თავლიდამ მოდის, — უპასუხა ვილაცამ.

— ერთი შემიტყვეთ, რა ამბავია?

მინამ ერთ-ერთი ვინმე ნავილოდა, თავლიდამ გამოჰრბოდა კიდევ მეჯინიბე, ვილასაც მხარ-უკულმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა.

— ბატონო, ეს რა ღვთის წყრომაა? — შემოსძახა ქვევიდამ მეჯინიბემ, მოაჯირზედ გადმომდგარს არჩილსა. — ეს ვილაც

1. ავალა — გზა.

2. ჰო-არაობა — ყოყმანი.

ოხერ-ტიალი მოთრეულა, თავ-პირი აღარ შემარჩინა ცემითა.

— ვინ ოხერ-ტიალი?

— აი, ეს ახალი მოჯამაგირე.

— გიორგი?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, გიორგია თუ ვილაცა.

— მერე რა იყო?

— რალა რა იყო?!. თქვენ რომ ვენახი-დამ მობძანდით, თქვენს ცხენს მოვხადე და დავაბი. ისიც ხომ თქვენ ფეხდაფეხ მოგყვათ. შემოვიდა თავლაში, ჩხუბი დამინყო, გამლანძღა, გავლანძღე და მერე ამომიდო ქვეშ და ისე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის.

— აბა ერთი გიორგის დამიძახეთ, — უბრძანა არჩილმა.

ერთი მოსამსახურე გაიქცა დასაძახებლად. ამ დროს კესოც გამოვიდა მოაჯარზე¹, გვერდით მოუდგა ძმას და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რალაც ჩხუბი მოსვლიათ.

— ვისა და ვის?

— გიორგისა და მეჯინიბეს.

— რაზედ?

— სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვა და შევიტყობთ.

მოვიდა გიორგიცა. ილღიაში ახალუხი ჩამოჰხეოდა და სცდილობდა დაემალა. გოგო-ბიჭებმა, ვინც კი ამ დროს სახლში მოიხელებოდა, ყველამ მოაჯართან ეზოში მოიყარა თავი.

— ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა არჩილმა გიორგის.

— არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა?

— მაშ რას გიჩივის, მცემო.

— ცემით კი ვცემე.

— ეგ ხომ ჩხუბზედ უარესია. რადა სცემე?

— შენი ცხენი ისე ოფლიანი დაება. თავლაში რომ შევედი, თითონ პირალმა გაშოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწეოდა.

მე ვუთხარი: — ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი-მეთქი. ხომ ნახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი. არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო, მითხრა არხენად და ყალიონი ძალზედ გამოაბოლა. — ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდე-მეთქი. წავედი ცხენის ასაშვებლად, მე მინდოდა პატარა მეტარებინა და წყალი გადამეველო ოფლიან ზურგზედ. — ნადიო, ვილაცა მოთრეულხარო, — დამიძახა და დედა შემაგინა. ამაზედ გული მომივიდა და ვცემე. მამაჩემსაც არ შევარჩენდი დედიჩემის ავად ხსენებას.

— ეგრე კი იყო? — ჰკითხა კესომ გიორგის და გადმოჰხედა.

— ტყუილი რა საკადრისია!..

— ეგრე იყო, ეგრე! — დაიძახა პატარა ბიჭმა მეხბორემ, რომელიც მაშინ თავლაში შესწრობოდა, — სწორედ ეგრე იყო, მე იქ ვიყავი.

— კესო, ერთი დავთარში ნახე, რა ერგება, და გამოუტანე.

კესო გამოუკითხავადაც მიხვდა ვისზედ უთხრა ძმამ. შებრუნდა ოთახში, პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

— ოცდახუთი მანეთი-ლა ერგება. აი ფულიც. არჩილმა ჩამოართვა ფული, მოაჯარიდამ გადუგდო მეჯინიბეს და ჩასძახა:

— აი, ძმობილო, ეს-ლა გერგება. ალალი იყოს შენზედ და მე ჩემს სახლში კი ვეღარ დაგაყენებ...

— მე მცემეს და მევე მიწყრებით?!

— ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში. გოგო-ბიჭები წავიდნენ-წამოვიდნენ.

— მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! — ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირეზედ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვი-

1. მოაჯარი — აქ, აივანი.

შასაო, — იძახოდნენ მეორენი.

— ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარანთ ქვრივის შვილს ეძახიანო! — ამბობდა ამათში მარტო ერთადერთი კაცი, ისიც ხმაამოუღებელივ, თავის გულში ამბობდა.

ეს იყო მენისქვილე არჩილის კარის ნისქვილისა, — კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრეყებული. ვინ იცის, საიღამ სად

იყო გადმოგებული და აქ ნისქვილში როდის შემოხიზნული? აქ მენისქვილედ დაბერებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ. არავინ იცოდა, ვინ არის და საიღამ არის... ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და მშვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ დაუნუნა გიორგიმ ბატონს უჯრა-უჯრა ჩარიგებული ახალგაშენებული ვაზი?
2. რა ასაზრდოებდა გიორგის ცოდნას?
3. რა აღიარა არჩილმა კესოსთან საუბრისას?
(გაიხსენეთ ბრძნულ შეგონებად ჩამოყალიბებული მისი ერთი ფრაზა).
4. შეეცვალა თუ არა გიორგის ახალ ყოფაში „ზნე და ხასიათი“? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. ვინ თქვა ეს სიტყვები: „შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ“?
6. რომელ თავში გამოჩნდა პირველად ახალი პერსონაჟი — მენისქვილე? როგორ გგონიათ, ისევე მიუბრუნდება თუ არა მწერალი ამ პერსონაჟს? (გაითვალისწინეთ XIII თავის დასასრული).

XIV

განა თვითონ კი იცოდა

— როგორ მოგეწონა ეს ამბავი? — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ.

— ახირებული გული ჰქონია, — უპასუხა დამ, თითქო პირველ ხანს სხვა უკეთესი ვერა მოგეწონა-რაო.

— ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.

— ნურც აგრე გაადიდებ მაგ უბრალო საქმესა.

— მაგას ნუ იტყვი. რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია — თავისთავად დი-

დია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი.

— რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერი?

— ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი

რომ მოუვლელი ნახა და მეჯინიბე არხე-ინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა, ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ენოდა, რა უნდოდა, ჩვენად რომ ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაწვედა. მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. სანანახედოდ გამხდარი¹ საქმე ნახა, იქვე ხელთუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია. ეხლა მესმის, რაც იყო, იმ დღეს რომ მენისქვილემ გვიამბო. აი, ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომავალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბები ვიცოდი გიორგისა, მაგრამ, — ღმერთო შეგცოდე, — აქ კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგისა. ეხლა ვნანობ, რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევეუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსა.

— ბოდიში მოიხადე, — უთხრა დამ გულითადად და ჭკვადასმით, რაკი ხუმრობა-გაშვებით ჩაუკვირდა თავის ძმის ნათქვამსა.

— ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიალ, შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს და გვწურთნოს...

არჩილმა წინა და უკან სიარული დაიწყო ოთახში და ფიქრს მიეცა. კესოც ჩაფიქრდა. გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო.

— კესო! — შესდგა ბოლოს კესოს წინ არჩილი და უთხრა, — იცი რას გეტყვი? აი, სახლის წინ რომ ყვავილებს ბაღს იკე-

თებ, მოდი გიორგისაც დაეკითხე ხოლმე. მე მგონია, ეს ლოთი გარმიანელი² მებაღე სულაც დავითხოვოთ და გიორგის ჩავაბაროთ, ურიგო არ იქნება. ჭკვადგონებიანი ბიჭია, შენ ოლონდ ანიშნე და, იმედი მაქვს, მიგიხვდება, სად რა და როგორ გააკეთოს. სხვას ხომ დღიური მუშებიც გაუძღვებიან, რაკი გიორგი თავ-მდგომელი იქნება. ცოლოა მაგისტანა ბიჭის ამაზედ მოცდენა, მაგრამ ჯერ ეს იყოს და მერე სხვას რასმე ავუჩინო.

— ძალიან კარგი, — მოუწონა დამ, — ოლონდ ეს არის, რომ ჯერ ყველაფერი მარტო ქალაღზეა გამოხაზული და ვაითუ ვერა გავაგებინო-რა. აბა, ჯერ ერთი ვაჩვენებ, გაიგებს რასმე თუ არა.

მეორე დღეს არჩილი დილაადრიანად თავის ახალშენს ვენახში წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირუკულმა მოსძახა გიორგის:

— სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს.

„კესოს“?!

გიორგის გული გადაუტრიალდა...

კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა.

ბოლოს კესომ იხმო გიორგი.

გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი კესოსთან, თითქო შიშმა აიტანა. ალბად იმორცხვა და საკვირველიც არ არის: თავის დღეში უცხო ქალთან მარტოდ არ ყოფილა.

კესოს ტახტზედ გადაეშალა დახაზული ქალაღი, სხვადასხვაფერად აჭრელელებული. ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო თითონ კესოს და ძმასთან ერთად შეესწორებინა თავის სურვილისამებრ.

— აბა აქეთ მო, გიორგი. ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, — უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს.

1. სანანახედოდ გამხდარი – მიფუჩეჩებული. 2. გარმიანელი – უცხო, გადამთიელი.

გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა.

— ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, — იფიქრა.

— რას იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორიასლო დაუდგა კესოსაც და ქალღალღსაც.

— ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. — გაიკვირვა გულში.

მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? — ჰკითხავდა თავისთავს გაოცებული გიორგი.

კესომ აღარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზე და გამოსწია.

გიორგი ნაბარბაცდა. თითქო მეხმა ახლო გაუარაო. ალბად ფეხი წამოჰკრა რასმე...

— რა იყო? — იკითხა კესომ.

— არაფერი. ფეხი ფეხს თუ წამოვკარ, — მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა:



— რა დაგემართა, ადამიანო!. აი, აქ მო, ჩემთან ახლო, — უთხრა ეხლა კი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

„ახლო“!.. — ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარტო კისერი გადაინვდინა და ისე შორიასლოდამ ჩაჰხედა ქალღალღსა, როგორღაც უხერხულად და გვერდულად.

— კაცო, არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივს ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაცინწასავით კისერი წამოგიშვებია. ახლო მოდი-მეთქი.

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

— ე რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო

ფეხის ძარღვები დამაჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!..

— აი, — უთხრა კესომ, როცა გვერდით დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქალღალღში, — დაბალ მესერით შემორტყმული ადგილი ხომ გინახავს ჩვენის სახლის წინ, — ეს ის არის. ეხლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს. ამ გზებს აგურის ფხვნილით წითლად მოვფენთ. გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს, როგორც აქ არის გამოხატული. ამ კვლებში სხვადასხვა ფერადი ყვავილები დაითესება. აი, შუაგულს ხომ ჰხედავ? აქედამ...

— მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირი-

მე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბ-
ძანე, — უთხრა გულამოსკვნილის ხვეწ-
ნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. —
რალაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები
ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ,
ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე,
შენის ღმერთის გულისათვის...

კესომ ნახა, რომ გიორგი მართლა არც
თავის ფერზედაა, არც თავის გუნებაზედ.
დაითხოვა და სთქვა თავისთავად:

— გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამ-
ბავია!

განა თვითონ გიორგიმ კი იცოდა, რა
ამბავია!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ვისზე აგრძელებენ საუბარს არჩილი და კესო?
ვინ „მოუჩხრიკა სათავე“ გიორგის ნამოქმედარს?
2. არჩილის აზრით, რა ყოფილა „მარტო გულით გამოკვებილი“ ადამიანის „მთელი
აგებულების წყურვილი“?
3. როგორ შეაფასა კესომ გიორგის საქციელი? მთლიანად მოიწონა იგი? კესოს რა
თვისებაზე მეტყველებს ამგვარი დამოკიდებულება?
4. რა გადაწყვიტა და-ძმამ?
5. რა განცდა დაეუფლა კესოსთან მისულ გიორგის? რა დაასკვნა კესომ?

XV

კაცია და გუნებაო

ეს მოხდა მარტის დამდეგსა. გავიდა
მარტი, გავიდა ლამაზი აპრილი და უფრო
ლამაზი მაისი. დადგა თიბათვეცა. კესოს
ყვავილების ბალი, გეგმაზედ გაკეთებული,
მოირთო, მოიკაზმა. ისე გაჰლამაზდა წით-
ლად მიხვეულ-მოხვეული გზებითა, შიგა-
დამიგ დაყოფილ მწვანე მდელოებითა,
ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი
ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადა-
მიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს
შესჯიბრებოდნენ, — აცა ვინ ვის აჯობებს
ამ ბალის გალამაზებასა და შემკობაშიო.
ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ და-
ეზოგათ, და რაც მადლი ჰქონოდათ, სულ
აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებღერტყნათ.

კესოს მეტისმეტად უხაროდა, რომ ასე
კარგად, ასე ლამაზად აუსრულდა თავისი
დიდი ხნის სურვილი. მინამ მთის იქიდან
მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და
თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს
წყალს, ოქროს ჯავარს გადაასხამდა, კე-
სო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე

ყოველ დღე და თითქმის საღამომდე, დიდ-
ბინდამდე არ აგონდებოდა, რომ სახლშიაც
შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა
ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს
შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახ-
ლად ამოხეთქილს ნერგს, ყოველს ახლად
გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, რო-
გორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ
იყო, „ნამეტნავობისაგან გულისა“ დაუნ-
ყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს
ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო
მერცხალი თავის ბლარტებს ეჭიკჭიკებო.

ძვირად, ძალიან ძვირად კი შეემთხვე-
ვოდა, რომ იმის ბაღში სხვა არავინ ყოფი-
ლიყო: გიორგი იქ იყო და იქ! რაც უნდა
ადრე გამოსულიყო ბაღში, გიორგი ან თო-
ხით ხელში, ან ბარით, ან სასხლავით იქ
დაჰხვდებოდა ხოლმე.

გიორგიმ არჩილისა და კესოს სწავლე-
ბითა და ჩვენებით გააკეთა და დაჰკვალა
ის ბალი და გიორგისვე ებარა. არა მგონია
თავის ორს თვალს ისე გაჰფრთხილებოდა,

როგორც ამ ბაღს უვლიდა და უფრთხილდებოდა. მტვერი რა არის, — მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.

არჩილი და კესო ძლიერ ემაღლიერებოდნენ გიორგის და არაერთხელ უთქვამთ ერთმანეთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.

არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირიქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი.

— მე მეტი არა მინდა-რაო, — ამბობდა ხოლმე თავის გულში, როცა ამისთანაებს ჩაუფიქრდებოდა, — გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინ-

და!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისამარა დღეს მზეს ვუყურებო.

რა უნდოდა ამით ეთქვა გიორგის, გამოცნობა ძნელია. ეს კი სათქმელია, რომ როცა ბაღში ჰმუშაობდა და ქეიფზე მოვიდოდა სულ ერთსა და იმავე სიმღერას ჰლინებდა ხოლმე ხმადაბლა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო“, თითქო სხვა აღარა იცოდა-რა, თითქო სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!..

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი აღწერით იწყება ეს თავი?
რას გულისხმობს ერთმანეთს გაჯიბრებული „ლონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი“?
2. სად „დაიდო ბინა“ კესომ?
3. რატომ უფრთხილდება, ესათუთება გიორგი ახალგაშენებულ ბაღს?
რით კმაყოფილდება იგი? რა სიმღერას ნაილიღინებს ხოლმე?

XVI

აღბად!..

გავიდნენ კიდეც დღენი და თვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა¹ და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაცვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, — მალეო, თორემ ვდულვართ და გადმოვდივართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამალალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელიხელგადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა,

თითქო მოიღალა და მოიქანცაო.

მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებად ზამთარში: ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეეება, თივას აზიდვინებდა და შინ ეზოში, გომურის შორიახლო ბოძებზედ შემდგარს მალალ სათივეზედ ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა

1. ხიზვა — ხიზის წასმა, გლეხა (ხიზი — გაბზარული თიხის ჭურჭლის საგლეხი).

ჩასასვლელად, იქ წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს, – რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებიო. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარეთ გამოახედებდა.

არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათივესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძუდ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არაერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო.

ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოსდგომოდა სათივეს. სამი დაცლილი იყო და ერთი დამლა აწვდიდნენ თივასა. შუა სარი სათივისა ორ ადღზე-ლა ჰჩანდა და სათივე ვინროზე ადიოდა თავის მოსაბმელად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზე გაედო და მოდიოდა.

– პეტრე, აი პეტრე – დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს. – ბალისაკენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორე.

– გიორგია. საიდამ იძახის? – იკითხა არჩილმა, რადგანაც იმ მხრივ, საიდამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურემის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

– საიდამ მოსდინარ თოხით მხარზე? – ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მოვიდა და საღამო მშვიდობისა უთხრა დამასა.

– წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავი.

– რას იძახოდი?

– არაფერს. ცოტა თანაბრად ვერ ადის ვინროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

– აბა მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრიდამ შეახედა.

– მართალი ხარ, – უთხრა გიორგის არჩილმა, – პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელმომადგრებულმა გარშემო შემოუარა და ჩახედ-ჩამოხედა სიმრგვლივ სათივეს.

– აკი ღმერთი არ გამწყრომია! – დაიძახა პეტრემ. – გასწორება უნდა, მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი. ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკადლეს მაგას ველარ მოვასწორობ და საქმის სახვალიოდ დაგდება კი მეზარება.

– კაცო-და ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვინროზედ? – ასძახა გიორგიმ.

– მაშ ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

– იცი კი დადგმა თივისა? – ჰკითხა კესომ ამჟამად აქ მოსულმა, – ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

– ხელობა რა არის, ქალბატონო, – შეჰღიმა გიორგიმ. – განა სად გავიზარდე!..

– მაშ აბა! – უთხრა არჩილმა, – ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოანვდინა საძნე ურემის ჭალებამდე ფეხის მოსაკიდებლად. როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზედ ხელი დაჰკრა და ტკბილის გულით უთხრა:

– ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეკარგება. სხვა არა იყოს რა, მამი-შენის ხნის კაცი ვარ. ეჰ, შვილო და ძმაო, კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

– რადაო? – ჰკითხა გიორგიმ.

– იმდაო, ჩემო კარგო, რომ ბერკაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰლაღატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას.

შენს ხანში ხელს არ მოვიტყებდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?

– ახალსა ნამუდრაგალსა ბერის სჯობია ჩანჩალიო, გულს ნუ გაიტყებ.

– გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ველარ გაიგონა, მაშინვე ავარდა ურემზედ, ორთითით მოინვდინა თივაზე სარტყელსავით ჩამოკიდებული წნელი და თვალის დახამხამების უმალ სათივეს ზედ თავზედ მოექცა. მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე და რაკი ნახა, – აქედამ ეხლა სწორედ ავაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა.

– ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილის შვილი! – ეუბნებოდა არჩილს გულმართალი პეტრე, როცა ქვევიდამ შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას.

– მართლა კარგი რამ არის, – კვერი დაუკრა არჩილმა.

– კარგიო!.. ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში!..

გიორგიმ რომ გაათავა, გადმოსძახა პეტრეს:

– აბა, პეტრე, ერთი შენებურად დაუარე სიმრგვლივ, კარგად შემოკვერცხლილია, თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და ასძახა:

– კარგია, კარგი. ჩამოდი, მაგას სხვა აღარა უნდა-რა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ. შუამდე მოვიდა თუ არა, უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი პირალმა გადმოქცეული, წამოვიდა მალღამ და ურმის ქალს ზედ დაეგო ზურგითა. ქალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია...

არჩილი, კესო, ხალხი მისცივიდნენ და გიორგი ცოცხალმკვდარი ნახეს დედამინაზედ პირქვე დამხობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს და, ცოტა არ იყოს, სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალმკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალცალკე შეიტანეს ხელით სახლში.

– აი, ღვთის წყრომა!.. რა შეგცოდე, ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბი!.. – უნებურად წამოიძახა პეტრემ და ატირდა.

– ხიფათი რომ იქნება, – იქნება, – ანუ-გემა ვილაცამ პეტრე. – აღბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. შენი რა ბრალია?!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა დეტალებზე ამახვილებს მწერალი ყურადღებას „მაძლარი“ შემოდგომის აღწერისას? როგორ იხატება „შუაგული“ შემოდგომის სურათი? განსაკუთრებით რაზე გამახვილდა ამჯერად ყურადღება?
2. რატომ შეენაცვლა გიორგი თივის მდგმელ პეტრეს? რა უბედურება მოჰყვა ამას?
3. არჩილის ეზოში შეკრებილთათვის გიორგის თავს დატყეხილი უბედურება მოულოდნელი იყო. იგივე შეიძლება ითქვას თუ არა მკითხველზეც?
4. ახლა მცირე ხნით ამ თავის დასაწყისს მივუბრუნდეთ. იქ ერთგან წერია: „...მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლევად, იქ წვერზედ შემომდგარი-ყო, თითქოს ჰნანობს, – რას ვეშურვები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებო“. – არჩილის ეზოში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ როგორ შეფერილობას იძენს ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი?

5. აქამდე მოთხრობის ყოველი თავის შინაარსს ზუსტად შეჩეული სათაური ეხმიანებოდა. ახლა ვნახოთ საიდან მომდინარეობს XVII თავის სათაური – „ალბად“; ატირებული პეტრე ვილაცამ ანუგეშა: „.. ალბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. შენი რა ბრალია?!“.

სცადეთ, შინაარსის გათვალისწინებით, თქვენ შეურჩიოთ ამ თავს ზუსტი სათაური (ვარიანტები წამოადგინეთ კლასში. იმსჯელეთ მათს ღირსება-ნაკლოვანებებზე).

XVII

ზარი

არჩილმა თავის ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოგინზედ დაანვენინა. მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდა. ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვადასხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარაექიმებიც¹ მოეწვიათ, ვინც კი გამოჩენილი იყო და შინაკაცებმა დაუსახელეს.

თვითონ იმავ სოფელშიაც იყო ერთი სახელგანთქმული ჯარა-ექიმი — ოფოფანთ დემეტრე. ისიც დაიბარეს და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დემეტრე ჩამოვიდა.

გასინჯა დემეტრემ გიორგი. კარგა ხანსა სინჯა, კარგა ხანს იქნია თავი და ბოლოს უთხრა არჩილს:

— არა, ბატონო!.. მე მაგას ხელს ვერ მოვკიდებ. ეგ ამ ქვეყნისა აღარ არის. მაგისი წერა ეგა ყოფილა...

— ერთი სცადე... თუ ღმერთი გწამს, ხელი დაადე... რაც გინდა მთხოვე და მაგის ცოდოს კი ნუ დაატრიალებ ჩემს სახლში, ჩემს თავზედ!..

ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი, რომელიც იმ უბედურის წამიდგან აღარ მოშორებია გიორგის: გიორგის ლოგინთან დაჩოქილიყო, მომაკვდავის ცივი ხელი თავის ხელისგულზედ დაედო და თითონაც არ იცოდა, რისთვის უხელავდა ხელით ხელსა.

— ტყუილი წვალეზა-ლა იქნება უბედურისა. სჯობია უწვალეზლად მიაბაროს

სული, — მიუგო დემეტრემ. — ამაღამ, — დიდი საქმეა, — თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს.

— მერე ცოდო არ არის ამისთანა ბიჭი მოკვდეს!.. — წამოიძახა გულამოჯდომით არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდის მწუხარებით.

— ჰაი, ჰაი რომ ცოდოა!.. — დაიღმუილა ვილაცამ ტირილის ხმით.

ყველამ იქით მიიხედა, საიდამაც ეს ხმა მოვიდა და ბნელს კუთხეში არჩილის მენისქვილე კი დაინახეს. ამ ბერიკაცს შეეცყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინოდა, არავინ გამიგოსო...

— არ გებრალეები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში!..

— შესჩივლა არჩილმა მენისქვილეს, რაკი ნაღველის მოზიარე იგულვა, თითქო ამით ნაღველის განქარვებას ჰლამისო.

— ოლონდაც, ბატონო, ოლონდაც!.. — ნაიქვითინა ეხლა კი ხმამალლა მენისქვილემ, რაკი გული ველარ შეიმაგრა... — ვაი მაგის დედის ბრალი, ვაი!..

მარტო ეხლა მენისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაივაგლახში აღარავის მოჰგონებია, შვილის ამბავი დედისათვისაც შეეცყობინებინათ.

1. **ჯარაექიმი** – შინაური ექიმი, ექიმბაში.

ოთარაანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა-რა.

არჩილი მეტად შესწუხდა, არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის. ამის ფიქრსა და წუხილში იყო, რომ გიჟსავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსულიერებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

— როგორ არის, არჩილ, როგორ? — ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

— შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. — ძლივ-ძლივ წაიდუღუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზე დაეწინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა. კესომ ნახა, რომ ეს ბრგე ყმანვილი კაცი ძლივს-ლა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზე და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკუვ უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჭმუჭვანა და სრესა დაუნყო თვალეზსა ხელეზ-ჩამოუღებლივ.

— კესო, ნუ შევატყობინებთ დედასა? — ჰკითხა ძმამა.

— როგორ თუ ნუ? შვილი მოვუკალით და არც კი ვატყობინებთ, — რომ სულთ-მოზრდავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს... — მოსტქვამდა ქვითინით კესო.

— მე აღარა მესმის-რა, — უთხრა ძმამა, — ამ საცოდავობამ გამაშტერა. აღარც ჭკუა მერჩის, აღარც ხელ-ფეხი!.. დაბნეული ვარ.

გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი. მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხაჩქა-

რებით, მაგრამ ისე გულდინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსტკნოდა, წარბებშია შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ეს ვეება დედაკაცი კინალამ თავზე არ წამომექცაო.

— რა გატირებს, ჩემო კარგო!.. — უთხრა გზადაგზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. — განა სატირლადც გაჰხდა საქმე!..

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!.. ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალმკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქვე მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ველარავინ დასძრა, ასოც ველარავინ შეატოკა.

მარტო ერთადერთის სანთლის ალი ჰთრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარლის სვეტებად გადიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედაშვილობის საცოდავობა-ლა თავის დიდებულის ზარით ჰლაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ლა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ლა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. საერთო მწუხარებისა და დაბნეულობის ჟამს ერთადერთს ვის გაახსენდა ოთარაანთ ქვრივი?
2. როგორი სახით შევიდა ოთარაანთ ქვრივი მომაკვდავ შვილთან? რა უთხრა მან მტირალ კესოს?

3. როგორ გვიხატავს მწერალი „დედაშვილობის საცოდაობის“ შემსწრე ადამიანებს? რატომ იყო გლოვის ზარი უტყვი, უხმო?
4. რატომ არის ბოლო წინადადებაში ნახსენები „თვალი გულისა“ და „ყური გულისა“?

XVIII

უკანასკნელი განდობა

— მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!.. — დაიკვნესა პატარა ხანს უკან დედამ, რა ცოტა გულს მოეშვა და დაბნეული გონება მოიკრიბა.

მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!..

მანამ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მოვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თითონ მოერია გულსა, თითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვადაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადაანვდინა ხელი, გადაჰხადა საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალეზდახუჭვილს შვილსა.

დედის გულთამხილავმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარა არის-რა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედგადაწყვეტილი მარტო იმას-ლა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო.

— შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვაჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელ!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამობრუნა, — ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიელულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებს-ლა დაუნყო ტოკვა.

— თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს...

— დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდულარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავე ტკივილი გულისა. ძალისძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედგადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი.

— წყა... — წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა რამდენიმამე ხმამ ერთად.

დემეტრემ ურჩია, ღვინო მიანოდეთ, ცოტად მოალონიერებსო.

— შვილო, დედისერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. — შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდ წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო...

— დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!..

— ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალგაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო!..

— დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დააღვინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! — კვლავ მიუბრუნდა გიორგი განწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოელო. ყველა სმენად გადიქცა.

— აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. — ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება, იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეუჩინებელი.

— ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმი ვერ ველირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ღვინოდ... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ ინუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევიროსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენი!.. განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ველარ... ხატსავით გლოცულობდი, მხესავით დამნათობდი... არც კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენო-

და... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გუებნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუნყო და მარტო ხელს-ლა აფათურებდა უძლურად, თითქო ვილასაც ეძებს და იმისი პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

— გათავდა!.. — დაიკვილა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო.

ცოტა ხანს მოუცადეს, ვითომ გულზედ მოეშოსო, მაგრამ რაკი ნახეს, რომ ეს დედაკაცი არც ხმას იღებს, არც იძვრის, ფიქრი მიეცათ, — ხომ არა აუტყდა-რაო.

კესო მივიდა და ჰლამოდა აყენებას, ოთარაანთ ქვრივმა მაშინდა მოსცა ხმა.

— თქვენი ჭირიმი, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!.. ვაი, რომ არა მიშავს-რა!..

არჩილმა ყველას აქ მოგროვილს მოახლე-მოსამსახურეებს ჩუმად ხელით ანიშნა ოთახიდან გასვლა. ყველანი გაიკრიბნენ. არჩილი და კესოც ფეხაკრებით გავიდნენ, მხოლოდ მოახლეს უბრძანეს მეორე ოთახიდან ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის.

დაცარიელდა ოთახი.

ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

— ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. — ჰლმუოდა ხმადაბლა დედა. — მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მინა მოგაყაროს!? მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი და

ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი დედას, ამის დამსწრეს!..

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითით გოდება-ლა ისმოდა.

— ვუი, ვუი, ვუი!.. — გაისმა ოთახში ბლავილსავით ვილასი ტირილის ხმა.

ოთარაანთ ქვრივმა იუცხოვა და თვალი წყრომით მოატარა ოთახში.

ერთადერთი სანთელი ბევრს არას ანათებდა ფართო ოთახში და ნამეტნავად ერთს კუთხეში ჰბნელოდა. აქ მობუზული კაცი დაინახა ოთარაანთ ქვრივმა.

თავის უნებური¹ კაცი ნახა თუ არა, გულჩვილი დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

— შენ ვილას მეტიჩარა ხარ? — შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

— შენს საცოდავობას ველარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომეზღინა და არც მე მიწოდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბლავილს მოვყევ ეს ოხერტიალი...

— მერე აქ რას უგდებხარ?

— მარტოდ შემეცოდე. ვთქვი — უცხო სახლია, ესეც ადამიანია, წყალს მაინც მივანვდი-მეთქი.

— ვინა ხარ?

— სოსია.

— ვინ სოსია?

— თუ გაგონდები, კარგია, თუ არადა, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

— რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..

ბებერი მენისქვილე, როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებურად მობუზული.

— წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, — უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: — მარტო მიწა და ვიყო.

— შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე.

— კარგი, მომშორდი!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ შეადარა მწერალმა ოთარაანთ ქვრივი „ტყვიანაკრავ ვაჟკაცს“? რას ებრძოდა ქვრივი?
2. რა ერთადერთი სურვილი ჰქონდა სასონარკვეთილ დედას?
3. როგორი კვალი დატოვა ორმა ცრემლმა ოთარაანთ ქვრივის სახეზე? დაემჩნა თუ არა მის სახეს ტკივილის კვალი?
4. რისი თავისუფლება მიანიჭა მოახლოებულმა სიკვდილმა გიორგის? რად ექცა მას კესოს ცრემლები?
5. და-ძმისთვის მომაკვდავი გიორგის სიტყვები მოულოდნელი აღმოჩნდა. რატომ არ ეუცხოვა დედას შვილის განდობა?
6. რატომ ისურვა ოთარაანთ ქვრივმა მკვდარ შვილთან მარტო დარჩენა?
7. დააკვირდით XVIII თავის ბოლო დიალოგს. გაემტყუნება თუ არა ქვრივს უკმეხი ტონი? იმსახურებს თუ არა სოსია მენისქვილე სასტიკ მოპყრობას?

1. თავის უნებური – აქ: თავისთვის არასასურველი.

ჩატეხილი ხიდი

დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლომახლო სამღვდელოება, ახლომახლო სოფლები მონივნია მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“ და ამისთვის არა ხარჯი არ დაჰზოგა. ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლისკაცი, იმისი ოჯახისშვილი ჰყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლესკაცებთან ერთად ეწეოდა, ასე რომ არავის გამეეცვლევენა.

კესო მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელდაკრებილი და მგლოვიარედ თავჩაკიდებული ხმაამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადინერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მინა მიაყარა და უცბად წამოდგა. გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რალაცამაო.

— დახე, სტირის!.. — სთქვა ერთმა იქ მდგომელმა დედაკაცმა.

— სიყვარული ძნელია! — უპასუხა მეორემ. — გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებოდათ.

— სანყალი ცრემლსა ჰმაღავს, თითქო სცხვენინანო.

— რასირცხვილია, — გაიბადედაკაცობაში ლაპარაკი, — ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი — სხვა რა უნდა სიყვარულს?

გლესკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება“ მიცვალებულისა, ზოგი კი იძახოდა:

— კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.

იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში — მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.

განა არა, — არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა და როცა კესომაც შეიტყო და აპილპილდა, — ეს რა დაგვნამესო, არჩილმა უთხრა:

— ნუ გიკვირს.

— რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.

— საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩენენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.

— მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!

— ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებთ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორიშორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მოგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მნიგნობარისა, — მე ჩვენისთანა კაცს მნიგნობარს ვეძახი. ამისთანა მოციქული აბა კარგს რას დაგვაყრის.

— მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის!.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...



— გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის. ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრითლა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალთა და ხუჭვილი, ის ყურთა და ხუჭვილი, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან განირვავა და მეორისაგან შენირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმა,

შორს... შორს... მაშ რაღად გვიკვირს, რომ იქიდან ველარ გვხვდებენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალთა მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია.

— ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხრობაა ახლად ნაამბობი: აქაო-და გლეხთა, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

— მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბაღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზთა-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე — იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა...

— კდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო

ჩირქი სდის. ეს თუ უნდა გეთქვა.

— შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩირექთ. ამიტომაც კარგის მქნელი, — იმათია თუ ჩვენი, — ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

— მაშ ნასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

— ვინ გითხრა? ჩვენისთანისა — იქნება ჰო, მაგრამ იმათი კი არა.

— არ მესმის. აკი ორივენი, — ჩვენცა და ისინიც, — ერთნაირად მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით.

— ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავინყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტიტ შეკერილნი, იმ გვირისტიტ, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაივაგლახში — „აი, ბატონოო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან განუნულ-გალაფული და ჩემს დაძინებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები — რა ტკბილად და-

მეძინებო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო”. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებეირობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე. ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...

— ნადირი კი არ დაძრწის დილიდამ სალამომდე საჭმლის საშოვნელად. ჰშიან და, რომ ამისათვის ხელ-ფეხსა სძრავს, საქმესადიდებელია?! ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნევოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქებადიდებისა.

— მაგით რა უნდა სთქვა?

— ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვინროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვილა სჩივის...

— მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალთ მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათია: იქა ჰდულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდულარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურკაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-და ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია — რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი...

— ნულარ მომაგონებ! მე ჩემი მემართება, როცა ის უბედური მაგონდება.

დასაწყისი განთიადისა

არჩილმა გასაწყვიტა ლაპარაკი და წინა და უკან მოჰყვა სიარულს ოთახში. ვინ იცის, — კესო შეეცოდა, თუ დაიღალა, და სიარულით ქარის ამოღება მოინდომა. ხოლო პატარა ხანს შემდეგ შუა გზიდან შეეცრა მოუტრიალდა კესოს და უთხრა:

— არა, ჩემო საყვარელო დაო! ნუ მინყენ კი და ეგრე ადვილად გზაასაქცევი, თავიდან მოსაშორებელი არ არის გიორგის ამბავი. გახსოვს გრიგოლ ორბელიანი? რარიგად აგვიტაცა იმისმა სიტყვამ, როცა ვკითხულობდით:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას“.

— ეგ აქ რა მოსატანია? — ჰკითხა კესომ.

არჩილი ჩაფიქრდა: გაუკვირდა მიუხვედრელობა კესოსი.

— შენი კითხვა მაკვირვებს, კესო!

— საკვირველი აქ არა არის-რა, — მიუგო კესომ და თავი ჩაჰლუნა, თითქო ეს დუნე პასუხი თითონვე ეთაკილაო.

— მაშ გიორგის შეირთავდი? — ჰკითხა შეეცრად არჩილმა.

კესომ ეს შეცარი კითხვა იწყინა, თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა.

არჩილმა აცადა. გული კი აუფანცქალდა. ვინ იცის — რა უფრო ენატრებოდა: ჰო, თუ არა. არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა:

— შეირთავდი?..

— არა.

— მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას...

— ნუ იტყვი მაგას!.. — შეჰკვივლა კესომ წყრომითა და თვალეხი დაუბრიალა.

— ნუ სჯავრობ, კესო! მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს...

— არ მიყვარდა და იმიტომ.

— ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს ჩვენ-

თვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლუხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვეყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გველუბოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გააღმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებლაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარკაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვთლია...

— არჩილ, მეტისმეტია.

— მკვახედ, უფერუმარილოდ ლაპარაკს გულქვაობაში ნუ ჩამომართმევ, ჩემო კესო. სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. ხომ მინასთან გასასწორებელნი ვიქნებოდით, თუ ჩვენისთანებს იმოდენა ღონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს. ეს-და გვაკლია.

— მაშ სთქვი!.. თუმცა ტკივილითა სჭრი, მაგრამ ამებით ჰკერავ კიდეც. სთქვი!..

— იცი, რა იყო გიორგი!.. გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგალმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე



არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს“, ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება“ სულისა.

— სიყვარული ბრძანებით არ მოდის.

— განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი¹ ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა, სიყვარულს ხომ მაინც მიუხვედებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა ნაასალი² მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ლა ჯავარსავით³ ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!..“ მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად.

— ნურც ეგრე გამასწორებ მიწასთან!.. მეყოფა!.. — უთხრა კესომ და ტირილი დაიწყო.

არჩილს შეეცოდა, მივიდა და შუბლზედ აკოცა.

— წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწმენდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობნიხართ მამაკაცებს...

— რომ ცრემლს — გვინდა თუ არა — წყალსავითა ვღვრით ხოლმე. კმარა სიცილი!.. დავიტანჯე!..

— ო, ჩემო კარგო. ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი იგივე ხმალიაო, ვილაცას უთქვამს.

— მაგით რა გინდა სთქვა?

— შენი ტირილი მიხარიან... მეც ვტირებდი, რომ მარტო უკანლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. — წამოიძახა ტკივილით კესომ.

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი...

— ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ, წინ რაღაა, წინ! — შეჰბლავლა უეცრად კესომ და ორისავე ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნიტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰწამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბეგრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავე ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

— სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

1. შენი ტოლი კაცი — იგულისხმება: გვარისშვილობით შენი შესაფერი.

2. ნაასალი — მესაქედი.

3. ჯავარსავით — მარგალიტის, ძვირფასი თვალის შუქივით.

ეს ორი თავი ეძღვნება და-ძმის საუბარს გიორგის დაკრძალვის შემდეგ. არჩილ-მა და კესომ გიორგის წინაშე ვალი თითქოს პირნათლად მოიხადეს, მაგრამ ხალხის გული მაინც ვერ მოიგეს,

1. ბიბლიაში (დაბადების წიგნში) წერია: „და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად – ღვთის ხატად შექმნა იგი..“
მოძებნეთ ტექსტში ამ სიტყვების ანარეკლი.
რისთვის დასჭირდა არჩილს მათი მოხმობა?
2. რა არის, არჩილის აზრით, თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის არსებული გაუცხოების მიზეზი?
ვისშია თურმე საძიებელი სასიცოცხლო ძალა, ენერჯია?
3. გაკეთებულნი – შექმნილნი, დაბლანდულნი – გვირისტით შეკერილნი, დონ-დლონი – ჩაკირულნი, კუტი პური – ნამდვილი პური... რომელი სიტყვები შეეფერება, არჩილის აზრით, გლეხებს და რომელი – თავადებს?
4. არჩილის აზრით, რას ამცირებს სათავისო ფიქრი?
რა არის საჭირო იმისათვის, რომ „მადლი მოჰხდეს“?
5. რისთვის დასჭირდა არჩილს გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტრიქონების დამონმება?
6. რა მოულოდნელი კითხვა დაუსვა არჩილმა კესოს?
რა პასუხი მოისმინა მისგან? თქვენი აზრით, რამდენად დამაჯერებელი (გამართლებული) იყო ეს პასუხი?
7. რატომ ახარებს არჩილს კესოს ცრემლები?
რაში ხედავს იგი ხსნას?
8. ვთქვათ, „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით გადაღებულ კინოფილმში ან დაბეჭდილ ტექსტში ჩართულ ილუსტრაციაზე ჩანგრეული ხიდის გაღმა მხარეს მდგარი გლეხები ვიხილეთ, გამოღმა მხარეს კი — არჩილი და კესო. მოგეწონებოდათ თუ არა „ხიდიჩატეხილობის“ პრობლემის ამგვარი ჩვენება? (ამ საკითხზე იმსჯელეთ კლასში, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება).

XXI

ეძახის

შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილდილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუად-

ღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს ნყლად ქცეულს, მწყურვალი მინა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგაღუნვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორ-

ლობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლექკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჭუჭყიანი თავსახურავები მოჭრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნნლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორლობის ლობეები, ზოგან ჯარჯით¹, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო.

თოვლი რომ გადილო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბოდლისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ლობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარეშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებთან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟღივილ-კივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც.

ახალ მოსულს თოვლს, ყინვადაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტისმეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ლა ისმოდა, ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს. იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ჰბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს² სისქე კუნძს ცალ გვერ-

დზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალმოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტახნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორიასლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თითონაც გორგალსავით დახვეულჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი — უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირასვე იწვა დედამინაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მიღეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

— ვინ მეძახის, ვინ!.. — იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდან კი ხმა და ჩამიჩუმი არ იყო. — წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მენევა, რად?

იტრიალა ღონემიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

— მივალწევ კი!.. — ჰკითხა თავისთავს: — ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გაჰხდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკვივლა ეხლა კი ხმამაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლაპირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, ხომ არ გამოელვიდა და არ შემიტყო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა; პირველში ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და რაკი და-

1. ჯარჯი — ეკლიანი ბუჩქი.

2. თავხე — სახლის სახურავის მთავარი კოჭი, რომელიც ამაგრებს მთელ სახურავს.

ინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად ნაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ-ისე გულიანად ეძინა.

— სძინავს!.. — სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა. — მეც მალე დავიძინებ... სულთამხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და, მაღლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა...

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო რაც სტკიოდა, დაუამდაო.

— კიდეც!.. კიდეც მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, ნაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ველარ წასდგა, დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაეფინა, — არ ნავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელდაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და ფეხაკრებით გავიდა სახლიდამ. უღონოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავ

ხელით წინ ნაძლოლილ ჯოხზედ დანდობილმა. ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორლობეში გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

— ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდეც!.. მოვდივარ, მო!..

ფრთხილს ძალს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯელ შეიბღერტა, გაიბობლა, ტანი დაიგრძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე — უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზღაზნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი აღარსად სჩანდა. ჩახტა დერეფნიდამ ეზოში, თოვლზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დაჰსუნა და აუჩქარებელის ძუნძულით აედევნა კვალსა.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ ისე გულიანად ეძინა.

რაში ჰგვანდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი!

მართალი უთქვამთ: ნუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. წელიწადის რომელ დროს აღწერს მწერალი XXI თავის დასაწყისში?
2. რა ფერისაა ჭირხლი, ბამბის ქულასავით ფაფუკი ღრუბელი, რომლებზეც მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს?
3. როდის დაისადგურა დიდმა სითეთრემ? რომელი ქრისტიანული დღესასწაულის ღამეს მოვიდა დიდი თოვლი?
4. როგორ „გამოლამაზდა“ თეთრად მთელი მიდამო, სოფელი?
5. ვისი ხმა ჩაესმის სნეულ დედაკაცს შობის ღამეს? ვისი დაბადების დღე უნდა გათენდეს?
6. რა თქვა სახლიდან გამოსვლისას სნეულმა დედაკაცმა ახალმოსული თოვლის დანახვაზე?

8. ამ თავში ერთხელაც არ არიან დასახელებული ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, მაგრამ მკითხველისთვის ყველაფერი ისედაც ნათელია. თქვენი აზრით, რა ქმნის ამ თავის განსაკურებულ ამაღელებელ განწყობას? (ამის შესახებ ისაუბრეთ კლასში).
9. აკადემიკოსი **აკაკი შანიძე** ბრძანებდა: „გადაიკითხეთ „ოთარაანთ ქვრივის“ XXI თავი („ეძახის“) და ადვილად დარწმუნდებით, რომ იგი ენამზეობის ისეთი ნიმუშია, რომელიც სასკოლო ქრესტომატიას დაამშვენებს, ხოლო მისი სწავლა ლიტერატურულ გემოვნებას გაუხსნის“.
- თქვენი აზრით, რა იგულისხმა დიდმა მეცნიერმა „ენამზეობაში“? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტიდან მოხმობილი მაგალითებით).

XXII

წყევაკრულიანი საკითხავი

გათენდა შობა დღე. ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ქედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ, — ბედნიერი დღეა და გაჰხსნილდა, იქნება გავყიდოთო. ძალიანა ციოდა. ცხვრები მოგოგავდნენ თოვლიან გზაზედ და მოაქანებდნენ თავისებურად დუმებსა. მეცხვარეებს ისე სციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინები-

ნათ და უბეში ეწყოთ, კომბლები კი ილღიაში ეჩრათ, წინ გამოშვერილები.

გზა სოფლის სასაფლაოს ბოლოზე მოდიოდა და აქედამ უხვევდა სოფლის ორლობისაკენ. მოვიდნენ ამ გზაზედ თუ არა, სასაფლაოდამ ერთი ღმუილი შემოესმათ.

— ეს რა ჰლმუის? — იკითხა ერთმა.

— კაცო, აფთარი არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავს. გავაფრთხოთ, მადლია, — სთქვა მეორემ და წელიდამ და მბაჩა გაიძრო და დაჰცალა.



ღმუილი პატარა ხანს შესწყდა დამბა-
ჩის ხმაზედ, მაგრამ ისევ მალე მოისმა.
ეხლა კი ღმუილს ნკავნკავიცი მოემატა.

— აბა ერთი ვნახო... — სთქვა ერთმა
მათგანმა და გასწია სასაფლაოსაკენ.

შორიახლო მიუვიდა ხმას და დაინახა,
რომ ძალლი წამოსკუპული იჯდა ვილაცის
საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარი-
ყო და წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფ-
ლისაკენ პირმიქცეული საცოდავად ჰღმუ-
ოდა.

გაუკვირდა მეცხვარეს. მივიდა ახლო
და ელდა ეცა. ძალლის ზურგთ უკან მკვდა-
რი დაინახა: საფლავზედ გარდი-გარდმო
გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწა-
ზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე
ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდო-
მებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით
ერთის ხვევით გულში ჩაეკრაო.

ელდაცემულმა თუშმა დაუძახა ამხა-
ნაგს. ამხანაგმა ხმა არ მოსცა. ორლობეში
შეესწრო და ძახილი ვერ მისწვდა.

გამობრუნდა თუში, ნახულით გაოცე-
ბული.

— აქ რამ მოიყვანა ამ ყინვაში და რამ
მოჰკლაო? — ჰფიქრობდა გზადაგზა.

თავის ამხანაგს რომ დაენია, უამბო
ნახული.

— დახე, ძალლი პატრონს არ მოჰშორე-
ბია! — ნამოიძახა ამხანაგმა. — დალოცვი-
ლი პირუტყვია. ბარაქალა ძალლო, ბარაქა-
ლა!..

მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის
ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქება-
რის ოთხფეხისა...

შეატყობინეს სოფელს. თუმცა შობის
დღე იყო, მაინც დიდი და პატარა, კაცი და
ქალი გაიკრიბა და სასაფლაოს ზედ დაედო.

ის მკვდარი ოთარაანთ ქვრივი გამოდ-
გა, ის საფლავი — განა თქმა-ლა უნდა —
გიორგის საფლავი იყო... ის ძალლი... მაგ-
რამ ძალლს ვილა იკითხავს?

შეიქმნა ჟღივილ-ყაყანი. ზოგი რას ამ-

ბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალაპა-
რაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთ-
ქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრო-
ნობა რამ უნდა. ყველას ის ეხარებოდა,
— ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, და საცა
ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათ-
ხათს¹ ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მი-
ეშურებოდა.

— გაჰტყდა ეს რკინის დედაკაციცაო,
— ამბობდნენ ზოგიერთნი, — ეს ფესვმა-
გარი ხეც ნამოიქცაო.

— დედისერთა შვილის დაკარგვა ძნე-
ლია, მერე რა შვილისა! — იძახოდნენ დე-
დაკაცები, — აკი ეს გაუტეხელი დედაკა-
ციც გასტეხა და გაანადგურაო.

ბევრს ეცოდებოდა ეგრეთ გათავებუ-
ლი ოთარაანთ ქვრივი. დამტირებელი კი
არავინ იყო. ძნელია ეგრეთ წასვლა სააქა-
ოდამ. მაგრამ რა? ვინც მოჰკვდა, თავსა
მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა
მართალი არ არის!

არა, — ზოგჯერ მართალი არ არის. აქ
იყო ერთი კაცი, რომელსაც მოუკვდა ოთა-
რაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მენისქვილე.
თითქმის ოცდაათი წელიწადია მაგ დე-
დაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ
გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და და-
უნუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა აღა-
რავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მის-
ვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა,
მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნე-
ბაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში
სთქვა:

— მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ
მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ვე-
ლარ შევბედავ, ველარა!..

სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა,
ოთარაანთ ქვრივსა რიდისა და კრძალვი-
საგან.

სოსია მენისქვილეს ეხლა ორივე მუხ-
ლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის
წინ. იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და
ქვითქვითებდა ჩუმად.

1. ხათხათი — ყაყანი.

— ადე, რას ჰქვამს უპატრონო ძაღლსავით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ. — შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?

— ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო! — უპასუხა თავისებურად ტკბილად მოხუცმა ტირილის ხმით, — სხვა სხვის ომში ბრძენიაო...

იქნება კიდევ ეთქვა რამე სოსიას, მაგრამ ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასანევად და საკაცეზე დასადებად, ვილაცამ წაიბორძიკა მენისქვილის ფეხზე და ითაკილა.

— ეს ვილა ოხერია, ფეხებში გვედებო! — სთქვა წაბორძიკებულმა და, ღონივრად

წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: — წადი, იქით გაეთრიეო.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ. როგორც იყო წამოდგა და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს:

— ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მათირებო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა, რომ ცოდოა!..

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევაკრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.

6 ქრისტეშობისთვის

1887 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. უკანასკნელ თავში ორ თუშ მეცხვარეს დამხმარე, მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება, სოფლელების მოქმედებისათვის ფონს ქმნიან. ვის მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი? შეიძლება თუ არა, სწორედ ის მივიჩნიოთ მოთხოვნი უკანასკნელი თავის ერთადერთ მთავარ მოქმედ პირად? (პასუხი დაასაბუთეთ).
2. სოფლის გლეხკაცობა და სოსია მენისქვილე ერთ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან. მაშ, რატომ ვერ იგებს სოფელი სოსიას სატკივარს?
3. როგორი განმაზოგადებელი და უპასუხო კითხვით დაასრულა მწერალმა თხრობა? თქვენი აზრით, რისი თქმა სურდა მას ამით მკითხველისათვის?

ღამატიხითი ამოცანა

ზეპირი მატყველბა

„გიორგიდან“ „ოთარანთ ქვრივამდე“

(მოთხრობის შექმნის მოკლე ისტორია)

შევეუჯექით ილიას და მოსვენებას არ ვაძლევედით. გვინდოდა, რომ „ივერიის-თვის“ რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. იმისთვის ეს ძნელი არ იყო, რადგან ვიცოდით, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყობილი მოთხრობა, რომელისთვისაც წინად განზრახვა ჰქონია, მგონი, „გიორგი“ ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარანთ ქვრივი“ დაარქვა.

ერთ მშვენიერს და ქართველებისათვის დიდად სასიამოვნო დღეს, ილია ჩვეულებრივ ხალათში გამოეწყო, თავზე ფესი¹ მოიგდო, ჩაიკეტა კაბინეტში და პირთაგან განუგდებელი პაპიროსით მიუჯდა მაგიდას. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის რედაქციის ყველა თანამშრომელი მონმენი იყვნენ ამ შემოქმედების პროცესისა. ილია ხანგამოშვებით წაგვიკითხავდა დაწერილს, რაც უკვე გათავებული ჰქონდა; თითქოს უნდოდა სხვისთვისაც გაეზიარებინა ის შთაგონება და აღფრთოვანება, რომელსაც მუშაობის დროს ჰგრძნობდა, სხვებშიაც გამოეწვია ეს აღფრთოვანება და ამ გზით მეტი ღონე მოეკრიბა, ფრთები შეესხა თავის აღმაფრენისათვის, შემოქმედებითი ძალა გაეელვარებინა.

ამასობაში გაიარა ერთმა თვემ და იშვა ის მოთხრობა, რომელსაც „ოთარანთ ქვრივი“ ეწოდება სახელად. ახლად შობილს მონათვლა უნდოდა. განუყრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებისა დავით სარაჯიშვილი² იყო; იმდენად გულუხვი, პატივისმცემელი ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონვე იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდეგილი“ და ამ წესრიგს არც ეხლა გადაუდგა სარაჯიშვილი.

სალამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე³, ივ. მაჩაბელი⁴, პ. უმიკაშვილი⁵, გრ. ვოლსკი⁶, – საუცხოვო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, – და კიდევ ბევრნი.

ილიამ წაიკითხა მოთხრობა. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ ილია კაი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა, თითქოს გულზე ქონი აქვს მოკიდე-

-
1. **ფესი** – წაკვეთილი კონუსის ფორმის მქონე აღმოსავლური ფუნჯიანი ქუდი.
 2. **დავით სარაჯიშვილი** (1848-1911) – ცნობილი მწერალი, მეცენატი, საზოგადო მოღვაწე. ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორი.
 3. **ნიკო ნიკოლაძე** (1843-1928) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.
 4. **ივანე მაჩაბელი** (1854-1898) – მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დიდად გაითქვა სახელი როგორც შექსპირის ტრადუციების მთარგმნელმა.
 5. **პეტრე უმიკაშვილი** (1838-1904) – ლიტერატორი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა მედასე. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული წიგნის პოპულარიზაციაში.
 6. **გრიგოლ ვოლსკი** (1860-1909) – პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ექიმი, საზოგადო მოღვაწე. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლი.

ბული და ეს უშლის სიტყვის მკაფიობასო. კითხვა გათავდა. ჩამოვარდა სიჩუმე. ილია ადგზნებული სახით აქეთ-იქით იყურება.

თუ ხსოვნა არ მლალატობს, პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ და ასე სთქვა: მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდბუნებოვნება, მისი სულიერი დიადობა არა სჩანს. მეჯინიბეს მაღლიანად სცემამო და მოჯამაგირეს ტყეში გვერდები ჩამატვრიამო. – ეს მაინცადამაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდსულოვნობა. მაშ, რაზე ჰკიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდაო. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სილამაზე, გონების წარმტაცებლობა, რომ კესოს თავი დაჰვიწყებოდა და გული შეტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი. იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანიო.

ახლა წამოდგა ნ. ნიკოლაძე და ესეც კესოს გამოესარჩლა. ილიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც კი შეამჩნიაო. და მიზეზად იმას ასახელებს, რომ სხვადასხვა ნოდების ხალხნი არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე – გლეხის შვილი, მათ შუა უფსკრულიამო. სხვადასხვა ნაპირსა დგანანო. ხმა ვერ მიუწვდენიათ ერთმანეთისთვისაო. ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხიდი მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხიდი არაფერ შუაშიამო. ხიდი რომ გასდოთ კიდევ, კესო და გიორგი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ, კესო გიორგის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. აბა გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უნიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, – როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეჰხვდებოდა გიორგის, ამას რომ თავის გრძნობა ემცნო? არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო. სწავლამ, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხიდი შეაკეთა, გაამაგრა.

ზოგმა დაუნუნა ილიას გიორგის სიკვდილი: არაბუნებრივია, შემთხვევითიამო, თვით მოთხრობის მსვლელობისგან არ გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართ-გადმოხლართვის, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის. თვით სიკვდილი გიორგისა. – „პირალმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდგან გიორგი და ურმის ქალს ზედ დაეგო ზურგითაო“, – არ მოსწონდათ, არაესთეტიკურიამო.

ასეთ და კიდევ სხვა წვრილმან ნაკლულოვანებას აღნიშნავდნენ. საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხრობისა დიადი იყო, მომხიბლავი.

იაკობ მანსვეტაშვილი



გაანალიზეთ კლასში გრიგოლ ვოლსკისა და ნიკო ნიკოლაძის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. თქვენი აზრით, რა არის მათ თვალსაზრისში მისაღები და რა – უარსაყოფი?

სამი თვალსაზრისი

გიორგის სახე

ვახტანგ კოტეტიშვილი:

„გიორგი ის მართალი, წრფელი და სპეტაკი კაცია, რომელიც ყველგან სიმართლის, ნამუსის საზომით მიდის და სადაც უსამართლობას დაინახავს, ცეცხლებს ენთება, კრიჭაში უდგება და სპობს. ეს არ არის ის ზნეობრივი ფილოსოფია, წიგნებიდან თავში რომ გადაინაცვლებენ ხოლმე, ხანდახან ძალდატანებითაც. არა, ეს ღრმად ჩაჭრილი და შეთვისებული შეგნებაა მოვალეობისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გიორგი-გლესს მიათვისა, რადგან იგი ყველგან გლესის შარავანდედით შემოსვას ცდილობდა... აი, აბა გავყვეთ გიორგის დახასიათებას, თუ რაიმე ნაკლი მიაწეროს მას მწერალმა, ამოდ ვეცდებით. შეიძლება ჩვენ არ დავეთანხმობთ მწერალს თვისებათა შეფასებაში, მაგრამ რომ გიორგის იმ თვისებებს ანიჭებს, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია, ეს კი ეჭვშეუტანელია. აქ კი არ შეიძლება გლესის იდეალიზაცია არ დავინახოთ“.

კიტა აბაშიძე:

„გიორგისგან მეფინიბის ცემა და სხვა ამგვარი მოქმედება არც თუ დიდი ქველობაა, მით უმეტეს, რომ ცოტა არ იყოს, „მოხელეობრივი“ სუნი უდის, სხვის ტყეპაზე კარიერის გაკეთების ფერი აქვს, თუმცა ჩინის ადგილი აქ კესოს გულს უჭირავს, და კარიერის მაგივრობას მგრძობელობით გაშუქებული სიყვარული გაუნევს...“

ტიციან ტაბიძე:

„... ჩვენ გვყვანდნენ და გვყვანან დიდი მოჯამაგირეები. და ისე ვექცეოდით მათ და ვექცევით ეხლაც, როგორც გაუთლელი ალა¹ – მოჯამაგირეს. შესაძლებელია, ილიამ იმიტომ შექმნა იდეალური სახე პოეტი-მოჯამაგირის გიორგის „ოთარაანთ ქვრივში“, რომ მისთვის არ იყო შორეული იმის ბედი. თივის დასადგმელ ანძაზე ჩამოცმული გიორგი განა არ გაგონებთ წინამურის გზას?“



აქ მოცემული სამი შეხედულებიდან რომელია თქვენთვის მიუღებელი? ეცადეთ არგუმენტირებულად უარყოთ მიუღებელი თვალსაზრისი.

ეს საინტერესოა!

ოთარაანთ ქვრივი საერთო ტიპთა გალერეაში

„... ილია გასცილდა ეროვნულ ზღუდეს და საერთო ტიპთა გალერეაში ოთარაანთ ქვრივსაც ადგილი მოუპოვა. და თუ დეზდემონა² მსოფლიო სახეა ნაზი, სათნო და თავდადებით მოსიყვარულე ქალისა, თუ პორცია³ – მსოფლიო ქალის

1. ალა – ბატონი.
2. დეზდემონა – უილიამ შექსპირის ტრაგედიის, „ოტელოს“, ერთ-ერთი მთავარი გმირი.
3. პორცია – შექსპირის ტრაგიკომედიის, „ვენეციელი ვაჭრის“, პერსონაჟი.

სახეა, სიმტკიცის და შეურყეველი ნების გამომხატველი, თუ ნორა¹ – მშვენიერი ხატებაა ურჩი, ამაყი და თავისუფლების ფრთაასხმული ქალისა, თუ კორდელია² – შემაერთებელია ქალურ სინაზის და მამაკაცური მტკიცე ნებისა, და მით მსოფლიო პანთეონის დამამშვენებელია, ჩვენი ოთარაანთ ქვრივიც სწორუფლებიანია, რომ თავის თოხით ჩაუდგეს მათ რიგში და მკაცრად იმეტყველოს, – ეს იქნება საერთო სახე სპეტაკი, უკმეხი და ქედმოუხრელი დედაკაცისა, რომლის თავზეც მიჰქრის ტანჯვა-მწუხარების უღმობელი ქარავანი და მის შუბლზე კი ერთ ხაზსაც ვერ ტოვებს... ოთარაანთ ქვრივი წმინდა ნაციონალური ტიპიცაა... იგი იმ თვისებებს ამჟღავნებს, რომლის საშუალებითაც ქართველმა ერმა დღევანდლამდე მოღწევა შეძლო...“.

ვახტანგ კოტეტიშვილი – „ილია ჭავჭავაძე“



წიგნითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 8. პრობლემაზე ორიენტირებული ესეს დაწერა

დაწერეთ პრობლემაზე ორიენტირებული ესე თემაზე: „ჩატეხილი ხიდი“ ანუ გაუცხოების პრობლემა დღევანდელ საზოგადოებაში“.

აკაკი ბაქრაძის აზრით, „ოთარაანთ ქვრივში“ ილიამ დაგვანახა „ჩატეხილი ხიდის“ ანუ გაუცხოების და უკონტაქტობის პრობლემა არა მხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას, არამედ ადამიანსა და ადამიანს, ადამიანსა და საზოგადოებას შორის. თქვენს ესეში უნდა ისაუბროთ იმის თაობაზე, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა ჩვენს დღევანდელობაში.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ნამუშევარი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოკვეთეთ აზრები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- როგორ აისახა „ოთარაანთ ქვრივში“ „ჩატეხილი ხიდის“ ანუ გაუცხოების პრობლემა ადამიანებს, ადამიანსა და საზოგადოებას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის;
- რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს, საზოგადოების რომელ ფენებსა და ადამიანთა რა კატეგორიებს შორის შეინიშნება გაუცხოება. როგორ გამოიხატება ის და რა გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე;
- რა არის, თქვენი აზრით, ამ გაუცხოების მიზეზი და შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება;
- საკუთარი აზრის ეფექტიანად და დამაჯერებლად გადმოცემისათვის აუცილებელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.

1. ნორა – ჰენრიკ იბსენის დრამის, „თოჯინის სახლის“, მთავარი გმირი.

2. კორდელია – შექსპირის ტრაგედიის, „მეფე ლირის“, პერსონაჟი.

განდეგილი

ლეგენდა

(ვეძღვნი ოლღა ჭავჭავაძისას)

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჭხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უნინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ¹ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უნინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან² ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვანლით ამ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქუმლა.
და ის ადგილი, ის არე-მარე

-
1. მუნ – იქ. მუნით – იქიდან.
 2. გასულან – აქ: გარდაცვლილან.

ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა¹ ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდმარტო დაყუდებულა²
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,

1. ზაკვა – მზაკვრობა, ფლიდობა, ცბიერება, ვერაგობა.

2. დაყუდებულა – განმარტოებულა, განდეგილა.

და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი¹ –
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღედაღამ სულთქმა და ღალადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმალლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი
სინმინდის მადლით დაჰშვენიებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი² გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით³ მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარია
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა⁴ მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძღვევით მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღალადებელ ზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,

-
1. წყმედილი (ჭურჭელი) – შერყვნილი, გაბინძურებული.
 2. შარავანდედი – სხივი, შუქი, ბრწყინვალება.
 3. კდემით – დარცხვენა, მორიდება, მოკრძალება.
 4. სასოება – იმედი.



განდეგილი. მხატვარი — ჰენრიკ ჰრინევესკი

ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშეებოდა.
როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბინოდ იგი სცხოვრობდა...
დათვის სინმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმონმებდა.

დავფიქროთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. სად მდებარეობს ბეთლემის მონასტერი, პოემის მიხედვით?
2. გაიხსენეთ, რა კონტექსტში და რა მხატვრული ფუნქციით გვხვდება მცინვარი ილიას შემოქმედებაში. როგორ ფიქრობთ, რას უნდა მოასწავებდეს მცინვარის არჩევა მოქმედების ადგილად ამ ნაწარმოებში?
3. სახარებისეული სახელების შერქმევა სხვადასხვა ადგილისათვის ქრისტიანულ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რას გეუბნებათ სახარებისეული ტოპონიმი „ბეთლემი“? (რა მოხდა ოდესღაც იერუსალიმის მახლობლად მდებარე ბეთლემში?).
4. როგორ აღწერს ავტორი ბეთლემის მონასტრის შემოგარენს? რით უკავშირდება მონასტერი გარესამყაროს?
5. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა ჯაჭვის კიბეს, რომელიც ერთადერთი გზაა მონასტერში ასასვლელად? (პასუხი დაასაბუთეთ).
6. რატომ შეუფარებიათ თავი ბეთლემისათვის „განდეგილ ძმებს“? რა მოსვლია ტაძარს მას შემდეგ, რაც უწინდელ მამათა კრებული „გასულა ამა ქვეყნით“?
7. რა მოუვა, მთიელთა რწმენით, „ღვთის უღირსს“, თუ იგი ტაძარში შესვლას გაბედავს?
8. ვინ შეჰკედლებია გაუქმებულ ტაძარს? როგორ გვიხსნის ავტორი მეუდაბნოე ბერის ცხოვრებისაგან განდგომის მიზეზს?
9. როგორია ნუთისოფელი, ეს ქვეყანა, განდეგილის დახასიათებით?
10. როგორ წარიმართა განდეგილის ცხოვრება ბეთლემში? პირველ ყოვლისა, რა განდევნა მან გულიდან? რას მიაღწია განდეგილმა ამგვარი ცხოვრებით?
11. დააკვირდით, როგორ ხატავს ილია განდეგილის პორტრეტს. რა მთავარი და არსებითი ნიშანი იკვეთება მწირის გარეგნობაში? განსაკუთრებით რომელი დეტალებია მასში ხაზგასმული?
12. როგორ ფიქრობთ, რატომ არის სავსე მწირის თვალები „ნელი სიხარულით“? (რაზე მიგვანიშნებს ეს დეტალი?).
13. რა მოუვლინა, პოემის მიხედვით, ღმერთმა მწირს „ნიშნად მადლისა“?

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი.
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთროთოდა.
ამა უბინო დიადის ხილვით

წარტყვევნილ¹ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიაგ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ, ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიდრა მძიმეთ.

VIII

დაიდრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, ან გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა – და თითქო ვიღაც
ჰკვივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ლაღადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?

1. წარტყვევნილ – დატყვევებული, მოხიბლული.

მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა, – „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
– „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამინასა?
რა დროს კითხვაა? შემბრალებ მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

X

– „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვას გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
და იმ ბნელაში იგი წვალეებით
ავიდა მალლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სინყვდიადიტა.
– „გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვენარს მრავალსაც სხვასა“.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარეთ ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედაღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქეჟა, ჩაჯდა ცეცხლაპირს
და გაინოდა სათბუნად ხელი.
– „უჰ, უჰ, რა ცივა!.. – სთქვა მან სტუმარმან: –
ლამის გავშეშდე სიცივისაგან!..
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...“

შეერთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
 ნუთუ ან ბედმა ქალის სახითა
 განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
 და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
 გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
 მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
 მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
 და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
 სასოებით და გულდამშვიდებით.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რას უმზერდა „ლოცვით დაღლილი“ განდეგილი ერთ საღამოს თავისი სენაკიდან? (აღწერეთ მზის ჩასვლის სურათი).
2. რა სიტყვით გამოხატა ავტორმა ამ სურათის მაცქერალი განდეგილის სულიერი მდგომარეობა?
3. რის „ცხოველ ხატად“ აღიქვამს განდეგილი მზეს?
4. როგორ შეიცვალა ბუნების სურათი? საიდან დაიძრა შავი ღრუბელი? რას ადარებს პოეტი ამ შავ ღრუბელს? რის მოლოდინს აღძრავს პეიზაჟის ამგვარი ცვლილება?
5. როგორ მძაფრდება VIII თავში ავის მომასწავებელი მოლოდინი? რას ადარებს პოეტი საშინელ ავდარს? როგორ იქცევა მწირი?
6. რა მოესმა მწირს მოულოდნელად? რა გაიფიქრა მან ადამიანის ხმის გაგონებისას?
7. რა გადანწყვიტა მწირმა?
8. რამ აფიქრებინა მას, რომ მოსული ავი სული არ იყო? რატომ შეშინდა კვლავ, როცა გაირკვა, რომ სტუმარი ქალი ყოფილა?
9. როგორ მიიღო მწირმა განსაცდელი, რომელიც, მისი ფიქრით, ღმერთმა გამოუგზავნა?

XII

– „შეშა არა გაქვს? – ჰკითხა სტუმარმა: –
 მოიტა ცეცხლი ავანთო ერთი,
 ხვალ თუნდა მთელ ზურგს მე ამოგიტან,
 ოღონდ დღეს გავთბე, შენ – შენი ღმერთი“.
 მეუდაბნოემ იქავ კუთხიდამ
 მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
 რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
 ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
 ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
 სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
 გასაოცარი რაღაც შვენება
 განდეგილს თვალწინ წარმოედგინა:
 ყმანვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
 სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,

ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მაღლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, – ვინ ვის აშვენებს:
მაღლი ამ სახეს, თუ სახე მაღლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღანვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა – მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულისტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: – „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის ნაირღვნას მთელი ქვეყანა?“
– „მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ
ცხვარს ვაძოვბდი მამიჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყევ ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რარიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეობდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.

სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: —
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ განყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, —
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამოზნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამოზრუნება,
გვიანლა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა, უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამოზნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზედ, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

დავლუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ ჰასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თვითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამაჩემი მეზრალეზოდა,
მამისერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შენუხდებოდა.
ცხვარი დავლუპე, — ეგ ერთადერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
ჰჭექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხქვეშ
თვითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?

ვსთქვი, – აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

დავრჩენილავ, მერე ვინ იცის,
გავალწევდი-ლა ამ ღამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და იმ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩიხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვსთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავანყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამიჩემისგან,
რომ მონასტერში ვილაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, – ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვანვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა სურათი გადაეშალა მწირს თვალწინ ცეცხლის შუქზე? როგორ აღწერს მწყემსი ქალის გარეგნობას ავტორი? რომელ დეტალებს გამოკვეთს იგი ქალის პორტრეტში?
2. რის ხორცშესხმულ ხატად სახავს ილია მშვენიერ მწყემს ქალს?
3. რა ზემოქმედება მოახდინა განდეგილზე ქალის მშვენიერებამ?
4. დააკვირდით მწყემსი ქალის თავგადასავალს. ხომ არ გავგონებთ იგი ბიბლიურ იგავს მამის ურჩი ძის შესახებ? კერძოდ – რით?
5. როგორ იმართლებს თავს მწყემსი ქალი იმის გამო, რომ მამის დარიგება დაივიწყა?
6. დააკვირდით, რა განცდით შესცქერის მწყემსი ქალი მზის ჩასვლის სურათს. როგორ ფიქრობთ, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ განდეგილი და მწყემსი ქალი ერთნაირად აღიქვამენ ბუნების მშვენიერებას?
7. როგორ შეიცვალა სურათი, ქალის სიტყვებით? რა მხატვრულ ხერხს იყენებს იგი ამ სურათის გადმოსაცემად?
8. როდის გაახსენდა მწყემს ქალს მამის დარიგება?

XVIII

– „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ლმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არგანწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენე შემწყნარებელი“.

– „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე“.

– „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავინწყებულს და განდეგილს მწირს!“

– „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“

– „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.

– „მას აქეთ ბევრი წელიწადია?“

– „არ ვიცი“ . – „როგორ?“ – „არ ვთვლი წელთა სვლას,
მოვშორდი, შვილო , წუთისოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა ცვლას!“

– „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“

– „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“...
– „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“

XIX

„ღმერთო ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი,
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუნირნია,
უნწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, –
გამკვირვებია მე ეს ამბავი –
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთისოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აილოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!.
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

XX

„ან შენ როგორ სძლებ უნუთისოფლოდ!
მერე იცი კი რარიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგილია?
ნუთუ ნალველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგილია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?..“ — „რა გითხრა შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის ნუთისოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
— „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“
— „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

XXI

„უბედურსაო“?!.. და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო“?!.. ეგ ხომ სიტყვაა
გულის ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია სანუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად ან მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის ან იგი ბედსა?
ნუთუ ან ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს¹ რასმე სდებს შემოქმედსა?

1. მუნათი – დაყვედრება, რაიმეს დამადლება, საყვედური.

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს¹ ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლაპირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევიან
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღანვზედ დაუღევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რალაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი ამ სახეს?
ის სახე ატკობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს² სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმით ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

1. მტერი – აქ: ეშმაკი. 2 ებანი – სიმებიანი საკრავი, ქნარი, არფა.

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო სანყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძღურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვანლით და ტანჯვით ძლეულს!



მწყემსი ქალი და განდეგილი. მხატვარი — ჰენრიკ ჰორინევსკი

XXV

მაგრამ ეს რაა?... „ნაწყმდი თუ არა“!
ეს ვინ ჩასძახის ნიშნეებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ – ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთისმშობლის წინა.
მით რა ეშველა?... იგივე ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნეების წყეულთ ხარხარი!
სული გულს ინვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთისმშობლის საფარველქვეშე
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად,
თვალთნინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ ან ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა – ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა – ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
ან იმა ხარხარს ველარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დანყნარებულს ნუთისოფელსა
დილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრნის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალეებით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიდამ გამოელისო
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა ნუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

XXVIII

გულზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბლავლა ღმერთსა
და იქავ სხივექვეშ უტევა სული.

* * *

და იქ, სად წმინდანთ უდიდებით
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღალადების, –
ან შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭეჭა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი, 1883 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა კითხვას უსვამს მწყემსი ქალი განდეგილს? საიდან ჩანს, რომ განდეგილის პასუხი მისთვის დამაჯერებელი არ არის?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება, რომ ამ ადგილიდან დიალოგი, ფაქტობრივად, მონოლოგში გადაიზრდება? რატომ დუმს განდეგილი, რატომ უჭირს მას მწყემსი ქალის კითხვაზე პასუხის გაცემა?
3. რას ეუბნება განდეგილი ბოლოს მწყემს ქალს სულის ხსნის თაობაზე? რა სიტყვა წამოსცდება მას უნებურად?
4. რა მოხდა, როცა მწირმა თავისი „უნებლიე შეცდომა“ გააცნობიერა?
5. ვის ეძებს მწირი სენაკში? სინამდვილეში რასთან უნევს მას ბრძოლა?
6. რა სიტყვებით იხატება განდეგილის სულიერი მდგომარეობა, როცა ის მძინარე ქალს დაჰყურებს?
7. საიდან ჩანს, რომ განდეგილს საბოლოოდ აებნა თავგზა, რა ჩაიდინა მან უნებურად?
8. რით გამოიხატა სულიერი ნონასწორობის რღვევა: რა ჩაესმის მწირს, ვინ ელანდება მას ღვთისმშობლის სახეში?
9. დააკვირდით მწირის გარეგნობის აღწერას XXVII თავში. რას ვხედავთ აქ „ნელი სიხარულით“ სავსე თვალების ნაცვლად?
10. რა ლუპავს განდეგილს – თავისი მოღვაწეობა, მის მიერ არჩეული გზა, თუ ამ გზიდან გადახვევა, სისუსტე, რომელიც მან დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე გამოიჩინა?
11. დააკვირდით პოემის ფინალს: ბეთლემი („სახლი ცხოვრებისა, გინა სიწმინდისა“ – საბა) ქარისა და ნადირის სათარეშო გამხდარა. გაითვალისწინეთ ბეთლემის სიმბოლური მნიშვნელობა და იმსჯელეთ, რაზე მიგვანიშნებს დაცარიელებული ბეთლემი?



წყბითი სამუშაო

დანერეთ ესე სათაურით: რამ დალუპა განდეგილი?



აკაკი წერეთელი

(1840-1915)

აკაკი წერეთელი დაიბადა სოფელ სხვიტორში (საჩხერის მახლობლად). თავისი ბავშვობა, ოჯახური გარემო და გიმნაზიაში სწავლის წლები აკაკიმ აღწერა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აკაკიმ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმოდცდნეობის ფაკულტეტზე განაგრძო (თავისუფალ მსმენელად). უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1862 წ.) საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „საქართველოს მოამბეში“...

1897-1900 წლებში გამოსცემდა საკუთარ ჟურნალს „აკაკის კრებული“, რომელიც გამოაქვეყნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები („ბაში-აჩუკი“, „მედეა“, „ჩემი თავგადასავალი“, „ნათელა“, „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“...), პუბლიცისტური წერილები, ფელეტონები.

1907 წელს გამოსცა იუმორისტული ყოველკვირეული გაზეთი „ხუმარა“, რომელიც პირველი ნომრიდანვე აიკრძალა. აკაკი დააპატიმრეს, მაგრამ ხალხის აღშფოთებით შეშინებულმა მთავრობამ მეორე დღესვე გაათავისუფლა პატიმრობიდან.

არაოფიციალურად რედაქტორობდა აგრეთვე იუმორისტულ ჟურნალებს: „ოხუნჯი“, „ბზიკი“, რომლებსაც, „ხუმარას“ მსგავსად, ხანმოკლე დღე ეწერათ.

აკაკი თანამშრომლობდა ქართული თეატრის მუდმივ დასთან (1879 წ.). მისი შემწეობით ქართულმა თეატრმა მუდმივი ბინა დაიმკვიდრა. მისივე თაოსნობით (ილია ჭავჭავაძესთან ერთად) 1880 წ. დაარსდა „ქართული დრამატული საზოგადოება“, რომლის ხელმძღვანელადაც ერთხანს თვითონ იყო. აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში (1881 წ.); საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კითხულობდა საჯარო ლექციებს რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. 1903 წ. ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ მიიწვია ქართული დასის რეჟისორად. მის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ჭიათურის შავი ქვის აღმოჩენა და მის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნა („გუნდა ქვის ამბავი“ – 1880 წ.). მანვე ჩაუყარა საფუძველი ქართული ზეპირსიტყვიერების შეგროვება-გამოქვეყნების საქმეს.

აკაკის არასოდეს უმსახურია სახელმწიფო დაწესებულებაში. მუდამ ამჯობინებდა პოეტის თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას, თუმცა არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საზოგადოებრივ-კულტურული თუ პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ის არ გამოხმაურებია. ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი ქართული საზოგადოების ერთ-ერთი წინამძღოლი იყო.

აკაკის შემოქმედება ხალხური სიტყვიერებით სუნთქავს. ხალხურ მოტივზეა აგებული მისი მრავალი ლექსი. ალბათ ამის გამოც შეიყვარა ხალხმა მისი ნაწარმოე-

ბები. აკაკის ლექსებზე ბევრი პოპულარული სიმღერა შეიქმნა: „სულიკო“, „ციცი-ნათელა“, „დაიგვიანეს“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და სხვ.

ქვეყნის ჭირისუფლობის, მშვენიერი ლექსების, დიდებული გარეგნობისა და მოსწრებული სიტყვა-პასუხის გამო თანამედროვეები აკაკის თითქმის აღმერთებდნენ. არც ერთ გვირგვინოსან მეფეს არ ღირსებია ასეთი თაყვანისცემაო, – წერდა მისი ერთ-ერთი თანამედროვე.

აკაკი ნამდვილი სახალხო პოეტი იყო. 1908 წელს მთელმა საქართველომ იზეიმა მისი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე.

1912 წელს პოეტმა რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა, რაც დიდ ეროვნულ დღესასწაულად იქცა, შემორჩენილია ამ მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. „მთელი ჩვენი კუთხე, მთელი რაჭა-ლეჩხუმი ფეხზე დადგა პირველსავე გაგონებაზე, აკაკი გვეწვევაო. დიდი თუ პატარა, ყველა თავისებურად ემზადებოდა მისი მოსვლისათვის. ზოგი ახალ ჩოხა-ახალუხს იკერავდა, ზოგი ცხენს ასვენებდა და ლაგამ-აბჯარს აახლებდა და ზოგი კიდევ, როგორც საგანგებოდ შემდგარი კომიტეტი, რომელსაც შეხვედრის ორგანიზაცია ევალებოდა, ათასგვარ საქმიანობას ეწეოდა, რომ საყვარელ სტუმარს საკადრისად დახვედროდნენ და ყველა აღტაცებით ასრულებდა კომიტეტის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას“, – იგონებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

აკაკი წერეთელი 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში. მთელმა საქართველომ დაიტირა საყვარელი პოეტი. სამგლოვიარო მატარებელს, რომლითაც აკაკის ცხედარს მოასვენებდნენ, მთელ გზაზე, საჩხერიდან თბილისამდე, უდიდესი გლოვითა და მწუხარებით ხვდებოდა ზღვა ხალხი. ყოველ სადგურში მატარებლის შესვლისა და დაძვრის დროს მდუმარე ადამიანები მუხლზე იჩოქებდნენ, ბავშვებს მოჰქონდათ ყვავილები და ამკობდნენ პოეტის ნეშტს. ახლომახლო სოფლებსა და დაბა-ქალაქებში სამგლოვიარო ზარების რეკვა გაისმოდა. ძაძით შემოსილი მატარებლის ვაგონზე შავი დროშები იყო აღმართული.

თბილისში აკაკის დაკრძალვას ასი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. პროცესიას წინ მიუძღოდა ერთადერთი გვირგვინი წარწერით: „აკაკის – საქართველო“.

„ქართული მწერლობის“ მიხედვით

ჩანგური

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სინმინდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი,
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

აღტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!..

მაშინ მხოლოდ ამ ჩემ ჩანგურს
აშორდება უქმად გდება

და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვფიცავ, არც ის მოსტყუებდა!

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმე მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..

რაგინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო, –
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს!

1871 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი სიმბოლოა ჩანგური ამ ლექსის მიხედვით? რას მიიჩნევს აკაკი პოეტის უპირველეს მოვალეობად?
2. როგორ გესმით სიტყვები, რომ პოეზია უნდა იყოს „ბანი ხან ლხენის, ხან მწუხარების“?
3. რას ნიშნავს პოეზიის „ორხმოვანება“?
4. რა განსაცდელისთვის უნდა იყოს მზად მართლის მთქმელი პოეტი? (რომელი ცნობილი პოეტის ცნობილი ლექსის სტრიქონებს გაგონებთ ეს ადგილი?).
5. როგორ გესმით პოეზიის მიზანი: „და გულს წრფელად ახურებდეს“?
6. დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთ ფსალმუნში ამბობს: „უკუეთუ დაგივინყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯუენეცა ჩემი! აექუნ ენაი ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ“. აკაკის ლექსის რომელი სტრიქონებია შთაგონებული ფსალმუნის ამ სიტყვებით?
7. შეიძლება თუ არა, აკაკის ამ ლექსს პირობითად რეალისტი მწერლის შემოქმედებითი მანიფესტი ვუწოდოთ? (პასუხი დაასაბუთეთ).
8. შეადარეთ ერთმანეთს აკაკი წერეთლის „ჩანგური“ და ილია ჭავჭავაძის „ჩემო კალამო“. რა საერთო და განსხვავებული მოტივები შეიმჩნევა ამ ლექსებში?



წიგნითი სამუშაო

გაიხსენეთ აკაკის „პოეტი“, რომელიც თქვენ უკვე ნასწავლი გაქვთ, ასევე ილია ჭავჭავაძის ამავე თემაზე შექმნილი ლექსები და დაწერეთ ესე: „პოეტისა და პოეზიის დანიშნულება ილიასა და აკაკის შემოქმედებაში“.

აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა¹;

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდულდა მაშინ სული და გული;
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
რომ დღეის-დღის ხმა ისმინოს გაისმა².

ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მინა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“³

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?“⁴

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..
აღერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“

მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

-
1. **ჭმუნვის ალი მენელა** – დარდი გამიქარვდა.
 2. **გაისმა** – მომავალმა დრომ.
 3. **სადარი** – დარიანი, მონმენდილი.
 4. **მონებდა** – მტრის ნებას დაჰყვა.

შეიბრაღე თავი შენი, იცოდე!¹
მაგ შარბათში სანამღავს ჰსვამ, იცოდე“.

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,²
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ველარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!³

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,⁴
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

1876 წ.

ღაკვირღეთ, გავანაღლიზოთ, შიკვაფასოთ

1. დააკვირღეთ ლექსის გართმვის ხერხს და რითმების ბგერით შედგენიღობას. რას ამჩნევთ?

ისეთ რითმას, რომღის ნევრები ფორმით ერთი და იგივეა, ხოლო შინაარსით განსხვავებული, **ომონიმური რითმა** ეწოდება; ფორმით და შინაარსით იდენტური ნევრებისაგან შედგენიღ რითმას კი **ტავტოლოგიურს** უწოდებენ.

- დააკვირღეთ თითოეულ სართიმო წყვიღს და უბასუხეთ, ომონიმური რითმებითაა განყობიღი ლექსი თუ ტავტოლოგიურით? (პასუხი დაასაბუთეთ).
2. როგორ ფიქრობთ, ხაღისიანი და მაჟორულია ლექსის დასაწყისი, თუ სევდიანი და ლირიკული?
3. რას გულისხმობს, თქვენი აზრით, აღმართ-აღმართ სვღა, საით მიემართება პოეტი? ძნელია თუ არა ამ გზაზე სიარული ლექსის მიხედვით? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. რა შვება მოჰგვარა პოეტს აღმართის დაძღევამ? როღის ივსება სიხარულით მისი გული? რა უქარვებს მას სიკვდიღის შიშს?
5. რა შეიძღება ვუნოდოთ ლექსის მესამე სტროფში აღწერიღ სულიერ მდგომარეობას?

1. იცოდე – შეიცოდე, შეიბრაღე.
2. დანაგული – დადაგული.
3. წა მალით – სწრაფად წადი.
4. ლოდებით – მოუთმენღად, მოლოღინით.

6. რაზე მიგვანიშნებს სიტყვა „შფოთვა“ ლექსის მეოთხე სტროფში? რომელ სტრიქონებში აღწევს ლექსის აღმავალი ტონი კულმინაციას?
7. როგორ გესმით სიტყვები: „ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მინა მე“?
8. რამ განაპირობა „დაღმართ“ სვლა?
9. როგორ ფიქრობთ, რისი ალევორიაა „ალერსით მთვრალი სატრფო“? კიდევ რომელი პოეტის შემოქმედებაში შეგხვდათ მსგავსი ალევორიული სახე?
10. როგორ არის ლექსში გამოხატული იმედის გაქრობით გამოწვეული ტკივილი?
11. რა შეიცვლებოდა, ეს ლექსი აკაკი წერეთელს სხვაგვარად რომ დაესათაურებინა? (მაგალითად, ასე: „დაღმართ-დაღმართ“, „არ მისმინა“ და სხვ.).



ეს საინტერესოა!

აკაკი წერეთლის ტექსტზე პირველი მუსიკალური ნაწარმოები 1889 წელს შექმნა ცნობილმა კომპოზიტორმა **მელიტონ ბალანჩივაძემ** (მაშინ იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო). მელიტონ ბალანჩივაძის რომანსმა „აღმართ-აღმართ“ სათავე დაუდო ამ მუსიკალურ ჟანრს ქართულ სინამდვილეში.

ჭალარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭალარა...
ველარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი¹ და ნალარა.²

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ლონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნალველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი –
სხვადასხვა მრავალ ნამითა.

მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე
მე, ანმყოგამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

1. დაფი – დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი.

2. ნალარა – ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,¹
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმოზ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი – ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს!?
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!...
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე, ვით კატა – ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინაუძღვის ყოველთვის
უძღური წინამორბედი!..

არა! აყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყვივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..

1886 წ.

1. გლახ-გულსა – აქ: დადარდიანებულ, დამწუხრებულ გულში.

1. როგორ წარმოგვიდგენს ლირიკული გმირი საკუთარ თავს ლექსის დასაწყისში? ვინ არის იგი, ვინ ესაუბრება მისი სახით მკითხველს? რისი ალევგორიაა, თქვენი აზრით, „დაფი“ და „ნალარა“?
2. რატომ მიიჩნევს ლექსის ლირიკული გმირი თავს „ანმყოფამნარებულად“?
3. რომელი ცნობილი პერსონაჟის სახით წარმოგვიდგა ამჯერად „ტყვე სატრფოსამშობლო“? რა არის ლირიკული გმირის ოცნება?
4. „ტყვე სატრფო-სამშობლოს“ გარდა, კიდევ რა მოტივი იჩენს თავს ამ ლექსში, რომელიც ასევე რომანტიკული პოეზიიდან იღებს სათავეს? (დააკვირდით, ვის უხმობს „დაფი“ და „ნალარა“). რომანტიკული პოეზიის გარდა, კიდევ სად იჩინა თავი ამ მოტივმა?
5. იმსჯელეთ, რატომ არის იმედი „ცის ნიჭი“, ხოლო ეჭვი – „ჯოჯოხეთის მოგზავნილი“? კიდევ რომელ ნაწარმოებში შეგხვდათ ეჭვის, საკუთარ არჩევანში დაეჭვების მსგავსი გააზრება?
6. მიაჩნია თუ არა ლირიკულ გმირს თავი სატრფოს გამომხსნელად? რაში ხედავს იგი თავის დანიშნულებას? კიდევ სად, რომელ ცნობილ ნაწარმოებში შეგხვდათ მსგავსი აზრი?
7. რა განწყობით მთავრდება ლექსი? როგორია ლექსის ინტონაცია – აღმავალი თუ დაღმავალი?

ეს სანტიქრესოა!

აკაკის გარეგნული ხატი

არსებობს აკაკი წერეთლის რამდენიმე ცნობილი სურათი, რომლებიც მლოცველივით სახე ზეაპრყობილ, ჭაღარით მოსილ მოხუც მგოსანს წარმოგვისახავენ.

არსებობს ძველი ფირი, რომელზედაც აკაკის ხმა არის ჩანერილი. დაღლილი, სუსტი ხმა, იგი ცახცახით წარმოთქვამს:

„პატარა რომ ვიყავი,
პაატარა ბიჭუკელა...“

როგორც „ილიადას“ ლეგენდარული ავტორი ძველ ელინთა წარმოდგენაში, ან ვიქტორ ჰიუგო თანამედროვე ფრანგების შეგნებაში, აკაკი წერეთელიც ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩენილია სიმღერებში გათეთრებულ წმინდა მოხუცად. ეს თითქმის სიმბოლოდ ქცეული გარეგნული ხატი მსცოვანი მგოსნისა, ჩვეულებრივ, ჩრდილავს ჩვენს წარმოდგენაში სახეს ბრძოლის წყურვილით ანთებულ, თვალბეკაშკაშა ახალგაზრდა აკაკისა, რომელიც თავის დროზე სხვა სამოციანელებთან ერთად ჭაბუკური დაუნდობლობით უტევდა „მამებს“...

სიმონ ჩიქოვანის სიტყვით: „აკაკი წერეთელმა ადრე დაიწყო პოეზიაში სიბერეზე ლაპარაკი და მკითხველთა შორის ჯერ კიდევ შუახნის ასაკში თავის მოხუცებულობის შესახებ აზრი განამტკიცა“.

ჩვენი ფიქრით, ამის ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ აკაკის „ლირიკულ ბუნებას“ სწორედ მსცოვანი მგოსნის სამოსელი შეეფერებოდა. სიბერის შარავანდე-

დი აკაკის განსაკუთრებით სჭირდებოდა არა მხოლოდ როგორც „მქადაგებელს და წინასწარმეტყველს“, არამედ როგორც ღრმად თავისებურ მომღერალსაც.

მისი ხმატკბილი გალობა, რომელიც ხშირად „გულამოსკვნილი ჩივილის“ სახეს იღებს, მისი თვით უმაღლესი ბედნიერების განცდის დროსაც ცრემლნარევი ხმა, მისი სიმღერის გულითადი, თითქოს მსმენელთადმი ფარული ზრუნვითა და ალერსით გამთბარი კილო სწორედ ჭაღარით მოსილი, სიმღერებში გათეთრებული პოეტის გარეგნობას მოითხოვდა.

ქართველი ერის შეგნებაში აკაკი წერეთელი სამუდამოდ დარჩენილია მოხუცი ბულბულის სახით, ისე როგორც იაკობ ნიკოლაძის ხელით ქვაში უკვდავყოფილი, იგი ყოველდღე გვხვდება ოპერის ბალთან მლოცველივით სახე ზეაპყრობილი, ცრემლმორეული დაღლილი თვალებით.

გურამ ასათიანი, 1974 წ.

თვალსაზრისი

ყური თუ თვალი?

სასტუმროში, ჩემს გვერდით, მომესმა ერთხელ აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება, რომელშიაც ნამდვილ სიტყვას ვერ გაარჩევდი: ეს იყო თითქო ლილინი, უსიტყვო სიმღერა. შემდეგ შევიტყე, რომ აკაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა: ჯერ მუსიკალური გულნება, როგორც შილლერი ამბობდა, და შემდგომ – „პოეტური იდეა“.

აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალი“.

მრავალი მაგალითიდან ერთი:

„ყანაო, მუშის სამოთხე, გლეხის დიდებავ, ყანაო!

ცისკრის სხივებმა შეგმოსეს და ნამმა გადაგბანაო,

დაგქროლა დილის ნიავმა, ალერსით გითხრა ნანაო,

ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა, ზურმუხტად აგამწვანაო“.

ალიტერაციით აქ ყანის შრიალი გაისმის: ყანა, ნანა, ნიავი, ნამმა, გადაგბანა, ჟუჟუნა, აგამწვანა. „ნარის“ ახმაურება აქ ნიავის გადარბენას იწვევს ყანაში.

„თვალი“ ნაკლებია აკაკის ლექსებში, როგორც საერთოდ ქართულ პოეზიაში, იქაც კი, საცა თვალს მეტი ადგილი აქვს. პროზაში ქართველი მწერლის თვალი სუსტია. საკვირველი კია, რადგან ქართველისათვის რაობა „ფერით“ ისაზღვრება (ყველაფერი, არაფერი).

აკაკის ლექსს აქვს „ყური“, ამიტომ რიტმიც უნდა ჰქონდეს – (და აქვს კიდეც). მხოლოდ ხანდახან „ყური“ მასაც ღალატობს (აქა-იქ). რატომ ხდება ეს?

გრიგოლ რობაქიძე

■ როგორ გესმით გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: „აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალი“? ეთანხმებით თუ არა ამ თვალსაზრისს?

გამზრდელი

ნამდვილი ამბავი
ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, მღვიმის პირად
მიწნული და მიგრებილი,
დრო და ჟამის შესაფერად –
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, –
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა-ელვას.

მაგრამ, როცა დაჰქათათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად¹
ეფინება არემარე,

მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავად ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზრდილ-გამონვრთნილი:
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს
ვინ ჰპატრონობს, ვისი არის?

და საამო კარ-მიდამოს
ვინ შესტრფის და ვინ შეჭხარის?

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედიტაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მიაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლად
მიიყვანა, ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუნონა, შეუფარდა...

ნაზიბროლა - სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მონყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

ელფერობით ვარდი არის,
სინაზით კი – მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველად
გულის კარი გაუღია.

1. ფიანდაზი — ხალიჩა.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში
სულს ცვლის,
ხორცს ენმახვნის! სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფროთხო ძილი!..

ქარი ზუის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან – აქ, ხან – იქ მთა-ღრეებში,
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!²
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვილაც მგზავრი
სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს!

დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსა გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
გამოალო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამფეხ სკამს – დაღალულს.

ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფეველის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს...
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის...
თავ-პირი აქვს შებუდნული
ყაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
და, ბაშლიყი³ რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა:

„მასპინძელო! – სიცილით სთქვა –
ნახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გენყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?“

„– საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...
ეს თვალეზი რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?“

მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი,
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

შეეხვენა: „აბა ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო.“

„– არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვანაირი გულისთქმისო...“

1. ენმახვნის — ეკვრის.

2. აუშვია ქვეყნად ზარი — თავზარი დაუცია ქვეყნისთვის.

3. ბაშლიყი — ყაბალახი.

უპასუხა და მოუყვა:

„მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

აღმასხიგს ხომ კარგად იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ,
ერთადერთი საშიშარი.

შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით¹ და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არად აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ემხით დაბმულია;

მთვარესავით ხელუხლები, -
სხივებს ჰფენს და არვის ათობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკობს.

ჯერ გაჰღალავს,² მიიბირებს,³
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..

და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

დამაჩემა: თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო!

ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი თავმომწონე.

აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ აღმასხიგის
ლურჯი ლაფშა⁴ მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძიშვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: „ვნუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგან სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო:

მის ოცნებას, მის გულისტქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მნარე სიკვდილს შეუწონო.⁵

1. ბიჭობით — ვაჟკაცობით.
2. გაჰღალავს — მოაჯადოებს.
3. მიიბირებს — მიინდობს, გადაიბირებს.
4. ლაფშა — ცხენი.
5. შეუწონო — შეუფარდო, გაუთანასწორო.

ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, –
სავაჟკაცოდ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!

მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილაც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

ერთმანეთის მინამსგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე – სხვა,
ისე, როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,

მაგრამ ჩვენში როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შეწვირავ შენს მეგობრობას!

შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაჰზუის თავზე ქარი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. თქვენ მიერ შესწავლილი რომელი ნაწარმოების დასაწყისს გაგონებთ „გამზრდელის“ დასაწყისი?
2. რაზე მიგვანიშნებს მწერლის მიერ მოქმედების ადგილის საგანგებო აღწერა, რისთვის გვამზადებს იგი? რა არის ამ გარემოს არსებითი მახასიათებელი?
3. როგორ გვიხასიათებს ავტორი ამ გარემოში მცხოვრებ ადამიანებს?
4. „კაცია-ადამიანი?!“ ილია ამბობს, რომ „კმაყოფილება მომაკვდინებელი სენია“. „გამზრდელის“ მიხედვით კი ბათუს ერთ-ერთი დადებითი თვისება ის არის, რომ იგი „მცირედითაც კმაყოფილია“. როგორ ფიქრობთ, ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ ილია და აკაკი სიტყვა „კმაყოფილება“? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. რომელი სიტყვებით გამოხატავს მწერალი ნაზიბროლას დამოკიდებულებას ბათუსადმი?
6. რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღწერილი იდილია მალე დასრულდება? რა ამბავრებს ამ მოლოდინს პოემის II თავის დასაწყისში?
7. ვინ აღმოჩნდა უამინდობაში მოსული სტუმარი? როგორ შეხვდა მას მასპინძელი? ბათუს ხასიათის რა თვისებები იკვეთება სტუმართან დამოკიდებულებაში? (დააკვირდით, როგორ უსმენს იგი სტუმარს, რა რეაქცია აქვს პირველად, რას ამბობს შემდეგ და რა გადაწყვეტილებას იღებს საბოლოოდ; როგორ უადვილებს სტუმარს ამ გადაწყვეტილების მიღებას).
8. საფარ-ბეგის ხასიათის რა თვისებები იკვეთება ამ ეპიზოდთან? (დააკვირდით, როგორ საუბრობს ის საყვარელ ქალზე, რა ადვილად თანხმდება იმას, რომ მის მაგივრად სხვამ ჩაიგდოს თავი ხიფათში).
9. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სტუმარმა თავისი მოსვლით უკვე დაარღვია მთის მწვერვალზე მდგარი „ფაცხის“ იდილია? (პასუხი დაასაბუთეთ).
10. როგორ წარმოგიდგენიათ მოქმედების შემდგომი განვითარება?

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად,
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ტკბილად მძინარ ნაზიბროლას,
თუ გავუძელ გულის ძვერას,
სულის ბრუნვას,¹ ხორცის ჟრჟოლას“ ...

სასოებით შედის ქვაბში
და რას ჰხედავს იქ საკვირველს?!
ნაზიბროლა ჩუმად სტირის,
პირს იხოკავს, იკანრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის² კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!..

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა,³ ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!

რაც გინახავს, სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!

ყოველგვარი მოსავალი⁴
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რას ემდური?

გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დაანყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

არ უთქვამს ქალს, რაც შეეცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა მის ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

-
1. სულის ბრუნვა – აფორიაქება.
 2. ტინი – კლდე.
 3. ზარმა დაჰკრა – თავზარი დაეცა.
 4. მოსავალი – აქ: მოსახდენი.

– „შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, ან კი გაემურე!
ნუ დამძრახავ, საკმარისად
თუ რომ ვერას გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოანყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მათ ცხენები,
ააღლევს, ააჩქარეს
და ვინრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდენ შორიასლოს
მინდვრის პირად, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

– „საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!“

არა სთქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედად
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,

ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვის ხელი!..“

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარალი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“

– „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გინოვია...“

რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდა გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად,

წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!“

გადმოხტა და ლურჯა ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

არც გვართ, არც ვაჟკაცობით,
 არც სიმდიდრით, არც ქონებით,
 ჰაჯი-უსუბ ცნობილია
 მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში, საზოგადოდ
 უმისობა არ იქნება;
 ხელის გულზე უნერია
 თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
 მნახველია ცა და ქვეყნის;
 ჯერ ისევე ჭანმაკია,¹
 თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, –
 არ ტყუილი ქადილია;²
 სადაც კია გვარიშვილი,
 ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა
 ისე, როგორც სხვები ყველა,
 მაგრამ მართო წვრთა³ რას იზამს,
 თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან
 მიდის ახლა საფარ-ბეგი,
 მორდუობის⁴ გამტეხი და
 ჩვეულების გადამდეგი.

ეუბნება ყოველიფერს,
 უნებურად რაც შეემთხვა;
 ცრემლები სდის და ეჩრება
 ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
 სახე მოინალვლიანა:
 სიდიადე ამ მუხთლობის
 თვალწინ გაისიგრძეგანა.

ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
 რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“
 – „მაპატივა შეცოდება,
 როგორც ძმამ და მეგობარმა!..“

მხოლოდ ეს კი დამავალა:
 ნახე შენი გამზრდელო
 და მაგ შენი საქციელის
 პასუხს მისგან მოველო!“

– „მესმის, მესმის და პასუხიც
 ჩემი მხოლოდ ეს არიო,
 რომ ნამუსის გასანმენდად
 ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..“

შეაყენა ზედა ფეხზე⁵
 მან დამბაჩა გატენილი;
 მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
 საფარ, მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
 „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
 სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
 რომ კაცად ვერ გამიზრდისხარ!“

წარმოსთქვა და საფეთქელში
 მიიჭედა ცხელი ტყვია!..
 ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
 წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ.

1. **ჭანმაკი** — ჭარმაგი, მხნე.

2. **ქადილი** — ტრაბახი.

3. **წვრთა** — წვრთნა, აღზრდა.

4. **მორდუობა** — ძუძუმტეობა.

5. **შეაყენა ზედა ფეხზე** — სასროლად მოამზადა.

1. ბათუს ხასიათის რა თვისებები იკვეთება ძალადობის მსხვერპლ ცოლთან და ახლად გამოღვიძებულ საფარ-ბეგთან დამოკიდებულებაში?
2. საიდან ჩანს, რომ საფარ-ბეგი მშვენივრად შეირგებდა ამ ცოდვას, თუკი ის დაფარული დარჩებოდა? როდის გაიღვიძა მასში სინდისის ქენჯნამ?
3. გულწრფელია თუ არა, თქვენი აზრით, საფარ-ბეგის სინანული? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. სწორად მოიქცა თუ არა ბათუ, როცა მხოლოდ მორალურად დასაჯა საფარ-ბეგი? რა უფრო დიდი სასჯელი იყო, თქვენი აზრით, საფარ-ბეგისათვის, ტყვია თუ სიტყვა? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. „ნადი ჩემგან შენდობილი,“ – ეუბნება ბათუ საფარ-ბეგს. თქვენი აზრით, მართლა შეუწოდო მან ძიძიშვილს? რას უფრო მეტი ვაჟკაცობა სჭირდება, შენდობას თუ დაუცველი მოძალადის დასჯას?
6. თქვენი აზრით, რა მიზნით აგზავნის ბათუ საფარს მოძღვართან? ბათუს რომ შეძლებოდა, რაც მოხდებოდა, იმის გათვალისწინება, მაინც გაგზავნიდა საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბთან?
7. როგორ მიგვანიშნა მწერალმა ბათუს უმძიმეს სულიერ მდგომარეობაზე საფარ-ბეგთან განშორების შემდეგ?
8. ვინ არის ჰაჯი-უსუბი? რატომ აღნიშნავს მწერალი საგანგებოდ, რომ ყაბარდოში ყველა გვარიშვილი მისი გაზრდილი იყო? რისი თქმა სურს მას ამით?
9. მიუხედავად იმისა, რომ ბათუ ამას ვერ შეამომჩმებდა, საფარ-ბეგი მართლა მივიდა თავის მოძღვართან (ზია-ხანუმი არც კი გახსენებია) და მკერდი სასიკვდილოდ მიუშვირა. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
10. მართალია, საფარ-ბეგმა მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჰაჯი-უსუბის ამავს მისთვის მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია?
11. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა მოძღვარი ასე, ვინ დასაჯა მან, საკუთარი თავი თუ საფარ-ბეგი?
12. თქვენი აზრით, ყოველივე ამის შემდეგ, რა უფრო დიდი სასჯელი იქნებოდა საფარ-ბეგისათვის სიკვდილი თუ სიცოცხლე?
13. პოემაში ორი აზრია გამოთქმული:

„... მარტო წვრთა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა“

და

„სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდისარ“.

- შეაფასეთ ორივე მათგანი; იმსჯელეთ, რა უფრო ძლიერია: ბუნება თუ აღზრდა?
14. ერთ-ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა აკაკის „გამზრდელი“ შეაფასა, როგორც „კლასიკური ნიმუში ქართული რეალიზმის პოეტური ხელოვნებისა“. როგორ გესმით ეს სიტყვები? ქართული რეალიზმისათვის დამახასიათებელი რა კონცეპტუალური საკითხი აისახა ამ პოემაში? (გაიხსენეთ, რა მნიშვნელობას ანიჭებდა რეალისტური ხელოვნება ადამიანის აღზრდას).

ეს საინტერესოა!

რა განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს: აღზრდა თუ თანდაყოლილი ბუნება. ეს კითხვა უძველესი დროიდან მოსდევს კაცობრიობის ისტორიას. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ადამიანი იბადება როგორც „სუფთა დაფა“ და მასზე რაც მოგესურვება, იმას დაწერ, ანუ ითვლებოდა, რომ ადამიანის ხასიათი, მისი ქცევების ჩამოყალიბება მთლიანად აღზრდასა და გარემოზე იყო დამოკიდებული. არსებობდა სანინაალმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ადამიანი უკვე განსაზღვრული, მემკვიდრეობით მიღებული თვისებებითა და მიდრეკილებებით იბადება და აღზრდასა და გარემოს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია მასზე გავლენის მოხდენა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ფსიქოლოგებმა ამ თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს.¹ იმის დასადგენად, თუ რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევებს და მის ცხოვრებისეულ პოზიციას, აღზრდა თუ თანდაყოლილი ბუნება, მეცნიერებმა სხვადასხვა გარემოში აღზრდილი ტყუპისცალების ცხოვრება შეისწავლეს, ანუ იმ ადამიანებისა, რომლებსაც საერთო გენები ჰქონდათ, მაგრამ გარემოებამ ისინი ერთმანეთს დააცილა და სხვადასხვა ვითარებაში აღიზარდნენ.

აღმოჩნდა, რომ ადამიანის ხასიათსა და ქცევებს ზრდასრულ ასაკში 50 %-ით მისი თანდაყოლილი თვისებები, ანუ გენეტიკა განსაზღვრავს, 50 %-ით — ზოგადი (ოჯახი, ქვეყანა, კულტურა) და ინდივიდუალური გარემო (მისი უშუალო გამოცდილება, მშობლებთან, და-ძმებთან, მეგობრებთან დამოკიდებულება; ის, თუ რა შეემთხვა უშუალოდ მას, რა დაავადებები გადაიტანა და ა.შ).

კომპლექსური დავალება 9. გამოსხაურების დაწერა კონკრეტულ ნაწარმოებზე

დაწერეთ გამოსხაურება, რომელშიც გადმოსცემთ თქვენს მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს აკაკი წერეთლის პოემაზე „გამზრდელი“.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- რა არის აკაკი წერეთლის პოემის მთავარი სათქმელი, სად, პოემის რომელ ნაწილში იკვეთება ეს სათქმელი განსაკუთრებით;
- ვინ არიან პოემის მთავარი პერსონაჟები. თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟებისადმი, მათი რომელი საქციელი მოგეწონათ და რატომ; როგორ აისახა მათ საქციელში პოემის მთავარი სათქმელი;
- რაზე დაგაფიქრათ, რა გამოცდილება შეგძინათ პოემის წაკითხვამ;
- ურჩევდით თუ არა თქვენს თანატოლებს ამ პოემის წაკითხვას და რატომ.

1. ვგულისხმობთ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის სტივენ პინკერის წიგნს „სუფთა ფურცელი“ (გამოცემულია 2002 წელს ინგლისურ ენაზე).



აკაკი მუხიანში. 1913 წ. 15 სექტემბერი.

ახალი თაობის ენა

„თერგდალეულთა“ ღვაწლი ახალი ქართულის დასამკვიდრებლად

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ძველი და ახალი თაობა ერთმანეთთან დაპირისპირებული აღმოჩნდა, ეს იყო სალიტერატურო (სამწერლობო) ენის საკითხი. ეს საკითხი ე.წ. „მამებსა“ და „შვილებს“ სხვადასხვაგვარად ესმოდათ. „მამებს“ ძველი ქართულისკენ გადახრილი სალიტერატურო ენა ჰქონდათ დასახული იდეალად, სინამდვილეში კი ძველ ქართულს მიმსგავსებულ ხელოვნურ ენას ქმნიდნენ. ხოლო ილია და მისი თაობა, როგორც რეალიზმის ერთგულნი, სალიტერატურო ენის ბუნებრივ ქართულ მეტყველებასთან დაახლოებას, ანუ „გახალხურებას“, უჭერდნენ მხარს.

ამ განსხვავებას დაკვირვებული თვალი და ყური რომანტიკოსთა და „თერგდალეულთა“ ნაწარმოებების კითხვისას დამოუკიდებლადაც შენიშნავს.

ამ საკითხზე მაშინ ბევრი დაიწერა, მათ შორის, ძალზე მძაფრი პოლემიკის სახითაც. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარია ის პოზიცია, რომელიც სწორად აღიქვამდა ქართული სალიტერატურო ენის ახალ ტენდენციებს. ასეთი იყო „თერგდალეულთა“ დამოკიდებულება, რაც შეიძლება ყველაზე მოკლედ ორი ციტატით გადმოიცეს:

„ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა“ (ილია ჭავჭავაძე);

„გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“ (აკაკი წერეთელი).

ამ პოზიციის გასააზრებლად საჭიროა გავიხსენოთ:

„ვეფხისტყაოსანი“ დიდი ისტორიული ნიშანსვეტი აღმოჩნდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც. სწორედ ის იყო მიჯნა, ერთი მხრივ, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ურყევი განვითარების ხანგრძლივი პერიოდისა, მეორე მხრივ, მან დაუდო სათავე ახალი სალიტერატურო ენის განვითარებას. ეს განვითარება ბუნებრივად რომ წარმართულიყო, მაშინ ახალი ქართულის ჩამოყალიბება ასე არ გახანგრძლივდებოდა.

სწორედ ისტორიული ძნელბედობა იყო მიზეზი იმისა, რომ მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ აღადგინეს ეს ხაზი სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა.

მაგრამ ახალი ქართულისათვის „ბრძოლა“ თანმიმდევრული და გააზრებული მხოლოდ ილიას მოსვლის შემდეგ გახდა.

ილიასა და მისი თაობის ენობრივი რეფორმა შეეხო სალიტერატურო ქართულის არსებითად ყველა მხარეს – გრამატიკასაც და ლექსიკასაც.

მაგრამ განსაკუთრებით ხელშესახები ეს ცვლილებები მაინც ანბანის სფეროში აღმოჩნდა.

ამ დროისათვის (XIX საუკუნისათვის) სალიტერატურო ქართულ მეტყველებაში უკვე აღარ არსებობდა ის ბგერები, რომლებიც ძველ ქართულში შემდეგი ასონიშნებით გამოიხატებოდა: **ჲ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ**. მაგრამ ძველი თაობის მწერლები, არქაული ნორმების გავლენით, ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ მათ (არცთუ იშვითად სერიოზული შეცდომებითაც).

ილია ჭავჭავაძის დამსახურება ისაა, რომ მან წერტილი დაუსვა ამ უსარგებლო ინერციას – ძველი ქართულის შესაფერისი ასონიშნები ამოიღეს ახალი ქართული ორთოგრაფიიდან.

იმსჯელეთ:

- რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, ჩვეულებისამებრ, არ გვხვდება დასახელებული ასონიშნები?
- ნიშნავს თუ არა ილიას ეს პოზიცია იმას, რომ მითითებული ასონიშნების გამოყენებაზე ძველი ქართული ტექსტების გადმოცემის დროსაც უარი უნდა ითქვას?
- შესამჩნევია, რომ ილიას პოეზიის ენა უფრო ძველისკენ იხრება, ვიდრე პროზაული ნაწარმოებებისა, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ობიექტური და სუბიექტური რეალისტი მწერლების სალიტერატურო ენაში

როგორც ითქვა, ახალმა თაობამ სალიტერატურო ენის საკითხში ერთიანი და გააზრებული გეზი აიღო. ისინი ერთნი იყვნენ იმაში, რომ მწერლობის ენა ცოცხალ თანამედროვე მეტყველებას უნდა დაახლოებოდა და თავ-თავის წილად ამ აზრს თავიანთი თხზულებებითაც განამტკიცებდნენ.

მაგრამ ახალი თაობის ცალკეულ წარმომადგენელთა ენა მაინც დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ისინი ზოგჯერ ერთმანეთსაც კენწლავდნენ ენის გამო (მაგალითად, ცნობილია, რომ აკაკიმ ვაჟა-ფშაველას პირდაპირ უთხრა: „ენას გინუნებ, ფშაველო!..“).

რა განაპირობებდა ამ განსხვავებას?

მიზეზი ის არის, რომ ამ დროისათვის ახალი სალიტერატურო ქართული ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ერთიანი ნორმები არ არსებობდა (ასეთი რამ მხოლოდ უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ გახდა შესაძლებელი), ამიტომაც სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულება მაინც სუბიექტური იყო. როგორც იტყვიან, თითოეული საკუთარი სამრეკლოდან იცქირებოდა. მწერალზე ის ენობრივი გარემო ახდენდა გავლენას, რომელშიც მისი ენობრივი ჩვევები ჩამოყალიბებულიყო. ილია ჭავჭავაძე, როგორც ცოცხალ მეტყველებას, ქართლ-კახურს ემყარებოდა, აკაკი — იმერულს, ვაჟა-ფშაველა — ფშაურს...

ამის გამო **ილია ჭავჭავაძის** ენისთვის, მაგალითად, დამახასიათებელია:

1. **-დამ** თანდებული. ამ თანდებულს ილია, ჩვეულებისამებრ, იყენებს **-დან** თანდებულის მონაცვლედ; თუმცა ეს თანდებული სულ სხვაგვარი წარმომავლობის აღმოჩნდა — ის უფრო ადრე **დაღმე** სახით გვხვდება (**-დან** კი **-გან** თანდებულისაგან მომდინარეობს: **-ით -გან -დან**). მაგ.: „მე კი თითები**დამ** ზეთი და ერბო მწვეთდა თუ!“ „...რომ გული**დამ** კლიტე აჰგლიჯეს...“
2. მესამე ობიექტური პირის ნიშნების ზედმეტად (არასაჭიროებისამებრ) გამოყენება. მაგ.: „აგერ მერცხალი **ჰსჭყვივს**“; „ეს რადა **ჰღირს**“; „ერთი ათიოდ მანეთი შემო**ჰხარჯო**და“; „**ჰფიქრობ**და გულში გიორგი“.
3. I პირის ნიშნის კლება სასხვისო ქცევის უ-სთან. მაგ.: „ყურს დაუგდებდი (მე)...“; „დარდს გაუტეხივარ“...

აკაკი წერეთლის ენისათვის კი ამ პირის ნიშნების როგორც მეტობაა დამახასიათებელი, ისე კლება. მაგ.:

1. მეტობა: „ალარ **სჩანდენ**“; „მწუხარებით **სთქვა**“; „ჯერ კახეთი ჩაჰყლაპოს“.
2. კლება: „მდულარე ცრემლები წურწურით ჩამოდიოდნენ წვერულვაშზე“; „ამ სოფელს გამოთხოვებიხართ“...

ასევე, მისი ენისათვის დამახასიათებელია ცალკეული ფორმების თავისებური გამოყენება: „ქმარმა უამბო ყოველიფერი“; „ორჯელ-სამჯელ დაიკრა მუხლებზე ხელი“; „მაგრე გაგონილა ლაპარაკი?“

დავალემა: სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებში ავტორთა ენობრივი თავისებურებები შენარჩუნებულია. ეს შესაძლებლობას გაძლევთ, თითოეული მწერლის თხზულებებიდან ამოკრიბოთ ის მაგალითები, რომლებიც მათ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებისაგან განსხვავებს.

თავი IV

ფესვებთან დაბრუნება

„ვაჟამ დაკარგა თავისი ფესვები და ხალხის ფესვებში გაიბნა; მან დაკარგა თავისი სმა, რომ ხალხის სმით ამღვრებულყო. სხვა ხალხთა ცხოვრებაში და ლიტერატურის ისტორიაში ასეთი მწერლები იბადებიან მწერლობის დაწეებისთანავე... ვაჟა-ფშაველამ კი გაიარა თანამედროვე ზოგადი მსაქმის გზა; მან იცოდა მე-19 საუკუნის ევლეა საწამლავი, მაგრამ მასში მაინც სძლია უშუალო ზოგადობა ინტუიციამ და გადნა ხალხში, რომ შემდეგ ამდგარიყო გამარჯვებული სიუვარულის სიმღერით.“

ტიციან ტაბიძე



ვაჟა-ფშაველა. მხატვარი – გოგი ოჩიაური

შინაარსი

ვაჟა-ფშაველა	295
მოვეფხადოთ ტექსტების წასაკითხად	
სიმბოლო	297
კითხვის სტრატეგია	
სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა	297
ღამე მთაში	398
არაგვს	301
კიდევაც ვნახავ გაზაფხულს	303
რატომ ჰქვია ვაჟას ბავშვ ლექსს „სიმღერა“?	304
მთანი მაღალნი	306
სიმღერა	309
ფშაური ადამ-ნესები და ვაჟა-ფშაველას პოეზია	311
ალუდა ქეთელაური	314
„ალუდა ქეთელაური“ და ფშავ-ხევსურული მითოსი	328
სტუმარ-მასპინძელი	330
ბახტრიონი	351
ვაჟა-ფშაველას პოემების ხალხური წყაროები —	
კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი	379
კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი	382
მწერლის ენა	
ვაჟა-ფშაველას ენის საკითხი	385
პირის ნიშნების გამოყენება და მართლწერა XIX საუკუნის მწერლობაში	386
ვაჟა-ფშაველას ლექსიკა	387
ვაჟა-ფშაველას ფრაზეოლოგია	387
ბოლო სიტყვა, ანუ ვაჟა-ფშაველას ანდერძი	389



ვაჟა-ფშაველა

(1861-1915)

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) დაიბადა ფშავეში, სოფელ ჩარგალში.

ათ წლამდე ვაჟა ჩარგალში იზრდებოდა, როგორც მთიელი ბავშვი, ჩაბმული ოჯახურ საქმიანობასა და იქაურ გასართობებში, შემდეგ კი იგი მიაბარეს თელავის სასულიერო სასწავლებელში.

1877 წელს ვაჟამ სწავლა გააგრძელა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში.

1879 წელს გაზეთ „დროებაში“ პირველად გამოქვეყნდა ვაჟას კორესპონდენციები: „წერილი ხევსურეთიდან“, „ფშავის ხვეიდან“, „სოფ. ხახმატი“, რითაც მწერალი ცდილობდა საზოგადოებისთვის ფშავ-ხევსურეთი გაეცნო. ლუკა რუსულიდანაც თარგმნიდა და მისი თარგმანები „ივერიაშიც“ იბეჭდებოდა.

1882 წლიდან ვაჟა სკოლის მასწავლებლად გაანაწილეს ერწოში, ტოლათ-სოფელში. დიდი სიყვარულით შეუდგა საქმეს. გაკვეთილების შემდეგაც კი თავს დასტრიალებდა ბავშვებს, ხშირად წიგნებს ღამითაც კი უკითხავდა. იგი იბრძოდა სკოლის ინტერესებისათვის, ექომაგებოდა გლეხებს, აქვეყნებდა მწვავე კრიტიკულ სტატიებს, რითაც გადაიკიდა ადგილობრივი ბოზოლები და სამღვდელთა. ამის გამო უჩივლეს, შანტაჟი მოუწყვეს და აიძულეს, „საკუთარი თხოვნით“ „ჯანმრთელობის მოშლის საფუძველზე“ განთავისუფლებულიყო სამსახურიდან.

1885 წლის გაზაფხულიდან ჟურნალ-გაზეთებში თანდათან გამოჩნდა მისი ლექსები, ფელეტონები, მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“. ამავე დროს, ვაჟა გორთან ახლოს, სოფელ ოთარშენში, შინამასწავლებლად მიიწვიეს თავად ოთარ ამილახვრის ოჯახში, სადაც შეხვდა კეკე ნებიერიძეს და 1886 წელს იქორწინა კიდეც მასზე. დაქორწინების შემდეგ ვაჟა-ფშაველა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ მისი განცხადების საფუძველზე დაინიშნა დიდი თონეთის სკოლაში მასწავლებლად. იგი აქაც გულიანად მოეკიდა საქმეს, მშობლებთანაც კი მუშაობდა, რათა აეხსნა მათთვის სწავლის აუცილებლობა და მშობლის როლი ბავშვის აღზრდის საქმეში. მოსახლეობა კარგად განეწყობა მასწავლებლის მიმართ, მაგრამ აქაც მამასახლისმა და მღვდელმა რამდენჯერმე უჩივლეს ვაჟას, ბოლოს ისარგებლეს მისი ავადმყოფობით (რის გამოც თონეთში არ იმყოფებოდა) და მოახსენვენეს მასწავლებლობიდან – არ გაჭრა არც ვაჟას პროტესტმა და არც სოფელთა თხოვნამ ლუკა რაზიკაშვილის დაბრუნების შესახებ.

ამის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვაჟა „ივერიის“ რედაქციაში სამუშაოდ მიიწვია. ილია ეჭვობდა: „ცოდო არ იქნება, მისი ნიჭი გაზეთში ჩავკლათო?!“ მართლაც, მწერალმა მხოლოდ სამ დღეს იმუშავა რედაქციაში და გამოაცხადა, რომ იქ მუშაობას ვერ შეძლებდა. მაშინ თათბირზე გადაწყვიტეს, რომ მიეცათ ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი იმ პირობით, რომ ყოველთვიურად რაიმე ნაწარმოებს მიაწვდიდა რედაქციას. ამის შემდეგ, 1888 წლის ბოლოს, ვაჟა ჩარგალში დაბრუნდა.

ვაჟას მძიმე ფიზიკური შრომით გაჰქონდა თავი, უთქვამს კიდევ: „თუ ეს მინა არ ავჩიჩქნე და პური არ მოვიყვანე, ყველანი მშვირები დავიხოცებით, რადგან ჩემი პოეტობა-მწერლობა ნავთის, მარილის ფულს ძლივს მადლევსო“. ძირითადად ღამით წერდა ან წვიმიანსა თუ უქმე დღეებში. ხშირად ნავთი არ ჰქონდა და ცეცხლის შუქზე წერდა.

ვაჟას ნაწერები იბეჭდებოდა „დროებაში“, „კვალში“, „თეატრში“, „ჯეჯილში“, „მწყემსში“, ძირითადად კი – „ივერიაში“.

1905 წელს ვაჟამ ფშავ-ხევსურთა კრება მოიწვია, რომელზეც საქართველოს გასათავისუფლებლად ბრძოლა ან სიკვდილი გადაწყვიტეს, ბელადი თვითონ უნდა ყოფილიყო, ფიცის ფურცელიცა და დეკლარაციაც მანვე შეადგინა. ხალხიც დააფიცა – პირველსავე დაძახილზე ყველა საომრად გამოსულიყო, ბრძოლის გეგმაც დასახა. ილიასა და საქართველოს დასაცავად დაწერა წერილები „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა“. ილიას მკვლელობის შემდეგ ვაჟამ დაწერა ლექსი: „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ და, როგორც იგონებს სანდრო შანშიაშვილი, საქართველოს აჯანყების გეგმაც შეადგინა.

ვაჟას ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა... 1915 წლის აპრილში მძიმედ დაავადებული ვაჟა თბილისში ჩამოვიდა.

14 ივნისს ვაჟა წმ. ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში გადაიყვანეს. წყაროს წყალი მოითხოვა და სანდრო შანშიაშვილმა და შიო მღვიმელმა მამადავითის კლდიდან გამოსული წყალი მიუტანეს. ამან ცოტა მოალონიერა. მერე ექთანს სთხოვა, ლოგინი იატაკზე გამიშალეთ და გარშემო ბალახები და ყვავილები შემომინყვეთო. მაშინვე აუსრულეს თხოვნა. მალე გონება დაკარგა და ერთი საათის შემდეგ, 1915 წლის 27 ივლისს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა.

დიდებული დასაფლავება მოუწყვეს, როგორც გვჩვენებია ქართველებს, დასაკრძალი თანხაც გადმოურიცხეს, ორატორული ნიჭიც გამოამჟღავნეს, იმდენი ხალხი იყო, რომ ვაჟას ქალიშვილი, თამარი, ცხედრამდე ვერ მიაღწევდა, შემთხვევით ნაცნობს რომ არ გადასწყდომოდა...

ვაჟას ანდერძად ჰქონდა დატოვებული, ჩარგალში, საყდართგორზე დამმარხეთო. არც ეს ანდერძი შეუსრულეს: თბილისში, დიდუბის პანთეონში დამარხეს ფშაური წესისა და დატირების გარეშე.

გარდაცვალებიდან 20 წლისთავზე ვაჟას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.

ამოკრებილია გიგი ხორნაულის ნიგნიდან
„ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი.“

მთვამზადლოთ ცოდნის ქასაკითხად

დავაკავშიროთ

არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

ვაჟა-ფშაველას თხზულებებს თქვენ წინა კლასებშიც ეცნობოდით. ალბათ ისიც შეგიმჩნევიათ, რომ იგი სხვებისაგან გამორჩეული მწერალია. რა განაპირობებს, თქვენი აზრით, ამ გამორჩეულობას?

სახელმძღვანელოს ამ თავს, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას წარმოგვიდგენს, „ფესვებთან დაბრუნება“ ეწოდება. ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, რომელიც სათავეს ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერების წიაღიდან იღებს, ხალხის უძველესი რწმენა-წარმოდგენებია ასახული. მითოსურ სამყაროს (ძველთაძველ ამბებს, თქმულებებს, გადმოცემებს), რომელიც მის შემოქმედებაში ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან შედის, ცხადია, გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს და მისი ამოცნობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გააზრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

გავანალიზოთ

ტექსტის ანალიზის ელემენტები

სიმბოლო. თქვენ უკვე იცით, რომ სიმბოლო არის რაიმე კონკრეტული (საგანი, მოვლენა, არსება), რომელიც რაღაც აბსტრაქტულს (მაგალითად, იდეას) გამოხატავს. **ალეგორიისაგან** განსხვავებით, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იშიფრება, სიმბოლოს მრავალი მნიშვნელობა აქვს, მისი შინაარსი ამოუნურავია. სიმბოლო არის მინიშნება, მითითება რაღაც საიდუმლო არსზე.

გამოვიყენოთ

კითხვის სტრატეგია

სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა. მწერლის მიერ შექმნილი სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოსაცნობად, მისი ესთეტიკური მრწამსის გარდა, ხშირად ეპოქალური კონტექსტის გათვალისწინებაც საჭიროა. ამ ურთულესი ამოცანის დაძლევაში თქვენ წინარმოებების დასამუშავებლად განკუთვნილი კითხვარი, სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული მასალა (ცალკეული სტატიები) და მათი განსჯა-გაანალიზება დაგეხმარებათ.

ღამე მთაში

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის¹ თავზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა,
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,²
სხივნი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა.
მგზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა.
მთებს ჩაუცვიათ შავები,
ჭმუნვით დასცქერენ ხევებსა;
ცივს ნიავს შესთავაზობენ
უფსკრულს მოარულს დევებსა;
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა.³
გორითგორს ბუვი⁴ გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,
დარაჯად დაადგებისა.
მითამ⁵ იციან ღავლუვი,⁶
რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!
წყალი სჩქეფს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია? –
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა⁷ გორია...
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუნონია.⁸
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!..

ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლგადამდინარედ!
ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება.
უეცრად შუალამისას
ცას ჯანლი დაეფინება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირლია დაგვეღირება,⁹
ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ,
საჭმელად დაგვეპირება.
მოჰსქედება ქარი და ღვარი,
სდგას ლენა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდნილა
დიდი შიშის და ძრწოლისა.
მთელი მთა-ბარი იქცევა,
მეორმოსვლაა სწორედა!
მოჰკანწავს ღვარი ტყე-კლდეებს,
მოაქვს და მოსდგამს ყორედა.
ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად¹⁰ მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..

1890 წ.

1. დაგვნათოის – დაგვნათის. 2. ფხა – მთის (გორის) ვიწრო ზურგი. 3. დანატევები – პირდაპირ, ჯიქურ მოსული. 4. ბუვი – ბუ. 5. მითამ – აკი, ხომ. 6. ღავლუვი – ღავლავი, ყმუილი. 7. ფერცხალა – ვიწროზურგიანი. 8. შაუნონია – შეუწყვია. 9. დაგვეღირება – ჩვენკენ ნამოვა, შემოგვიტევს. 10. ერთფერად – ერთნაირად.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი სურათია აღწერილი ლექსის დასაწყისში? რა მხატვრულ ხერხს მიმართავს პოეტი?
2. რის მოლოდინს აღძრავს ლექსში ნახსენები გზააბნეული მგზავრი, მჭმუნვარე მთები, ძაძით მოსილი ტყე, მთრთოლვარე ყვავილები, გაყურებული მგლების ჯოგი?
3. ვაჟას აზრით, რა არის ბუნების სიტუაციის მიზეზი?
4. რა შეენაცვლა ბუნების მშვიდი სურათის აღწერას ლექსის მეორე ნაწილში? რისი სიმბოლოა შავი ვეშაპი? გამართლდა თუ არა მოლოდინი?
5. რაზე მეტყველებს ბუნებისთვის დამახასიათებელი სისასტიკე, ავ-კარგის განურჩევლობა? ემორჩილებიან თუ არა ბუნების მოვლენები ზნეობის კანონებს?
6. ერთი ფილოსოფოსი ბრძანებდა: ორი რამ მაცებს ამქვეყნად – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს თავს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩემშიო. ე.ი. ვისში ყოფილა საძიებელი ზნეობრივი კანონი? თქვენი აზრით, განუხრელად აღასრულებს თუ არა ადამიანი ზნეობრივ კანონებს?
7. იმსჯელეთ, ერთნაირი კანონზომიერებები მოქმედებს თუ არა ბუნებასა და ადამიანებში (საზოგადოებაში)?
8. როგორაა ლექსში გამოხატული დაპირისპირებულთა ერთიანობის იდეა?
9. რა განწყობილებამ იჩინა თავი ლექსის ფინალში?

დამატებითი ამოცანა

ორი ციტატა

ვაჟა-ფშაველა :

„... ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მინას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლგადამდინარედ!“

1890 წ.

კონრად ლორენცი: ¹

„მასაზრდოებელი ცოცხალი ბუნების, გარემოს ბარბაროსული განადგურებით ცივილიზებული კაცობრიობა კატასტროფას იახლოვებს... ადამიანს ყველაზე ნაკლებ ადარდებს ის, თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებს მის სულს ეს ველური ქმედებები. ცოცხალი ბუნებისგან ყოველმხრივი და სულ უფრო მეტად დაჩქარებული

1. კონრად ლორენცი (1903-1980) – გამოჩენილი ავსტრიელი ბიოლოგი და მოაზროვნე, ნობელის პრემიის ლაურეატი.

გაუცხოება იწვევს ცივილიზებულ ადამიანებში ესთეტიკურ და ეთიკურ გულგრილობას.

როგორ უნდა გაუჩნდეს მოზარდს რაიმეს მიმართ მონინება, თუ მის ირგვლივ ყველაფერი მხოლოდ ადამიანის ხელით არის შექმნილი და თანაც ყოველივე ეს უბადრუკია და ამაზრზენი? ქალაქის ბინადარს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ვერ დაუნახავს, ვინაიდან ამაში მრავალსართულიანი სახლები და ატმოსფეროს ქიმიური დაბინძურება უშლის ხელს“.

1972 წ.

იმსჯელეთ ამ ორ გამონათქვამზე. დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია!



ვაჟა-ფშაველა. მხატვარი – გოგი ოჩიაური

არაბჰს

დანუხებულმა,¹ არაგვო,
რო გნახე, გავიხარეო,
სრულიად გამოვიცვალე,
ნელშიაც ავიხარეო.²

რა ლამაზია, ნყეულო,
შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,³
გააფთრებულსა ტალღასა
კლდეს რო წაუვლენ თქერანი!⁴

შენ თვალს გარიდებ მაშინა,
მთებისკე მწადის ცქერანი,
უნდომლად⁵ მამინდებიან
ბედკრულს ბედკრულნი მღერანი.

გულიც იქ იწევს, თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია.
ვინც რო გიჟმაჟი გაგზარდა,
ვის ძუძუც პირში გდებია, –
იმათ კალთაზემც მოვკვდები,
მათ ლოდი გულსამც მდებია!

ზაფხულში აყოვდებიან
მკერდნიც კი სალის კლდისანი,
ყოილთ⁶ პირს ეკონებთან
ცივნი ნამცვრევი⁷ ცისანი.

გაჰყურებია ნიავსა
ჯიხვი ყელ-ყურით ლამაზი,
აღარ აჩხერებს⁸ ქვიშათა
კლდით კლდეზე მხტომი გავაზი.⁹

ხან რომ ცა მაიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზედ დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები.

თმებს უკუიყრის ნაკადი,
ცისაკ¹⁰ დაიწყებს ცქერასა,
შაჰყურებს გაოცებული
შავის ღრუბლების მღერასა.
რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა?!

ხშირად მოხეტქილს წვიმასა
სიპისა¹¹ აქვის ღარები,
აქა-იქ გაიმტვრევიან
პირგაშაული ღვარები;
იზიდებიან¹² შენკენა
ის გრძნობისაგან მთვრალეები,
იმათ ველარა დაიჭერს,
თუნდ რკინის დაჰხვდეს კარები!

ახლა ავდარიც გადიყრის
და მზეც გადივლის გორასა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნისლეები
ხევებში სდგამენ გორასა.¹³
ველარა ჰბედვენ ბეჩავნი
მთებისად¹⁴ მეხის სროლასა,
მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი
სახვალიოდაც ბრძოლასა!

1886 წ.

1. დანუხება – მონატრება. 2. ავიხარე – გავიმართე. 3. ჩქერა – ჩხრიალი. 4. თქერა – თქრიალი. 5. უნდომლად – ძალაუნებურად. 6. ყოილი – ყვაილი. 7. ნამცვრევი – ნაპკურები (ნამი, ცვარი). 8. აჩხერებს – აჩხრიალებს. 9. გავაზი – შავარდნისებრი ფრინველი. 10. ცისაკ – ცისკენ. 11. სიპი – სწორზედაპირიანი ბრტყელი ქვა. 12. იზიდებიან – იწევენ. 13. გორა – გროვა. 14. მთებისად – მთებისთვის.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რით ხიბლავს პოეტს არაგვის ხილვა? რა ძალას ანიჭებს მას მშფოთვარე მდინარე?
2. კონტექსტის გათვალისწინებით გაარკვიეთ, რა მნიშვნელობით არის ლექსში ნახმარი მიმართვის ფორმა – „წყეულო“?

კომენტარი : არსებობს სტილისტიკური ხერხი, რომლის მეშვეობითაც სიტყვას ან გამოთქმას საპირისპირო მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ სტილისტიკურ ხერხს **ანტიფრაზისი** ეწოდება.

3. მესამე სტროფის რომელი ტაეპით დაიწყო ლექსში ახალი, გაცილებით ვრცელი ნაწილი?
4. რატომ გადაინაცვლა პოეტის მზერამ მთებისაკენ? რა უსაზრდოებიათ მთებს?
5. რომელი სიტყვებით გამოხატა პოეტმა თავისი სანუკვარი სურვილი?
6. როდის ხდება მთები განსაკუთრებით ლამაზი?
7. რა კონტრასტული სურათი ენაცვლება მშვიდი ბუნების აღწერას? რას ემსახურება გაავდრების შთამბეჭდავი სურათის აღწერა? ამ აღწერაში რომელი ტაეპი ეხმიანება უშუალოდ ლექსის სათაურს?
8. როგორი ძალა აღმოაჩნდა არაგვის მასაზრდოებელ მთებს? რა უფრო ხიბლავს პოეტს – ამ ძალის ჩვენება თუ ბუნების უმფოთველი სურათების გაცოცხლება?
9. როგორმა სულისკვეთებამ იჩინა თავი ლექსის ფინალში?
10. კომპოზიციის თვალსზრისით, რა განასხვავებს „არაგვს“ ადრე ნასწავლი ლექსისაგან („ღამე მთაში“)?
11. იპოვეთ ლექსში გაპიროვნების ნიმუშები.

დამატებითი ამოცანა

არაგვის კვლდაკვალ

(ვიხსენებთ ადრე ნასწავლ ტექსტებს)

ა. „ბედი ქართლისა“

ბ. „ბაში-აჩუკი“

ერთი წინადადებით გადმოეცით, რა როლი აკისრია ამ ნაწარმოებებში არაგვს?

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს

(სიმღერა)

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს,¹ ყვავილიანსა.

კიდევაც ვნახავ, ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,²
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა³ შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ, ია მთელია,
სუნნელოვანი, ნაზია,
ვუცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია!
გველი დალოდავს მუცლითა,
არჩობს ბოღმა და ბრაზია.

კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვავოდენ,

ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ,⁴
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ველარ ჩხაოდენ!

დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არემარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძღვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა,
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა.

ვიხილავ სანატრელს სახეს,
რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა,
გვერდს ედგნენ მისნი ზვარაკნი,⁵
გაფიცულები⁶ მკერდითა,
ჭაბუკნი, თავდადებულნი
ტრფიალით მეტისმეტითა;
ტანთ უმშვენებდესთ წყლულები
ერთგულ მამულისშველებსა,
ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამდენ გმირებსა.

1906 წ.

1. დამწყაზრული – ლამაზი, კობტა, მოხდენილი. 2. ხვიოდეს – ხმაურობდეს. 3. აშლიდა – ზედ აფრქვევდა. 4. ზვაობდენ – ქედმაღლობდნენ, ამპარტავნობდნენ. 5. ზვარაკნი – მსხვერპლად შესანიშნავნი. აქ: მოწამეები, მარტვილები. 6. გაფიცული – აქ: შეფიცული.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რისი სიმბოლოა ლექსში გაზაფხული?
2. რა არის „სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველი“ და ვინ არის „სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველი“?
3. როგორ არის ლექსში წარმოდგენილი ბუნების საოცნებო გამოღვიძება? როგორი ბუნებრივი გაგრძელება პოვა ამგვარმა ოცნებამ? რის მაცნედ უნდა იქცეს არწივი?
4. რა დროს გულისხმობს ლექსში ნახსენები „გუმინ“ და „გუმინნი“? რისი სიმბოლოებია ია და გველი?
5. როდის იჩინა ლექსში თავი ეროვნულმა ტკივილმა?
6. ვინ იგულისხმება „მკვდრეთით აღმდგარ“ „სანატრელ სახეში“? (გაითვალისწინეთ მეორე კითხვა). აქედან გამომდინარე, რატომ არის პოეტისთვის ეგზომ სასურველი გაზაფხულის მოსვლა?
7. თქვენი აზრით, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან „მკვდრეთით აღდგომასა“ და ძალმომრეობისგან გათავისუფლებას?
8. გაიხსენეთ „შუშანიკის წამება“: რით იყო „შემკობილი“ წამებული დედოფალი? ვაჟა-ფშაველას ლექსის რომელი ადგილი ეხმიანება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ტექსტს?
9. მონამეები, როგორც წესი, შარავანდედით მოსილნი, გვირგვინოსანნი ხდებიან. ვის ერგო დაფნის გვირგვინი ლექსის ბოლოს?
10. რატომ გაიაზრა პოეტმა ეს ლექსი „სიმღერად“?
11. რა არის პოეტის მთავარი სათქმელი ამ ლექსში?

ეს საინტერესოა!

რატომ ჰქვია ვაჟას ბევრ ლექსს „სიმღერა“

„ვაჟას თავის სამუშაო ოთახში, რომელიც თვითონ გადაიტვიჩრა საცხოვრებელი სახლის ცალ მხარეს და ფანჯარაც თვითონ გამოჭრა, ხის ტახტზე თავისი მოკლული დათვის ტყავი ჰქონდა დაგებული, ზედ ვეფხვის გამოსახულებიანი ქერა ეფინა. მუშაობისაგან დაღლილი დროდადრო ამ ტახტზე წამოწვებოდა... ბუხრის თავზე ირმის რქები ჰქონდა მიკრული. რქის ტოტებზე ეკიდა ფარ-ხმალი და თოფები... ირმის რქების გვერდით კედელზე ეკიდა მამაპაპური „მჭვარტლიანი ფანდური“, რომელსაც მალ-მალ ჩამოიღებდა ხოლმე წერის დროს და „თითს ააჩქამებდა ბერასა“; წყნარი ღიღინით ააყოლებდა ხმას, მერე ისევ წამოხტებოდა და წერას აგრძელებდა. როგორც პიანინოსა თუ როიალზე წერენ მუსიკას, ისე წერდა ფანდურზე ლექსებს. ამიტომ არის ალბათ, რომ მისი გმირები ხშირად უკრავენ ფანდურს და მის ლექსებსაც ბევრს „სიმღერა“ აქვს სათაურად...“

გიგი ხორნაული

(წიგნიდან : „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“)

„ყველა „სიმღერა“ უსაშველო სევდითაა შექმნილი. ნუთისოფლის ამაოება, შავი ვარამით გადანისლული დღეები და საკუთარი პიროვნების არარაობის უკიდურესი შეგრძნება წარმოადგენს ვაჟას სიმღერის ძირითად ჰანგს... „სიმღერას“ ვაჟა მხოლოდ იმ ლექსებს უწოდებს, რომლებშიც საკუთარ დარდს, ტანჯვას, გაცამტვერებას, არარაობას გამოხატავს. ამიტომ ითხოვს თამამად, ტირილი არ დამიშალოთო... ვაჟას სიდიადე იმაშიც გამოიხატება, რომ დარდიანსაც სიმღერა შეუძლია. მისთვის ვარამი უბედურების სანჯისი როდია. უგრძნობი და გალალებული ადამიანი სძულდა ვაჟას. დარდი და სევდა მისთვის ადამიანობის ყველაზე დიდი საზომი იყო...“

ლალი გულისაშვილი
(„ვაჟა-ფშაველას „სიმღერები“)



ვაჟა-ფშაველას ოთახი

მთანი მალანი

იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, ნითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა შტერობისა.¹ ეს არის კიდევ ნიშანი მოლოდინისა. ვინ იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის.

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით, ნუთუ გყავთ სატროფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაულალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნალველი მანვეს გულზეო.

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნულია თქვენს გულგონებაში?! არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიანთ და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი, თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ!

როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი, ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულმკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იზურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით ლალთა ხარჯიხვთა?! ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტრუსავს² ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულმკერდში. არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერია ეგრევე, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან, მალლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს, ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება.³ მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, – გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რალაცას. დიად, რალაცას. ეს რალაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმადლობაა? სწორედ რომ ისაა.

1895 წ.

1. შტერობა – გაშტერებით (გაშეშებული) ყოფნა 2. უტრუსავს – უტრუსავს, ურუჯავს. 3. ტყვრება – აქ: სკდება.

ლოდინი – მოცდა რისამე მომავლისა (საბა).

1. რად ქცეულა მთების მოლოდინი?
2. ცნობილი იაპონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, **იასუნარი კავაბატას** (1879-1972) ერთ რომანში ყოველდღიური პრობლემებით დამძიმებულ ადამიანებს დროდადრო ავისმომასწავებელ გაფრთხილებასავით მოესმით მთის კვნესა. ვაჟა-ფშაველას ტექსტში როდის ამოიოხრებენ ხოლმე აცრემლებული მთები? ქვეშეცნეულად რა განცდა ეუფლებათ ამ დროს ადამიანებს?
3. რა ყოფილა თურმე მშვენიერი ყვავილები, ხშირი ნისლები?
4. როდის ინთება მთების გულში სანთლები?
5. რატომ არ ადარდებთ მთებს ზვავად ქცეული თავიანთი ნაწილი?
6. წარმავალია თუ მარადიული მთების გულისტკივილი? თქვენი აზრით, შეძლებენ თუ არა ისინი „უნახავის დანახვას“?
7. რას ნიშნავს „სხვა ახალის“ მოწყურება?
8. რატომ ენაცვლება ტექსტში ასე ხშირად ავტორის თხრობას მიმართვის ფორმები?
9. თავიდან წაიკითხეთ პირველი აბზაცი მინიატურისა „მთანი მაღალნი“. მოძებნეთ მასში ფრაზა, რომელიც მთელი ნაწარმოების გასაღებად უნდა გამოდგეს.

ეს საინტერესოა!

ადრეულ შუა საუკუნეებში გავრცელებული ერთი შეხედულების თანახმად, მინერალიც, მცენარეც და ცხოველიც განვითარებას ესწრაფვის. მყარი სტრუქტურის მქონე მინერალს უნდა ზრდის ძალა შეიძინოს და მცენარედ იქცეს, თავის მხრივ, მცენარეს ცხოველად გადაქცევა სურს, ცხოველს კი – ადამიანად, ხოლო ამ უკანასკნელს წინ ღვთისკენ მიმავალი გზა უდევს. ე.ი. ყოველ არსს თავისი მდგომარეობის დაძლევა სურს, რათა თანდათან განვითარდეს და საბოლოოდ სამყაროს პირველმიზეზის წიაღს დაუბრუნდეს.

ვაჟა-ფშაველა ამ მისტიკურ თვალსაზრისს, ალბათ, არ იცნობდა, მაგრამ ბუნების დიდ მესაიდუმლეს შეიძლება პოეტური ალლოთი ჰქონდა ნაგრძნობი სულიერი განვითარების ეს ყოვლისმომცველი იმპულსი. გაიხსენეთ, რას ამბობს იგი „მთანი მაღალნის“ ბოლოს მთების შესახებ: „სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა“.

ზეპირი მაცყაფლება

■ მწერალი დემნა შენგელაია მიიჩნევს, რომ „მთანი მაღალნი“ ვაჟა-ფშაველას პოეზიის „გასაღებია“. იმჯელეთ, რამდენად ეთანხმებით მწერლის მოსაზრებას.

ისწავლეთ ტექსტის კვლევა



ცალ-ცალკე ამოინერეთ ეპითეტები ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებიდან: „შემო-
ღამება მთანმინდაზე“ და ვაჟა-ფშაველას ბუნების ციკლის ლექსებიდან. დააკვირ-
დით:

- ა) მეტყველების რომელი ნაწილებია გამოყენებული ეპითეტებად;
- ბ) რა ფუნქციით იყენებენ მათ ეს მწერლები – საგანს ან მოვლენას ახასიათებენ,
თუ საკუთარი განცდის, განწყობილების გამოხატვას ცდილობენ.

შეადგინეთ ანთოლოგია



შეეცადეთ შეადგინოთ ვაჟა-ფშაველას ლირიკის თქვენეული ანთოლოგია.
შეარჩიეთ ათი ლექსი, რომლებშიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ ჩანს ვაჟა, რო-
გორც ბუნების ენის უბადლო მცოდნე, მისი დიდი მესაიდუმლე.

ხატვა თუ გეხერხებათ, დახატეთ ილუსტრაციები თქვენ მიერ შედგენილი ანთო-
ლოგიისთვის, თუ არა და, საილუსტრაციოდ შეარჩიეთ მხატვართა ნამუშევრები.



წიგნითი სამუშაო

გერონტი ქიქოძე შემდეგნაირად აფასებდა ბუნების ვაჟასეულ აღქმას:
„მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა-ფშა-
ველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნე-
ლად და მისი მშვენიერების ასათვისებლად. ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი
მდიდარი ქვეშეცნობილი ცხოვრებით, მისი სული თითქოს სრულიად ბუნებრივ დია-
ლოგს მართავს არა მარტო ცხოველებსა და მცენარეებთან, არამედ კლდეებსა და
ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პეიზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭ-
დილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე, განსაკუთრებით, როცა ეს უკანასკ-
ნელი მოწყვეტილია ბუნებას და თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ასფალტიანი
ქუჩებისა და აგურის შენობების გარემოცვაში ატარებს.“

დანერეთ ესე, რომელშიც ისაუბრებთ იმაზე, თუ რა ახალი კუთხით დაგანახათ
ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებმა ბუნება, რაზე დაგაფიქრათ, რამ დაგაინტერესათ
ან გაგიტაცათ განსაკუთრებით? როგორ ფიქრობთ, რა დამოკიდებულება უნდა
ჰქონდეს ადამიანს ბუნებისადმი?

სიმღერა

(ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)

არცრა ტანთ მცვია,¹ არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა² ვარ,
ვინც სილარიბით ცნობილა.
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა.
ჩემს გარდა ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.
საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,³
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ლამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟლი, ცის ქცევა,⁴
ცა მონმენდილი, დარია;
დილით გაფურჩქნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, უღრანს ტყეს მოსული,
თალხკაბა, ენამტკებარია,
კლდის თავს გამლილი პირიმზე, –

მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელიოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების გუგუნე,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.
ხარს ვგეგვარ ნაიალალარს,⁵
რქით მიწასა ვჩხვერ,⁶ ვბუბუნებ;⁷
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ ვარამზე ვწუნუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკონინობ,⁸ ვჩუჩუნებ.⁹
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დაუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დაუზიანებ.
ხარს ვგეგვარ ნაიალალარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუნუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,¹⁰
სიმღერას დავაგუგუნებ.

1896 წ.

1. მცვია – მაცვია. 2. ჯოგი – აქ: მოდგმა. 3. ერთიან – მთლიანად. 4. ცის ქცევა – ძლიერი ავდარი. 5. ნაიალალარი – იალალიდან (საძოვრიდან) დაბრუნებული. 6. ვჩხვერ – ვთხრი. 7. ვბუბუნებ – ხარით გაბმით ვყვირი. 8. ვკონინობ – ვსაქმიანობ. 9. ვჩუჩუნებ – ვფუსფუსებ. 10. ჟინი ამიღებს – ჟინი (სურვილი) მომივიღის.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

„რახსათვის უკუე სულმოკლე ხარ, რამეთუ ცხენნი ვეცხლით აღკაზმულნი შენდა არა არიან-ა? – არამედ აჰა ესერა მოცემულ არს შენდა მზედ, რომელი ძლიერთა მით და ადრე სლვითა დღე ყოველ ნათლითა განგაბრწყინვებს. არა გქონან ვეცხლისა და ოქროსა ბრწყინვალეებანი? – არამედ გაქუს მთოვარე, რომელი კეთილად მის მიერთა ნათლითა განგანათლებს შენ... არა გაქუს სართული¹ ოქროლესული? – არამედ გაქუს ცაიჲ, რომელი მიუთხრობლითა მით ვარსკვლავთა შუენიერებითა გფარავს“.

**ბასილი კესარიელი (IV ს.) – „სწავლანი“
(ექვთიმე ათონელის თარგმანი)**

1. როგორ ეხმიანება ვაჟა-ფშაველას „სიმღერა“ ეკლესიის დიდი მამის ქადაგების ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტს?
2. ჯერ არგაგონილ რა სიმდიდრეს ფლობს თურმე „სიღარიბით ცნობილი“ პოეტი? თვალი გადაავლეთ მის უვრცელეს „სამფლობელოს“. რაც მასშტაბურია და დიდი, ის თითქოს ლოგიკის კარნახით არის ჩამოთვლილი. რა მოხდა შემდგომ? რა მოულოდნელობებმა იჩინა თავი მხატვრულ სახეთა რიგში?
3. როგორია რითმის როლი? შეუწყო თუ არა მან ხელი სურათის გამთლიანებას? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. პირველ ყოვლისა, რას შესთხოვს პოეტი ღმერთს?
5. როგორ არის ჩამოყალიბებული პოეტის ზნეობრივი მრწამსი? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილი).
6. თქვენი აზრით, რატომ მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი ახალგაზრდა მგოსნებს?

ზეპირი მცყველება

იმჯელეთ, რა როლს აკისრებდა ვაჟა-ფშაველა პოეტსა და პოეზიას (გაიხსენეთ, როგორ აისახა ეს თემა ილიასა და აკაკის შემოქმედებაში).

1. სართული – ქერი.

ეს საინტერესოა!

ფშაური ალათ-ნესები და ვაჟა-ფშაველას პოეზია

IX კლასში თქვენ შეისწავლეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“. ახლა წაიკითხეთ **ვაჟა-ფშაველას ნერილი**, რომელიც უფრო ნათლად წარმოგადგენინებთ იმ სამყაროს, რომელთან ზიარებაც მოგიხდებათ სახელმძღვანელოს მომდევნო ფურცლებზე.

გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით

(ნაწყვეტები)

გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟაკაცად“, „კაი ყმად“ იხსენიება; იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი: „სვილისფერა“, „შავგვრემანი“. „ქალისპირა“ ვაჟაკაცი გმირად არ გამოდგება, ფშავლის აზრით, იგი მხდალია... გმირისთვის გარეგანი სამკაული, ფშავლის აზრით, ფუჭია, საქმე შინაგანი ღირსებაა... ხშირად გმირს ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია. „თხისტყავიანი“ გმირის ეპითეტია, როგორც „ლურჯა“ – იმის ცხენისა. გმირი ცბიერობას არ მისდევს, აუჩქარებელია, პირდაპირი, ნამუსიანი... ვაჟაკაცს, ფშავლის წარმოდგენით, სიღარბისლე უხდება. გმირი თავს არ უნდა იმსუბუქებდეს და თავისს ვაჟაკაცობას ჭკვიანურად უნდა ხმარობდეს. გმირმა თავისი ძალ-ღონე წარამარა საქმეს არ უნდა შეაღიოს, უბრალოდ არ დახარჯოს, არ დაახურდავოს, დიდი, საგმირო საქმე როდესაც გაჩნდება, მაშინ უნდა იკრას ხმაღზედ ხელი...

გმირმა ისეთი საქმისთვის უნდა მოიკლას თავი, რომ ჰღირდეს სიკვდილად და სახელად. ეს საგმირო, ღირსი თავის განწირვისა რაღაა, რა საგანია?

კაი ყმა ლაშქარ მოკვდება,
სწორების მჯობინობასა,
ცუდაი – ბოსლის ყურესა,
ქალებთან ლოგინობასა...

გმირი ხშირად თემსაც აუხირდება. ეს მოხდება უფრო მაშინ, როდესაც შეიარაღებული თემი „დაჯარებული“, დამსხდარნი მწკრივად, ბჭობენ გალაშქრებაზედ. სმა-ჭამის, ქეიფის დროსაც თავმომაბეზრებელია გმირი ვაჟაკაცი: პირდაპირ ეუბნება ყველას, თუ რასმე ცუდს შენიშნავს, გაამწარებს ქეიფსა და დროს ტარებას. მაგრამ ეს ხასიათი გმირს უნდა მიუტევოს თემმა, რადგან გმირი ომში, ბრძოლაში გამოსადეგია, მისთვის პატივისცემი და დასაზოგავი...

გმირს რამდენადაც ომში გულადობა, ამაყოფა და სიმტკიცე მოეთხოვება, იმდენად თავის თემში თავმდაბლობა და მოთმინება უხდება. აი, სახალხო გმირი როსტომი რას ამბობს თავის თავზე, როგორ ესმის გმირობა:

როსტომ თქვა: „გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი შემოვისრიე;
სოფელში ამაყოფასა
ისევ დათმობა ვირჩიე.“

თუმცა კარგად ვიცით, რომ ქალის სიყვარული გმირს გმირობას არ უშლის,

არამედ უმატებს კიდევ მხნეობასა და სიმამაცეს, მაგრამ ხალხი დიაცის მიყოლას უშლის გმირს, როგორც მის ღირსების დამამცირებელს საქმეს... გმირი ერთსა და იმავე დროს მტრის სისხლის მქცეველიც არის და წმინდანიც, როგორც მფარველი თავის თემისა. რაკი იგი მადლის მოქმედია, ბევრს სიკეთესა და მადლსა სთესავს ქვეყანაზე...

გმირი იმდენად თავის თავისთვის არა ცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისათვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება. მხოლოდ ხატობის დროს ხევისბერი განსაკუთრებულ დიდის თასით გმირს საკარგემოს (კაი ყმა) ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილს შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევისბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მიაყოლებს შესანდობარს. დიად, გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძლობს, თითონ მშვიერია, სხვის სიცოცხლისათვის მეზობლი თითონ სიკვდილს ეძლევა პირში. აი, ლექსი, რომელსაც საფუძვლად კერძო ამბავი აქვს, მაგრამ საზოგადო აზრი კი ისაა, რომ გმირი თავისის თანამოძმისათვის მუდამ თავს დასდებს:

რაად კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია?
წავალის, მოჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძლებს ამხანაგებსა,
თავად მშვიერა მგელია.

დიად, გმირი სხვას აძლობს, სხვისთვის იბრძვის თავგანწირული და თითონ კი „მშვიერა მგელია“.

1889 წ.



ღეპიტი მუცყალოზა

იმსჯელეთ: ვის შეიძლება დღეს ერქვას „კაი ყმა“, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს იგი. რა ფასობს დღეს „კაი ყმის“ იმ თვისებებიდან, რომელთაც ხალხურ პოეზიაში განადიდებდნენ.



წიტილი სამუშაო

კაი ყმა ხალხურ პოეზიასა და ვაჟას ლექსში

- დააკვირდით გმირის რა თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას ხალხური მთქმელები;
- ამოიწერეთ თვისებები, რომელთაც გამოკვეთს ვაჟა თავის ლექსში;
- იმსჯელეთ გმირის იდეალზე ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსის მიხედვით.



ალუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)

I

მაცნე მოიდა შატილსა:
– ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვინიოკეს მწყემსები,
ავნია, ავიზნიანნი.

ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,¹
საფიხვნოს² თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მათაჟა მარჯვენა,-
სცადა ფრანგული³ ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!

ქისტებს ნაუსხამ ცხენები,
ალუდაისიცი ფთიანი.
გუმან აქვ,⁴ გადაავლიონ
არხოტის-თავი⁵ მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი⁶ მთებისა ცვრიანი.

ეს რო ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;⁷
აისხა იარაღები,
გააფხავიდის⁸ ხმალიო;
გაუშინჯიდის ვადანი,
ხმალს არ მაუტყედეს ტარიო.

ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.
გათენებისას ჭიუხში⁹
შურთხმა¹⁰ დარეკა ზარიო,
ძალლებს კი სძინავ თეოზე,¹¹
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.

მალე შააგდო¹² ალუდამ
ქისტების ნავალს თვალიო.
მარჯვედვე გადაენია,
თოფმა გაილო ჩქამიო.
ერთს ქურდ-კანტალას¹³
ლილველსა¹⁴

ცუდი დაუდგა ნამიო:
გადავარდება ცხენზეით,
ყელთავქვე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭისთავს,
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
ამხანიგმოკლულ ლილველი
ჩახმახსა ეზიდებისა.

გამოსტყვრა¹⁵ მუცალის თოფი,
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნადოძი¹⁶ ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.
– არა გჭირსაა, რჯულდაღლო?! -
მუცალი ეუბნებოდა.
– ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულდაღლო,

1. **დავლათიანი** – იბლიანი, სვებედნიერი, ღვთისგან დალოცვილი. 2. **საფიხვნო** – ადგილი ან ნაგებობა სოფელში, სადაც თავს იყრიან და ბაასობენ, ბჭობენ. 3. **ფრანგული** – ხმალია ერთგვარი. 4. **გუმან აქვ** – ფიქრობენ, გადანყვეტილი აქვთ. 5. **არხოტის-თავი** – უღელტეხილი არხოტისკენ. **არხოტი** – პირიქითა ხევსურეთის თემი მდ. ასას ხეობაში. 6. **ქუჩი** – წვრილღერიანი ბალახი, იზრდება კლდეებში, ხრიოკ ფერდობებზე. 7. **ტალი** – კაჟი; **თოფს დაუპირა ტალიო** – მოცვეთილ კაჟს ჩამომტვრია ნაპირები, რათა ნაპერწკლები დასცვივდეს ჩახმახის დაცემის დროს. 8. **გააფხავიდის** – გალესა, ფხა აუნყო. 9. **ჭიუხი** – „წვეტიანი კლდე“ (ვაჟა); კლდოვანი მთა. 10. **შურთხი** – გარეული ფრინველი, გარეგნობით ინდაურს ჰგავს, სტვენა იცის, ბინადრობს ალპურ ფერდობებზე, კლდეებში. 11. **თეო** – ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობენ. 12. **შააგდო თვალიო** – თვალი მოჰკრა, დაინახა. 13. **ქურდ-კანტალა** – ქურდბაცაცა. 14. **ლილლო** – ლილველთა (ინგუშების) საცხოვრებელი ადგილი ასას ხეობაში, ხევსურეთის საზღვართან. 15. **გამოსტყვრა** – გავარდა თოფი (აქეთ). 16. **ნადოძი** – ნაგლეჯი, ნაფლეთი.



შატილი. მხატვარი – კონსტანტინე სანაძე

ყმასა გუდანის ჯვრისასა.¹
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.
– არ მოგხვდაუა, რჯულდაღლო? –
ისევ ეძახის იმასა.
– მუცალს არა სჭირს, რჯულდაღლო, –
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...
ოჰო, ქუდ გაუხვრეგია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
მალლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას² არა სჭირს ძვლისასა.

გამოსტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მქისესა,³
გაუტეხს ქეთელაურსა
საპირისწამლეს⁴ რქისასა.
– არც ახლა გჭირსა, რჯულდაღლო?! –
ზედაც დაჰვედრებს⁵ იმასა.

– არა სჭირს, არა, რჯულდაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,
ძალს შახვენებს ღვთისასა.
გულს არ ჰხვდა, ნუ გეგონების,
ამტვრევდა წამლის ქისასა.
რაკი სრევაზე⁶ მიდგება,
ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა.

შატილიონის ნასროლი
ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.
– არც ახლა გჭირსა, რჯულდაღლო?! –
შამაუჭყვივლებს ქისტასა.
– გულში მჭირს, გულში, რჯულდაღლო,
ვაჰ, ცდასა მუცალისასა!
ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა?

1. გუდანის ჯვარი – მთავარი ხატი პირაქეთა ხევსურეთში, ხევსურთა რელიგიური ცენტრი. აქ უნდა გადაწყვეტილიყო საერთო საკითხები, რაც მთელი ხევსურეთისთვის მისაღები იქნებოდა, მათ შორის, ლაშქრობის, ბრძოლის საქმე. 2. კენჩხა – „თავის ქალა“ (ვაჟა). 3. მქისე – უსიამოვნო. 4. საპირისწამლე – თოფის წამლის, დენთის ჭურჭელი. 5. დაჰვედრებს – მუქარით, ნიშნის მოგებით ეტყვის. 6. სრევა – სროლა.

მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჰგლეჯს, დაიფევს¹ წყლულშია
მწვანეს ბალახსა მთისასა.
ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
– ეხლა შენ იყოს, რჯულძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა!
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მინასა.

ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა, როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.

თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლიგი² დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: „ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!
მკლავზედაც გეებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამინდეს,
ნუმც ხარობს ქავის³ კარიო!
კარგი გყოლია გამდეღი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“
სიგძივ გაჰხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რომელი სიტყვა მიანიშნებს ალუდას გამორჩეულობაზე?
2. როგორ გესმით აფორიზმი: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“?
3. ვისი შემწეობის იმედი აქვს ალუდას?
4. მუცალის რომელმა ორმა ქცევამ დაუკარგა ალუდას შურისძიების სურვილი?
5. რატომ გადაუგდო ალუდას მუცალმა თავისი თოფი? რა გამოხატა ამით მან?
6. რა ხდება ალუდას სულში მუცალის სიკვდილის შემდეგ?
7. რატომ არ მოსჭრა ალუდამ მუცალს მკლავი? რას ნიშნავს: „ცოდვა არიო“?
8. რა შესთხოვა ღმერთს ალუდამ?

II

მზემ აინია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს⁴ ხევები;
მისჯარებიან ცის კიდეს
კავკასიონის დევები.
აშლილან სანადიროდა
ქორებ, ფრინველთა მღველები;⁵

სოვნი⁶ არწივებს მასდევენ,
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.
ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,
მადლი რქათ ადგა ღვთისაო.
ხევიხევ შამოყრანტალებს

1. დაიფევს – დაიცობს, ჩაიტენის, ჩაიდებს (ჭრილობაში). 2. ძეგლიგი – კაჟიანი თოფი. 3. ქავი – ქვის მაღალი გალავანი. ქავის კარი – ქავით შემოსაზღვრული ციხის ეზო. 4. დაწირეს – დატოვეს. 5. მღველები – მჟღეტელები, მომსპობნი. 6. სოვნი – სვავები.

ყორანი ავის ხმისაო:
„მამკვდარა ქისტი მუცალი,
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
კალთა დავხურო მხრისაო“.¹

შატილს ჯერ არ ჩასწდომია
შუქი შუადღის მზისაო,
არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო.

ყმა მოდიოდა გორიგორ,
არ ეწონება თავია;
პირს დასწოლია ნისლეები,
გულით ნადენი, შავია.
ტახტაზე² დაუკიდებავ
მუცალის ძმისა მკლავია,
ვერცხლით მორთული ბაზალა,³
ეგ ხოროსნული ხმალია.
მეება ჭიუხიანსა,
სადაც იმედას ქავია,
ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,⁴
ზამთარ ჩამუდის⁵ ზეგავია.
ბევრჯელ მასწრო დელგამამა,⁶
ჰყეფდა ყორანი შავია.
დაჰფამფალეზდა⁷ თავზედა
გაუმადლარი სვავია,
ვერვინ მაჰრივა ილბალი,⁸
ვერავინ უყვა ავია.
ურჯულოს ხელებსავ ადნობს
ზედ მზის სხივები მწვავია.
გველმა ვერ გაჭრა ლიბოი,⁹
დღესაც ცოცხალი არია.
ზოგჯერ ავდარი დადგება,
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშაშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საჭალოდ¹⁰

დახოცილთ სისხლის ღვარია;
შაულებია წითლადა
ავი არდოტის¹¹ წყალია.

ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაინეროდეს,
მითამ¹² საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორნილი,
იქ დაინეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაინვინოს ცალია
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხვესურთ ქალი და რძალია,
გამეეგებნენ ალუდას
ძმა-ძმისნულები სამნია.
ბევრს უნდა ამბის გაგება,
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
მიულოციან ალუდას:
– სახელიანიმც ხარია!

ბებერი ჰკითხავს უშიშა
ალუდას ამბავს ცდისასა.
უამბობს ქეთელაური

1. მხარი – ფრთა. 2. ტახტა – უნაგირის კეხზე წინ და უკან ამონეული ნაწილები. 3. ბაზალა – „თოფია“ (ვაჟა). 4. იყურებს – ისმენს. 5. ჩამუდის – ჩამოუდის. 6. დელგამა – დიდი წვიმა და ქარი. 7. დაჰფამფალეზდა – დაჰფარფატებდა, ფრენით უვლიდა თავზე. 8. მაჰრივა ილბალი – ბედ-ილბლით აჯობა, მოერია. 9. ლიბო – საძირკველი. გველმა ვერ გასჭრა ლიბოი – გადმოცემის თანახმად, გველის მიერ ლიბოს გაჭრა ან ლიბოში გველის გაჩენა უბედურების ნიშანია. 10. საჭალოდ – ჭალისაკენ. 11. არდოტი – სოფელი პირიქითა ხვესურეთში. 12. მითამ – აქ: ვითომ, თითქოს.

ამბავს ღიღღველის მგლისასა:
– „აქით წასულმა, უშიშავ,
კვალი შავაჭერ მთისასა,
მოკლედავ გადავენვივე,
ნავალ დავატყვე ქვიშასა.
ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,
წვერს ვერ ვუნვდენდი ხმლისასა.
იმ ცხონებულსა მუცალსა
რკინა სდებიყო გულადა!..

– რას ამბობ? ქისტის ცხონება
არ დაწერილა რჯულადა!

– მით ვაქებ ვაჟკაცობასა,
არ იყიდება ფულადა...
სამ მე ვესროლე, სამ – იმან,
მესამით დავასრულია:
მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნადოდა¹ გულია.
ნატყვიარს ბრძამით² იფევედა,
ისრე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯულია.

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი...³
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთიშვილთ⁴ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიცვიან?!

ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,

გული გამინყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე, დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩეველადა!“

ხევსურთა ახალუხლები⁵
გადაიქციან ტყემლადა,
ავად შაჰხედნეს ალუდას,
შაუძრახნიან ხმელადა:⁶
„მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა!
აიხსენ გველისპირული,⁷
დიაცთ გადუგდე ცხემლადა;⁸
ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად,⁹
ხირიმ¹⁰ გაუდვან გარადა;¹¹
დამბაჩა გამაადგებისთ
საბრუნლად, თითისტარადა!
გამუქცევიხარ ქისტისშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?“

ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჯავრიანითა,
თავ-თავის სახლებს მიჰმართეს
ჭერხოთით¹² კარიანითა,
განირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა,
სახელსა ალუდაისას
იძახდენ ბრალიანითა.

შატილს მინდიაც მოიდა
ზერდაგი¹³ რვალიანითა,¹⁴
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,

1. **გაუნადოდა** – დაუფლითა, დაუგლიჯა. 2. **ბრძამი** – მთის ბალახი ერთგვარი. 3. **ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი** – იმქვეყნად ორი სამყაროა: სამოთხე და ჯოჯოხეთი. მთიელთა რწმენით, ჯოჯოხეთში მოხვედრილს კუპრში მოელის სამარადისო ტანჯვა. 4. **ღვთიშვილნი** – „ხატები, სალოცავები“ (ვაჟა). 5. **ახალუხლები** – ახალგაზრდები, ახალგაზრდობა. 6. **ხმელადა** – უხეშად, უკმეხად. 7. **გველისპირული** – ხმლის ეპითეტი. 8. **ცხემლა** – საქსოვი იარაღი, საქსოვი დაზღვის ნაწილი. 9. **ქსლის ჩასაბეჭავად** – საქსოვი დაზღვის იარაღად (ბეჭად). 10. **ხირიმი** – ძველებური კაჟიანი თოფი (ოდესლაც ყირიმიდან შემოტანილი). 11. **გარა** – „რგვალი ხე, სიგრძით ადღ-ნახევარი, რომელზედაც ქსოვის დროს ნართს ახვევენ. ერთი გარაა მოძრავი, მეორე – უძრავი“ (ვაჟა). 12. **ჭერხო** – ხევსურული სახლის მეორე სართული. **ჭერხოთით** – ჭერხოდან. 13. **ზერდაგი** – კარგი ცხენის ეპითეტი. 14. **რვალი** – რკინა. აქ: საჭურველი.

თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
ირემს ჰგავ მინდის ნითლაი
შუბლითა მთვარიანითა.

აღუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
ინყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა:

– ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა!

ადვილად მტერი მოგიკვდესთ,
ადვილ გავიგო მართალი.
ბევრ დაღონება არ გვინდა,
ერთი დღის მეყო საგძალი,
გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველმხრივ ვიცი სავალი,
დღესავ მოგივათ მინდია,
მანამ დაბძანდეს მრავალი.¹

ქუსლი ჰკრა, ნითლა გამალდა,
ნიავექარივით მავალი.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ვინ ხარობს მუცალის სიკვდილით? (შდრ. ხალხურ ლექსს: „გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამა, გაუტეხლისა ვაჟისა წინ-წინ მკლავები დაჭამა“).
2. რისი სიმბოლო უნდა იყოს კლდის „ცადახურული“, უმზეო შატილი?
3. ვინაა „გორიგორ“ მომავალი კაცი და რატომ „არ ეწონება“ მას თავი?
4. რისი მეტაფორაა „პირს დაწოლილი“ ნისლეები, საიდან მოდიან ისინი?
5. ვისი მკლავი დაუკიდია აღუდას უნაგირზე? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
6. თქვენი სიტყვებით გადმოეცით იმედას ქავის აღწერა. რისი სიმბოლოა იმედას ქავი?
7. რატომ მაინცადამაინც იმედას ქავის დანახვაზე აეშლება აღუდას ფიქრები?
8. როგორია ამ ციხე-კოშკების ბინადართა ცხოვრების წესი? (ყური მიუგდეთ აღუდას ფიქრებს).
9. I თავში მუცალი „ქურდ-კანტალა ღილღველად“ მოიხსენიება, ახლა – „ღილღველ მგლად“ – ვისი შეფასებებია ეს სიტყვები ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში?
10. რამ შეაძრწუნა ბებერი უშიშა?
11. დააკვირდით აღუდასა და უშიშას დიალოგს. რატომ გადაიზარდა ორთაბრძოლის დეტალების აღწერა გმირის მონოლოგში?
12. მუცალის რომელ საქციელს შეუძრავს აღუდა?
13. როგორ ფიქრობთ, რისი გაგრძელებაა (დასკვნაა) აღუდას სიტყვები: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ“...? ვის კითხვას უპასუხა ამით აღუდამ?
14. აღუდას რომელ სიტყვებში გამოჩნდა ის, რომ იგი მუცალის მოკვლის შემდეგ გულის კარნახით მოქმედებდა? მისმა რომელმა ქცევამ დაადასტურა ეს? (გაიხსენეთ, როგორ მოექცა იგი მუცალის ძმას).
15. რა დააბრალებს ახალგაზრდებმა აღუდას? როგორი იყო საპასუხო რეაქცია?
16. ვინ ჩნდება ნაწარმოებში II თავის ბოლოს? ვინაა იგი და რა მისიას კისრულობს?
17. რა დაუძრახა მინდიამ ახალგაზრდებს? რას ნიშნავს „ქარიანი ენა“?
18. რატომ ნავიდა მინდია სიმართლის დასადგენად აღუდასთან წინასწარი გასაუბრების გარეშე?

1. მანამ დაბძანდეს მრავალი – ჟამი განთიადისა, როცა „მრავალი“, ანუ დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ჩადის.

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
 კალთა გვეხურვის ღამისა;
 დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,¹
 მცვრევა ბალახზედ წამისა,
 მკვდართ სულთ საფლავით
 გამოსვლის,²
 დრო მათ სიმღერის წყნარისა.

დევნი გამოვლენ კლდიდამა,
 ხევხუვში ეხეტებიან.
 ყველამ ივახშმა და ახლა
 საძილედ ემზადებიან.
 – პურ მიირთვიო, – ალუდას
 და-დედან ეხვეწებიან.

– მე პურ არ მინდა, დედაო,
 გული შამეკრა რადამე,
 წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,³
 რიგში⁴ ვიყოდი⁵ სადამე.
 წინ გვედვა მიცვალებული,
 ხევსურნ შანყენით⁶ ისხდენა.
 სალაშქროდ დამზადებულნი,
 ზოგნი კარებზე იდგენა.
 მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი,
 როგორც წესია კაცისა.
 გუმანი მქონდა სალაშქროდ,
 ხანიც მოვიდა წასვლისა.

ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
 ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
 შავხედენ, მუცალი იყო,

ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
 გულზედ ემჩნია ნიშანი
 მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
 ეფივა ნატყვიარშია
 ლეგა საფევი ბრძამისა,
 კლდედ იდგა, გაუტეხლდა,
 ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
 მამკალო, – მითხრა ხვენითა. –
 თქვენ დაგრჩესთ წუთისოფელი,
 მე კი წავიდე ქვეყნითა,
 დაძელით, ხევსურთ შვილებო,
 ლაშქრობით, ხმლების ქნევითა!“

დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
 კაცის ხორც იყო წვნიანი,
 ვსჭამდი, მზარავდა თუმცალა
 კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
 „რასა ვსჩადიო, – ვსჯავრობდი, –
 უმსგავსი, შაჩვენებული...“

„ჭამეო! – რამამ მიძახა, –
 ნუ ჰხდები გაშტერებული!
 კიდევ მიმირთვით ალუდას
 წვენ-ხორცი გაცხელებული!“
 მიმატეს კაცის უღვაშით
 წვენ-ხორცი შანელებული...

სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
 გუნებააღელვებული.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. დააკვირდით ღამის სურათს ამ თავის დასაწყისში. როგორ გაგრძელდა ეს სურათი ალუდას სიზმარში?
2. თქვენი აზრით, აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვინ უნდა ყოფილიყო მიცვალებული?

1. ჟიკჟიკი – ბრწყინვა, ციმციმი, კაშკაში. 2. მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის – ხევსურთა ძველი რწმენის თანახმად, ღამის წევდიადში სულები საფლავებიდან ამოდიან, თავისუფლდებიან, მოძრაობის უნარს იძენენ, აჩრდილებივით დადიან დედამინაზე. 3. სიზმრების სინჯვა – სიზმრების ნახვა. 4. რიგი – მიცვალებულის ხარჯი, ქელები. 5. ვიყოდი – ვიყავი. 6. შანყენით – დამწუხრებით.

3. როგორი მუცალი იხილა ალუდამ სიზმარში? გაიხსენეთ უშიშასთან ალუდას საუბარი. რა დასკვნას გამოიტანთ?
4. რა უსაყვედურა მუცალმა ალუდას სიზმარში?
5. რასთან გაიგივდა კაცის კვლა ალუდას სიზმარში – რა მიაღწევს მას?
6. ალუდას რა სულიერი მდგომარეობა წარმოჩნდა სიზმარში?
7. როგორ ფიქრობთ, სად ხდება სიზმარში აღწერილი მოქმედება? (დააკვირდით თავის დასაწყისში მინიშნებულ დროს).

IV

თენდება, მთის წვერნ დაწითდენ,
 ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
 დგება, იღვიძებს სოფელი,
 მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
 სოვნი სამგზავროს წავიდენ,
 მთა-ბარს მათვლეს თვალია;
 რამდენს ფრამ-ფრამში¹ არიან,
 ცას ვერ გაავლეს კვალია!

ვინ მოდის წითლის ცხენითა,
 გამაიარა წყალია?
 – მოხველ მშვიდობით! – მინდიას
 ხევსურთა შაუძრახნიან. –²
 რა მაიტანე ამბავი? –
 შორითვე დაუძახიან.

– ახლებო, სისხლი გიფუისთ,³
 სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
 გულს ათრეინებთ გონებას,
 თავს აჭრეინებთ ცულითა,
 ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
 მის ვაჟკაცურის რჯულითა!
 ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
 გული-დ გონება ძმანია.
 მართალი არი ალუდა,
 თავს არ დამექცენ ცანია!
 თუ არა გჯერათ, ქისტისა,
 აი, მოჭრილი მკლავია!

ენა ქარქაშში გეჭიროსთ,
 ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
 ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
 არა ვარგაო, იმასა!

ხელი ალუდას მიაღწევს:
 – წაილ, მიაკარ ქავადა!

– თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
 გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?
 ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
 საქმე მოგირთავ ავადა;
 რაად მინდარის?! ვერ მიხმლობს,
 არ გამოდგება ფარადა;
 მთაში წავილო, არ მითიბს,
 არც მარგებს თივის კავადა.⁴
 წაილე, თუ გნამ უფალი,
 ნულარ მაჩვენებთ ვალითა.
 კაის ყმის მარჯვენა არი,
 გული მენვება ბრალითა.
 რაად სწყრებიან ხევსურნი,
 რადა ტყვრებიან⁵ ჯავრითა?!
 მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
 მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
 „წესი არ არის მტრის მოკვლა,
 თუ ხელ არ მასჭერ დანითა“–
 ვაი ეგეთას სამართალს,
 მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

1. ფრამ-ფრამი – უშნოდ, ფრთების ფართხუნით ფრენა. 2. შაუძრახნიან – შესძახებდნენ. 3. სისხლი გიფუისთ – სისხლი გიდულთ. 4. თივის კავი – ხის კავი, რომელსაც თოკს აბამენ თივის შესაკრავად. 5. ტყვრებიან – სკდებიან.

1. რატომ გაკილა მინდიამ „ახლები“?
2. რით იცნობა თურმე ვაჟკაცი?
3. გასაგებია თუ არა მინდიასთვის ალუდას საქციელი? მაშ, რას ცდილობს იგი მუცალის მკლავის მოტანით?
4. რა ეწყინა ალუდას? რა უსაყვედურა მან მინდიას?
5. რა დამოკიდებულება გამოიკვეთა ალუდას სიტყვებში? რა გადანწყვიტა მან?
6. რით განსხვავდება „ვაჟკაცური რჯული“ ტრადიციით განმტკიცებული რჯულისაგან?
7. რომელი პერსონაჟები დააახლოვა პოემაში ამ „რჯულმა“?
8. რა უპირისპირდება ვაჟკაცურ რჯულს პოემაში, როგორი სამართალი უწოდა მას ვაჟამ?

V

ყამი მოვიდა საუფლო.¹
ხალხი ხატობას² დიოდა:
უნდა აცნობონ ბატონსა³
ვისაც კი რამა სტკიოდა.
მოქუჩდა ქალი და კაცი
სახვეწრით – ცხვრით და ხარითა;
მართმევედიან ბატონსა
სახვეწარს⁴ ბელლის კართა.⁵

ეს ვინლა მოდგა ნისლივით,
თითბრით ნაზიკის⁶ ხმალითა?
ხევისბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.

– ვის ამწყალობნებ,⁷ ალუდავ,
ამა კურატი⁸ შავითა? –
ჰკითხავს ალუდას ხუცესი

გადანეულის მკლავითა,
– დიდია ჩვენი ბატონი,
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა და ღვთისა ძალითა.
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა;
ვაჟკაცნი იმედიანნი⁹
ჩვენს ბატონს ებედებისა.
მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შაენირება! –
ხანჯარს აიძრობს, დიდების¹⁰
სათქმელად დაეღირება.

– ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოლან¹¹ მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,

1. **ყამი საუფლო** – უფლის, ხატობის დრო. 2. **ხატობას** – ხატში, დღეობაში. 3. **ბატონი** – „ხატს ფშაველი ეძახის ბატონს ანუ „ღვთიშვილს“ და თავის თავს – ყმას. იგი ამის მეტს ბატონს იმჟამით ამჟამამდე მაინც არ იცნობს. ხატს ფშაველი მიაწერს ისეთსავე ნიშნებს, როგორც ქვეყნიურს ბატონს. მისი ვინაობა ითხოვს სამსახურს, ძღვენს, ხატსა აქვს ღვთისაგან ნაბოძები „საყმო“ მოსამსახურედ, მლოცავად“ (ვაჟა). 4. **სახვეწარი** – იგივეა, რაც სამხვეწრო – ვინმეს სულის მოსახსენებლად ან წყალობის გამოსათხოვად ხატისთვის მირთმეული ძღვენი. 5. **ბელლის კარი** – **ბელელი** – შენობა ხატში, სადაც ხატის პური, ლუდი და მისთანები ინახება. 6. **ნაზიკი** – მორთული, მოკაზმული (ვერცხლით, თითბრით). 7. **ამწყალობნებს** – ხატის სახელით ლოცავს ვინმეს, მისთვის ხატს წყალობას სთხოვს. 8. **კურატი** – მსხვერპლად შესანიერი ხარი. 9. **იმედიანნი** – აქ: საიმედონი. 10. **დიდება** – ხატის მსახურებაზე, მსხვერპლშენიერვის დროს, ხევისბრის მიერ წარმოთქმული ლოცვა. 11. **ძოლან** – ამას ნინათ.

მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიმწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთვინა.

– გაურჯულებელს არჯულებ,¹
შენ ეგ არ შაგიხდებისა,²
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა!
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითა-დ პაპისპაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ემშაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?!
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე
ხელებ ჯღრდესავით³ ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
მარჯვენების ხილია;
ციკანიც არვის დაუკალ,
განლამც კურატი დილია.
როგორ ვახვენო უფალსა
ძალლი, ძალლების ჯიშისა?!
მანამ სჯობ, ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისქდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა!
ფერი ედება ბერდიას,
ფერი სხვარიგის შიშისა.

– ზღვენსა⁴ ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ⁵ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო?!

– ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო!

გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო,
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო!
აღლადა ჰქონდეს⁶ მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო!

ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო:
– გაგონილაა, – იძახდა, –
ასრე აგდება რჯულისა?!
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,⁷
მამხსენე ქისტის სულისა,
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი – დიდნი, მცირენი, –
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი!
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები!⁸
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები!
ცეცხლი მიეცით საძნოვარს,⁹ –
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები!
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,

1. გაურჯულებელს არჯულებ – ისეთ „რჯულს“ აწესებ, რაც აქამდე არ ყოფილა. 2. არ შაგიხდებისა – არ გეკადრება, არ შეგეფერება. 3. ჯღრდე – ერთმანეთში არეული, მიხერგილი. 4. ზღვენი – ძღვენი, ხატისთვის მირთმეული შესაწირი. 5. მითამ – განა არა! 6. აღლადა ჰქონდეს – ალალი იყოს. 7. საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა – თემის ადათ-წესის თანახმად, მხოლოდ ხევსბერს შეეძლო ხატობისას ხატში მიყვანილი საკლავის დაკვლა. ხევსბრის უფლების ხელყოფა მკრეხელობას ნიშნავდა. 8. შანამზირები – მაცქერალი. 9. საძნოვარი – ადგილი, სადაც ძნის ზვინები დგას, საძნე.

გუდანს – შინში¹ და ქალები;
პრისხავდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები!

ამის გამგონე მინდიას
მაუნელიანდის თვალები,
ველარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადინყვის მკლავები.

შასმულებმ² ხევსურთ შვილებმა
მაიმარჯვიან ფარები,
უნდა სცან ქეთელაურსა,
კაპასად ჟღერენ რვალები.
ჯარად დამსხდართა ხევსურთა
თავზედ წაადგა ბალები,
ერთს ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები:

– ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა
წყალობას ბატონისასა,
საკარგემო³ დამაღვინეთ,
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,⁴
ყურეს უმარჯვდა⁵ კლდისასა.
იმ დროსა ვსტყორცე ისარი
ლაღად მიმავალს ცისასა;
მართალ გამოდგა ნასრევი,⁶
ყორანს უვლიდა ფრთისასა;

კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გადმეესრია⁷ მინასა.

– მუცალის მარჯვენა არი
მიზეზი ხევსურთ რჩევისა, –
წყრომით იტყოდა მინდია –
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მივუტანე ალუდას,
ფერი დავადევ წყენისა;
რო არ მიიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.

– წაიღეთ, – ამბობს ბერდია, –
ტოტი⁸ ურჯულოს ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა.

ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.⁹

ხევისბერ იტყვის ბერდია:
– ხევსურნო, ნახეთ თვალითა:
ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო, –
თქმულია იმავთავითა.

ქისტის მარჯვენას ბალები
დაბლა ათრევენ კავითა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. პომის II თავში ალუდას „პირს დასწოლია ნისლები გულით ნადენი, შავია“; ახლაც ხატის კარს იგი „ნისლივით მოდგა“. რისი სიმბოლო შეიძლება იყოს ნისლი?
2. როგორ ხვდება ხევისბერი ალუდას? რა იგრძნობა მის მიმართვაში? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით)
3. რას ცდილობს ალუდა ხევისბერთან საუბრისას?
4. რატომ არის მიუღებელი ხევისბრისთვის „ქისტისად საკლავის დაკვლა“?

1. შინში – ბიძაშვილი ან დეიდაშვილი. 2. შასმულებმ – ნასვამებმა, მთვრალეებმა. 3. საკარგემო – კაიყმის ჯიღო. განსაკუთრებული დამსახურების გამო კაიყმისთვის მისაცემი საჩუქარი, სადღეგრძელო, მისართმევი სასმისი, ლუდიანი სანდე, ცხვარი და მისთ. 4. ბრჯღალი – ბრჭყალი, კლანჭი. 5. უმარჯვდა – გაუსწორდა. 6. ნასრევი – ნასროლი. 7. გადმეესრია – ზევიდანისროლა, გადმოაგდო. 8. ტოტი – აქ: ხელი. 9. ბრალისა – სიბრაღულის.

5. რა სიმართლეს ეუბნება ხევისბერი ალუდას?
6. რატომ ვერ შეასრულებს ხევისბერი ალუდას თხოვნას?
7. რას იცავს ბერდია?
8. როგორ გესმით სიტყვები: „ფერი სხვარიგის შიშისა“? რისი შიშია ეს?
9. ამჯერად რაზე გადააქვს ალუდას ყურადღება? როგორ ცდილობს იგი ხევისბრის დარწმუნებას?
10. „მგლის ფერი“ ორჯერაა ტექსტში ნახსენები: 1. „მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა“... 2. „გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა მგლისაო“ – როცა ხევისბერმა კვლავ უარი უთხრა სათხოვარზე. თქვენი აზრით, რას ნიშნავს „მგლის ფერი“?
11. ჩაეთვლება თუ არა ცოდვად ხატისაგან ალუდას საკლავის შეწირვა? თვითონ ალუდა თუ მიიჩნევს ამგვარი მსხვერპლის შეწირვას ცოდვად (დააკვირდით მის „ხვეწნას“)?
12. რაში დაადანაშაულებს ხევისბერმა და ხევსურებმა ალუდა? რა გადაუწყვიტეს მას?
13. რით არის გამოწვეული მინდიას ცრემლები?
14. რომელი ჟესტი მეტყველებს ამ შემთხვევაში მინდიას უმწეობაზე?
15. თქვენი აზრით, რა მიზნით ჩართო ვაჟამ ბავშვების ეპიზოდი პოემაში? რა გაამძაფრა მან ამით?
16. რა განაჩენი გამოუტანა პოეტმა ამ თავის ბოლოს „ცოდვა-ბრალით მონათლულ სამართალს“?

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
 ყელებ შაკრულა მთებისა;
 ჩამოდის ხევად ზოვები,¹
 ჩამონასხლეტნი კლდებისა.
 გაუბამ ყინულს ლურჯადა
 უბე-კალთები წყლებისა,
 მიუნაქრია² ერთიან
 ვინრო სავალი გზებისა.

ვის მასწყენია სიცოცხლე,
 გზას ის ვინ გაუდგებისა?
 წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,
 ხუთიც უკვენა ჰყვებისა.
 სიმშლით შანუხებული
 მთას ღმუის ჯოგი მგლებისა.

– კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო! –
 ერთი დიაცი სწყრებისა. –
 ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
 ქვა ქვაზე აღარ დგებო,

ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
 ეხლა ყოვები სხდებო.

დედა ეტყოდა ალუდას:
 – შვილო, იარე ნელაო,
 შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,
 ვერც შენი ცოლი ლელაო,
 ბაღლები აგვიბოჟირდა,³
 ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
 ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
 ვაჰმე, როგორა ბნელაო!
 ნეტავ არ დასჭირდებაა
 ხევსურთა შენი შველაო?!
 ვისრა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
 სადრა-რა დავილევითა?⁴
 უბინო-უსახკარონი
 სხვაკანაც დავიწყევითა.
 ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს
 გაღმა შატილის ხევითა.

1. ზოვები – ზვავები. 2. მიუნაქრია – ნამქრით აუვსია. 3. აგვიბოჟირდა – აგვინოკდა, აგვიბ-
 მაურდა. 4. დავილევით – ამოვწყდებით.

თავის მინა-წყლის განირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;
მამაკვდავს დავფერებივარ,¹
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!

ჯავრობით ეტყვის ალუდა:
– დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა!
მოდით, მომყევით, ვიდინოთ,
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა!

ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:

„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელი ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“

განირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მინა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი² ქარისა.

გადვიდენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

1888 წ.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა მნიშვნელობა ენიჭება VI თავის დასაწყისში აღწერილ ზამთრის სურათს პოემის სიუჟეტური ხაზის განვითარებაში?
2. რა საფრთხე ემუქრება თემისაგან მოკვეთილი ალუდას ოჯახს?
3. რას მოთქვამს ალუდას დედა? რატომ ახსენა მან ხევსურები?
4. როგორ შეხვდა ალუდა თავსდატეხილ უბედურებას? შეიცვალა მისი დამოკიდებულება თავისი სალოცავისა (ჯვარის) და თემის მიმართ?
5. გაიხსენეთ ლექსი „კაი ყმა“. შეინიშნება თუ არა მასში ალუდა ქეთელაურის მსგავსი ზნეობრივი გმირების სულიერი გამოცდილების კვალი?
6. რომელი სიტყვების გამეორება გვაგრძნობინებს იმას, რომ ალუდა საბოლოოდ ეთხოვება სამშობლოს?
7. აქვს თუ არა სიმბოლური დატვირთვა „ქედის გადავლას“?

ეს საინტერესოა!

XIX საუკუნის რუსი ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი (ნარმოშობით გერმანელი) გუსტავ რადე (1831-1903), რომელმაც იმოგზაურა ხევსურეთში, ასე აღწერს შატილს: „ცადაწეული და გადმოკიდული კლდეებით შეზღუდულ ყველაზე ვიწრო ადგილებში მეფობს საუკუნო ჩრდილი, რომელსაც მხოლოდ შუადღისას აღწევს

1. დავფერებივარ – დავმსგავსებივარ. 2. ხვივილი – ხმაური.

მზის რამდენიმე სხივი. იქ ცივა და ბნელა. ხეობა ინარჩუნებს ამ ხასიათს იმ ადგილამდე, სადაც ძველი შატილის ნანგრევები დგას. მალლა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დგას იმავე სახელწოდების ციხე-კოშკების ნანგრევები. აქედან ხეობა რამდენადმე ფართოვდება. ჭალა-ჭალისპირები უფრო ხშირია და, აი, ჩვენ წინაა მდინარის მარცხენა ნაპირზე კლდეზე ტერასებად აშენებული დიდი სოფელი შატილი. ნაგებობები კვამლით შემჭვარტლულია. ეს ყველაზე განაპირა ხევსურული სოფელია ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით... ხევსურეთის სხვა ადგილებისგან განსხვავებით, შატილი... ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არის ბუდე კლდეზე, რალაც მჭიდრო კონგლომერატი ერთმანეთზე დადგმული საცხოვრებელი სიმაგრეებისა, რომელნიც ერთმანეთს უკავშირდებიან გადასასვლელებით, აივნებით და სხვა; ქვიტიკრები სავსეა სათოფურებით, მაგრამ სოფელში მაღალი კოშკები არ ჩანს. ყველაფერი ეს საგულდაგულოდ არის ნაგები შავი სიპისგან, უკიროდ და უცემენტოდ“ (ალექსი ჭინჭარაულის წიგნიდან „მთას ვიყავ“).

ტექსტის ნაკითხვის შედეგ

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. ალუდას რა პიროვნული ღირსებებია აღნიშნული პოემის დასწყისშივე?
2. სად ჩნდება პირველად ალუდას დაეჭვება საკუთარი (თემის) ცხოვრების წესში?
3. პოემაში ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლა ორჯერ არის აღწერილი. ვინ ჰყვება ამ ამბავს პირველად და მეორედ? რა დეტალია გამოტოვებული მეორედ თხრობისას და რატომ?
4. თქვენი აზრით, რა როლი ითამაშა სიზმარმა ალუდას სულიერი განვითარების გზაზე?
5. რა არის პოემაში უფრო მნიშვნელოვანი –
 - ა. თემისა და პიროვნების დაპირისპირება;
 - ბ. მტრობა-დაუნდობლობის და რაინდული ქცევის („კაიყმობის“) დაპირისპირება? (პასუხი დაასაბუთეთ).
6. პოემიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა იმის წარმოდგენა, რომ ერთი მხარე (ალუდა, მინდია) მეორეს (უშიშა, ბერდია, ხევსური „ახალუხლები“) მოურიგდეს?
7. რა აზრი და გამართლება აქვს ალუდასწაირთა მოსვლას ამქვეყნად?
8. რა არის ავტორის უმთავრესი სათქმელი? ალუდას რომელ გამონათქვამშია იგი ყველაზე მეტად გაცხადებული?

ზეპირი მცოდნეობა

იმსჯელეთ თემაზე: რა უფრო ადვილია, შურისძიება თუ პატიება?

„ალუდა ქეთელაური“ და ფშავ-ხევსურული მითოსი

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მითოსური სამყარო ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერებიდან შედის, რასაც, რასაკვირველია, გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს. დევებთან დაკავშირებით ვაჟა წერს: „ფშავლებს დევები ბოროტმოქმედებად ჰყავთ წარმოდგენილი... ფშავლის წარმოდგენით დევი არის ახოვანი, ტანი ხშირი ბალნით აქვს შემოსილი. დევი დღე იმალება და ღამე გამოდის სანადიროდ. დევს ისე არაფრის ეშინია, როგორც მახვილისა და ცეცხლისა. დევი კაცს ჰგავს სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსოა, წელს ზევით ღორივით ჯაგარი ასხია. დევებს წინათ უნავარდნიათ ხალხზე: უფლეთიათ ხალხი, უჭამიათ; წყალიც კი არ უსმევიათ არა სულიერისათვის. ქვეყანა შეწუხებულა, შეძრწუნებული ყოფილა იმათგან, მაგრამ ჩნდებიან ხატები და ისინი უტეხენ დევებს ბრძოლას (ვაჟა-ფშაველა, „კოპალა და იახსარი – დევების მებრძოლნი“).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ, დევური კანონის თანახმად, „დევა კაცს ძმის ხორცი უნდა აჭამოს მის დასაძლევად, ან ნიშნად ძლევისა... კაცის ხორცის ჭამა კაცისათვის დევური სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვეულებაა, რომელიც სრულდება მათ ქორწილში:

დევებსა ჰქონდათ ქორწილი, სიმღერა ამოდიოდა.
შეგვიპატიყეს, შევედით, ამირანს პური ჰშიოდა,
დედობილების ნაცხოზი ქადა კეცებში შხიოდა,
შამაჭრეს, შამააყენეს, კაცის თავ-ფეხი დიოდა“

(ზურაბ კიკნაძე, „ჯგარი და საყმო“).

„ალუდა ქეთელაურის“ შექმნამდე სამი წლით ადრე ვაჟა წერს ლექსს, რომელსაც „დევების ქორწილი“ ჰქვია. აი, ეს ლექსიც:

ღამით ცა ქუხდა, გრგვინავდა,
მთებს მოედრიკათ თავიო,
ტყეს გასდიოდა ფოთოლი,
ზღვა ბობოქარობს შავიო.
დევებსა აქვის ქორწილი,
დიდი დარბაზი ზრიალებს.
მეც დამპატიყეს, შევედი, –
რა მქისე სუნი ტრიალებს?!
სამპირად ცეცხლი დაენტოთ,
ზედ სამი ქვაბი შხიოდა,
სტუმრების წინა ხონჩებზე
კაცის თავ-ფეხი დიოდა.
უკვენას ყურეშიითა
კვენესის ხმა გამოდიოდა :
„ძმის ხორცი როგორა ვსჭამო?“ –
ყმა ვინმე გამოჰკიოდა.
უსმელ-უჭმელად გავძეხი,
ყელშიაც ამომდიოდა.

ზეპირი მუცყულბა

გაითვალისწინეთ ზემოთქმული და იმსჯელეთ, რომელ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს მიმართავს ვაჟა-ფშაველა პოემის III თავში, როგორ უკავშირდება ალუდას სიზმარი „დევების ქორწილს“ და პოეტის რა სათქმელია გამოსატული მითოსის გაცოცხლებით.



ქრტიტი სამუშაო

კომპლექსური დავალბა 10. ანალიტიკური ესეს დანერა

ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით დანერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“.

თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო ადგილები ტექსტიდან და გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- როგორ წარმოგვიდგება ალუდა ქეთელაური პოემის დასაწყისში; რით გამოირჩევა თემის სხვა წევრებისაგან, არის თუ არა თემის წესების ერთგული დამცველი;
- სად ჩნდება პირველად ალუდას დაეჭვება თემის ცხოვრების წესში, როგორ ღრმავდება ეს ეჭვი, სად აღწევს ის კულმინაციას;
- რითი დამთავრდა თემის (საზოგადოების) დაპირისპირება პიროვნებასთან. როგორ იკვეთება ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი, როგორ გამოსატავს ალუდა მწერლის მთავარ სათქმელს.
- რითია საინტერესო ალუდას სახე თქვენთვის, რა მნიშვნელობა აქვს ალუდას ნაირთა მოსვლას ამქვეყნად.
- თქვენი აზრით, რამდენად ეხმიანება ამ ნაწარმოების თემა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

სტუმარ-მასპინძელი

I

ლამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის¹ სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხევზე მოჰყევს მდინარე,
გულამღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ² ტანზედა.

ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რამ³ მიდის გზაზედა.
გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,
ვინრო ბილიკი კლდეზედა?
სავალად მეტად ძნელია,
ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა.
გაღმა სჩანს ქისტის სოფელი

ზევიდამ ვინლაც უცნობმა
კლდის ლოდი გადმოაგორა,
მგზავრმა შეჰხედა პირალმე,⁵
წინ უდგას მაღალი გორა.
ყურს უგდებს... ცოტა ხანს შემდეგ
მოესმა ქვიშის ჩხრიალი.
მგზავრი სიათას⁶ იმარჯვებს:
მტერი არ იყოს ტიალი.
შესცქერის გაფაციცებით
ფეხზე შემდგარის თოფითა,
ჰხედავს, რომ მოალაჯუნებს
კაცი ორკაპის⁷ ჯოხითა.
შავი რამ მოსთრავს⁸ პირთავექვე,
ქვიშა ქანავდა⁹ იმითა.
არას ამბობდა უცნობი,
სიტყვა არ მოსდის პირითა;
უბრჭყვინავს სალტა თოფისა,

არწივის ბუდესავითა,
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა.
სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა
დაფიქრებულის სახითა,
ყურს უგდებს არემარესა,
გულლალობს სანახავითა.
სტუმარი ცოტა ხანისა
ხვალ სხვაგან წავა აქითა.⁴
წავა, გადივლის გორებსა,
ქედებსა ყინულიანსა,
აბნელებს, უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა.
თუ მონადირეს ატირებს,
გზადაკარგულსა კლდეშია,
ალალებს მგელსა და ქურდსა,
მოარულთ სიბნელეშია.

II

ვით წვიმის ცვარი დილითა.

– ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?

– ვინ გინდა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა.

– რაობით¹⁰ სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
ვითომ, რომ დავხეტილო
შენებრ ამ კლდიან მხარესა?
მეც მონადირე გახლავარ,
დღეს კი ვეხეტე უბრალოდ.

– წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ?¹¹

– ესეც ვალია, ძმობილო,

1. გამტკნარებული – გაფითრებული. 2. სისხლს ვერ იხდენენ – სისხლს ვერ იტანენ, ვერ ეგუებიან. 3. კაცი რამ – ვილაც კაცი. 4. აქითა – აქედან. 5. პირალმე – პირალმა. 6. სიათას – ძველებური, კაჟიანი თოფი. 7. ორკაპი – ორტოტა. 8. მოსთრავს – მოათრევს. 9. ქანავდა – მოცურავდა (ქვიშა). 10. რაობით – რატომ, რის გამო, რა მიზეზით. 11. ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ? – შენ ხომ მაინც არაფერი დაგმართვია, ხომ არაფერი დაგიკარგავს.

ძლივსლა დავათრევ ფეხებსა,
სულ დავიარე ჭიუხი,
არა ვსტოვებდი ხევებსა.
ზედ შავი ნისლი ჩამონვა,
ნიავი მოსცა ძლიერი,
ხევებით შემომღმუოდა,
როგორაც მგელი მშიერი.
თვალნინ გზას ველარ ვირჩევდი,
კლდეზე გადვარდნას ვლამობდი,
ხამად¹ ვარ, გეზი² არ ვიცი,
ამით ძლიერა ვწვალობდი.
ბევრგან დავაფრთხე ნადირი,
ცხადად ფეხის ხმა მესმოდა,
ან როცა გადაფრენილის
ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა.
ის იყო გულის საკლავი,
თვალთ ვერაფერს ვხედავდი,
სროლას ან მოკვლას ვინ იტყვის,
ნინ სვლას ველარა ვბედავდი.

უცნობი ახლოს მივიდა,
შორიახლოსა მდგომარე,
„გამარჯვებო!“ – მისძახა,
„ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე!“

– შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
ჰხოცო ნადირი მხტომარე.

– აი, ნადირი, რას სჩივი? –
უჩვენა ჯიხვი რქიანი,
მკვდარი, რქებგადაგდებული,
დადუმებული, ჭკვიანი. –
თუ გინდა ეხლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც³ არ მინდა მე მეტი,
გავინანილოთ სწორადა.
ამალამ ჩემთან წამოდი,
სახლი არ მიდგა შორადა.
სადაური ხარ, ძმობილო?

სახელიც მითხარ შენია.
ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაც
დღეს უფალს გაუჩენია.
წილი გდებია შენაცა⁴
ამ ჩემგან მოკლულს ჯიხვშია.
რად გიკვირს? არ გეხუმრები,
არც გეფერები პირშია.
მაშ, თუ ეს ასე არ არის,
რად შამეფეთე ამ დროსა?!
შაჰრცხვეს, ჩემთავად, ვინც შენა
ნაწილი დაგიკარგოსა!
რა გქვიან? სახელი მითხარ,
ხევსური სჩანხარ იერით.

– ნუნუა⁵ მქვიან, ძმისაო,
გადმოხვეწილი ჭიელით,⁶ –
იცრუა ზვიადაურმა,
თვისი სახელი დამალა.
რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;⁷
ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა,
უდროდ საფლავში ჩალალა.

– შენი სახელიც მასწავლე,
ჩემი ხომ გითხარ მართლადა.

– ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
აღხასტაისძე გვარადა;
არ მოგვიხდება, ერთურთში
სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა.
სახლი აქ, ჯარეგას⁸ მიდგა,
ქავი⁹ და ციხე კარადა.
ამალამ ჩემთან წამოდი,
მე გაგიძღვები თავადა.
თუ კარგად არ დაგიხვდები,
არც დაგიხვდები ავადა.
ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
საითაც გინდა, იარე.
ზოგს მე გაიმბობ ჩემს დარდსა,
ზოგიც შენ გამიზიარე.

1. ხამად – პირველად, გამოუცდელად. 2. გეზი – მიმართულება. 3. ჩიჩქი – მცირედი, ერთი ბენო (ხორცი). 4. წილი გდებია შენაცა – ტრადიციის თანახმად, მონადირე მოვალე იყო ხელმოცარული მონადირისათვის გაეყო ნანადირევი. 5. ნუნუა – კაცის სახელია. 6. ჭიე – სოფელი პირაქეთა ხევსურეთში. 7. სისხლი ავალა – სისხლი ვალად დაედო, მოსისხლედ გაიხადა. 8. ჯარეგა – ქისტების სოფელი (ახლა ნასოფლარი) არღუნის ხეობაში, შატილიდან მეცხრე კილომეტრზე. 9. ქავი – ზღუდე, გალავანი.

– საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ვმკო – ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია.
გესტუმრო, უარს არ გეტყვი,
გიშველი ჯიხვის ზიდვასა,

წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,
თავს არ ვაკადრებ იმასა.
შამოატყავეს ნადირი,
წავიდენ ჯარეგაშია,
ბევრი იუბნეს ამბავი,
ერთურთს გაეცნენ გზაშია.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. რამ „აუმღვრია“ გული მდინარეს?
2. რას ვერ იგუებენ მთები?
3. რა ჩვევა ჰქონია წილს?
4. რა სწადია ვინრო ბილიკზე მიმავალ კაცს? შეესატყვისება თუ არა მისი ფიქრი ბუნების სურათს?
5. რას ედარება „ქისტის სოფელი“? რა ნიშნით?
6. რის მოლოდინს ქმნის აღწერილი სურათი?
7. თავიდან რა იგრძნობა ორი უცნობის დიალოგში? რატომ თანაუგრძნობ ქისტმა მონადირემ უცნობ მგზავს?
8. მთაში გავრცელებულმა რომელმა დაუნერეღმა წესმა შეუწყო ხელი ჯოყოლასა და ზვიადაურის დამეგობრებას?
9. რამ შეიტანა დამეგობრების ეპიზოდში ფარული დაძაბულობა? რატომ ამოეფარა ზვიადაური სხვის სახელს?
10. რას სთავაზობს გულღია მასპინძელი სტუმარს?

III

მივიდენ, კოშკები დაჩნდა,¹
აქა-იქ ჰყეფენ ძაღლები;
კარებში იცქირებიან
ცნობისმოყვარე ბაღლები.
დაეტყო ცხადად, კლდის მსგავსად
სიპით² ნაგები სახლები.

– აი, ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და სახლია;
მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
ნათლიმამასთან – ნათლია.

ცოლს დაუძახა ჯოყოლამ:
– გამოიხედე კარშია! –
ეტყობა თავმონონება
მასპინძელს საუბარშია.

სდგანან დერეფანს, უცდიან...
ცეცხლი ჰკრთებოდა ღვეღზედა,³
ჩონგურს უკრავდა, დროული⁴
კაცი რამ უჯდა გვერდზედა.
დაჰმღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:⁵
როგორ არბევდენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა... –
ყველგან მაღლობას სწირავენ
მარჯვენას კაის ყმისასა.

გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა⁶ ტანადა,
ვარსკვლავი ციღამ მოცლილი.

1. დაჩნდა – გამოჩნდა. 2. სიპი – ბრტყელი ქვა, ფიქალი. 3. ღვეღი – აქ: კერა. 4. დროული – ხნიერი. 5. ცდა – აქ: შებრძოლება. 6. ალყა – აქ: სიმი. როგორაც ალყა – მაღალი, ტანწერწეტი.

– აი, სტუმარი მოგვარე, –
ღვთის წყალობაა ჩვენზედა, –
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა.
ქალმა სალამი მიართო:
– სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!
– შენდაც¹ მშვიდობა, გაცოცხლოს

თავის ქმრითა და წილობით!²
სტუმარს აბჯარი წაუღო,
მიიპატიუეს შინაო;
ქალი მისდევდა უკანა,
ჯოყოლა მიდის წინაო;
თან მისდევს ზვიადაური,
ძმობილი გაიჩინაო.

IV

კაცი რომ სჩანდა სახლშია,
ჭალარშერთული, ხნიერი,
წამოდგა ისიც ფეხზედა,
როგორც კლდის ვეფხვი ძლიერი.
სტუმრად მოსული უცნობი
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა.
მაგრამ როს ნახა უცნობი,
ფერი დაედო მგლისაო;
ადვილად აიცნობოდა,
რასაც ჰფიქრობდა ისაო.
არ ეჭაშნიკა³ დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო.
გული სცემს ბრაზმორეული,
სახეც არ ჰმაღავს ამასა,
ხანჯრისკე ხელი მიუდის,⁴
ჩუმად სინჯავდა დანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაშლის ხათაბალასა.
ადგა და ჩუმად გავიდა,
თითზე იკბინა მწარედა,
სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი,
როცა გავიდა გარედა.

წავიდა, კარიკარ დადის,
ენასა ჰლესავს შხამითა:
„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე

შემოგვეპარა ღამითა.
სჩანს, რო ჯოყოლა ვერ იცნობს,
არ უნახია თვალითა
ეგ ჩვენი ამომგდებელი,
ჩვენი მრბეველი ძალითა;
გაუმაძღარი მუდამყამს
ჩვენის სისხლით და ძვალითა.
დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,
ვაგემოთ გემო მწარია,
მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
გვყავს უპატრონო მკვდარია.⁵
სთქვით, თუ არ ვამბობ სიმართლეს,
თუ ჩემი სიტყვა მცდარია?!
გაიგოს ჩვენმა დუშმანმაც,⁶
არ გვაქვს უფიშო გვარია.
მიკვირს ჯოყოლას ჭკვისაგან,
მტერს რად გაუღო კარია,
ვისა ჰმასპინძლობს ჭკვათხელი,
ცნობაზე რად არ არია?!
ცხვირიდამ უნდა ვადინოთ
ზვიადაურსა ძმარია,
თუ არა, დიაცთ დაუთმოთ
ჩვენი ხმალი და ფარია“.

აღელვდენ ქისტის შვილები,
ყველამ შაიბა ხმალია,
აღელვდა მთელი სოფელი –
ბაღლი, კაცი და ქალია.

1. შენდაც – შენთვისაც. 2. წილობით – შვილებით, შთამომავლობით. 3. ეჭაშნიკა – ესიამოვნა, ეამა. 4. „ხანჯრისკე (ხმლისკე...) ხელი მიუდისო“, მაშინ ამბობენ მთაში, როცა გაბრაზებული კაცი თავს ველარ იკავებს და ხელი „თავისით“ მიიწევს იარაღისკენ. 5. უპატრონო მკვდარი – მიცვალებული, რომლის სისხლის აღება, სამაგიეროს გადახდა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს, ვერ უპატრონეს. 6. დუშმანი – მტერი.

უნდა შასწირონ თავის მკვდარს
ზვიადაურის თავია;
უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
როგორაც წესი არია.

გაგზავნეს ერთი მზვერავი,
თან აბარებენ ჩუმადა,
მივიდეს ჯოყოლასთანა
მეზობლურადა, ძმურადა;
სოფლის განზრახვა არაგზით
მას არ ჩაუგდოს ყურადა.
ივანშმოს, იმუსაიფოს,
გაიგოს სტუმრის ლოგინი;
ლამე დაესხნენ, შაკონონ,
არ უნდესთ ბევრი ლოდინი.

მოვიდა მოყურიადე
ლაქარდიანის¹ ენითა,
სახელს ულოცავს² ჯოყოლას,
ლალობს, არ არის წყენითა.
ხალვათობს,³ ამბობს ამბებსა,
ენას აკვესებს⁴ კვესითა.
ვინ იცის, გული სავსე აქვს
გველის შხამით და გესლითა.

ივანშმოს. თვისი სტუმარი
მასპინძელს მოსწონს გულითა.
„კარგი ვაჟკაცი ეტყობა“, –
ფიცულობს თავის რჯულითა –
„ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
ერთად შევეთვისდეთ სულითა“...
მიიპატიჟა საძილედ,
დაუთმო თვისი ლაჭანი.⁵
– არაო, – სტუმარი ეტყვის, –
არ მინდა ლეიბ-საბანი.
მე დერეფანში დავსწვები,
შინ ძილს არც კი ვარ ჩვეული...

ასრულდა მისი წადილი,
გულიდამ ამონეული,⁶
მოყურიადეს⁷ ეს უნდა,
ამად არს აქ მოწვეული.
წავიდა გახარებული,
შეატყობინა ყველასა.
მამლის საჯდომი თუ იცის,
მეტი რა უნდა მელასა?!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რატომ ეპატიჟება მუსლიმი ჯოყოლა ქრისტიან სტუმარს ამ სიტყვებით: მობრძანდი, როგორც „ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია“? რა არის მისთვის მთავარი?
2. რითი მოსწონს თავი მასპინძელს?
3. რაზე მღეროდა „დროული კაცი“ ჯოყოლას ოჯახში? თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნა ვაჟამ ამ ეპიზოდით?
4. როგორ იხატება ჯოყოლას ცოლი? რას ადარებს მას პოეტი?
5. რას უსურვებენ ერთმანეთს სტუმარი და მასპინძელი? რაზე მეტყველებს მისალმების ფორმულა?
6. რად მიიჩნევა სტუმარი?
7. რა ტრადიციაზეა ყურადღება გამახვილებული ამ თავის დასაწყისში?
8. რის გამო აპირებენ ქისტები ზვიადაურზე შურისძიებას?
9. რა მიაჩნიათ ქისტებს ვაჟკაცობად?

1. **ლაქარდიანი** – შემპარავი, მლიქვნელი (ენა). 2. **სახელს ულოცავს** – წარმატებით ნადირობას ულოცავს. 3. **ხალვათობს** – ხალვათად, თავისუფლად, მხიარულად იქცევა. 4. **ენას აკვესებს** – ენამახვილობს. 5. **ლაჭანი** – წნელისგან დაწნული სანოლი. 6. **გულიდამ ამონეული** – გულიდან მომდინარე. 7. **მოყურიადე** – მოთვალთვალე, ენის მიმტანი, დამსმენი.

10. რატომ უნდა დაკლან მათ მოსისხლე „უპატრონო მკვდრის“ საფლავზე? რა წესს აღასრულებენ ისინი? რით ამართლებენ მტრობას?
11. როგორ ვლინდება ჯოყოლას მიმართ ქისტების უკმაყოფილება? შესაბამისად, რას ხვდებიან ისინი?
12. რას ფიქრობს თავის სტუმარზე მასპინძელი? რისი იმედი აქვს მას სახვალიოდ?
13. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქისტების ქმედებისადმი მწერალი?

V

– რა ამბავია, დიაცო?
 ხმალი მინდა და ხანჯარი!
 სახუმრო საქმე არაა,
 თავზე დაგვესხა მტრის ჯარი!
 ნამდვილ აკლებას გვიპირობს,
 გვალაატობს ჩვენი სტუმარი;
 ძმობით და მეგობრობითა
 შემოგვაპარა ლაშქარი!
 სუ, დაიცადე!.. მოვსტყუედი...
 ჩვენი ქისტები არიან.
 რისთვის მოვიდნენ ამ დროსა,
 რას ბჭობენ, ვის რა სწადიან?!
 ყური დაუგდე კარგადა,
 კაცისა მესმის ხრიალი.
 რა მქისე¹ ხმაურობაა,
 რა საზარელი გრიალი!
 ჩემს სტუმარსა ჰკვლენ სწორედა,
 უდგასთ ხანჯრების პრიალი.
 უყურე უნამუსოთა,
 ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ!
 ჩაიგდეს ჩემი კაცობა,
 ფეხსქვეშ ტყლაპივით² სთელავენ,
 გავიგო, აბა, ნავიდე,
 რაზე, რისთვისა ჰღელავენ?!

ეს სთქვა ჯოყოლამ, წამოდგა,
 ხელხანჯრიანი ნავიდა.
 გაალო სახლის კარები,
 შეუპოვარად გავიდა.

– რას სჩადით? – შემოუძახა, –
 ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?

რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
 თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
 ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს
 დავღვრი,
 განანებთ ბრიყულს ქცევასა,
 განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
 ჩემის კაცობის ქელვასა!..

– რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?
 რად არ მოდიხარ ცნებასა?
 მოსისხლე სტუმრის გულისთვის
 ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?! –
 შემოუძახეს ქისტებმა
 ერთხმად, ძლიერად, ჭეჭითა, –
 შენ და შენს სტუმარს, ორივეს
 ერთად გადგისვრით ბეჭითა.
 თემს რაც სწადიან, მას იზამს
 თავის თემობის წესითა.
 მთელის ქისტების ამომგდე³
 სტუმრად რადა გყავ სახლშია?
 ზვიადაურის სახელი
 ბავშვმაც კი იცის მთაშია.
 ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო,
 ჩვენის გაჟღეტის ცდაშია,
 მგლურად რო გვეტყეებოდა,⁴
 რო გვიჯდებოდა გზაშია.

ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
 პირს სინანული წაესო,
 თითქოს ნატყორცნი ისარი
 ზედ გულის კოვზზე დაესო.

1. მქისე – მეტად ცუდი, არასასიამოვნო, საზარელი. 2. ტყლაპი – ძონძი, ძველმანი. 3. ამომგდე – ამომგდები, მომსპობი. 4. გვეტყეებოდა – გვიტყედა, სამტროდ მოინევდა.

– თვით ამან მოკლა შენი ძმა
არყიანებში¹ თოფითა,
ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
გადალესულსა ცოფითა.
„გახლავართ ზვიადაური!“ –
ჩამოგვეკიოდა გორითა;
სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
თვალს ვადევნებდით შორითა.
ავსო ფშავ-ხევსურეთი
აქით ნასხმულის ძროხითა.
უკან გაუდგა ლაშქარსა
ფეხმარდი, ლეგის² ჩოხითა.
თავს რად იმურტლავ, ბედკრულო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გერევა
მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!

– ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მაგითა,
მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვულალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით³ კარადა?
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!
ვაი თქვენ, ქისტეშვილებო,
მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
უიარაღოს აწვალვებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?

მუსა (ჯოყოლას)

– შენაც ამასთან შაგკონავთ,⁴
თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!
ჩვენის ნარჩევის⁵ დარღვევა
შენ როგორ უნდა გაჰბედო?
აჰყეფდი ქოფაკივითა,⁶
აბდაუბდაობ შტერადა;
ამ გიაურის⁷ გულისთვის
ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
არ იცი, რომ შენი საქმეც
დღეიდან წავა ცერადა?!

ჯოყოლა (მუსას)

– რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ?
ახლა ძალლადაც გამხადე?! –
იძრო ხანჯარი, მუსასა
გულში უმარჯვა ვადამდე.
– უყურე თვით ძალღს, უყურე,
გამითამამდა სადამდე!
ჩემის კაცობის დამქცევნო,
ლანძღვასაც მემართლებითა?
აღლახსა ვფიცავ, გაგმუსრავთ,
მანამ ამკაფავთ ხმლებითა;
გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი,
უსამართლობას შვრებითა!

– რა ქნა უღმერთომ, რა ქნაო,
გაგიჟდა, ჭკვაზე მცდარია... –
ჯოყოლას თავზე დაეცა
მთელი ქისტების ჯარია,
ხელი შაუკრეს... არ მისცეს
ნება, ეხმარა ხმალია...
ხელფეხშეკრული დერეფანს
დააგდეს, როგორც მკვდარია.
წყევლა ხალხისა ჭეჭაა,
ნაფურთხი – წვიმის ცვარია.
წამოიყვანეს დაჭრილი,
ზვიადაურიც სტანია.⁸

რას ამბობს ზვიადაური?
სახე რადა აქვს მტკნარია?

1. არყიანები – არყნარი. 2. ლეგა – რუხი, ნაცრისფერი. 3. მომიხედით – მომიცვივდით. 4. შაგკონავთ – შეგბოჭავთ. 5. ნარჩევი – გადანყვეტილი, წესად მიღებული. 6. ქოფაკი – ძალღი. 7. გიაური – ურჯულო, სხვა სარწმუნოების მქონე. 8. სტანია – ახლავს, მათთან ერთადაა.

ბოლმა მიტომ ჰკლავს ვაჟკაცსა,
რომ ხელთ არა აქვს ხმალია:

„ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო,
კარგი დაგიდგათ დარია!“ –
ამას ამბობდა დინჯადა,
სხვად არას მოუბარია.

მიჰყავდათ სასაფლაოზე,
სადაც ქისტების მკვდარია,
უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად,
და გაუბანდოს¹ ჯღანია...²

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. პირველად რა ეჭვი გაუჩნდა ხმაურის გაგონებაზე ჯოყოლას?
2. შემდეგ რად მიიჩნია სტუმრის შეურაცხყოფა?
3. რა ბრალდებები წაუყენა ჯოყოლამ ქისტებს?
4. რად ჩაუთვალეს ქისტებმა ჯოყოლას სტუმრის დაცვა?
5. რა გამართლებას უძებნის სოფელი თავის საქციელს?
6. რამ დააფიქრა ჯოყოლა?
7. ზვიადაურის რომელ საქციელს გაუმწარებია განსაკუთრებით ქისტები?
8. რისკენ მოუწოდებენ ქისტები ჯოყოლას?
9. ჩამოთვალეთ მიზეზები, რომელთა გამოც იცავს ჯოყოლა ზვიადაურს.
10. როგორ ცდილობს ჯოყოლა თანამოქმეთა გონს მოყვანას?
11. მოსისხლის დაცვის გარდა, რა მიაჩნია მუსას ჯოყოლას დანაშაულად?
12. რა მიაჩნია ორ დაპირისპირებულ მხარეს უფრო მძიმე დანაშაულად: თემის პირის გატეხა თუ საუფლო წესის დარღვევა?
13. ჯოყოლას სიტყვით, ვინ შერისხავს უსამართლობის ჩამდენთ?
14. რაზე დარდობს დატყვევებული ზვიადაური?

VI

სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
გულლომი, ჯიშიანია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთი³
არა სძგერს გული მაგარი;
იმათ სჭამს მინა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი...
ვერ გვიხსნის სიკვდილის
ბჯღალით⁴

ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ სანყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია.
ყველა მგ ზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..

მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ჭალაზე შამოეფინა.

1. გაუბანდოს – ძირი გამოუწმენას, გამოუბლანდოს (ჯღანს). 2. ჯღანი – თასმით ძირგამოწმული ტყავის ფეხსაცმელი. 3. მხმარეთი (თოფის) – ვინც მოიხმარს (თოფს). 4. ბჯღალით – ბრჭყალიდან, კლანჭიდან.

მოჰყავდა ზვიადაური
ხელშეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაინყებს გლოვასა?!
სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;

კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სწადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბმეუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!

VII

აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა¹ მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
– ნუ იტანჯები, დარლაო,²
ნუ შეინუხებ თავსაო,
მოვსდევით შენნი მოძმენი
შენის სამარის კარსაო,
მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო.

– ძალღ იყოს თქვენის მკვდრისადა! –
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბენვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულისთქმასაო.
რა მოსდრეკს წარბაღარუბლვილსა,
ქედრიაჟანგებულ მთასაო!

აქცევენ ზვიადაურსა,
ყელში აბჯენენ ხმალსაო:
„დარლასამც შეენირები!“ –
ყველა დასძახის მასაო.

„ძალღ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ –
უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.

გაოცდენ ქისტისვილები,
ხალხი დგებოდა ყალხსაო.³
– ლამის რომ არ შეენიროს,
ერთი უყურეთ ძალღსაო! –

ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძალღ იყოს“, – ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
– უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო!

სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, –
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა...

და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,⁴
ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა.
მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ – ეძახის გულიო,
ფიქრობდა ბრაზმორეული:
„ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხოვინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, ან კრული,
მაგის გულმკერდსა სწვდებოდა!
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!“

ქისტები განყრენ, იტკიცეს⁵
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი;

1. მოლა – მუსლიმთა რელიგიის მსახური. 2. დარლა – კაცის სახელი. 3. ყალხსაო – ყალყზე. 4. ბნდებოდა – გული მისდიოდა. 5. იტკიცეს – იწყინეს, იუკადრისეს.

დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.¹
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენინანთ:
„ცოდვას!“ – ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალღახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც“, –
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო.“

ნავიდნენ, ზვიადაური
ზეზე განირეს ტიალად.
თუნდა ძალღებმა ითრიონ,
ფრინველთა ჯიჯგონ ზიარად;
„არ შეენირა, ეგდოსო,
ეგეც ეყოფა ზიანად“² –
ამას იძახდენ ქისტები
თავმონონებით, ხმიანად.
ამ ხმასვე იმეორებდენ
ბნელი ხეხვები მთიანად.

ჩამოდგა საღამოს ჟამი,
მთიდან მზის სხივი ჩამოხდა,³
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოჰხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
აღარ ელავდა ქვიშაო;
აღარსადა სჩანს, გამქრალა
თეთრი თმა შავის მთისაო;

ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო,
რო მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.
სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას – ტირილი დისაო,
ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი,
ხელში – ნატეხი ხმლისაო,
ომს – ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.

ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგენა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო,
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო.

და წყაროს პირზე დიაცი, –
ტურფა, ლამაზი, – ქისტისა,
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
დროდადრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დროდადრო ჰკრთებოდა,
ზვიადაურის სიკვდილი
თვალეებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით – ღმერთი აშინებს –
ქისტეთის მტრისა მოზარეს⁴
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდან არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა,
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრადა.

1. ქადილი – მუქარა, დანაქადები. 2. ზიანად – საზიანოდ. 3. ჩამოხდა – ჩამოვიდა. 4. მოზარე – ზარით, მოთქმით მოტირალი.

სიბნელეს უცდის, მივიდეს,
ლამით იტიროს მკვდარიო;
იმას აღარა ჰფიქრობდა,
ჯოყოლა როგორ არიო.
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის,
რას სჩადის ჭკვაზე მცდარიო?!
იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
სახლსაც შაუხსნეს კარიო!¹

ნამოდგა, იხედებოდა,
როგორც დამფთხალი ნადირი,
ხედნებ-ხედნებით ამოვლო
ხევის კლდიანი ნაპირი;
წყვდიადში საზარლად ისმის
წყალთ ანაძრახი საყვირი.
ამოვლო კრძალვით საფლავთან,
მკვდარსა მუხლმოყრით დაეყრდნო,
ქვითინებს გულამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.
აიხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალანი პირითა,²
ჩიქილის³ ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...

ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?
ყურებს გაუდის ჟივილი...
საფლავებიდან მოესმის
მკვდრების წყრომა და ჩივილი!
თითქოს ბაღლებიც ატირდენ,
გაუდისთ მწარედ წივილი!
საერთო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულისტკივილი:
„რას შერები, უნამუსოვო! –

გამწარებულნი ჩიოდენ, –
მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“ –
სამართი შემოჰკიოდენ.
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოდიოდენ.

გაიქცა, მირბის, იხედავს, –
მკვდარნი მისდევენ, სწორია.
„შინით⁴ სად გაგვეხვეწები,⁵
აქით თუ გაგვეშორია?!“

ხმა ისმის დანადევნები,
მასვე იძახის გორია,
გარშემო დაყუდებული
განა ერთი და ორია.
„უნამუსოვო!“ – მისძახდენ
ტანდანკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არემარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,⁶
თავის ტოლებში უსწორო,⁷
ქისტეთს განთქმული მხედარი.
თან მიჰკიოდა თავის დას,
სიტყვა პირს მოსდის მჭეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი?“⁸
მეორეს საფლავში ჩამდევე,
ერთს სამარეში მდებარი!
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არი?!“

ბილიკზე მოსუნსულებდა
სასაფლავსკე მყეფარი.

1. სახლსაც შაუხსნეს კარიო – სამტროდ შევიდნენ სახლში, აიკლეს. 2. პირითა – სახიდან. 3. ჩიქილა – თავსაფარი, ლეჩაქი. 4. შინით – შინიდან. 5. გაგვეხვეწები – გაგვექცევი. 6. ებარი – კაცის სახელი. 7. უსწორო – სწორუპოვარი. 8. მედგარი – ხმარობენ მეხის სინონიმად (მეხთან ერთად).

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რომელი სიტყვებით გამოიხატება სიკვდილის უძლეველობა?
2. რა ყოფილა „ბუნების ცოდვა“?
3. როგორი არათანმიმდევრული დამოკიდებულება ჰქონია ადამიანს სიკვდილის მიმართ?
4. როგორ ფიქრობთ, რატომ უნოდებს ვაჟა ზვიადაურის მკვლევლებს „გროვას“ (შდრ. „მოჰყავდა ზვიადაური ხელშეკონილი გროვასა“)? გამოხატავს თუ არა ეს სიტყვა მწერლის დამოკიდებულებას ამ ადამიანების მიმართ?
5. რამდენ ნაწილად შეიძლება ამ თავის დაყოფა მასში განვითარებული თემების მიხედვით? რა ფუნქცია ეკისრება | ნაწილს?
6. რის გამო იტანჯება, ქისტების რწმენით, „უპატრონო“ მოკლული?
7. რას ადარებს ზვიადაურის გაუტეხლობას ავტორი?
8. როგორ კვდება კაი ყმა? რას ვერ უცვალა სიკვდილმა სახე?
9. რა განსაზღვრავს ალაზას საქციელს მკვლევლობის ცქერისა და კაი ყმის დატირების ჟამს – გული თუ გონება?
10. როგორ იმოქმედა ზვიადაურის გაუტეხლობამ ქისტებზე?
11. რითი ახშობენ ისინი გამოღვიძებული სინდისის ხმას?
12. რა იმეორებს თავმომწონე ქისტების სიტყვებს? (გაიხსენეთ, „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით, რანი დახეტილობენ შელამების ჟამს).
13. იპოვეთ ამ თავში ლირიკული გადახვევა და გაარკვიეთ ავტორის სათქმელი.
14. რა და ვინ გლოვობს ზვიადაურს?
15. ვისი „ნაბრძანებია“ ცრემლი (შდრ.: სად არის შურისძიების სამკვიდრებელი)?
16. ვის დაუკისრებია ქალისთვის უცნობი კაცის დატირება?
17. რატომ ეუფლება ჯოყოლას ცოლს სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა?
18. რა ამძაფრებს ალაზას განცდებს?

VIII

– სად მიხვალ, სადა, წყეულო?
საითკე მიეჩქარები?!
ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა?
ძაღლო, დაგიდგა თვალები!
შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები?! –
სთქვა ეს ალაზამ და ქვებსა
ესროდა ხშირა-ხშირადა.
მირბის და მისდევს შმაგადა
კლდიანის ხევის პირადა.
ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
მას ბანს აძლევენ მთანიცა,
სამღურავს ეუბნებიან
ალაზას გიშრის თმანიცა.

მოუახლოვდა თავის სახლს,
სინათლე მოსჩანს იქითა;
უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
ხმა მიაწვდინოს შიგითა,¹
მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა...
მივიდა სულშეხუთული
და გადაიქცა ზღუბლზედა.
კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
მუხლი გადგედო მუხლზედა.
„ვაჰმეო,“ – ეს კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე.
ქმარმა მოჰხვია ცოლს ხელი
და მიითრია კერაზე.

1. შიგითა – შიგნით.

– რა დაგემართა, დიაცო? –
ჩაეკითხება მშფოთვარე, –
სხვა სადარდელი მაკლია,
ახლა შენ მექმნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბაგეო!
ხომ არვინ მოინადინა
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაჭმევ იმის ჯავრს,
ვანანებ ემავ ნამზეო.
ჩემის ნამუსის შემბლალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა¹ სხვისა კარზეო. –
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო
და თანაც ხანჯარს ჰბლუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.

თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია.
შუალამის დროს ალაზამ
თან-თან მოიცა გონია.²
უთხრა ჯოყოლას: – „რას ამბობ?
თავი რად დაილონია?
რად მოიგონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია?
სულ ტყუილია... კაცისა
არსად მინახავს ჭაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!“

სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაგივრად ბედკრული
შიგ შევერიე დევებში.
დამიხვდა შავნაბდიანი,

უზარმაზარის ტანისა,
(ჯერაც თვალეებში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა),
დიდყურა, კბილებლაჯუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა;
ხელები გამომინვადა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა.
თან მითხრა: „ჩემთან ნამოდი,
ჩემთან იცხოვრე, ქალო,
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიმალო.“
მე გამოვიქეცე, შეეშინდი,
დევიც მომდევედა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა
იმის ფეხებქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
ნალმა-უკულმა ტრიალით,
ძლივს მოვალნიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით.

ჯოყოლა ეტყვის: – დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.
ნამტირალევი რადა ხარ?
ღანვებზე ცრემლი გდენია;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია.
ჩემს თვალეებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!..³

– რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა? –

1. მოხდომა – მოვარდნა. 2. თან-თან მოიცა გონია – თანდათან გონს მოვიდა. 3. არ შაიძლება, არ დაჩნდეს ნასვამი, დანალევია – ადამიანს ნასვამი (სასმელი) შეეტყობა; აქ: სადარდელი სახეზე შეეტყობა ადამიანს.

ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა –
ცრემლები შემინირია
იმ შენის მეგობრისადა.
ძლიერ შემბრაღდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრაღებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,

ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..
– მაგისტვის როგორ შეგრისხავ?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მაღლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

IX

მეორეს დილას ალაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე,
ჩამოდიოდენ ფრინველები,
იზიდებოდენ¹ მკვდრისაკე;
ალაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკე.
იქილამ აფრთხობს ყორნებსა,
სვავთა მხარმოფარფაშეთა,³

ორბებსა გაუმაძღრებსა,
მკვდრის ლეშზე მოყაშყაშეთა;²
ხელს ამუშავენს და ჰმაღავს
თვალებს, მზებრ მოკაშკაშეთა.
კლდიდამ გადისვრის კენჭებსა
და თან წინდას ქსოვს ვითომა,
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხდომა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. იპოვეთ ადგილი ამ თავში, საიდანაც ჩანს, რომ ალაზას საკუთარი ბუნება აუ-ჯანყდა. რა ხმები ჩაესმის მას?
2. პირველად რა იეჭვა ჯოყოლამ, რატომ?
3. დააკვირდით ალაზას პასუხს; რომელ სიტყვებში ჩანს მისი ზნეობრივი სიმ-ტკიცე?
4. რას უნდა ნიშნავდეს ალაზას მიერ მოყოლილი დევების ამბავი? მარტო ქმრის წინაშე თავის სამართლებლად არის იგი მოგონილი თუ ამით საკუთარი გან-ცდების სიმძაფრეა გადმოცემული?
5. რა მოჰყვა ალაზას აღიარებას?
6. დაახასიათეთ ჯოყოლა მისი ბოლო პასუხის მიხედვით.
7. როგორ იქცევა ალაზა მეორე დილას, ქმართან განდობის შემდეგ?
8. იგრძნობა თუ არა მის ქცევაში ადრინდელი მწვავე განცდების რაიმე კვალი? რა უმაგრებს მას ზურგს?

1. იზიდებოდენ – იწვდნენ, მისვლას ლამობდნენ. 2. მხარმოფარფაშე – ფრთამოფარფატე, უშ-ნოდ მფრენი. 3. მოყაშყაშე – რაც ყაშყაშებს, ყეფს, ყივის (არწივი, ორბი).

X

ბისოს¹ მოვიდა ამბავი,
ვით ნაქუხარი მეხადა:
„მოუკლავთ ზვიადაური,
ცით ჩამოსული სვეტადა,
ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი,
გამოსადეგი მეტადა!“
შავის ამბისა გამგონეთ
ზარი გამართეს დედათა.

ბისოს ტიროდა ბებერი,
მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:
„ბედკრული რად ვარ ცოცხალი?
მეც მიწას მიმაბარეთა;
მკლავნი მაჩვენეთ შვილისა,
მოიტათ, ჩამაბარეთა!
ჩემის შვილისა მარჯვენით
გულს მიწა მომაყარეთა!
ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?
რისთვისღა ვსთელავ არეთა?!²
მკვდარნო, რად არ მეც ადრევე
თქვენთან არ დამიბარეთა?

როგორ ვიგონო³ თავის ძე⁴
ურჯულოს არემარეთა?!“

ვაჟკაცთ გაიგეს ამბავი,
გასაგონარი ჭირითა,
ერთმანეთს გადაეძრახნენ
ბოლმით შემკულის პირითა...
რად გიკვირთ, როცა ჩვენს
მფარველს
ცხარის ცრემლითა ვსტირითა?!
გამოიტანეს შუბები
დუმით ნაპოხის ცხვირითა,
ფარ-ხმალით მოკაზმულები
ჯარს ამზადებენ დილითა.
ეს ხომ ახალი არ არის,
სისხლმა იდინოს მილითა.
იძახის აპარეკაი:⁵
„საგძალი გინდათ კვირისა!“
„ქუდზე კაც უნდა წავიდეს!“ –
ბაბურაული⁶ ჰყვირისა.
აღელვებულთა ბორგვნაა,
ხმა არ გეგონოსთ სტივრისა!

XI

– კარში გამოდი, ჯოყოლავ,
წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
რამდენი ხალხი მოერტყა
იმ ჩვენის მთების წვერასა!
ჩვენთან მოდიან სტუმრადა,
ჩვენ გვიპირობენ წვევასა.
შეგვანანებენ დედათა
შვილთა აკვნების რწევასა.
საქონელს ერეკებიან,
რეულობა⁷ როგორი?!
აავსო ჯარმა, შეჰხედე,

ჯარეგის თავი, სამგორი,⁸
დამთხვალთა⁹ მენახირეთა
კლდეები მოსდევს ნაგორი.¹⁰
წადი, უშველე თავისებს,¹¹
მტრის დასახვედრად მირბიან,
შენც ისე წადი, ჯოყოლავ,
როგორაც სხვანი მიდიან.

– გავყვე?! რას ამბობ, ჭკვათხელო?
არ გამივლევენ ახლოსა!¹²
მარტოკამ უნდა ვიომო,

1. ბისო – სოფელი პირაქეთა ხევსურეთში. 2. ვთელავ არეთა – არემარეზე დადვივარ. 3. ვიგონო – მეგულეზოდეს. 4. თავის ძე – ჩემი ვაჟიშვილი. 5. აპარეკა – კაცის სახელი. 6. ბაბურაული – იგულისხმება ხევსურეთში ცნობილი გმირი ხირჩლა ბაბურაული. 7. რეულობა – არეულობა. 8. სამგორი – ადგილის სახელი, სადაც სამი გორია. 9. დამთხვალი – დამფრთხალი. 10. ნაგორი – აგორებული. 11. თავისებს – აქ: შენიანებს. 12. არ გამივლევენ ახლოსა – ახლოს არ გამიკარებენ.

მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
ვინ ერთგულია, ვინ არა,
ქვეყანამ დაინახოსა.
ქისტებს ორგული ვგონივარ,
გამდგარი¹ თავის რჯულზედა,
ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
თავი გაჰყიდა ფულზედა,
ქისტეთის მოლალატე ვარ,
ხელაღებული სულზედა;
მოაქვთ და ცოცხალს მადებენ
საფლავის ქვასა გულზედა. –

ამას ამბობდა ჯოყოლა,
თან აბჯარს ისხამს ტანზედა:
ნელზე შაიბა ფრანგული,
თოფი გადიგდო მხარზედა,
ქისტს არ მაუდის ჯიშადა
მუზარადის დგმა თავზედა.
მარტოკა მიდის ცალ მხარეს,
თავდადებული ცდაზედა,²
მტრის დასახვედრად სხვანიცა
შამოეფინნენ მთაზედა.

XII

ჩამოდის ხევსურთა ჯარი
დროშა მოჰქონდა წინასა;
მიჰმართეს სასაფლაოსა,
მდუმარეს ქისტთა ბინასა:
მოძებნონ თავისი მკვდარი,
მოკრიბონ გმირის ძვლები,
ზვიადურის მტანჯველთა
ძირში მოსთხარონ თვალები.

მივიდა საქმე ხმალზედა,
ფარმა გზა მისცა საკაფი,
საძევარი⁴ აქვთ ხევსურთა
ძვირი განძი და ალაფი.⁵
ფარო, ნუ ჰმტყუენოზ გორდასა,⁶
შენა ხარ მაგის ჯალაფი;⁷
თავქვე მორბინალთ ხევსურთა
წინ კლდე დაუხვდათ წარაფი.⁸

დაუხვდათ ქისტის ჯარიცა,
ხევ-ხევისპირას მალული;
შამოესროლეს თოფები,
მაჟრები³ შემოსალტული;
გზას არ უთმობენ ხევსურთა
ბიჭები ამოსხარტული.
ორივე მხრიდამ თოფებსა
ზედ დაკიჟინით ისვრიან,
ორსავე საქმე აწუხებს,
ორნივე მედგრად იბრძვიან.
ბლომად დალია ტყვიამა
სისხლი, მოძოვა ქუჩია,
მაინც არ გატყდენ ქისტები,
სდგანან ვით ციხე-ბურჯია.
ბაბურაულმა ხევსურთა
ხმალდახმალ ჩასვლა ურჩია.

კლდიდამ გადუხტა უეცრად
ქისტი ხმალმოლერებითა,
აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
მტრის ჯარის მოგერებითა.
ზოგს მოტყუება ეგონა,
ამბობდენ მოჩვენებითა:
– ეგ ვინ უხვდება ხევსურთა?
ჩვენი მხარეა, ვინ არი?
– ეგ უნდა ჯოყოლა იყოს,
სწორედ, ნამდვილად ის არი! –
სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდენ,
გაოცებულნი უცქერენ,
როგორ არ უფთხის გროვასა,
თუმცა ხმალ-ხანჯრებს უღერენ.
მოჰკლეს კიდეცა, იქცევა,
მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ.

1. გამდგარი – გადამდგარი, მოლალატე. 2. თავდადებული ცდაზედა – საბრძოლოდ თავგადადებული. 3. მაჟარი – ძველებური თოფი. 4. საძევარი – მოსაძებნი. 5. ალაფი – დავლა, ომში ნაშოვნი ქონება. 6. გორდა – ხმალია ერთგვარი. 7. ჯალაფი – ცოლი; ოჯახი. 8. წარაფი – შვეული კლდე.

ქისტ გაუხარდათ დიაც, –
„მოჰკლან, თუ მოჰკლეს, ახია!
ეხლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა¹ ინდომა,
ჩვენ კი ტალახში გაგვრია.
მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
სწორედ დავლათით დაგვრია.“²

ხევსურთ ჯოყოლა განირეს
მკვდარი, კლდის თავსა, კეტამზე.³
თითონ დაესხნენ ქისტებსა,
ჩამოეფინნენ ფერდაზე.
გახდა ხმალ-ხანჯრის ტრიალი,
დაკრული მიდის მკერდამდე;
ფარ-ხმალის ჩხერა, წკრიალი
ცას ადიოდა ღმერთამდე.

გაიქცა ქისტის ლაშქარი,
კოშკებს მიჰმართა გრიალით,
უკან მისდევენ ხევსურნი,
თავზე ჩაჩქნების პრიალით;
მოკრიბეს სასაფლაოზე

ზვიადას ძვლები ტრიალით:
ზოგი სად ეგდო, ზოგი სად,
ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით.

მოკრიბეს ძვლები ხურჯინში
და გამობრუნდენ შინათვე,
ასრულეს გულის წადილი,
დანაპირები წინათვე.
გამოირეკეს ცხვარ-ძროხა,
გადმოავლიეს მთანია;
ამოიყარეს მტრის ჯავრი,
სადარდო რალა არია?!
უცხოეთს მაინც არ დაჰრჩათ,
შინ მოაქვთ თავის მკვდარია,
ფშავ-ხევსურეთის იმედი,
ქავ-ციხე, რკინის კარია.
მოძმენი დაიტირებენ
თავის მკვდარს თავის წესზედა,
მიაბარებენ სამარეს
მამა-პაპათა გვერდზედა:
ძვირად ღირს დანადინარი
თავისის ცრემლი მკერდზედა!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რას ნიშნავს ზვიადაურზე ნათქვამი: „ცით ჩამოსული სვეტადა“? (პასუხის მოძიებაში შეიძლება „კაი ყმის“ ტექსტი დაგეხმაროთ. გაიხსენეთ: „მზედ იდგეს ხევსურეთისა, უხვად შუქს ჩამოჰლაღავდეს“).
რა ყოფილა ხევსურეთისთვის ზვიადაური?
2. რას ითხოვს დედა?
3. რას ნიშნავს: „ბოლმით შემკული პირები“? (გაიხსენეთ, როდის ითქვა ეს სიტყვები).
4. რაზე მიგვანიშნებს ფრაზა: „ეს ხომ ახალი არ არის, სისხლმა იდინოს მილითა“?
5. რატომ ჩართო ავტორმა სალაშქროდ გამზადებულ ჯარში რეალური ისტორიული პირი, ხევსურეთის სახალხო გმირი ხირჩლა ბაბურაული?
6. ვინ მიმართავს ჯოყოლას XI თავის დასაწყისში?
7. რა უნდა დაიცვას ჯოყოლამ ომში?
8. რას აბრალებენ ქისტები ჯოყოლას?
9. რად მიაჩნია ჯოყოლას სამშობლოს ღალატი? (მოძებნეთ შესაბამისი ფრაზა).
ბრძოლის რა გზა აირჩია მან?
10. რა არის ზვიადაურის ძვლები ხევსურთათვის?

1. გადრა – გატოლება. 2. დავლათით დაგვრია – იღლით გვაჯობა. 3. კეტამი – კლდის ქიმი.

11. რატომ შეეხება ჯოყოლა მარტო ხევსურთა ჯარს?
12. როგორ შეაფასეს თანასოფლელებმა ჯოყოლას თავგანწირვა?
13. როგორ მოიხსენიებენ ამ თავში ზვიადაურს ხევსურები?
14. ვის აზრს გამოხატავს ამ თავის ბოლო ორი ტაეპი – ავტორისას თუ ხევსურებისას?

XIII

– უცხოთ კაცისა მოზარევ,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
წადი, იტირე, ალაზავ,
სამარეს მიაბარია.
თავს დაჰყრანტალებს ყორანი,
წვერ-ულვაშს უცრის ქარია.

– შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
რო ჩემი ყოფნა მწარია!
ალარვინ მივლევს ახლოსა,¹
არვინ მიჭირა მხარია.
იქვე დავმარხე კლდის თავზე,
საფლავიც გავუთხარია;
სუყველამ ზურგი მაქცია,
ყველაყა განზე მდგარია.
სასაფლაოც კი შემიკრეს,²
რო დამემარხა ცხედარი:
„– ჯოყოლამ გვიღალატაო,

მაგის ადგილი ეგ არი,
საცა მარტოკა ომობდა,
ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,
თემის პირისა გამტეხი,
ორგული, დაუდეგარი.
ცეცხლი მწვავს, ძმაო,
ცეცხლი მწვავს
უალო, მოუდეგარი;
გულს მიკლავს, გონებას მირევს
ფიქრები გაუგებარი!“

ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირად,
არჩვი ყელგადაგდებული,
თმახშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულმკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა.

XIV

ღამეა ბნელი, დელგმაა,³
დგანდგნარებს არემარეო.
ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,
უშველე, შაინყალეო!
კარგი კარგია მაინცა,
ბეჩავი შაიყვარეო!
ტანჯულთა ლოცვა-მუდარა
გულს ვარდად დაიყარეო!
თუ არ უშველი, სანყლების
სულელები მიიბარეო!..
გეყო მაგდენი მუქარა,

ღრუბელო, გადიყარეო!
მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს,
ზედ ასქდებოდა ლოდებსა,
დღესაც ისევე ბოროტობს,
არ იცის, რისთვის ჰგოდებსა.
არ ეშინიან ტანჯვისა,
იმან არ იცის სიკვდილი.
ერთი რამ იცის მხოლოდა:
ცრემლის ღვრა, მაღლა ყვირილი,
მუდამ ჟამს უცინარობა,
მარტო ტირილი, ტირილი...

1. ალარვინ მივლევს ახლოსა – ახლოს არავინ მიკარებს. 2. სასაფლაოს შეკვრა – სასაფლაოზე დამარხვის აკრძალვა. 3. დელგმა – არის წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი (საბა).

ქარი სცემს დაბლა ხევეებით,
ჩამოკიჟინებს მთებითა;
ქალი სდგას, მდინარეს დასცქერს,
კლდეზე, გაშლილის თმებითა;
სხივმიხდილს ვარსკვლავს მაგონებს
მკრთალად მთრთოლარის ყბებითა.
არ იღებს ხმასა... შემკრთალი
ჰკრთის, რომ დასცქერის მდინარეს:
რა საზარლადა ხმაურობს,
როგორ საზარლად მდინარებს!
ლაშდარენილი, სასტიკი
შავი ხეობა მძვინვარებს.
„თავს ნუ იკლავო!“ – აბა, თუ
ერთმა ურჩიოს მაინცა.

დახუჭა ქალმა თვალები,
მსწრაფლად მორევში ჩაიქცა.

– რაღად ვიცოცხლო, რიღასთვის? –
ამას ჰფიქრობდა ქალია. –
ქისტეთში ჩემი ერთგული
კენჭიც კი არსად არია.
ორთავ შევცოდეთ, ქისტებმა
მით შამიჩვენეს¹ ქმარია...
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია.
ნაილო წყალმა ალაზა,
ლამსა და ქვიშას შაჰრია.

XV

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
მოჰკლეს ხევსურთა ბრძოლაში,
ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა
ზვავისგან ნაგალს² გორაში:
კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკე იძახებს:
„–ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.³
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე ალაზაც ამოდის
სახემონწყენით, მწუხარედ.
ენტება ცეცხლი მათ გვერდით,
მკრთალად ბჟუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს ალაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.

ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და დაძმობისასა.

როცა მათ ჰხედავს ერთადა,
კაცი ვერ ძლება ცქერითა;
მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ
კურუმად⁴ შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერამწერელის წერითა.⁵
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,⁶
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.

მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს⁷ ხველითა
და უფსკრულს დასცქერს
პირიმზე⁸
მოღერებულის ყელითა...

1893 წ.

1. შამიჩვენეს – შემირისხეს. 2. ნაგალი – გათელილი, დაღენილი. 3. სამკლავე – აბჯრის ნაწილი მკლავის დასაცავად, გარედან შემოსაკრავი. 4. კურუმად – ბოლქვ-ბოლქვად. 5. წერამწერელის წერითა – განგების ძალით, რაც გარდუევალა; წერამწერელი – ადამიანის ბედ-იღბლის იმთავითვე (დაბადებისთანავე) განმსაზღვრელი. „კაცს რაც შუბლზე აწერია, ის არ ასცდება, კაცი უმწერლოდ, ესე იგი, თუ არ წერით, არ მოკვდება“ (ვაჟა). 6. კვერი – ჩაქუჩი. 7. მიქანავს – მიექანება. 8. პირიმზე – მცენარე, რომელსაც მუდამ მზისკენ მიქცეული ერთადერთი ყვავილი აქვს.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა სისასტიკე გამოიჩინა თემმა უთანასწორო ბრძოლაში მოკლული ჯოყოლას მიმართ?
2. რა სისასტიკე გამოიჩინა მან ალაზას მიმართ?
3. რა არის ნათქვამი XIII და XIV თავებში ალაზას გარეგნობაზე?
4. რით იპყრობს ყურადღებას ლირიკული გადახვევა. რას ევედრება პოეტი ღმერთს?
5. მდინარე პოემის I და XIV თავებშია აღწერილი. სიგრძე-სიმოკლის გარდა, კიდევ რით განსხვავდება ეს ორი აღწერა ერთმანეთისაგან? რომელ აღწერაში იგრძნობა წყლის სტიქიის დაუნდობელი, სასტიკი ბუნება?
6. რას შეამზადებს ემოციურად მეორე აღწერა?
7. პოემის III თავში მშვენიერი ალაზა „ციდამ მოცლილ“ ვარსკვლავთან იქნა შედარებული. ამჯერად როგორ ვარსკვლავს აგონებს ალაზა პოეტს? ახსენით ორ აღწერას შორის არსებული განსხვავების მიზეზი (გაითვალისწინეთ ალაზას სულიერ მდგომარეობაზე მიმანიშნებელი დეტალი).
8. რით გამოირჩევა XIV თავის ფინალი სხვა თავების დასასრულთაგან?
9. დააზუსტეთ, სად ხდება XV თავში აღწერილი მოქმედება?
10. საიდან მოისმის ჯოყოლას ძახილი? საიდან მოაშურეს მას ზვიადაურმა და ალაზამ?
11. რატომ უხმო ჯოყოლამ ზვიადაურს? რა გვითხრა ამით პოეტმა?
12. რა როლს ასრულებს ალაზა მასპინძლობის ამ „სურათში“?
13. რის სადღეგრძელოს სვამენ გმირები?

ეს საინტერესოა!

ერთ ხალხურ ლექსში ქალი ასე დასტირის მოკლულ ვაჟკაცს:
ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნის-ჭალაის პირსაო,
ვინ შაგილება ნითლადა მხარ-ბეჭი პერანგისაო?
ვინ გაგიმეტა სათოფრად პატრონი ბევრი ცხვრისაო?
ჯავრისგან დაგიღრეჯია კბილები ბროლებისაო,
ლამაზად დაგიტირებდი, შიში არ მქონდეს ქმრისაო.

როგორც ჩანს, ამგვარი იყო ქმრის წინაშე ქალის მოვალეობის ხალხური ტრადიცია. ალბათ ამიტომაც ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შევუყენებივართ... „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი (ჯოყოლა) ჰკითხავს ცოლს, ალაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო ალაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისთვისაო“...

იმსჯელეთ, რამდენად დამაჯერებელია მკითხველისთვის ჯოყოლას პასუხი, ანუ როგორ შეაფასებთ მწერლის მიერ ცოლ-ქმრის დიალოგის ამგვარ გადაწყვეტას.

ტექსტის წაკითხვის უმჯობესი

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევფასოთ

1. რომელი ორი წესი დაუპირისპირდა ერთმანეთს „სტუმარ-მასპინძელში“?
2. როდის დადგა ჯოყოლა ზნეობრივი არჩევანის წინაშე? რით არის განპირობებული მისი არჩევანი?
3. აქვს თუ არა თემს თავისი სიმართლე?
4. ვაჟას ცნობილ ლექსში გაცხადებული „კაი ყმის“ რა თვისებები აქვთ ჯოყოლასა და ზვიადაურს?
5. როგორ ფიქრობთ, რატომ იღუპებიან პოემის მთავარი გმირები? როგორი გამარჯვება მოსდევს მათს ფიზიკურ მარცხს?
6. რისი სიმბოლოა ჯანლი პოემის ფინალში? რატომ ეფარება იგი მშვენიერ სანახავს? რისი სიმბოლოა პირიმზე?
7. XV თავის რომელ სიტყვებშია გაცხადებული მწერლის იდეალი?
8. ჩნდება თუ არა ნაწარმოებში იმედი იმისა, რომ ეს „სურათი“ (ანუ მწერლის იდეალი) ოდესმე ამქვეყნადაც შეისხამს ხორცს? (პასუხი დაასაბუთეთ).
9. ერთ-ერთ ვარიანტში პოემას „ზვიადაური“* ეწოდება. თქვენი აზრით, რატომ არჩია ვაჟა-ფშაველამ ამ სათაურს „სტუმარ-მასპინძელი“?



ჭრტილი სამუშაო

კომპლექსური დავალება 11. ანალიტიკური ესეს დაწერა

დაწერეთ ანალიტიკური ესე, რომელშიც გაანალიზებთ ვაჟა-ფშაველას პოემას „სტუმარ-მასპინძელი“.

თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომში წარმოაჩინეთ:

- ნაწარმოებში ასახული მოქმედების დრო და ადგილი, ნაწარმოების სიუჟეტი მოკლედ, თქვენი ინტერპრეტაციებით;
- ის მიზანდასახულობა და სათქმელი, რაც პერსონაჟთა საშუალებით წარმოაჩინა მწერალმა პოემაში;
- რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით;
- როგორია ავტორის დამოკიდებულება თემის, პერსონაჟების მიმართ, როგორ და სად იკვეთება ავტორის ფასეულობები;
- როგორია თქვენი დამოკიდებულება პოემისადმი, რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი და რით არის აქტუალური ეს ნაწარმოები თანამედროვე მკითხველისათვის.

* საინტერესოა, რომ ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, შალვა მშველიძის, მიერ ამ პოემის მოტივებზე შექმნილ სიმფონიურ პოემასაც „ზვიადაური“ ეწოდება.

ბასტიონი

I

დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები,
ალარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლისმღვრელი ძვლები;
ქარი ქვითინებს, ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.

გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდისთ ალაზნიანი,¹
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულმკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყაროფშიანი;²
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი განირეს ცვრიანი;
გაივსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.

მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც³ სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა⁴ და ღვიანი!⁵
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდულს ღვთიანი,
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ღალიან-ბარაქიანი.⁶
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთი
ესუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემება⁷ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით.

II

გორი რამ ჩასდგამს⁸ შუბისწვრად,
მუხა-იფნებით ფარული.
იქ ჰყრია დიდი ლოდები,
შავფერი, ციხისკარული...⁹
ლიბოდათხრილი კოშკები,
უმზეოდ ჩამოგვალული...¹⁰
ბერი ტიროდა დიაცი,¹¹
ისმის ქვითინი ქალური.
რამდენი სიპები აწყვავ,¹²
მოსჩანს აკლდამის¹³ პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევლად დაველირები.¹⁴
ეს ფშაველთ სალოცავია,

დღეს დღეობაა ამისა...
არ ვიცი, თვალი მატყუებს, –
მიშლის წყვდიადი ღამისა,
ხალხს ნუთუ დაჰვიწყებია
წმინდა გიორგი თავისა?!
ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
მომასწავებელს ავისა.
საჯარეს¹⁵ დიაცს რა უნდა,
ართუ ეშინის დავისა?
მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდება,
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თვითონვე უტყავებია,

1. ალაზნიანი – ალაზანივით უხვი, ძლიერი. 2. წყარო-ფშიანი – წყაროებიანი და ფშებიანი. (ფშა – მდინარის ნაპირებში გამონაჟონი წყალი). 3. ჩემსამც – ნეტავი ჩემს. 4. დეკა – დაბალი მარადმწვანე ბუჩქი, თეთრი, ღამაზი ყვავილი და მოგრძო, ჩაის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქვს; იზრდება მაღალ მთაში. 5. ღვია – მარადმწვანე წინწოვანი ბუჩქი; კლდეებსა და ფერდობებზე იზრდება. 6. ღალიანი – აქ: მსუქანი, ცხიმიანი, ბარაქიანი (ღალა – ნაღები). 7. მიგემება – მიგემია. 8. ჩასდგამს შუბისწვრად – ჩადგმულა, ჩაყუდებულა (შუბივით). 9. ციხისკარული – ისეთი, ციხის ეზოში რომ ყრია. 10. ჩამოგვალული – დამსკდარი, ჩამოშლილი. 11. დიაცი – დედაკაცი, იტყვიან გათხოვილ ქალზე. 12. აწყვავ – აწყვია. 13. აკლდამა – ქვიტიკირის სამარე. 14. სამთხვევლად დაველირები – დავაპირებ მთხვევას. 15. საჯარე – ნაგებობა ხატში, სადაც ხატის ჭურჭელი და სხვა ნივთები ინახება, სადაც, ხატის მსახურთა გარდა, არავის შესვლა არ შეიძლება.

მარტოდმარტოკას დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია.¹

აქ არც ხევისბრის ხმა ისმის,
არსად - ფშაური ღრეობა,
ვინ გიჟი იტყვის იმასა,
რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!

ბრალადა² ბჟუტავს სანთელი,
ცრემლი წინ უდგა გუბედა;
მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
და ჩაუძვრება უბედა, –
გმირთა აღმზრდელთა ძუძუებს
გაიხდის თავის ბუდედა!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რა მიგვანიშნებს დასაწყისში პოემის საგმირო ხასიათზე?
2. როგორ გესმით სიტყვები: „გმირთ ოფლისმღვრელი ძვალეები“?
3. თავისთვის უსაყვარლეს რომელ ორ ყვავილს მიმართავს პოეტი? რა ყოფილა პოეტისთვის მასაზრდოებელი?
4. გაიხსენეთ, რომელ ლექსში გვესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველა ადამიანის (პოეტის) სრულ თანაზიარობაზე ბუნებასთან?
5. მოიძიეთ გაპიროვნების ყველა მაგალითი პოემის I თავში.
6. რას აღწერს ავტორი პოემის II თავის დასაწყისში?
7. იპოვეთ ამ აღწერაში ჩართული ლირიკული გადახვევა. გაარკვიეთ მისი ფუნქცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში.
8. რა მოულოდნელობის მოწმე ხდება მკითხველი?
9. როგორია პოემის II თავის საერთო განწყობილება?

III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცი გამოჩნდა უცხო რამ,³
ჩამოგლეჯ-ჩამონწილი,
ერთი ყარიბი,⁴ უშნო რამ.
სანთლისა შუქზე წამოდგა
დატანჯულისა ფერთა,
მხარზე თოფგადაგდებული,
გაბუდებულის⁵ წვერითა,
დანჯღრეულქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა.

ადვილად საცნობი იყო
კაცი ფშაურის ერთა.⁶
დადგა, დაეყრდნო თოფის ტურჩს,
ცრემლებს ინმენდდა ხელითა,
იზიარებდა ბებრის დარდს
სახის შეჭმუხვნით ხმელითა.
თავის დარდებში გართული
დიაცი მიჰხვდა ვერასა,
ტიროდა, ემდურებოდა
ხოშარელთ⁷ ბედისწერასა;

1. **ხატ-ღმერთი უხსენებია** – ნაგულისხმევია გარკვეული ღვთისმსახურების აღსრულების დროს სათანადო ლოცვების წარმოთქმა, რისი უფლებაც მხოლოდ ხევისბერს ჰქონდა; ქალებს კი ეკრძალებოდათ ღვთაების სახელის წარმოთქმაც კი, არ შეიძლებოდა მათ მიერ საკლავის დაკვლა.
2. **ბრალად** – საცოდავად. 3. **რამ** – აქ: ვიღაც. 4. **ყარიბი** – გადახვეწილი, სამშობლოს მოცილებული.
5. **გაბუდებული** – გაბურძგნილი, აბურდული, აწენილი. 6. **ერი** – აქ: იერი. 7. **ხოშარა** – სოფელია უკანაფშავში, შუაფხოს ზემოთ.

გულს იმჯილავდა,¹ ჰკითხავდა
ნანგრევებს ცრემლის დენითა:
„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მინა ვასველოთ ცრემლითა,
ან მინა რად არა ძლება
დამდნარის გულის წვენითა?
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები,
შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოდეს გველები?
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ² ჩვენივე ნელები,
და ცეცხლებ გვერტყას ათასი,
გულის, გონების მწველები?
ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
ამ ფშავისხევის მცველები!“

დიდხანს უცქირა უცნობმა
მოხუცის მოთქმას მწარესა,
მიჰხვდა, რომ უბედურება
სწვევია ფშავის არესა;
ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
უცნობი უცნობს დიაცსა:

მგზავრი

– ვინა ხარ, ნეტარ, დედილო,
ვისა-რა მოსთქვამ ზიანსა? –
(ვერ გაიგონა ნათქვამი,
ისევ ზარს ამბობს ხმიანსა).
– შენ გეკითხები, დედაო,
რად ჰსვამ ბალღამით³ ფიალსა?

სანათა (ბებერი)

– მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
კაცი ვიხილე თვალითა! –
(ადგა და ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით,⁴ ძალისძალითა).
– მოხვედი, შვილო, მშვიდობით,⁵

შვილო, წყალობა ხატისა!
აღარ მეგონა, თუ მამრი
კიდევ მიწაზე დადისა...

მგზავრი

– შენიმცა მწყალობელია,
შენთა შვილთა და ქმარისა!
ერთს გკითხავ, დედაშვილობას,
მითხარ პასუხი ამისა:
დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
საქმე აკეთო მამრისა?
ვფიქრობ, დროება დამდგარა
იმ მეორმოსვლის წამისა.
ხომ არ აყრილან ფშაველნი,
ჩქამ რო არ ისმის ხალხისა?
როგორც მინახავ, არ არის
ლხინი კაცის და ქალისა.
შენობა⁶ მინდა გავიგო,
ვარ თქვენის მიწაწყალისა.

სანათა

– ჩემ რა იკითხვის, დედილას,
უკლოსი,⁷ ბედით შავისა?
დავკარგე ყველა თვისტომი,
ვინაც კი მყვანდა თავისა...
წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
წყეულის თათრის⁸ ჯარისა.
მამრთა შააკლეს მტერს თავი,
ხსენება გასწყდა კაცისა.
გასუქდა ხოშარისგორი
სამარეებით ხშირითა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ვსტირითა.
ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
ბალღებიც ატირდებიან,
გლოვის მიზეზსა გვეკითხავენ,
დედებს რომ გვაკვირდებიან,
არ მიიღებენ პასუხსა,
უფრორე აყვირდებიან.
ძუძუთ ვათირებთ⁹ ბალღებსა,

1. იმჯილავდა – გულში მუშტს იცემდა. 2. ვლახოთ – ვთელოთ. 3. ბალღამი – გადატ. ბოღმა, ნაღველი. 4. ხანხალი – დუნე, ზანტი მოძრაობა. 5. მოხვედი(ი) მშვიდობით! – მისალმების ფორმა დამხვდურისაგან. 6. შენობა – აქ: შენი ვინაობა. 7. უკლო – უბედური, საწყალი. 8. თათრის – სპარსელების. საქართველოში თათარს უწოდებდნენ ისლამის ყველა მიმდევარს, მიუხედავად ეროვნებისა. 9. ვათირებთ – ვანყნარებთ.

რძისთვინ რო აბირდებიან.¹
 რად გვინდა დედებს შვილები,
 რაზე ვსწვალდებით, ნეტავი?
 გაჰზდი, გალალებს ვაჟკაცი,
 ლამაზი, გორის მდრეკავი.
 გალალებს, მაგრამ ტყუილად:
 დღეს მთელი, ხვალე მკვდარია.
 მოვა, წაიღებს უეცრად
 სისხლისა ნიავეღვარია.
 პირსისხლიანის მსინჯველი,²
 შვილის, დუშმანიმც³ არია!
 სანათაი ვარ მე, შვილო,
 აფხუშოური⁴ ქალია,
 აქა ვარ გამოთხოილი,
 ბერიძე⁵ მყვანდა ქმარია.
 შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
 თითო ლომისა დარია,
 შვიდივ გამინყდა ერთ დღესა,
 მამაც იმათთან მკვდარია.
 ხოშარის გორზე დავმარხენ,
 თავზე დასტირის ქარია,
 ორს კვირას საფლავებ ვსთხარე
 იმათ თავშესაფარია... –
 (რა ეს სთქვა, ამოქვითინდა,
 ღვარა ცრემლები მწარია).
 – ჩემს ქმარ-შვილებთან
 ბევრს სხვასა
 გამაეჯარა⁶ კარია.
 ვინ ემსახუროს, მაშ, ხატსა,
 მაშ, ვინ დაუნთოს სანთელი,
 მაშ, ვინ დაგვიკლას საკლავი,
 ვინ მოაკმოს საკმელი?
 უკაცურთ კაცობა გვმართებს,
 მანამ სული გვჩრავ პირშია,
 ხატიც შავგინდობს ცოდვასა,
 რო გვნახავს გასაჭირშია.
 ეხლა ის მითხარ, დედილას,
 სადიური ხარ, ვისია?
 იქნება ჩვენობა გეთქმის,⁷

იქნება იყო სხვისია.

მგზავრი

– დედაო, დედაშვილობამ,
 მეც ბევრი ვნახე ჭირია.
 ოც წელს სრულ სხვიშვილადა
 ვარ,

სამშობლო გამინირია...
 მათურელი⁸ ვარ ძირადა,
 სახელად მქვიან კვირია,
 ჩემფერა უკეთურები
 ყუნჭებიც⁹ ბევრი ჰხირია.¹⁰
 ფშავს უბინადროდ რჩენილი,
 ნაველ საძებრად ბედისა,
 ოჰ, მოგონება ჩემის დღის
 დამსხმელი არის რეტისა!
 მზიდველი არის ეს ქედი
 ტანჯვისა მეტისმეტისა.
 ჩემი ამბავი შორს წავა,
 მოკლედ რომ მოვსჭრა, სჯობია;
 ვინ არ გაიმბობს ჩემს ამბავს,
 ვინაც კი ჩემი მცნობია,
 ობლობის, ბეჩაობისა¹¹
 დღესაც ზედ მაძე¹² ობია.
 სად სიცივეში ვგდებულვარ
 ორკვირობით მშიერი,
 არც ისე დროულიცა¹³ ვარ,
 უცხოს ვგონივარ ხნიერი...
 ოცი წელია, მწყემსად ვარ
 თუშეთს, უცხოსა მხარესა,
 და ფშავისხევის სტუმარსა
 მარტო ვხედავდი მთვარესა.
 საბაროდ¹⁴ გადმამავალთა
 ამბავს ვკითხავდი წეროთა...
 რა წერილობას გავგინევეს,
 თოვლზე ამბავი ვწეროთა?!
 ოც წელს მინა მაქვ ლოგინად,
 ცა მახურია საბნადა,
 ავდარში შავი ნისლეები

1. აბირდებიან – „მოუნდებათ, სურვილი აღეძვრისთ“ (ვაჟა). 2. მსინჯველი – მხედველი, მაყურებელი. 3. დუშმანი – მტერი. 4. აფხუშოური – ქალი აფხუშოდან (სოფელი ჩარგლის ახლოს). 5. ბერიძე – კაცის სახელი. 6. გამაეჯარა – გამოეკეტა. 7. ჩვენობა გეთქმის – ჩვენებური ხარ. 8. მათურა – სოფელი უკანაფშავში. 9. ყუნჭი – კუნძი. 10. ჰხირია – აქ: გდია. 11. ბეჩაობა – საწყლობა, საცოდაობა. 12. მაძე – მადვეს. 13. დროული – ხანშიშესული. 14. საბაროდ – ბარისკენ.

ტანზე მეხვევა ნაბდადა.

სანათა

– მიკვირს, ან ეხლა რო მოხვალ,
ოც წელს ნამყოფი სხვაგანა!

მგზავრი

– საქმე გაჭირდა, დედილო,
ურჯულო თათრებისგანა¹.
დათარეშობენ, კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავესა;
საცა ჰსურთ, ყურძენსა სჭამენ,
საცა – ჭანჭურს და ქლიავსა.
ანოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ჰხდინან ძალადა,
ჰკრეფავენ ურჯულოები
სილამაზესა ღალადა.
არა ჰზოგავენ, დედილამ,
ვინც კი მაუათ თვალადა;
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილამოხდილ² ქალადა.
არა სჩანს ხელის შამქცევი,³
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძლოლი ჯარისა.
იქ, ჩვენთანამდიც მოდიან,
ცხვარსა ფარობით გვტაცებენ,
არვინ გადურჩათ რჯულძალთა,
ყველას ბეგარას აღებენ.
ვისაც ჰკვლენ გზა-გზისპირებზე,
თავებს მარგილზე⁴ აგებენ,
შადიან სხვისა სახშია,
კარს უკრძალავად აღებენ.
დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია,
პირი ქნეს,⁵ იმათ წინ უძღვის
ზეზვანი საოცარია,

სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი საომარია.
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა⁶
და დამაბარეს ხვეწნითა
სიტყვა სათქმელი პირადა:⁷
„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორციით და რჯულითა?!
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნო გულითა!
უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რო ვერა გვარობენ?⁸
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ,
ჩვენის საყდრების ტრაპეზთან⁹
ეხლა მოლები გალობენ.
ბევრია დაღონებული, –
უთხარო, – ბევრნი ნვალობენ!“
მახსონდა, ამ დღეს ხომარელთ
აქ გექნებოდათ ხატობა,
ვიცოდი, ეწყინებოდათ
კახეთის რბევის შატყობა.
ღმერთმა აცხონოს ისინი,
ჩვენც იმათ მივდევთ კვალზედა,
იქნება ამ ორს კვირაზე
შავხვდე შავეთის¹⁰ კარზედა.
მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს, ვიყვნეთ ცდაზედა.¹¹
როცა დრო მოვა და... გაქრეს
ბედის ვარსკვლავი ცაზედა,
ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა;
სიცოცხლეს აუგინასა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები,
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,

1. ურჯულო თათრებისგანა – იგულისხმებიან არაქრისტიანები, ისლამის მიმდევრები. ამ შემთხვევაში სპარსელები. 2. ჩიქილამოხდილი – გადატ. შერცხვენილი. ჩიქილა – ქალის თავსაბურავი. ძველად თავდაუბურავი (თავშიშველი) ქალის გარეთ გამოსვლა სირცხვილად ითვლებოდა. მტრისგან აკლებულ კახეთს ავტორი შერცხვენილს უწოდებს. 3. ხელის შამქცევი – ხელის შემბრუნებელი, წინააღმდეგობის გამწევი. 4. მარგილი – სარი, რომელსაც ძეძვის ღობის გასაკეთებლად ხმარობენ. 5. პირის ქნა – პირის შეკვრა, შეთანხმება. 6. მზირი – მაცნე, შიკრიკი. 7. პირადა – პირში, პირდაპირ. 8. გვარობენ – ვარგანან. 9. ტრაპეზი – აქ: საკურთხეველი. 10. შავეთი – საიქიო. 11. ცდა – ბრძოლა, ომი.

მე თვითონ გავიგმირები.
დედაშვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები.

სანათა

– ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებოყოსთ მტერზედა,
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტყვებდი მკვდრებზედა;
იმავე დღეს, შვილო, დედილამ,¹
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ²
ჩემს ჯულურას და საბასა;
ჩემს წარბდაღურბლვილს ივანეს,
(კარგა ხმარობდა დანასა,
ვენაცვლე იმის გულმკერდსა,
შაიხდომლებენ³ შანასა),⁴
ჩემს ტანადაბალს ხუმარას,
ბატარას, შუბიანასა,
ვაჟკაცის წესი სცოდნიყო,
არა ჰგავ ჯუბიანასა;⁵
მეხად დაეცა მტრის ჯარსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა;
ეცადა, მაგრამ ვინ დაჰლევს
რიყეზე ქვებს და ლოდებსა,
ვინ დაჰლევს თათრის ლაშქარსა,
უთვალავს, გასაოცებსა?!
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რალა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი,
გულიდამ ეკლის სალტასა⁶
მაშინის მოვიფონებდი.⁷
შვილო, დედილამ, მე თვითონ

წავალ, შავტირებ ფშაველთა,
ყველას შავტირებ ჩემს დარდსა,
ვისაც შავხვდები გზა-ველთა.
მე თუ რვა სული შავსწირე,
თითოს ვერ გაიმეტებენ?
ფშაველნი აიშლებიან,
თუ მტერს სამ დაიმედებენ...⁸
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო,
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო!
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!
გვაკმარე, ღმერთო, ზარალი,
გვეყო, რაც სისხლი გვიღვრია,
გვეყო, რაც მტერთან ბრძოლაში
ძვალები გადაგვიყრია.
გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრომელი ვაება,
არ თუ ვებრალვით, საყმოთა⁹
რო არა გვენყალობს ღვთაება?!
გვიშველე, ლაშარის ჯვარო,¹⁰
დაგვჭირდა შენი თავია,
აკურთხე შენის ფრანგულით
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია!
ნუმც დაელუპვისთ, შენს მადლსა,
ზღვაში შასული ნავია!
ჩაუძედ, ლაშარელაო,¹¹
ტანზე შაიბი ხმალია,
გვიჭირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია! –

ასე მოსთქვამდა დიაცი
თავდაკიდებით მდგომარე...
– გვიშველე, – სულ ბოლოსა სთქვა,
– შენა ხარ ჩვენი მომხმარე!

1. დედილამ – ასე მიმართავს მოფერებით დედა ან სხვა ხნიერი ქალი ახალგაზრდა ქალსაც და ვაჟსაც; ასევე მიმართავს შვილი დედას ან ახალგაზრდა – ხნიერ ქალს. 2. იმიერ – მას შემდეგ. 3. შაიხდომლებენ – მოიხდენენ, დაიმშვენებენ. 4. შანა – შელოცვილი ნივთი, რომელსაც გულზე იკიდებენ ავი სულეებისგან დასაცავად. 5. ჯუბა – „შინაური შალის კაბა“ (ვაჟა). 6. სალტა – სალტე. 7. მოვიფონებდი – შევიმსუბუქებდი. 8. დაიმედებენ – დაიგულეებენ. 9. საყმო – ხატის მრევლი. 10. ლაშარის ჯვარი – ფშაველების მთავარი სალოცავი უკანაფშავეში, ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს. 11. ლაშარელა – ლაშარის ჯვრის ზედწოდება.

მგზავრი

– ამინ! გიშველოს უფალმა,
ღმერთმა გიცხონოს შვილები,
გაცხონოს, ჩემო დედაო,
ღვთისგანმც ნუ გაინირები!
დიდხან საუბარს ვაგძელებ,
სვლას კი არ ვფიქრობ რადამე...

სანათა

– ძნელადა ბნელა, დედილა,
ველარსად წახვალ ამლამე.

მგზავრი

– ხევსურეთს მინდა გადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო,¹
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო.
უნდა ჩავუდგე სოფლებსა,
ვიარო კარიკარაო.

სანათა

– ღვთით ხელიმც მოგემართება,
წადი, იარე ჩქარაო!
მეც სულელი ვარ, ბებერი,
წასვლას რო გირჩევ ხვალაო.
პურიოთ გშიან,² დამწვარო,
წამგზავრ-წატანჯი ხარაო. –

აილო ქადა-პურები,
მთლიანად ჩააბარაო.
– ნეტავ მაჩვენა კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო!

მგზავრმა ჩაიდვა საგძალი,
პირთავქვე ჩაეფარაო,
ქვეით გაისმა ლოდებზე
მგზავრის ხმლის ბუნის³
ჩხარაო.⁴

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. კვირიას პორტრეტში იპოვეთ ეპითეტი, რომელიც მკითხველს ამ ჩამოძონძილი კაცისადმი დადებითად განაწყობს.
2. რა გამოსჭვივის სანათას მოთქმაში – მეზრძოლი ხასიათი თუ სასონარკვეთა? (პასუხი დაასაბუთეთ).
3. რისი ნიშანია კვირიასთვის ქალის მსახურება სახატეში?
4. მიიჩნევს თუ არა თავს ვალმოხდილად ქმრისა და შვიდი შვილის შემწირველი დედა? (პასუხი დაასაბუთეთ).
5. როგორ ახსნა სანათამ თავისი მსახურება ხატში? პერსონაჟის რა თვისება გამოიკვეთა ამით?
6. როგორ ახასიათებს ობოლი კვირია საკუთარ თავს? რას იხსენებს თავისი ცხოვრებიდან?
7. რომელი შედარება ამძაფრებს მტრის მიერ დამონებული კახეთის მდგომარეობაზე საუბარს?
8. როგორ აისახა მთისა და ბარის, საერთოდ, ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობა კვირიას სიტყვებში?
9. როგორია კვირიას დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ?

1. ჩარა – საშუალება, ღონე, გზა. 2. პურიოთ გშიან... – ალბათ პური გშია, პური გეშიება. 3. ბუნი – ხმლის (ხანჯლის) ქარქაშის ბოლოზე წამოსაცმელი ბურთულა, ლითონისგან დამზადებული. 4. ჩხარა – ჩხარუნი.

10. რომელ სიტყვებში ჩანს, რომ კვირია შეგნებულად წირავს თავს?
11. ავთანდილის ანდერძის რომელ აფორიზმს გაგონებთ კვირიას სიტყვები?
12. სანათას პასუხიდან გამომდინარე, რა აძლებინებს შვიდი შვილის დამკარგავ დედას?
13. რას შესთხოვს იგი ღმერთს?

IV

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის¹ მთვარესა,
მთანი, თავჩაჩქინანები,²
ფიქრს მისცემიან მწარესა.
ცა თვალს უცემდა³ სატრფოსა,
გრიალი მოდის შორითა,
მოდის ხმა ჟრიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა.
თან გამოისმა ზარის ხმა
ლაშარისჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა...⁴
თითქოს გასწყდენო, ფშაველთა
იტყოდენ აღარ ყოლითა?!⁵
არა, ყოფილან კიდევა,
გადარჩომიან რბევასა,
თათრების უბრალებლობას,
იმათ ხმალ-ხანჯრის ქნევასა,
ფიქრობენ ხოშარელების
სისხლის თათრებზე ზღვევასა.
ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფართითა,
დროშები გზას უკურთხებენ
ჟღერით, აწვდილის ტარითა.
როშკით⁶ მოიდენ ხევსურნი –
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამლითა⁷ – ბათაკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია;

გუდანელთ⁸ ჩამასძლოლია
ხოშარეული ხარია;⁹
ხევსურთ, რო ზევამა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელ, ჭიელ ბიჭებსა
ღულელებიცა¹⁰ სტანია.¹¹
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შააზირზოლა¹² მთანია;
მგლური დაანყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია,
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარია;
ფშავლისშვილებიც მოიდენ,
სულთქმა¹³ თან მაჰყვა ჩქარია.
ყურებს სხვა როდი რა ესმის,
მარტო ფარ-ხმალის ჩქამია.
რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!
მოიდენ აფხუშელები,
მცოდნენი თათრის ზნისაო,
წინადაც უცდავ¹⁴ თათრები,
როს დრო ყოფილა ცდისაო.
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაილო თქერანი,¹⁵
პატრონის გულის მცოდნეა
თავალებული ჯერანი.¹⁶
წითელს ფარს აჯიელავებს¹⁷
მახინცაური ვერანი.¹⁸

1. **ემურვის** – ემურება, ბნელდება, სინათლე აკლდება. 2. **ჩაჩქანი** – ლითონის თავსაბურავი. 3. **თვალს უცემდა** (ცა) – ელავდა. 4. **რბოლით** – სირბილით. 5. **აღარ ყოლითა** – ვითომ აღარ ჰყოლიათ. 6. **როშკა** – სოფელი პირაქეთა ხევსურეთში. 7. **ამლა** – სოფელი არხოტის თემში. 8. **გუდანი** – სოფელი პირაქეთა ხევსურეთში. 9. **ხარი** – აქ: კარგი ვაჟკაცის ეპითეტი. 10. **ჭორმეშავი, ჭიე, ღული, ხახმატი** – სოფლები პირაქეთა ხევსურეთში. 11. **სტანია** – თან ახლავს. 12. **შააზირზოლა** – შეაზრილა, ააფორიაქა. 13. **სულთქმა** – სუნთქვა. 14. **უცდავ** – უცდია, გამოუცდია (ბრძოლაში). 15. **თქერანი** – თქარათქური, თქარუნი. **მაილო თქერანი** – თქარათქურით მოვიდა. 16. **ჯერანი** – ჯეირანი (ცხენი ჯეირანს არის შედარებული). 17. **აჯიელავებს** – აელვარებს, ალაპლაპებს. 18. **ვერანი** – ვერანა, ოხერი (საწყევარი სიტყვა, მოსაფერებლად გამოყენებული).

ძმობამ, რო კარგი ჰყოლია,
არც იმას ჰმტყუვნობს¹ მერანი!..
კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა,
მათურელთ გულისძგერანი...
ცაბაურ-გაბიდოურთა

ცხენთაც მაილეს ტყერანი.²
მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
ვაჟები ლომისფერანი.
დიაცთლა დაჰრჩათ მარტოთა
მატყლის სართავად კერანი.

V

მთაზე დაენტო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა,
თავმონდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა.
ბრჭყვინავენ აღმასივითა
დროშები ცეცხლის აღზედა...
ცივმა დაჰბერა ნიავმა,
ლაშქარს ნამს აყრის თავზედა.
მდუმარედ სდგანან, პირქუშად,
სულთქმაც კი გაიგონება,
მხედართა გულისპასუხი
ერთს ფიქრად შაიკონება:
„ხატი რას ურჩევს ნეტავი,
რა გამოუვათ ბრძანება?“
ქადაგი³ ხატს ეკითხება,
ჩურჩული მოდის საჯარეს,
მხედართ, საუბრის გამგონეთ,
მუზარადები დახარეს;
მუხლმოდრეკილნი ჩამოსხდენ,
პირს ჯვარი დაისახიან,
– გვიშველე, ლაშარის ჯვარო! –
ერთხმად ეს დაიძახიან,
ციურის კრძალვა-შიშითა
პირები შაიჩმახიან.⁴
აგერ, ქადაგიც გამოჩნდა
განაცრებულის სახითა;
შემკრთალი იყო ისიცა
ხატის პირისპირ ნახვითა.
შემოუძახა ლაშქარსა
ხმით მედიდურით, მკვახითა:

– უამს⁵ ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რო შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევე რო ავიყარენით.
წინ მომეგება სიცილით,
ბელლის კარს მოდგა მზებურა,⁶
ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,⁷
თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას სწვდება მთებურა,⁸
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეენურა;⁹
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა,
ჰნახავთ, – ნუ გაგიკვირდებათ,
სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა;
გაიგებთ იმის წაძლოლას,
მიჰხვდებით კილაკავადა.¹⁰
რო ჰნახავთ, ქება უთხროდით,
სალმით იყვნოდეთ საღადა,
ლურჯს ცხენზე მჯდომი იქნება,
წინ მოარული ლაღადა.
– ვენაცვლეთ მაგის დავლათსა,
ღირსნიც არა ვართ ნახვისა!
რად კადრობს ადგილით დაძვრას,
საყმო რად ვჰყვევართ თავისა? –
ამოსთქვა სულთქმით ლაშქარმა,
ცეცხლდანთებულმა პირზედა.
– უყვარან ფშაველ-ხევსურნი,
დამდგარნი ერთსა პირზედა, –

1. ჰმტყუვნობს – უმტყუვნებს. 2. ტყერანი – ხეთქების ხმა, თქარათქური. 3. ქადაგი – ხატის მსახური, იგივე „მეენე“, რომელიც უზენაესის ნება-სურვილს გადასცემს ხალხს, ქადაგობს. მისი ერთ-ერთი მოვალეობა იყო ღვთაებისათვის ეკითხა სალაშქროდ წასვლის შესახებაც და ყმებისთვის გამოეცხადებინა, გამარჯვება ელოდათ თუ დამარცხება. ხატი ქადაგს პირადად ესაუბრებოდა. „ჩურჩული მოდის საჯარეს“ – გულისხმობს ღვთაებისა და ქადაგის საუბარს. 4. შაიჩმახიან – შეიჭმუხნეს. 5. უამს – ეამება. 6. მზებურა – მზესავით. 7. ბექთარი – ჯაჭვის პერანგი. 8. მთებურა – მთებივით. 9. ამეენურა (ფრანგული) – ფრანგული (ხმალი) ამოელო, ამოეძრო ქარქაშიდან. 10. კილაკავადა – გუმანით.

უთხრა პასუხად ქადაგმა,
მდგომმა საჯარის თხრილზედა.

ლომი საომრად მზადდება,
კბილს ააჩქამებს კბილზედა.

VI

სამლო¹ ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია,
ჩამოსხდენ, ბელელს, საჯარეს
ალყად მოევლო ჯარია,
ყველას თან უდგა საგზაო,²
საჩქაროდ ნადუღარია;³
ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია;
ადიდეს დიდი თამარი,
ის ღმერთთან წილნაყარია,
თავის ოფლით და ამაგით
ხმელეთი დაუფარია;

მოიხსენიეს მხედარნი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია,
არსადა მათთვის სამარე
და მინა ზედ საფარია;
ყორნებს რომ უთხრავ⁴ თვალები,
სვავთ მხრებით დაუფარია,
მაგრამ იმათი სახელი
დროთ სვლას ვერ მოუპარია.
ხვეისბრობს ბერი ლუხუმი,
ხმატკბილად მოუბარია,
გმირთა ქებით და დიდებით
გული ვერ მოუფხანია.

VII

ყველა პურსა სჭამს, საუბრობს
ავსა თუ კარგსა მქუხარედ,
მარტო კვირია არა სჭამს,
სდგას ჯოხდაყრდნობით, მდუმარედ;
ჩასჩერებოდა მინასა
ყელგადაგდებით, მჭმუნვარედ.
რას ფიქრობს ობოლ კვირია,
ამის გამგები ვინ არი?
არა მუღავნდება გულიდამ
ფიქრები ამამდინარი.
– ობოლ კვირია, ძმობილო,
პურა შეჭამე ბატარა!
იქნებ შაგცივდა, ობოლო,
არაყათ⁵ შაჰსომ რად არა?
ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,
მოდის, მოგვიპყარ მათარა!⁶
დღეს თუ რას შავსჭამთ, თორო ხვალ
ვისლა სცალიან საჭმელად,

ერთურთის საპატიყოდა,
ტკბილის სიტყვების სათქმელად? –
ამას ეტყოდენ მხედარნი
კვირიას მუღარებითა.
ახლა კვირიამ მიუგო
ოხვრით და მწუხარებითა:
– არა, კვირია გენაცვლოსთ,
სასმელს არ დავეკარები;
საჭმელსა, თუ კი მშობიდე,
აროდის დავეზარები.
წელანის ხალი⁷ შავსჭამე,
გუდაშიც მიძე მრავალი.
თუ ვის გინდარისთ, მიირთვით,
თუ ვის გაკლიათ საგძალი.
– იქნება ცუდ სიზმარ ჰნახე,
გულზე დაგანვა ისაო? –
შაჰკითხა ბერმა ლუხუმმა,
ვადა უტაცა ხმლისაო.

1. **სამლო** – საღვთო, სალოცავად მოწყობილი წვეულება, რომელსაც იხდიდნენ სხვადასხვა შემთხვევის დროს (მაგ. ბრძოლის წინ ან გამარჯვების ნიშნად), სამლოს დროს იმართებოდა დიდი პურობა. 2. **საგზაო** – გზაზე დასაღვევი (ლუდი). 3. **ნადუღარი** – მოხარშული. 4. **უთხრავ** – ამოუთხრია. 5. **არაყათ** – არაყს. 6. **მათარა** – საქონლის ტყავისაგან შეკერილი სასმისი (იკიდებდნენ ქამარზე). 7. **ხალი** – „ქუმელი“ (ვაჟა). მოხალული ქერის ფქვილისა და ერბოსგან მომზადებული საჭმელი.

– რა ჰნახე, ჩემო კვირიავ,
აგრემც მიტირებ ბერასა!
გვითხარ და ნუ დაგვიმალავ,
ლუხუმი მოგხდის წერასა!¹

კვირია

– რა გაიგება სიზმრისა,
მე მაინც გეტყვით ვერასა.

ლუხუმი

– თუ არ გვიამბობ, კვირიავ,
ჩამოგყრით დროშის ქერასა.²
სიზმრის დამალვა გირჩევნავ
ამდენის ხალხის წყენასა?!
სთქვი წუხანდელი სიზმარი,
მითომ³ კი ჰხმარობ ენასა!
საპოხი⁴ უნდა, ობოლო,
მხედართა გულის კბენასა.

კვირია

– გვიამბობთ, თუ გვიამებათ,
მე რაცა ვნახე, ეს არი:
დღე იყო მეტად მრისხანე,
ცა – მოღრუბლვილი, მჭეხარი...
მივდივარ ტრიალს მინდორზე
თავმამწონარი მხედარი.
შავს ცხენზე ვიჯე, მიჰქროდა,
მეგონა, ვზივარ ქარზედა...
სამი დაენტო სანთელი
ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა
გამომესახა ფარზედა.
მინდორი იყო ტრიალი,
არარაი ჩნდა მაზედა,
ყოილი,⁵ ხშირი ყოილი
დაფენილიყო გზაზედა...

გავხედე, მინდვრად მოცურავს
შავი ვეშაპი შქენითა,
ყოილთან მიწას მაჰლოკდა
ცეცხლის მსროლელის ენითა.
პირითაც ცეცხლი სდიოდა,
საზარელ იყო მეტადა;
მნახა, გულზვავად მომმართა,
ვუნდოდი დასაკვნიტადა.
პირი დაალო ვეება,
ჩასაყლაპავად მიტია,⁶
მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე
თავი, როგორაც ფიტია.⁷
მოკლულმა შემომანთხია
ბოროტი სისხლი პირზედა;
ცხენი წამექცა, თვითონაც
მიწას დავეცი ძირზედა.
გონი წამსვლიყო... გონთ მოვედ,
მეოცა სახილებელი:⁸
ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,
ტკბილადა საძინებელი;
გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,
ცრემლითა სატირებელი;
თავს მედგა დიდი ჭანდარი,
სიცხეში საჩრდილებელი;
ზედ იჯდა ბერი ქედანი,⁹
დამლულუნებდა თავზედა...
მზეც ამობრწყინდა, მეჩვენა,
მნახა, გაბრუნდა წამზედა,
წითლად განირა ხოლოდა
ობოლი სხივი მთაზედა.
გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა
და მიმეძინა მკლავზედა. –

რა დაასრულა კვირიამ,
ჩაიკასკასა ტკბილადა...
ენყინა ლუხუმს სიზმარი,
ცრემლები მოსდის წყვილადა,
– კეთილად ახდეს! – მაინც სთქვა
გულაჩუყებით, რბილადა.

1. წერას მოხდის – ენაცვალება, თავს შემოევლება, შეენაცვლება უბედურებაში. 2. ჩამოგყრით დროშის ქერასა – ჩამოგართმევთ მედროშეობას. 3. მითომ – თითქოს, განა არა. 4. საპოხი – აქ: სალბუნი, მდგომარეობის შემამსუბუქებელი რამ. 5. ყოილი – ყვავილი. 6. მიტია – შემომიტია, მეცა. 7. ფიტი – თაფლგამოცლილი ფიჭა. 8. სახილებელი – სახილველი. 9. ქედანი – ფრინველი, გარეული მტრედის სახეობა.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. იპოვეთ IV თავში ლირიკული გადახვევა და გაარკვიეთ მისი ფუნქცია.
2. როგორ შემოდის პოემაში ლუხუმი? ვინ არის იგი?
3. რატომ არის ლაშარის გორზე შეკრებილი ფშავ-ხევსურეთის ლაშქარი ასე დაწვრილებით აღწერილი? რა სულისკვეთება აერთიანებს ლაშქარს?
4. რატომ დუმს ლაშქარი? როგორი ფონი ექმნება მის დაძაბულ მოლოდინს? რა შედარებებმა მიიქცია თქვენი ყურადღება? რად შეიძლება მივიჩნიოთ ლაშქრის თავს დაყრილი ნამი?
5. რა ამცნო ქადაგმა ლაშქარს?
6. რა ნიშნით უნდა ეცნო ლაშქარს ლაშარის ჯვარი?
7. რითი ახსნა ქადაგმა ლაშარის ჯვრის სიხარულის მიზეზი? ავტორის რა სათქმელი გამოიკვეთა ამ პასაჟით?
8. ვინ ხევისბრობს ლაშარის გორზე?
9. რა მეტაფორით ბოლოვდება V თავი? რას გამოხატავს იგი?
10. დააკვირდით, ვის ახსენებენ მცირე პურობის დროს საჯარეს მსხდარი მებრძოლები. რა მიზანი აქვს ამ გახსენებას?
11. ვაჟა გმირების შესახებ ბრძანებს: „მაგრამ იმათი სახელი დროთ სვლას ვერ მოუპარია“. გაიხსენეთ მსგავსი ნათქვამი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში.
12. რით მიიქცია პურობის დროს ყურადღება კვირიამ? რა სიზმარი უნახავს მას?
13. რა მიგვანიშნებს სიზმარში კვირიას წმინდა მხედრობაზე?
14. სიზმრის მიხედვით, როგორ უნდა დასრულდეს კვირიას სიცოცხლე? რას ნიშნავს ახალამოსული მზის უკანვე ჩასვლა, „განირული“ (დატოვებული) „ობოლი სხივი“?
15. კვირიას გარდა, ვინ მიხვდა სიზმრის ავ წინასწარმეტყველებას?

VIII

სიზმრის თქმით ყველა ჩაფიქრდა,
დაბლა ჩაჰკიდა თავია...
გამოერკვივნენ მალედევე,
გაჩნდა სხვა სანახავია:
ქვიშის ჩხრიალი მოისმა,
თან ფეხის ჩქამი ცხენისა...
ეს ვინლა მოდის ნეტარა,
ჩუმად, უძრავად ენისა?
დადუმდენ, ზოგნი წამოდგენ,
იქით მიაპყრეს თვალია...
თამამად, ვაჟკაცურადა
თავს წამოადგათ ქალია;
ცხენს იჯდა მამაცურადა,
წელთ თუმც არ არტყავ ხმალია;
ხელთ ეპყრა შუბი წვერბასრი

მამისთვის მონაპარია.

უცხო ქალი

– ხელ მოგიმართოსთ, მხედარნო,
მადლი ხატ-ღმერთის თქვენზედა!
გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი
გასულებს ბრძოლის ველზედა! –
ლიმილითა სთქვა ლელამა,
შუქი გამოჰხდა პირისა...
საამურია საცქერად
ვარდზე ცვარები დილისა!
ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს,
ნარწყავსა უკვდავებითა,
ხორცუმესხმულს სიყვარულსა ჰგავს,
აუნყველს – უწყავებითა.¹

1. უწყავება – განუზომლობა, აუნყოფა.

ლუხუმი (ლელას)

– ვისი ხარ, შვილო, რას დახვალ,
მტრობა გგულავდეს¹ იქნება?!

ლელა

– სამოყვროდ მოველ, მამილამ,²
თუკი უფალმაც ინება.
შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა,³
მენაც თქვენს კვალზე დამდგარი,
ავად თუ კარგად, ღმერთმ იცის,
დედათ ჯარზეით⁴ ამდგარი.

ხოშარული

– ეს სწორედ მოჩვენებაა,
ეშმაკეული ხმა არი!..
მემრე, რო ასდეგ, დიაცო,
ადგომის მიზეზ რა არი?

ლელა

სხვა არა მინდა, გენაცვლეთ,
თქვენს მტერს გულსა ჰხვდეს
ლახვარი

და ჩაეყაროს უსურმაგს⁵
ბოროტს თვალებში ნაცარი!
(ლაშქარში ჩოჩქოლი ისმის:
„ეს სადიური რა არი?“)
– ვერ მიჰხვდით? პირდაპირ გეტყვით:
თათრებთან ომი მწადიან,
მინდა, რომ ჯავრი ვიყარო,

ბევრს სამ⁶ ავს საქმეს სჩადიან, –
იკლებენ საქართველოსა,
ბუმბარეზობით⁷ დადიან.
რად გიკვირსთ, ფშაველ-ხევსურნო,
იქნებ მიწუნებთ ქალობით?
ჩემთ ძმათ ცხონებამ, გარგებდით
ჩვენთა სალოცავთ წყალობით!
ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ,
ფარ-შუბის დაგელებითა,⁸
მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
ვეცდები გამგელებითა.
ნუ გავიწყდებათ, ბახტრიონს
ციხე სამ უდგათ მაგარი,
შიგითაც⁹ მოწყობილი აქვთ
სანგალ¹⁰ საყუჩებ¹¹ – საფარი;
კარებსა, მაგრა დაკეტილს,
ათას მხრივ უდგა ჩაფარი.
ნეტავ, იქ დედასთან მომკლა,
თათრებისაა საპყარი.¹²
მაგ ძალთ¹³ ძმათ სისხლიც
მიმართებს,¹⁴

უნდა ვიძიო იგია,
სისხლის აღება, ხომ იცით,
მუდამ წესი და რიგია!
ან უნდა თათრის ხმლით მოვკვდე,
მე თავი გადამიდგია.

ლუხუმი (ლელას)

– მამა სადა გყავ, სულკრული?¹⁵
ქალს რადა გგზავნის ომშია?
რაკი¹⁶ არ გვიჭირს მხედარი
ამ სულისმხუთავ დროშია?!

1. გგულავდეს – გულში გქონდეს, აპირებდე. 2. მამილამ – ასე მიმართავს მოფერებით მამას ან ხნიერ კაცს ახალგაზრდა ქალი; ნიშნავს: მამობის მადლს ვფიცავ! 3. ბაჩალი – სოფელია თიანეთის რაიონში. 4. დედათ ჯარზეით ამდგარი – ერთ-ერთი ფშაველი ქალებიდან. 5. უსურმაგი – ცხოველი, რომლის ხორცი არ იჭმება, გადატ.: საზიზლარი, საძაგელი, ბოროტი. 6. სამ – როგორც ჩანს, ალბათ. 7. ბუმბარეზობა – ამპარტავნობა, თავხედობა, მოძალადეობა. 8. დაგელება – გელვებით, სწრაფად მოძრაობა, ჭენება. 9. შიგითაც – შიგნიდანაც. 10. სანგალი – სანგარი. 11. საყუჩი – სამზერი, ჩასასაფრებელი ადგილი. 12. საპყარი – აქ: შეპყრობილი, ტყვე. 13. ძალთ – ძალებს (ძალლ-თ). 14. მიმართებს – მართებს ჩემი. 15. სულკრული – სალანძღავი სიტყვაა: „სულით წყეული“. 16. რაკი – აქ: განა.

ხოშარეული (თავისთვინ)

– დიაცს უყურეთ, სულელსა,
უნდა გაგვრეკოს ფონშია...
კაცრი დედაკაცს რა უნდა,
რად არა ფიქრობს გონშია?!

ლუხუმი (ლელას)

– მაშ, არა თქვაა შანშემა,
ჩამეშველოს ლაშქარსა?
მაშ, ართუ ჰკაზმავს ლურჯასა,
ტანთ არ ისხამსა აბჯარსა?

ლელა

– რაკი არ უნდა ბეჩავსა,
რაკი არ ერჯის² გულია?!
ლოგინშია წევს, საბრალოს
მრავალივა სჭირს ნყლულია.
თქვენი პირისქნა³ გაიგო,
ცა გაუნითლდა⁴ სნეულსა,
მაგრამ რას იზამს, რო სული
ველარ ერევა სხეულსა!
აბჯარნი მიმატანინა,
შამაკაზმვინა ცხენია,
ზედ შაჯდა, მაგრამ დასუსტდა,
დაბლავე გადმეერია.⁵
თქვენს მტერს, რო იმის ყოფნაა,
მე ვშველ, გვერდს ვუქცევ⁶
ხელითა,
მკლავშიაც ხომ სჭირს ნაჭრევი,
ველარ მუშაობს წელითა... –
რა ეს სთქვა, ლელას ცრემლები
ნამოუვიდა ხშირადა:
– ვინ იცის, იქნებ მამიკვდეს,
გამიხდეს დასატირადა.

სუმელჯი (ლელას)

– შენ, ჩემო დაო, გირჩევნავ,
მამასვე ჰყვანდე გვერდითა:
ან წყალს მიაწვდი, ან წყლულებს
შაუხვევ ნაკუნებითა.
ჩვენაც ვეყოფით თათრებსა,
ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისასა;
უერთოდ⁷ აღარ დავლახავთ
ბილიკებს ჩვენის მთისასა,
ჩვენ ვიძევთ სისხლსა, ნუ სწუხარ,
შენი დედის და ძმისასა.

ლაშქარი

– სუმელჯიმ კარგი გირჩია,
ნასვლა გირჩევნავ, ქალაო,
შენის ყოლით და არყოლით
არ გვიბედენებს ძალაო.⁸
ჩვენაც ვგვიანობთ, გზა გველის,
ეს საუბარიც კმარაო,
ზოგი ხო დღეს ვიუბენით,
ზოგიც ვიუბნოთ ხვალაო.

ლუხუმი (ლელას)

– ჩემს ძმას უთხროდი, შანშესა,
ყოჩაღად იყოს, ფხიანად,
ყველაად⁹ ვკმარვართ მტრისადა –
სადავლოდა¹⁰ და ზიანად;
ლუხუმმა დამაბარაო, –
კარგა უამბე, ჭკვიანად.

ლელა

– როგორ ნავიდე? ვერ ნავალ,
სიზმრებსა ვსინჯავ¹¹ ავებსა:
კაცი რამ¹² მოდის კუპრით,
დაათრევს კაცის თავებსა;
მოდის, წინ მიწყობს ღრეჯითა¹³

1. გონში – გონებაში. 2. ერჯის – ერჩის. 3. პირისქნა – ერთსულოვნება, რაიმეზე შეთანხმება. აქ: საომრად მომზადება. 4. ცა გაუნითლდა – გაუხარდა. 5. გადმეერია – ჩამოვარდა, ძირს დაეცა. 6. გვერდს ვუქცევ – ხელით ვაბრუნებ ლოგინში. 7. უერთოდ – ტყუილუბრალოდ, უშედეგოდ. 8. არ გვიბედენებს ძალა – ძალა განსხვავებული არ იქნება, არაფერი მოგვემატება. 9. ყველაად – ყველაფრისათვის. 10. სადავლოდ – დავლად, დავლისათვის. 11. სიზმრებსა ვსინჯავ – სიზმრებს ვხედავ. 12. რამ – აქ: ვიღაცა. 13. ღრეჯით – სიცილით.



„ბახტრონი“. მხატვარი – ირაკლი თოიძე

ჩემთ ძმათ სისხლიანს მკლავებსა.
 ის რო წავა და – სხვა მოვა,
 დიაცი მზისა ფერია,
 მეტყვის: „უთხარ რამ, ლელაო,
 ეგ არის თქვენი მტერია!“
 ამ ტანჯვაში ვარ სულ მუდამ,
 ძილი არაა ჩემთვინა...—
 ესა სთქვა განაცრებულმა,
 ცრემლებიც ჩამეედინა.
 ცხენი მოღრიჯა, გასწია,
 ქვითინი გაჰყვა კვალადა,

წავიდა გულჩათუთქული,
 მივალის ძალისძალადა...
 ქალის ქვითინსა მდულარეს
 მთანი ინერენ მკერდზედა;
 ცრემლით ატირდენ წყარონი,
 ჩამომდინარნი გვერდზედა;
 დაბერებულა პირიმზე,
 კუზი ეტყობა წელზედა;
 ოცნება ტანჯულის ქვეყნის
 ქვითინებს მთისა წვერზედა.

ღელეს ჩავიდა მნუხარე
ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი,
უძრავი ჰხურავ თავზედა
ყვავილიანი საბანი.
მოულოდნელად ხმა ესმის,
კაცის კივილი შორითა,
ჩამორბის, ჩამოუძრახნებს¹
კაცი ახადის² გორითა:
– მოიცა, ქალო, დაძმობას,
ცოტას იარე წყნარადა.
რა გაქვითინებს, ბეჩავო,
იყავი უწყინარადა!
ლელა ჩამოხდა ცხენიდან,
ცხენი მიაბა ხეზედა,
ჩამოჯდა დაღონებული,
შუბი დაიდვა გვერდზედა.
აგერ, გამოჩნდა ისიცა,
ვისიც ესმოდა ძახილი,
ქალთან პირდაპირ მივიდა,
ვით ამონვდილი მახვილი.

კვირია

– შენ და და მე ძმა, ლელაო,
თუგინდ მიმიღე მამადა,
ჩემს ესე დატევებასა³
ნუ ჩამომართმევ ავადა.
მე კვირია ვარ, მიტირე,
თუშეთით მოსულ მზირია,
თუმცა კი თქვენის წყლისა ვარ,
ფშაური მიდგა ძირია,
გოგოლაური დისნული,
მათურელ⁴ გივის შვილია.
შენი პასუხი მესმოდა,
იქვე ლაშქარში ვერიე,
უფროსთა საუბარშია
მე ველარ ჩამოვერიე.
თუმც კი დამიჯდა ჭკვაშია
შენი გაყოლა თანაო...
აჩქარდენ, იუკადრისეს

დიაცის წამოყვანაო;
რომ ხერხი ღონეს სჯობია,
ლაშქარი ფიქრობს განაო?
საცა „ჰოს“ უნდა ამბობდენ,
იქ იძახიან „არაო“,
როდი ფიქრობენ, ბახტრიონს
ბევრი თათარი სტანაო,⁵
ჯერ შასვლა არი საჭირო,
რო კაცმ იხმაროს დანაო.
საქმე ციხეა, უფრო კი
მაგარი ციხის კარები,
რომ ლაშქარს ჰქონდეს მტრისაკე
გზა, ლალად გასატარები.
მე და შენ, დაო, ესრე ვქნათ,
მეც თავს არ ვზოგავ, იცოდე:
ჩვენ ჯარზე უნინ წავიდეთ,
შენაც ჩემთანა ხვიდოდე.
ჩვენ ორნი წავალთ ერთადა,
მივმართოთ თათრის ბინასა,
მივესალმები ყარაულს,
სხვებზე თავს მდგომს და წინასა,
თან ვეცყვი: „ყეინს მოვართვი
ფეშქაშად⁶ ტურფა ქალიო;
გთხოვთ, მანუგემოთ მენაცა,
კაცი ვარ შესანყალიო“.
კარს გაგვიღებენ ციხისას,
მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.
შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,
ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა.⁷
ჯარი ხვალამდე არ მოვა,
ჩვენ სრულ წინდანინ ვიაროთ,
მზას ვიყვნეთ, ციხის კარითა
საქმე ნალმ დავატრიალოთ.
ცისკრის ხანს მოვა ლაშქარი,
ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა,
ვეცდები, კარი გავუღო,
თუნდ დამკლან ციხის კარზედა.
შენ რალას იტყვი ამაზე,
ვამბობ თუ არა ჭკვაზედა?

1. ჩამოუძრახნებს – ჩამოსძახებს. 2. ახადი – სოფელი უკანაფშავში. 3. დატევება – დადევნება. 4. გოგოლაურთა, მათურა – სოფლები ფშავში. 5. სტანაო – ახლავს. 6. ფეშქაში – საჩუქარი. 7. იქითა – აქ: იმის შემდეგ.

ლელა

– მზადა ვარ, შენი ჭირიმე,
როგორც სჯობ, იცი უკედა;
მე კი გონება არ მიჭრის,
გამხდარს დარდ-ბოღმის ბუდედა,
მტრის ჯავრი გულში მიდგია
შავის ალაზნის გუბედა.
ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,

ცამ გადიბანა პირიდამ
მური, ნაცხები ღრუბლისა,
გადაეფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა,
შუქი დაეცა ლაშქარსა
მთების ბრწყინვალის შუბლისა.
ლაშარის გორზე წავიდა
ლაშქარი დროშის ჟღერითა...
„– შეადეგით!“ – ჰყვირის ლუხუმი
სამკლავიანის² ხელითა, –
ვერა ჰნახეთა, ბატონი³
წინ მიგვიძღვება ცხენითა?!“

პირველი მხედარი

– ვნახე, ცის ტატნად⁴ დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა,
გარს ევლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძაფადა.

მეორე მხედარი

– ლურჯს ცხენზე იჯდა ლამაზი,
სხივი თავს ედგა ღვთიური...
რო ვნახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური.

მესამე მხედარი

– მე ტრედისფერად მეჩვენა,

უარს არ ვიტყვი მაგაზე,
ოლომც დააბას ჩვენმ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე.¹
იმოდენს როგორ არ შავძლებ,
რომ დამკლან დედის კალთაზე. –
ამ პირობაზე დამდგარნი,
ორნი გორიგორ ჩადიან,
ოლომც ეშველოს ჩვენს ჯარსა,
ორსვე სიკვდილი სწადიან.

X

სხივი მისდევდა მზიური,
შორს გაანათა ელვასებრ
ასი ბარული დღიური.⁵

მეოთხე მხედარი

– ჯერაცა ვხედავ, მივალის
ტურფა, სიტურფით ქსოილი...
ისრ ჰშვენის ცხენზე, ვით ველზე
გაზაფხულისა ყოილი.

ლაშქარი (ერთხმად)

– იდიდოს შენი სახელი,
ჩვენო ბატონო, ძლიერო,
ჩაგვიძველ, მოგდევთ ჩვენაცა,
საყმოს საშველად მშიერო!
ადიდე ლაშარის ჯვარი,
ცისა და ქვეყნის იერო!⁵
ნეტავ, რა მტერი იქნება,
ეხლა გაგვიძლოს, ბიჭებო,
ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა,
ლურჯაის დანაბიჯებო! –
ლაშარის ჯვარის ცხენისა
ნატერფალია ელვარე,
აღტაცებულსა ლაშქარსა
გული გაჰხდია მღელვარე.

1. ვირის ბაგაზე დაბმა – დამარცხება, დამცირება. 2. სამკლავე – აბჯრის ნაწილი მკლავის დასაცავად, გარედან შემოსაკრავი. 3. ბატონი – აქ: წმინდა გიორგი. 4. ტატნად – ტატნობზე, ჰორიზონტზე. 45. ბარული დღიური – სახნავი ფართობი, რომელსაც ერთ დღეს ხნავენ ბარში (მთაში ეს ფართობი გაცილებით პატარაა). 6. ცისა და ქვეყნის იერი – აქ: ძალი, შეძლება.

XI

იჟიჟრიბანდა,¹ ცისკარი
სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა,
ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰხვდებოდა,
დღეს მკვდარი ხვალე დილითა
ცოცხალი წამოდგებოდა,
სრულის ჯანით და იერით
თვალეზს წინ დამიდგებოდა!
ნეტავი ცეცხლი ციური,
ვისაც კი გულში ჰნთებია,
ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,
ისივაც ამოჰგზნებია!
მკვდარია უგრძნობი კაცი,

უსაზარლესი მკვდარზედა,
მით რომე სიცოცხლე უდგას
სალის ყინულის ტახტზედა,
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რომ აცვან ჯვარზედა,
ისე მოკვდება, ვერ შედგეს
ერთს წამს ტრფობისა მთაზედა,
შორს არის, მეტად შორს არის
დაშორებული მათაზედა,
ჭაობში არის ჩაფლული,
ვიცნობ მონამლულს ხმაზედა,
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა!

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. რით არის ლელა გამორჩეული?
2. გაიხსენეთ, რა მიიჩნია კვირიამ „მეორედ მოსვლის“ ნიშნად? რას ნიშნავს ახლა ლელას შურისძიების წყურვილი და მისი გადანყვეტილება, მტერს შეაკლას თავი?
3. როგორ შეხვდა ლაშქარი ლელას გადანყვეტილებას? რისი პირობა მისცეს მას?
4. თქვენი აზრით, ვინ არის ლელას მიერ სიზმარში ნანახი მზისფერი დიაცი? რისკენ მოუწოდებს იგი ლელას?
5. რა აქვს საერთო კვირიასა და ლელას სიზმრებს?
6. რამ გაიზიარა ლელას მწუხარება, როგორ განზოგადდა მისი წუხილი?
7. რა არის საჭირო ტანჯული ქვეყნის ოცნების ახდენისათვის?
8. ვინ ჩასწვდა ლელას სიზმარს? რას ვერ მიხვდა ლაშქარი?
9. რა გადანყვიტა კვირიამ და რატომ?
10. რას ნატრობს XI თავის დასაწყისში პოეტი?
11. როგორ ფიქრობთ, ეს თავი მხატვრული განზოგადებაა თუ ფაქტების აღწერა?
12. ვაჟას თქვენთვის ნაცნობი რომელი ლექსი მოგაგონათ თავისი სათქმელითა და განწყობით ამ თავმა?
13. რისი სიმბოლოებია „ტრფობის მთა“, „ჭაობი“? რა დატვირთვა ეკისრება მათ ნაწარმოებში?

1. იჟიჟრიბანდა – ირიჟრაჟა.

XII

გადვიდენ ალაზნის თავსა,
მთების წვერონი ჩნდებოდენ.
საცა გაჰხედავ, ყოველგან
გასაშტერონი დგებოდენ.
ზოგნი ცის გულმკერდს ჰკოცნიან,
ზოგნი უკანა რჩებოდენ;
იმათ ჩაუთქამ¹ ქვეყანა,
ბუნების სისხლით ძლებოდენ;
ნამძინარევი დევები
ისევ ბურანში არიან,
ერთს ადგილს დგომით ტანჯულნი
შეჭირვებულან ძალიან;
მზე რომ მოვალის, მაშინის²
შავს ნისლებს გადაიყრიან,
თუნდ მთლად ქვეყანა დაეცესთ,
აბჯართ არ ჩამაიყრიან;
გულმკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
წარბშეუხრელად მდგარნია,
წვანან ხმამაოულებლად,
როგორც საფლავში მკვდარნია.
ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შეადარება,

მალ-მალე შავი ჯანლები
თავზე რომ დაეფარება!
ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი!
მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზე
ხშირის ბალახის ბიბინი,
ტიალის ობლის ნიავის
გულისმგმირავი სისინი.
არწივნი დაფარფაშობენ,
უფსკრულს ავლებენ თვალეხსა,
მალლიდამ ჩამოჰხარიან
თავისგან დახრულს ძვალეხსა.
ლალი შვილები მთებისა
ერთმანეთს ეძრახებიან,³
ამ დროს ომში მყოფს გმირებსა
ტიალნი ემსგავსებიან;
უყვარსთ, რომ ჰხედვენ ერთურთსა,
იმიტომ ეხასებიან.⁴
ლაშქრისა გულიც აივსო
სიამოვნებით სრულითა,
ყველა დაჰხედავს კახეთსა
ათრთოლებულის გულითა.

XIII

ლაშქარი შედგა ცოტა ხანს,
ხმა გამოისმა კითხვისა:
– კაცნო, კვირია რა გვექნა? –
ყველა ამასა სჩივისა.
ენტება ხოშარეული,
როგორაც ბურდო⁵ თივისა.

ხოშარეული

– იფიქრეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ეგრე არ გარგებთ ტარება,
მზირმა მზირობა⁶ არ გვიყოს,
თავს არ მოგვხვიოს წვალება!
ვინ იცის, ნათრევ კაცია,
არ იყოს ლალატიანი,
დუშმანი არ გაგვიფრთხილოს,
საქმე ქნას ნახლართიანი.⁷

ლაშქარი

– რა გაიგება, იქნება
ბრიყვმა გაგვიყიდოს ფულზედა,
ფიცი გატეხოს უსირცხვოდ,
ხელი აილოს რჯულზედა,
ცოცხლად დაგვმარხოს, თვითონვე
მინა გვაყაროს გულზედა.

ლუხუმი

– კაცნო, რას ამბობთ ნეტარა,
რად ჰგრეხთ დიაცებრ ჭორებსა?
ფარ-ხმალით მოკაზმულეები
აჰკიდებიხართ ჯორებსა,
რად არ გაჰხედნებთ,⁸ ბრიყვებო,
ჩვენის სამშობლოს გორებსა?

1. ჩაუთქამ – ჩაუყლაპავს. 2. მაშინის – მაშინ. 3. ეძრახებიან – ეხმიანებიან. 4. ეხასებიან – ხასად, ლალად მიმართავენ (ერთმანეთს). 5. ბურდო – პურის ან თივის ნამუსრი, ნალენი. 6. მზირობა – მსტოვრობა, ჯაშუშობა. 7. ნახლართიანი – დახლართული, არეულ-დარეული. 8. გაჰხედნებთ – გახედავთ.

ვის გაუგონავ, სად თქმულა
ამბავი, ძველად თხრობილი, –
მიტხარით, ნუ დამიმალავთ,
ვინც კი კაცი ხართ ცნობილი,¹³
ეგრე მუხთალად ღალატი,
ეგრე უღმერთოდ ტყუება,
მტრების სალხენად ძმებისა
შინაით² გამოტყუება?!
სრულ სიცრუევია, ნუ იტყვიოთ,
თქვენ გენაცვლებათ ლუხუმი,
არ რადმე მეჭაშნიკება
სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.³
კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ,
მაგის მეტ არ გაქვთ შნოება?⁴
თავის ფიქრიდგან შემკრთალთა
ეხლავ მოგკიდათ ცხროება?⁵
ღალატს რა უნდა ჩვენშია,
როგორი გვადგა დროება?!

სუმელჯი

– ფიქრმა თვითონ სთქვა, რაცა
ვსთქვით,
ეს ნურვის გაუკვირდება;
ყველაც კი იტყვის ამასა,
ვინც საქმეს დაუკვირდება.
არც კაი ბოლო იმას აქვ,
ვინც ერთურთს აუხირდება.

ლაშქარი (ერთხმად)

– არა, ტყუილად ნუ ვიტყვიოთ,
ცოდვას ნუ ვიდებთ კისრადა,

მშვილდზე ნუ ვაგებთ კვირიას,
ნუ ვათამაშებთ ისრადა.
კვირიას ღალატ არ უნდა,
სხვა რამ ფიქრი აქვს წყეულსა,
თვალცრემლიანსა, ობოლსა,
გულზე ეკლებით ხეულსა,
ეგრე ქურდულად გაპარულს,
ერთბაშად გადათხეულსა.⁶
ვის ენადება ღალატი
სნორჩით⁷ გამორჩეულსა?!

ლუხუმი

– ეგრე სთქვით, მაგას მოგელით,
სიტყვას წყნარსა და რჩეულსა.
ლუხუმიც მალე შეატყობს
ცრუვს, ღალატობას ჩვეულსა.

თანდათან ცნობას მოვიდა
გული-დ გონება ლაშქრისა...
სპეროზიას⁸ კლდიდამა
ცივი ნიავი მაჰქრისა.
მიდიან ფეხშეუშლელად,
კალთა ჩაკეცეს მთებისა,
რაკი დაუშლის მგზავრობას
მოსახვევები გზებისა!
გაღმა-გამოღმა მწყრომარე
ხვივილი მოდის წყლებისა
და ალაზანიც, ბარს დინჯი,
მთაში მეტადა სწყრებისა,
ძირს უთხრის სალსა კლდეებსა,
თავზე ჩაჩქანი ჰხდებისა.⁹

XIV

ნაქერალაში¹⁰ დამდგარან
თუშები თექიანები,¹¹
გულშაუდრეკნი ომშია,
ლაშქრობას ბედიანები,

გარს სანგლად შემოუვლიათ
ხევეები ბექიანები.¹²
ელიან ფშაველ-ხევსურთა,
თვალი იმათკე სჭერიათ,

1. ცნობილი – ცნობიერების მქონე, ჭკვიანი. 2. შინაით – შინიდან. 3. ლუგუმი – უგემური. 4. შნოება – შნო. 5. ცხროება – კანკალი. 6. გადათხეული – გადაკარგული. 7. სნორჩით – ტოლებისგან. 8. სპეროზა – მთა ალაზნის სათავეებთან. 9. ჰხდებისა – შვენის, უხდება. 10. ნაქერალა – მთა ალაზნისა და სტორის სათავეებს შორის. 11. თექიანი – ნაბდიანი. 12. ბექი – ჩამონგრეული, ჩამომზღველი ფერდობის სათავე.

წინ მიეგებენ ლხენითა,
დროშები დაუჭერიათ.
ლუხუმმა ცხენი გაქუსლა,
წავიდა თამაშობითა,
შამაუძახა თუშებსა
შუბლშეკვრით, კამათობითა.

ლუხუმი

– სადა გყავთ, თუშნო, ზეზვაი,
რად არ მაჩვენებთ თვალითა?
მე-დ იმან უნდა ვიომოთ,
ნაქებ რო არი მკლავითა. –
ალარა ხუმრობს ლუხუმი,
მკერდშეღობილი ფართითა. –
მე ჯერ თათრებთან რა მინდა,
მაგისი სისხლი მწყურია,
დულს და გადმოდულს გულიდამ
მაგის მტრობა და შურია.

შეჩერდა თუშის ლაშქარი,
გულზე წაესო მურია.
ფიქრობენ: „რამ გააგიჟა,
ლეკიაა თუ ურია?
შველის მაგივრად თავხედსა
ჩვენივე სისხლი სწყურია?!“

ზეზვამ მყის იცნო ძმობილი,
ვეფხვი ხმალდახმალ წავიდა,
გაეკინკლავნენ ერთმანეთს
ხმალ-შუბებით და ფართითა.
მემრე აკოცეს მხურვალედ,
ამბავსა ჰკითხვენ ძმურადა,
ერთმანეთისა სურვილი¹
ორსვე ჰქონიყო წყლულადა.

ლუხუმი

– გენაცვლე, ძმაო ზეზვაო,
რო თვალთ გნახე კიდევა,

მიყვარს, ძმობამა, ხმალდახმალ
შენი მტრისაკე მიწევა.
კაცო, შენც დაბერებულხარ,
გაგხშირებია ჭალარი...
ცხენი სადა გყავ, მიტირე,
ი შენი ცხენი – სალარი?!²

ზეზვა

– ლაშქრობამ ჩამამაბერა,
ძალღუმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუძუს მამსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმი,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?!
წელში ორჯერ თუ დაებმის
ჩემი საფერხე³ გომშია.
სალარი მაგათ მამიკლეს,
ვისაც დღეს უნდა უტიოთ,⁴
მაგ ძალთი⁵ ერთი ცოცხალიც
გარეთ არ გამოუტიოთ.⁶

ლუხუმი

– სრულ მაგონდება, ძმობამა,
საცა რა გადაგვხედია;
უნდა გადაგვხედეს კიდევაც,
ეს არის ჩვენი ბედია.

ზეზვა

– მეც მაგონდება ბევრი რამ,
ერთი კი უფრო ცხადადა:
ერთხელის საბუის⁷ ბოლოს
ლეკებ რო ვაცხვეთ ქადადა,
თუ გახსონს, ერთს ლეკს ხმლითა ვეც,
ჭიმად⁸ მოვსწყვიტე თავია...

ლუხუმი

– შენის ფრანგულის ნაჭრევი
ისევ ისეთი მწვავია?

1. სურვილი – აქ: სიყვარული. 2. სალარი – ცხენის სახელია (არქმევენ შუბლთეთრა ცხენს).
3. საფერხე – საჯდომი პირუტყვი. 4. უტიოთ – შევუტიოთ. 5. ძალთი – ძაღლებისა (ძაღლთა).
6. გამოუტიოთ – გამოგუშვათ. 7. საბუე – სოფელი ყვარლის რაიონში. 8. ჭიმად – მთლად,
პირნმინდად.

ზეზვა

– თავი გაგორდა მიწაზე,
ტუჩებმ დაუნყო კაპუნი,
იტყოდი, სარეკელასა¹
ნისქვილზე გააქვ რაკუნი.
შენ შაგებრალა ურჯულო,
მოგიწყლიანდა თვალები,
უთუოდ, საით² ენახვე,
მოგაფურთხებდენ ქალები.
მე არ მეტრალვის, ლუხუმო,
მოუნათლავი აროდის,
მაგათ სინუნტის³ ნალველი

ყელში დუღილით ამოდის.
ვისაც ჩვენ არ ვებრალეებით,
ჩვენ შავიბრალოთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!
ერთურთს სალამი მიართვეს,
ფიცით შაიკრა ჯარია,
მალლიდამ მაკურთხებელი
თავზე დაადგათ ჯვარია.
შაილებება სისხლითა
ქართველთა მთა და ბარია.
დილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ არის აღწერილი მთების პანორამა?
2. შეადარეთ ერთმანეთს „მთანი მაღალნი“ და ამ თავში გაცოცხლებული სურათები. რა მსგავსება-განსხვავებები შენიშნეთ?
3. გაიხსენეთ, რა მხატვრული ფუნქცია აკისრია შავ ნისლს „სტუმარ-მასპინძლის“ პირველ და ბოლო თავებში. რად იქცა ნისლი („შავი ჯანლები“) „ბახტრიონში“?
4. როგორ ეხმიანება ბუნების სურათი მომავალ ბრძოლას? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილი).
5. ამჯერად რამ გააქარწყლა XII თავის ამაღლებული სულისკვეთება? რა დააბრალა ლაშქარმა კვირიას?
6. როგორ გაფანტა ლუხუმმა გაჩენილი ეჭვი? რატომ იქცა კვირიას გამამართლებელ უტყუარ არგუმენტად „სამშობლოს გორებზე“ მითითება? (გაითვალისწინეთ წინა თავში აღწერილი ბუნების სურათი და ადრე, XI თავში, გამოთქმული თვალსაზრისი).
7. რა მოჰყვა ლუხუმის მიერ მოხმობილ საბუთს? ამჯერად რა დაასკვნა ლაშქარმა? – მისი აზრით, რატომ არ შეეძლო კვირიას ღალატის ჩადენა?
8. როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ზეზვა და ლუხუმი? („ვეფხისტყაოსნის“ რომელი გმირების შეყრას ჰგავს ეს რაინდული ხუმრობა?).
9. რა მოსწონს ლუხუმს ზეზვაში განსაკუთრებით?
10. რატომ შეაწყვეტინა ლუხუმმა ზეზვას საბუთის ბრძოლის ამბავი?
11. მტრის მიმართ როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ზეზვა?
12. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს ეპიზოდი თხრობაში ჩართული?

1. **სარეკელა** – ნისქვილში: კრიჭაზე, პატარა დირეზე, მობმული ჯოხი, რომელსაც თავი ნისქვილის ქვაზე უდევს და თანაბრად ამოძრავებს კრიჭას, საიდანაც მარცვალი ჩამოდის. 2. **საით** – აქ: საიდანმე. 3. **სინუნტე** – სიბინძურე, უწმინდურება.

ხუთშაბათ დილა გათენდა,
 სისხლისა ნიავღვარია,
 ბახტრიონს თათრის შვილებსა
 დღე გაუთენდათ მწარია,
 გადმოდგა ბორბალაზედა¹
 თავისუფლების მთვარია.
 ალაზნისაკე წავიდა
 ურჯულოს სისხლის ღვარია,
 ნალესის ფრანგულებისა
 ცასა სწვდებოდა ალია,
 სრულ² სისხლით დანაბეჭდია³
 მეომართ დანაკვალია,⁴
 კარავ-საჩეხი მტრებისა
 მინგრეულ-დანაგალია.⁵
 გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა
 მტერი, ულმოვლად დალია,
 მიჰკვივის თათრებს ზეზვაი,
 შეუპოვარი, მალია;
 გულრკინას ხოშარეულსა

შუა გადუტყდა ხმალია,
 ცრემლი ერევა თვალეზზე,
 სწუხს, ამისაგან მწყრალია.
 ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,
 არ აუფეთქდა ფალია,
 დროშას მიუძღვის ლომივით,
 ამაინვადა⁶ ხმალია,
 შამაუძახა ლაშქარსა
 გულდინჯმა, ომში ცხარია:
 „მამყევით, ვისც ქუდი გხურავთ,
 ვინაც არა ხართ ქალია!“
 აივსო თათრის ძვლებითა
 იმ ბახტრიონის არია...⁷
 ციხე-გალავნად ეგება,⁸
 ისე გამრავლდა მკვდარია...
 ეს ის დრო იყო, როდესაც
 მთასა ჰლოცავდა ბარია,
 როს სალოცავად მიაჩნდათ
 მთიელის ხალხის გვარია...

XVI

– საით მოსდიხართ, ფშავლებო,
 ცხენხეთქით, რიალითაო,⁹
 ღრეობით, მხიარულადა,
 ჩაჩქნების პრიალითაო,
 ლაშარის ჯვარის დროშისა
 საამო წკრიალითაო?
 – საით და, კახეთს ვიყვენით,
 ბახტრიონს ჩავიყარენით,
 ჩვენა, თუშნი და ხევსურნი
 პანკისში¹⁰ შავიყარენით,
 ვაცადეთ ჩვენი საცდელი,
 ეხლა კი გავიყარენით.
 – რა გქონდათ, კაცნო, საცდელი,
 რა გქონდათ საომარია?

– ართუ გაგიგავ,¹¹ კახეთი
 თათრების ნაოხარია?
 თათრები ვხოცეთ, მოგვიდის
 ცხენები ნაოფლარია;
 გავწირეთ გულსისხლიანი
 ყეინი ნათოფარია,
 სალაშარიჯვროდ მოგვაქვის
 ზინათი ნაშოვარია¹²
 და გადმოვლახეთ საფშაოდ
 ტბათანა¹³ ნათოვარია,
 სავსეა თათრების ძვლითა
 ფშავლების ნაომარია;
 მეფემ გვიბოძა საჩუქრად
 სახნავი-დ საძოვარია,

1. **ბორბალა** – ბორბალო, მთაა კახეთის, თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის საზღვარზე. 2. **სრულ** – სულ. 3. **დანაბეჭდია** – აღბეჭდილია. 4. **დანაკვალი** – ნაკვალები. 5. **მინგრეულ-დანაგალი** – დანგრეული, დამსხვრეული, იავარქმნილი. 6. **ამაინვადა** – ამოიღო, იძრო. 7. **ბახტრიონის არია** – ბახტრიონის შემოგარენი, მიდამო. 8. **ეგება** – იგება. 9. **რიალი** – მოძრაობით გამოწვეული ხმაური, ზრიალი. 10. **პანკისი** – ხეობაა კახეთში, ახმეტის რაიონში. 11. **გაგიგავ** – გაგიგია. 12. **„სალაშარიჯვროდ მოგვაქვის ზინათი ნაშოვარია“** – ლაშარის ჯვრის შესანიშნავად მოგვაქვს ნაშოვნი ვერცხლეული. 13. **ტბათანა** – ადგილია თუშეთში.

სახელს უმატეთ სახელი,
 ძვირფასი საპოვარია.¹
 – საკაცით ვინლა მოგაქვისთ,
 ნაბდებში შახვეულები?
 – კვირიაი და ლელაი,
 ჩვენთვის სისხლდანთხეულები,
 ღმერთმა აცხონოს ესენი,
 ამათ გაგვიღეს კარები!
 რო შავიჭრენით შიგითა,
 ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.
 მოგვაქვს, დავმარხოთ იქავე,
 სად მამა-პაპა ჰმარხია,
 სადაც აბარავ მინასა
 იმათ გული და სახია.
 მძიმეა თავის ქვეყანა,
 თავის წყალ-ჭალა ძლიერა,
 მინაც ტკბილია მშობლური,
 გულს რო ეყრება ფხვიერა.
 – ვის მოგილოცოთ სახელი,
 ვინა ხართ სახელიანი?
 – პირველ – ობოლი კვირია,
 სახე აქვ ნათელიანი;
 მეორე – ლელა ბაჩლელი,
 ქალი ხელფარტენიანი;²
 მესამე – ბერი ლუხუმი,
 კურთხეულგამდელიანი;
 მეოთხე – ხოშარეული,
 არწივი მხარკვერიანი;³
 მეხუთე – გივით სუმელჯი
 მოგვყავის ნაჭრევიანი.
 – თუში ვინ ვარგდა, მითხარით,
 კაცად ვინ უფრო არია?
 – ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი,
 მთელის თუმების დარია.
 არა ყოფილა გაზდილი,
 მომცრო სდგომიყო ტანია,⁴
 ისა ყოფილა ვაჟკაცი,
 ღირსი, ნელთ ერტყას ხმალია.

ლომია, უფალსა ვფიცავთ,
 სწრაფი, ვით ელვა-ქარია;
 ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
 დაზარნიშული⁵ ფარია.
 მაგრამ დაგვიჭრეს რჯულძალთა,
 განირეს ცოცხალ-მკვდარია.
 თუ გაჰზდის, ფურმა გაზარდოს
 აიმისთანა ხარია!
 ვერ ვნახეთ, რო დაეკვნესოს,
 ან შეცვლილიყოს სახითა...
 თუმთ შაიჭირვეს ძალიან,
 ცრემლით ატირდენ ცხარითა,
 თავით დაურჭვეს დროშია
 მისივე შუბის ტარითა.
 – ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
 ვინ დარჩა სირცხვილიანი?
 – წინოლამ ლაფით გაგვთხიფა,⁶
 გაგვექცა სირბილიანი,
 ნეტარ, სად დაიძალევა
 სიცოცხლით სიკვდილიანი?⁷
 ფშავში როგორღა მოალის
 დიაცი ჩიქილიანი?
 არ ვარგა მაგათი გვარი,
 უჯიშო, სიცილიანი!
 ხალხში როგორღა გამოვა,
 ხატში როგორღა მოდგება?
 უკლოს, უკეთურს, ბეჩავსა
 სად დაეკარგა გონება?
 რად არ ირჩივა სიკვდილი
 და თათრებისა მონება?
 ვინლა გაივლევს⁸ ახლოსა,
 ჩააქვავებენ დედანი...
 მინამ შაჭამოს ცოცხალი
 ემაგისთანა მხედარი!
 ომშიით გამოქცეულსა
 მეხი დაეცეს მედგარი!
 არ ვარგა, იმიტომ თქმულა,
 კაცი, ქალებში მკვეხარი.

1. **საპოვარი** – მოსაპოვებელი. 2. **ხელფარტენიანი** – ვისაც ხელში ფარტენა, მატყლის ფთილა უჭირავს და ართავს. აქ: ქალის ეპითეტია. 3. **მხარკვერიანი** (არწივი) – ზოგ არწივს მხართან თეთრი „კვერი“ (ლაქა) აქვს. ამიტომ მას, „მხარკვერიანს“ ეძახიან. ამ სიტყვას ხმარობენ კარგი ვაჟკაცის ეპითეტად. 4. **ტანი სდგომიყო** – ტანი ჰქონოდა. 5. **დაზარნიშული** – ზარნიშით მორთული, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული. 6. **გაგვთხიფა** – გაგვსვარა. **ლაფით გაგვთხიფა** – (გადატ.) შეგვარცხვინა; თავი მოგვჭრა, სირცხვილი გვაჭამა. 7. **სიცოცხლით სიკვდილიანი** – სიცოცხლეშივე მკვდარი, სახელგატეხილი. 8. **გაივლევს** – გაიკარებს.

– ბერი სადღაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?
– ეხლა გაგიტყდეთ ჩვენაცა,
აუგი გითხრათ თავისა:
იმისა ვერა გავიგეთ,
გულში ესა გვაქვს ჯავრადა...
მტერი რო მთა-ტყეს მოეცა,¹
ჩვენ თან მივსდევდით ჯარადა,

მისი ველარა გავიგეთ,
იქნებ თუშთ გაჰყვა წვეულად,
ზეზვიას დაჭრა ეწყინა,
ძმობილს თან ჰყავდეს ძმეულად.²
ვერა ვიცით რა, ესა გვწყინს,
გვრცხვენიან, ჭირად გვექცევია,
დაკარგვა ჩვენის პატრონის
საგონად³ გადაგვექცევია.

XVII

ლამესა სძინავ მთა-ბარზე,
ბუნება დასვენებულა,
მანათობელი ქვეყნისა
მთვარეც ხომ ჩასვენებულა!
მოისმის ივრის ჩხრიალი,
სიზმარს უამბობს ჭალასა,
ერთად ჰკეცს საუბარშია
ცისა და ქვეყნის ძალასა.
ცა თავისათვის მყუდროდ სდგას,
მკერდსუფთა, ვარსკვლავიანი...

მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი;
თავი დაურჩვავ⁴ მხედარსა,
თუ იყო გულჯავრიანი?!
იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლდენ,
მამა აღარ ჰყავ ბაღღებსა.
თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძაღღებსა.

XVIII

სხლოვანს⁵ ატირდა ბებერი,
მოსთქვამს ზარს ზარიანადა:
– ნეტავი თავზე დამეცეს
მთა-ღელე ზარიანადა!
ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენიყავ დედასა,
თუ ამას შავესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა.
შვილო, სირცხვილი მაჭმიე,
ძუძუ დასწყევლე დედისა,
თვითონ შენა ხარ მწამლავი
თავის უბედო ბედისა.
რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო,
რად ხარ ყელსაბელიანი,⁶
რად არ მამიხვედ, წინოლავ,
პირნათლი, სახელიანი?

გასწირე თავის ხსენება,
სანყევარ-სარბევიანი.
მარტოდ რად სტირის დიაცი,
გვერდით არა ჰყავ სოფელი,
არ ისმის მოზარეთ ზარი,
გულს ლახვარდამასობელი?
თასი დაღვარეს ხატშია,⁷
ახლოს მიუდგეს არვინა,
წინოლას დანაშაული
ანეულია ცამდინა,
დაამცრო ჩვენი სახელი,
მთელს ლაშქარს გული ატკინა.
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა,
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!

1. მოეცა მთა-ტყეს – მოედო, შეესია. 2. ძმეულად – ძმურად. 3. საგონად – საგონებლად, სა-
დარდებლად. 4. თავი დაურჩვავ – თავი ჩამოუხრჩვია. 5. სხლოვანი – სოფელია ივრის ხეობაში,
თიანეთის რაიონში. 6. ყელსაბელიანი – ყელზე თოკმობმული (იგულისხმება „შერცხვენილი“). 7. თა-
სი დაღვარეს ხატშია – ფიცის გაუტეხლობის ან ვინმეს „დარისხების“ ნიშნად ხატში თავმოყრილი
მამაკაცები ხევისბრის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე თავიანთი სასმისებიდან ლუღს დაღვრიდნენ.

იტყვიან: მალღის მთის ძირსა,
 უღრანს, უდაბურს ტყეშია
 ლუხუმი ინვა დაჭრილი,
 ნატყვიარი სჭირს მკერდშია.
 იქვე მალღალი კლდე იყო,
 გამოქვაბული შავადა,
 ხავსით მორთული, პირქუში,
 მრისხანე სანახავადა.
 იქა ბუდობდა ვეება
 გველი, მორთული ჯაგრითა,
 ბევრისა ცოდვის მოქმედი,
 პირზე დორბლების დაყრითა.
 ბევრი ჩაენთქა ტიალსა
 მონადირე და მხეცები,
 ინვა, უცდიდა დავლასა
 თვალებით დანაცეცები.
 გადამთხვალეყვნენ¹ იქიღამ
 ნადირნი გულის თრთოლითა.
 ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგს,
 ისე ეშინისთ შორითა.

ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
 განოლილიყო ხეზედა,
 წიოდა გულჯავრიანი,
 თანაც თბებოდა მზეზედა;
 ამ დროს შავსმა კვნესის ხმა
 ჯაგარაშლილსა გვერდზედა.
 გაჰხედა, ნახა, კაცი წევს
 სულის მაბრძოლი, ეული,
 გასცქერის ცისა სივრცესა
 სასომიხდილი, სნეული,
 მკერდზე ატყვია მიმხმარი
 სისხლი, წყლად ამორწყეული.

გველს შაებრაღა ლუხუმი,
 მისკე ნავიდა ზღაზენითა,
 მიაშრიაღებს ხმელს ფოთოლს
 დიდრონის ტანის გღარზენითა,²
 ზედ დააშტერდა სნეულსა
 თვისის გველურის სახითა,
 დასცქერის სულის მაბრძოლსა³
 გულის მზარავის თვალითა.
 დაფიქრდა გველი ძლიერად,
 გული ევსება ბრალითა...
 ბევრის ცოდვების მოქმედსა
 გადაუბრუნდა გუნება,
 რა სიბრალულით იმსჭვალვის
 მისი გველური ბუნება!
 ზედ გადაანვა მკერდზედა,
 წყლულსა ულოკდა ენითა.
 თან მკერდს უსველებს მხედარსა
 ცრემლების ჩამოდენითა,
 აყრუებს ტყესა და ველსა
 ოხვრითა რამოდენითა!

მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
 ადამის ტომის მტერია,
 ბოროტების გზა გაუშვავ,
 კეთილი დაუჭერია.
 საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
 ასმევს წყალს ლალის მთისასა,
 ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
 ორის ობოლის ძმისასა.⁴

ამბობენ, შაადლებინა
 სნეულსო ფეხზე დადგომა;
 ეღირსებაო ლუხუმსა
 ლაშარის გორზე შადგომა!

1892 წ.

1. **გადამთხვალეყვნენ** – გაფრთხალეყვნენ, გაფანტულიყვნენ. 2. **ღღარზენა** – კლაკნა, გრეხა. 3. **სულის მაბრძოლი** – სულთმობრძავი, მომაკვდავი. 4. **ზღაპარი.. ორი ობოლი ძმისა** – ორ ობოლ ძმას მეფის ასული შეჰყვარებია. მეფის ასულს მათგან ვაჟკაცობის გამოჩენა მოუთხოვია. ერთხელ სამშობლოს მტრის ლაშქარი შემოესია, რომელსაც წინ ორი ვაჟკაცი მოუძლოდა. მათ მუზარადებად მრგვლად დახვეული გველები ჰხურებიათ, რომლებიც ძალას აძლევდნენ. მეფის ასულს ძმებისთვის ურჩევია, ჭაბუკებს გველები მოაშორეთ და მერე შეებრძოლეთო. ძმები ასეც მოქცეულან, ჭაბუკებს გველები მოაცილეს და თვითონ დაიხურეს მუზარადებად. გოლიათები კი დამარცხებულან, მაგრამ გველთავიანი ძმების დანახვაზე მეფის ასულს გული შეღონებია. ქურუმს მეფისთვის ურჩევია, გველის შხამი დააღვეინეთო, ექიმს კი – ერთ-ერთი ძმის გულიდან გამონაწონი სისხლიო. გველებს შხამის მიცემაზე უარი უთქვამთ. მაშინ მეფეს გული მოუთხოვია ძმებისთვის. ისინი მოსათათბირებლად ტყეში შესულან. იქ ერთ-ერთ მათგანს მეორისთვის მახვილი ჩაუცია მკერდში. უცებ გააფთრებული გველი წივილით შემოხვევია ძმის მკვლელს, დაუხრჩვია, მერე მკერდგაპობილი ძმისთვის უმკურნალა და ფეხზეც მალე წამოუყენებია.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როგორ გესმით სიტყვები: „სრულ სისხლით დანაბეჭდია მეომართ დანაკვალია“.
2. რომელი გმირები გამოარჩია ავტორმა?
3. XV თავის მიხედვით, რამ განაპირობა გამარჯვება? შესაბამისად, როგორ გვამცნობს ავტორი თავის სათქმელს?
4. რა ხერხია გამოყენებული ბახტრიონის ბრძოლის მონაწილეთა საგმირო საქმეების საჩვენებლად? ვის უყვება გამარჯვებული ლაშქარი ბრძოლის ამბავს?
5. დაღუპულთაგან რომელ გმირებს ხვდათ პირველად ხსენების პატივი?
6. ჩამოთვლილთაგან რომელნი არიან ისტორიული პირები? რომელ გმირთა სახეებია მწერლის ფანტაზიით შექმნილი?
7. „ბაში-აჩუკისა“ და „ბახტრიონის“ მიხედვით ჩამოთვალეთ ამ ბრძოლის მონაწილე ყველა ისტორიული გმირი.
8. რა დანაშაული ჩაიდინა წინოლამ? დანაშაულის ჩადენამდე რაზე ეტყობოდა წინოლას, რომ ლაჩარი იყო?
9. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბუნება ომიდან გამოქცეული მშვიდარა მხედრისადმი?
10. რატომ მოაკვლევინა ვაჟამ თავი წინოლას? (გაიხსენეთ, ვის გვერდით ახსენეს იგი პირველად).
11. ზოგადად რის სიმბოლოა გველი (გველეშაპი)? (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ კულმინაცია: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“.)
რა მოხდა პომის ბოლო თავში? როგორ დამტკიცდა სიკეთის უძლეველობა?
12. თქვენი აზრით, რა იგულისხმება პომის ბოლო ფრაზაში?

ეს საინტერესოა!

როგორ დაიწერა „ბახტრიონი“

„...ძირითადად ღამე წერდა ვაჟა, დღისით მოუცლევლობის გამო, მაგრამ ხშირად ლამპის ასანთები ნავთიც კი არა ჰქონდა. ასეთ დროს ბუხრის პირს მიმჯდარი ცეცხლის შუქზე წერდა... შემოეღოდა ნავთი და ხან ფული არა ჰქონდა საყიდლად, ხან – დრო. ამას დაუძლურებაც დაემატა... არადა, უნავთობა მისთვის ცეცხლ-ნავთი იყო, განსაკუთრებით მუზის მოძალების ჟამს, ღამე რომ ძილს არ აძინებდა. ერთი ასეთი გასაჭირიდან მეზობლის ბაღს ზ. ტოპეშაშვილს უხსნია. მისი ნაამბობია: „ერთ ზამთრის დილას ვაჟამ ადრე დამიძახა და მითხრა: დიდ რასმე წიგნსა ვწერ და ნავთი არა მაქვსო. თურმე მთელი ღამე ბუხრის ალზე ეწერა. უნდა მომეხმარო, თიანეთს უნდა ჩახვიდე, ნავთი მიყიდო. მე სიხარულით დავთანხმდი, მაგრამ ვაჟას ფული არა ჰქონდა. ნავთის ფულის საშოვრად ჯერ ქათმების ჭერა დავიწყეთ, მერე კვერცხები მოაგროვა, კვერცხები რომ დააკლდა, ცოლს ასესხებინა მეზობლებში. თავისი ცხენი შემიკაზმა, კვერცხები ხურჯინში ჩავანყვეთ, ქათმები კი უნაგირის კეხზე გადავკიდეთ და გაფუდექი თიანეთის გზას ნავთის მოსატანად, მაგრამ დახე უბედურებას!“

სულ ცოტა გზა მქონდა გავლილი, რომ თავდაღმართზე ერთმა ქათამმა შეიკრი-
ახა, ცხენი დაფრთხა და ორივენი, მეცა და ცხენიც მიწაზე დავეცით. რასაკვირვე-
ლია, კვერცხები მთლად დაიმტვრა და შერცხვენილი ისევ უკან დავბრუნდი. ვაჟამ
ბევრი იცინა და ახლად ისესხა სათიანეთო კვერცხები, მეც მეორედ გავემგზავრე
თიანეთს, რომ ვაჟასთვის ნავთი მომეტანა. როდესაც ვაჟას ნავთი მოვუტანე, და-
ლიან გაეხარდა, დიდი მადლობაც მითხრა – ახლა კარგა დავნერო და რამდენიმე
დღე გამგელებული მუშაობდა. ასე დანერა ვაჟამ „ბახტრიონი“.

გიგი ხორნაული (წიგნიდან „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“)

ტექსტის წაკითხვის შედეგ

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. სანათა ერთადერთხელ გამოჩნდება ტექსტში. რა ფუნქცია ეკისრება ამ პერ-
სონაჟს?
2. როგორ ხატავს ავტორი კვირიას, რა დეტალებს გამოყოფს მის გარეგნობაში?
რა დამოკიდებულება უჩნდება მკითხველს ამ პერსონაჟისადმი?
3. იგუებდა თუ არა ამგვარად დახატულ პერსონაჟს „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის
ლიტერატურა? (პასუხი განმარტეთ).
4. რით ჰგავს კვირიას სიზმარი კირილე მღვდლის სიზმარს ამავე თემაზე შექმნი-
ლი „ბაში-აჩუკიდან“? რა ფუნქცია აქვს სიზმარს ამ ტექსტებში?
5. შეადარეთ ერთმანეთს ცნობილი სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული და
ლუხუმი. თქვენი აზრით, მათგან რომელს მიაინიჭა ავტორმა მეტი მხატვრული
დატვირთვა?
6. რისი სიმბოლო შეიძლება იყოს ლუხუმი? „ბახტრიონის“ პერსონაჟთაგან მაინც-
დამაინც მას რატომ ხვდა „ლაშარის გორზე შადგომის“ პატივი?
7. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩანან პოემაში ამ ომის ისტორიული გმირე-
ბი – ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძი-
ნა ჩოლოყაშვილი? შეიძლება თუ არა „ბახტრიონს“ ეწოდოს ისტორიული ნა-
წარმოები?
8. ვაჟა წერს: „გადმოდგა ბორბალაზედა თავისუფლების მთვარია“; „სახელს
უმატეს სახელი ძვირფასი საპოვარია“. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი სტრიქონე-
ბი გაგახსენათ ამ სიტყვებმა?
9. რას ნაუმიძღვარებდით ეპიგრაფად ამ პოემას?
10. ვაჟა-ფშაველა იმ ეპოქის შვილია, რომელმაც პოეტსა და პოეზიას მოვალეო-
ბად ერის მსახურება დაუწესა (გაიხსენეთ ილიას სიტყვები: „დიდის ღმერთის
საკურთხეველის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში“). თქვენი აზრით, როგორ უპასუხა „ბახტრიონმა“ თა-
ვისი ეპოქის მოთხოვნებს? რას გვასწავლის ეს ნაწარმოები დღეს?

ეს სანინტარესოა!

ვაჟა-ფშაველას პოემების ხალხური წყაროები

კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი

(ნაწყვეტები)

I

ბ. ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს, ამ პოემებში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს. ბ. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალლო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური; უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური¹, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა. ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი, დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.

ესევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა.

... ჩემი პოემები თითქმის ყველა სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი; თვითეული მათგანი სხვადასხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მათზე², ე.ი. ზოგი ნაწარმოების არაკი³ ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია, და, წარმოიდგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც. დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში. ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნიან „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“.

II

... „სტუმარ-მასპინძელი“, მაგალითად, არის აშენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადაური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდა ქისტებს ხელში, რა შემთხვევით, ეს მე არ გამიგონია, მაშასადამე, ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მიპატი-

1. ხელოვნური – აქ: ხელოვნების ნაწარმოები.

2. მათზე – მისგან.

3. არაკი – აქ: ამბავი, სიუჟეტი.

ჟება და შეპყრობა ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, მოგვითხრობს ძველი ამბავი, ჰყავთ ახალი მკვდარი ვიღაცა ხევსურისაგან მოკლული. თანახმად ჩვეულებისა, საჭიროა სისხლის აღება. თვით მიცვალებული თხოულობს ამას და, რათა დააკმაყოფილონ იგი, დააშოშმინონ გარდაცვალებული თანამოძმის ალტყინებული გრძნობა შურისძიებისა, ქისტები ჰკლავენ ზვიადაურს დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამოგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟკაცობა და გულადობა გამოიჩინა ხევსურ ზვიადაურმა. რაში გამოიხატება ეს ვაჟკაცობა? ვაჟკაცობა ზვიადაურისა იქიდანა სჩანს, რომ ის არ დალაჩრდა, თუმც ხანჯლის წვერით ყელში სჩხვლეტდენ ქისტის საფლავზე ხარივით წამოქცეულს სამსხვერპლო ზვიადაურს და როცა ქისტები იტყოდენ: — იყავ საიქიოს მონა-მოსამსახურე დარლასი, უზიდე წყალი, გაუბანდე ჯღანი, რაც სამსახური მოითხოვოს შენგან თავგამოდებით, ერთგულად აუსრულეო, — ეს უკანასკნელი ვიდრე სულს დაჰლევედა, ხრიალებდა ყელში: „ძალე იყოს თქვენის მკვდრისადაო“. რომ შეშინებულიყო ზვიადაური, ამ სიტყვებს ვეღარ იტყოდა და მაშინ შეწირული იქნებოდა, გახდებოდა ქისტის მონა საიქიოს, მაგრამ რადგან იგი უკანასკნელ ამოქმენამდე არ შედრკა, არ გატყდა, არ მოიხარა ქედი წინაშე მტრებისა და სიკვდილისა, იგი დარჩა თავისუფალ ხევსურად, ვაჟკაცად, ხოლო დარლა განზილებული, დაუკმაყოფილებელი. აი მთელი ამბავი, რომელზედაც მე ავაშენე „სტუმარ-მასპინძელი“. მაშასადამე, ჯოყოლა, ალაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადაურისა, აგრეთვე გალაშქრება ხევსურებისა ზვიადაურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი.

III

„ალუდა ქეთელაური“, რომელიც აგრე ძალიან მოსწონს ბ. ვართაგავას, არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. ალუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს. ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს, ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება ალუდასი, მაგრამ მოჰხიბლავს მას თავისი ვაჟკაცობით და როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას — ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირ-გადმოცემა არაფერს გვეუბნება. ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არის.

პოემა „ბახტრიონი“ არის დაფუძნებული იმ ძველს გარდმოცემაზე, რომელიც მოგვითხრობს, რომ მთელი პანკისის ხეობა და მატან-მარლისის ადგილების ნახევარი ფშაველ-ხევსურებისთვის არის ნაჩუქარი მეფისაგან, რადგანაც ბახტრიონის აღებით საქართველოს დიდი სამსახური გაუწიესო. ხელში კალამი ამაღებინა, აგრეთვე, ბახტრიონის გმირებზე ნათქვამმა სახალხო ლექსებმა:

„ბიჭი ვარ გოგოლაური (ფშაველი),
 რას მყურობ ტალავარზედა?!
 წინ-წინ მე გადავფრინდები
 ბახტრიონს გალავანზედა;
 ხმლითა ვცემ თათრის ბელადსა,
 ზედ მივალ ფალავანზედა“.

„ხმალს ჰზვერავს გაფრინდაული (თუში ზეზვა),
 თათრები ვხოცე ამითა,

დიდი ალვანის მინდორი
 ავაესე თათრის ძვალთა.
 მგელსა დავცვითე კბილები,
 ტურას ლოყები ჭამითა“.

„ზეზვა რა სანახავია,
 თათრებო, თქვენის ხელითა?!
 ზეზვა გენახათ მაშინა,
 როცა მოგდევდათ ცხენითა,
 მოგდევდათ, მოგანუხებდათ,
 მოგჩხვლეკდათ შუბის წვერითა“.

„პანკისს იყრება ლაშქარი,
 ბელადსა ღონდებიანო,
 ზეზვაო გაფრინდაულო,
 ლურჯას შენ გიქებდიანო.
 ჯავრობენ თუშიშვილები,
 ხევსურნი არ გვინდიანო.

— მაგას რად იტყვით, თუშებო,
 ომი ჩვენც ქვე გვწადიანო.
 წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი,
 ფშაველნ ნელ-ნელა დიანო...
 ფშაველნი, უკვენ ხევსურნი
 ბახტრიონს გადადიანო:
 დალიეს თათრის ლაშქარი,
 თავებს უკვენა ჰყრიანო.
 მეორე დილა გათენდა,
 თუშებიც ჩამოდიანო.
 სად ეყარენით, თუშებო,
 სადიაცენო თმიანო?!“

ეს ლექსები ფშავშია გაგონილი და, როგორც კილო ამტკიცებს, ფშაურ ნიადაგ-ზეა ამოცენებული და ადვილად შესაძლებელია, ფშავლებს თავისი თავი თუშებზე და ხევსურებზე სახელოვნად ჰყვანდეს დასურათებული. ჩემთვის მართო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდენ, არ ინდობდენ, ამ ჟამად შაერთდენ, ერთსულოვანობა გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაჭირვების დღეს. განახორციელეს თხოვნა-მუდარა იმავე ხალხური ლექსისა:

„თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
 ლაშქარი გავაზიაროთ;
 ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ,
 მტერი კი დავაზიანოთ“-ო.

გამიგონია, აგრეთვე, ამბად ისიც, ვითომ ფშავში თათრებთან ბრძოლაში თითქმის სულ გაჟღეტილიყვნენ მამაკაცები და ხატში, სალოცავში დედაკაცებს მოენთოთ სანთელი, ხოლო როდის მოხდა ეს ამბავი, ზეპირ-გადმოცემა არ აღნიშნავს იმ ხანას. მთელი მასალა, რითაც მე ავაშენე ბახტრიონი, ეს გახლავთ.

ჩემზე ეს ზემორე აღნიშნული ხალხური ლექს-თქმულებანი მოქმედობდა განსაკუთრებით „ბახტრიონის“ წერაში და არა რომელიმე მნიგნობრული ამბები...

... ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმაღავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არ ჰგულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“

— იქნება ვგულისხმობდე, — ვუპასუხე. — „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამი“. დაინიჟა¹ ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმის რწმენას აზრს ვერ გამოუვცლიდენ.

თუ ჩემსა მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი...

ვაჟა-ფშაველა
1914 წ.

■ გაიხსენეთ, რა განასხვავებს თითოეულ პოემას მათი ხალხური წყაროებისგან და იმსჯელეთ, როგორ მოარგო თავის სათქმელს პოეტმა ხალხური გადმოცემები.

■ ნაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და უპასუხეთ კითხვებს.

კოსმოპოლიტიზმი² და პატრიოტიზმი³

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ისე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს, თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისთვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოდგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედი-

1. დაინიჟა — დაიჟინა. 2. კოსმოპოლიტიზმი — მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავს მსოფლიოს მოქალაქედ მოიაზრებს. 3. პატრიოტიზმი — სამშობლოს სიყვარული.

სონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გეზულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოქმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმნით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი ნაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არას დროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს – არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ქუთამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც, მაგალითად, არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმანვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთანა ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდულებასღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ქკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება,

არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშეპოჭილი. სამონყალეო სახლში აღზრდილიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა¹ გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

დავფიქრდეთ, გავანალიზოთ, შევაფასოთ

1. როდის არ ეწინააღმდეგება ნამდვილი პატრიოტიზმი კოსმოპოლიტიზმს?
2. რა არის საჭირო კაცობრიობის განვითარებისთვის?
3. როდის იქნება ადამიანის ღვანლი გამოსადეგი მთელი კაცობრიობისთვის?
4. ვისი მაგალითებით ამტკიცებს ვაჟა თავის მოსაზრებას?
5. იპოვეთ წინადადება, რომელიც მეორე აბზაცის მთავარ აზრს გამოხატავს. დააკვირდით, სად არის მოთავსებული იგი (აბზაცის თავში, ბოლოსა თუ შუაში)?
6. რატომ არ აქვს სამშობლო, ვაჟას აზრით, „გენიოსთ ნაწარმოებებს“?
7. რაში გამოიხატება, ვაჟას აზრით, თითოეული ერის განვითარება?
8. რა იქნება ერების ამგვარად განვითარების შედეგი?
9. მწერლის აზრით, პატრიოტიზმის გრძნობა თანდაყოლილია თუ შექმნილი?
10. ვის როლს გამოკვეთს ვაჟა მეექვსე აბზაცში?
11. რატომ ეთქმის თვალთმაქცი იმ ადამიანს, რომელიც ამტკიცებს, ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო?

1. ლალა – ძიძა, აღმზრდელი.

12. რა არის გრძნობის ნაყოფი და რა – გონებისა?
13. რისი თავიდან აცილება შეიძლება კოსმოპოლიტიზმის წყალობით?
14. ვის შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი?
15. რომელ აბზაცს უკავშირდება აზრობრივად ტექსტის ბოლო წინადადება?



ჭრბითი სამუშაო

გაანალიზეთ ვაჟას ეს წერილი მოცემული გეგმის მიხედვით:

- იმსჯელეთ, ვაჟას აზრით, ვინ არის ნამდვილი პატრიოტი;
- იმსჯელეთ, რამდენად არის საკმარისი პატრიოტიზმი იმისათვის, რომ ყველა ერი გიყვარდეს;
- ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ პატრიოტიზმი თანდაყოლილი გრძნობაა, კოსმოპოლიტიზმი კი – გონების ნაყოფი?

მჭრბლის ენა

ვაჟა-ფშაველას ენის საკითხი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ენობრივი მხარის შესახებ ბევრი რამ თქმულა, ძირითადად კრიტიკული შინაარსისა; მას საყვედურობდნენ, რომ დიალექტზე, ფშაურ კილოზე წერდა და მისთ.

პოეტი მეტად განიცდიდა თავისი შემოქმედების ენობრივ კრიტიკას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მას მიაჩნდა, რომ მწერლის შთაგონების საფუძველი ენაა:

„დედაენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალ-ღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა. თუ პირველი მარცხნივ უდგა და აზრს უკარნახებს, მეორე მარჯვენას უმშვენებს და ნაწარმოების ფორმას აძლევს“.

ამიტომაც უთქვამს გულისტკივილით, – თუ ენა არ არის მოსაწონი, მაშ, შემოქმედება არ ვარგებულა და ეგ არისო.

დრომ დაადასტურა, რომ მწერლის შემოქმედება უკვდავია, ცხადია, საკუთარ ენასთან ერთად. მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებულად იქცევს ყურადღებას:

ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და წერილების ქართული უაღრესად დახვეწილია, ერთ-ერთი სანიმუშო XIX საუკუნის სიტყვის ოსტატთა შორის.

მაგრამ განსხვავებული ვითარებაა მის პოეზიაში. ლექსებისა და პოემების ენა მეტად არის გაჯერებული დიალექტური სიტყვებითა და ფორმებით. აქ შეგვხვდება არაერთი ისეთი ფორმა, რომელსაც პროზაში ვერ ვიპოვით.

რამ გამოიწვია ეს? ამგვარ ვითარებას ხომ ვერც სწორი ფორმების არცოდნით ავხსნით და ვერც მათი უგულვებლყოფით (თუ ერთ შემთხვევაში იყენებს, ეს ნიშნავს, რომ მეორეგან რაღაც მოსაზრებით არიდებს თავს)?

მიზეზი ამისა უთუოდ არის ის, რომ ვაჟას პოეზიის ენა უშუალოდ არის ნასაზრდოები ქართული ხალხური პოეზიის ტრადიციებით, მათ შორის, მისი სტილითა და ენით.

თვით ვაჟა ერთ წერილში წერდა: თავიდან ვერ ვბედავდი ხალხური კილოს გამოყენებას, მაგრამ როდესაც რაფიელ ერისთავის ლექსები გავიცანი, გამბედაობა მომემატაო.

რაფიელ ერისთავის ლექსებიც ხალხური პოეზიით არის ნასაზრდოები. ხალხური კილო აქ გულისხმობს სწორედ ხალხური პოეზიის ფორმასა და ენას საზოგადოდ. კერძოდ კი, ვაჟასთვის განსაკუთრებით მახლობელი იყო ფშავ-ხევსურული პოეზია.

ამდენად, ვაჟას პოეზიის ენაში ჩვეულებრივია ისეთი დიალექტიზმები, როგორებიცაა:

„გაზაფხულ იყო მაშინა, ახლად ყოოდენ იანი“.

„მაცნე მოიდა შატილსა... ქისტებს ნაუსხამ ცხენები“...

„მაღე შაავდო ალუდამ ქისტების ნავალს თვალიო“...

დავალება: ამოკრიბეთ ვაჟას ლექსებსა და პოემებში ამგვარი თავისებური ფორმები.

პირის ნიშნების გამოყენება და მართლწერა XIX საუკუნის მწერლობაში

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან, უფრო დაზუსტებით, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან დაიწყო. თქვენ უკვე იცით, რომ ახალი ქართული ენის ჩამოყალიბებას საფუძველი ე.წ. თერგდალეულებმა ჩაუყარეს, მაგრამ მათ ნორმები არ შეუმუშავებიათ და საერთო პრინციპი არ დაუმკვიდრებიათ. ამიტომაც იყო, რომ ამ მხრივ მათი ნაწერებიც განსხვავდება და მათი შეხედულებებიც არ ემთხვევა ერთმანეთს: ყოველი მათგანი საკუთარი პოზიციიდან აფასებს დანარჩენების სამწერლო მემკვიდრეობას და თავისი შეხედულების დამკვიდრებას ცდილობს.

კერძო საკითხი რომ ავიღოთ: განსაკუთრებული არაერთგვაროვნება შეინიშნება პირის ნიშანთა მართლწერის მხრივ. არნოლდ ჩიქობავა 1926 წელს აღნიშნავდა, რომ **ხ-, ჰ-, ს-** პირის ნიშნების გამოყენება ძველ ქართულში სრულიად მონესრიგებული იყო; „შემდეგ თანდათანობით საქმის ვითარება ირევა და XVIII საუკუნიდან **ჰ** და **ს** პრეფიქსების ხმარება სამწერლობო ქართულში ნამდვილად ანარქიას ჰქმნის. ასე გრძელდება დღემდე: ყველა ისე წერს, როგორც მოეპრიანება“.

იმ დროს, როდესაც არნოლდ ჩიქობავა ამ სიტყვებს წერს, საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ამიტომაც არის, რომ ამ შენიშვნის ავტორის ნაწერშიც გვხვდება არაერთგვაროვნება (ამისი ნიმუში მოყვანილ ფრაზაშიც ჩანს).

დღეს პირის ნიშანთა მართლწერის ნორმა დადგენილია. კერძოდ, მეორე სუბი-

ექტურ პირს აღარ ესაჭიროება ეს ნიშნები; ხოლო მესამე ობიექტური პირის ნიშნები გამოვლინდება იმის მიხედვით, თუ რომელი ბგერები მოსდევს მას.

დავალბა: გაიხსენეთ ეს წესი და მოიძიეთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პირის ნიშანთა სწორად და არასწორად გამოყენების მაგალითები.

ვაჟა-ფშაველას ლექსიკა

ვაჟა-ფშაველას მაღალმხატვრულმა შემოქმედებამ ქართული სალიტერატურო ენისაკენ გზა გაუხსნა არაერთ ისეთ სიტყვასა და გამონათქვამს, რომლებიც ფხოვურ კილოებს ეკუთვნოდა და აქამდე უცნობი ან უცხო იყო მნიგნობრობისათვის.

სანიმუშოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითი მოვიხმოთ:

1. სიტყვათშეთანხმება **კაი ყმა** აქამდე არ არსებობდა, თუმცა მისი ფესვები შუა საუკუნეებშია. ის იგივეა („კარგ“-ის დამატებით), რაც „ვეფხისტყაოსნის“ **მოყმე** და **ყმა** (გაიხსენეთ: ავთანდილი „ყმა ტკბილი და ტკბილქართულია“; ხოლო ტარიელი – „უცხო მოყმე ვინმე“). ასე რომ **კაი ყმა** იგივე „ვაჟკაცი“, „რაინდია“.

„კაი ყმის“ კულტი შუა საუკუნეებიდან შემორჩა მთის ხალხურ პოეზიას და იქიდან გადმოვიდა ვაჟას პოეტურ სამყაროში:

„ვინა, ვინ არის კაი ყმა, მოსაგონარი ქებითა?“

2. **რჯულძალი:** ვაჟას დროისათვის კავკასიელი მთიელები, რომელნიც ტრადიციულად თანამოძმეებად მიიჩნევდნენ თავს, სარწმუნოებრივად სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. ამიტომაც დაპირისპირების, მტრული ურთიერთობის დროს გვარსა და წარმომავლობას (ეროვნებას) კი არ ულანძღავენ, არამედ – რჯულს. მაგალითად, ალუდა და მუცალი ორთაბრძოლის დროს ამ უარყოფითი ეპითეტით „ამკობენ“ ერთმანეთს: „რჯულძალო!..“.

3. **„გაურჯულებელს** არჯულებ“: ზოგ გამოცემაში დღესაც ამოიკითხავთ პირველ სიტყვას ამ სახით – „გაურჯულებულს“. შესიტყვება ასე გაიგებოდა: „შენ (ალუდა) ურჯულოს (მუცალს) რჯულიანად ხდი“. სინამდვილეში კუთხური სიტყვა „გაურჯულებელი“ ნიშნავს „რჯულად, წესად დაუდგენელს“, ხოლო ფრაზა ასე უნდა გავიგოთ: „რაც რჯულად არ ყოფილა დაწესებული, იმას ხდი რჯულად (არჯულებ); ეს არ შეგეფერებაო!“.

ეს ბეჭდვის შეცდომა დიდხანს მოჰყვებოდა ვაჟას გამოცემებს.

ვაჟა-ფშაველას ფრაზეოლოგია

მწერლის ენის სიმდიდრეს, სისხარტესა და მოქნილობას არა მხოლოდ ლექსიკური მარაგი, არამედ ის ფრაზეოლოგიაც განაპირობებს, რომელიც გარკვეული ფორმულების, მყარი გამონათქვამების სახით მოიპოვება ცოცხალ მეტყველებაში და, აქედან, სიტყვიერ ხელოვნებაში. არცთუ იშვიათად მწერალი თავადაც ქმნის ფრაზეოლოგიზმებს.

ვაჟას ენის თავისებურებას ამ ფრაზეოლოგიის სიუხვეც ქმნის და მისი პოეტუ-

რი სამყაროს წვდომისათვის აუცილებელია იმ მდიდარი ფრაზეოლოგიის გათვალისწინება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ირკვევა, ხალხის მეტყველებიდან, ხალხური შემოქმედებიდან მომდინარეობს. მაგალითად:

1. ვაჟა ნერს: „მაღე **შააგდო** ალუდამ ქისტების ნავალს **თვალიო**“. **თვალის შეგდება** მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმია და ის „თვალის მოკვრას, დანახვას, შემჩნევას“ ნიშნავს.

2. **ზიანის მცემა**: „მაცნე მოიდა შატილსა: ქისტებმა **მოგვცეს ზიანი**“.

3. ვაჟა გვამცნობს, რომ ქისტებს უნდოდათ სისხამ დილით გადაერეკათ მოტაცებული ცხენები მთაზე და **„გადაბერტყინონ** ნალითა **ქუჩი** მთებისა ცვრიანი“. **ქუჩის გადაბერტყა** ან **ნამის გადაბერტყა** ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ან ცხოველის გავლის დროს ნამი დაცვივა („დაიბერტყება“) ბალახებიდან.

4. ჯოყოლას სახლში ვხედავთ ქისტს, რომელმაც ზვიადაური იცნო; ქისტს **„ხანჯრისკე ხელი მიუდის**, ჩუმად ჰსინჯავდა დანასა“. გამონთქვამში **ხელი მიუდის** ნიშნავს იმას, რომ გმირი თავს ვერ იკავებს, უნებურად მიაქვს ხელი იარაღისაკენ.

5. ალუდა იმითაც გამოირჩევა, რომ „სიტყვა **მაუდის გზიანი**“, ანუ ბრძნულ, ჭკვიანურ სიტყვას ამბობს.

6. დაჭრილი მუცალი ასეა დახატული: „მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასაო“. **მგლის ფერი** მთაში გაუტეხელი ვაჟკაცის ეპითეტია. იგულისხმება, რომ იგი შიშისა თუ განსაცდელისაგან ფერს არ იცვლის, განცდა სახეზე არ ეტყობა. შესაძლებელია, ამ გამონათქვამს ხალხის ის დაკვირვება დაედო საფუძვლად, რომ მგელი შეფერილობას სეზონურად თითქმის არ იცვლის (სხვა ნადირთაგან განსხვავებით).

პოლო სიტყვა ანუ ვაჟა-ფშაველას ანდერძი

XIX საუკუნის მწერლობის შესწავლა დასასრულს მიუახლოვდა. გაიხსენეთ, რა ითქვა ამ პერიოდის მწერლობის შესახებ სახელმძღვანელოს შესავალში, რომელი ორი ძირითადი ინტონაცია (ორგვარი კილო) განმსჭვალავდა მას? რა განაპირობებდა ამ ორ ინტონაციას?

ახლა წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ანდერძი“, რომელიც 1900 წელს არის დაწერილი და უპასუხეთ კითხვებს:

ანდერძი

ნუ გასჯავრდებით, შვილებო,
და ნუ დაგვიწყებთ გმობასა,
რომ ბევრი საქმე დაგიგდეთ
გასაკეთებლად მოდგმასა.
ჩვენი დრო იყო გრძნობისა,
ჩვენაც ვგლოვობდით, ვტიროდით.
რომ სნეულს წამალიც უნდა,
იმას ველარა ვფიქრობდით.
დრო იყო შეუსაბამო,
გარემოება ვერანი,
ამაოდ დაგვრჩა მამებსა
ფიქრი და გულის ძგერანი.
ეგებ თქვენ დაიჯილავოთ¹
ბარათაშვილის მერანი!
მინდოდა მკვდარსა გამეგო
ქართველთა ბედისწერანი,
რად უნდა დარჩეს ტიალად
ცრემლით მორწყული მღერანი?!..

- რა სჭარბობს ვაჟა-ფშაველას ამ ლექსში სევდა თუ იმედი?
- რით არის პოეტი უკმაყოფილო?
- რას სთხოვს იგი შთამომავლობას? რატომ არის ლექსში ნახსენები ბარათაშვილის მერანი?

1. ეგებ თქვენ დაიჯილავოთ – ეგებ თქვენ ჯილავით (აღვირით, ლაგმით, სადავით) დაიჭიროთ (დაიმორჩილოთ).

